სსიპ საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“

ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების კრებული

შედგენილია საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამის საფუძველზე

2026

წინამდებარე კრებულში შესულია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების კონსოლიდირებული ტექსტები 2026 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით.

მასალების წყაროდ გამოყენებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მცირე ტექნიკური ხასიათის შესწორებებით.

© საქპატენტი, 2026

საძიებელი

საქართველოს საპატენტო კანონი 5

ინსტრუქცია გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ 44

საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ 104

ინსტრუქცია სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ 136

საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ 163

ინსტრუქცია საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ 187

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის ოფიციალური სიმბოლოები 203

ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განმხილველი ეროვნული კომისიის დებულება 204

საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ 210

ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე 231

საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ 266

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის შექმნისა და საქმიანობის, აკრედიტაციის კონკურსის ჩატარების, აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასურის განსაზღვრისა და ტარიფების განმსაზღვრელი კომისიის საქმიანობის წესი 333

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების რეესტრის წარმოების წესი 347

საქართველოს კანონი ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ 349

მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირების შედავებების განხილვის წესი, განაცხადის განხილვის, პროცედურული ვადების გაგრძელების, შეწყვეტისა და აღდგენის წესი და იძულებითი ლიცენზიის გაცემის წესი 369

ცხოველის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირების შედავებების განხილვის წესი, განაცხადის განხილვის, პროცედურული ვადების გაგრძელების, შეწყვეტისა და აღდგენის წესი და იძულებითი ლიცენზიის გაცემის წესი 378

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურები 387

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულება 402

საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულება 415

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავი XLIV[12] 426

საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ 431

საქართველოს კანონი საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ 442

საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ 461

საქართველოს საპატენტო კანონი

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

ეს კანონი აწესრიგებს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის შექმნასთან, გამოყენებასთან და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ – ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანო (შემდგომში – საქპატენტი);

ბ) საერთაშორისო ბიურო – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო;

გ) პარიზის კონვენცია – 1883 წლის 20 მარტს ხელმოწერილი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს);

დ) საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება – 1970 წლის 19 ივნისს ხელმოწერილი, მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება (შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს, ცვლილებები შეტანილია 1984 წლის 3 თებერვალს);

ე) (ამოღებულია);

ე[1]) გამომგონებელი – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურშემოქმედებითი შრომის შედეგადაც შეიქმნა გამოგონება ან სასარგებლო მოდელი;

ვ) პატენტი – ამ კანონის შესაბამისად პატენტის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის განსაკუთრებულ უფლებებს. პატენტი მოიცავს საპატენტო სიგელსა და პატენტის აღწერილობას (გამოგონების აღწერილობა, გამოგონების ფორმულა, ნახაზები (არსებობის შემთხვევაში), რეფერატი);

ვ[1]) მოწმობა – ამ კანონის შესაბამისად სასარგებლო მოდელის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის განსაკუთრებულ უფლებებს;

ზ) (ამოღებულია);

თ) განმცხადებელი – ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელიც პატენტს ან მოწმობას ითხოვს;

თ[1]) პატენტრწმუნებული — „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი;

ი) განაცხადი – ამ კანონის შესაბამისად პატენტის ან მოწმობის გაცემისთვის აუცილებელი დოკუმენტების ერთობლიობა;

კ) საერთაშორისო განაცხადი – საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების მოთხოვნით გაფორმებული და შეტანილი განაცხადი;

ლ) (ამოღებულია);

მ) პრიორიტეტი – უპირატესობა, რომელიც აქვს განაცხადს მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით;

ნ) საკონვენციო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად დადგენილი პრიორიტეტი, რომლითაც განმცხადებელს შეუძლია ისარგებლოს პარიზის კონვენციის ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სხვა ქვეყანაში;

ო) საგამოფენო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-11 მუხლის შესაბამისად დადგენილი პრიორიტეტი, რომლითაც განმცხადებელს შეუძლია ისარგებლოს პარიზის კონვენციის ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სხვა ქვეყანაში;

პ) (ამოღებულია);

პ[1]) ბუდაპეშტის ხელშეკრულება – „საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის მიკროორგანიზმთა დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ ბუდაპეშტის ხელშეკრულება“ (ხელმოწერილია 1977 წლის 28 აპრილს, შესწორებულია 1980 წლის 26 სექტემბერს);

პ[2]) ბიოლოგიური მასალა — მასალა, რომელიც შეიცავს გენეტიკურ ინფორმაციას და რომელსაც აქვს თვითრეპროდუქციის უნარი ან რომლის რეპროდუცირებაც შესაძლებელია ბიოლოგიურ სისტემაში;

ჟ) დეპოზიტარიუმი – ბუდაპეშტის ხელშეკრულების ფარგლებში არსებული საერთაშორისო სადეპოზიტო დაწესებულება, სადაც ინახება ბიოლოგიური მასალა;

რ) ფარმაცევტული პროდუქტი – ამ კანონის მიზნებისათვის, ნებისმიერი პატენტუნარიანი პროდუქტი ან პატენტუნარიანი ხერხებით დამზადებული პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია ადამიანის ან ცხოველის დაავადების მკურნალობისათვის ან პრევენციისათვის და რომელიც აგრეთვე შეიძლება დაენიშნოს ადამიანს ან ცხოველს სამედიცინო დიაგნოსტირებისათვის, ფიზიოლოგიური ფუნქციების აღდგენისათვის, კორექციისათვის ან მოდიფიცირებისათვის. ფარმაცევტულ პროდუქტად მიიჩნევა აგრეთვე ზემოაღნიშნული პროდუქტის დასამზადებლად განკუთვნილი აქტიური ინგრედიენტი და ამ პროდუქტის გამოსაყენებლად საჭირო დიაგნოსტიკური საშუალება;

ს) მცენარეთა დაცვის საშუალებები – ამ კანონის მიზნებისათვის, ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა დაავადებებისა და მათი გადამტანების, მავნებლებისა და სარეველა მცენარეების, შენახული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაავადებებისა და მავნებლების, მღრღნელების წინააღმდეგ, აგრეთვე მცენარეთა ზრდის რეგულირებისათვის, მოსავლის აღების წინ მცენარეთათვის ფოთლების მოსაცილებლად (დეფოლიანტები) და მცენარეების შესახმობად (დესიკანტები), საცავების, საწყობების, სატრანსპორტო საშუალებების, სათბურების, ნიადაგის, მცენარეული და ფიტოსანიტარიული კონტროლისადმი დაქვემდებარებული სხვა პროდუქციის გაუსნებოვნებისათვის;

ტ) დაცვის დამატებითი მოწმობა – საქპატენტის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც აგრძელებს პატენტის მოქმედების ვადას იმ ფარმაცევტულ პროდუქტზე ან/და მცენარეთა დაცვის საშუალებებზე, რომლის/რომელთა საქართველოს ბაზარზე დასაშვებად საჭიროა უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა/რეგისტრაცია;

უ) უფლებამოსილი ორგანო – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მცენარეთა დაცვის საშუალებების საქართველოს ბაზარზე დასაშვებად რეგისტრაციის უფლებამოსილების მქონე ორგანო ან ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლებამოსილების მქონე ორგანო;

ფ) ბიულეტენი – სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი, რომელსაც გამოსცემს საქპატენტი.

ქ) ევროპული საპატენტო განაცხადი – ევროპის საპატენტო კონვენციის (EPC) შესაბამისად შეტანილი ევროპული საპატენტო განაცხადი, აგრეთვე საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად შეტანილი საერთაშორისო განაცხადი, რომლის მიმართაც ევროპის საპატენტო ოფისი (EPO) არის „აღნიშნული უწყება“ ან „არჩეული უწყება“, რომელსაც მინიჭებული აქვს შეტანის საერთაშორისო თარიღი და რომელშიც მითითებულია საქართველო;

ღ) ვალიდირებული ევროპული პატენტი – ევროპულ საპატენტო განაცხადზე ევროპის საპატენტო ოფისის (EPO) მიერ გაცემული ევროპული პატენტი, რომლის საფუძველზედაც საქართველოში მოთხოვნილ იქნა ევროპული პატენტის ვალიდაცია;

ყ) ევროპული პატენტის ვალიდაცია – მოთხოვნის საფუძველზე ევროპული საპატენტო განაცხადისა და ევროპული პატენტის მოქმედების აღიარება საქართველოს ტერიტორიაზე;

შ) ვალიდაციის შეთანხმება – შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ“ (ვალიდაციის შეთანხმება) (ხელმოწერილია 2019 წლის 31 ოქტომბერს);

ჩ) ეროვნული საპატენტო განაცხადი – ამ კანონის შესაბამისად საქპატენტში შეტანილი გამოგონების განაცხადი;

ც) ეროვნული პატენტი – ამ კანონის შესაბამისად საქპატენტის მიერ ეროვნული საპატენტო განაცხადის საფუძველზე გაცემული გამოგონების პატენტი.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1918 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 15 მაისის კანონი №4167 – ვებგვერდი, 29.05.2024წ.

მუხლი 3. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 4. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 5. გამოგონების პატენტის მოქმედების ვადა

1. გამოგონების პატენტის მოქმედების ვადაა 20 წელი საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღიდან.

2. (ამოღებულია).

3. (ამოღებულია).

4. (ამოღებულია).

5. ისეთი გამოგონების პატენტზე, რომელიც ეხება ფარმაცევტულ პროდუქტს ან მცენარეთა დაცვის საშუალებებს, რომლის/რომელთა საქართველოს ბაზარზე დასაშვებად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა/რეგისტრაცია, შესაძლებელია პატენტის მფლობელის მოთხოვნით გაცემულ იქნეს დაცვის დამატებითი მოწმობა.

6. დაცვის დამატებითი მოწმობა პატენტის მოქმედების ვადას აგრძელებს დამატებითი ვადით, რომელიც განისაზღვრება საქპატენტისთვის განაცხადის წარდგენიდან უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის მიღებამდე გასული პერიოდით, რომელსაც აკლდება 5 წელი.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული დამატებითი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

8. პატენტის მფლობელმა დაცვის დამატებითი მოწმობის მიღების შესახებ განცხადება საქპატენტს უნდა წარუდგინოს უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის მიღების დღიდან 6 თვის ვადაში. თუ უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა გაიცა/რეგისტრაცია განხორციელდა პატენტის გაცემამდე, პატენტის მფლობელმა განცხადება უნდა წარადგინოს პატენტის გაცემიდან 6 თვის ვადაში.

9. საქპატენტი დაცვის დამატებითი მოწმობის მიღების შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას დაცვის დამატებითი მოწმობის გაცემის შესახებ ან დაცვის დამატებითი მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

10. დაცვის დამატებითი მოწმობის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქპატენტი დაცვის დამატებით მოწმობას სამრეწველო საკუთრების რეესტრში არეგისტრირებს და ამის თაობაზე ინფორმაციას აქვეყნებს ბიულეტენში.

11. იმ ფარმაცევტული პროდუქტისთვის, რომლისთვისაც ჩატარდა პედიატრიული კვლევები, რომელთა შედეგები მითითებულია პროდუქტის შესახებ ინფორმაციაში, ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს დამატებით 6 თვით.

12. დაცვის დამატებითი მოწმობის გაცემის პროცედურები განისაზღვრება საქპატენტის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ინსტრუქციით.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1918 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 6. გამოგონების სამართლებრივი დაცვის ფარგლები

1. გამოგონების სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს გამოგონების ფორმულა.

2. გამოგონების სამართლებრივი დაცვის ფარგლებში ექცევა ნებისმიერი ობიექტი, რომელშიც გამოგონების ფორმულის მუხლის ყველა ნიშანია განხორციელებული.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 7. დასაიდუმლოებული გამოგონება

1. შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობიდან გამომდინარე დასაიდუმლოებულ გამოგონებაზე საპატენტო განაცხადსა და პატენტს საქპატენტი გამოაქვეყნებს მხოლოდ გამოგონების განსაიდუმლოების შემდეგ, ამ უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. გამოგონების დასაიდუმლოება დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, რომელიც პატენტის მოქმედების ვადის განმავლობაში შეიძლება ამ პუნქტით დადგენილი ვადით რამდენჯერმე გაგრძელდეს.

3. გამოგონების დასაიდუმლოების შემთხვევაში გამომგონებელს ეძლევა სათანადო კომპენსაცია, რომლის ოდენობის დადგენისა და გაცემის წესი განისაზღვრება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტით.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

თავი II
„საქპატენტი“

მუხლი 8. საქპატენტი

1. საქპატენტის ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საქპატენტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. საქპატენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერმინისტრი.

3. საქპატენტის თავმჯდომარე თანამდებობაზე ინიშნება 4 წლის ვადით.

4. საქპატენტზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

5. საქპატენტი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერმინისტრის წინაშე.

6. საქპატენტი უფლებამოსილია საკუთარი მიზნების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს კერძო სამართლის იურიდიული პირები.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1257 – ვებგვერდი, 01.10.2013წ.
საქართველოს 2023 წლის 15 დეკემბრის კანონი №3968 – ვებგვერდი, 25.12.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 15 მაისის კანონი №4167 – ვებგვერდი, 29.05.2024წ.

მუხლი 8[1]. ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებამოსილება

1. საქპატენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს ნორმატიული აქტები.

2. საქპატენტის თავმჯდომარის ნორმატიული აქტია საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება.

3. საქპატენტის თავმჯდომარე ნორმატიულ აქტებს გამოსცემს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს 2010 წლის 2 6 ოქტომბრის კანონი №3741 – სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ.381

მუხლი 9. სააპელაციო პალატა

1. საქპატენტთან არსებობს სააპელაციო პალატა, რომელიც იხილავს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, ასევე მათი დაცვის კრიტერიუმებთან, პატენტის გაცემასთან და სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დავებს.

2. სააპელაციო პალატის ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქპატენტის თავმჯდომარე.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 10. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 11. საქპატენტის ბიუჯეტი

1. საქპატენტი ფინანსდება:

ა) საქპატენტის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლით;
ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლით;
გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლით, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასურს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

3. საფასური და სხვა შემოსავალი ირიცხება საქპატენტის ანგარიშზე, რომელსაც განკარგავს მხოლოდ საქპატენტი. საქპატენტის მიერ წლის განმავლობაში გამოუყენებელი თანხები გადადის მომავალი წლის ბიუჯეტში.

4. საქპატენტი ყოველი წლის 1 დეკემბრისათვის ამზადებს მომავალი წლის ბიუჯეტს, რომელშიც ასახული უნდა იყოს საქპატენტის ყველა ხარჯი და მათი დაფარვის წყარო.

5. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს პრემიერმინისტრის დავალებით დასაშვებია წლის განმავლობაში საქპატენტის მიერ გამოუყენებელი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა.

6. საქპატენტის ბიუჯეტს საქართველოს პრემიერმინისტრთან შეთანხმებით ამტკიცებს საქპატენტის თავმჯდომარე.

7. საქპატენტს უფლება აქვს, დამოუკიდებლად შეიძინოს და განკარგოს ქონება, გარდა უძრავი ქონებისა. საქპატენტი უძრავ ქონებას იძენს და განკარგავს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

თავი III
პატენტუნარიანობა

მუხლი 12. გამოგონების პატენტუნარიანობის კრიტერიუმები

1. პატენტი გაიცემა ტექნიკის ნებისმიერ დარგში ისეთ გამოგონებაზე, რომელიც აკმაყოფილებს გამოგონების პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს – სიახლეს, საგამომგონებლო დონესა და სამრეწველო გამოყენებადობას.

2. გამოგონებას აქვს სიახლე, თუ ის არ მიეკუთვნება ტექნიკის დონეს.

3. გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ ის ტექნიკის შესაბამისი დარგის სპეციალისტისთვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან.

4. გამოგონებას აქვს სამრეწველო გამოყენებადობა, თუ შესაძლებელია მისი მრეწველობაში ან სოფლის მეურნეობაში დამზადება ან გამოყენება.

5. ტექნიკის დონეს მიეკუთვნება/განსაზღვრავს ყველა მონაცემი, რომლებიც პრიორიტეტის თარიღამდე საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა წერილობით, ზეპირი აღწერით, გამოყენებით ან სხვაგვარად.

6. სიახლის დადგენისას ტექნიკის დონეს, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემებისა, მიეკუთვნება საქპატენტში გამოგონების ან სასარგებლო მოდელის პატენტის მისაღებად შეტანილი ყველა განაცხადი და ყველა ევროპული საპატენტო განაცხადი, რომლებისთვისაც გადახდილია ვალიდაციის საფასური, თუ ამ განაცხადებს აქვს იმ განაცხადზე უფრო ადრინდელი პრიორიტეტი, რომლის სიახლეც დგინდება, და აღნიშნული განაცხადები ამ განაცხადის პრიორიტეტის თარიღის შემდეგ გამოქვეყნდა.

7. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები არ გამორიცხავს ტექნიკის დონისთვის მიკუთვნებული იმ ნივთიერების ან კომპოზიციის პატენტუნარიანობას, რომელიც განკუთვნილია ამ კანონის მე-17 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ხერხებში გამოსაყენებლად იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ხერხებში მისი გამოყენება არ მიეკუთვნება ტექნიკის დონეს.

8. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები არ გამორიცხავს ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული იმ ნივთიერების ან კომპოზიციის პატენტუნარიანობას, რომელიც განკუთვნილია ამ კანონის მე-17 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ხერხებში სპეციფიკურად გამოსაყენებლად იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ხერხებში მისი სპეციფიკური გამოყენება არ მიეკუთვნება ტექნიკის დონეს.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2010 წლის 2 ივლისის კანონი №3278 – სსმ I, №37, 14.07.2010 წ., მუხ.219
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 13. (ამოღებულია)
საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 14. (ამოღებულია)
საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 15. ინფორმაციის გახსნა
მონაცემები, რომლებიც ტექნიკის დონეს მიეკუთვნება, არ მოახდენს გავლენას განაცხადით გათვალისწინებული ობიექტის პატენტუნარიანობაზე, თუ ეს მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა პრიორიტეტის თარიღამდე არაუგვიანეს 6 თვისა:

ა) მესამე პირის მიერ გამომგონებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიმართ არა კეთილსინდისიერი ქმედების განხორციელების შედეგად;
ბ) გამომგონებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ გამოგონების პარიზის კონვენციის ფარგლებში ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყანაში „საერთაშორისო გამოფენების შესახებ“ 1928 წლის 22 ნოემბრის პარიზის კონვენციის (გადასინჯულია 1972 წლის 30 ნოემბერს) ფარგლებში მოწყობილ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოფენაზე ექსპონირებისას.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2010 წლის 2 ივლისის კანონი №3278 – სსმ I, №37, 14.07.2010 წ., მუხ.219
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 16. ობიექტები, რომლებიც არ მიიჩნევა გამოგონებად

1. გამოგონებად არ მიიჩნევა:

ა) აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია, მათემატიკური მეთოდი;
ბ) მხატვრული ქმნილება;
გ) ალგორითმი, კომპიუტერული პროგრამა;
დ) აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა, გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდი, თამაშობის, გათამაშების წესები;
ე) საქმიანობისა და ორგანიზების მართვის მეთოდი;
ვ) შენობანაგებობის, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების პროექტები;
ზ) ინფორმაციის წარდგენა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ობიექტები არ მიიჩნევა პატენტუნარიანად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ობიექტები უშუალოდ არის განაცხადის საგანი.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2018 წლის 20 ივლისის კანონი №3235 – ვებგვერდი, 13.08.2018წ.

მუხლი 17. ობიექტები, რომლებზედაც არ გაიცემა პატენტი

პატენტი არ გაიცემა:

ა) გამოგონებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს;
ბ) ადამიანის ან ცხოველის მკურნალობის ქირურგიულ ან თერაპიულ ხერხებზე, აგრეთვე დიაგნოსტიკურ ხერხებზე, რომლებიც გამოიყენება ადამიანის ან ცხოველის სხეულზე. ეს წესი არ ვრცელდება აღნიშნულ ხერხებში გამოყენებულ მოწყობილობებზე, ნივთიერებებსა და ნაერთებზე;
გ) მცენარეთა ან ცხოველთა ჯიშებზე, აგრეთვე მცენარეთა ან ცხოველთა ჯიშების გამოყვანის უპირატესად ბიოლოგიურ ხერხებზე. ეს წესი არ ვრცელდება მიკრობიოლოგიურ ხერხებსა და ამ ხერხებით მიღებულ პროდუქტებზე;
დ) (ამოღებულია);
ე) (ამოღებულია);
ვ) სასარგებლო მოდელზე, რომელიც ეხება მიკროორგანიზმთა შტამებს, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებს, ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის ობიექტებს, ქიმიური ხერხით მიღებულ ნივთიერებებს, მათ შორის, ფარმაცევტულ ნივთიერებებს.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

თავი IV
გამომგონებელი და პატენტის მიღების უფლება

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 18. გამომგონებელი

1. (ამოღებულია).

2. (ამოღებულია).

2^1. გამომგონებელს უფლება აქვს, მითითებულ იქნეს გამომგონებლად განაცხადსა და პატენტში.

3. გამომგონებლის მოთხოვნის შემთხვევაში საქპატენტი ვალდებულია არ გამოაქვეყნოს მისი სახელი.

4. თუ გამოგონება შექმნა რამდენიმე პირმა, თითოეული მათგანი მიიჩნევა თანაგამომგონებლად.

5. თანაგამომგონებელთა ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში თანაგამომგონებლები სარგებლობენ საერთო თანაბარი უფლებებით.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 19. პატენტის მიღების უფლება

1. პატენტის მიღების უფლება აქვს გამომგონებელს ან მის უფლებამონაცვლეს.

2. რამდენიმე პირის მიერ შექმნილი გამოგონების პატენტის მიღების უფლება აქვს როგორც ყველა თანაგამომგონებელს ერთად, ისე თითოეულ მათგანს სხვა თანაგამომგონებლების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, თუ თანაგამომგონებელთა შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. თუ ერთი და იგივე გამოგონება დამოუკიდებლად შექმნა ორმა ან ორზე მეტმა პირმა, პატენტის მიღების უფლება აქვს იმ გამომგონებელს, რომლის განაცხადსაც უფრო ადრინდელი პრიორიტეტი აქვს.

4. თუ ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადებს დაუდგინდათ ერთი და იგივე პრიო რიტეტი, პატენტი გაიცემა განმცხადებელთა შეთანხმებაში მითითებულ პირზე (პირებზე). მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

5. დასაქმებულის ან/და შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ გამოგონებაზე, რომელიც უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას, პატენტის მიღების უფლება აქვს დამსაქმებელს/შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6. თუ გამოგონების შექმნა არ უკავშირდება დასაქმებულის ან/და შეკვეთის მიმღების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას, მაგრამ დასაქმებულმა/შეკვეთის მიმღებმა გამოგონების შესაქმნელად გამოიყენა დამსაქმებლის/შემკვეთის მფლობელობაში არსებული რესურსი, პატენტის მიღების უფლება აქვს დამსაქმებელს/შემკვეთს, ხოლო დასაქმებულს/შეკვეთის მიმღებს ეკუთვნის ამ გამოგონებაზე უსასყიდლოდ არაექსკლუზიური კერძო ლიცენზიის მიღების ან/და პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების შესყიდვის უპირატესი უფლება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. ერთი და იმავე პრიორიტეტის მქონე ერთსა და იმავე გამოგონებაზე, რომელზედაც ერთი და იმავე განმცხადებლის მიერ შეტანილია რამდენიმე განაცხადი, არ შეიძლება გაიცეს ერთზე მეტი პატენტი.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 20. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 21. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 22. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

თავი IV¹
პატენტრწმუნებული

მუხლი 22¹. პატენტრწმუნებულის დანიშვნა

1. საქპატენტში განმცხადებლის ან პატენტის მფლობელის წარმომადგენლობას ახორციელებს მისი წარმომადგენელი ან/და საქართველოს პატენტრწმუნებული (არსებობის შემთხვევაში).

2. განმცხადებელი ან პატენტის მფლობელი, რომელსაც საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან რეგისტრირებული იურიდიული მისამართი არ აქვს, ვალდებულია საქპატენტში წარმომადგენლად დანიშნოს საქართველოს პატენტრწმუნებული.

3. თუ განმცხადებელი ან პატენტის მფლობელი არ შეასრულებს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

4. საქართველოს პატენტრწმუნებულის წარმომადგენლობის უფლებამოსილება დასტურდება განმცხადებლის ან პატენტის მფლობელის მიერ გაცემული, წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტით.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 22². პატენტრწმუნებულის კვალიფიკაცია

1. საქართველოს პატენტრწმუნებულის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მისთვის კვალიფიკაციის მინიჭებისა და მისი რეგისტრაციის წესი განისაზღვრება კანონით.

2. (ამოღებულია 15.01.2024, №4167).

3. (ამოღებულია 15.01.2024, №4167).

4. (ამოღებულია 15.01.2024, №4167).

5. (ამოღებულია 15.01.2024, №4167).

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 15 მაისის კანონი №4167 – ვებგვერდი, 29.05.2024წ.

თავი V
განაცხადის წარდგენა

მუხლი 23. განაცხადის წარდგენა

1. განაცხადი საქპატენტს წარედგინება.
2. (ამოღებულია).
3. (ამოღებულია).
4. (ამოღებულია).
5. (ამოღებულია 16.05.2023, №2883).
6. (ამოღებულია 16.05.2023, №2883).
7. (ამოღებულია 16.05.2023, №2883).
8. განაცხადის ფორმა და განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებული პროცედურები განისაზღვრება გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ ინსტრუქციით (შემდგომში – ინსტრუქცია).

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 24. განაცხადი

1. განაცხადი უნდა შეიცავდეს:
ა) განცხადებას პატენტის მიღების თაობაზე;
ბ) გამოგონების აღწერილობას;
გ) გამოგონების ფორმულას;
დ) ნახაზებსა და სხვა დოკუმენტებს, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების არსის ასახსნელად;
ე) გამოგონების რეფერატს, რომელიც მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა.

1^1. პატენტის მიღების თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს გამომგონებლის შესახებ მონაცემებს, რომელთა სიზუსტისა და უტყუარობისთვის პასუხისმგებელია თავად განმცხადებელი.

2. განმცხადებლის წარმომადგენლის დანიშვნის შემთხვევაში განაცხადს წარდგენისთანავე ან მისი წარდგენის დღიდან 2 თვის ვადაში უნდა დაერთოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. თუ განმცხადებელი გამომგონებლის უფლებამონაცვლეა, განაცხადს წარდგენისთანავე ან წარდგენის დღიდან 2 თვის ვადაში უნდა დაერთოს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი.

4. განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, სხვა საგანაცხადო მასალები – ნებისმიერ ენაზე.

5. საგანაცხადო მასალების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელმა განაცხადის წარდგენის დღიდან 2 თვის ვადაში უნდა წარადგინოს მათი ქართული თარგმანი. მისი წარუდგენლობის შემთხვევაში განაცხადზე საქმის წარმოება შეწყდება.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 25. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 26. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 27. განაცხადის შეტანის თარიღი

განაცხადის შეტანის თარიღად მიიჩნევა ის დღე, როდესაც წარდგენილ იქნა პატენტის მიღების თაობაზე განცხადება და გამოგონების აღწერილობა.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 28. გამოგონების ერთიანობა, გამოგონების აღწერილობის სისრულე და გამოგონების ფორმულა

1. გამოგონება უნდა აკმაყოფილებდეს ერთიანობის მოთხოვნას, კერძოდ, განაცხადი უნდა მოიცავდეს ერთ გამოგონებას ან ერთი საგამომგონებლო იდეით გაერთიანებულ გამოგონებათა ჯგუფს.

2. (ამოღებულია).

3. გამოგონების აღწერილობა წარდგენილი უნდა იყოს დადგენილი წესით და ისეთი სისრულით, რომ შესაბამისი დარგის სპეციალისტს შეეძლოს მისი განხორციელება.

4. თუ განაცხადი ეხება ბიოლოგიურ მასალას და შეუძლებელია განაცხადში ამ მასალის ისეთი სისრულით აღწერა, რომ სპეციალისტისთვის ცხადი იყოს გამოგონების განხორციელების შესაძლებლობა, ან თუ ეს ბიოლოგიური მასალა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი არ არის, განაცხადს უნდა დაერთოს დეპოზიტარიუმის მიერ გაცემული, აღნიშნული მასალის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. გამოგონების ფორმულა შედგენილი უნდა იყოს ინსტრუქციით დადგენილი წესით, ნათლად უნდა ასახავდეს გამოგონების არსს და უნდა ეფუძნებოდეს გამოგონების აღწერილობას. გამოგონების ფორმულა შეიძლება შედგებოდეს ერთი ან ერთზე მეტი მუხლისგან.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 29. გამოყოფილი განაცხადი

1. განმცხადებელს უფლება აქვს, საქპატენტში შეტანილი განაცხადი ნაწილებად დაყოს და გამოყოფილი განაცხადი წარადგინოს. გამოყოფილი განაცხადის საგანი არ უნდა გასცდეს შეტანილი პირველი განაცხადის შინაარსის ფარგლებს.

2. გამოყოფილ განაცხადს უნარჩუნდება საქპატენტში პირველი განაცხადის შეტანის თარიღი და პრიორიტეტი.

3. გამოყოფილი განაცხადის წარდგენა დასაშვებია საქპატენტის მიერ პატენტის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ინსტრუქციით დადგენილი წესით.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 30. პრიორიტეტი

1. განმცხადებელი, რომელსაც სურს ისარგებლოს საკონვენციო პრიორიტეტით, ვალდებულია განაცხადი საქპატენტში წარადგინოს პარიზის კონვენციის ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყანაში ამ გამოგონებაზე ადრე შეტანილი პირველი განაცხადის შეტანის თარიღიდან 12 თვის ვადაში.

2. განმცხადებელი, რომელსაც სურს ისარგებლოს საგამოფენო პრიორიტეტით, ვალდებულია განაცხადი საქპატენტში წარადგინოს პარიზის კონვენციის ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყანაში მოწყობილ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოფენაზე გამოგონების ექსპონირების თარიღიდან 6 თვის ვადაში. საკონვენციო და საგამოფენო პრიორიტეტები ერთმანეთის ვადას არ აგრძელებს.

3. თუ განმცხადებელმა საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლო საკონვენციო პრიორიტეტის ან საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნით განაცხადის საქპატენტში ამ მუხლის პირველი ან მე–2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შეტანა, მას უფლება აქვს, აღნიშნული განაცხადის მომდევნო 2 თვის ვადაში შეტანის შემთხვევაშიც ისარგებლოს საკონვენციო პრიორიტეტით ან საგამოფენო პრიორიტეტით.

4. განმცხადებელი, რომელსაც სურს ისარგებლოს საკონვენციო პრიორიტეტით ან საგამოფენო პრიორიტეტით, ვალდებულია:
ა) ამის შესახებ მიუთითოს განაცხადის საქპატენტში შეტანისთანავე ან მოთხოვნილი პრიორიტეტის თარიღიდან 16 თვის ვადაში. პრიორიტეტის მოთხოვნის შეცვლა შესაძლებელია მოთხოვნილი პრიორიტეტის თარიღიდან 16 თვის ვადაში, ხოლო თუ ეს ცვლილება იწვევს პრიორიტეტის თარიღის ცვლილებას – შეცვლილი პრიორიტეტის თარიღიდან 16 თვის ვადაში, იმის მიხედვით, თუ რომელი 16თვიანი პერიოდი იწურება უფრო ადრე. ამასთანავე, აღნიშნული ცვლილების წარდგენა შესაძლებელი უნდა იყოს განაცხადის შეტანის თარიღიდან 4 თვის ვადაში;
ბ) საქპატენტში წარადგინოს აღნიშნული პრიორიტეტის მოთხოვნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი მოთხოვნილი პრიორიტეტის თარიღიდან 16 თვის ვადაში.

5. პრიორიტეტი შეიძლება დადგინდეს:
ა) (ამოღებულია);
ბ) საქპატენტში იმავე განმცხადებლის ან იმ პირის, რომლის უფლებამონაცვლეც არის განმცხადებელი, უფრო ადრინდელი განაცხადის შეტანის თარიღით, რომელშიც გახსნილია გამოგონების არსი, თუ განაცხადი, რომლითაც აღნიშნული პრიორიტეტი მოითხოვება, უფრო ადრინდელი განაცხადის შეტანის თარიღიდან 12 თვის ვადაში იქნა შეტანილი. განმცხადებელმა ამ პრიორიტეტის მოთხოვნის თაობაზე უნდა მიუთითოს განაცხადის საქპატენტში შეტანისთანავე ან მოთხოვნილი პრიორიტეტის თარიღიდან 16 თვის ვადაში. ამასთანავე, განაცხადი, რომლის პრიორიტეტიც იქნა მოთხოვნილი, გატანილად მიიჩნევა;
გ) ადრე შეტანილი რამდენიმე განაცხადის საფუძველზე, თუ ყოველი მათგანისთვის დაცულია ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები.

6. განაცხადს პრიორიტეტი არ უდგინდება იმ განაცხადის შეტანის თარიღით, რომელზედაც უკვე იყო მოთხოვნილი უფრო ადრინდელი პრიორიტეტი.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2010 წლის 2 ივლისის კანონი №3278 – სსმ I, №37, 14.07.2010 წ., მუხ.219
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 31. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 31[1]. განაცხადის გამოქვეყნება

1. საქპატენტი აქვეყნებს განაცხადს:
ა) პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის გასვლისთანავე;
ბ) პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის გასვლამდე, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე.

2. განაცხადი ქვეყნდება ამ კანონის მე-40 მუხლით გათვალისწინებული პატენტის გამოქვეყნებისას, თუ პატენტის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის გასვლამდე მიიღება.

3. განაცხადი არ ქვეყნდება, თუ მასზე საქმის წარმოება შეწყდა.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქპატენტს განაცხადის შესახებ მონაცემები შეაქვს სამრეწველო საკუთრების რეესტრში (შემდგომ – რეესტრი), განაცხადის მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში, ხოლო საგანაცხადო მასალებს აქვეყნებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

თავი VI
საპატენტო ექსპერტიზა და პატენტის გაცემა

მუხლი 32. განაცხადის ექსპერტიზა

1. საქპატენტი ატარებს განაცხადის საპატენტო ექსპერტიზას, რომლის საფუძველზედაც იღებს გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის შესახებ.

2. საპატენტო ექსპერტიზა მოიცავს განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებას, ფორმალური მოთხოვნებისა და არსობრივი ექსპერტიზის ჩატარებას.

3. (ამოღებულია 16.05.2023, №2883).

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 33. განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურება

1. საქპატენტი განაცხადის შეტანის თარიღს ადასტურებს მისი წარდგენიდან 2 კვირის ვადაში.

2. თუ გამოვლინდა, რომ წარდგენილ განაცხადს აკლია ამ კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საგანაცხადო მასალა, განმცხადებელი ვალდებულია აღნიშნული მასალა წარადგინოს შეტყობინების მიღების დღიდან 1 თვის ვადაში.

3. თუ განმცხადებელი შეასრულებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, განაცხადის შეტანის თარიღად მიიჩნევა აღნიშნული მოთხოვნის შესრულების თარიღი. წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი შეტანილად არ მიიჩნევა.

4. თუ გამოგონების აღწერილობაში მითითებულია ნახაზები, რომლებიც არ ერთოდა განაცხადს, განმცხადებელი ვალდებულია აღნიშნული ნახაზები წარადგინოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში. ნახაზების დადგენილ ვადაში წარდგენისას განაცხადის შეტანის თარიღად მიიჩნევა აღნიშნული ნახაზების მიღების დღე. წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადის შეტანის თარიღად მიიჩნევა ნახაზების გარეშე წარდგენილი საგანაცხადო მასალების მიღების თარიღი, ხოლო ნებისმიერი მითითება ნახაზებზე ამოღებულად მიიჩნევა.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 34. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა

1. განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებიდან 2 კვირის ვადაში საქპატენტი ინსტრუქციით დადგენილი წესით იწყებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რომლის დროსაც მოწმდება განაცხადის ამ კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა და საგანაცხადო მასალების გაფორმების სისწორე.

2. თუ განაცხადი აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნებს, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების შესახებ.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 35. არსობრივი ექსპერტიზა

1. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების შემდეგ საქპატენტი ინსტრუქციით დადგენილი წესით ატარებს არსობრივ ექსპერტიზას, რომლის დროსაც მოწმდება:
ა) ეხება თუ არა განაცხადი ამ კანონის მე-16 ან მე-17 მუხლით გათვალისწინებულ ობიექტს;
ბ) აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი ამ კანონის 28-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
გ) აკმაყოფილებს თუ არა გამოგონება ამ კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

1^1. (ამოღებულია 16.05.2023, №2883).

1^2. (ამოღებულია 16.05.2023, №2883).

1^3. (ამოღებულია 16.05.2023, №2883).

2. (ამოღებულია).

3. (ამოღებულია).

4. ამ კანონის მე-12 მუხლით გათვალისწინებული გამოგონების პატენტუნარიანობის კრიტერიუმების – სიახლისა და საგამომგონებლო დონის შესაფასებლად ინსტრუქციით დადგენილი წესით ტარდება ძიება.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემოწმების შემდეგ საქპატენტი განმცხადებელს უგზავნის ძიების ანგარიშსა და ექსპერტიზის დასკვნას.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 35^1. პატენტის გაცემის თაობაზე უარყოფითი გადაწყვეტილება

1. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ექსპერტიზის ჩამტარებელი უფლებამოსილია ინსტრუქციით დადგენილი წესით

მოსთხოვოს განმცხადებელს განაცხადში ცვლილების ან შესწორების შეტანა ან განმარტების წარდგენა.

2. საქპატენტი იღებს დასაბუთებულ უარყოფით გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის თაობაზე, თუ:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განაცხადში ცვლილების ან შესწორების შეტანის მიუხედავად, განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) განმცხადებელი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით არ შეიტანს განაცხადში ცვლილებას ან შესწორებას ან არ წარადგენს განმარტებას.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 36. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 36[1]. პატენტის გაცემის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილება

1. თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, საქპატენტი იღებს დასაბუთებულ დადებით გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის თაობაზე.

2. პატენტის გაცემამდე საქპატენტი გამოგონების აღწერილობას, გამოგონების ფორმულასა და ნახაზებს (თუ ეს ნახაზები მითითებულია გამოგონების აღწერილობაში) შესათანხმებლად განმცხადებელს უგზავნის.

3. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განმცხადებელი 2 თვის ვადაში წერილობით გამოხატავს თანხმობას ან აღნიშნულთან დაკავშირებით თავის პოზიციას არ წარმოადგენს, საქპატენტი პატენტს გასცემს განმცხადებლისთვის გაგზავნილი გამოგონების აღწერილობის, გამოგონების ფორმულისა და ნახაზების (თუ ეს ნახაზები მითითებულია გამოგონების აღწერილობაში) საფუძველზე.

4. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განმცხადებელი 2 თვის ვადაში მოითხოვს გამოგონების აღწერილობაში, გამოგონების ფორმულასა და ნახაზებში (თუ ეს ნახაზები მითითებულია გამოგონების აღწერილობაში) დამატების ან/და ცვლილების შეტანას, საქპატენტი განიხილავს აღნიშნულ მოთხოვნას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას მისი გათვალისწინების შესახებ.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 37. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 38. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 39. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 40. პატენტის რეგისტრაცია, პატენტის გამოქვეყნება და საპატენტო სიგელის გაცემა

1. საქპატენტს პატენტის შესახებ მონაცემები შეაქვს რეესტრში და აქვეყნებს ბიულეტენში, ხოლო პატენტის აღწერილობას აქვეყნებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გასცემს საპატენტო სიგელს პატენტის აღწერილობასთან ერთად, თუ არსებობს:

ა) საქპატენტის დადებითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემის თაობაზე;

ბ) ამ კანონის 403 მუხლის შესაბამისად შეტანილი საჩივრის საფუძველზე სააპელაციო პალატის მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება პატენტის გაცემის შესახებ;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება პატენტის გაცემის შესახებ.

2. საპატენტო სიგელის ფორმას და რეესტრში შესატან პატენტის შესახებ მონაცემებს ადგენს საქპატენტი.

3. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, გაეცნოს რეესტრის საჯარო მონაცემებს.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 40[1]. გაცემულ პატენტში ცვლილებების შეტანა

1. პატენტის მფლობელის მოთხოვნით დასაშვებია გაცემული პატენტის გამოგონების აღწერილობაში, გამოგონების ფორმულასა და ნახაზებში (თუ ეს ნახაზები მითითებულია გამოგონების აღწერილობაში) ცვლილების შეტანა მექანიკური შეცდომის გასასწორებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ცვლილება ნათლად გამომდინარეობს აღნიშნული დოკუმენტაციის შინაარსიდან და აშკარაა, რომ არ შეიძლებოდა სხვა რამ ყოფილიყო ნაგულისხმები. აღნიშნულმა ცვლილებამ არ უნდა გააფართოოს დაცვის ფარგლები.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ცვლილებების შეტანის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183 საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 40[2]. ინფორმაციის გამჟღავნება

საქპატენტში წარდგენილი განაცხადის არსის განზრახ გამჟღავნება (გარდა განმცხადებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ გამჟღავნებისა) საქპატენტის მიერ ბიულეტენში მისი მონაცემების გამოქვეყნებამდე იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 40[3]. საქპატენტის გადაწყვეტილების სააპელაციო პალატაში გასაჩივრება

1. განმცხადებელს უფლება აქვს, საქპატენტის გადაწყვეტილებები ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ასევე არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში.

2. (ამოღებულია 16.05.2023, №2883).

3. (ამოღებულია 16.05.2023, №2883).

4. სააპელაციო პალატაში საჩივრის შეტანა დასაშვებია შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან/ჩაბარებიდან 3 თვის ვადაში.

5. სააპელაციო პალატა იხილავს საჩივარს და გამოაქვს გადაწყვეტილება მისი შეტანის დღიდან 3 თვის ვადაში.

6. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 40⁴. ინტერესთა კონფლიქტი

1. (ამოღებულია 15.01.2024, №4167).

2. დაუშვებელია პატენტის გაცემასთან დაკავშირებული სამართლებრივი დავის განხილვისას სააპელაციო პალატის შემადგენლობაში იყოს პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში.

3. დაუშვებელია, წარმომადგენელი იყოს პირი, რომელიც წარმომადგენლობის განხორციელების დაწყებამდე ბოლო 24 თვის განმავლობაში მუშაობდა საქპატენტის იმ დეპარტამენტში, რომელიც ამ კანონით გათვალისწინებულ განაცხადზე ექსპერტიზის ჩატარებისთვის არის პასუხისმგებელი. ეს აკრძალვა არ ვრცელდება იმ პირზე, რომელიც წარმომადგენლობის განხორციელების დაწყებამდე ბოლო 24 თვის განმავლობაში საქპატენტში სტაჟირებას გადიოდა.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 15 მაისის კანონი №4167 – ვებგვერდი, 29.05.2024წ.

მუხლი 41. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 42.(ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 42¹. გამოგონების პატენტის ხელახალი ექსპერტიზა

1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, პატენტის მოქმედების ვადის განმავლობაში მიმართოს საქპატენტს პატენტის ბათილად ცნობის მიზნით და მოითხოვოს საქპატენტის მიერ გაცემულ გამოგონების პატენტზე ან ვალიდირებულ ევროპულ პატენტზე ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება.

2. გამოგონების პატენტზე ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) წერილობითი დასაბუთება იმისა, რომ არსებობს ამ მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებული პატენტის ბათილად ცნობის საფუძველი;
ბ) ყველა დოკუმენტი, რომლებსაც დაინტერესებული მხარე ეყრდნობოდა ამ პუნქტის „ა“

ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასაბუთების შედგენისას. ამასთანავე, თუ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები უცხოურ ენაზეა წარდგენილი, დაინტერესებული მხარე ვალდებულია 1 თვის ვადაში წარადგინოს მათი ქართული თარგმანი. მისი წარუდგენლობის შემთხვევაში უცხოურ ენაზე წარდგენილი დოკუმენტები წარდგენილად არ მიიჩნევა.

3. გამოგონების პატენტზე ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენიდან 2 თვის ვადაში პატენტის მფლობელს უფლება აქვს, წარადგინოს წერილობითი შეპასუხება, რომელიც გათვალისწინებული იქნება გამოგონების პატენტზე ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების დროს.

4. საქპატენტი გამოგონების პატენტზე ჩატარებული ხელახალი ექსპერტიზის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პატენტის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ, თუ დადგინდა, რომ:

ა) პატენტის საგანი პატენტუნარიანი არ არის;
ბ) პატენტი გამოგონებას არ აღწერს ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება;
გ) პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტს, რომელიც, ამ კანონის მე–16 მუხლის შესაბამისად, გამოგონებად არ მიიჩნევა;
დ) პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტს, რომელზედაც, ამ კანონის მე–17 მუხლის შესაბამისად, პატენტი არ გაიცემა;
ე) პატენტის საგანი სცდება შეტანილი განაცხადის შინაარსის ფარგლებს, ან პატენტი გაცემულია გამოყოფილი განაცხადის საფუძველზე და მისი საგანი სცდება შეტანილი პირველი განაცხადის შინაარსის ფარგლებს;
ვ) პატენტით განსაზღვრული დაცვის ფარგლები გაფართოვდა.

5. პატენტის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ მონაცემები ქვეყნდება ბიულეტენში და შეიტანება რეესტრში.

6. გამოგონების პატენტზე ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 43. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 44. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 45. განაცხადის გამოთხოვა

განმცხადებელს უფლება აქვს, განაცხადის გამოსაქვეყნებლად გადაცემამდე გამოითხოვოს იგი.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 46. პროცედურული ვადების გაგრძელება და აღდგენა

1. განაცხადზე საქმის წარმოებისას განმცხადებელს უფლება აქვს, დადგენილი წესით

მოითხოვოს:

ა) განაცხადის განხილვის შეჩერება;

ბ) წარდგენილ საგანაცხადო მასალაში ცვლილების შეტანა, თუ ეს ცვლილება არ სცდება შეტანილი განაცხადის შინაარსის ფარგლებს;

გ) საქპატენტის მოთხოვნაზე პასუხის გაცემისთვის დადგენილი ვადის გაგრძელება;

დ) ვადის დარღვევის გამო განაცხადთან დაკავშირებული, დაკარგული უფლებების აღდგენა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ქმედებების განხორციელების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 47. მომსახურების საფასური

1. განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისთვის, საპატენტო ექსპერტიზისთვის, სასარგებლო მოდელზე ექსპერტიზისთვის, ხელახალი ექსპერტიზისთვის, სასარგებლო მოდელზე დაცვისუნარიანობის კრიტერიუმების შეფასებისთვის, განაცხადის გამოქვეყნებისთვის, პატენტის/სასარგებლო მოდელის მოწმობის რეგისტრაციისთვის, ყოველწლიურად პატენტის/სასარგებლო მოდელის მოწმობის ძალის შენარჩუნებისთვის, დაცვის დამატებითი მოწმობის გასაცემად საქმის წარმოებისთვის, დაცვის დამატებითი მოწმობის რეგისტრაციისთვის, გამოქვეყნებისთვის, ყოველწლიურად დაცვის დამატებითი მოწმობის ძალის შენარჩუნებისთვის, სააპელაციო საჩივრის განხილვისთვის, რეესტრის მონაცემებში ცვლილების შეტანისთვის და კანონით განსაზღვრული სხვა ქმედებების განხორციელებისთვის გადაიხდება შესაბამისი საფასური.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობა იწვევს განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტას.

3. საფასურის სახე და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. საფასურის გადახდის ფორმა და წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

5. ვალიდირებული ევროპული პატენტის ძალის შენარჩუნების საფასური გადაიხდება საქპატენტში ევროპული პატენტის გაცემის თაობაზე ინფორმაციის ევროპულ საპატენტო ბიულეტენში გამოქვეყნების წლის მომდევნო წლებისთვის.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1918 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 47[1]. პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლებების წარმოშობა

პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლებები წარმოიშობა პატენტის შესახებ მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

თავი VII
პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობის ფარგლები

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 48. განსაკუთრებული უფლებების ფარგლები

1. პატენტის მფლობელი პატენტს თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს. მას უფლება აქვს, გაყიდოს ან სხვაგვარად გაასხვისოს ან დააგირაოს პატენტი ან/და დადგენილი წესით გასცეს კერძო ლიცენზია პატენტის გამოყენებაზე.

2. პატენტი მის მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას, აუკრძალოს სხვა პირებს თავისი ნებართვის გარეშე:

ა) პატენტით დაცული პროდუქტის დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა;
ბ) პატენტით დაცული ხერხის გამოყენება ან გასაყიდად შეთავაზება;
გ) პატენტით დაცული ხერხით უშუალოდ მიღებული პროდუქტის გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა.

3. თუ პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლება ვრცელდება პატენტზე, რომლის საგანია ახალი პროდუქტის მიღების ხერხი, მაშინ საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე სხვა პირის მიერ დამზადებული ნებისმიერი მსგავსი პროდუქტი მიიჩნევა ამ ხერხით მიღებულად.

4. თუ პატენტის მფლობელი რამდენიმე პირია:

ა) პატენტზე უფლების გადაცემა, პატენტის გამოყენებაზე კერძო ლიცენზიის გაცემა და პატენტის დაგირავება ნებადართულია მხოლოდ ყველა მფლობელის თანხმობით;
ბ) თითოეულ მფლობელს აქვს უფლება, პატენტით დაცული ობიექტი სხვა მფლობელთა თანხმობის გარეშე გამოიყენოს საკუთარ წარმოებაში.

5. ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები განისაზღვრება ამ კანონის 52–ე და 52^1 მუხლებით.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1918 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 49. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 50. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 51. პირობითი უფლებები

განაცხადის გამოქვეყნების დღიდან პატენტის გაცემამდე განმცხადებელს პირობითად ენიჭება იგივე უფლებები, რაც მას მინიჭებული ექნებოდა პატენტით. თუ პატენტი არ იქნა გაცემული, მაშინ აღნიშნული უფლებები წარმოქმნილად არ მიიჩნევა.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 52. განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვა

განსაკუთრებული უფლებების დარღვევად არ მიიჩნევა:

ა) პატენტის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დამზადებული პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდეგ გავრცელება ან აღნიშნული პროდუქტის სხვაგვარად გამოყენება;

ბ) გამოგონების კერძო წესით გამოყენება პირადი სარგებლობისათვის, თუ აღნიშნული ქმედების მიზანი არ არის ეკონომიკური საქმიანობა;

გ) გამოგონების უცხო ქვეყნის საზღვაო ხომალდზე ან საჰაერო ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენება მისი საქართველოს ტერიტორიაზე დროებით ყოფნის დროს. ასეთ შემთხვევაში გამოგონება გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებაზე და არა მეწარმეობისათვის;

დ) გამოგონების ექსპერიმენტული ან კვლევითი მიზნებისათვის გამოყენება;

ე) პატენტით დაცული ფარმაცევტული პროდუქტის ბაზარზე დასაშვებად საჭირო კვლევების ჩატარება და სხვა პროცედურების განხორციელება, თუ აღნიშნული ფარმაცევტული პროდუქტი პატენტის ვადის გასვლამდე არ იქნა გამოყენებული კომერციული მიზნებისათვის.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1918 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 52[1]. სავალდებულო ლიცენზია

1. პატენტის მფლობელის ნებართვის გარეშე შესაძლებელია გაიცეს პატენტით დაცული გამოგონების ან/და სასარგებლო მოდელის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში გამოყენებისათვის სავალდებულო ლიცენზია (შემდგომ – სავალდებულო ლიცენზია).

2. სავალდებულო ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებული სავალდებულო ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღები მუდმივმოქმედი საბჭო (შემდგომ – მუდმივმოქმედი საბჭო). მისი შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. სავალდებულო ლიცენზიის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „პატენტით დაცული გამოგონების და სასარგებლო მოდელის გამოყენებისათვის სავალდებულო ლიცენზიების გაცემის წესის“ შესაბამისად.

4. სავალდებულო ლიცენზიის გაცემის თაობაზე განცხადებას დაინტერესებული პირი წარუდგენს მუდმივმოქმედ საბჭოს.

5. დაუშვებელია სავალდებულო ლიცენზიის ექსკლუზიურად მხოლოდ 1 პირზე გაცემა.

6. დაუშვებელია სავალდებულო ლიცენზიის სხვა პირისათვის გადაცემა.

7. სავალდებულო ლიცენზია შესაძლებელია გაიცეს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) აუცილებელია პატენტის გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიის, თავდაცვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დროს;

ბ) პატენტით დაცული გამოგონების ან/და სასარგებლო მოდელის გამოყენება შეუძლებელია სხვა, უფრო ადრინდელ პატენტზე პატენტის მფლობელის ან მისი უფლებამონაცვლის განსაკუთრებული უფლებების დაურღვევლად.

8. ამ მუხლის მე–7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სავალდებულო

ლიცენზიის გაცემა შეიძლება მოითხოვოს სახელმწიფო ორგანომ, თუ დაასაბუთებს შესაბამისი საფუძვლის არსებობას.

9. ამ მუხლის მე–7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სავალდებულო ლიცენზიის გაცემის თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს იმის დასაბუთებას, რომ გამოგონება ან სასარგებლო მოდელი არის მნიშვნელოვანი ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც არსებითად დამოკიდებულია ადრინდელი პატენტით დაცულ გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე და რომელსაც აქვს საზოგადოებისათვის არსებითი ეკონომიკური უპირატესობები ადრინდელი პატენტით დაცულ გამოგონებასთან ან სასარგებლო მოდელთან შედარებით.

10. ამ მუხლის მე–7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სავალდებულო ლიცენზიის მიმღები შესაბამისი გამოგონების ან სასარგებლო მოდელის პატენტით დაცვის შემთხვევაში ვალდებულია გასცეს კერძო ლიცენზია იმ პატენტის მფლობელზე, რომლის პატენტის გამოსაყენებლადაც გაიცა სავალდებულო ლიცენზია.

11. სავალდებულო ლიცენზიის გაცემა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო ლიცენზიის სავარაუდო მიმღები წარუმატებლად ეცადა, გონივრულ ვადაში, მისაღები კომერციული პირობებით მიეღო ლიცენზია პატენტის მფლობელისაგან ან მისი უფლებამონაცვლისაგან.

12. ამ მუხლის მე–11 პუნქტით განსაზღვრული პირობა შესაძლებელია არ იქნეს გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, რის შესახებაც პატენტის მფლობელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.

13. სავალდებულო ლიცენზიის ობიექტის გამოყენების ფარგლები, სავალდებულო ლიცენზიის მოქმედების ვადა, შესაბამისი კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება იმ მიზნის მიხედვით, რომლისთვისაც იქნა ნებადართული შესაბამისი გამოგონების ან/და სასარგებლო მოდელის გამოყენება. ასეთი გამოყენება ნებადართულია, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

14. სავალდებულო ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში პატენტის მფლობელს ეძლევა შესაბამისი კომპენსაცია მისაღები კომერციული პირობებით.

15. სავალდებულო ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება პერიოდულად გადაიხედება და უქმდება, თუ აღარ არსებობს სავალდებულო ლიცენზიის გაცემის აუცილებლობის გამომწვევი გარემოება.

16. სავალდებულო ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში საქპატენტს რეესტრში შეაქვს შესაბამისი ჩანაწერი და სათანადო მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში სავალდებულო ლიცენზიის გაცემიდან 1 თვის ვადაში.

17. სავალდებულო ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება და შესაბამისი კომპენსაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში.

18. სავალდებულო ლიცენზია არ არის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზია.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1918 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 53. წინათსარგებლობის უფლება

1. წინათსარგებლობის უფლება გულისხმობს პირის უფლებას, გამოიყენოს გამოგონება პატენტის მოქმედების მიუხედავად, თუ იგი კეთილსინდისიერად სარგებლობდა ამ

გამოგონებით ან ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები მისი გამოყენებისათვის საქპატენტში განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე.

2. წინათსარგებლობის უფლება მესამე პირს აძლევს გამოგონების მხოლოდ იმ მიზნითა და მოცულობით გამოყენების უფლებას, რა მიზნით და მოცულობითაც უკვე გამოიყენა იგი ან ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები, განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე.

3. დაუშვებელია წინათსარგებლობის უფლებაზე კერძო ლიცენზიის გაცემა.

4. წინათსარგებლობის უფლების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ ისეთ საწარმოსთან ერთად, სადაც განხორციელდა ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებები.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2010 წლის 2 ივლისის კანონი №3278 – სსმ I, №37, 14.07.2010 წ., მუხ.219

მუხლი 54. პატენტის გაუქმება

1. პატენტს აუქმებს საქპატენტი:
ა) პატენტის მფლობელის განცხადების საფუძველზე;
ბ) პატენტის მფლობელის მიერ პატენტის ძალის შენარჩუნების წლიური საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში;
გ) (ამოღებულია 16.05.2023, №2883).

2. დასაშვებია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გაუქმებული პატენტის მოქმედების აღდგენა, თუ პატენტის მფლობელი პატენტის ძალის შენარჩუნების წლიური საფასურის ვადის გასვლიდან 6 თვეში გადაიხდის მომდევნო წლით პატენტის ძალის შენარჩუნების საფასურს. აღნიშნული ვადის გასვლიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში დასაშვებია შეწყვეტილი პატენტის მოქმედების აღდგენა, თუ პატენტის მფლობელი გადაიხდის პატენტის მოქმედების აღდგენისა და ძალის შენარჩუნების საფასურს.

3. თუ ამ მუხლის მე–2 პუნქტში მითითებული ვადის გასვლის დღისათვის გადახდილი არ არის მომდევნო წლით პატენტის ძალის შენარჩუნების საფასური, პატენტი გაუქმებულად მიიჩნევა პატენტის მოქმედების ვადის გასვლის დღიდან.

4. ინფორმაცია პატენტის გაუქმებისა და მისი მოქმედების აღდგენის შესახებ შეიტანება რეესტრში.

5. პატენტის მოქმედება აღდგენილად მიიჩნევა აღდგენის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 55. შემდგომ სარგებლობის უფლება

ნებისმიერ პირს, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე პატენტის მოქმედების შეწყვეტის დღიდან მის აღდგენამდე კეთილსინდისიერად გამოიყენა ან ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები იმ გამოგონების გამოყენებისათვის, რომელიც პატენტის საგანია, უფლება აქვს, განაგრძოს მისი გამოყენება მეწარმეობისათვის. ამ უფლების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ საწარმოსთან ერთად (შემდგომსარგებლობის უფლება).

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 56. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 57. პატენტის ბათილად ცნობა

1. სასამართლო საქპატენტის მიერ გაცემულ პატენტს ან ვალიდირებულ ევროპულ პატენტს სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობს, თუ დადგინდა, რომ:

ა) პატენტის საგანი პატენტუნარიანი არ არის;

ბ) პატენტი გამოგონებას არ აღწერს ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება;

გ) პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტს, რომელიც, ამ კანონის მე–16 მუხლის შესაბამისად, გამოგონებად არ მიიჩნევა;

დ) პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტს, რომელზედაც, ამ კანონის მე–17 მუხლის შესაბამისად, პატენტი არ გაიცემა;

ე) პატენტის საგანი სცდება შეტანილი განაცხადის შინაარსის ფარგლებს, ან პატენტი გაცემულია გამოყოფილი განაცხადის საფუძველზე და მისი საგანი სცდება შეტანილი პირველი განაცხადის შინაარსის ფარგლებს;

ვ) პატენტის მფლობელს არ ჰქონდა პატენტის მიღების უფლება ამ კანონის მე–19 მუხლის შესაბამისად;

ზ) პატენტით განსაზღვრული დაცვის ფარგლები გაფართოვდა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პატენტის მიღების უფლებამოსილების მქონე პირმა შეიძლება პატენტის ბათილად ცნობის ნაცვლად პატენტის მისთვის გადაცემა მოითხოვოს.

2^1. საქპატენტი პატენტს სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობს:

ა) პატენტის მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე;

ბ) ამ კანონის 42^1 მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე;

გ) ამ კანონის 68^5 მუხლის მე–11 პუნქტის საფუძველზე, თუ დადგინდა, რომ სასარგებლო მოდელი არ აკმაყოფილებს ამ კანონის 71^1 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სასარგებლო მოდელის დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს.

3. პატენტის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ ინფორმაცია შეიტანება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 58. პატენტის ბათილად ცნობის შედეგი

პატენტის ბათილად ცნობის შედეგად პატენტით მინიჭებული უფლებები წარმოშობილად არ მიიჩნევა.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

თავი VIII

პატენტზე უფლებების გადაცემა და კერძო ლიცენზია პატენტის გამოყენებაზე

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 59. კერძო ლიცენზია პატენტის გამოყენებაზე

1. პატენტის მფლობელს უფლება აქვს, გასცეს კერძო ლიცენზია პატენტის გამოყენებაზე.

2. კერძო ლიცენზია არ არის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზია.

3. კერძო ლიცენზიის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს წერილობით. ლიცენზიაში უნდა განისაზღვროს პატენტით დაცული ობიექტის გამოყენების ფარგლები.

4. კერძო ლიცენზია შეიძლება იყოს ექსკლუზიური ან არაექსკლუზიური. თუ კერძო ლიცენზიის ხელ შეკრულებით განსაზღვრული არ არის ლიცენზიის სახე, მიიჩნევა, რომ კერძო ლიცენზია არაექსკლუზიურია.

5. არაექსკლუზიური კერძო ლიცენზიის გაცემა ლიცენზიის გამცემს არ უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას.

6. ექსკლუზიური კერძო ლიცენზია ლიცენზიის გამცემს უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას.

7. კერძო ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი პატენტიდან გამომდინარე უფლებათა დარღვევის შესახებ, თუ პატენტის მფლობელი უფლებათა დარღვევის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში თვითონ არ შეიტანს სარჩელს.

8. კერძო ლიცენზიის ხელშეკრულება და მასში შეტანილი ცვლილებები შეიძლება დარეგისტრირდეს რეესტრში.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 60. ღია ლიცენზირება

1. პატენტის მფლობელს შეუძლია გამოაცხადოს ღია ლიცენზირების რეჟიმი, თუ პატენტზე არ არის გაცემული ექსკლუზიური კერძო ლიცენზია.

2. ღია ლიცენზია შეიძლება იყოს მხოლოდ არაექსკლუზიური.

3. ღია ლიცენზირების რეჟიმი უფლებას აძლევს ნებისმიერ პირს, გამოიყენოს პატენტი ღია ლიცენზირების რეჟიმით დადგენილი პირობებით.

4. ღია ლიცენზირების რეჟიმის გამოცხადებისას კერძო ლიცენზიის ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის დადგენილი საფასური ორჯერ მცირდება.

5. ღია ლიცენზირების რეჟიმის გამოცხადების შესახებ უნდა ეცნობოს საქპატენტს, რომელიც შესაბამის ჩანაწერს აკეთებს რეესტრში და მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში.

6. პატენტის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს საქპატენტს ღია ლიცენზირების რეჟიმის გაუქმების თაობაზე. ღია ლიცენზირების რეჟიმის გაუქმება გავლენას არ ახდენს გაცემულ ღია ლიცენზიებზე.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 60[1]. პატენტზე უფლებების გადაცემა

1. განსაკუთრებული უფლებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით.

2. განსაკუთრებული უფლებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, ასევე მასში შეტანილი ცვლილებები დადგენილი წესით რეგისტრირდება რეესტრში და მონაცემები ქვეყნდება ბიულეტენში.

3. პატენტის ახალ მფლობელს არ შეუძლია პატენტიდან გამომდინარე უფლებები მესამე პირის წინააღმდეგ გამოიყენოს სათანადო ცვლილებების რეესტრში რეგისტრაციამდე.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 61. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 11 მაისის კანონი №295 – სსმ I, №17, 12.05.2000 წ., მუხ.41
საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 62. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

თავი VIII[1]

პატენტის გირავნობა

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 62[1]. პატენტის გირავნობა

პატენტის გირავნობის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნის მესამე კარის მეექვსე თავით გირავნობისათვის დადგენილი ნორმები, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 62[2]. პატენტის გირავნობის ხელშეკრულების დადების ფორმა და წესი

1. პატენტის გირავნობის ხელშეკრულება იდება წერილობით. წერილობითი ფორმის დაუცველობა იწვევს გირავნობის ხელშეკრულების ბათილობას.

2. დაუშვებელია პატენტის დაგირავება ერთდროულად რამდენიმე პირის სასარგებლოდ.

3. პატენტის გირავნობის ხელშეკრულება რეგისტრირდება საქპატენტში და მონაცემები ქვეყნდება ბიულეტენში.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 62[3]. კერძო ლიცენზია დაგირავებულ პატენტზე

1. პატენტის გირავნობის ხელშეკრულების დადებამდე პატენტის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი წესით გაცემული ლიცენზიები ძალაში რჩება.

2. დაგირავებულ პატენტზე ლიცენზიის გაცემა დასაშვებია მხოლოდ მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 62⁴. დაგირავებული პატენტის გასხვისება

1. მოგირავნეს უფლება აქვს, თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გაასხვისოს დაგირავებული პატენტი მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ამის თაობაზე შეატყობინებს პატენტის მფლობელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით.

2. დაგირავებული პატენტის გასხვისება ხდება აუქციონის გზით.

3. აუქციონის ჩატარებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე–309-ე მუხლებით დადგენილი წესები.

4. დაგირავებულ პატენტზე განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელს აქვს დაგირავებული პატენტის აუქციონის ჩატარებამდე გამოსყიდვის უპირატესი უფლება.

5. მოგირავნის მიერ პატენტის გასხვისებისას პატენტის გირავნობის ხელშეკრულების დადებამდე პატენტის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი წესით გაცემული ლიცენზიები ძალაში რჩება.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 62⁵. დაგირავებული პატენტის ღია ლიცენზირების რეჟიმი

1. მოგირავნის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დაგირავებული პატენტის აუქციონზე იძულებითი გასხვისების ნაცვლად დაადგინოს დაგირავებული პატენტის ღია ლიცენზირების რეჟიმი.

2. დაგირავებული პატენტის ღია ლიცენზირების რეჟიმი უქმდება, როცა კრედიტორი დაკმაყოფილებულია, ან აშკარაა, რომ ამ რეჟიმით კრედიტორის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდება.

3. დაგირავებული პატენტის ღია ლიცენზირების რეჟიმის განმავლობაში გაცემული ლიცენზიები ძალაში რჩება ამ რეჟიმის გაუქმების შემდეგაც.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

თავი IX
(ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 63. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 64. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

თავი X
(ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 65. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 66. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 67. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

თავი XI
საპატენტო დავა

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 68. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 68[1]. სასამართლოსადმი მიმართვა

1. პატენტიდან გამომდინარე უფლებათა დარღვევად მიიჩნევა ამ კანონით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევა, რომელიც იწვევს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

2. პატენტიდან გამომდინარე უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებულ საპატენტო დავაში საქპატენტი, როგორც მხარე, არ მონაწილეობს.

3. განსაკუთრებული უფლებების დარღვევისას შესაძლებელია დადგეს დამრღვევის სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 68[2]. ხანდაზმულობა

თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი პატენტიდან გამომდინარე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით შეიძლება წარდგენილ იქნეს არა უმეტეს 3 წლის ვადაში იმ მომენტიდან, როდესაც პატენტის მფლობელისათვის ცნობილი გახდა უფლებების დარღვევის შესახებ.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 68[3]. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183 საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1918 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 68⁴. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183 საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1918 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 68⁵. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დაცვა

1. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევისას პატენტის მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს:

ა) ამ კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვების გამოყენება;

ბ) პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით დამზადებული პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღება ან სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ან დასაწყობებული (შესანახად განთავსებული), პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით დამზადებული პროდუქტის ამოღება;

გ) პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით დამზადებული პროდუქტის განადგურება;

დ) პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით დამზადებული პროდუქტის დასამზადებლად განკუთვნილი დანადგარის, ტექნიკური აღჭურვილობისა და იარაღის განადგურება.

2. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ დაირღვა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები, პატენტის მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება განხორციელდეს აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელმაც იცოდა ან რომელსაც უნდა სცოდნოდა, რომ მისი მომსახურება გამოიყენება ან გამოიყენებოდა განსაკუთრებული უფლების კომერციული მასშტაბით დარღვევისათვის.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების მოთხოვნა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც პროდუქტი უშუალოდ პატენტით დაცული ხერხით არის დამზადებული.

4. ამოღებას არ ექვემდებარება მესამე პირის მიერ კეთილსინდისიერად შეძენილი, პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით დამზადებული პროდუქტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შემოსავლის მისაღებად იქნა შეძენილი.

5. განსაკუთრებულ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დამრღვევის მოთხოვნის საფუძველზე, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების ნაცვლად, მას დააკისროს ფულადი კომპენსაციის გადახდა, თუ იგი გაუფრთხილებლობით მოქმედებდა ან თუ მას შესაბამისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით არაპროპორციულად დიდი ზიანი მიადგება, ამასთანავე, თუ პატენტის მფლობელისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ფულადი კომპენსაციის ოდენობა მისაღებია.

6. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევისას პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების მფლობელი უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედების გარდა, მოითხოვოს ერთერთი შემდეგი ქმედების განხორციელება:

ა) მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით), თუ განსაკუთრებული

უფლებების დამრღვევმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევის შესახებ;

ბ) განსაკუთრებული უფლებების დამრღვევისთვის განსაკუთრებული უფლებების დარღვევით მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა განსაკუთრებული უფლებების მფლობელის სასარგებლოდ;

გ) ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა.

7. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევის არსი, განსაკუთრებული უფლებების დარღვევით მიღებული შემოსავალი, განსაკუთრებული უფლებების მფლობელისთვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელსაც მიიღებდა განსაკუთრებული უფლებების მფლობელი პატენტის მართლზომიერად გამოყენებით.

8. ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია განისაზღვრება არანაკლებ იმ ოდენობით, რომელსაც პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დამრღვევი პატენტის გამოყენებისათვის ლიცენზიის მიღებისას გადაიხდიდა.

9. ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით დამზადებული პროდუქტის რაოდენობა, პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დამრღვევის განზრახვა, იმ მომსახურების მასშტაბი, ხასიათი და სხვა მახასიათებელი, რომლის შეთავაზებაც ხდება პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით, ან/და ნებისმიერი სხვა გარემოება, რომელიც კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული.

10. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების მფლობელი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, მოითხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რამდენიმე ქმედების ერთდროულად განხორციელება.

11. სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევისას სასარგებლო მოდელის მფლობელი ვალდებულია სასამართლოში ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების მოთხოვნით სარჩელთან ერთად წარადგინოს ამ კანონის 71^1 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასარგებლო მოდელის დაცვისუნარიანობის კრიტერიუმების (მათ შორის, საგამომგონებლო დონის) შეფასების შესახებ დადებითი დასკვნა, რომელიც გაცემულია საქპატენტის მიერ ინსტრუქციით დადგენილი წესით.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1918 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 69. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 70. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 71. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

თავი XI[1]
სასარგებლო მოდელი

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 71[1]. სასარგებლო მოდელის დაცვისუნარიანობის კრიტერიუმები

1. სასარგებლო მოდელი, რომელსაც აქვს გამოგონებაზე ნაკლები საგამომგონებლო დონე და თავისი არსით არის მცირე გამოგონება, დაცვისუნარიანია, თუ ის აკმაყოფილებს სასარგებლო მოდელის დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს – სიახლეს, საგამომგონებლო დონესა და სამრეწველო გამოყენებადობას.

2. სასარგებლო მოდელს აქვს სიახლე, თუ ის არ მიეკუთვნება ტექნიკის დონეს.

3. სასარგებლო მოდელს აქვს საგამომგონებლო დონე, თუ ის ტექნიკის შესაბამის დარგში გათვითცნობიერებული პირისთვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან.

4. სასარგებლო მოდელს აქვს სამრეწველო გამოყენებადობა, თუ შესაძლებელია მისი მრეწველობაში ან სოფლის მეურნეობაში დამზადება ან გამოყენება.

4[1]. სასარგებლო მოდელის განაცხადზე არსობრივი ექსპერტიზის ჩატარებისას საქპატენტი ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი ამ კანონის 35–ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, გარდა საგამომგონებლო დონის შეფასებისა.

5. სასარგებლო მოდელის მოწმობის მოქმედების ვადაა 10 წელი განაცხადის შეტანის თარიღიდან.

6. თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სასარგებლო მოდელისათვის გამოიყენება ამ კანონით გამოგონების შექმნის, ექსპერტიზის, გამოყენებისა და სამართლებრივი დაცვისათვის დადგენილი ნორმები.

6[1]. ამ კანონით გამოგონების შექმნისთვის, ექსპერტიზისთვის, გამოყენებისა და სამართლებრივი დაცვისთვის დადგენილ სათანადო ნორმებში სასარგებლო მოდელთან მიმართებით გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი ტერმინი – „სასარგებლო მოდელი“, „სასარგებლო მოდელის მოწმობა“.

7. (ამოღებულია 16.05.2023, №2883).

8. (ამოღებულია 16.05.2023, №2883).

9. სასარგებლო მოდელის განაცხადზე ექსპერტიზის ჩატარების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2010 წლის 2 ივლისის კანონი №3278 – სსმ I, №37, 14.07.2010 წ., მუხ.219
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 71[2]. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

თავი XII
საერთაშორისო განაცხადი

მუხლი 72. საერთაშორისო განაცხადი

1. ამ თავის წესები გამოიყენება იმ საერთაშორისო განაცხადის მიმართ, რომელიც საქპატენტში წარდგენილია საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების შესაბამისად.

2. საერთაშორისო განაცხადზე საქპატენტი საქმეს აწარმოებს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

მუხლი 73. საერთაშორისო განაცხადის სტატუსი

1. საერთაშორისო განაცხადი, რომელშიც გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ეროვნული პატენტის მისაღებად აღნიშნულია საქართველო, ტოლფასია საქპატენტში შეტანილი განაცხადისა და საერთაშორისო განაცხადის შეტანის დღიდან განიხილება, როგორც ეროვნული განაცხადი.

2. განმცხადებელს ენიჭება ამ კანონის 51-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები, თუ საერთაშორისო განაცხადი ამ კანონის 75^1 მუხლის შესაბამისად საქპატენტის მიერ ქართულ ენაზეა გამოქვეყნებული.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2024 წლის 15 მაისის კანონი №4167 – ვებგვერდი, 29.05.2024წ.

მუხლი 74. საქპატენტი, როგორც საერთაშორისო განაცხადის მიმღები უწყება

1. საქართველოს მოქალაქეთათვის ან საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე პირთათვის საქპატენტი მოქმედებს როგორც საერთაშორისო განაცხადების „მიმღები უწყება“.

2. საქპატენტში, როგორც საერთაშორისო განაცხადების „მიმღებ უწყებაში“, საერთაშორისო განაცხადის წარდგენა ხდება ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე. ამასთანავე, უფლებამოსილ საერთაშორისო ორგანიზაციებში ან უწყებებში გადაგზავნის საფასური გადახდილი უნდა იქნეს საქპატენტში საერთაშორისო განაცხადის წარდგენიდან 1 თვის ვადაში.

3. საერთაშორისო განაცხადის ქართულ ენაზე წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელი ვალდებულია განაცხადის წარდგენიდან 1 თვის ვადაში წარმოადგინოს მისი თარგმანი ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 75. საქპატენტი, როგორც საერთაშორისო განაცხადის მიმართ „აღნიშნული უწყება“ ან „არჩეული უწყება“

1. საქპატენტი მოქმედებს, როგორც „აღნიშნული უწყება“, იმ საერთაშორისო განაცხადის მიმართ, რომელშიც გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ეროვნული პატენტის მისაღებად აღნიშნულია საქართველო.

2. იმ საერთაშორისო განაცხადის მიმართ, რომელშიც გამოგონების ან სასარგებლო მოდელის

ეროვნული პატენტის მისაღებად აღნიშნულია საქართველო, საქპატენტი მოქმედებს როგორც „არჩეული უწყება“, თუ გამომგონებელი საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების მეორე თავის პირობების თანახმად ირჩევს საქართველოს.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 75[1]. საერთაშორისო განაცხადის გამოქვეყნება

საქპატენტი, როგორც საერთაშორისო განაცხადის მიმართ „აღნიშნული უწყება“ ან „არჩეული უწყება“, საერთაშორისო განაცხადს აქვეყნებს მისი ქართული თარგმანის წარდგენისთანავე.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

თავი XII[1]
ევროპული პატენტის ვალიდაცია

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 75[2]. ევროპული საპატენტო განაცხადი და ვალიდირებული ევროპული პატენტი

1. ევროპულ საპატენტო განაცხადსა და ვალიდირებულ ევროპულ პატენტს ამ მუხლისა და ამ კანონის 75[3] და 75[4] მუხლების შესაბამისად აქვს იგივე იურიდიული ძალა და მათზე ვრცელდება იგივე სამართლებრივი პირობები, რომელიც/რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული საპატენტო განაცხადისა და ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გაცემული ეროვნული პატენტისთვის.

2. ევროპული საპატენტო განაცხადი, რომელსაც მინიჭებული აქვს შეტანის თარიღი, უთანაბრდება ეროვნულ საპატენტო განაცხადს შესაბამის შემთხვევაში ევროპული საპატენტო განაცხადისთვის მოთხოვნილი პრიორიტეტით, ევროპული საპატენტო განაცხადის ექსპერტიზის შედეგის მიუხედავად.

3. საქპატენტის მიერ ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის ქართული თარგმანის გამოქვეყნების თარიღიდან გამოქვეყნებული ევროპული საპატენტო განაცხადით წარმოიშობა იგივე პირობითი უფლებები, რომლებიც წარმოიშობა გამოქვეყნებული ეროვნული საპატენტო განაცხადით. ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის ქართული თარგმანის გამოქვეყნებისთვის ევროპული პატენტის მიღების მსურველმა განმცხადებელმა საქპატენტში უნდა წარადგინოს ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის ქართული თარგმანი, რომლის სისწორისთვის პასუხს აგებს პატენტრწმუნებული, და უნდა გადაიხადოს გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასური.

4. ევროპის საპატენტო ოფისის (EPO) მიერ ვალიდირებული ევროპული პატენტის გაცემის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების თარიღიდან ვალიდირებული ევროპული პატენტით წარმოიშობა იგივე განსაკუთრებული უფლებები, რომლებიც წარმოიშობა ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გაცემული ეროვნული პატენტით.

5. ევროპული საპატენტო განაცხადი, რომლისთვისაც გადახდილია ვალიდაციის საფასური, და ვალიდირებული ევროპული პატენტი ეროვნული საპატენტო განაცხადისა და ეროვნული პატენტის მიმართ მიეკუთვნება იმავე ტექნიკის დონეს, რომელსაც მიეკუთვნება ეროვნული საპატენტო განაცხადი და ეროვნული პატენტი.

6. ეროვნული საპატენტო განაცხადი და ეროვნული პატენტი ვალიდირებული ევროპული პატენტის მიმართ მიეკუთვნება იმავე ტექნიკის დონეს, რომელსაც მიეკუთვნება ეროვნული პატენტის მიმართ.

7. თუ ვალიდაციის მოთხოვნა გამოხმობილია ან გამოხმობილად ითვლება, მიჩნეული უნდა იქნეს, რომ ევროპულ საპატენტო განაცხადზე ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებები თავიდანვე (Ab Initio) არ წარმოშობილა.

8. თუ ევროპული პატენტი ევროპის საპატენტო ოფისმა (EPO) ბათილად ცნო მესამე პირის მიერ გასაჩივრების ან ცენტრალიზებულად გაუქმებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების საფუძველზე, ან თუ დაცვის ფარგლები შევიწროვდა ევროპის საპატენტო ოფისის (EPO) დაცვის ფარგლების შევიწროებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების საფუძველზე, მიჩნეული უნდა იქნეს, რომ ვალიდირებულ ევროპულ პატენტსა და ევროპულ საპატენტო განაცხადზე, რომელსაც ეფუძნება აღნიშნული ვალიდირებული ევროპული პატენტი, ამ მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებები თავიდანვე (Ab Initio) არ წარმოშობილა.

9. თუ ერთი და იმავე განმცხადებლის ვალიდირებულ ევროპულ პატენტსა და ეროვნულ პატენტს აქვს ერთი და იგივე შეტანის თარიღი, ან თუ მოთხოვნილია პრიორიტეტი და ერთი და იმავე პრიორიტეტის თარიღით სარგებლობის უფლება მინიჭებული აქვს ერთსა და იმავე პირს ან მის უფლებამონაცვლეს, ეროვნულ პატენტს ძალა არა აქვს, თუ ის ეხება იმავე გამოგონებას, რომელსაც ეხება ვალიდირებული ევროპული პატენტი, იმ თარიღიდან, როდესაც გავიდა ევროპული პატენტის გასაჩივრების პერიოდი ისე, რომ არ იქნა წარდგენილი მესამე პირის საჩივარი, ან იმ თარიღიდან, როდესაც მის გასაჩივრებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების შედეგად მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება ევროპული პატენტის ძალის შენარჩუნების შესახებ.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 75³. ევროპული პატენტის ვალიდაციის პროცედურა

1. ევროპული საპატენტო განაცხადი და ამ განაცხადზე გაცემული ევროპული პატენტი შეიძლება განმცხადებლის მოთხოვნით საქართველოში იქნეს ვალიდირებული. ვალიდაციის მოთხოვნა მიჩნეული უნდა იქნეს წარდგენილად განმცხადებლის მიერ ნებისმიერი ევროპული საპატენტო განაცხადისთვის, რომელიც შეტანილია იმ თარიღით ან იმ თარიღის შემდეგ, როდესაც ძალაში შევა ვალიდაციის შეთანხმება.

2. საქპატენტმა უნდა გამოაქვეყნოს ვალიდაციის ყველა მოთხოვნა იმ დღიდან შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, როდესაც ევროპის საპატენტო ოფისი (EPO) შეატყობინებს მას, რომ გადახდილია ვალიდაციის შესაბამისი საფასური, მაგრამ არა ევროპული საპატენტო განაცხადის შეტანის თარიღიდან 18 თვის გასვლამდე, ხოლო თუ მოთხოვნილია პრიორიტეტი – ყველაზე ადრინდელი პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის გასვლამდე.

3. ვალიდაციის მოთხოვნის გამოხმობა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. ვალიდაციის მოთხოვნა გამოხმობილად უნდა იქნეს მიჩნეული, თუ ვალიდაციის შესაბამისი საფასური დროულად არ იქნა გადახდილი ან თუ ევროპულ საპატენტო განაცხადზე მიღებულ იქნა საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება ან ევროპული საპატენტო განაცხადი გამოხმობილ იქნა ან გამოხმობილად იქნა მიჩნეული. საქპატენტმა ვალიდაციის მოთხოვნის გამოხმობის თაობაზე ინფორმაცია უმოკლეს ვადაში უნდა გამოაქვეყნოს, თუ მან უკვე გამოაქვეყნა ვალიდაციის მოთხოვნა ამ მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად.

4. ვალიდაციის საფასური გადახდილი უნდა იქნეს ევროპის საპატენტო ოფისისთვის (EPO) იმ თარიღიდან 6 თვის განმავლობაში, როდესაც ევროპულ საპატენტო ბიულეტენში გამოქვეყნდება ინფორმაცია ევროპული ძიების ანგარიშის გამოქვეყნების თაობაზე, ან შესაბამის შემთხვევაში იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც გათვალისწინებულია იმ საერთაშორისო განაცხადის ევროპულ ფაზაში შესასვლელად მოთხოვნილი ქმედებების განხორციელებისთვის, რომლისთვისაც ევროპის საპატენტო ოფისი (EPO) არის „აღნიშნული უწყება“ ან „არჩეული უწყება“, რომელსაც მინიჭებული აქვს შეტანის საერთაშორისო თარიღი და რომელშიც მითითებულია საქართველო. ვალიდაციის საფასურის გადახდაზე ვრცელდება ევროპის საპატენტო ოფისის (EPO) საფასურებთან დაკავშირებული წესები. ამ კანონით დადგენილი წესით გადახდილი ვალიდაციის საფასური არ ბრუნდება.

5. ვალიდაციის საფასური შეიძლება გადახდილ იქნეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი პერიოდის ამოწურვის შემდეგ, დამატებითი, 2-თვიანი პერიოდის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ამ დამატებითი პერიოდის განმავლობაში ვალიდაციის საფასურზე გადაიხდება 50-პროცენტიანი დანამატი.

6. ევროპის საპატენტო ოფისის (EPO) მიერ ევროპული პატენტის გაცემის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების თარიღიდან 3 თვის განმავლობაში პატენტის მფლობელმა საქპატენტში უნდა წარადგინოს ევროპული პატენტის აღწერილობის (გამოგონების აღწერილობა, გამოგონების ფორმულა, ნახაზები, რეფერატი) ქართული თარგმანი, რომლის სისწორისთვის პასუხს აგებს პატენტრწმუნებული, და უნდა გადაიხადოს საქართველოში გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასური.

7. თუ ევროპის საპატენტო ოფისისთვის (EPO) მესამე პირის საჩივრის წარდგენის ან ევროპული პატენტის შეზღუდვის მოთხოვნის შედეგად ევროპული პატენტი ძალაში დარჩება შეცვლილი სახით, იმ თარიღიდან 3 თვის განმავლობაში, როდესაც გამოქვეყნდა ინფორმაცია ევროპული პატენტის შეცვლილი სახით ძალაში დატოვების შესახებ ან მისი შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების შესახებ, პატენტის მფლობელმა საქპატენტში უნდა წარადგინოს შეცვლილი ან შეზღუდული ევროპული პატენტის აღწერილობის (გამოგონების აღწერილობა, გამოგონების ფორმულა, ნახაზები, რეფერატი) ქართული თარგმანი, რომლის სისწორისთვის პასუხს აგებს პატენტრწმუნებული, და უნდა გადაიხადოს გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასური.

8. თუ გამოგონების ფორმულის ტექსტი შეიცავს მითითებას ნახაზების პოზიციებზე, ასეთი ნახაზები უნდა დაერთოს ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ თარგმანს.

9. საქპატენტი ინსტრუქციით დადგენილი წესით ამოწმებს ვალიდირებული ევროპული პატენტის გამოგონების ფორმულის ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული თარგმანის ავთენტურ ტექსტთან შესაბამისობას და არსებითი ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში მოსთხოვს პატენტის მფლობელს შესწორებული თარგმანის პატენტრწმუნებულის მეშვეობით წარდგენას.

10. თუ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები შესრულებულია, საქპატენტმა უმოკლეს ვადაში უნდა გამოაქვეყნოს ამ მუხლის მე-6 ან მე-7 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით წარდგენილი თარგმანი.

11. თუ შესაბამის ვადაში არ არის წარდგენილი ამ მუხლის მე-6, მე-7 ან მე-9 პუნქტით გათვალისწინებული თარგმანი ან არ არის გადახდილი გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასური, ევროპული პატენტი თავიდანვე (Ab Initio) ბათილად იქნება მიჩნეული. აღნიშნული

თარგმანი შეიძლება წარდგენილ იქნეს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით, ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი პერიოდის ამოწურვის შემდეგ, დამატებითი 3თვიანი პერიოდის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ამ დამატებითი პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნებისთვის დადგენილ საფასურზე გადაიხდება 100 პროცენტიანი დანამატი.

12. ვალიდირებული ევროპული პატენტის ძალის შენარჩუნებისთვის წლიური საფასური გადახდილი უნდა იქნეს ამ კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად.

13. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

14. ევროპულ საპატენტო განაცხადზე არ ვრცელდება ამ კანონით დადგენილი პატენტის გაცემის პროცედურა.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 75⁴. ევროპული საპატენტო განაცხადის ან ევროპული პატენტის ავთენტური ტექსტი

1. საქპატენტის მიერ გამოქვეყნებულ ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის ან ვალიდირებული ევროპული პატენტის აღწერილობის ქართულ თარგმანს საქართველოს ტერიტორიაზე მესამე პირისთვის სავალდებულო იურიდიული ძალა აქვს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის მიუხედავად, პატენტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული სამართალწარმოების პროცესში ევროპული პატენტის ავთენტური ტექსტის ქართულ თარგმანში უზუსტობის გამოვლენის შემთხვევაში იურიდიული ძალის მქონედ მიჩნეული იქნება მხოლოდ ევროპული პატენტის ავთენტური ტექსტის შესაბამისი ქართული თარგმანი.

3. ევროპული პატენტის მიღების მსურველ განმცხადებელს ან ვალიდირებული ევროპული პატენტის მფლობელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს წარადგინოს შესწორებული თარგმანი პატენტრწმუნებულის მეშვეობით. გამოქვეყნებული ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის შესწორებულ თარგმანს, ვალიდირებული ევროპული პატენტის აღწერილობის შესწორებულ თარგმანს იურიდიული ძალა არა აქვს, ვიდრე მას არ გამოაქვეყნებს საქპატენტი ინსტრუქციით დადგენილი წესით და არ იქნება გადახდილი გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასური.

4. ნებისმიერ პირს, რომელიც კეთილსინდისიერად იყენებს გამოგონებას ან რომელმაც განახორციელა ქმედითი და მნიშვნელოვანი მოსამზადებელი საქმიანობა გამოგონების გამოყენებისთვის, რომლის გამოყენებაც თარგმანის პირვანდელ ვარიანტში განაცხადზე ან პატენტზე უფლების დარღვევად არ იყო მიჩნეული, შესწორებული თარგმანის ძალაში შესვლის შემდეგ შეუძლია საფასურის გადახდის გარეშე გააგრძელოს გამოგონების თავის საქმიანობაში ან მისი საჭიროებებისთვის გამოყენება.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2883 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

თავი XIII
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 76. ამ კანონის ნორმათა გავრცელება ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზე

1. განაცხადზე, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედების დღისათვის მიმდინარეობს საპატენტო ექსპერტიზა, საქმის წარმოება, პატენტის გაცემის ჩათვლით, გაგრძელდეს „გამოგონების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილებისა და „სამრეწველო ნიმუშების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ 1992 წლის 15 მარტის №303 დადგენილების შესაბამისად.

2. განაცხადზე, რომელიც საქპატენტში წარდგენილია ყოფილი სსრ კავშირის მიერ გაცემული გამოგონების საავტორო მოწმობის საფუძველზე, დასაშვებია საქართველოს პატენტის გაცემა, თუ საქპატენტში მისი წარდგენის თარიღისათვის გასული არ არის 20 წელი გამოგონებაზე განაცხადის სსრ კავშირის უწყებაში წარდგენის თარიღიდან.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

თავი XIV
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 77. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 3 თვის გასვლისთანავე.

2. ამ კანონის ამოქმედებასთან ერთად, გარდამავალი დებულებების გათვალისწინებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს „გამოგონების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ და „სამრეწველო ნიმუშების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 და 1992 წლის 15 მარტის №303 დადგენილებები.

2^1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 მაისის №223 ბრძანებულება „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ დებულების თაობაზე.

3. (ამოღებულია).

4. საქართველოს პრეზიდენტმა უზრუნველყოს „საიდუმლო გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის დაცვისა და გამოყენების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 16 ოქტომბრის №451 ბრძანებულების ამ კანონთან შესაბამისობა.

5. საქპატენტმა შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს:
ა) (ამოღებულია);
ბ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურები.

6. საქპატენტმა გამოსცეს დებულება პატენტრწმუნებულის შესახებ.

7. საქპატენტის თავმჯდომარემ გამოსცეს ინსტრუქცია „გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ.

საქართველოს 2000 წლის 11 მაისის კანონი №295 – სსმ I, №17, 12.05.2000 წ., მუხ.41
საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183
საქართველოს 2010 წლის 2 6 ოქტომბრის კანონი №3741 – სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ.381

მუხლი 78. ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული პატენტების სტატუსი

ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული პატენტები უთანაბრდება ამ კანონის მიხედვით გაცემულ პატენტებს.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3031 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.183

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე

თბილისი, 1999 წლის 5 თებერვალი
№1791-IIს

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის
2024 წლის 12 იანვრის, ბრძანება №1

ინსტრუქცია
გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ

კარი I
გამოგონება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ინსტრუქციის რეგულირების სფერო

წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია „საქართველოს საპატენტო კანონის“ შესაბამისად და განსაზღვრავს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის/სასარგებლო მოდელის მოწმობის გაცემასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კანონი – „საქართველოს საპატენტო კანონი“;

ბ) ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ (შემდგომში – საქპატენტი) „საქართველოს საპატენტო კანონით“ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

გ) საერთაშორისო კოდი – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) სტანდარტით ST.9 დადგენილი, საერთაშორისო შეთანხმებით მიღებული ორნიშნა რიცხვითი კოდი პატენტთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიული მონაცემების იდენტიფიკაციისათვის;

დ) ქვეყნის კოდი – ისმო–ს სტანდარტით ST.3 დადგენილი ქვეყნის, მთავრობათაშორისი და სხვა ორგანიზაციების დასახელების შესატყვისი ორნიშნა კოდი;

ე) საერთაშორისო კლასიფიკატორი – სტრასბურგის 1971 წლის შეთანხმება საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ;

ვ) დადგენილი საფასური – „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილებით დამტკიცებული საფასური;

ზ) ეროვნულ ფაზაში შესვლის ვადა – იმ საერთაშორისო განაცხადის შემთხვევაში, რომლისთვისაც საქპატენტი მოქმედებს, როგორც აღნიშნული ან არჩეული უწყება, გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ეროვნული პატენტის მისაღებად განაცხადის საქპატენტში წარდგენის ვადა, რომელიც შეადგენს 31 თვეს პრიორიტეტის თარიღიდან;

თ) ისმო-ს ციფრული წვდომის სისტემა „DAS“ (შემდგომ – „DAS“) – ისმო-ს ელექტრონული სისტემა, რომელიც მის მონაწილე ინტელექტუალური საკუთრების უწყებებს საშუალებას აძლევს ელექტრონული სისტემის მეშვეობით უსაფრთხოდ გაცვალონ პარიზის კონვენციით გათვალისწინებული განაცხადის პრიორიტეტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

ი) დარგის სპეციალისტი – ჰიპოთეზური პირი, რომელსაც გააჩნია დარგის სტანდარტული და ზოგადი ცოდნა დროის მოცემული მომენტისთვის. მიიჩნევა, რომ მას გააჩნია წვდომა ტექნიკის დონესთან, განსაკუთრებით ძიების ანგარიშში მოყვანილ დოკუმენტებთან და გააჩნია რუტინული ექსპერიმენტირების საშუალება და შესაძლებლობა;

კ) ePCT სისტემა – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებით შესაძლებელია საერთაშორისო განაცხადის შეტანა, დამუშავება, უწყებებს შორის გადაგზავნა და განმცხადებელთან კომუნიკაცია ელექტრონულ ფორმატში.

ლ) საგანაცხადო მასალები – კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

თავი II
განაცხადის ფორმა და მისი წარდგენის წესი

მუხლი 3. განაცხადი

განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) განცხადებას პატენტის მიღების თაობაზე;

ბ) გამოგონების აღწერილობას;

გ) გამოგონების ფორმულას;

დ) ნახაზებსა და სხვა დოკუმენტებს, თუ ისინი გამოგონების არსის ასახსნელად არის აუცილებელი;

ე) გამოგონების რეფერატს, რომელიც მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა.

მუხლი 4. განაცხადზე თანდართული საბუთები, მათი წარდგენის წესი და ვადები

1. განაცხადის წარდგენა ხდება საქპატენტში მატერიალური ფორმით ან საქპატენტის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (შემდგომ – ელექტრონული სისტემა) – https://online.sakpatenti.gov.ge/ მეშვეობით. საგანაცხადო მასალების მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში, მას უნდა დაერთოს საგანაცხადო მასალები ელექტრონული სახით მონაცემთა ელექტრონული მატარებლის გამოყენებით (მაგ.: CD-ROM დისკი). ელექტრონული სახით წარმოდგენილი საგანაცხადო მასალები შედგენილი უნდა იყოს „.doc“ ფორმატში, Sylfaen-ის შრიფტით.

2. საქპატენტში საგანაცხადო მასალების მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში, საქმისწარმოების ფარგლებში, ყველა სახის დოკუმენტი განმცხადებელს ეგზავნება მატერიალური ფორმით.

3. საქპატენტში საგანაცხადო მასალების ელექტრონული სისტემით წარდგენის შემთხვევაში, საქმისწარმოების ფარგლებში, განმცხადებელს ყველა სახის დოკუმენტი ეგზავნება

საქპატენტის ელექტრონული სისტემის მეშვეობით და მისთვის ჩაბარებულად ითვლება სისტემაში ასახვისთანავე. ამ მომენტიდან იწყება კანონმდებლობით დადგენილი ვადების ათვლა ყველა შესაბამისი მომდევნო ქმედებისთვის.

4. საქპატენტში განაცხადის ელექტრონულად წარდგენის შემდგომ, განმცხადებლის მიერ საქმისწარმოების მატერიალური ფორმით გაგრძელების მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის დღიდან განაცხადზე აღარ გავრცელდება ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით საფასურებზე კანონმდებლობით დადგენილი შეღავათი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. საქპატენტში განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენის შემდგომ, განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს საქმისწარმოების ელექტრონული ფორმით გაგრძელება. ამ შემთხვევაში განაცხადზე არ გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით დადგენილი შეღავათი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6. დამატებითი ინფორმირების მიზნით, განმცხადებელს შესაძლებელია გაეგზავნოს მოკლეტექსტური შეტყობინება განაცხადთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ.

7. ამ მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტებით გათვალისწინებული საქმისწარმოების წესი ვრცელდება ასევე პატენტის გაცემის შემდგომ საქმისწარმოებაზეც.

8. განცხადება წარდგენილი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე საქპატენტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული განცხადების ფორმით, ხოლო სხვა საგანაცხადო მასალები ნებისმიერ ენაზე.

9. უცხოურ ენაზე წარდგენილ საგანაცხადო მასალებს, წარდგენის დღიდან ორი თვის ვადაში, უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადზე საქმის წარმოება შეწყდება.

10. განმცხადებელი ვალდებულია უზრუნველყოს თარგმანის ავთენტურობა.

11. თუ განაცხადი წარდგენილია გამომგონებლის უფლებამონაცვლის ან განმცხადებლის წარმომადგენლის მეშვეობით და განაცხადს თან არ ერთვის უფლებამონაცვლეობის ან წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის დედანი, განმცხადებელი ვალდებულია განაცხადის წარდგენიდან ორი თვის ვადაში წარადგინოს უფლებამონაცვლეობის ან წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი.

12. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სარგებლობს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული შეღავათიანი საფასურით, აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთი საქპატენტს წარედგინება განაცხადის შეტანის თარიღიდან 2 კვირის ვადაში.

13. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ეხება მიკროორგანიზმთა შტამს, შტამების კონსორციუმს, უჯრედს, უჯრედულ კულტურას, მონოკლონურ ანტისხეულს და სხვა მსგავს ობიექტებს, განაცხადს

თან უნდა ერთოდეს დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული დეპოზიტარიუმის მიერ, რომელიც შეიცავს დეპოზიტარიუმის სახელწოდებას, დეპონირებისათვის წარდგენილი მასალის დასახელებას, დეპონირებული მასალის რეგისტრაციის ნომერს, თარიღს და მასალის სრულ აღწერას. დეპონირებისთვის მასალის წარდგენა უნდა მოხდეს არაუგვიანეს საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღისა. დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა დასაშვებია განაცხადის წარდგენის დღიდან ორი თვის ვადაში.

14. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი შეიცავს ნუკლეოტიდურ ან ამინომჟავურ თანმიმდევრობას, განმცხადებელმა განაცხადის წარდგენის დღიდან ორი თვის ვადაში განცხადებას თან უნდა დაურთოს შესაბამისი თანმიმდევრობის ნუსხა ისმო–ს სტანდარტის ST–25–ის შესაბამისად.

15. თუ გამომგონებელს სურს მისი სახელი დარჩეს ანონიმური, განაცხადს თან უნდა ერთოდეს გამომგონებლის შესაბამისი განცხადება.

მუხლი 5. განცხადების ფორმა

1. პატენტის მიღების თაობაზე განცხადება წარდგენილი უნდა იყოს საქპატენტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული განცხადების ბლანკით.

2. განცხადება ივსება ქართულ ენაზე ბეჭდური სახით.

3. განცხადება უნდა შეიცავდეს:
ა) განმცხადებლ(ებ)ის სახელს და გვარს (საერთაშორისო კოდი 71); იურიდიული პირის შემთხვევაში, იურიდიული პირის სახელწოდებას;
ბ) განმცხადებლ(ებ)ის მისამართს ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, მოქალაქეობის ქვეყნის კოდის მითითებით. იურიდიული პირის შემთხვევაში, იურიდიული პირის მისამართს ქვეყნის კოდის მითითებით;
გ) მიმოწერის მისამართს საქართველოს ტერიტორიაზე, ადრესატის სრულ სახელს ან დასახელებას, ტელეფონს, ელექტრონული ფოსტის მისამართს;
დ) შესაბამის მითითებას, თუ განმცხადებელი იმავდროულად დამსაქმებელია;
ე) საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, პირველი განაცხადის ნომერს (საერთაშორისო კოდი 31), პირველი განაცხადის შეტანის თარიღს (საერთაშორისო კოდი 32), პირველი განაცხადის მიმღები ქვეყნის/უწყების კოდს (საერთაშორისო კოდი 33);
ვ) საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, გამოგონების გამოფენაზე ექსპონირების თარიღს (საერთაშორისო კოდი 23);
ზ) გამოგონების დასახელებას (საერთაშორისო კოდი 54);
თ) თუ განაცხადი წარდგენილია განმცხადებლის წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენლის სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონს, ელექტრონული ფოსტის მისამართს (საერთაშორისო კოდი 74);
ი) მითითებას იმის შესახებ, უკავშირდება თუ არა გამოგონების შექმნა სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას;
კ) გამომგონებლის სახელს, გვარს და მისამართს მოქალაქეობის ქვეყნის კოდის მითითებით (საერთაშორისო კოდი 72);
ლ) საერთაშორისო განაცხადის ეროვნულ ფაზაში შესვლის შემთხვევაში, საერთაშორისო

განაცხადის ნომერს და საერთაშორისო შეტანის თარიღს (საერთაშორისო კოდი 86);
მ) გამოყოფილი განაცხადის შემთხვევაში, პირველი განაცხადის ნომერს და შეტანის თარიღს (საერთაშორისო კოდი 62);
ნ) განაცხადის თანდართული საბუთების ნუსხას, სადაც მიეთითება ეგზემპლარებისა და გვერდების რაოდენობა.

4. დამატებითი მასალების არსებობის შემთხვევაში ისინი თან უნდა დაერთოს განცხადებას და მოხდეს მითითება მათ დანიშნულებაზე.

5. თუ განცხადების შევსებისას ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მითითებულია, რომ განმცხადებელი იმავდროულად გამომგონებლის დამსაქმებელია, მაშინ განმცხადებელს არ ეკისრება დამატებით განმცხადებელსა და გამომგონებელს შორის დადებული ხელშეკრულების წარმოდგენის ვალდებულება.

6. ბლანკი უნდა იყოს ხელმოწერილი და ხელმოწერის დღით დათარიღებული განმცხადებლის, უფლებამოსილი პირის ან წარმომადგენლის მიერ და მიეთითოს ხელმომწერი პირის სრული სახელი და გვარი.

7. საგანაცხადო მასალებში ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განმცხადებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 6. გამოგონების აღწერილობა
1. გამოგონების აღწერილობა განკუთვნილია გამოგონების ფორმულით განსაზღვრული დაცვის ფარგლების გასამყარებლად. გამოგონების აღწერილობაში იმდენად ნათლად უნდა იყოს გადმოცემული გამოგონების არსი და მისი განხორციელების შესაძლებლობა, რომ შესაძლებელი იყოს გამოგონების რეალიზება დარგის სპეციალისტის მიერ.

2. გამოგონების აღწერილობაში მოცემული უნდა იყოს:
ა) გამოგონების დასახელება, რომელიც უნდა ემთხვეოდეს განცხადებაში მითითებულ დასახელებას;
ბ) ტექნიკის დარგი, რომელსაც მიეკუთვნება გამოგონება;
გ) ტექნიკის დონე იმ მოცულობით, რაც ცნობილია განმცხადებლისათვის;
დ) გამოგონების არსი;
ე) გამოგონებით მიღწეული შედეგი;
ვ) ფიგურების მოკლე აღწერა, თუ ნახაზები თან ერთვის განაცხადს;
ზ) გამოგონების განხორციელების დაწვრილებითი აღწერა.

3. გამოგონების არსიდან და ობიექტის აღწერის პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, დასაშვებია გამოგონების აღწერილობის წარდგენა განსხვავებული სახით, თუ იგი უფრო ხელსაყრელია გამოგონების არსის გადმოსაცემად.

მუხლი 7. გამოგონების დასახელება
გამოგონების დასახელება უნდა შეესაბამებოდეს გამოგონების არსს, იყოს ცხადი, ლაკონიური და არ უნდა შედგებოდეს ათზე მეტი სიტყვისგან. გამოგონების დასახელება არ უნდა შეიცავდეს კერძო ან ფანტაზიურ სახელებს.

მუხლი 8. ტექნიკის დარგი

გამოგონების აღწერილობაში უნდა მიეთითოს გამოგონების გამოყენების სფერო და ტექნიკის შესაბამისი დარგი. თუ ასეთი დარგი რამდენიმეა, სასურველია პირველად მიეთითოს დარგი, რომელსაც ენიჭება უპირატესობა საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით.

მუხლი 9. ტექნიკის დონე

1. ტექნიკის დონე უნდა იყოს ნათლად გადმოცემული. სასურველია გამოგონების აღწერილობის ამ ნაწილში მითითებული იყოს განმცხადებლისათვის პრიორიტეტის თარიღამდე ტექნიკის დონით ცნობილი მონაცემები შესაბამის საინფორმაციო წყაროზე დაყრდნობით.

2. ტექნიკის დონის აღწერისათვის გამოიყენება ნებისმიერი სახის საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

3. ტექნიკის დონის აღწერის დროს სასურველია მითითებულ იქნეს მიზეზები, რომელთა გამოც შეუძლებელი იყო გამოგონებით დასახული ამოცანის გადაჭრა.

მუხლი 10. გამოგონების არსი

გამოგონების არსი უნდა იყოს წარმოდგენილი გამოგონების ფორმულის შესაბამისი ცნებებითა და ნიშნების ერთობლიობით, რომელიც გასაგებს ხდის გამოგონებით დასახულ ტექნიკურ ამოცანას და მისი გადაჭრის შესაძლებლობას (მაშინაც კი, თუ ამოცანა პირდაპირ არ არის გამოკვეთილი).

მუხლი 11. ფიგურების მოკლე აღწერა

გამოგონების აღწერილობაში წარდგენილი უნდა იყოს თანდართული ნახაზების ფიგურების მოკლე აღწერა შესაბამისი ნუმერაციისა და დასახელების მითითებით.

მუხლი 12. გამოგონების განხორციელების დაწვრილებითი აღწერა

1. გამოგონების დაწვრილებით აღწერილობაში უნდა იყოს წარმოჩენილი გამოგონებით დასახული ტექნიკური ამოცანის გადაჭრის გზა.

2. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ეხება მოწყობილობას, დაწვრილებითი აღწერა უნდა შეიცავდეს მოწყობილობის აღწერას სტატიკაში ან/და დინამიკაში, ფიგურების და პოზიციების მითითებით. ამასთან, ციფრული აღნიშვნები სტატიკაში მითითებული უნდა იყოს მზარდი რიგითობის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რიგითობის დარღვევა გამოწვეულია აუცილებლობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ეხება ხერხს, დაწვრილებითი აღწერა უნდა შეიცავდეს მონაცემებს მისი განხორციელებისათვის საჭირო მოქმედებების, მათი თანმიმდევრობის და ჩატარების პირობების, პარამეტრებისა და რეჟიმების შესახებ. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს მონაცემები ხერხში გამოყენებული მოწყობილობებისა და მასალების შესახებ.

4. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ეხება ფიზიკურ–ქიმიური ან კომპონენტების მექანიკური შერევის გზით მიღებულ ნივთიერებას, დაწვრილებითი აღწერა უნდა შეიცავდეს კომპონენტების

ჩამონათვალს, ხოლო თუ მათი რაოდენობა გამოგონების არსებითი ნიშანია – ზღვრულ მნიშვნელობებს. ამასთან, თუ არსებით ნიშანს წარმოადგენს ცალკეული კომპონენტების მახასიათებელი, ამ შემთხვევაში დაწვრილებითი აღწერა ასევე უნდა შეიცავდეს ფიზიკურ მდგომარეობას, ზომებს და სხვა შესაბამის მონაცემებს.

5. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ეხება ქიმიური გზით მიღებულ ნივთიერებას, დაწვრილებით აღწერაში, საჭიროების შემთხვევაში, მოყვანილი უნდა იქნეს სტრუქტურული ფორმულა, ფიზიკურ–ქიმიური მაჩვენებლები და მისი მიღების ხერხი. ასევე, ქიმიური ნაერთის გამოყენების სფეროების და გამოყენების განხორციელების მონაცემები.

6. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ეხება ნივთიერებას და შეუძლებელია ნივთიერებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით მისი აღწერა, დაწვრილებით აღწერაში შესაძლებელია მისი დახასიათება ხერხის საშუალებით.

7. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ეხება პროდუქტის გამოყენებას, დაწვრილებით აღწერაში ნაჩვენები უნდა იყოს გამოგონებით დასახული მიზნის მისაღწევად პროდუქტის გამოყენების შესაძლებლობა.

მუხლი 13. ბიოტექნოლოგიური გამოგონების დაწვრილებითი აღწერა

1. ბიოტექნოლოგიური პროდუქტი მოიცავს:
ა) ბიოლოგიურ მასალას, რომელიც გამოყოფილია ბუნებრივი გარემოდან ან მიღებულია სხვა ტექნიკური ხერხებით;
ბ) მცენარეს ან ცხოველს, თუ გამოგონების არსი (ან მათი ტექნიკური განხორციელება) არ შემოიფარგლება მცენარის ან ცხოველის ცალკეული ჯიშით;
გ) მიკრობიოლოგიურ ან სხვა ტექნიკურ პროცესებს ან ამ პროცესით მიღებულ პროდუქტებს.

2. თუ გამოგონება ეხება ადამიანის სხეულიდან გამოყოფილი ან სხვა ტექნიკური ხერხით მიღებული გენის ან მისი ფრაგმენტის თანამიმდევრობას, გამოგონების დაწვრილებით აღწერილობაში ნაჩვენები უნდა იყოს ამ ობიექტის სამრეწველო გამოყენებადობა.

3. თუ ბიოლოგიური მასალა არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და მისი აღწერა განაცხადში არ არის შესაძლებელი ისეთი სისრულით, რომ დარგის სპეციალისტისათვის ცხადი იყოს მისი განხორციელების შესაძლებლობა, განაცხადს თან უნდა ერთოდეს აღნიშნული მასალის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია დეპოზიტარიუმის მიერ.

მუხლი 14. სამედიცინო პროდუქტის დაწვრილებითი აღწერა

1. იმ შემთხვევაში, როდესაც განაცხადი ეხება სამედიცინო პროდუქტს ან/და მისი მიღების ხერხს, დაწვრილებითი აღწერა ამ ინსტრუქციის მე–12 მუხლში მითითებულ მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს:
ა) მონაცემებს პროდუქტის სამედიცინო ჩვენებების შესახებ;
ბ) მონაცემებს, რომელიც ადასტურებს, რომ შესაძლებელია პროდუქტის სამედიცინო მიზნით გამოყენება, მათ შორის, მონაცემებს პროდუქტის ფარმაცევტული ფორმების, მათი დოზირებისა და ორგანიზმში შეყვანის გზების შესახებ;

გ) მონაცემებს, რომლებიც ადასტურებს პროდუქტის შესაბამისი დანიშნულებით რეალიზაციის შესაძლებლობას, მათ შორის, მონაცემებს ამ პროდუქტის ფიზიოლოგიური ან პათოლოგიური პროცესების განსაზღვრულ რგოლებზე მოქმედების ან მათთან კავშირის შესახებ.

2. თუ სამედიცინო პროდუქტი და/ან მის შემადგენლობაში შემავალი აქტიური ინგრედიენტი ტექნიკის დონიდან ცნობილია, დაწვრილებითი აღწერა უნდა შეიცავდეს იმ მონაცემებს, რომლებიც ნათლად დაადასტურებს გამოგონებით დასახული ტექნიკური ამოცანის გადაჭრის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია დაწვრილებითი აღწერა არ შეიცავდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ყველა მონაცემებს.

მუხლი 15. გამოგონების ფორმულა

1. გამოგონების ფორმულა განსაზღვრავს გამოგონების სამართლებრივი დაცვის ფარგლებს. გამოგონების ფორმულა გადმოცემული უნდა იყოს გამოგონების ობიექტისათვის (პროდუქტი, მოწყობილობა, ხერხი, გამოყენება) დამახასიათებელი შესაბამისი ტექნიკური ხასიათის ნიშნებით.

2. გამოგონების ფორმულა უნდა ეფუძნებოდეს გამოგონების აღწერილობას.

3. გამოგონების ფორმულა შეიძლება იყოს ერთ ან მრავალმუხლიანი.

4. გამოგონების მრავალმუხლიანი ფორმულა უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, ერთ დამოუკიდებელ მუხლს. თითოეული მუხლი გადმოცემული უნდა იყოს ცხადად და უნდა შედგებოდეს ერთი წინადადებისგან. თითოეულ დამოუკიდებელ მუხლს შესაძლებელია ჰქონდეს მასზე დამოკიდებული მუხლ(ებ)ი.

5. გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი უნდა შეიცავდეს გამოგონების არსებით ნიშნებს, რომლებიც აუცილებელია გამოგონების განსახორციელებლად.

6. გამოგონების ფორმულის ყოველი დამოუკიდებელი მუხლი უნდა ასახავდეს ერთ გამოგონებას.

7. გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი უნდა შედგებოდეს ცნობილი და განმასხვავებელი ნაწილებისგან. ცნობილ და განმასხვავებელ ნაწილებს შორის გამოყენებული უნდა იქნეს ფრაზა – „რომელიც... განსხვავდება იმით, რომ“.

8. გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლის ცნობილ ნაწილში მოყვანილი უნდა იყოს გამოგონებასთან დაკავშირებით ტექნიკის დონით ცნობილი ნიშნები. ცნობილ ნაწილში მოყვანილი ნიშნები უნდა შეესაბამებოდეს გამოგონების აღწერილობაში მოყვანილ ტექნიკის დონეს.

9. გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლის განმასხვავებელ ნაწილში მოყვანილი უნდა იყოს გამოგონების ის ნიშნები, რომლებიც განასხვავებენ მას ტექნიკის დონისაგან და ამ მუხლის მე-8 პუნქტში მითითებულ ნიშანთა ერთობლიობასთან ერთად განსაზღვრავენ გამოგონებას.

10. გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი შეიძლება არ იყოს დაყოფილი ცნობილ და განმასხვავებელ ნაწილებად, თუ გამოგონების არსის თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა გზით შესაძლებელია გამოგონების უკეთ დახასიათება.

11. გამოგონების ერთიანობის მოთხოვნის გათვალისწინებით, გამოგონების ფორმულა შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა ან ერთი და იმავე სახის გამოგონების ობიექტის (ხერხი, მოწყობილობა, ნივთიერება, გამოყენება და სხვა) ორ ან მეტ დამოუკიდებელ მუხლს.

12. დამოკიდებული მუხლი უნდა შეიცავდეს მითითებას იმ დამოუკიდებელ მუხლზე, რომელზეც არის დამოკიდებული და მასში გადმოცემული ნიშნები უნდა აზუსტებდეს დამოუკიდებელ მუხლში გადმოცემულ ნიშანს ან/და ავითარებდეს გამოგონების ნიშნების ერთობლიობას მისი განხორციელების კერძო შემთხვევის სახით.

13. თუ გამოგონების ფორმულა მრავალმუხლიანია, იგი ინომრება თანმიმდევრობით, არაბული ციფრებით.

14. გამოგონების ფორმულა არ უნდა შეიცავდეს გამოგონების აღწერილობასა და ფიგურებზე მითითებას. დასაშვებია განაცხადი შეიცავდეს ფორმულაში ფიგურების პოზიციებზე მითითებას, თუ არსებითად ადვილდება გამოგონების ფორმულის გადმოცემა. ამ შემთხვევაში პოზიციები მიეთითება ციფრების ფრჩხილებში ჩასმით.

15. გამოგონების ფორმულაში დაუშვებელია ისეთი ტერმინებისა და შემოკლებების გამოყენება, რომელიც განუსაზღვრელს ხდის გამოგონებას. ფორმულაში გამოყენებულ უნდა იქნეს მოცემულ დარგში მიღებული ტერმინები და შემოკლებები.

16. გამოგონების ფორმულასა და გამოგონების აღწერილობაში დაცული უნდა იყოს ტერმინოლოგიური ერთიანობა. იმ შემთხვევაში, თუ შემოტანილია უცნობი ტერმინი, ის განმარტებული უნდა იქნეს გამოგონების აღწერილობაში პირველივე გამოყენებისთანავე.

17. გამოგონების ფორმულის ყველა დამოკიდებული მუხლი, რომელიც შეიცავს მითითებას წინამდებარე ერთ ან რამდენიმე მუხლზე, დაჯგუფებული უნდა იყოს ერთად.

18. გამოგონების ფორმულის მუხლი შესაძლოა მოიცავდეს ალტერნატიულ ნიშნებს. ალტერნატივების რაოდენობა უნდა იყო გონივრული და არ უნდა ართულებდეს მუხლის ობიექტის განსაზღვრას. ალტერნატიულ ნიშნებს უნდა გააჩნდეთ მსგავსი ბუნება და იყვნენ ურთიერთჩანაცვლებადი.

19. გამოგონების ფორმულაში ალტერნატიული ნიშნების მოყვანა დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუ თითოეული ალტერნატიული ნიშანი გამოგონების ფორმულის სხვა ნიშნებთან ერთობლიობაში უზრუნველყოფს ერთსა და იგივე ამოცანის გადაწყვეტას და ერთსა და იმავე (საერთო) ტექნიკური შედეგის მიღწევას.

20. გამოგონების ფორმულაში, რომელიც ეხება გამოყენებას, დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს ალტერნატიული ცნებები, რომლებიც განსაზღვრავენ გამოყენების სხვადასხვა სფეროს.

21. გამოგონების ფორმულის მუხლი არ უნდა იყოს დახასიათებული მხოლოდ მისაღწევი ტექნიკური შედეგით.

22. ნივთიერების შემთხვევაში გამოგონების ფორმულის მუხლი არ უნდა იყოს დახასიათებული მხოლოდ ნივთიერების სისუფთავით.

23. ფარმაცევტული კომპოზიციის შემთხვევაში გამოგონების ფორმულის მუხლი არ უნდა იყოს დახასიათებული მხოლოდ ფარმაცევტული კომპოზიციის ფარმაკოკინეტიკური მახასიათებლებით.

24. ქიმიური ნივთიერების შემთხვევაში გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი უნდა იყოს დახასიათებული ნივთიერების ქიმიური დასახელებით ან/და ქიმიური სტრუქტურული ფორმულით.

25. ქიმიური ნივთიერების ან კომპოზიციის შემთხვევაში გამოგონების ფორმულაში მისი დახასიათება მიღების ხერხით მხოლოდ იმ შემთხვევაში არის დაშვებული, თუ შეუძლებელია მისი აღწერა ნივთიერებისათვის ან კომპოზიციისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

26. ქიმიური ნივთიერების კრისტალური ფორმის შემთხვევაში გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი დახასიათებული უნდა იყოს კრისტალური ფორმის მახასიათებელი არსებითი ნიშნებით, მაგალითად, კრისტალის რენტგენული დიფრაქციის მონაცემებით, კრისტალის თერმოგრამის მონაცემებით და ა.შ.

27. კომპოზიციის შემთხვევაში გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი დახასიათებული უნდა იყოს კომპოზიციის შემადგენელი კომპონენტების თვისობრივი ან/და რაოდენობრივი მახასიათებლებით.

28. ცილის შემთხვევაში გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი დახასიათებული უნდა იყოს ამინომჟავური თანამიმდევრობით.

29. დნმ-ს ან რნმ-ს შემთხვევაში გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი დახასიათებული უნდა იყოს ნუკლეოტიდური თანამიმდევრობით.

30. მიკროორგანიზმის შტამის შემთხვევაში გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი დახასიათებული უნდა იყოს მისი ლათინური დასახელებით, დანიშნულებით და საერთაშორისო დეპონირების ნომრით.

31. ახალი პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) სამედიცინო გამოყენების შემთხვევაში გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგი ვარიანტებიდან ერთ-ერთის სახით:
ა) პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) X გამოყენება დაავადების Y სამკურნალო მედიკამენტის დასამზადებლად;
ბ) პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) X გამოყენება დაავადების Y სადიაგნოსტიკო საშუალების დასამზადებლად;

გ) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X მედიცინაში გამოსაყენებლად;
დ) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X მედიკამენტის სახით გამოსაყენებლად;
ე) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X დაავადების Y სამკურნალოდ გამოსაყენებლად;
ვ) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X დაავადების Y სადიაგნოსტიკოდ გამოსაყენებლად;
ზ) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X დაავადების Y მკურნალობის ხერხში გამოსაყენებლად;
თ) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X დაავადების Y დიაგნოსტიკის ხერხში გამოსაყენებლად.

32. ცნობილი პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) პირველი სამედიცინო გამოყენების შემთხვევაში (კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი) გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგი ვარიანტებიდან ერთ-ერთის სახით:
ა) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X მედიცინაში გამოსაყენებლად;
ბ) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X მედიკამენტის სახით გამოსაყენებლად;
გ) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X დაავადების Y სამკურნალოდ გამოსაყენებლად;
დ) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X დაავადების Y სადიაგნოსტიკოდ გამოსაყენებლად;
ე) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X დაავადების Y მკურნალობის ხერხში გამოსაყენებლად;
ვ) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X დაავადების Y დიაგნოსტიკის ხერხში გამოსაყენებლად.

შენიშვნა: გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლის ყველა ზემოაღნიშნული ვარიანტის შემთხვევაში, გამოგონების ფორმულის დაცვის ობიექტია პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია), რომელიც შემოფარგლულია დანიშნულებით.

33. ცნობილი პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) მეორე ან შემდგომი სამედიცინო გამოყენების შემთხვევაში (კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტი), გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგი ვარიანტებიდან ერთ-ერთის სახით:
ა) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X დაავადების Y სამკურნალოდ გამოსაყენებლად;
ბ) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X დაავადების Y სადიაგნოსტიკოდ გამოსაყენებლად;
გ) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X დაავადების Y მკურნალობის ხერხში გამოსაყენებლად;
დ) პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) X დაავადების Y დიაგნოსტიკის ხერხში გამოსაყენებლად.

შენიშვნა: გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლის ყველა ზემოაღნიშნული ვარიანტის შემთხვევაში, გამოგონების ფორმულის ობიექტია პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია), რომელიც შემოფარგლულია დანიშნულებით.

34. პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) პირველი ან შემდგომი სამედიცინო გამოყენების შემთხვევაში, დაუშვებელია გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი დახასიათებული იყოს მხოლოდ პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) მოქმედების მექანიზმით, მაგალითად, რეცეპტორებზე მოქმედებით, ცილის აქტივობის დათრგუნვით, გენების ექსპრესიაზე მოქმედებით და ა.შ.

35. პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) პირველი ან შემდგომი სამედიცინო გამოყენების

შემთხვევაში დაუშვებელია დამოუკიდებელი მუხლი ჩამოყალიბებული იყოს შემდეგი სახით: პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) X გამოყენება დაავადების Y სამკურნალოდ/ სადიაგნოსტიკოდ.

შენიშვნა: გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლის, ამ მუხლის 35-ე პუნქტებით გათვალისწინებული სახით ფორმულირების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ იგი განეკუთვნება მკურნალობის/დიაგნოსტიკის ხერხს, რომელზეც, საქართველოს საპატენტო კანონის მე-17 მუხლის თანახმად, პატენტი არ გაიცემა.

36. ცნობილი პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) ახალი, არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში, გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლში ნათლად და ცალსახად უნდა იყოს მითითებული ახალი დანიშნულება. შესაბამისად, გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგი ვარიანტებიდან ერთ-ერთის სახით:

ა) პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) X გამოყენება Y დანიშნულებით. მაგალითად, ნივთიერების X გამოყენება ლითონის კოროზიისგან დასაცავად;

ბ) პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) X გამოყენება Y აგენტის სახით. მაგალითად, ნივთიერების X გამოყენება ანტიკოროზიული აგენტის სახით.

37. მოწყობილობის შემთხვევაში (განსაზღვრული დანიშნულების მქონე ნაკეთობა ან კონსტრუქცია ან ნებისმიერი მატერიალური ობიექტი) გამოგონების ფორმულაში მოყვანილი ნიშნების ერთობლიობა მას მთლიანობაში უნდა ახასიათებდეს სტატიკურ მდგომარეობაში, ამასთან მოწყობილობისათვის დამახასიათებელი ნიშნებია: ელემენტები ანუ დეტალები, კვანძები, აგრეგატები და მსგავსი, ელემენტთა ურთიერთგანლაგება, ელემენტებს შორის ურთიერთკავშირი, ელემენტების ან მათ შორის ურთიერთკავშირის ფორმა, მასალა, რომლისგანაც დამზადებულია იგი, ელემენტების ზომათა თანაფარდობა, გარემო, რომელიც ასრულებს ელემენტის ფუნქციას და სხვ.

38. ხერხის შემთხვევაში გამოგონების ფორმულაში მოყვანილი ნიშნების ერთობლიობა უნდა ახასიათებდეს მატერიალური ობიექტის მეშვეობით მატერიალურ ობიექტზე ზემოქმედების პროცესს, ამასთან ხერხისათვის დამახასიათებელი ნიშნებია: ქმედებები ან ოპერაციები, მათი ერთობლიობა, ქმედებების ან ოპერაციების თანმიმდევრობა, ქმედებების ან ოპერაციების ჩატარების ფორმა და რეჟიმები (ტემპერატურა, წნევა, კონცენტრაცია, დრო და ა.შ.), ქმედებათა ან ოპერაციების ჩატარებისას გამოყენებული მასალების თანაფარდობა, მოწყობილობის და/ ან მასალების გამოყენება ქმედებათა ან ოპერაციების ჩატარებისას.

39. ერთი კატეგორიის (პროდუქტი, მოწყობილობა, ხერხი, გამოყენება) მუხლის შემთხვევაში, დასაშვებია, ასევე, სხვა კატეგორიის ნიშნების გამოყენება. მაგალითად, მოწყობილობა შესაძლოა დახასიათებულ იქნეს იმ ფუნქციით, რომელსაც ის ასრულებს, ან პროცესი შესაძლოა დახასიათებულ იქნეს იმ მოწყობილობის სტრუქტურული ნიშნებით, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება აღნიშნული პროცესი, ან მოწყობილობის ელემენტი შესაძლოა დახასიათებულ იქნეს მისი დამზადების გზის მეშვეობით. თუმცა, ამგვარ მუხლებში ცხადად უნდა იყოს გამიჯნული პროდუქტის, მოწყობილობის, ან სისტემის მუხლები და ხერხის, აქტივობის ან გამოყენების მუხლები.

40. გამოგონების ფორმულაში ნიშნების პარამეტრებით (მათ შორის, რაოდენობრივი ნიშნები)

განსაზღვრა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად მისი დახასიათება შეუძლებელია და იმ პირობით, რომ ეს პარამეტრები ზუსტად და დადასტურებულად შესაძლოა იყოს დადგენილი აღწერილობაში გახსნილი მითითებებით ან მოცემულ დარგში აღიარებული ობიექტური მეთოდებით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 29 მაისი ბრძანება №14 – ვებგვერდი, 02.06.2025 წ.

მუხლი 16. მათემატიკური ფორმულები

1. გამოგონების აღწერილობასა და გამოგონების ფორმულაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათემატიკური გამოსახულებები (ფორმულები) და სიმბოლოები.

2. მათემატიკური გამოსახულების (ფორმულების) ჩაწერის ფორმა არ არის შეზღუდული.

3. მათემატიკურ ფორმულაში შემავალი ყველა ასოითი აღნიშვნა უნდა განიმარტოს. განმარტება უნდა ჩამოყალიბდეს სვეტის სახით და ყოველი ასოითი აღნიშვნის განმარტების ბოლოს დაისვას წერტილ– მძიმე. ამასთან, ასოითი აღნიშვნები ფორმულაში უნდა განიმარტოს გამოყენების რიგითობის მიხედვით.

მუხლი 17. ქიმიური ფორმულები

1. გამოგონების აღწერილობასა და გამოგონების ფორმულაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქიმიური ფორმულები.

2. ქიმიური ნაერთების ფორმულები უნდა დაინომროს. ამასთან, ერთი სახის ქიმიური სტრუქტურული ფორმულა ყოველთვის უნდა იყოს დანომრილი ერთი და იმავე ნომრით.

3. ქიმიური ფორმულის ჩაწერისას გამოყენებული უნდა იქნეს ელემენტების საყოველთაოდ მიღებული სიმბოლოები და ზუსტად მიეთითოს ელემენტებსა და რადიკალებს შორის კავშირები.

მუხლი 18. ნახაზები და სხვა დოკუმენტები

1. კანონის 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნახაზებისა და სხვა დოკუმენტების წარდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების აღწერილობაში გადმოცემული არსის ასახსნელად.

2. წარმოდგენილი გამოგონების აღწერილობა და ნახაზები/სხვა დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

3. გამოგონების არსის უკეთ ასახსნელად სხვა დოკუმენტები შეიძლება იყოს წარმოდგენილი სქემების, გრაფიკების, ეპიურეების, ნახაზების, ოსცილოგრამების, ცხრილების, დიაგრამების და სხვ. სახით.

მუხლი 19. რეფერატი

1. რეფერატი არის გამოგონების მოკლე აღწერა.

2. რეფერატში შესაძლებელია შეტანილ იქნეს ფიგურები, ქიმიური ან სხვა სახის ფორმულა.

3. რეფერატის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 200 სიტყვას.

მუხლი 20. საგანაცხადო მასალების გაფორმება, ტერმინოლოგია და პირობითი აღნიშვნები

1. გამოგონების აღწერილობაში, ფორმულასა და სხვა მასალებში გამოიყენება მოცემული დარგისათვის მიღებული ტერმინები და შემოკლებები.

2. ახალი ტერმინის შემოტანის შემთხვევაში, მისი განმარტება უნდა მოხდეს პირველივე გამოყენებისას.

3. ყველა პირობითი აღნიშვნა უნდა განიმარტოს.

4. გამოგონების აღწერილობის ტექსტსა და ფორმულაში ერთი და იგივე ნიშნები ერთნაირად უნდა იწოდებოდეს. ტერმინოლოგიური ერთიანობის მოთხოვნები ეხება ფიზიკურ ერთეულებს და პირობით აღნიშვნებსაც.

5. ფიზიკური სიდიდეების ერთეულები უნდა შეესაბამებოდეს ერთეულთა მოქმედ საერთაშორისო სისტემას.

6. საგანაცხადო მასალები არ უნდა შეიცავდეს შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, ასევე, ისეთ გამოთქმებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

7. გამოგონების აღწერილობისა და ფორმულის თითოეული ფურცელი გამოიყენება მხოლოდ ერთი მხრიდან. ტექსტური მასალის გადმოცემისას პწკარები ფურცლის მცირე გვერდის პარალელურად უნდა განლაგდეს.

8. ყოველი საგანაცხადო მასალის გაფორმება უნდა იწყებოდეს ცალკე ფურცლიდან.

9. ყოველი საგანაცხადო მასალა უნდა შესრულდეს თეთრ ფორმატზე ზომით 210X297 მმ.

10. ფურცელზე მინდვრის დატოვების მინიმალური ზომებია: მარცხენა მხარეს – 25 მმ, ხოლო მარჯვენა, ზედა და ქვედა მხარეს – 20 მმ.

11. გამოგონების აღწერილობის და ფორმულის ყველა ფურცელი ინომრება არაბული ციფრებით, გამჭოლი ნუმერაციით, დაწყებული პირველი გვერდიდან.

12. საგანაცხადო მასალები იბეჭდება შავი ფერის შრიფტით.

13. გამოგონების აღწერილობის, ფორმულისა და რეფერატის ტექსტები იბეჭდება არანაკლებ 1,5 ინტერვალით. ამასთან, ასოების სიმაღლე უნდა იყოს 0,42 სმ (შრიფტის ზომა 12).

მუხლი 21. გრაფიკული მასალების შესრულება

1. გრაფიკული მასალების გამოსახულებები უნდა შესრულდეს თეთრ და სწორ ქაღალდზე, შავი მკაფიო ხაზებით და შტრიხებით, რომლებიც არ უნდა იშლებოდეს. დაუშვებელია მასალების რეტუშირება და გაფერადება.
2. გამოსახულებათა მასშტაბი და მკაფიოობა ისე უნდა შეირჩეს, რომ მათი რეპროდუცირების დროს, ხაზოვანი ზომების 2/3–მდე შემცირებისას, შესაძლებელი იყოს ასოების, ციფრებისა და სხვა გრაფიკული ნიშნების დეტალების ერთმანეთისგან გარჩევა.

3. ციფრების სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3,2 მმ.

4. ნახაზები სრულდება წარწერების გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენს ნახაზები, რომელთა წარწერის გარეშე აღნიშვნა შეუძლებელია, ანდა ნახაზში შეიტანს გაუგებრობას.

5. დაუშვებელია ნახაზზე ზომების ჩვენება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ზომები მიეთითება გამოგონების აღწერილობაში.

6. თითოეული ელემენტი ნახაზზე სრულდება ყველა დანარჩენი ელემენტის პროპორციულად იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ელემენტის გამოსახულების მკაფიოობისათვის მიზანშეწონილია განსხვავებული პროპორციის გამოყენება.

7. ერთ ფურცელზე შესაძლებელია ნახაზის რამდენიმე ფიგურის განლაგება, თუ ეს განლაგება იქნება მკაფიო და ერთმანეთისგან განცალკევებული.

8. თუ გრაფიკული მასალის ნაწილები განლაგებულია ორ ან მეტ ფურცელზე, მათი განლაგება უნდა მოხდეს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ამ გამოსახულების აწყობა სხვადასხვა ფურცლებზე გამოსახული ნაწილების შეერთებით. ცალკეული გამოსახულებები ისე უნდა განლაგდეს, რომ ფურცლები მაქსიმალურად იყოს შევსებული.

9. გამოგონების აღწერილობის შესაბამისად, გრაფიკული გამოსახულებების ნაწილები აღინიშნება არაბული ციფრებით.

10. გამოსახულების ერთი და იგივე ნაწილი, რომელიც რამდენიმე ფიგურაზეა წარმოდგენილი, ერთი და იმავე ციფრით აღინიშნება.

მუხლი 22. პრიორიტეტის მოთხოვნა

1. განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტი კანონის 30–ე მუხლის შესაბამისად.

2. თუ განმცხადებელმა კანონის 30–ე მუხლის პირველ და მე–2 პუნქტებში მითითებულ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ შეძლო განაცხადის საქპატენტში შეტანა, მას შეუძლია განაცხადის შემდგომი ორი თვის ვადაში წარდგენის შემთხვევაშიც ისარგებლოს საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტით. განაცხადს თან უნდა ერთოდეს მოთხოვნა პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ. განაცხადს, ასევე, უნდა ერთოდეს, შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ, რომ განმცხადებელმა საქპატენტის მიერ დადგენილი

ვადა გაუშვა არაბრალეულად – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით. საქპატენტი შეისწავლის განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ვადის გაშვების მიზეზ(ებ)ს და აღადგენს ვადას, თუ განმცხადებლის მიერ დასახელებულ ვადის გაშვების მიზეზ(ებ)ს მიიჩნევს საპატიოდ.

3. მოთხოვნილი საკონვენციო პრიორიტეტის თარიღიდან 16 თვის ვადაში განმცხადებელი ვალდებულია საქპატენტში წარადგინოს პირველი განაცხადის ასლი. განაცხადის ასლი დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის საპატენტო უწყების მიერ.

4. ამ მუხლის მე–3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტის წარდგენა შესაძლებელია, ასევე, „DAS“ სისტემის მეშვეობით.

5. მოთხოვნილი საგამოფენო პრიორიტეტის თარიღიდან 16 თვის ვადაში განმცხადებელი ვალდებულია საქპატენტში წარადგინოს გამოფენაზე გამოგონების ექსპონირების დამადასტურებელი საბუთი, რომელსაც თან უნდა ერთოდეს სათანადოდ დამოწმებული ქართული თარგმანი.

6. საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არ წარადგენს ამ მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის საბუთებს, განაცხადს პრიორიტეტი დაუდგინდება განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღით.

თავი III
გამოგონების განაცხადის ექსპერტიზა

მუხლი 23. განმცხადებლის მიერ საგანაცხადო მასალებში ცვლილებების შეტანის პირობები

1. თუ განმცხადებელმა წარადგინა ცვლილება/შესწორება ან/და განმარტება, საქპატენტი 2 თვის ვადაში აფასებს მათ შესაბამისობას კანონთან ან/და ინსტრუქციასთან. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ცვლილების/შესწორების ან/და განმარტებისთვის მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია საფასური, ცვლილების/შესწორების ან/და განმარტების შესაბამისობა კანონთან ან/და ინსტრუქციასთან ფასდება საფასურის გადახდიდან 2 თვის ვადაში.

1^1. იმ შემთხვევაში, თუ საქპატენტი მიიჩნევს, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე წარმოდგენილი ცვლილება/შესწორება ან/და განმარტება შესაბამისობაშია მოსაყვანი კანონთან ან/და ინსტრუქციასთან, საქპატენტს უფლება აქვს ექსპერტიზის დასკვნის ან/და შეტყობინების საშუალებით მოსთხოვოს განმცხადებელს განაცხადის კანონთან ან/და ინსტრუქციასთან შესაბამისობაში მოყვანა შესაბამისი ცვლილების ან/და შესწორების შეტანის გზით ან განმარტებების წარმოდგენა.

2. საქპატენტის მოთხოვნის საპასუხოდ განმცხადებლის მიერ განაცხადში შესაბამისი ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს გამოგონების აღწერილობის ან/და ფორმულის შეცვლილი გვერდების წარდგენით.

3. განმცხადებელმა საქპატენტის მოთხოვნა უნდა შეასრულოს ექსპერტიზის დასკვნის ან/და შეტყობინების მიღების დღიდან 2 თვის ვადაში, ხოლო ამ ვადაში პასუხის წარუდგენლობის შემთხვევაში საქპატენტი 10 სამუშაო დღის ვადაში შეწყვეტს განაცხადზე საქმისწარმოებას ან გამოიტანს უარყოფით გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის თაობაზე.

4. ამ მუხლის პირველი და 1^1 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში განმცხადებლის ნაწილობრივი ან/და დაუსაბუთებელი პასუხის წარმოდგენიდან 2 თვის ვადაში ან იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ცვლილება/შესწორება ან/და განმარტება საჭიროებს შესაბამისი საფასურის გადახდას, საფასურის გადახდიდან 2 თვის ვადაში, საქპატენტი, შეტყობინების საშუალებით, განმეორებით უზუსტებს განმცხადებელს პირველადი მოთხოვნის შინაარსს და განუსაზღვრავს 2 თვის ვადას მოთხოვნის შესასრულებლად. თუ განმცხადებელი საქპატენტის მიერ ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ შეასრულებს მოთხოვნას, 10 სამუშაო დღის ვადაში განაცხადზე საქმისწარმოება წყდება ან მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემის თაობაზე.

5. ამ მუხლის პირველი, 1^1 და მე–4 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებთან დაკავშირებით, განმცხადებელს ან/და საქპატენტის თანამშრომელს, რომელიც ატარებს არსობრივ ექსპერტიზას, უფლება აქვს მოითხოვოს ზეპირი განხილვის ჩატარება, რომელსაც დაესწრებიან შესაბამისი დეპარტამენტის უფროსის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

6. ზეპირი განხილვის ჩატარების მსვლელობის დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ ზეპირ განხილვაზე დამსწრე პირები.

7. საქპატენტს უფლება აქვს მიუთითოს განმცხადებელს, თუ კონკრეტულად რომელი ცვლილება ან/და შესწორებაა შესატანი განაცხადში, რათა იგი მოვიდეს შესაბამისობაში კანონთან და ინსტრუქციასთან.

მუხლი 24. საკანცელარიო ცნობის გაცემა და განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურება

1. საგანაცხადო მასალებს საქპატენტში მიღებისთანავე ენიჭება საქმის ნომერი, აღინიშნება საგანაცხადო მასალების ჩაბარების თარიღი და წარდგენილი მასალების გვერდების რაოდენობა. ამ მონაცემების საფუძველზე შევსებული საკანცელარიო ცნობა საგანაცხადო მასალების მიღებისთანავე გადაეცემა/გადაეგზავნება განმცხადებელს. განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის და განაცხადის გამოქვეყნების (30 გვერდამდე საგანაცხადო მასალები) საფასურის გადახდის შესახებ და საფასურის გადასახდელად განესაზღვრება 1–თვიანი ვადა შეტყობინების მიღებიდან. საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში განაცხადზე საქმის წარმოება შეწყდება.

2. თუ საგანაცხადო მასალა წარმოდგენილია ქართულ ენაზე და შესაბამისობაშია კანონის 27–ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან, საქპატენტი განაცხადის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში ადასტურებს შეტანის თარიღს, ანიჭებს განაცხადის ნომერს, რის შესახებაც აცნობებს განმცხადებელს.

3. თუ გამოვლინდა, რომ წარდგენილ განაცხადს აკლია კანონის 27–ე მუხლით

გათვალისწინებული რომელიმე საგანაცხადო მასალა, საქპატენტი განაცხადს უდგენს ხარვეზს და განმცხადებელს უგზავნის შეტყობინებას ხარვეზის დადგენის შესახებ. კანონის 33–ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში საქპატენტში წარადგინოს მოთხოვნილი მასალა.

4. განმცხადებელს უფლება აქვს კანონის 46–ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოითხოვოს ამ მუხლის მე–3 პუნქტით დადგენილი ხარვეზის შევსებისათვის 1–თვიანი ვადის გაგრძელება არაუმეტეს 6 თვით შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში.

5. თუ განმცხადებელი ამ მუხლით დადგენილ ვადებში არ წარადგენს საგანაცხადო მასალებს, განაცხადი შეტანილად არ მიიჩნევა.

მუხლი 25. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა

1. განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებიდან 2 კვირის ვადაში საქპატენტი იწყებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას.

2. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის ეტაპზე საქპატენტი ამოწმებს:
   ა) განმცხადებლის და გამომგონებლის იდენტიფიცირების შესაძლებლობას;
   ბ) განმცხადებლის ან წარმომადგენლის ხელმოწერას;
   გ) წარმომადგენლობის ან/და უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელ საბუთს (საჭიროების შემთხვევაში);
   დ) მონაცემებს განმცხადებლის მოქალაქეობასა და ადგილსამყოფელთან დაკავშირებით (სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე–2 და მე–3 მუხლების პირობების გათვალისწინებით);
   ე) საპრიორიტეტო მონაცემების შევსების სისწორეს;
   ვ) განმცხადებლის მიერ მითითებული დამატებითი საგანაცხადო მასალების სისწორეს;
   ზ) ეგზემპლარების რაოდენობას;
   თ) სრულად არის თუ არა გადახდილი ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისთვის დადგენილი საფასური;
   ი) საფასურის შემცირების ან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლების წარდგენის შემთხვევაში მათ სისწორეს (საპენსიო წიგნაკის ასლი ან სხვა);
   კ) წარმოდგენილია თუ არა გამოგონების ფორმულა;
   ლ) წარმოდგენილია თუ არა ნახაზები სათანადო ფორმით, თუ ისინი მითითებულია აღწერილობაში;
   მ) წარმოდგენილია თუ არა რეფერატი;
   ნ) საგანაცხადო მასალების უცხო ენაზე წარდგენის შემთხვევაში წარმოდგენილია თუ არა მათი ქართული თარგმანი;
   ო) იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ეხება მიკროორგანიზმთა შტამს, შტამების კონსორციუმს, უჯრედს, უჯრედულ კულტურას, მონოკლონურ ანტისხეულს და სხვა მსგავს ობიექტებს, წარმოდგენილია თუ არა დეპონირების საბუთი;
   პ) იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი შეიცავს ნუკლეოტიდურ ან ამინომჟავურ თანმიმდევრობას, წარმოდგენილია თუ არა შესაბამისი თანმიმდევრობის ნუსხა;
   ჟ) განაცხადის გაფორმების სისრულესა და გაფორმების სისწორესთან დაკავშირებულ სხვა მონაცემებს.

3. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი საქპატენტში შეტანილია საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების შესაბამისად, როგორც აღნიშნულ ან არჩეულ უწყებაში, საქპატენტი ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის ეტაპზე არ ამოწმებს ამ მუხლის მე–2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საბუთს.

4. თუ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დროს დადგინდა, რომ არ არის წარმოდგენილი ამ ინსტრუქციის მე–4 მუხლის მე–12 პუნქტით გათვალისწინებული საბუთი, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ. განმცხადებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან ორი კვირის ვადაში შეავსოს ხარვეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში განმცხადებელი ვალდებულია გადაიხადოს საფასური შეღავათის გარეშე. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია იმ შემთხვევაშიც, თუ განმცხადებელს უკვე გადახდილი აქვს საფასური შეღავათით. ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს გადახდილი საფასური უკან უბრუნდება.

5. თუ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დროს დადგინდა, რომ განაცხადის მასალების გვერდების რაოდენობა აღემატება 30 გვერდს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის და განაცხადის გამოქვეყნების დამატებითი საფასურის გადახდის შესახებ და საფასურის გადასახდელად განესაზღვრება 1–თვიანი ვადა შეტყობინების მიღებიდან. საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში განაცხადზე საქმის წარმოება შეწყდება.

6. თუ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დროს დადგინდა, რომ განაცხადი აკმაყოფილებს კანონისა და ამ ინსტრუქციის მოთხოვნებს, განმცხადებელს ეგზავნება გადაწყვეტილება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება განმცხადებელს შეიძლება გაეგზავნოს თარიღის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად.

7. თუ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დროს დადგინდა, რომ განაცხადი არ აკმაყოფილებს კანონისა და ამ ინსტრუქციის მოთხოვნებს, გარდა ამ მუხლის მე–2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით და მე–5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ. განმცხადებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან ორი თვის ვადაში შეავსოს ხარვეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 26. განაცხადის გამოქვეყნება

1. საქპატენტი განაცხადს აქვეყნებს პრიორიტეტის თარიღიდან 18 თვის გასვლისთანავე, ან 18 თვის გასვლამდე განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, თუ გადახდილია ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისა და განაცხადის გამოქვეყნების საფასური, და საერთაშორისო განაცხადის შემთხვევაში, რომლისთვისაც საქპატენტი მოქმედებს, როგორც აღნიშნული ან არჩეული უწყება, ან საგანაცხადო მასალების უცხო ენაზე შეტანის შემთხვევაში, წარმოდგენილია განაცხადის ქართული თარგმანი.

2. განაცხადის გამოქვეყნება ხდება იმ სახით, რა სახითაც წარმოდგენილ იქნა განაცხადის შეტანის დღეს ან ქართული თარგმანის წარმოდგენის დღეს.

3. საქპატენტს განაცხადის შესახებ მონაცემები შეაქვს რეესტრში, განაცხადის შესახებ

ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში, და საგანაცხადო მასალებს (გამოგონების აღწერილობა, გამოგონების ფორმულა, ნახაზები, რეფერატი) აქვეყნებს რეესტრში.

მუხლი 27. არსობრივი ექსპერტიზის დაწყება

1. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების გაგზავნის შემდეგ განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება არსობრივი ექსპერტიზის საფასურის გადახდის თაობაზე და საფასურის გადასახდელად განესაზღვრება ორთვიანი ვადა შეტყობინების მიღებიდან.

1^{1}**.** თუ განმცხადებელმა წარმოადგინა ფორმულის შეცვლილი რედაქცია, რომელშიც მუხლების რაოდენობა იქნება განსხვავებული, განხორციელდება არსობრივი ექსპერტიზის საფასურის კორექტირება და განმცხადებელს 10 სამუშაო დღის ვადაში გაგეგზავნება ახალი შეტყობინება არსობრივი ექსპერტიზის სათანადო საფასურის თაობაზე და საფასურის გადასახდელად განესაზღვრება 2–თვიანი ვადა შეტყობინების მიღებიდან.

2. არსობრივი ექსპერტიზის საფასურის შესაბამის ვადაში გადახდის შემთხვევაში საქპატენტი ატარებს არსობრივ ექსპერტიზას.

3. არსობრივი ექსპერტიზის საფასურის შესაბამის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში განაცხადზე საქმის წარმოება შეწყდება და განმცხადებელს ეგზავნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

მუხლი 28. ობიექტები, რომლებიც არ მიიჩნევა გამოგონებად და ობიექტები, რომელზედაც არ გაიცემა პატენტი

კანონის 35–ე მუხლის შესაბამისად, ტარდება განაცხადის არსობრივი ექსპერტიზა იმის შესამოწმებლად, ხომ არ განეკუთვნება განცხადებული გამოგონება ისეთ ობიექტს, რომელიც არ მიიჩნევა გამოგონებად კანონის მე–16 მუხლის თანახმად, ან რომელზეც არ გაიცემა პატენტი კანონის მე–17 მუხლის თანახმად.

მუხლი 29. ფორმულის არსობრივი შემოწმება

1. კანონის 35–ე მუხლის შესაბამისად, ტარდება გამოგონების ფორმულის არსობრივი შემოწმება გამოგონების აღწერილობისა და ნახაზების დახმარებით, კერძოდ:

ა) ტარდება გამოგონების ფორმულის, ანდა თითოეული მუხლის ანალიზი, რომლის დროსაც მოწმდება გამოგონების აღწერილობაში მათი გადმოცემის სისრულე;

ბ) მოწმდება ფორმულაში, გამოგონების აღწერილობასა და ნახაზებში წარმოდგენილი ნიშნები;

გ) დგინდება წინამდებარე ინსტრუქციის მე–15 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

2. თუ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დროს განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად მოხდა გამოგონების ფორმულის (ერთი ან რამდენიმე მუხლის) ისეთი ცვლილება, რომელიც სცილდება განაცხადის წარდგენისას მისი შინაარსის ფარგლებს, საქპატენტი ატყობინებს განმცხადებელს, რომ ცვლილება არ მიიღება მხედველობაში.

3. კანონის 29–ე მუხლით გათვალისწინებული გამოყოფილი განაცხადის შემთხვევაში მოწმდება, გახსნილია თუ არა გამოგონების ფორმულის ნიშნები იმ განაცხადში, რომლიდანაც

ის გამოყოფილ იქნა. ასევე, მოწმდება არის თუ არა გამოყოფილი განაცხადის ფორმულა არსებითად იდენტური იმ განაცხადის ფორმულისა, რომლიდანაც ის გამოყოფილ იქნა.

მუხლი 30. გამოგონების ერთიანობის შემოწმება

1. კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, გამოგონების ფორმულიდან გამომდინარე, ხდება გამოგონების ერთიანობის შემოწმება, რომლის დროსაც შეისწავლება, ხომ არ არის განაცხადში წარმოდგენილი ერთზე მეტი გამოგონება, რომლებიც ერთმანეთთან ერთი საგამომგონებლო იდეით არ არიან დაკავშირებული.

2. თუ გამოგონების ფორმულა შეიცავს რამდენიმე დამოუკიდებელ მუხლს, მოწმდება არის თუ არა ამ მუხლებით განსაზღვრულ ობიექტებს შორის ტექნიკური კავშირი, რისთვისაც განისაზღვრება ერთი ან რამდენიმე ნიშანი, რომელსაც წვლილი შეაქვთ საგამომგონებლო დონეში და შემდგომ დგინდება მოიცავს თუ არა თითოეული დამოუკიდებელი მუხლი, სულ მცირე, ერთ ასეთ ან შესაბამის ნიშანს.

3. თუ დადგინდა, რომ გამოგონების ფორმულაში გადმოცემული რამდენიმე დამოუკიდებელი მუხლიდან, სულ მცირე, ერთი არ მოიცავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ნიშანს, ითვლება, რომ გამოგონების ფორმულით განცხადებულია ერთზე მეტი გამოგონება, რომლებიც ერთი საგამომგონებლო იდეით არ არიან გაერთიანებული.

4. თუ გამოგონების ფორმულა შეიცავს ერთ დამოუკიდებელ მუხლს და მასში მოყვანილი ალტერნატიული ნიშნები ფორმულის სხვა ნიშნებთან ერთობლიობაში უზრუნველყოფენ განსხვავებული ამოცანის გადაწყვეტას და/ან განსხვავებული ტექნიკური შედეგის მიღწევას, ითვლება, რომ გამოგონების ფორმულით განცხადებულია ერთზე მეტი გამოგონება, რომლებიც ერთი საგამომგონებლო იდეით არ არიან გაერთიანებული.

5. თუ გამოგონების ფორმულაში, რომელიც ეხება გამოგონების ობიექტის გამოყენებას, გამოყენებულია ალტერნატიული ცნებები, რომლებიც განსაზღვრავენ გამოყენების სხვადასხვა სფეროს, ითვლება, რომ გამოგონების ფორმულით განცხადებულია ერთზე მეტი გამოგონება, რომლებიც ერთი საგამომგონებლო იდეით არ არის გაერთიანებული.

6. თუ დადგინდა, რომ წარმოდგენილი ფორმულით განცხადებულია ერთზე მეტი გამოგონება, რომლებიც ერთი საგამომგონებლო იდეით არ არის გაერთიანებული, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ფორმულის დაზუსტების ან განაცხადის დაყოფის მოთხოვნით არსობრივი ექსპერტიზის საფასურის გადახდიდან 2 თვის ვადაში.

7. თუ განმცხადებელმა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები არ დააკმაყოფილა შეტყობინების მიღებიდან 2 თვის ვადაში, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 31. გამოგონების აღწერილობის სისრულის შემოწმება

1. გამოგონების აღწერილობის სისრულის შემოწმებისას დგინდება:

ა) გამოგონების აღწერილობის შესაბამისობა ამ ინსტრუქციის მე-6–მე-14 მუხლების მოთხოვნებთან;

ბ) გამოგონების აღწერილობაში გადმოცემულია თუ არა შინაარსი გამოგონების ფორმულის მიხედვით ისე, რომ შესაბამისი დარგის სპეციალისტისათვის ცხადი იყოს გამოგონების განხორციელების შესაძლებლობა;
გ) გამოგონების აღწერილობასა და ნახაზებში წარმოდგენილი ნიშნების ერთობლიობის შესაბამისობა გამოგონების ფორმულაში წარმოდგენილ ნიშნების ერთობლიობასთან;
დ) გადმოცემულია თუ არა გამოგონების ფორმულაში ნიშნები იგივე ცნებებით და ტერმინებით, რომლებიც მოყვანილია გამოგონების აღწერილობაში;
ე) ნიშნების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. კერძოდ, მიიღწევა თუ არა მათი ერთობლიობით გამოგონების აღწერილობაში აღნიშნული ან/და გამოგონების განხორციელებით დამდგარი შესაძლო შედეგი.

2. დაუშვებელია გამოგონების აღწერილობაში ისეთი ფართო ცნებების გამოყენება, რომელიც განუსაზღვრელს ხდის გამოგონების ობიექტს.

მუხლი 32. სამრეწველო გამოყენებადობის შეფასება

გამოგონების აღწერილობის შესწავლისას, გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობის შეფასების მიზნით მოწმდება:
ა) შეიცავს თუ არა განცხადებული გამოგონების მასალები მითითებას გამოგონების ობიექტის დანიშნულებაზე;
ბ) შესაძლებელია თუ არა გამოგონების იმ სახით განხორციელება, რა სახითაც არის დახასიათებული ფორმულის დამოუკიდებელ მუხლში, გამოგონების აღწერილობის დახმარებით ან პრიორიტეტის თარიღამდე ცნობილი მეთოდებით და/ან საშუალებებით;
გ) განაცხადის მასალებიდან (გამოგონების აღწერილობა, ფორმულა, ნახაზები) ნათლად დასტურდება თუ არა დასახული ამოცანის მიღწევის შესაძლებლობა;
დ) განაცხადში წარდგენილი ობიექტი ხომ არ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ კანონზომიერებებს.

მუხლი 33. პრიორიტეტის დადგენა

1. თუ არ არის მოთხოვნილი საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტი, განაცხადი სარგებლობს პრიორიტეტით საქპატენტში შემოტანის თარიღიდან.

2. განმცხადებელს, რომელსაც სურს საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობა, ვალდებულია შეასრულოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

3. პრიორიტეტის დადგენის საკითხი წყდება არსობრივი ექსპერტიზის პარალელურად.

4. საკონვენციო პრიორიტეტის თარიღის დასადგენად უნდა მოხდეს პარიზის კონვენციის ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყანაში ამ გამოგონებაზე ადრე შეტანილი პირველი განაცხადის დამოწმებული ასლის (ასლების) და საკონვენციო განაცხადის ერთმანეთთან შედარება. საქპატენტი უფლებამოსილია მოითხოვოს განაცხადის დამოწმებული ასლის ფორმულის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოგონების აღწერილობის ქართული თარგმანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრიორიტეტის დადგენის საკითხი გადამწყვეტია გამოგონების პატენტუნარიანობის განსაზღვრისთვის.

5. მოთხოვნილი პრიორიტეტი დასტურდება, თუ საქპატენტში წარდგენილ საკონვენციო განაცხადში აღწერილი ობიექტის ნიშნების ერთობლიობა მოცემულია დამოწმებული ასლის ფორმულაში ან/და აღწერილობაში ან/და ფიგურებში.
6. საკონვენციო განაცხადს პრიორიტეტის დამატებით თარიღად შეიძლება დაუდგინდეს საქპატენტში განაცხადის წარდგენის თარიღი, თუ აღნიშნული განაცხადის არსი პირველი განაცხადის არსთან ერთად დამატებით მოიცავს ნიშანს ან ნიშანთა ერთობლიობას.

7. საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის საკონვენციო პრიორიტეტი არ დგინდება, თუ საკონვენციო განაცხადის ან დამოწმებული ასლის (ასლების) წარდგენისას დაირღვა კანონით დადგენილი ვადები. ამ შემთხვევაში განაცხადის პრიორიტეტი აითვლება საქპატენტში შეტანის თარიღიდან და განაცხადი არ განიხილება საკონვენციოდ.

8. საგამოფენო პრიორიტეტის დასადგენად უნდა მოხდეს საერთაშორისო, ან საერთაშორისოდ მიჩნეულ გამოფენაზე ექსპონირებული ობიექტის დამადასტურებელი საბუთების შედარება საქპატენტში წარდგენილი გამოგონების ფორმულასთან.

9. საგამოფენო პრიორიტეტი დასტურდება, თუ გამოგონების ფორმულის ნიშნები წარმოდგენილია ექსპონირების შესახებ დოკუმენტაციაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პრიორიტეტი დგინდება განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღით.

მუხლი 34. ძიება

1. კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, გამოგონების სიახლისა და საგამომგონებლო დონის შესაფასებლად საქპატენტი ატარებს ძიებას.

2. ძიება ტარდება გამოგონების ფორმულის ყველა მუხლის მიმართ.

3. ძიება ტარდება სრული მოცულობით და შეიძლება შეწყდეს, როდესაც გამოვლენილი იქნება რამდენიმე დოკუმენტი, რომელშიც გახსნილია გამოგონების ნიშნების ერთობლიობა.

4. ძიების შედეგად ზუსტდება გამოგონების საერთაშორისო საკლასიფიკაციო ინდექსი.

5. ძიების შედეგების საფუძველზე ხდება ძიების ანგარიშის შედგენა, რომელიც მოიცავს ძიების შედეგად გამოვლენილი დოკუმენტების ჩამონათვალს. ძიების ანგარიშს თან ერთვის ძიების ისტორია, რომელშიც გადმოცემულია ძიების დროს გამოყენებული საძიებო ბრძანებები.

მუხლი 35. სიახლის ექსპერტიზა

1. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შემდეგ საქპატენტი ატარებს სიახლის ექსპერტიზას.

2. სიახლის ექსპერტიზის ჩატარებისას ხდება ექსპერტიზის დასკვნის შედგენა, რომელიც მოიცავს ძიების შედეგად გამოვლენილი დოკუმენტების ანალიზს, ასევე, იმის შეფასებას, არის თუ არა ტექნიკის დონით ცნობილი გამოგონების ფორმულაში მოყვანილი ნიშნების ერთობლიობა.

3. სიახლის შეფასებისას ძიების შედეგად გამოვლენილი თითოეული დოკუმენტის განხილვა

ხდება სხვა დოკუმენტებისაგან განცალკევებულად. თუ გამოვლენილი ტექნიკის დონის დოკუმენტში მითითებაა სხვა დოკუმენტზე, რომელიც, მაგალითად, გარკვეულ ნიშნებზე დაწვრილებით ინფორმაციას მოიცავს, მაშინ ითვლება, რომ აღნიშნულ სხვა დოკუმენტში გახსნილ ინფორმაციას მოიცავს გამოვლენილი ტექნიკის დონის დოკუმენტიც.

4. თუ ექსპერტიზის საფუძველზე გამოვლინდა დოკუმენტი, რომელშიც გახსნილია გამოგონების ფორმულაში მოყვანილი ნიშნების ერთობლიობა, იმ იმპლიციტური ნიშნების ჩათვლით, რომელიც დოკუმენტში არ არის მითითებული, მაგრამ დარგის სპეციალისტისთვის ცხადია მათი არსებობა, ექსპერტიზა გამოიტანს დასაბუთებულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ გამოგონება არ აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს, ხოლო თუ ასეთი დოკუმენტი არ გამოვლინდა, გამოიტანს დასაბუთებულ დასკვნას, რომ გამოგონება აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს.

5. თუ გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლი მოიცავს ალტერნატიულ ნიშნებს, რომლებითაც გამოხატულია გამოგონების ობიექტის განხორციელების რამდენიმე ალტერნატიული ფორმა, ჩაითვლება, რომ ფორმულის მუხლის ობიექტი მთლიანობაში არ აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს, თუ ექსპერტიზის საფუძველზე გამოვლინდა ობიექტი, რომელიც უკარგავს სიახლეს გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელ მუხლში ერთი ალტერნატიული ნიშნით გამოხატული ობიექტის განხორციელების ფორმას.

6. თუ ექსპერტიზის საფუძველზე გამოვლინდა საქპატენტში შეტანილი განაცხადი, რომელსაც აქვს უფრო ადრინდელი პრიორიტეტი და იგი ჯერ არ გამოქვეყნებულა (არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი), კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით, ექსპერტიზა შეჩერებული იქნება მის გამოქვეყნებამდე, რის შესახებ განმცხადებელს ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება.

7. თუ გამოგონება დახასიათებულია მისაღწევი შედეგით, სიახლის შეფასებისას აღნიშნულ ნიშნებს მნიშვნელობა არ ენიჭება.

8. პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) სიახლის შეფასებისას პროდუქტის დანიშნულებას მნიშვნელობა არ ენიჭება.

9. პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) შემთხვევაში, რომელიც დახასიათებულია მიღების ხერხით და ამასთანავე მისი აღწერა შესაძლებელია ნივთიერებისათვის ან კომპოზიციისათვის დამახასიათებელი ნიშნებით, სიახლის შეფასებისას მიღების ხერხს მნიშვნელობა არ ენიჭება.

10. თუ ნივთიერება დახასიათებულია ნივთიერების სისუფთავით, სიახლის შეფასებისას ნივთიერების სისუფთავეს მნიშვნელობა არ ენიჭება.

11. თუ ფარმაცევტული კომპოზიცია დახასიათებულია ფარმაკოკინეტიკური მახასიათებლებით, სიახლის შეფასებისას ამ მახასიათებლებს მნიშვნელობა არ ენიჭება.

12. ცნობილი პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) ახალი, არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენება აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს, თუ აღნიშნული გამოყენება არ არის ცნობილი ტექნიკის დონიდან.

13. ცნობილი პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) პირველი სამედიცინო გამოყენება აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს, თუ აღნიშნული სამედიცინო გამოყენება არ არის ცნობილი ტექნიკის დონიდან.
14. ცნობილი პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) მეორე ან შემდგომი სპეციფიკური სამედიცინო გამოყენება აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს, თუ აღნიშნული სპეციფიკური სამედიცინო გამოყენება არ არის ცნობილი ტექნიკის დონიდან. სპეციფიკური სამედიცინო გამოყენება გულისხმობს პროდუქტის კონკრეტული დაავადების სამკურნალოდ გამოყენებას ან ახალი სახით გამოყენებას, მაგალითად, ახალი დოზირების რეჟიმით, ახალი შეყვანის გზით, ახალ სამიზნე ჯგუფში გამოყენებას.

15. ამ მუხლის მე–13–მე–14–ე პუნქტებში განხილული შემთხვევების დროს, თუ გამოგონების ფორმულის მუხლი ფორმულირებული იქნება ე.წ. „შვეიცარიული ფორმულის“ სახით (მაგალითად, პროდუქტის X გამოყენება დაავადების Y სამკურნალო მედიკამენტის დასამზადებლად), ჩაითვლება, რომ გამოგონების ფორმულის შესაბამისი მუხლი არ აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს.

მუხლი 36. საგამომგონებლო დონის შეფასება
1. კანონის 35–ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც ატარებს ექსპერტიზას, ახდენს საგამომგონებლო დონის შეფასებას და შესაბამის შედეგს ასახავს ექსპერტიზის დასკვნაში. საგამომგონებლო დონის შეფასება მოიცავს ძიების შედეგად გამოვლენილი დოკუმენტების ანალიზს და იმის შეფასებას, გამოგონება დარგის სპეციალისტისათვის ცხადად გამომდინარეობს თუ არა ტექნიკის დონიდან.

2. თუ შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ გამოგონება დარგის სპეციალისტისათვის ცხადად გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან, ექსპერტიზა გამოიტანს დასაბუთებულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ გამოგონება არ აკმაყოფილებს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმს, ხოლო თუ დადგინდა, რომ გამოგონება დარგის სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან, გამოიტანს დასაბუთებულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ გამოგონება აკმაყოფილებს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმს.

3. საგამომგონებლო დონის შეფასებისას შესაძლებელია ძიების შედეგად გამოვლენილი ტექნიკის დონის რამდენიმე დოკუმენტის კომბინირებულად განხილვა.

4. გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ ის შესაბამისი დარგის სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან.

5. საკითხი ცხადად გამომდინარეობს თუ არა ტექნიკის დონიდან, გულისხმობს იმის გარკვევას ფორმულის მუხლის ობიექტის პრიორიტეტის თარიღისთვის დარგის სპეციალისტისთვის ცხადი თუ იქნებოდა მისულიყო იმ გადაწყვეტამდე, რაც მოექცეოდა ამ მუხლის დაცვის ფარგლებში, გამომდინარე ტექნიკის დონიდან, შესაბამისად, „ცხადად გამომდინარეობს“ ნიშნავს, რომ გამოგონება კი არ სცდება ტექნოლოგიის ნორმალურ პროგრესს, არამედ ტექნიკის დონიდან პირდაპირ და ლოგიკურად გამომდინარეობს.

6. ტექნიკის დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც განსახილველი განაცხადის პრიორიტეტის თარიღამდე საჯაროდ გახდა ხელმისაწვდომი წერილობით, ზეპირი აღწერით, გამოყენებით ან სხვა გზით.

7. საგამომგონებლო დონის შეფასებისთვის ტექნიკის დონეს არ მიეკუთვნება საქპატენტში გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადები და ევროპული საპატენტო განაცხადები, რომლებზეც გადახდილია ვალიდაციის საფასური, თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი იმ განაცხადთან შედარებით, რომლის საგამომგონებლო დონის შეფასება ხდება, და მათი გამოქვეყნება მოხდა განაცხადის პრიორიტეტის თარიღის შემდეგ.

8. დარგის ზოგადი ცოდნა შესაძლოა მომდინარეობდეს სხვადასხვა წყაროდან და არ არის დამოკიდებული სპეციფიკური დოკუმენტის გამოქვეყნებაზე კონკრეტულ დღეს.

9. საგამომგონებლო დონის შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პრობლემისა და მისი გადაწყვეტის მიდგომა, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) ტექნიკის დონის უახლოესი წყაროს განსაზღვრა;
ბ) ობიექტური ტექნიკური პრობლემის დადგენა;
გ) იმის განსაზღვრა, გამოგონება დარგის სპეციალისტისთვის ცხადად გამომდინარეობს თუ არა ტექნიკის დონის უახლოესი წყაროდან ობიექტური ტექნიკური პრობლემის გათვალისწინებით.

10. ტექნიკის დონის უახლოესი წყაროა ის დოკუმენტი, რომლიდანაც გამომდინარეობს ნიშნების კომბინაცია, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო საწყის პუნქტს სიცხადის საკითხის განსახილველად ან/და რომელში გახსნილი ობიექტიც საჭიროებს მინიმალურ სტრუქტურულ თუ ფუნქციონალურ მოდიფიკაციას იმისათვის, რომ მიღებული იყოს გამოგონების ობიექტი.

11. ობიექტური ტექნიკური პრობლემა შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ პრობლემისგან, რომელიც მითითებულია განაცხადში.

12. ობიექტური ტექნიკური პრობლემა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურად დადგენილ ფაქტებს, რომელსაც, მათ შორის, მოიცავს გამოვლენილი ტექნიკის დონის დოკუმენტი. ნებისმიერი შედეგი, რომელსაც აღწევს გამოგონების ობიექტი, შესაძლოა გამოყენებული იყოს ობიექტური ტექნიკური პრობლემის განსაზღვრისთვის.

13. შესაძლებელია ობიექტური ტექნიკური პრობლემის განსაზღვრა ახალ შედეგებზე დაყრდნობითაც, იმ პირობით, რომ დარგის სპეციალისტი ამ შედეგებს მიიჩნევდა თავდაპირველად შემოთავაზებულ ამოცანასთან დაკავშირებულად.

14. საგამომგონებლო დონის შეფასებამ უნდა უპასუხოს კითხვას, მოიძიება თუ არა ტექნიკის დონეში ისეთი სწავლება, რომელიც დარგის სპეციალისტს იმისკენ უბიძგებდა, ობიექტური ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტისათვის, ტექნიკის დონის უახლოესი წყაროს მოდიფიცირება მოეხდინა იმგვარად, რომ საბოლოო ჯამში მიეღო ობიექტი, რომელიც ექცევა გამოგონების ფორმულის დაცვის ფარგლებში და აღწევს იმავე შედეგს, რასაც აღწევს გამოგონება.

15. გამოგონების განხილვა უნდა მოხდეს მთლიანობაში. როდესაც გამოგონების ფორმულის მუხლი შეიცავს ნიშნების კომბინაციას, ცალკე აღებული ნიშნების შეფასება სიცხადის თვალსაზრისით არ უნდა მოხდეს. თუმცა, როცა მუხლი წარმოადგენს ნიშნების ხელოვნურ აგრეგაციას და არ წარმოადგენს ნიშნების კომბინაციას, საკმარისია იმის ჩვენება, რომ ცალკეული ნიშანი არის ცხადი იმის დასადასტურებლად, რომ ნიშნების აგრეგაციას არ

გააჩნია საგამომგონებლო დონე. ტექნიკური ნიშნების ერთობლიობა ჩაითვლება ნიშნების კომბინაციად, თუ ნიშნებს შორის ფუნქციური ურთიერთქმედებით მიიღწევა კომბინირებული ტექნიკური შედეგი, რომელიც განსხვავდება ცალკეული ნიშნების ტექნიკური შედეგების ჯამისგან. ანუ ცალკეული ნიშნების ურთიერთქმედებამ უნდა წარმოქმნას სინერგიული ეფექტი. თუ სინერგიული ეფექტი არ არის, მაშინ სახეზეა მხოლოდ ნიშნების აგრეგაცია.

16. მოულოდნელი ტექნიკური შედეგი შეიძლება ჩაითვალოს საგამომგონებლო დონის ინდიკატორად.

17. თუ გამოგონება წყვეტს ტექნიკურ პრობლემას, რომლის გადაჭრასაც დარგის სპეციალისტები დიდი ხნის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს არის საგამომგონებლო დონის ინდიკატორი.

18. ცალკე აღებული კომერციული წარმატება არ შეიძლება ჩაითვალოს საგამომგონებლო დონის ინდიკატორად, თუმცა, როდესაც მყისიერი კომერციული წარმატების მტკიცებულებას თან ერთვის დიდი ხნის საჭიროების მტკიცებულება, მაშინ სახეზეა საგამომგონებლო დონის ინდიკატორი, თუ კომერციული წარმატება გამომდინარეობს გამოგონების ტექნიკური ნიშნებიდან და არ არის გამოწვეული სხვა მიზეზებით, მაგალითად, მარკეტინგით.

19. ნიშნები, რომლებიც დამოუკიდებლად ან სხვა ნიშნებთან კომბინაციაში ვერ უზრუნველყოფენ გამოგონების ტექნიკურ ხასიათში წვლილის შეტანას, საგამომგონებლო დონის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.

20. საგამომგონებლო დონის შეფასებისას დასაშვებია გამოვლენილ დოკუმენტთან შესაბამის დარგში არსებული ზოგადი ცოდნის გაერთიანება.

21. გამოგონებას არ გააჩნია საგამომგონებლო დონე, თუ:
ა) გამოგონება განსხვავდება ტექნიკის დონისაგან მხოლოდ ცნობილი ეკვივალენტების გამოყენებით;
ბ) გამოგონება ეხება მხოლოდ ცნობილი მასალის ახალ გამოყენებას, რომელშიც გამოყენებულია ამ მასალის ცნობილი თვისებები;
გ) გამოგონება ეხება ცნობილ მოწყობილობაში ახლად შექმნილი მასალის გამოყენებას, რომლის თვისებები თვალსაჩინოდ ხდის მასალას ამგვარი გამოყენებისათვის;
დ) გამოგონება ეხება მხოლოდ ცნობილი ტექნიკური პროცესის გამოყენებას ანალოგიურ სიტუაციაში.

22. ცნობილი ნივთიერების ახალი კრისტალური ფორმისთვის, საგამომგონებლო დონის კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მონაცემი, რომელიც დაადასტურებს ნივთიერების ახალი კრისტალური ფორმით განპირობებულ მოულოდნელ ეფექტს, ნივთიერების ტექნიკის დონიდან ცნობილ ამორფულ ან/და კრისტალურ ფორმებთან შედარებით.

23. ცნობილი პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) ახალი, არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენება აკმაყოფილებს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმს, თუ აღნიშნული გამოყენება არ არის ცხადი ტექნიკის დონიდან.

24. ცნობილი პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) პირველი სამედიცინო გამოყენება აკმაყოფილებს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმს, თუ აღნიშნული სამედიცინო გამოყენება არ არის ცხადი ტექნიკის დონიდან.

25. ცნობილი პროდუქტის (ნივთიერება ან კომპოზიცია) მეორე ან შემდგომი სპეციფიკური სამედიცინო გამოყენება აკმაყოფილებს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმს, თუ აღნიშნული სპეციფიკური სამედიცინო გამოყენება არ არის ცხადი ტექნიკის დონიდან.

26. გამოგონების ფორმულის მუხლის ე.წ. „შვეიცარიული ფორმულის“ სახით (მაგალითად, პროდუქტის X გამოყენება დაავადების Y სამკურნალო მედიკამენტის დასამზადებლად) ფორმულირების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ გამოგონების ფორმულის შესაბამისი მუხლი არ აკმაყოფილებს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმს, თუ პროდუქტი (ნივთიერება ან კომპოზიცია) ცხადად გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან.

მუხლი 37. ძიების ანგარიში და ექსპერტიზის დასკვნა

1. ძიების შედეგად შედგენილი ძიების ანგარიში, თანდართული ძიების ისტორიით, ასევე, სიახლისა და საგამომგონებლო დონის ექსპერტიზის, აგრეთვე, ინსტრუქციის 27-ე-33-ე მუხლების მიხედვით ჩატარებული შეფასების საფუძველზე შედგენილი ექსპერტიზის დასკვნა ეგზავნება განმცხადებელს არსობრივი ექსპერტიზის საფასურის გადახდიდან 2 თვის ვადაში.

1^1. იმ შემთხვევაში, თუ გამოგონების ფორმულის მუხლები ეხება ობიექტს, რომელიც, საქართველოს საპატენტო კანონის მე-16 მუხლის თანახმად, არ მიიჩნევა გამოგონებად, ფორმულის შესაბამისი მუხლების პატენტუნარინობის კრიტერიუმები არ ფასდება. აღნიშნული გარემოებისა და მისი განმაპირობებელი მიზეზების შესახებ განმარტება კეთდება ექსპერტიზის დასკვნაში.

1^2. იმ შემთხვევაში, თუ გამოგონების ფორმულის მუხლები ეხება ობიექტს, რომელზეც, საქართველოს საპატენტო კანონის მე-17 მუხლის თანახმად, არ გაიცემა პატენტი, ფორმულის შესაბამისი მუხლების პატენტუნარინობის კრიტერიუმები არ ფასდება. აღნიშნული გარემოებისა და მისი განმაპირობებელი მიზეზების შესახებ განმარტება კეთდება ექსპერტიზის დასკვნაში.

2. ძიების ანგარიშთან და ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით განმცხადებელს მისი მიღებიდან 2 თვის ვადაში უფლება აქვს:
ა) დაეთანხმოს დასკვნას;
ბ) წარმოადგინოს დასაბუთებული შეპასუხება;
გ) შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე მოითხოვოს ცვლილების შეტანა გამოგონების ფორმულაში.

3. განმცხადებლის დასაბუთებულ შეპასუხებასთან დაკავშირებით საქპატენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თუ საქპატენტი მიიჩნევს, რომ ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, განაცხადი ვერ მოვიდა შესაბამისობაში კანონთან ან ამ ინსტრუქციასთან ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით, საქპატენტი იღებს უარყოფით გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის შესახებ.

4. თუ განმცხადებელმა წარმოადგინა ფორმულის შეცვლილი რედაქცია, რომელიც არ სცილდება განაცხადში წარმოდგენილი გამოგონების არსს, ექსპერტიზა გრძელდება გამოგონების ფორმულაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.

5. თუ გამოგონების ფორმულაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გამოვლინდა ახალი მუხლ(ებ)ი, განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს არსობრივი ექსპერტიზის სათანადო საფასური. თუ გამოგონების ფორმულა მოიცავს ისეთ მუხლებს, რომლებზეც არ ჩატარებულა ძიება, უნდა გაიცეს ახალი ძიების ანგარიში და ექსპერტიზის დასკვნა.

6. თუ განმცხადებელმა წარმოადგინა ფორმულის შეცვლილი რედაქცია, რომელიც სცილდება განაცხადში წარმოდგენილი გამოგონების არსს, წარმოდგენილი ცვლილება არ მიიღება მხედველობაში, რის შესახებაც ეცნობება განმცხადებელს.

7. საქპატენტს გამოაქვს გადაწყვეტილება პატენტის გაცემის შესახებ (უარყოფითი ან დადებითი) იმ შემთხვევაშიც, როცა ინსტრუქციის ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს პასუხს.

8. იმ შემთხვევაში, როდესაც ინსტრუქციის ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს პასუხს და არსებობს პატენტის გაცემაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, აღნიშნული ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საქპატენტი იღებს უარყოფით გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის თაობაზე.

მუხლი 38. დადებითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემის შესახებ

1. თუ განაცხადი აკმაყოფილებს კანონითა და ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საქპატენტი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის თაობაზე.

2. პატენტის გაცემის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებამდე, საქპატენტი გამოგონების აღწერილობას, გამოგონების ფორმულას და ნახაზებს, თუ ისინი მითითებულია გამოგონების აღწერილობაში, უგზავნის განმცხადებელს შესათანხმებლად.

3. განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება პატენტის რეგისტრაციის საფასურის გადახდის თაობაზე და საფასურის გადასახდელად განესაზღვრება ორთვიანი ვადა შეტყობინების მიღებიდან.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული საფასურის გადახდის შემთხვევაში, თუ განმცხადებელი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ორი თვის ვადაში წერილობით გამოხატავს თანხმობას ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას, თანხმობის წარმოდგენიდან ან 2-თვიანი ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საქპატენტი პატენტს გასცემს განმცხადებლისთვის გადაგზავნილი გამოგონების აღწერილობის, გამოგონების ფორმულისა და ნახაზების (თუ ისინი მითითებულია გამოგონების აღწერილობაში) საფუძველზე.

5. თუ განმცხადებელი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ორი თვის ვადაში მოითხოვს გამოგონების აღწერილობაში, გამოგონების ფორმულასა და ნახაზებში (თუ ისინი მითითებულია გამოგონების აღწერილობაში) დამატებების ან/და ცვლილებების შეტანას, საქპატენტი 10 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს აღნიშნულ მოთხოვნას და მიიღებს

შესაბამის გადაწყვეტილებას მათი გათვალისწინების შესახებ.
6. პატენტის რეესტრში რეგისტრაციის საფასურის ამ მუხლის მე–3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, განაცხადზე საქმის წარმოება შეწყდება და განმცხადებელს ეგზავნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

მუხლი 39. პატენტის რეგისტრაცია, პატენტის გამოქვეყნება და საპატენტო სიგელის გაცემა

1. საქპატენტს პატენტის გაცემის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში პატენტის შესახებ მონაცემები შეაქვს რეესტრში. პატენტის შესახებ ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს აქვეყნებს უახლოეს ბიულეტენში. ბიულეტენში გამოქვეყნების დღეს პატენტის აღწერილობას (გამოგონების აღწერილობა, გამოგონების ფორმულა, ნახაზები (არსებობის შემთხვევაში), რეფერატი) აქვეყნებს რეესტრში და გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში გასცემს საპატენტო სიგელს პატენტის აღწერილობასთან ერთად.

2. საპატენტო სიგელი აღწერილობასთან ერთად აისახება ელექტრონულ სისტემაში. განაცხადზე მატერიალური ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მფლობელს გადაეცემა მატერიალური ფორმით, ხოლო ელექტრონული ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მოწმობა მატერიალური ფორმით გაიცემა მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 40. გაცემულ პატენტში ცვლილებების შეტანა

1. პატენტის მფლობელს უფლება აქვს კანონის 40^1 მუხლის საფუძველზე მოითხოვოს გაცემული პატენტის აღწერილობაში ცვლილებების შეტანა, მექანიკური შეცდომების გასწორების მიზნით.

2. განცხადებაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული ის მექანიკური შეცდომები, რომლებიც უნდა იქნეს გასწორებული და დასაბუთება, რომ ასეთი ცვლილებები ნათლად გამომდინარეობს აღნიშნული დოკუმენტაციის შინაარსიდან და აშკარაა, რომ სხვა რამ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ნაგულისხმევი. ცვლილებამ არ უნდა გააფართოოს დაცვის ფარგლები.

3. საქპატენტი 1 თვის ვადაში განიხილავს განცხადებას და გამოაქვს გადაწყვეტილება:
ა) განცხადებაზე უარის თქმის შესახებ;
ბ) განცხადებაში მითითებული მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

4. იმ შემთხვევაში, თუ გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე, საქპატენტს ერთი თვის ვადაში რეესტრის მონაცემებში შეაქვს შესაბამისი ცვლილება და იმავდროულად აქვეყნებს შეცვლილ საპატენტო მონაცემებს ბიულეტენში, რის შესახებაც ეცნობება პატენტის მფლობელს.

5. თუ მექანიკური შეცდომების გასწორება მოითხოვს მრავალი გვერდის შეცვლას, საქპატენტი ამზადებს და გასცემს ახალ შესწორებულ საპატენტო სიგელს პატენტის აღწერილობასთან ერთად.

6. თუ მექანიკური შეცდომების რაოდენობა უმნიშვნელოა, მაშინ პატენტში იცვლება მხოლოდ ის გვერდები, რომლებიც საჭიროებს შესწორებას. ყველა შეცვლილი გვერდი დასტურდება ბეჭდით და უკეთდება შესაბამისი მინაწერი.

მუხლი 41. გამოქვეყნებულ განაცხადში ან პატენტში ცვლილებებისა და უფლებების გადაცემის რეგისტრაცია

1. გამოქვეყნებულ განაცხადში ან პატენტში განმცხადებლის ან პატენტის მფლობელის სახელის (დასახელების) ან/და მისამართის ცვლილება ან უფლებების გადაცემა რეგისტრირდება რეესტრში, შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ 1 თვის განმავლობაში.

2. განცხადება ცვლილების ან უფლებების გადაცემის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

3. ცვლილების შემთხვევაში განცხადებას უნდა ახლდეს განმცხადებლის ან პატენტის მფლობელის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტები, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან“, ან მისი ტოლფასი სხვა დოკუმენტი.

4. უფლებების გადაცემის შემთხვევაში განცხადებას უნდა ახლდეს:
ა) უფლებების გადაცემის აქტი;
ბ) ყველა განმცხადებლის ან მფლობელის თანხმობა, თუ განმცხადებელი ან პატენტის მფლობელი რამდენიმე პირია.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლილება ან უფლებების გადაცემა საქპატენტს წარედგინება წარმომადგენლის მიერ, განცხადებას უნდა ახლდეს განმცხადებლის ან პატენტის მფლობელის მიერ გაცემული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ცვლილება მხედველობაში არ მიიღება.

6. გამოქვეყნებულ განაცხადში განხორციელებული ცვლილება და უფლებების გადაცემა ქვეყნდება ბიულეტენში და საპატენტო სიგელი პატენტის აღწერილობასთან ერთად გაიცემა პატენტის ახალი მფლობელის სახელზე (დასახელებაზე).

7. პატენტში განხორციელებული ცვლილება ან უფლებების გადაცემა ქვეყნდება ბიულეტენში და გაიცემა პატენტის დანართი.

8. დანართი იბეჭდება საქპატენტის ბლანკზე, ხელს აწერს საქპატენტის თავმჯდომარე და დასტურდება ბეჭდით.

9. დანართში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია: პატენტის ნომერი, დასახელება, პატენტის ყოფილი და ახალი მფლობელის ვინაობა და მისამართი.

მუხლი 42. განაცხადის და პატენტის ძალაში შენარჩუნება

1. განაცხადის ან პატენტის ძალაში შესანარჩუნებლად განმცხადებელი/პატენტის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს განაცხადის ან პატენტის ძალაში შენარჩუნების წლიური საფასური დაწყებული მესამე წლიდან განაცხადის შეტანის თარიღიდან.

2. განაცხადის ძალაში შენარჩუნების საფასურის გადახდა უნდა მოხდეს იმ წლის დაწყებამდე,

რომლისთვისაც გადაიხდება ძალაში შენარჩუნების საფასური, შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 2 თვის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადზე საქმის წარმოება შეწყდება.

3. პატენტის ძალაში შენარჩუნების წლიური საფასური გადახდილი უნდა იქნეს შესანარჩუნებელი წლის დაწყებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში პატენტის მოქმედება უქმდება.

4. გაუქმებული პატენტის აღსადგენად პატენტის მფლობელს ეძლევა 6-თვიანი საშეღავათო ვადა – შესანარჩუნებელი წლის პირველი 6 თვე, როდესაც პატენტის მფლობელი გადაიხდის შესანარჩუნებელი წლის საფასურს. ამ ვადის გასვლის შემდეგ მას ეძლევა კიდევ 6-თვიანი ვადა, როდესაც პატენტის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს პატენტის აღდგენისა და ძალაში შენარჩუნების საფასური.

5. თუ წლიური საფასური არ იქნება გადახდილი ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ ვადებში, პატენტი გაუქმებულად მიიჩნევა პატენტის მოქმედების ვადის გასვლის დღიდან.

6. ინფორმაცია პატენტის მოქმედების შეწყვეტის, აღდგენის და გაუქმების შესახებ შეიტანება რეესტრში.

7. ინფორმაცია პატენტის მოქმედების შეწყვეტისა და აღდგენის შესახებ შეიძლება გაეგზავნოს პატენტის მფლობელს.

8. ინფორმაცია პატენტის მოქმედების გაუქმების შესახებ ქვეყნდება ბიულეტენში.

9. პატენტის მოქმედება აღდგენილად მიიჩნევა აღდგენის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან.

თავი IV
პროცედურული საკითხები

მუხლი 43. პროცედურული ვადების გაგრძელება და აღდგენა

1. განაცხადზე საქმისწარმოებისას კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს უფლება აქვს მოითხოვოს:
ა) განაცხადის განხილვის შეჩერება, ყოველ ჯერზე არაუმეტეს 6 თვის ვადით. შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში, განაცხადის განხილვის შეჩერების ვადის ამოწურვის შემდეგ, განმცხადებელს კვლავ აქვს უფლება მოითხოვოს განაცხადის განხილვის შეჩერება. განაცხადის განხილვის შეჩერება არ იწვევს საფასურის გადახდის ვადის გახანგრძლივებას;
ბ) საქპატენტის შეტყობინებაზე ან ექსპერტიზის დასკვნაზე პასუხის გასაცემად დადგენილი ვადის გაგრძელება არაუმეტეს 6 თვისა. შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში, აღნიშნული 6-თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, განმცხადებელს კვლავ აქვს უფლება მოითხოვოს პასუხის გასაცემად დადგენილი ვადის გაგრძელება;
გ) ვადის დარღვევის გამო განაცხადთან დაკავშირებული დაკარგული უფლებების აღდგენა, რაც შესაძლებელია უფლების დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 6 თვის განმავლობაში;

დ) საქპატენტის მიერ პატენტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების (დადებითი ან უარყოფითი) გამოტანამდე, წარდგენილ საგანაცხადო მასალებში ცვლილებების შეტანა, თუ ეს ცვლილებები არ სცილდება განაცხადის შეტანისას მისი შინაარსის ფარგლებს.

1^1. საქპატენტი ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში 10 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს მოთხოვნას და განმცხადებელს უგზავნის შეტყობინებას საფასურის გადახდის შესახებ ან გამოიტანს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

1^2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ქმედებებისათვის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს საფასურის გადახდის შესახებ საქპატენტის შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში, ხოლო „დ“ ქვეპუნქტში მითითებული ქმედებისათვის – შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში.

2. (ამოღებულია – 29.05.25, №14).

3. საქპატენტს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ მოთხოვნებზე გადაწყვეტილება გამოაქვს საფასურის გადახდიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. განმცხადებლის მიერ პროცედურული ვადის გაგრძელების თაობაზე მოთხოვნის შემთხვევაში, პროცედურული ვადის ათვლა ჩერდება მოთხოვნილი ვადის გასვლამდე.

5. საერთაშორისო განაცხადის ეროვნულ ფაზაში შესვლის ვადის საპატიო მიზეზით დარღვევის გამო განაცხადთან დაკავშირებული უფლებების აღდგენის შესახებ მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს აღნიშნული პროცედურული ვადის დარღვევის მიზეზთა აღმოფხვრიდან 2 თვის განმავლობაში. პროცედურული ვადის ამოწურვიდან 12-თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მოთხოვნის წარმოდგენა აღარ არის შესაძლებელი. მოთხოვნას თან უნდა ერთოდეს შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ ვადის გაშვების საპატიო საფუძვლის არსებობას.

მუხლი 44. გამოყოფილი განაცხადი

1. თუ გამოგონების აღწერილობაში ან ფორმულაში წარმოდგენილია რამდენიმე ობიექტი, განმცხადებელს უფლება აქვს ექსპერტიზის მსვლელობისას საკუთარი ინიციატივით დაყოს წარდგენილი განაცხადი მასში შემავალ ნაწილებად და წარადგინოს გამოყოფილი განაცხადი კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.

2. გამოყოფილ განაცხადს უნარჩუნდება პირველი განაცხადის შეტანის თარიღი და პრიორიტეტი.

3. გამოყოფილი განაცხადის წარდგენა დასაშვებია საქპატენტის მიერ პატენტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების (დადებითი ან უარყოფითი) მიღებამდე.

მუხლი 45. განაცხადის გარდაქმნა

1. განმცხადებელს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით გარდაქმნას განაცხადი გამოგონებაზე

განაცხადად სასარგებლო მოდელზე და პირიქით. განმცხადებელს, რომელსაც სურს განაცხადი გამოგონებაზე გარდაქმნას განაცხადად სასარგებლო მოდელზე, უნდა წარადგინოს განცხადება ამის შესახებ პატენტის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოგონების განაცხადი ეხება გამოგონებათა ჯგუფს, მაშინ ასეთი განაცხადის სასარგებლო მოდელის განაცხადად გარდაქმნის შემთხვევაში, განმცხადებელმა განცხადებაში უნდა მიუთითოს, თუ ჯგუფის რომელი ობიექტისათვის სურს ასეთი გარდაქმნის განხორციელება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ გარდაქმნა მოითხოვება პირველ დამოუკიდებელ მუხლში მოყვანილი ობიექტის მიმართ.

მუხლი 46. განაცხადის გამოთხოვა

განმცხადებელს უფლება აქვს განაცხადის გამოსაქვეყნებლად გადაცემამდე გამოითხოვოს განაცხადი. ამ შემთხვევაში საქპატენტს გამოაქვს გადაწყვეტილება განმცხადებლის მოთხოვნით განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 47. სამრეწველო საკუთრების რეესტრის მონაცემების საჯაროობა

სამრეწველო საკუთრების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო მონაცემები ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის.

მუხლი 48. განაცხადის დამოწმებული ასლის მოთხოვნა

1. განმცხადებელს განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურების შემდეგ უფლება აქვს მოითხოვოს საგანაცხადო მასალების დამოწმებული ასლი.

2. მოთხოვნა საგანაცხადო მასალების დამოწმებული ასლის მიღების შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

3. საგანაცხადო მასალების დამოწმებულ ასლს საქპატენტი გასცემს წერილობითი ფორმით მიმართვიდან 1 თვის ვადაში. განმცხადებლის მოთხოვნით, საქპატენტი დოკუმენტს გასცემს, ასევე, „DAS“ სისტემის მეშვეობით.

მუხლი 49. დუბლიკატის გაცემა

1. პატენტის მფლობელის მოთხოვნით დასაშვებია პატენტზე გაიცეს დუბლიკატი.

2. პატენტის დუბლიკატის გაცემის თაობაზე განცხადება შეუძლია წარმოადგინოს პატენტის მფლობელმა ან წარმომადგენელმა შესაბამისი *წარმომადგენლობის* უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

3. დუბლიკატი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ პატენტი ძალაშია.

4. დუბლიკატი გაიცემა საფასურის გადახდის დღიდან 1 თვის ვადაში.

5. პატენტის დუბლიკატი გაიცემა დამცავი დოკუმენტის სახით (საპატენტო სიგელი და პატენტის აღწერილობა) ამ დუბლიკატის გაცემის პერიოდისათვის მოქმედი ფორმით და ზემოთ მარჯვენა კუთხეში დასტურდება შტამპით „დუბლიკატი“.

მუხლი 50. პატენტის გამოყენებაზე კერძო ლიცენზიის ხელშეკრულების რეგისტრაცია

1. კანონის 59–ე მუხლის შესაბამისად, პატენტის მფლობელს უფლება აქვს გასცეს კერძო ლიცენზია პატენტის გამოყენებაზე.

2. პატენტის გამოყენებაზე კერძო ლიცენზიის ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის საჭიროა წარმოდგენილ იქნეს:

ა) განცხადება კერძო ლიცენზიის ხელშეკრულების რეგისტრაციაზე;

ბ) კერძო ლიცენზიის ხელშეკრულება;

გ) ლიცენზიარის და ლიცენზიატის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტები, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან“ ან მათი ტოლფასი სხვა დოკუმენტი.

3. კერძო ლიცენზიის ხელშეკრულების რეგისტრაცია ითვალისწინებს ლიცენზიის ნომრის მინიჭებას არაბული ციფრებით, გამჭოლი ნუმერაციით და მიეწერება ლიცენზიის სახეობის შემოკლებული ლათინური აღნიშვნა.

4. კერძო ლიცენზია შეიძლება იყოს ექსკლუზიური (Exclusive – E) და არაექსკლუზიური (Non–Exclusive).

5. კანონის მე–60 მუხლის შესაბამისად, პატენტის მფლობელს შეუძლია გამოაცხადოს ღია ლიცენზირების რეჟიმი (Open – O), თუ პატენტზე არ არის გაცემული ექსკლუზიური კერძო ლიცენზია.

6. რეგისტრირებულ სალიცენზიო ხელშეკრულებაზე გაიცემა ამონაწერი რეესტრიდან.

7. ამ მუხლის მე–6 პუნქტით გათვალისწინებულ ამონაწერის გაცემაზე საფასური არ გადაიხდება.

8. რეესტრში რეგისტრირებული კერძო ლიცენზიის ხელშეკრულების შესახებ მონაცემები ქვეყნდება ბიულეტენში.

9. რეგისტრირებულ სალიცენზიო ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები რეგისტრირდება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში.

მუხლი 51. პატენტის გირავნობის ხელშეკრულება

1. კანონის 62^{1} მუხლის თანახმად, პატენტის მფლობელს უფლება აქვს დადოს პატენტის გირავნობის ხელშეკრულება.

2. პატენტის გირავნობის ხელშეკრულების ნამდვილობა ხელშეკრულების მხარეებმა შესაძლოა დაამოწმონ სანოტარო წესით.

3. პატენტის გირავნობის ხელშეკრულება რეგისტრირდება საქპატენტში და მონაცემები ქვეყნდება ბიულეტენში.

4. პატენტის გირავნობის ხელშეკრულება წარდგენილი უნდა იქნეს საქპატენტში, პატენტის

გირავნობის ხელშეკრულების დადებიდან 1 თვის განმავლობაში.

5. პატენტის გირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაცია რეესტრში უნდა მოხდეს გირავნობის ხელშეკრულების წარდგენიდან 1 თვის განმავლობაში.

6. პატენტის გირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის საჭიროა წარმოდგენილ იქნეს:
ა) განცხადება პატენტის გირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაციაზე;
ბ) პატენტის გირავნობის ხელშეკრულება;
გ) პატენტის მფლობელ(ებ)ის და მოგირავნის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტები, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან“.

მუხლი 52. ამონაწერი რეესტრიდან

1. პატენტის მფლობელს ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ამონაწერი რეესტრიდან.

2. რეესტრიდან ამონაწერის მისაღებად გადაიხდება დადგენილი საფასური. საფასური გადახდილი უნდა იქნეს საქპატენტში მოთხოვნის წარდგენისთანავე. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება ამ ინსტრუქციის 50–ე მუხლის მე–6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევაზე.

3. ამონაწერი გაიცემა მოთხოვნის შესაბამისი საფასურის გადახდიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. ამონაწერი რეესტრიდან უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
ა) საქმის ნომერი;
ბ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი;
გ) განაცხადის სტატუსი;
დ) განაცხადის ნომერი;
ე) განაცხადის შეტანის თარიღი;
ვ) რეგისტრაციის თარიღი;
ზ) საპრიორიტეტო მონაცემები;
თ) საერთაშორისო განაცხადის ეროვნული ფაზის დაწყების თარიღი;
ი) საერთაშორისო განაცხადის ნომერი და შეტანის თარიღი;
კ) საერთაშორისო განაცხადის გამოქვეყნების ნომერი და თარიღი;
ლ) განმცხადებელი;
მ) გამომგონებელი;
ნ) მფლობელი;
ო) წარმომადგენელი;
პ) განაცხადის გამოქვეყნების ნომერი და თარიღი;
ჟ) პატენტის ნომერი და გამოქვეყნების თარიღი;
რ) საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსი;
ს) დასახელება;
ტ) შემოტანილი პატენტის ნომერი და თარიღი;
უ) ძირითადი განაცხადის ნომერი (შემოტანილი პატენტის შემთხვევაში);

ფ) პატენტზე განხორციელებული ცვლილებების, უფლებების გადაცემის, ლიცენზიის გაცემის და გირავნობის შესახებ;
ქ) პატენტის სტატუსი.

5. რეესტრიდან ამონაწერი გაიცემა უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

მუხლი 53. ძიება რეესტრში

1. ნებისმიერ პირს უფლება აქვს გაეცნოს რეესტრის საჯარო მონაცემებს.

2. მონაცემები ხელმისაწვდომია როგორც ბიულეტენის, ასევე, საქპატენტის ვებგვერდის მეშვეობით.

3. თუ დაინტერესებულ პირს სურს ინფორმაცია მიიღოს საქპატენტისაგან, განცხადება ძიების ჩატარების შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს საქპატენტში წერილობითი ფორმით.

4. რეესტრი ძიებას ატარებს ბიბლიოგრაფიული მონაცემების მიხედვით: განაცხადის ნომერი, პატენტის ნომერი, საერთაშორისო ნომერი, მფლობელი, გამომგონებელი, დასახელება.

მუხლი 54. მომსახურების საფასური

1. თუ კანონით ან ამ ინსტრუქციით სხვა რამ არ არის დადგენილი, კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებისათვის საფასურის გადახდა ხდება მოთხოვნისთანავე, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

2. დადგენილ ვადებში საფასურის გადაუხდელობა იწვევს განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტას.

3. საფასურის გადახდის ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

4. თუ განაცხადი შეტანილია რამდენიმე განმცხადებლის მიერ, რომელთაგან ერთ-ერთზე მაინც ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საფასურებთან დაკავშირებული შეღავათი, შესაბამისი ქმედებისთვის საფასური გადაიხდება აღნიშნული შეღავათით.

5. თუ განაცხადი შეტანილია რამდენიმე განმცხადებლის მიერ და მათზე ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის შეღავათი, შესაბამისი ქმედებისათვის გადაიხდება საფასური უფრო მეტი შეღავათით.

6. განმცხადებლის მიერ საფასურის გადახდა უნდა მოხდეს საქპატენტის საბანკო ანგარიშზე.

7. თუ განმცხადებელი არის პირი, რომელიც „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №182 დადგენილების მე-6 მუხლის საფუძველზე სარგებლობს შეღავათით, ის ვალდებულია წელიწადში ერთხელ (ვადის ათვლა წარმოებს განაცხადის წარდგენის თარიღიდან) საქპატენტში წარმოადგინოს იმ სტატუსის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ამ შეღავათის მიღების

საფუძველია. სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს საქპატენტში წარმოდგენამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

მუხლი 55. გადახდილი თანხების დაბრუნება

საფასურით გათვალისწინებული გადახდილი თანხები დაბრუნებას ან კორექტირებას არ ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საფასური არასწორად იყო გადახდილი.

თავი V
საერთაშორისო განაცხადის მიღება აღნიშნული ან არჩეული უწყების როლში

მუხლი 56. საერთაშორისო განაცხადის ეროვნულ ფაზაში შესვლა

1. იმ საერთაშორისო განაცხადის შემთხვევაში, რომლისთვისაც საქპატენტი მოქმედებს როგორც აღნიშნული ან არჩეული უწყება, გამოგონების პატენტის ან სასარგებლო მოდელის რეგისტრაციის მოწმობის მისაღებად ეროვნულ ფაზაში შესვლის ვადა შეადგენს 31 თვეს პრიორიტეტის თარიღიდან.

2. ეროვნული ფაზის დაწყებისთვის ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ვადაში განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს განცხადება პატენტის გაცემის თაობაზე ან სასარგებლო მოდელის რეგისტრაციის თაობაზე. რეკომენდებულია საქპატენტის მიერ დადგენილი განცხადების ფორმების გამოყენება.

3. ეროვნული ფაზის დაწყებიდან 2 თვის ვადაში განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს საერთაშორისო განაცხადის თავდაპირველი რედაქციის ქართული თარგმანი, რომელიც მოიცავს აღწერილობას, გამოგონების ფორმულას, ნახაზებს (თუ ისინი მითითებულია გამოგონების აღწერილობაში) და რეფერატს, ან თუ საერთაშორისო ფაზაში საგანაცხადო მასალებში შევიდა ცვლილება და განმცხადებელს სურს საქპატენტში ექსპერტიზა ჩატარდეს განაცხადის შეცვლილ მასალებზე, მაშინ განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს საერთაშორისო განაცხადის შეცვლილი რედაქციის ქართული თარგმანი, რომელიც მოიცავს აღწერილობას, გამოგონების ფორმულას, ნახაზებს და რეფერატს.

4. ეროვნული ფაზის დაწყებიდან 1 თვის ვადაში განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასური. გადაუხდელობის შემთხვევაში განაცხადზე საქმის წარმოება შეწყდება.

5. ეროვნულ ფაზაში შესულ საერთაშორისო განაცხადზე ექსპერტიზა ხორციელდება საქართველოს საპატენტო კანონისა და ამ ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.

6. ეროვნულ ფაზაში შესული საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღად მიიჩნევა საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღი.

7. ეროვნულ ფაზაში შესული საერთაშორისო განაცხადის გამოქვეყნება ხდება ქართულ ენაზე თარგმანის წარდგენის შემდგომ უახლოეს ბიულეტენში, თუ პრიორიტეტის თარიღიდან გასულია 18 თვე და თუ გადახდილია ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასური.

თავი VI
ხელახალი ექსპერტიზა, პატენტის ბათილად ცნობა

მუხლი 57. პატენტის ხელახალი ექსპერტიზა

1. ნებისმიერ პირს უფლება აქვს პატენტის მოქმედების ვადის განმავლობაში მოითხოვოს საქპატენტის მიერ გაცემულ პატენტზე ან ვალიდირებულ ევროპულ პატენტზე ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება პატენტის ბათილად ცნობის მიზნით.

2. ხელახალი ექსპერტიზა არ ტარდება, თუ მიმდინარეობს სასამართლო დავა.

3. განცხადებას პატენტის ხელახალი ექსპერტიზის შესახებ უნდა ერთოდეს კანონის 42^1 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული საბუთები.

4. თუ განცხადება პატენტის ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ წარმოდგენილია წარმომადგენლის მიერ, მას უნდა ერთოდეს განმცხადებლის მიერ გაცემული, წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. საქპატენტის თავმჯდომარე, კანონის 42^1 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების საქპატენტის მიერ წარმოებაში მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ბრძანებით ქმნის საექსპერტო კოლეგიას (შემდეგში – კოლეგია) ხელახალი ექსპერტიზის ჩასატარებლად.

6. კოლეგია შედგება სამი წევრისგან, რომელთაგან ორი გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის თანამშრომელია. კოლეგიაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს, ან მას დაინტერესებულ მხარესთან აკავშირებს საერთო უფლებები ან ვალდებულებები, ან მონაწილეობდა განაცხადზე ექსპერტიზის ჩატარებაში ან/და გადაწყვეტილების მიღებაში, ან დაინტერესებული მხარის ან/და მისი წარმომადგენლის ნათესავია.

7. კოლეგიას ჰყავს მდივანი, რომელიც ინიშნება საქპატენტის იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომელთაგან. კოლეგიის მდივანი უზრუნველყოფს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული კორესპონდენციის, ასევე, კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებ(ებ)ის მხარეებთან გაგზავნას.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას საქპატენტი მიღებისთანავე უგზავნის პატენტის მფლობელს და პასუხის წარმოსადგენად განუსაზღვრავს 2–თვიან ვადას, რომელიც აითვლება განცხადების საქპატენტში წარდგენის მომენტიდან.

9. კოლეგია ამ მუხლის მე–8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში ატარებს ხელახალ ექსპერტიზას.

10. გამოგონებაზე ხელახალი ექსპერტიზის შედეგების საფუძველზე, კოლეგია საქპატენტის სახელით იღებს გადაწყვეტილებას პატენტის ბათილად ცნობაზე უარის თქმის ან პატენტის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ.

11. მონაცემები პატენტის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში ქვეყნდება ბიულეტენში და რეგისტრირდება რეესტრში. თუ საქპატენტის გადაწყვეტილება პატენტის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის ან პატენტის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქპატენტი ბიულეტენში აქვეყნებს ცნობას იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია, ხოლო რეესტრში აკეთებს მითითებას ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე, ამავე გადაწყვეტილების შესაბამისად, საქპატენტი მონაცემებს გამოაქვეყნებს ბიულეტენში.

მუხლი 58. ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნება

საქპატენტი აქვეყნებს მონაცემებს, საქპატენტის მიერ გაცემული პატენტის ან ვალიდირებული ევროპული პატენტის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ ან საქპატენტის მიერ გაცემული პატენტის ან ვალიდირებული ევროპული პატენტის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან უახლოეს ბიულეტენში და არეგისტრირებს რეესტრში.

მუხლი 59. პატენტის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობა მფლობელის მოთხოვნით

1. პატენტს, პატენტის მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე, სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობს საქპატენტი.

2. ინფორმაცია პატენტის სრული ან ნაწილობრივი ბათილად ცნობის შესახებ შეიტანება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში.

3. ნაწილობრივ ბათილად ცნობა ხდება გამოგონების ფორმულის ცვლილების მეშვეობით.

4. სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ განცხადების წარდგენა პატენტის მფლობელის მიერ ხდება საქპატენტში. განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი საფასური.

5. სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის განცხადების წარდგენა არ არის შესაძლებელი, როდესაც პატენტზე მიმდინარეობს ხელახალი ექსპერტიზა.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
ა) პატენტის მფლობელის სახელს ან დასახელებას;
ბ) წარმომადგენლის სახელსა და გვარს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
გ) პატენტის ნომერს;
დ) ნაწილობრივ ბათილად ცნობის მოთხოვნის შემთხვევაში, შეცვლილ ფორმულას, შეცვლილ ნახაზებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეცვლილ აღწერილობას.

7. თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს, საქპატენტი ატყობინებს განმცხადებელს ხარვეზის შესახებ და განუსაზღვრავს 2 თვეს ხარვეზის

გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში არ მოხდება ხარვეზის გამოსწორება, საქპატენტი მიიღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

8. თუ პატენტის სრულად ბათილად ცნობის შესახებ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული განცხადება სრულყოფილია, საქპატენტი ბათილად ცნობს პატენტს და ამის შესახებ შეატყობინებს განმცხადებელს.

9. თუ პატენტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული განცხადება სრულყოფილია, საქპატენტი ამოწმებს, წარმოდგენილი შეცვლილი ფორმულა წარმოადგენს თუ არა დაცვის ფარგლების დავიწროებას და შეცვლილი ფორმულა შეესაბამება თუ არა კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტსა და 46-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს. თუ წარმოდგენილი ფორმულა არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, საქპატენტი განმცხადებელს აძლევს 2-თვიან ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში არ მოხდება ხარვეზის გამოსწორება, საქპატენტი მიიღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

10. თუ წარმოდგენილი ფორმულა აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, საქპატენტი შეატყობინებს განმცხადებელს ამის შესახებ და მოსთხოვს ნაწილობრივ ბათილად ცნობილი პატენტის აღწერილობის გამოქვეყნების საფასურის გადახდას 2 თვის ვადაში.

11. საფასურის დადგენილ ვადაში გადახდის შემთხვევაში, საქპატენტი ბიულეტენში აქვეყნებს ნაწილობრივ ბათილად ცნობილი პატენტის მონაცემებსა და აღწერილობას.

კარი II
სასარგებლო მოდელი

თავი VII
სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და სასარგებლო მოდელის მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

მუხლი 60. II კარის მოქმედების სფერო
ამ კარით რეგულირდება სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და სასარგებლო მოდელის მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურები. თუ ამ კარითა და კანონის XI[1] თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასარგებლო მოდელთან დაკავშირებით გამოიყენება ამ ინსტრუქციის პირველი კარის დებულებანი.

მუხლი 61. სასარგებლო მოდელის ფორმულა
სასარგებლო მოდელის ფორმულა უნდა შეიცავდეს ერთ დამოუკიდებელ მუხლს და შეიძლება შეიცავდეს ერთ ან რამდენიმე დამოკიდებულ მუხლს.

თავი VIII
სასარგებლო მოდელის დაცვისუნარიანობის შეფასების მოთხოვნა

მუხლი 62. სასარგებლო მოდელის დაცვისუნარიანობის შეფასება

1. სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევისას, კანონის 68^5 მუხლით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის წარდგენასთან ერთად, სასარგებლო მოდელის მფლობელს ევალება დაცვისუნარიანობის კრიტერიუმების, მათ შორის, საგამომგონებლო დონის შეფასების შესახებ საქპატენტის მიერ ინსტრუქციით დადგენილი წესით გაცემული დადებითი დასკვნის წარდგენა.

2. რეგისტრირებული სასარგებლო მოდელის მფლობელი სასარგებლო მოდელის დაცვისუნარიანობის შეფასების მოთხოვნით მიმართავს საქპატენტს. რეგისტრირებული სასარგებლო მოდელის მფლობელმა მიმართვიდან 1 თვის ვადაში უნდა გადაიხადოს სასარგებლო მოდელის დაცვისუნარიანობის, მათ შორის, საგამომგონებლო დონის შეფასების დადგენილი საფასური. საქპატენტი აფასებს სასარგებლო მოდელის პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს, მათ შორის, საგამომგონებლო დონეს საფასურის გადახდიდან 2 თვის ვადაში. საქპატენტი ამ მიზნით ატარებს ძიებას და გასცემს ექსპერტიზის დასკვნას სასარგებლო მოდელის დაცვისუნარიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ძიების ანგარიშთან ერთად ეგზავნება რეგისტრირებული სასარგებლო მოდელის მფლობელს.

3. თუ შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ სასარგებლო მოდელი არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის რომელიმე კრიტერიუმს, საქპატენტი ბათილად ცნობს რეგისტრირებულ სასარგებლო მოდელს.

კარი III
საერთაშორისო განაცხადის განხილვა მიმღები უწყების როლში

თავი IX
საერთაშორისო განაცხადის განხილვა მიმღები უწყების როლში

მუხლი 63. საერთაშორისო განაცხადის ფორმა და მისი წარდგენის წესი

1. საერთაშორისო განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს მოცემული თანმიმდევრობით:

ა) PCT განცხადების ფორმა (PCT/RO/101);
ბ) აღწერილობა;
გ) გამოგონების ფორმულა;
დ) რეფერატი;
ე) ნახაზები, თუ აუცილებელია გამოგონების არსის ასახსნელად.

2. საერთაშორისო განაცხადის შემადგენელი გვერდები უნდა იყოს დანომრილი სამ, ან თუ საერთაშორისო განაცხადი შეიცავს თანამიმდევრობების სიას (ამინომჟავურ ან ნუკლეოტიდურ თანამიმდევრობას), ოთხ დამოუკიდებელ ჯგუფად. პირველი ჯგუფი ეკუთვნის განცხადების

ფორმას, მეორე – აღწერილობას, გამოგონების ფორმულას და რეფერატს, მესამე – ნახაზებს, და მეოთხე – თანამიმდევრობების სიას.

3. საერთაშორისო განაცხადის წარდგენა ხდება საქპატენტში მატერიალური ფორმით ერთ ეგზემპლარად ან ელექტრონულად WIPO–ს ePCT სისტემის საშუალებით.

4. საქპატენტში, როგორც საერთაშორისო განაცხადების „მიმღებ უწყებაში“, საერთაშორისო განაცხადის წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელს შესაძლებლობა აქვს საერთაშორისო საძიებო უწყებად (ISA) აირჩიოს ერთ–ერთი შემდეგი ხუთი უწყებიდან (მიეთითება საერთაშორისო განაცხადის ბლანკში):
ა) ავსტრიის საპატენტო უწყება (AT);
ბ) ევროპის საპატენტო უწყება (EP);
გ) რუსეთის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური სამსახური (RU);
დ) ისრაელის საპატენტო უწყება (IL);
ე) აშშ პატენტების და სასაქონლო ნიშნების უწყება (US).

5. საერთაშორისო განაცხადის ქართულ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია განაცხადის წარდგენიდან 1 თვის ვადაში წარმოადგინოს მისი თარგმანი ინგლისურ ენაზე, თუ საერთაშორისო საძიებო უწყებად მითითებულია ავსტრიის საპატენტო უწყება (AT), ევროპის საპატენტო უწყება (EP), ისრაელის საპატენტო უწყება (IL), ან აშშ პატენტების და სასაქონლო ნიშნების უწყება (US) ან რუსულ ენაზე, თუ საერთაშორისო საძიებო უწყებად მითითებულია რუსეთის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური სამსახური (RU).

6. საერთაშორისო განაცხადის წარდგენიდან 1 თვის ვადაში განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს შემდეგი საფასურები:
ა) საერთაშორისო განაცხადის შემოწმება საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინებით და განაცხადის მასალების გადაგზავნის საფასური (Transmittal Fee), რომელიც განკუთვნილია მიმღები უწყებისთვის (საქპატენტისთვის);
ბ) საერთაშორისო წარდგენის საფასური (International Filing Fee), რომელიც განკუთვნილია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროსთვის (IB);
გ) ძიების საფასური (Search Fee), რომელიც განკუთვნილია განმცხადებლის მიერ მითითებულ საერთაშორისო საძიებო უწყებისთვის (ISA).

7. თუ აღნიშნული საფასურების გადახდა არ მოხდება დადგენილ ვადაში, საქპატენტი ამის თაობაზე განმცხადებელს შეახსენებს წერილობით და მოსთხოვს საფასურების დაფარვას 1 თვის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდება საფასურების სრულად გადახდა, განაცხადი ჩაითვლება გამოხმობილად. განაცხადის გამოხმობილად ჩათვლის შესახებ შეტყობინება გამოიცემა და იგზავნება საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.

8. საქპატენტი, როგორც მიმღები უწყება, მიღებულ საერთაშორისო განაცხადზე ატარებს PCT პროცედურით განსაზღვრულ ფორმალურ ექსპერტიზას, რომლის დასრულების შემდეგ განაცხადის ერთ ეგზემპლარს აგზავნის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროში (IB), ხოლო მეორე ეგზემპლარი იგზავნება განმცხადებლის მიერ არჩეულ საერთაშორისო საძიებო უწყებაში (ISA).

კარი IV
ევროპული პატენტის ვალიდაცია

თავი X
ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის თარგმანი

მუხლი 64. ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის თარგმანი

1. ევროპული საპატენტო განაცხადის გამოქვეყნების შემდეგ, განმცხადებელს, რომელსაც სურს პირობითი უფლებების წარმოშობა საქართველოში, საქპატენტში უნდა წარადგინოს ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების დასახელებისა და გამოგონების ფორმულის თარგმანი ქართულ ენაზე, რომლის სისწორეზე პასუხს აგებს პატენტრწმუნებული და გადაიხადოს გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასური. მასალებს თან უნდა დაერთოს საქპატენტის მიერ დადგენილი განცხადების ფორმა. გამოქვეყნება მოხდება უახლოეს ბიულეტენში.

2. ევროპული პატენტის მიღების მსურველ განმცხადებელს ნებისმიერ დროს შეუძლია წარმოადგინოს ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების დასახელებისა და გამოგონების ფორმულის შესწორებული თარგმანი პატენტრწმუნებულის მეშვეობით და მისი გამოქვეყნებისთვის გადაიხადოს დადგენილი საფასური. მასალებს თან უნდა დაერთოს საქპატენტის მიერ დადგენილი განცხადების ფორმა.

3. საქართველოს პატენტრწმუნებულის წარმომადგენლობის უფლებამოსილება დასტურდება განმცხადებლის მიერ გაცემული, წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტით, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქართული თარგმანის საქპატენტში წარმოდგენასთან ერთად.

თავი XI
ევროპული პატენტის აღწერილობის თარგმანი

მუხლი 65. ევროპული პატენტის აღწერილობის თარგმანი

1. ევროპული პატენტის გაცემის შესახებ ევროპის საპატენტო ოფისის (EPO) მიერ ინფორმაციის გამოქვეყნების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში პატენტის მფლობელმა უნდა წარადგინოს საქპატენტში პატენტის აღწერილობის (გამოგონების დასახელება, გამოგონების აღწერილობა, გამოგონების ფორმულა, ნახაზები, რეფერატი) ქართული თარგმანი, რომლის სისწორეზე პასუხს აგებს პატენტრწმუნებული და გადაიხადოს საქართველოში გამოქვეყნებისათვის დადგენილი საფასური. მასალებს თან უნდა დაერთოს საქპატენტის მიერ დადგენილი განცხადების ფორმა.

2. თუ ევროპის საპატენტო ოფისში (EPO) წარდგენილი მესამე პირის საჩივრის ან შეზღუდვის მოთხოვნის შედეგად, ევროპული პატენტი ძალაში დარჩება შეცვლილი სახით, იმ თარიღიდან, როდესაც გამოქვეყნდა ინფორმაცია ევროპული პატენტის შეცვლილი სახით ძალაში დატოვების ან მისი შეზღუდვის გადაწყვეტილების შესახებ, პატენტის მფლობელმა სამი თვის განმავლობაში უნდა წარადგინოს საქპატენტში ევროპული პატენტის შეცვლილი ან შეზღუდული

სახით პატენტის აღწერილობის (გამოგონების დასახელება, გამოგონების აღწერილობა, გამოგონების ფორმულა, ნახაზები, რეფერატი) ქართული თარგმანი, რომლის სისწორეზე პასუხს აგებს პატენტრწმუნებული და გადაიხადოს გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასური. მასალებს თან უნდა დაერთოს საქპატენტის მიერ დადგენილი განცხადების ფორმა.

3. თარგმანი შეიძლება წარდგენილ იქნეს დამატებითი სამთვიანი პერიოდის განმავლობაში მითითებული შესაბამისი პერიოდის ამოწურვის შემდეგ იმ პირობით, რომ დამატებითი პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნების საფასურზე გადაიხდება 100% დანამატი.

4. ვალიდირებული ევროპული პატენტის მფლობელს ნებისმიერ დროს შეუძლია წარმოადგინოს ვალიდირებული ევროპული პატენტის აღწერილობის შესწორებული თარგმანი პატენტრწმუნებულის მეშვეობით და მისი გამოქვეყნებისთვის გადაიხადოს დადგენილი საფასური. მასალებს თან უნდა დაერთოს საქპატენტის მიერ დადგენილი განცხადების ფორმა.

5. საქპატენტი 1 თვის ვადაში ამოწმებს წარმოდგენილი ვალიდირებული პატენტის ფორმულის თარგმანის შესაბამისობას ავთენტურ ტექსტთან და არსებითი სახის ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მოსთხოვს პატენტის მფლობელს პატენტრწმუნებულის მეშვეობით შესწორებული თარგმანის წარდგენას 1 თვის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი შესწორებული თარგმანი, ევროპული პატენტი ჩაითვლება ბათილად (ab initio).

6. შესწორებული თარგმანის წარმოდგენის შემთხვევაში, საქპატენტი 1 თვის ვადაში კვლავ ამოწმებს შესწორებული თარგმანის შესაბამისობას ავთენტურ ტექსტთან და არსებითი ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში კვლავ მოსთხოვს პატენტის მფლობელს პატენტრწმუნებულის მეშვეობით შესწორებული თარგმანის წარდგენას 1 თვის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი შესწორებული თარგმანი ან წარმოდგენილი თარგმანი ისევ არ იქნება შესაბამისობაში ავთენტურ ტექსტთან, ევროპული პატენტი ჩაითვლება ბათილად (ab initio).

7. საქართველოს პატენტრწმუნებულის წარმომადგენლობის უფლებამოსილება დასტურდება პატენტის მფლობელის მიერ გაცემული, წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტით, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების საქპატენტში წარმოდგენასთან ერთად.

კარი V
დაცვის დამატებითი მოწმობა

თავი XII
დაცვის დამატებითი მოწმობა

მუხლი 66. დაცვის დამატებითი მოწმობა

1. ფარმაცევტულ პროდუქტზე ან მცენარეთა დაცვის საშუალებაზე, რომელიც საქართველოში დაცულია პატენტით და რომლის საქართველოს ბაზარზე დასაშვებად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა/რეგისტრაცია,

შესაძლებელია პატენტის მფლობელის ან მისი უფლებამონაცვლის სახელზე გაცემულ იქნეს დაცვის დამატებითი მოწმობა შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე.

2. დაცვის დამატებითი მოწმობის მოქმედება იწყება პატენტის ვადის დასრულებისთანავე. დაცვის დამატებითი მოწმობის ვადა განისაზღვრება პატენტის განაცხადის შეტანის თარიღიდან უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის მიღების თარიღამდე გასული პერიოდით, რომელსაც აკლდება 5 წელი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს. დაცვის დამატებითი მოწმობის ძალის შენარჩუნებისთვის გადაიხდება საფასური.

4. იმ ფარმაცევტული პროდუქტისთვის, რომლის საქართველოს ბაზარზე დასაშვებად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაცემულია უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა/რეგისტრაცია, და რომლისთვისაც ჩატარდა პედიატრიული კვლევები, რომელთა შედეგები მითითებულია პროდუქტის შესახებ ინფორმაციაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს 6 თვით.

5. პატენტიდან გამომდინარე დაცვის საზღვრებში, დაცვის დამატებითი მოწმობის დაცვის ფარგლები მოიცავს მხოლოდ ფარმაცევტულ პროდუქტს ან მცენარეთა დაცვის საშუალებას, რომლის საქართველოს ბაზარზე დასაშვებად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაცემულია უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა/რეგისტრაცია, და ფარმაცევტული პროდუქტის ან მცენარეთა დაცვის საშუალების გამოყენებას, რაზეც გაიცა თანხმობა/რეგისტრაცია დაცვის დამატებითი მოწმობის ვადის ამოწურვამდე.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინებით, დაცვის დამატებითი მოწმობა მის მფლობელს ანიჭებს იმავე განსაკუთრებულ უფლებას, რასაც პატენტი.

მუხლი 67. დაცვის დამატებითი მოწმობის გაცემის პირობები

1. ფარმაცევტულ პროდუქტზე ან მცენარეთა დაცვის საშუალებაზე დაცვის დამატებითი მოწმობა გაიცემა, თუ წარმოდგენილია დაცვის დამატებითი მოწმობის მიღების შესახებ განცხადება და განცხადების წარდგენის თარიღისთვის შესრულებულია შემდეგი მოთხოვნები:
ა) პროდუქტი/საშუალება დაცულია პატენტით საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან, პროდუქტი/საშუალება უშუალოდ არის გახსნილი პატენტში;
ბ) გაცემულია უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა (სარეგისტრაციო მოწმობა ან სხვა დოკუმენტი) პროდუქტის/საშუალების საქართველოს ბაზარზე დასაშვებად;
გ) პროდუქტზე/საშუალებაზე არ გაცემულა დაცვის დამატებითი მოწმობა;
დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული პროდუქტის/საშუალების ბაზარზე დასაშვებობის უფლებამოსილების მინიჭების მიზნით, გაცემულია პირველი თანხმობა.

2. ისეთ პროდუქტზე/საშუალებაზე, რომელიც დაცულია ერთი და იმავე მფლობელის ერთზე მეტი პატენტით, გაიცემა მხოლოდ ერთი დაცვის დამატებითი მოწმობა.

3. თუ ერთსა და იმავე პროდუქტზე/საშუალებაზე დაცვის დამატებითი მოწმობის მოთხოვნა

წარმოდგენილია ორი ან მეტი პირის მიერ, რომლებიც არიან ორი ან მეტი პატენტის მფლობელები, რომლებითაც დაცულია აღნიშნული პროდუქტი/საშუალება, თითოეულ მფლობელს შეუძლია მიიღოს მხოლოდ ერთი დაცვის დამატებითი მოწმობა.

მუხლი 68. დაცვის დამატებითი მოწმობის განაცხადის წარდგენა

1. პატენტის მფლობელმა დაცვის დამატებითი მოწმობის მიღების შესახებ განცხადება საქპატენტს უნდა წარუდგინოს უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის მიღების დღიდან 6 თვის ვადაში. თუ უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა გაიცა/რეგისტრაცია განხორციელდა პატენტის გაცემამდე, პატენტის მფლობელმა განცხადება უნდა წარადგინოს პატენტის გაცემიდან 6 თვის ვადაში. დაცვის დამატებითი მოწმობის გასაცემად საქმის წარმოებისათვის გადაიხდება საფასური.

2. საქპატენტი დაცვის დამატებითი მოწმობის მიღების შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ატარებს განაცხადის ექსპერტიზას და 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას დაცვის დამატებითი მოწმობის გაცემის შესახებ ან დაცვის დამატებითი მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

3. დაცვის დამატებითი მოწმობის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საქპატენტი დაცვის დამატებით მოწმობას სამრეწველო საკუთრების რეესტრში არეგისტრირებს და ამის თაობაზე ინფორმაციას აქვეყნებს ბიულეტენში. დაცვის დამატებითი რეგისტრაციისთვის და გამოქვეყნებისთვის გადაიხდება საფასური.

მუხლი 69. დაცვის დამატებითი მოწმობის გაუქმება

დაცვის დამატებით მოწმობას აუქმებს საქპატენტი, თუ:
ა) ის გაიცა ამ ინსტრუქციის 67-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით;
ბ) გაუქმდა ან ბათილად იქნა ცნობილი შესაბამისი პატენტი.

დანართი 1

განცხადება სასარგებლო მოდელის რეგისტრაციის თაობაზე

საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

1.1 განმცხადებელი

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ტელეფონი	ელფოსტა
□ სხვა განმცხადებლები (იხ. დანართი)	
□ განმცხადებლის უფლებამონაცვლეობა ეფუძნება სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას	

1.2 განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია

სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	
მიმოწერის მისამართი საქართველოს ტერიტორიაზე	
ტელეფონი	ელფოსტა

2.წარმომადგენელი

/74/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	
მისამართი	
ტელეფონი	ელფოსტა

3.გამომგონებელი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი
□ სხვა გამომგონებლები (იხ. დანართი)

4./54/ სასარგებლო მოდელის დასახელება

5.საერთაშორისო (PCT) განაცხადის ეროვნულ ფაზაში შესვლის შემთხვევაში

/86/ საერთაშორისო განაცხადის ნომერი	/86/ საერთაშორისო შეტანის თარიღი

6.პრიორიტეტის მოთხოვნა

/31/ განაცხადის ნომერი	/32/ შეტანის თარიღი	/33/ ქვეყნის კოდი

7.გამოყოფილი განაცხადის შემთხვევაში

/62/ წინა განაცხადის ნომერი	/62/ წინა განაცხადის შეტანის თარიღი

8.დანართი

□ აღწერილობა	გვ.	ეგზ.	□ პირველი განაცხად(ებ)ის ასლი	გვ.	ეგზ.
□ ფორმულა	გვ.	ეგზ.	□ უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი	გვ.	ეგზ.
□ რეფერატი	გვ.	ეგზ.	□ წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი	გვ.	ეგზ.
□ ნახაზები	გვ.	ეგზ.			
□ აღწერილობა უცხ. ენაზე	გვ.	ეგზ.			
□ ფორმულა უცხ. ენაზე	გვ.	ეგზ.	□ სხვა განმცხადებლები		
□ რეფერატი უცხ. ენაზე	გვ.	ეგზ.	□ სხვა გამომგონებლები		
□ ნახაზები უცხ. ენაზე	გვ.	ეგზ.	□ სხვა მასალები		

9.განმცხადებლის ხელმოწერა

სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი

10.წარმომადგენლის ხელმოწერა

სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი

დანართი
სხვა განმცხადებლები

/54/ სასარგებლო მოდელის დასახელება

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი
რეგისტრაციის მისამართი
ტელეფონი / ელფოსტა

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი
რეგისტრაციის მისამართი
ტელეფონი / ელფოსტა

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი
რეგისტრაციის მისამართი
ტელეფონი / ელფოსტა

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი
რეგისტრაციის მისამართი
ტელეფონი / ელფოსტა

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი
რეგისტრაციის მისამართი
ტელეფონი / ელფოსტა

დანართი სხვა გამომგონებლები

/54/ სასარგებლო მოდელის დასახელება

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

დანართი 2

განცხადება გამოგონებაზე
პატენტის მიღების თაობაზე

1.1 განმცხადებელი

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ტელეფონი	ელფოსტა
□ სხვა განმცხადებლები (იხ. დანართი)	
□ განმცხადებლის უფლებამონაცვლეობა ეფუძნება სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას	

1.2 განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია

სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	
მიმოწერის მისამართი საქართველოს ტერიტორიაზე	
ტელეფონი	ელფოსტა

2. წარმომადგენელი

/74/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	
მისამართი	
ტელეფონი	ელფოსტა

3. გამომგონებელი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი
□ სხვა გამომგონებლები (იხ. დანართი)

4./54/ გამოგონების დასახელება

1. საერთაშორისო (PCT) განაცხადის ეროვნულ ფაზაში შესვლის შემთხვევაში

/86/ საერთაშორისო განაცხადის ნომერი	/86/ საერთაშორისო შეტანის თარიღი

2. პრიორიტეტის მოთხოვნა

/31/ განაცხადის ნომერი	/32/ შეტანის თარიღი	/33/ ქვეყნის კოდი

7. გამოყოფილი განაცხადის შემთხვევაში

/62/ წინა განაცხადის ნომერი	/62/ წინა განაცხადის შეტანის თარიღი

8. დანართი

□ აღწერილობა	გვ.	ეგზ.	□ პირველი განაცხად(ებ)ის ასლი	გვ.	ეგზ.
□ ფორმულა	გვ.	ეგზ.	□ უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი	გვ.	ეგზ.
□ რეფერატი	გვ.	ეგზ.	□ წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი	გვ.	ეგზ.
□ ნახაზები	გვ.	ეგზ.			
□ აღწერილობა უცხ. ენაზე	გვ.	ეგზ.			
□ ფორმულა უცხ. ენაზე	გვ.	ეგზ.	□ სხვა განმცხადებლები		
□ რეფერატი უცხ. ენაზე	გვ.	ეგზ.	□ სხვა გამომგონებლები		
□ ნახაზები უცხ. ენაზე	გვ.	ეგზ.	□ სხვა მასალები		

9. განმცხადებლის ხელმოწერა

სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი

10. წარმომადგენლის ხელმოწერა

სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი

დანართი
სხვა განმცხადებლები

/54/ გამოგონების დასახელება

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი
რეგისტრაციის მისამართი
ტელეფონი / ელფოსტა

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი
რეგისტრაციის მისამართი
ტელეფონი / ელფოსტა

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი
რეგისტრაციის მისამართი
ტელეფონი / ელფოსტა

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი
რეგისტრაციის მისამართი
ტელეფონი / ელფოსტა

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი
რეგისტრაციის მისამართი
ტელეფონი / ელფოსტა

დანართი
სხვა გამომგონებლები

/54/ გამოგონების დასახელება

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 29 მაისი ბრძანება №14 - ვებგვერდი, 02.06.2025 წ.

ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის/ვალიდირებული ევროპული პატენტის აღწერილობის ქართული თარგმანის გამოქვეყნების თაობაზე

წინამდებარე განცხადებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების განხორციელების მიზნით წარმოდგენილია:

□ ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის ქართული თარგმანი;

□ ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის შესწორებული ქართული თარგმანი;

□ ვალიდირებული ევროპული პატენტის აღწერილობის ქართული თარგმანი;

□ ევროპის საპატენტო ოფისში (EPO) წარდგენილი მესამე პირის საჩივრის შედეგად შეცვლილი ვალიდირებული ევროპული პატენტის აღწერილობის ქართული თარგმანი;

□ ევროპის საპატენტო ოფისში (EPO) წარდგენილი შეზღუდვის მოთხოვნის შედეგად შეზღუდული ვალიდირებული ევროპული პატენტის აღწერილობის ქართული თარგმანი;

□ ვალიდირებული ევროპული პატენტის აღწერილობის შესწორებული ქართული თარგმანი.

1. განმცხადებელი

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი:
რეგისტრაციის მისამართი:

ტელეფონი:	ელ. ფოსტა:
□ სხვა განმცხადებლები (იხ. დანართი)	

2. წარმომადგენელი

/74/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი:	
მისამართი:	
ტელეფონი:	ელ.ფოსტა:

3. გამომგონებელი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი:
რეგისტრაციის მისამართი:
□ სხვა გამომგონებლები (იხ. დანართი)

4. გამოგონების დასახელება

/54/

5. ევროპული საპატენტო განაცხადი და ევროპული პატენტი

/210/ ევროპული საპატენტო განაცხადის ნომერი	430/ ევროპული საპატენტო განაცხადის გამოქვეყნების თარიღი
/220/ ევროპული საპატენტო განაცხადის შეტანის თარიღი	/110/ ევროპული პატენტის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)
/100/ ევროპული საპატენტო განაცხადის გამოქვეყნების ნომერი	/450/ ევროპული პატენტის გამოქვეყნების თარიღი (არსებობის შემთხვევაში)

6. დანართი

□ აღწერილობა		გვ.		ეგზ.	□ წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი		გვ.		ეგზ.
□ ფორმულა		გვ.		ეგზ.	□ სხვა განმცხადებლები		გვ.		
□ რეფერატი		გვ.		ეგზ.	□ სხვა გამომგონებლები		გვ.		
□ ნახაზები		გვ.		ეგზ.	□ სხვა მასალა		გვ.		

7.განმცხადებლის ხელმოწერა

სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი

8.წარმომადგენლის ხელმოწერა

სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი

/54/ გამოგონების დასახელება

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ტელეფონი	ელფოსტა

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ტელეფონი	ელფოსტა

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ტელეფონი	ელფოსტა

/71/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ტელეფონი	ელფოსტა

დანართი
სხვა გამომგონებლები

/54/ გამოგონების დასახელება

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

/72/ სახელი, გვარი, პირადი ნომერი
მისამართი

საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია სასაქონლო, მომსახურების, კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაციასთან, დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება.

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 2. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ (შემდგომში – საქპატენტი) – საქართველოს საპატენტო კანონით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ბ) პარიზის კონვენცია – 1883 წლის 20 მარტს ხელმოწერილი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს);

გ) მადრიდის შეთანხმების ოქმი – „1989 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმი;“

დ) საერთაშორისო კლასიფიკატორი – 1957 წლის 15 ივნისს ნიცის შეთანხმებით მიღებული და ხელმოწერილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკატორი (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, ჟენევაში 1977 წლის 13 მაისს);

დ[1]) „საერთაშორისო გამოფენების შესახებ“ კონვენცია – „საერთაშორისო გამოფენების შესახებ“ 1928 წლის 22 ნოემბრის პარიზის კონვენცია (გადასინჯულია 1972 წლის 30 ნოემბერს);

ე) მოწმობა – ამ კანონის შესაბამისად სასაქონლო ნიშნის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის განსაკუთრებულ უფლებებს;

ვ) განაცხადი – მოწმობის გასაცემად აუცილებელი საბუთების ერთობლიობა, რომელიც ფორმდება დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ზ) განმცხადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ითხოვს მოწმობას;

თ) პრიორიტეტი – უპირატესობა, რომლითაც სარგებლობს განაცხადი მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით;

ი) საკონვენციო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად დადგენილი პრიორიტეტი;

კ) საგამოფენო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად დადგენილი პრიორიტეტი;

ლ) (ამოღებულია);

მ) სააპელაციო პალატა – „საქპატენტთან“ არსებული სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავის განმხილველი ორგანო;

ნ) გაერთიანება – მეწარმეთა ნებისმიერი გაერთიანება, რომელიც შექმნილია საქართველოს ან მისი წარმოშობის ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ო) სასაქონლო ნიშნის დაუცველი ნაწილი – სასაქონლო ნიშნის ნაწილი, რომელზედაც არ ვრცელდება მფლობელის განსაკუთრებული უფლებები;

პ) სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით ნიშანდებული საქონელი – საქონელი, რომელიც შეიცავს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტურ ან მსგავს ნიშანს ან რომელზედაც დატანილია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშანი, ან რომელსაც აქვს რეგისტრირებული მოცულობითი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ფორმა და რომლის წარმოება, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, შენახვა, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა ან ამ მიზნით შენახვა/დასაწყობება (დროებით შესანახად განთავსება) ან/და ნებისმიერი სხვაგვარი გამოყენება იწვევს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევას, მიუხედავად ნიშანდების ადგილისა.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი №3159 – სსმ I, №35, 12.07.2010 წ., მუხ.206
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1922 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 3. სასაქონლო ნიშანი

1. სასაქონლო ნიშანი არის ნებისმიერი სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეტანილია სასაქონლო ნიშნების რეესტრში, ჩამოყალიბებულია ნათლად და მკაფიოდ და აქვს უნარი, ერთი საწარმოს საქონელი ან/და მომსახურება მეორე საწარმოს საქონლისგან ან/და მომსახურებისგან (შემდგომ – საქონელი) განასხვაოს.

2. სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა შეიძლება იყოს სიტყვა (სიტყვები), სახელი (სახელები), ასო (ასოები), ციფრი (ციფრები), ბგერა (ბგერები), გამოსახულება, ფერი (ფერები), საქონლის ან მისი შეფუთვის ფორმა.

3. სასაქონლო ნიშანი დაცულია მისი საქპატენტში რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

4. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი დაცულია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის 6bis მუხლის შესაბამისად.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 4. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები

1. სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ შესაბამისი სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა:
ა) არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს;
ბ) არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ;
გ) აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, არის საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის ან დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლის აღმნიშვნელი ან/და მიჩნეულია ასეთად;
დ) საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც გარკვეული სახის საქონლის გვარეობითი ცნება, ან არის სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლის დამახასიათებელი, საყოველთაოდ დამკვიდრებული ტერმინი ან სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია;

ე) ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს;

ვ) შესაძლებელს ხდის, მომხმარებელს საქონლის ხარისხის, თვისების, გეოგრაფიული წარმოშობის ან/და საქონლის სხვა მახასიათებლის შესახებ მცდარი წარმოდგენა შეექმნას;

ზ) მთლიანად ან რომელიმე ნაწილით ემთხვევა ისეთ სიმბოლოს, რომელიც პარიზის კონვენციის 6ter მუხლის საფუძველზე რეგისტრაციას არ ექვემდებარება, და არ არსებობს შესაბამისი კომპეტენტური უწყების ნებართვა მის გამოყენებაზე, ან მთლიანად ან რომელიმე ნაწილით ემთხვევა საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ/ისტორიულ დასახელებას და არ არსებობს საქართველოს კულტურის სამინისტროს თანხმობა მის გამოყენებაზე;

თ) მთლიანად ან რომელიმე ნაწილით ემთხვევა გერბს, ემბლემას, სახელწოდებას ან ორგანიზაციის ნიშანს, რომელიც პარიზის კონვენციის 6ter მუხლის შესაბამისად დაცული არ არის, მაგრამ საქართველოში აღნიშნული ნიშნის დაცვის მიმართ საჯარო ინტერესი არსებობს და არ არსებობს ამ ნიშნის მფლობელის ან/და სხვა კომპეტენტური უწყების თანხმობა მის გამოყენებაზე;

ი) შეიცავს ან რომელიმე ნაწილით ემთხვევა მცენარის ახალი ჯიშის დასახელებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ან საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე დაცულია საქართველოში, და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მცენარის იმავე ან მსგავსი ჯიშისთვის;

კ) აღნიშნავს მხოლოდ საქონლის ფორმას ან სხვა მახასიათებელს, რომელიც:
კ.ა) განპირობებულია საქონლის თვისებებით;
კ.ბ) აუცილებელია ტექნიკური შედეგის მისაღწევად;
კ.გ) საქონელს არსებით ღირებულებას სძენს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„დ“ და „ვ“ ქვეპუნქტები არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ეს სასაქონლო ნიშანი სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების შედეგად განაცხადში მითითებული საქონლის მიმართ განმასხვავებელ სიმბოლოდ დამკვიდრდა.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2015 წლის 25 ნოემბრის კანონი №4556 – ვებგვერდი, 08.12.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1636 – ვებგვერდი, 14.12.2017წ.
საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3054 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.
საქართველოს 2021 წლის 16 მარტის კანონი №387 – ვებგვერდი, 18.03.2021წ.
საქართველოს 2023 წლის 30 ნოემბრის კანონი №3874 – ვებგვერდი, 15.12.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.
საქართველოს 2024 წლის 12 დეკემბრის კანონი №108 – ვებგვერდი, 28.12.2024წ.

მუხლი 5. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძვლები

სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი:
ა) იდენტური საქონლის მიმართ რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტურია;
ბ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტურია, ხოლო შესაბამისი საქონელი – იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის, შესაძლებლობა. ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ განმცხადებელი წარადგენს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის

მქონე, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის (ნიშნების) მფლობელის წერილობით თანხმობას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე;
გ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო შესაბამისი საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის, შესაძლებლობა. ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ განმცხადებელი წარადგენს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის (ნიშნების) მფლობელის წერილობით თანხმობას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე;
დ) საქართველოში რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე დიზაინის იდენტურია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ამ დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი ითხოვს. ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ განმცხადებელი წარადგენს უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე, რეგისტრირებული დიზაინის (დიზაინების) მფლობელის წერილობით თანხმობას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე;
ე) არის სასაქონლო ნიშანი, რომლის მიმართაც არსებობს „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი;
ვ) შეიცავს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე საქართველოში ცნობილი პირის სახელს, ფსევდონიმს, ფაქსიმილეს ან პორტრეტს და მის გამოყენებაზე არ არსებობს ამ პირის ან მისი მემკვიდრის თანხმობა, ხოლო თუ იგი საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებაა, – საქართველოს კულტურის სამინისტროს თანხმობა;
ზ) შეიცავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან მუზეუმის სრულ ან შემოკლებულ დასახელებას ან გამოსახულებას და არ არსებობს საქართველოს კულტურის სამინისტროს თანხმობა მის გამოყენებაზე.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2015 წლის 25 ნოემბრის კანონი №4556 – ვებგვერდი, 08.12.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1636 – ვებგვერდი, 14.12.2017წ.
საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3054 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.
საქართველოს 2021 წლის 16 მარტის კანონი №387 – ვებგვერდი, 18.03.2021წ.
საქართველოს 2023 წლის 21 სექტემბრის კანონი №3494 – ვებგვერდი, 10.10.2023წ.
საქართველოს 2023 წლის 30 ნოემბრის კანონი №3874 – ვებგვერდი, 15.12.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.
საქართველოს 2024 წლის 12 დეკემბრის კანონი №108 – ვებგვერდი, 28.12.2024წ.

მუხლი 6. განსაკუთრებული უფლება

1. რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან.

2. განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის:
ა) იდენტურია და საქონელიც იდენტური;
ბ) იდენტურია, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;
გ) მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების

აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;
დ) იდენტურია ან მსგავსია და რომელსაც საქართველოში აქვს რეპუტაცია, მიუხედავად საქონლის იდენტურობისა ან მსგავსებისა, თუ ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან განმასხვავებელუნარიანობას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სხვა შესაძლო აკრძალვათა გარდა, იკრძალება:
ა) სასაქონლო ნიშნის დატანა საქონელზე ან მის შეფუთვაზე;
ბ) ისეთი საქონლის შეთავაზება, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა ან საწყობში ამ მიზნით შენახვა, იმპორტი ან ექსპორტი, რომელიც ნიშანდებულია ამ ნიშნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ქმედება ხორციელდება სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის მიერ ნიშანდებული საქონლით;
გ) სასაქონლო ნიშნის გამოყენებით მომსახურების შეთავაზება ან გაწევა;
დ) სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამისათვის ან საქმიან ქაღალდებზე;
ე) სასაქონლო ნიშნის საფირმო სახელწოდებად ან მის ნაწილად გამოყენება.

4. სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე მესამე პირს ეკრძალება:
ა) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნის დატანა საქონლის შეფუთვაზე, ეტიკეტზე, იარლიყზე ან ნებისმიერ სხვა საშუალებაზე, რომელზედაც შესაძლებელია სასაქონლო ნიშნის დატანა;
ბ) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული შესაფუთი მასალის, შეფუთვის, ეტიკეტის, იარლიყის ან ნებისმიერი სხვა საშუალების, რომელზედაც დატანილია ეს სასაქონლო ნიშანი, გასაყიდად შეთავაზება, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა, გასაღება, გასაღებისთვის მომზადება, დასაწყობება, იმპორტი ან ექსპორტი.
საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 7. განსაკუთრებული უფლების ფარგლები
1. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არ აქვს უფლება, აუკრძალოს მესამე პირს, სამოქალაქო ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს:
ა) საკუთარი სახელი ან/და მისამართი, თუ მესამე პირი ფიზიკური პირია;
ბ) სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია ან არის საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის ან დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლის აღმნიშვნელი;
გ) დაცული სასაქონლო ნიშანი, თუ ის აუცილებელია საქონლის იდენტიფიცირებისთვის ან საქონელზე მითითებისთვის, კერძოდ, საქონლის დანიშნულების მისათითებლად, მათ შორის, თუკი ამ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონელი გამოიყენება, როგორც შემადგენელი ან სათადარიგო ნაწილი.

2. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს ამ დაცული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი იქნა უშუალოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე. ეს წესი არ მოქმედებს, თუ საქონლის თვისებები შეიცვალა,

ხარისხი გაუარესდა ან არსებობს ამ აკრძალვისათვის სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი სასაქონლო ნიშანს სამეწარმეო საქმიანობის კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპის დაცვით იყენებს.

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 8. სასაქონლო ნიშნის გამოქვეყნება საცნობარო ლიტერატურაში

თუ სასაქონლო ნიშნის რეპროდუქცია ლექსიკონში, ენციკლოპედიაში ან სხვა საცნობარო ლიტერატურაში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს გვარეობით ცნებას იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც იგი რეგისტრირებულია ან მოითხოვება მისი რეგისტრაცია, გამომცემელი, აღნიშნული ნიშნის მფლობელის მოთხოვნით, ვალდებულია ამ საცნობარო ლიტერატურის მომდევნო გამოცემებში აღნიშნოს, რომ გამოქვეყნებული სიმბოლო რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს წარმოადგენს.

თავი II
სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება და შენარჩუნება

მუხლი 9. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე

1. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე წარედგინება „საქპატენტს“ განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ.

2. განაცხადი ივსება დადგენილი წესით, ქართულ ენაზე.

3. (ამოღებულია).

4. განაცხადი ეხება მხოლოდ ერთ სასაქონლო ნიშანს.

5. განაცხადი შეიცავს:
ა) თხოვნას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ;
ბ) განმცხადებლის სრულ სახელს (სახელწოდებას) და იურიდიულ მისამართს;
გ) სასაქონლო ნიშნის გამოსახულებას;
დ) იმ საქონლის ჩამონათვალს, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. დასაშვებია საქონლის ჩამონათვალის უცხო ენაზე წარდგენა დანართის სახით, რომლის ქართულ ენაზე თარგმანიც „საქპატენტს“ წარედგინება განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში;
ე) წარმომადგენლის ვინაობას და მისამართს, თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მიერ;
ვ) განმცხადებლის ან წარმომადგენლის ხელმოწერას განაცხადზე.

6. განაცხადის ექსპერტიზისათვის აუცილებელი სხვა მონაცემებისა და საბუთების ნუსხა, მისი წარდგენის ვადები და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი №3159 – სსმ I, №35, 12.07.2010 წ., მუხ.206

მუხლი 10. განაცხადის „საქპატენტში“ შეტანის თარიღი

განაცხადის „საქპატენტში“ შეტანის თარიღად ითვლება „საქპატენტში“ მისი ჩაბარების დღე, თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 11. პრიორიტეტი

1. სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი დგინდება შესაბამისი განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღით, თუ განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისთვის დადგენილი საფასური გადაიხდება განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა.

2. პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე შეიძლება დადგინდეს პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში პირველი განაცხადის შეტანის თარიღით (საკონვენციო პრიორიტეტი), თუ ამ თარიღიდან განაცხადის „საქპატენტში“ შეტანის თარიღამდე გასულია არა უმეტეს 6 თვისა.

3. პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ მოწყობილ, „საერთაშორისო გამოფენების შესახებ“ კონვენციით განსაზღვრულ ოფიციალურ ან ოფიციალურად აღიარებულ საერთაშორისო გამოფენაზე წარდგენილ ექსპონატზე გამოყენებული სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი დგინდება ექსპონატის გამოფენაზე წარდგენის პირველი დღით (საგამოფენო პრიორიტეტი), თუ ამ დღიდან შესაბამისი განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღამდე გასულია არაუმეტეს 6 თვისა. საგამოფენო პრიორიტეტი და საკონვენციო პრიორიტეტი ერთმანეთის ვადას არ აგრძელებს.

4. განმცხადებელი, რომელსაც სურს საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობა, ვალდებულია

„საქპატენტში“ განაცხადის შეტანის თარიღიდან ერთი თვის ვადაში აცნობოს ამის შესახებ „საქპატენტს“ და განაცხადის შეტანიდან 3 თვის ვადაში წარადგინოს ასეთი მოთხოვნის უფლების დამადასტურებელი საბუთები.

5. საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური გადაიხდება განაცხადის „საქპატენტში“ შეტანიდან ერთი თვის ვადაში.

5[1]. განაცხადში მითითებულ სხვადასხვა საქონელს შეიძლება სხვადასხვა პრიორიტეტი დაუდგინდეს.

6. თუ რამდენიმე სასაქონლო ნიშანს დაუდგინდა ერთი და იგივე პრიორიტეტი, უპირატესობა ენიჭება სასაქონლო ნიშანს, რომლის ფაქტობრივი გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ადრე დაიწყო.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 11[1]. საქონლის მითითება და კლასიფიკაცია

1. საქონელი, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, კლასიფიცირებული უნდა იქნეს საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით.

2. განაცხადში საქონელი უნდა მიეთითოს ისეთი ფორმით, რომ შესაძლებელი იყოს სასაქონლო ნიშნისთვის მოთხოვნილი დაცვის ფარგლების ზუსტად და ცხადად განსაზღვრა.

3. განაცხადში საქონლის ზოგადი დასახელებები (მათ შორის, საერთაშორისო კლასიფიკატორის სათაურში გამოყენებული ზოგადი დასახელება) შეიძლება მიეთითოს იმ შემთხვევაში, თუ ეს

დასახელებები აკმაყოფილებს ამ მუხლის მე–2 პუნქტის მოთხოვნას.

4. თუ განაცხადში მითითებული საქონლის ჩამონათვალი ბუნდოვანია ან/და ზოგადია, განმცხადებელი ვალდებულია საქპატენტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში დააზუსტოს საქონლის ჩამონათვალი ამ მუხლის მე–2 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად. საწინააღმდეგო შემთხვევაში საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული საქონლის მიმართ განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

5. განაცხადში საქონლის ზოგადი დასახელებების (მათ შორის, საერთაშორისო კლასიფიკატორის სათაურში გამოყენებული ზოგადი დასახელების) მითითებისას განაცხადში მოცემული საქონლის ჩამონათვალის ფარგლები განისაზღვრება ამ დასახელებების პირდაპირი მნიშვნელობის მიხედვით. სასაქონლო ნიშნისთვის საქონლის ზოგადი დასახელებებით მოთხოვნილი დაცვა არ ვრცელდება ისეთ საქონელზე, რომელსაც ამ დასახელებების შინაარსი არ მოიცავს.

6. თუ სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება საერთაშორისო კლასიფიკატორის ერთზე მეტ კლასში შემავალი საქონლისთვის, განაცხადში სათანადო საქონელი უნდა დაჯგუფდეს კლასების მიხედვით და უნდა მიეთითოს შესაბამისი კლასის ნომერი.

7. საქონელი არ შეიძლება მსგავსად ჩაითვალოს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ეს საქონელი დაჯგუფებულია საერთაშორისო კლასიფიკატორის ერთსა და იმავე კლასში. ამასთანავე, საქონელი არ შეიძლება განსხვავებულად ჩაითვალოს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ეს საქონელი დაჯგუფებულია საერთაშორისო კლასიფიკატორის სხვადასხვა კლასში.

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 12. სასაქონლო ნიშნის განაცხადზე ექსპერტიზა

1. სასაქონლო ნიშნის განაცხადზე „საქპატენტი“ ატარებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას და არსობრივ ექსპერტიზას.

2. საქპატენტს უფლება აქვს, განმცხადებელს მოსთხოვოს ექსპერტიზისთვის საჭირო დამატებითი მასალა. დამატებითი მასალა საქპატენტს წარედგინება მის მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს. ეს ვადა აითვლება განმცხადებლისთვის შესაბამისი შეტყობინების ჩაბარების დღიდან. მისი დარღვევისას საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

3. განაცხადი, რომელიც საქონლის ორ ან ორზე მეტ დასახელებას შეიცავს, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე განმცხადებლის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ განაცხადად პირველ განაცხადში მითითებული საქონლის თითოეულ განაცხადზე გადანაწილებით, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. საქონელი განაცხადებში ისე უნდა გადანაწილდეს, რომ არ მოხდეს გამოყოფილ განაცხადებში მითითებული საქონლის ჩამონათვალებს შორის გადაფარვა. გამოყოფილ განაცხადებს უნარჩუნდება პირველი განაცხადის შეტანის თარიღი.

3^{1}. განმცხადებელს უფლება აქვს, მოითხოვოს სხვადასხვა საქონლისთვის წარდგენილი იდენტური სასაქონლო ნიშნების ორი ან ორზე მეტი განაცხადის გაერთიანება. განაცხადების გაერთიანებისას თითოეულ
განაცხადში მითითებულ საქონელს უნარჩუნდება შესაბამისი განაცხადის პრიორიტეტის თარიღი.

4. სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯაროა შესაბამისი განაცხადის შეტანისთანავე.

5. განმცხადებელს უფლება აქვს:
ა) მოითხოვოს ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე საკუთარი განაცხადის განხილვის შეჩერება დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ. შეჩერების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს;
ბ) გაეცნოს ექსპერტიზის დროს გამოყენებულ მასალას და მოითხოვოს მისი ასლი;
გ) განაცხადზე პრიორიტეტის დადგენამდე შეავსოს, შეცვალოს, შეასწოროს ან დააზუსტოს განაცხადის მასალა. პრიორიტეტის დადგენის შემდეგ აღნიშნული ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა. ამასთანავე, სასაქონლო ნიშნის ცვლილებისას დასაშვებია მხოლოდ ისეთი უმნიშვნელო ცვლილება, რომელიც არ აფართოებს მისი დაცვის ფარგლებს, ხოლო საქონლის ჩამონათვლის ცვლილებისას დასაშვებია მხოლოდ მისი შეზღუდვა ან დაზუსტება;
დ) გამოითხოვოს განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე;
ე) დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ აღადგინოს საქმისწარმოება განაცხადზე. განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენა დასაშვებია, თუ მისი შეწყვეტა მოხდა განაცხადის მონაცემების გამოქვეყნებამდე, ამ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად.

6. განაცხადის გაფორმებისა და წარდგენის, ექსპერტიზის, ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრების, პროცედურული ვადების შეჩერების, გაგრძელებისა და აღდგენის, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა წესები განისაზღვრება „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციით, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს საქპატენტის თავმჯდომარე.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ. საქართველოს 2010 წლის 26 ოქტომბრის კანონი №3743 – სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ.383 საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 13. განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა

1. განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება განაცხადის შეტანიდან 1 თვის ვადაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:
ა) თუ განმცხადებელი ითხოვს საკონვენციო პრიორიტეტს ან საგამოფენო პრიორიტეტს, განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება ამ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში;
ბ) თუ მოთხოვნილია სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაცია, განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება ამ კანონის 38^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში;
გ) თუ მოთხოვნილია კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია, განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება ამ კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში;
დ) თუ განმცხადებელს გაეგზავნა შეტყობინება ექსპერტიზისთვის საჭირო დამატებითი მასალის მოთხოვნის შესახებ, განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა შეჩერდება შეტყობინებაზე პასუხის მიღებამდე, მაგრამ არაუმეტეს ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადისა.

2. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ადგენს, არის თუ არა განაცხადი გაფორმებული ამ კანონის შესაბამისად.

3. თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების მოთხოვნებს, განმცხადებლის სახელზე გაიცემა ცნობა განაცხადის შეტანის თარიღის დადგენის შესახებ საკანცელარიო ნომრისა და შეტანილი საბუთების ჩამონათვალის მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, განმცხადებელს ეცნობება განაცხადის მასალის მიღებაზე დასაბუთებული უარი.

4. თუ განაცხადის შეტანიდან 15 კალენდარული დღის ვადაში განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისთვის დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური არ გადაიხდება ან გადახდილი თანხა საქონლის ერთი კლასის წარდგენისთვის დადგენილ თანხაზე ნაკლებია, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. თუკი ამ ვადაში გადაიხდება განაცხადში მითითებული საქონლის კლასების წარდგენისთვის დადგენილ თანხაზე ნაკლები, მაგრამ არანაკლებ ერთი კლასის წარდგენისთვის საკმარისი თანხისა, აღნიშნული ექსპერტიზა ტარდება განმცხადებლის მიერ შერჩეულ კლასებზე, ხოლო კლასების შეურჩევლობის შემთხვევაში – პირველ იმდენ კლასზე, რამდენისთვისაც საკმარისია გადახდილი საფასური.

5. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფუძველზე „საქპატენტი“ გამოიტანს გადაწყვეტილებას განაცხადის განსახილველად მიღებისა და პრიორიტეტის დადგენის, ან განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ და აცნობებს განმცხადებელს.

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 14. არსობრივი ექსპერტიზა

1. არსობრივი ექსპერტიზა ტარდება განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დამთავრებიდან 6 თვის ვადაში.

2. არსობრივი ექსპერტიზა ამოწმებს, არსებობს თუ არა ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები.

3. განმცხადებელს არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე ეგზავნება დასაბუთებული გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ ან საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1922 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 15. გამოქვეყნება

1. „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე არსობრივი ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში აქვეყნებს განაცხადის მონაცემებს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (შემდგომში – ბიულეტენი).

2. თუ განმცხადებელი სარგებლობს ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებით, „საქპატენტი“ განაცხადის მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში სააპელაციო პალატის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან ერთი თვის ვადაში.

2[1]. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე არსობრივი ექსპერტიზის მიერ საქონლის მთლიანი ჩამონათვლის ან მისი ნაწილის მიმართ გამოტანილ უარყოფით გადაწყვეტილებაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე დადებითი გადაწყვეტილებით შეცვლის შემთხვევაში „საქპატენტი“ განაცხადის მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში.

3. ბიულეტენში ქვეყნდება სასაქონლო ნიშნის გამოსახულება, ცნობები მფლობელის შესახებ და მისამართი, საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი.

4. სასაქონლო ნიშნის განაცხადის გამოქვეყნების დღიდან მის რეგისტრაციამდე განმცხადებელს პირობითად ენიჭება იგივე უფლებები, რომლებიც მას მინიჭებული ექნებოდა რეგისტრაციით. თუ რეგისტრაცია არ განხორციელდება, აღნიშნული უფლებები წარმოქმნილად არ მიიჩნევა.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი №3159 – სსმ I, №35, 12.07.2010 წ., მუხ.206

მუხლი 15[1]. სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურა

1. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურისას გამოიყენება ამ კანონის II თავით დადგენილი წესები.

2. განმცხადებელს უფლება აქვს, განაცხადის შეტანისას ან მისი შეტანის შემდეგ ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს განაცხადის განსახილველად მიღების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 3 თვისა, მოითხოვოს განაცხადზე დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარება.

3. განაცხადს დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით უნდა ერთოდეს ამ კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრული ყველა საბუთი, წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და გადახდილი უნდა იქნეს სასაქონლო ნიშნის განაცხადზე დაჩქარებული ექსპერტიზისათვის და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის დადგენილი საფასური.

4. თუ განმცხადებელს სურს ისარგებლოს ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით ან მადრიდის შეთანხმების ოქმის მე-9[quinquies] მუხლით განსაზღვრული პრიორიტეტით, განაცხადს დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით უნდა ერთოდეს პრიორიტეტის მოთხოვნის უფლების დამადასტურებელი საბუთი და გადახდილი უნდა იქნეს პრიორიტეტის მოთხოვნისათვის დადგენილი საფასური.

5. დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში საქპატენტი ამოწმებს, აკმაყო- ფილებს თუ არა განაცხადი ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნებს. თუ საგანაცხადო მასალებს აკლია ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საბუთი, განმცხადებელი ვალ-დებულია 15 დღის ვადაში წარადგინოს აღნიშნული საბუთი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ და განაცხადს განიხილავს ამ კანონის II თავით დადგენილი წესით.

6. თუ განაცხადი დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნებს, საქპატენტი 7 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს, არსებობს თუ არა ამ კანონის მე-4 და მე- 5 მუხლებით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ახდენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას სასაქონლო ნიშნების რეესტრში, ბიულეტენში აქვეყნებს მონაცემებს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის შესახებ და გასცემს მოწმობას.

7. ბიულეტენში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მონაცემების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, სააპელაციო პალატაში შეიტანოს საჩივარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მხოლოდ იმ მოტივით, რომ დარღვეულია ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლების მოთხოვნები.

8. თუ სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შემდეგ საქპატენტში შევა უფრო ადრინდელი პრიორიტეტით სარგებლობის უფლების მქონე განაცხადი და დაჩქარებული წესით რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან მიმართებით იარსებებს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და აქვეყნებს ბიულეტენში.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნული სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდება ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი №3159 – სსმ I, №35, 12.07.2010 წ., მუხ.206
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 16. ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო პალატაში

1. განმცხადებელს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გადაწყვეტილება განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში.

2. განმცხადებელს არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში.

3. (ამოღებულია).

4. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება განაცხადის მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო პალატაში, თუ:
ა) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციით ირღვევა ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნები;
ბ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციით ირღვევა ამ კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნები;
გ) არსებობს ამ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველი.

4[1]. დაუშვებელია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების სააპელაციო პალატაში იმავე მოთხოვნითა და საფუძვლით გასაჩივრება.

4[2]. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჩივრის სააპელაციო პალატაში შეტანის უფლება აქვს:
ა) ნებისმიერ პირს იმავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და ამ კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით;
ბ) ადრინდელი უფლების მფლობელს იმავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, გარდა ამ კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისა;
გ) ამ კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირს იმავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

4[3]. განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელი, რომელიც ასაჩივრებს საქპატენტის მიერ მიღებულ დადებით გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ, ვალდებულია, თუ ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღიდან გასულია 5 წელზე მეტი, სააპელაციო პალატას წარუდგინოს მტკიცებულება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში სასაქონლო ნიშანი რეალურად გამოიყენებოდა საქართველოში იმ საქონლისთვის, რომლისთვისაც რეგისტრირებულია ეს სასაქონლო ნიშანი და რომელსაც ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელი უთითებს სააპელაციო საჩივრის საფუძვლად. სასაქონლო ნიშნის რეალური გამოყენების მტკიცებულების წარუდგენლობის ან მისი გამოუყენებლობის საპატიო მიზეზის მიუთითებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარზე საქმისწარმოება წყდება. თუ ადრინდელი სასაქონლო ნიშანი გამოიყენებოდა რეგისტრირებული საქონლის მხოლოდ ნაწილის მიმართ, სააპელაციო საჩივარზე საქმისწარმოების მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ ადრინდელი სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია საქონლის მხოლოდ შესაბამისი ნაწილისთვის.

5. სააპელაციო პალატა საჩივარს იხილავს მისი შეტანის დღიდან 3 თვის ვადაში.

6. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 17. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია

1. თუ ამ კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში სააპელაციო პალატაში არ იქნება შეტანილი სააპელაციო საჩივარი, ან მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შეტანილი საჩივრის საფუძველზე სააპელაციო პალატა გამოიტანს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ, „საქპატენტი“ ახდენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას სასაქონლო ნიშნების რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) და მონაცემებს რეგისტრირებული ნიშნის შესახებ აქვეყნებს ბიულეტენში.

2. რეესტრში შეტანილი იქნება სასაქონლო ნიშნის გამოსახულება, ცნობები მისი

მფლობელის შესახებ, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტის თარიღი, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღი, საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი და რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

3. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს „საქპატენტში“ სათანადო განცხადების წარდგენის შემდეგ გაეცნოს რეესტრის მონაცემებს და მოითხოვოს დამოწმებული ამონაწერი.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3

მუხლი 18. მოწმობა სასაქონლო ნიშანზე

1. სასაქონლო ნიშნის რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ „საქპატენტი“ გასცემს მოწმობას სასაქონლო ნიშანზე.

2. მოწმობით დასტურდება სიმბოლოს რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტის თარიღი, მფლობელის განსაკუთრებული უფლება აღნიშნულ სასაქონლო ნიშანზე და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა.

მუხლი 19. რეესტრში ცვლილებების შეტანა

1. ამ კანონის მე–17 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო მონაცემების თითოეული ცვლილება შეტანილ იქნება რეესტრში სასაქონლო ნიშნის მფლობელის ან მისი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. ამასთანავე, სასაქონლო ნიშნის ცვლილებისას დასაშვებია მხოლოდ ისეთი უმნიშვნელო ცვლილება, რომელიც არ აფართოებს მისი დაცვის ფარგლებს, ხოლო საქონლის ჩამონათვლის ცვლილებისას დასაშვებია მხოლოდ მისი შეზღუდვა ან დაზუსტება. ცვლილება ძალაშია მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ.

2. რეესტრში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება მომდევნო ბიულეტენში.

3. ცვლილებები შეტანილი იქნება მოწმობაშიც.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3

მუხლი 19[1]. სასაქონლო ნიშნის დაყოფა

1. სასაქონლო ნიშანი შეიძლება დაიყოს ორ ან ორზე მეტ იდენტურ სასაქონლო ნიშნად მათთვის დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომრების მინიჭებით, იმ პირობით, რომ არ მოხდება დაყოფის საფუძველზე წარმოშობილი სასაქონლო ნიშნების შესაბამისი საქონლის ჩამონათვალებს შორის გადაფარვა.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოხდება დაყოფის საფუძველზე წარმოშობილი სასაქონლო ნიშნების შესაბამისი საქონლის ჩამონათვალებს შორის გადაფარვა, საქპატენტი სასაქონლო ნიშნის მფლობელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ხარვეზის ამ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

3. სასაქონლო ნიშნის დაყოფისთვის გადაიხდება დადგენილი საფასური. ამ საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

4. სასაქონლო ნიშნის დაყოფის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის შესაბამისი მონაცემების რეესტრში შეტანის დღიდან.

5. სასაქონლო ნიშნის დაყოფის შესახებ განცხადების შეტანამდე გადახდილი ყველა საფასური გადახდილად და ყველა შესაბამისი მოთხოვნა წარდგენილად მიიჩნევა დაყოფის საფუძველზე წარმოშობილი თითოეული სასაქონლო ნიშნისთვის.

6. სასაქონლო ნიშნის დაყოფის საფუძველზე წარმოშობილ სასაქონლო ნიშნებს უნარჩუნდება თავდაპირველი სასაქონლო ნიშნის განაცხადის შეტანისა და პრიორიტეტის თარიღები.

7. დადგენილი საფასურის გადახდის შემთხვევაში დაყოფის საფუძველზე წარმოშობილი სასაქონლო ნიშნები შეიძლება ერთ სასაქონლო ნიშნად გაერთიანდეს.

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 20. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 წლით და აითვლება „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დღიდან.

2. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით, გაგრძელების ჯერადობის შეუზღუდავად. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადას აგრძელებს „საქპატენტი“ ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ „საქპატენტში“ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. აღნიშნული განცხადების „საქპატენტში“ წარდგენა და შესაბამისი საფასურის გადახდა წარმოებს რეგისტრაციის მოქმედების ბოლო წლის განმავლობაში.

3. ჩანაწერი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ შეტანილ იქნება რეესტრსა და მოწმობაში და ქვეყნდება ბიულეტენში.

4. თუ განცხადება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით არ იქნა წარდგენილი „საქპატენტში“ ან საფასური არ იქნა გადახდილი ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში გადაიხადოს აღნიშნული საფასური. ამ ვადის გაშვების შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უქმდება რეგისტრაციის მოქმედების გასვლის დღიდან, მისი აღდგენის უფლების გარეშე და ცნობა ამის შესახებ ქვეყნდება ბიულეტენში.

5. (ამოღებულია – 21.09.2023, №3494).

6. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მისი მფლობელის მოთხოვნით გაუქმდა, რეგისტრაციის აღდგენა დაუშვებელია.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2023 წლის 21 სექტემბრის კანონი №3494 – ვებგვერდი, 10.10.2023წ.

მუხლი 21. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3

მუხლი 22. საფასური

განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის, არსობრივი ექსპერტიზის, დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარებისთვის, პრიორიტეტის მოთხოვნისთვის, ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისთვის, ცვლილებების რეგისტრაციისთვის, გამოქვეყნებისთვის, მოწმობის გაცემისთვის, რეესტრიდან ამონაწერის გაცემისთვის, რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურული ვადების შეჩერებისთვის, აღდგენისა და გაგრძელებისთვის, სასაქონლო ნიშნის დაყოფისთვის, დაყოფის საფუძველზე წარმოშობილი სასაქონლო ნიშნების გაერთიანებისა და სასაქონლო ნიშნის სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების განხორციელებისთვის გადაიხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დადგენილი საფასური, რომლის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი №3159 – სსმ I, №35, 12.07.2010 წ., მუხ.206
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 23. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3

თავი III
სასაქონლო ნიშნის გამოყენება და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა

მუხლი 24. სასაქონლო ნიშნის გამოყენება

1. სასაქონლო ნიშნის გამოყენებად მიიჩნევა მისი გამოყენება სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ, აგრეთვე ლიცენზიატის მიერ და სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობით მესამე პირის მიერ.

2. (ამოღებულია – 21.09.2023, №3494).

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის სასაქონლო ნიშნის გამოყენებად მიიჩნევა აგრეთვე:
ა) რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება მცირედით განსხვავებული ელემენტებით, რომლებიც არ ცვლის სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელ ხასიათს, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა სასაქონლო ნიშანი იმ ფორმით, რომლითაც ის გამოიყენება;
ბ) საქართველოს ტერიტორიაზე სასაქონლო ნიშნის ექსპორტისთვის განკუთვნილ საქონელზე ან მის შეფუთვაზე დატანა.

4. იმ სასაქონლო ნიშნის გამოყენება, რომელშიც საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება ჩართულია დაუცველი ნაწილის სახით, დასაშვებია შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს თანხმობით.

5. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მოქმედებები უნდა განხორციელდეს იმ მოცულობით, რომ მათი განხორციელება ბაზარზე სასაქონლო ნიშნის რეალურ გამოყენებად იქნეს მიჩნეული.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2023 წლის 21 სექტემბრის კანონი №3494 – ვებგვერდი, 10.10.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 25. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები გადაეცემა სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სასაქონლო ნიშანი გადაეცემა სხვა პირს საწარმოსთან ერთად ან მის გარეშე.

3. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა ითვალისწინებს საქონლის მთლიან ჩამონათვალს ან მის ნაწილს.

4. საწარმოს გადაცემა გულისხმობს სასაქონლო ნიშნის გადაცემასაც, თუ გადაცემის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ ფორმდება წერილობით. წერილობითი ფორმის დაუცველობა იწვევს ხელშეკრულების ბათილობას.

6. (ამოღებულია – 21.09.2023, №3494).

6^1. (ამოღებულია – 21.09.2023, №3494).

6^2. თუ სასაქონლო ნიშანზე უფლებების გადაცემა მხოლოდ რეგისტრირებული საქონლის ჩამონათვალის ნაწილს ეხება, სასაქონლო ნიშნის გადაცემის შედეგად ძირითადი სასაქონლო ნიშნისა და ნაწილობრივ გადაცემული სასაქონლო ნიშნის შესაბამისი საქონლის ჩამონათვალებს შორის გადაფარვა არ უნდა მოხდეს.

7. სასაქონლო ნიშნის გადაცემისას სათანადო ცვლილებები შეიტანება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ.

8. სასაქონლო ნიშნის ახალ მფლობელს არ შეუძლია გამოიყენოს რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები მესამე პირის წინააღმდეგ, ვიდრე რეესტრში არ შეიტანება სათანადო ცვლილებები სასაქონლო ნიშნის გადაცემასთან დაკავშირებით.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2023 წლის 21 სექტემბრის კანონი №3494 – ვებგვერდი, 10.10.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 26. სალიცენზიო ხელშეკრულება

1. სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება მისმა მფლობელმა (ლიცენზიარმა) შეიძლება მიანიჭოს სხვა პირს (ლიცენზიატს) სალიცენზიო ხელშეკრულებით. სალიცენზიო ხელშეკრულება იდება როგორც საქონლის მთლიანი ჩამონათვალის, ისე მისი ნაწილის მიმართ.

2. ლიცენზია არის განსაკუთრებული ან მარტივი.

3. თუ ხელშეკრულებიდან არ ჩანს ლიცენზიის ხასიათი, იგულისხმება მარტივი ლიცენზია. ამ შემთხვევაში ლიცენზიარის უფლებაა თვითონაც გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი და დადოს სხვა სალიცენზიო ხელშეკრულება.

4. განსაკუთრებული ლიცენზია არ აძლევს ლიცენზიარს უფლებას დადოს სხვა სალიცენზიო ხელშეკრულება და გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. განსაკუთრებული ლიცენზიიდან გამომდინარე უფლებები ძალაშია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის განმავლობაში, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. ლიცენზიატს ეკრძალება სალიცენზიო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა ან ქველიცენზიის გაცემა იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან.

6. სალიცენზიო ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს გამოიყენოს ამ კანონით გათვალისწინებული თავისი განსაკუთრებული უფლებები ლიცენზიატის მიმართ, თუ დარღვევა ეხება ხელშეკრულების ვადას, სასაქონლო ნიშნის გამოყენების ფორმას, იმ საქონლის ჩამონათვალს, რომლისთვისაც გაიცა ლიცენზია, ტერიტორიას, სადაც სასაქონლო ნიშანი შეიძლება იქნეს გამოყენებული, საქონლის ხარისხს.

7. სასაქონლო ნიშანზე სალიცენზიო ხელშეკრულების დადების ფაქტის რეგისტრაცია წარმოებს „საქპატენტში“ და შესაბამისი ინფორმაცია ქვეყნდება ბიულეტენში დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ.

8. სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევის შემთხვევაში ლიცენზიატი სარჩელს აღძრავს მხოლოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობით. განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს, სარჩელი აღძრას სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობის გარეშე, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი ოფიციალური შეტყობინების მიღების შემდეგ გონივრულ ვადაში თავად არ აღძრავს სარჩელს.

9. ლიცენზიატს უფლება აქვს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ჩაერთოს სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევის შესახებ გამართულ სასამართლო პროცესში.

10. სასაქონლო ნიშანზე უფლებების გადაცემა ან ლიცენზია არ ვრცელდება მესამე პირის სახელზე ადრე გაცემულ ლიცენზიაზე.

11. (ამოღებულია – 21.09.2023, №3494).

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2023 წლის 21 სექტემბრის კანონი №3494 – ვებგვერდი, 10.10.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

თავი IV
სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაკარგვა

მუხლი 27. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს „საქპატენტი“:
ა) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მოთხოვნით. თუ სასაქონლო ნიშანზე რეგისტრირებულია სალიცენზიო ხელშეკრულება, სასაქონლო ნიშნის გაუქმება დასაშვებია, თუკი სასაქონლო ნიშნის მფლობელი წარადგენს მტკიცებულებას, რომ მან სასაქონლო ნიშნის გაუქმების მოთხოვნამდე ლიცენზიატს შეატყობინა ასეთი განზრახვის ქონის შესახებ;
ბ) სასაქონლო ნიშნის მფლობელი ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას არ დარჩა მემკვიდრე, ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ არ არსებობს უფლებამონაცვლე;
გ) ამ კანონის 15^1 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე.

2. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ:
ა) სასაქონლო ნიშანი რეალურად არ გამოიყენებოდა უწყვეტად 5 წლის განმავლობაში იმ საქონლისთვის, რომლისთვისაც რეგისტრირებულია ეს სასაქონლო ნიშანი საქართველოში. თუ სასაქონლო ნიშნის გამოყენება დაიწყო ან განახლდა აღნიშნული, 5-წლიანი ვადის გასვლიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნამდე პერიოდში, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება დაუშვებელია;
ბ) სასაქონლო ნიშანი იქცა გვარეობით ცნებად იმ საქონლისთვის, რომლის მიმართაც ის არის რეგისტრირებული;
გ) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით სასაქონლო ნიშნის გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის საქონლის სახეობის, თვისების, ხარისხის, ღირებულების ან გეოგრაფიული წარმოშობის ან სხვა მახასიათებლების შესახებ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობა მისი ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილი გარემოებებით არის განპირობებული. ასეთ გარემოებებად ჩაითვლება, მაგალითად, სასაქონლო ნიშნით დაცულ საქონელთან დაკავშირებით დაწესებული იმპორტის შეზღუდვები ან ხელისუფლების მიერ დადგენილი სხვა მოთხოვნები.

4. თუ სასაქონლო ნიშნის გაუქმების საფუძვლები არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ, რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ ამ ნაწილის მიმართ.

5. საქონლის მთელი ჩამონათვლის ან მისი ნაწილის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანება რეესტრში და ცნობა ამის შესახებ ქვეყნდება ბიულეტენში.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი №3159 – სსმ I, №35, 12.07.2010 წ., მუხ.206
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 28. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ:

ა) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ამ კანონის მე-4 ან მე-5 მუხლის მოთხოვნების დარღვევით განხორციელდა;

ბ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია არაკეთილსინდისიერი განზრახვით განხორციელდა;

გ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია პარიზის კონვენციის მონაწილე ერთ-ერთ სახელმწიფოში განახორციელა ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის წარმომადგენელმა ან აგენტმა თავის სახელზე, სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე და სასაქონლო ნიშნის მფლობელის წარმომადგენელი ან აგენტი ვერ წარადგენს შესაბამის დასაბუთებას;

დ) სასაქონლო ნიშანი შეიცავს ისეთ საფირმო სახელწოდებას, რომელზე უფლებებიც წარმოშობილია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე, რის შედეგადაც ჩნდება აღრევის შესაძლებლობა;

ე) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციით ან/და სასაქონლო ნიშნის გამოყენებით ირღვევა მესამე პირის საავტორო უფლებები, რომლებიც წარმოშობილია სასაქონლო ნიშნისთვის დადგენილი პრიორიტეტის თარიღამდე;

ვ) იგი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის იდენტურია ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის, შესაძლებლობა. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა, თუ სასაქონლო ნიშნის გამოყენება მის მფლობელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან განმასხვავებელუნარიანობას;

ზ) სასაქონლო ნიშანი არის მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ისეთი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი, რომელსაც საქართველოში აქვს რეპუტაცია, და სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან განმასხვავებელუნარიანობას. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა;

თ) სასაქონლო ნიშანში გამოყენებულია განმასხვავებელუნარიანი სიმბოლო, რომელზე უფლებებიც წარმოშობილია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღამდე, და, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, ამ სიმბოლოზე უფლებების მფლობელს უფლება აქვს, აკრძალოს სასაქონლო ნიშნის გამოყენება;

ი) სასაქონლო ნიშნის გამოყენება შეიძლება აიკრძალოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე.

2. სასაქონლო ნიშანი არ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი რეგისტრირებულია ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების მოთხოვნების დარღვევით, მაგრამ ეს სასაქონლო ნიშანი სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების შედეგად იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც ის არის რეგისტრირებული, განმასხვავებელ სიმბოლოდ დამკვიდრდა.

3. სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა შეიძლება მოითხოვოს:
ა) ნებისმიერმა პირმა, იმ საფუძვლით, რომ დარღვეულია ამ კანონის მე-4 მუხლის ან მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები;

ბ) მხოლოდ ადრინდელი უფლების მფლობელმა, იმ საფუძვლით, რომ დარღვეულია ამ

კანონის მე-5 მუხლის (გარდა იმავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა) მოთხოვნები;

გ) მხოლოდ ადრინდელი უფლების მფლობელმა, თუ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“—„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველი.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსარჩელეს უფლება აქვს, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის ნაცვლად მოითხოვოს სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მისთვის გადაცემა.

5. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველი არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ, მისი რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი მხოლოდ ამ ნაწილის მიმართ.

6. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საქონლის მთელი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ ბათილად ცნობის შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში.

7. სასაქონლო ნიშანი არ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის ან შეგებებული სარჩელის აღძვრამდე ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულმა ადრინდელი უფლების მფლობელმა გასცა წერილობითი თანხმობა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე.

8. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულმა ადრინდელი უფლების მფლობელმა ამავე მუხლის საფუძველზე სარჩელით ან შეგებებული სარჩელით მოითხოვა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა, მას არ აქვს უფლება, ხელახლა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა იმავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით, თუკი მას შეეძლო შესაბამისი საფუძვლით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა პირველი სარჩელის ფარგლებში მოეთხოვა.

9. პირს არ აქვს უფლება, ადრინდელი სასაქონლო ნიშნის საფუძველზე მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა იმ საქონლისთვის, რომლისთვისაც ის გამოიყენება, თუ იგი სასამართლოს შესაბამისი სარჩელით არ მიმართავს 5 წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა სადავო სასაქონლო ნიშნის საქართველოში გამოყენების შესახებ. ეს წესი არ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია არაკეთილსინდისიერი განზრახვით განხორციელდა.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სადავო სასაქონლო ნიშნის მფლობელს არ აქვს უფლება, მოითხოვოს ადრინდელი სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა, მიუხედავად იმისა, რომ ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელმა დაკარგა სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება.

11. სადავო სასაქონლო ნიშნის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელი, რომელიც ითხოვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობას, ვალდებულია, თუ ადრინდელი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღიდან გასულია 5 წელზე მეტი, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულება, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში სასაქონლო ნიშანი რეალურად გამოიყენებოდა იმ საქონლისთვის, რომლისთვისაც რეგისტრირებულია ეს სასაქონლო ნიშანი და რომელსაც ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელი უთითებს სარჩელის საფუძვლად. სასაქონლო ნიშნის რეალური გამოყენების მტკიცებულების წარუდგენლობის ან მისი გამოუყენებლობის საპატიო მიზეზის მიუთითებლობის შემთხვევაში

სარჩელზე საქმისწარმოება წყდება.

12. თუ ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადრინდელი სასაქონლო ნიშანი გამოიყენებოდა რეგისტრირებული საქონლის მხოლოდ ნაწილის მიმართ, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული დავის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ ადრინდელი სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია საქონლის მხოლოდ შესაბამისი ნაწილისთვის.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 29. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების ან ბათილად ცნობის შედეგები

1. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია გაუქმდა ამ კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციით მინიჭებული უფლებები შეწყვეტილად ითვლება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ჩანაწერის რეესტრში შეტანის დღიდან, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებაში სხვა თარიღი არ იქნება მითითებული.

2. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნა ცნობილი ამ კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, მისი რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები შეწყვეტილად მიიჩნევა სასაქონლო ნიშანზე ამ უფლებების წარმოშობის დღიდან.

3. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას უკუძალა არ აქვს:
ა) სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ, თუ ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე;
ბ) ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დადებული და აღსრულებული გარიგების მიმართ.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

თავი V
კოლექტიური ნიშანი

მუხლი 30. უფლებები კოლექტიურ ნიშანზე

1. კოლექტიური ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც ამ კანონის მე-3 მუხლით შეიძლება იქნეს დაცული სასაქონლო ნიშნად და რომელიც განასხვავებს კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრთა საქონელს სხვა პირთა საქონლისაგან გეოგრაფიული წარმოშობის, ერთნაირი ხარისხობრივი მახასიათებლების ან სხვა თვისებების მიხედვით.

2. კოლექტიური ნიშნის განმცხადებელი და მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ გაერთიანება ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

3. (ამოღებულია – 21.02.2024, №4048).

4. კოლექტიურ ნიშანზე მთლიანად ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული წესები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 31. გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნის გამოყენება კოლექტიურ ნიშნად

1. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვიდან გამონაკლისის სახით დასაშვებია კოლექტიურ ნიშნად ისეთი სიმბოლოს რეგისტრაცია, რომელიც არის საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის აღმნიშვნელი (ადგილის, რაიონის, რეგიონის, ქვეყნის სახელი ან სხვაგვარი აღნიშვნა, რომელიც საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე მიუთითებს).

2. გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნა არ გამოიყენება კოლექტიურ ნიშნად იმ საქონლისათვის, რომელიც არ წარმოიშვა შესაბამის გეოგრაფიულ ადგილზე, რაიონში, რეგიონში, ქვეყანაში, თუ ასეთი აღნიშვნა მცდარ წარმოდგენას ქმნის საქონლის წარმოშობის შესახებ.

3. თუ გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნა მიუთითებს საქონლის განსაკუთრებულ თვისებებსა და ხარისხზე, ასეთი აღნიშვნა გამოიყენება კოლექტიურ ნიშნად იმავე წარმოშობის მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომელსაც აქვს შესაბამისი თვისებები და ხარისხი.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები აგრეთვე ვრცელდება იმ სახელზე, აღნიშვნასა და ნიშანზე, რომლებიც გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნის მსგავსია.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3 საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 32. კოლექტიური ნიშნის დებულება

1. კოლექტიური ნიშნის განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნებს. განაცხადს უნდა დაერთოს კოლექტიური ნიშნის დებულება. განმცხადებელი ვალდებულია განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 2 თვისა საქპატენტს წარუდგინოს კოლექტიური ნიშნის დებულება.

2. კოლექტიური ნიშნის დებულება უნდა შეიცავდეს:
ა) გაერთიანების სახელწოდებას;
ბ) გაერთიანების წევრთა სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;
გ) გაერთიანების მიზანს;
დ) კოლექტიური ნიშნით სარგებლობისა და მისი გამოყენების კონტროლის პირობებს;
ე) გაერთიანების წევრთა უფლება-მოვალეობებს კოლექტიურ ნიშანზე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით;
ვ) იმ საქონლის ჩამონათვალსა და ერთიან მახასიათებლებს ან საერთო მაჩვენებლებს, რომლისთვისაც განკუთვნილია კოლექტიური ნიშანი.

3. თუ კოლექტიური ნიშანი შეიცავს გეოგრაფიულ სახელს, დებულება უნდა ითვალისწინებდეს, რომ ნებისმიერ პირს, რომლის საქონელი წარმოიშვა აღნიშნულ გეოგრაფიულ რეგიონში და აკმაყოფილებს დებულებით განსაზღვრულ კოლექტიური ნიშნის გამოყენების პირობებს, უფლება აქვს გახდეს გაერთიანების წევრი და ჰქონდეს ამ ნიშნით სარგებლობის უფლება.

4. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს კოლექტიური ნიშნის დებულებას.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 33. კოლექტიურ ნიშანზე განაცხადის ექსპერტიზა
კოლექტიურ ნიშანზე განაცხადის არსობრივი ექსპერტიზის დროს ამ კანონის მე–14 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ერთად დგინდება, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი ამ კანონის 30–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტებით, აგრეთვე 32–ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთანავე, ექსპერტიზა არ გამოიტანს უარყოფით გადაწყვეტილებას კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციაზე, თუ განმცხადებელი შეასწორებს კოლექტიური ნიშნის დებულებას ისე, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი აღარ იარსებებს.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3

მუხლი 34. კოლექტიური ნიშნის დაცვის შეზღუდვა
გეოგრაფიული სახელის კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაცია არ ანიჭებს მის მფლობელს უფლებას, აუკრძალოს მესამე პირს ამ სახელწოდების გამოყენება სამოქალაქო ბრუნვაში, თუ ამით არ ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმები და მესამე პირს აქვს ამ დასახელების გამოყენების მართლზომიერი საფუძველი.

მუხლი 35. გასაჩივრება
პირს, რომელსაც უფლება აქვს ისარგებლოს კოლექტიური ნიშნით, შეუძლია ამ უფლების დარღვევის თაობაზე სარჩელი შეიტანოს სასამართლოში მხოლოდ კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების ნებართვით, თუ კოლექტიური ნიშნის დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 36. კოლექტიური ნიშნის დებულებაში ცვლილებების შეტანა
1. კოლექტიური ნიშნის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს „საქპატენტს“ კოლექტიური ნიშნის დებულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. კოლექტიური ნიშნის დებულების ცვლილებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ კანონის 31–ე და 32–ე მუხლების მოთხოვნები.

მუხლი 37. კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია უქმდება:
ა) ამ კანონის 27–ე მუხლის შესაბამისად;
ბ) თუ კოლექტიური ნიშნის მფლობელი ამ ნიშანს იყენებს კოლექტიური ნიშნის დებულების დარღვევით.

მუხლი 38. კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლების გამო
ამ კანონის 28–ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა, კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი, თუ ის რეგისტრირებული იყო ამ კანონის 33–ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. თუ ბათილად ცნობის საფუძველია კოლექტიური ნიშნის

დებულება, ის ბათილად აღარ იქნება ცნობილი, თუ კოლექტიური ნიშნის მფლობელი 2 თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ ცვლილების შეტანის აუცილებლობის შესახებ, შეასწორებს დებულებას ისე, რომ ბათილად ცნობის საფუძველი აღარ იარსებებს.

თავი V[1]
სასერტიფიკაციო ნიშანი

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 38[1]. სასერტიფიკაციო ნიშანი

1. სასერტიფიკაციო ნიშანი არის სასაქონლო ნიშნის სახე, რომელიც სერტიფიცირებულ საქონელს განასხვავებს არასერტიფიცირებული საქონლისგან საქონლის მასალის, წარმოების პროცესის, ხარისხის, სიზუსტის ან სხვა მახასიათებლის (გარდა საქონლის გეოგრაფიული წარმოშობისა) მიხედვით.

2. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი (მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი), თუ მისი საქმიანობა დაკავშირებული არ არის იმ საქონლის წარმოებასთან ან მიწოდებასთან, რომლისთვისაც მოითხოვება სასერტიფიკაციო ნიშნის დაცვა.

3. სასერტიფიკაციო ნიშანზე სრულად ვრცელდება ამ კანონით სასაქონლო ნიშნისთვის დადგენილი მოთხოვნები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 38[2]. სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება

1. განმცხადებელი ვალდებულია სასერტიფიკაციო ნიშნის განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 2 თვისა საქპატენტს წარუდგინოს სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება.

2. სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება უნდა განსაზღვრავდეს სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირებს, სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების პირობებს, შესაბამის საქონელს, სასერტიფიკაციო ნიშნის გამოსაყენებლად საჭირო პირობების შემოწმებისა და მისი გამოყენების მონიტორინგის წესებს, აგრეთვე სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების პირობების დარღვევისთვის დაწესებულ სანქციებს.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 38[3]. სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები

1. ამ კანონის მე–4 და მე–5 მუხლებით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობის შემთხვევების გარდა, სასერტიფიკაციო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ:
ა) სასერტიფიკაციო ნიშნის განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ კანონის 38[1] და 38[2] მუხლების მოთხოვნებს;
ბ) სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს;
გ) შესაძლებელია, რომ სასერტიფიკაციო ნიშანმა მომხმარებელს მისი მნიშვნელობის ან შინაარსის შესახებ მცდარი წარმოდგენა შეუქმნას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება, თუ განმცხადებელი სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში შეიტანს ისეთ ცვლილებებს, რომლებითაც აღმოიფხვრება სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 38[4]. სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების სააპელაციო პალატაში გასაჩივრების საფუძვლები
ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევების გარდა, მესამე პირმა სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება სააპელაციო პალატაში შეიძლება გაასაჩივროს, თუ დარღვეულია ამავე კანონის 38[3] მუხლის მოთხოვნები.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 38[5]. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენება
სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენებად მიიჩნევა მისი ამ კანონის 38[2] მუხლით გათვალისწინებული სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ გამოყენება, თუ დაკმაყოფილებულია ამავე კანონით დადგენილი, სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები.

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 38[6]. სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში ცვლილებების შეტანა
1. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი ვალდებულია სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში შეტანილი ცვლილებები საქპატენტში დაარეგისტრიროს.

2. სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში შესატანი ცვლილებები უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის 38[2] და 38[3] მუხლების მოთხოვნებს.

3. სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქპატენტის გადაწყვეტილება ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო პალატაში, თუ დარღვეულია ამ კანონის 38[3] მუხლის მოთხოვნები.

4. სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში შეტანილი ცვლილებები ძალაში შედის შესაბამისი მონაცემების რეესტრში შეტანის დღიდან.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 38[7]. სასერტიფიკაციო ნიშანზე უფლებების გადაცემა
სასერტიფიკაციო ნიშანი შეიძლება გადაეცეს მხოლოდ იმ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის 38[1] მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 38[8]. სასერტიფიკაციო ნიშანზე უფლებების დაცვა
1. სასერტიფიკაციო ნიშანზე უფლებების დარღვევისას სარჩელის აღძვრის უფლება აქვს სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს.
2. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს, სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირების სახელით მოითხოვოს სასერტიფიკაციო ნიშნის უნებართვო გამოყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 38[9]. სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები

ამ კანონის 27–ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევების გარდა, სასამართლო აუქმებს სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციას, თუ:

ა) სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი ვეღარ აკმაყოფილებს ამ კანონის 38[1] მუხლის მე–2 პუნქტის მოთხოვნებს;

ბ) სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი არ იღებს შესაბამის ზომებს, რათა სასერტიფიკაციო ნიშანი სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებით განსაზღვრული სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების პირობების დაცვით იქნეს გამოყენებული;

გ) სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის;

დ) სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში შეტანილი ცვლილებები ეწინააღმდეგება ამ კანონის 38[6] მუხლის მე–2 პუნქტის მოთხოვნებს და სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში არ შეიტანს ისეთ ცვლილებებს, რომლებითაც აღმოიფხვრება აღნიშნული საფუძველი.

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 38[10]. სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძვლები

ამ კანონის 28–ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევების გარდა, სასამართლო სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს, თუ ის რეგისტრირებულია ამავე კანონის 38[6] მუხლის მოთხოვნების დარღვევით და სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებაში არ შეიტანს ისეთ ცვლილებებს, რომლებითაც აღმოიფხვრება აღნიშნული საფუძველი.

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

თავი VI

სასაქონლო ნიშნების დაცვა მადრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3

მუხლი 39. განაცხადი სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციაზე

1. ეს კანონი ვრცელდება იმ სასაქონლო ნიშნებზე, რომელთა დაცვა მოითხოვება მადრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით, თუ ამ ოქმით ან კანონის ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. განაცხადი სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციაზე მადრიდის შეთანხმების ოქმის მე–3 მუხლის თანახმად შეტანილ უნდა იქნეს „საქპატენტში“.

3. განაცხადს უნდა დაერთოს საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით დაჯგუფებული ჩამონათვლის თარგმანი ინგლისურ ენაზე.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3

მუხლი 40. ჩანაწერი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ

1. თუ საერთაშორისო რეგისტრაცია წარმოებს „საქპატენტში“ შეტანილი განაცხადის საფუძველზე, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი შეტანილი იქნება განაცხადის მონაცემებში.

2. თუ საერთაშორისო რეგისტრაცია წარმოებს „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საფუძველზე, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი შეტანილი იქნება რეესტრში.

3. თუ საერთაშორისო რეგისტრაცია წარმოებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი შეტანილი იქნება რეესტრში სასაქონლო ნიშნის „საქპატენტში“ რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 41. მადრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზა

1. იმ სასაქონლო ნიშანზე, რომლისთვისაც საქართველოში დაცვის მინიჭება მოითხოვება მისი საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მადრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით (შემდგომ – საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი), ტარდება მხოლოდ არსობრივი ექსპერტიზა და მოწმდება საქონლის ჩამონათვალის ამ კანონის 11^{1} მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

2. საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მიმართ ამ კანონის $I–V^{1}$ თავებში გამოყენებული ტერმინის „რეგისტრაცია“ ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „დაცვა“.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 42. გამოქვეყნება და გასაჩივრება

1. სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის მონაცემები ქვეყნდება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროს ჟურნალში.

2. საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის საქართველოში დაცვის მინიჭების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ბიულეტენში გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში დამატებით ქვეყნდება საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.

3. ამ კანონის მე–16 მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადა აითვლება სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის ბიულეტენში გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3

მუხლი 43. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3

მუხლი 44. ეროვნული განაცხადის წარდგენა გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე

1. გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მადრიდის შეთანხმების ოქმის მე–$9^{\text{quinquies}}$ მუხლის შესაბამისად ეროვნულ განაცხადთან ერთად განმცხადებელმა უნდა წარადგინოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს

მიერ დამოწმებული საბუთი, რომლითაც დასტურდება, რომ საერთაშორისო რეგისტრაცია გაუქმებამდე ვრცელდებოდა საქართველოზე.

2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ეროვნული განაცხადის „საქპატენტში“ შეტანის დღისათვის „საქპატენტის“ მიერ მიღებულია გადაწყვეტილება შესაბამისი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების თაობაზე, ეროვნულ განაცხადს არსობრივი ექსპერტიზა არ უტარდება.

3. თუ საერთაშორისო რეგისტრაციის გაუქმების დღისათვის საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს საქართველოში მინიჭებული ჰქონდა დაცვა, „საქპატენტი“ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ეროვნულ განაცხადზე ატარებს მხოლოდ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რის შემდეგაც ახდენს რეესტრში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას და მონაცემებს რეგისტრირებული ნიშნის შესახებ აქვეყნებს ბიულეტენში.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2380 – სსმ I, №1, 04.01.2006 წ., მუხ.3

თავი VII
სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაცვის უზრუნველყოფა

მუხლი 45. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაცვა

1. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისას სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს:
ა) ამ კანონის მე-6 მუხლის მე-2–მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების შეწყვეტა;
ბ) სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით ნიშანდებული საქონლის სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღება ან სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ან დასაწყობებული (შესანახად განთავსებული) საქონლის ამოღება;
გ) სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით ნიშანდებული საქონლის განადგურება, თუ საქონლის სასაქონლო ნიშნისაგან განცალკევება შეუძლებელია ან თუ სასაქონლო ნიშანი საქონელზეა დატანილი;
დ) იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი ან სარეკლამო მასალის ან აბრის განადგურება, რომელიც სასაქონლო ნიშანს შეიცავს ან არის მისი ასლი ან იმიტაცია, მათ შორის, ინტერნეტში განთავსებული ისეთი მასალის ან გამოსახულების წაშლა, რომელიც სასაქონლო ნიშანს შეიცავს;
ე) სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეს, მატრიცის, სხვა დანადგარის, ტექნიკური აღჭურვილობისა და იარაღის განადგურება.

2. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, მოითხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რამდენიმე ქმედების ერთდროულად განხორციელება.

3. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისას სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული ქმედება განხორციელდეს აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელმაც იცოდა ან რომელსაც უნდა სცოდნოდა, რომ მისი მომსახურება გამოიყენება ანდა გამოიყენებოდა სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების კომერციული მასშტაბით დარღვევისათვის.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დამრღვევის მოთხოვნის საფუძველზე, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების ნაცვლად, მას დააკისროს ფულადი კომპენსაციის გადახდა, თუ იგი გაუფრთხილებლობით მოქმედებდა ან თუ მას შესაბამისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით არაპროპორციული ზიანი მიადგება, ამასთანავე, თუ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ფულადი კომპენსაციის ოდენობა მისაღებია.

5. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისას სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედების გარდა, მოითხოვოს ერთ–ერთი შემდეგი ქმედების განხორციელება:
ა) მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით), თუ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დამრღვევმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შესახებ;
ბ) სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დამრღვევისთვის სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის სასარგებლოდ;
გ) ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა.

6. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის არსი, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით მიღებული შემოსავალი, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელისთვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელსაც მიიღებდა სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი სასაქონლო ნიშნის მართლზომიერად გამოყენებით.

7. ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია განისაზღვრება არანაკლებ იმ ოდენობით, რომელსაც სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დამრღვევი სასაქონლო ნიშნის გამოყენების ნებართვის მიღებისას გადაიხდიდა.

8. ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით ნიშანდებული საქონლის რაოდენობა, გამოყენებული სასაქონლო ნიშნის იდენტურობა ან დაცულ სასაქონლო ნიშანთან მსგავსების ხარისხი, საქართველოში სასაქონლო ნიშნის რეპუტაცია, დამრღვევის განზრახვა, იმ მომსახურების მასშტაბი, ხასიათი და სხვა მახასიათებელი, რომლის შეთავაზებაც ხდება სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით, ან/და ნებისმიერი სხვა გარემოება, რომელიც კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1922 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 45[1]. რეგისტრირებული, კონფლიქტის მქონე სასაქონლო ნიშნების ურთიერთობა

1. სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევისას სასაქონლო ნიშნის მფლობელს არ აქვს უფლება, მოითხოვოს უფრო გვიან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა, თუ ამ კანონის 28-ე მუხლის მე-7, მე-8, მე-9 ან მე-11 პუნქტის საფუძველზე დაუშვებელია უფრო გვიან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფრო გვიან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს არ აქვს უფლება, ადრინდელი სასაქონლო ნიშნის მფლობელს სასაქონლო ნიშნის გამოყენება აუკრძალოს.

საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4048 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

თავი VIII
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 46. ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეტანილი განაცხადი და გაცემული მოწმობა

1. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე, რომელიც შეტანილი იქნა ამ კანონის ამოქმედებამდე, განიხილება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილების მიხედვით.

2. ამ კანონის ძალაში შესვლამდე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე გაცემული მოწმობა ძალაშია ამ კანონის ამოქმედების შემდეგაც.

თავი IX
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 47. ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №304 დადგენილება;

ბ) „საქართველოს რესპუბლიკაში სასაქონლო ნიშნის (ნიშანდების) გამოყენების მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 25 ივნისის №483 დადგენილება.

მუხლი 48. კანონის ამოქმედება
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 3 თვის გასვლისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ე. შევარდნაძე

თბილისი, 1999 წლის 5 თებერვალი
№1795-IIს

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის
2024 წლის 19 აგვისტოს ბრძანება №05

ინსტრუქცია სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ინსტრუქციის რეგულირების სფერო

ინსტრუქცია შემუშავებულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს სასაქონლო, მომსახურების, კოლექტიურ და სასერტიფიკაციო ნიშნებზე განაცხადის წარდგენის, ექსპერტიზის, ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრების, პროცედურული ვადების შეჩერების, გაგრძელების, შეწყვეტისა და აღდგენის, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სხვა წესებს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ა) კანონი – საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ;
ბ) ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ (შემდგომში – საქპატენტი) – საქართველოს საპატენტო კანონის მე–2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
გ) ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (შემდგომში – ისმო);
დ) პარიზის კონვენცია – 1883 წლის 20 მარტს ხელმოწერილი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (გადასინჯულია სტოკჰოლმში, 1967 წლის 14 ივლისს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს);
ე) მადრიდის შეთანხმების ოქმი – 1989 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმი;
ვ) საერთაშორისო კლასიფიკატორი – 1957 წლის 15 ივნისს ნიცის შეთანხმებით მიღებული და ხელმოწერილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკატორი (გადასინჯულია სტოკჰოლმში, 1967 წლის 14 ივლისს; ჟენევაში, 1977 წლის 13 მაისს);
ზ) საქონლის ჩამონათვალი – სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის წარდგენილი საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისი საქონლის ან/და მომსახურების ნუსხა;
თ) საქონელი – საქონელი ან/და მომსახურება;
ი) მოწმობა – ამ კანონის შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის განსაკუთრებულ უფლებებს;
კ) განაცხადი – მოწმობის გასაცემად აუცილებელი საბუთების ერთობლიობა, რომელიც ფორმდება ამ ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
ლ) განმცხადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ითხოვს მოწმობას;

მ) პრიორიტეტი – უპირატესობა, რომლითაც სარგებლობს განაცხადი, მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით;
ნ) საკონვენციო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე–4 მუხლის თანახმად დადგენილი პრიორიტეტი;
ო) საგამოფენო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე–11 მუხლის თანახმად დადგენილი პრიორიტეტი;
პ) პატენტრწმუნებული – საქპატენტის პატენტრწმუნებულთა რეესტრში რეგისტრირებული ფიზიკური პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში;
ჟ) სააპელაციო პალატა – „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე–9 მუხლით განსაზღვრული ორგანო;
რ) სასაქონლო ნიშნის დაუცველი ნაწილი – სასაქონლო ნიშნის ნაწილი, რომელზედაც არ ვრცელდება მფლობელის განსაკუთრებული უფლებები;
ს) კოდი – ისმოს სტანდარტით ST.60 დადგენილი მონაცემთა იდენტიფიკაციის საერთაშორისო შეთანხმებით მიღებული სამნიშნა რიცხვითი კოდი;
ტ) ქვეყნის კოდი – ისმოს სტანდარტით ST.3 დადგენილი ქვეყნის, სამთავრობათაშორისო და სხვა ორგანიზაციების დასახელების შესატყვისი ორნიშნა კოდი;
უ) საერთაშორისო ბიურო – ისმოს საერთაშორისო ბიურო;
ფ) საერთაშორისო განაცხადი – მადრიდის შეთანხმების ოქმის მე–3 მუხლის თანახმად, საერთაშორისო რეგისტრაციისათვის წარდგენილი განაცხადი;
ქ) ბიულეტენი – სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი;
ღ) რეესტრი – სასაქონლო ნიშნების რეესტრი;
ყ) საერთაშორისო ბიუროს ჟურნალი – ისმოს საერთაშორისო ბიუროს ჟურნალი (WIPO Gazette);
შ) ისმოს ციფრული წვდომის სისტემა „DAS“ (შემდგომში – „DAS“) – ისმოს ელექტრონული სისტემა, რომელიც მის მონაწილე ინტელექტუალური საკუთრების უწყებებს საშუალებას აძლევს, ელექტრონული სისტემის მეშვეობით უსაფრთხოდ გაცვალონ პარიზის კონვენციით გათვალისწინებული განაცხადის პრიორიტეტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
ჩ) მადრიდის eFiling – ისმოს მადრიდის სისტემის საერთაშორისო განაცხადების ელექტრონული ინტერფეისი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

თავი II
განაცხადის ფორმა და წარდგენის წესი

მუხლი 3. განაცხადის წარდგენა

1. განაცხადის წარდგენა საქპატენტში ხდება მატერიალური ფორმით ან ელექტრონული სისტემის – https://online.sakpatenti.gov.ge/ (შემდგომში – ელექტრონული სისტემა) მეშვეობით.

2. განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში განცხადება შეტანილი უნდა

იქნეს საქპატენტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებულ განაცხადის ბლანკზე (შემდგომში – ბლანკი) და ამ მუხლით დადგენილი წესით, ხოლო ელექტრონული სისტემით წარდგენისას, საგანაცხადო მასალის შეტანა ხდება საქპატენტის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

3. საქპატენტში განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში, განაცხადზე საქმისწარმოების ფარგლებში, ყველა სახის დოკუმენტი განმცხადებელს ეგზავნება მატერიალური ფორმით.

4. საქპატენტში განაცხადის ელექტრონული სისტემით წარდგენის შემთხვევაში, განაცხადზე საქმისწარმოების ფარგლებში, განმცხადებელს ყველა სახის დოკუმენტი ეგზავნება საქპატენტის ელექტრონული სისტემის მეშვეობით და მისთვის ჩაბარებულად ითვლება სისტემაში ასახვისთანავე. ამ მომენტიდან იწყება კანონმდებლობით დადგენილი ვადების ათვლა ყველა შესაბამისი მომდევნო ქმედებისთვის.

5. საქპატენტში განაცხადის ელექტრონულად წარდგენის შემდგომ, განმცხადებლის მიერ საქმისწარმოების მატერიალური ფორმით გაგრძელების მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის დღიდან განაცხადზე აღარ გავრცელდება ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით საფასურებზე კანონმდებლობით დადგენილი შეღავათი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6. საქპატენტში განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენის შემდგომ, განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს საქმისწარმოების ელექტრონული ფორმით გაგრძელება. ამ შემთხვევაში განაცხადზე არ გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით დადგენილი შეღავათი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7. დამატებითი ინფორმირების მიზნით, განმცხადებელს შესაძლებელია გაეგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება განაცხადთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ.

8. განაცხადი უნდა ეხებოდეს ერთ სასაქონლო ნიშანს.

9. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის განაცხადზე დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნის შემთხვევაში განმცხადებელმა „X“ სიმბოლოთი უნდა მონიშნოს ბლანკის გრაფაში შესაბამისი უჯრა.

10. ბლანკის გრაფები უნდა შეივსოს შემდეგი სახით:
ა) ბლანკის პირველი გრაფა უნდა შეიცავდეს:
ა.ა) განაცხადს წარდგენილი სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის შესახებ, განმცხადებლის სრულ სახელს/სახელწოდებას და მისამართს/იურიდიულ მისამართს (კოდი 731). თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – მის გვარს, სახელს, პირად ნომერს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სრულ საფოსტო მისამართს ინდექსის მითითებით, ქვეყნის დასახელებას, რომლის მოქალაქეც არის ან სადაც გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან აქვს მოქმედი საწარმო. იურიდიული პირის შემთხვევაში – მის სამართლებრივ ფორმას, სრულ სახელწოდებას, ქვეყანას (სადაც რეგისტრირებულია იურიდიული პირი), სრულ საფოსტო მისამართს ინდექსის მითითებით და საიდენტიფიკაციო ნომერს (ასეთის არსებობის

შემთხვევაში);
ა.ბ) მოთხოვნას პრიორიტეტის დადგენის შესახებ, რისთვისაც განმცხადებელმა „X“ სიმბოლოთი უნდა მონიშნოს მოთხოვნილი პრიორიტეტის შესაბამისი უჯრა;
ა.გ) ქვეყნის კოდს და შეტანის თარიღს (კოდი 220), რომელიც ივსება საქპატენტის მიერ;

ბ) ბლანკის მე–2 გრაფის შევსება ხდება ადრინდელი პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში. კერძოდ, საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში მიეთითება პირველი განაცხადის ნომერი (კოდი 310), პირველი განაცხადის შეტანის თარიღი (კოდი 320) და პირველი განაცხადის მიმღები ქვეყანა/უწყება (კოდი 330), ხოლო საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში – გამოფენაზე ჩვენების თარიღი (კოდი 230), საერთაშორისო განაცხადის ნომერი და საერთაშორისო რეგისტრაციით მოთხოვნილი პრიორიტეტი მიეთითება, თუ განმცხადებელი ითხოვს გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის გარდაქმნას ეროვნულ განაცხადად;
გ) ბლანკის მე–3 გრაფაში მიეთითება წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის სახელი და გვარი, პირადი ნომერი და რეგისტრაციის ნომერი (კოდი 740), თუ განაცხადი შეტანილია პატენტრწმუნებულის მიერ, იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) ბლანკის მე–4 გრაფაში მიეთითება მიმოწერის მისამართი (კოდი 750), ადრესატის სახელი და გვარი, იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, ასევე, ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა. ადრესატი შეიძლება იყოს წარმომადგენელი/პატენტრწმუნებული ან განმცხადებელი. განმცხადებლის შემთხვევაში, თუ მისამართი ემთხვევა პირველ გრაფაში მითითებულ მისამართს, იგი უნდა განმეორდეს მე–4 გრაფაშიც;
ე) ბლანკის მე–5 გრაფაში თავსდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს გამოსახულება (კოდი 540). სიმბოლოს გამოსახულება უნდა იყოს მკაფიო და არ უნდა აღემატებოდეს 6სმX6სმ ზომას. თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლო მოცულობითია, მაშინ მისი გამოსახულების ხედი ისე უნდა შეირჩეს, რომ ქმნიდეს მასზე მაქსიმალურად სრულყოფილ წარმოდგენას. თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილია ბგერითი სიმბოლო, მაშინ ამ გრაფაში უნდა მოთავსდეს ამ სიმბოლოს გრაფიკული გამოსახულება (მაგ., სანოტო ჩანაწერი);
ვ) ბლანკის მე–6 გრაფაში (კოდი 571) შეიტანება სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი აღწერილობა, უცხო ენაზე ჩაწერილი სიტყვიერი სიმბოლოს შემთხვევაში – მისი ტრანსლიტერაცია, ტრანსკრიფცია და თუ შესაძლებელია, მისი თარგმანი, გამოსახულებითი ან მოცულობითი სიმბოლოების შემთხვევაში – მათი შემადგენელი გამოსახულებითი ელემენტების ჩამონათვალი და აღწერა;
ზ) ბლანკის მე–7 გრაფაში „X“ სიმბოლოთი უნდა მოინიშნოს სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს სახეობის შესაბამისი უჯრა;
თ) ბლანკის მე–8 გრაფაში (კოდი 591) მიეთითება ის ფერი ან ფერთა კომბინაცია, რომელიც წარმოადგენს დაცვის საგანს;
ი) ბლანკის მე–9 გრაფაში (კოდი 511) მიეთითება იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლისთვისაც მოითხოვება წარდგენილი სიმბოლოს რეგისტრაცია შესაბამისი კლასის მითითებით;
კ) ბლანკის მე–10 გრაფაში „X“ სიმბოლოთი მოინიშნება განაცხადის შეტანისას თანმხლები საბუთის შესაბამისი უჯრა და მიეთითება თითოეული საბუთის ეგზემპლარისა და თითოეულ ეგზემპლარში ფურცლების რაოდენობა.

11. ბლანკი უნდა იყოს ხელმოწერილი განმცხადებლის, უფლებამოსილი პირის ან

წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის მიერ და დათარიღებული ხელმოწერის დღით. ბლანკის ბოლოს გარკვევით უნდა მიეთითოს ხელმომწერი პირის სახელი და გვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი საქპატენტში შეტანილად არ ჩაითვლება.

12. ამ მუხლის მე-8-მე-10 პუნქტებით დადგენილი წესები ასევე ვრცელდება განაცხადის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენის შემთხვევაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 4. განაცხადთან დაკავშირებული საბუთები

1. განაცხადი უნდა შეიცავდეს სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს მკაფიო გამოსახულებას ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით. თუ სიმბოლო ბგერითია, მაშინ წარდგენილი ან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნეს აუდიოჩანაწერი და სანოტო ჩანაწერის ელექტრონული ვერსია.

2. თუ საქონლის ჩამონათვალი არ ეტევა ბლანკში მისთვის გამოყოფილ მე-9 გრაფაში (კოდი 511), იგი შეიძლება წარდგენილ იქნეს განაცხადის შეტანისას დანართის სახით. თუ საქონლის ჩამონათვალი წარდგენილია უცხო ენაზე, განაცხადის შეტანიდან ერთი თვის ვადაში საქონლის ჩამონათვალი წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზეც.

3. მინდობილობა წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების შესახებ საქპატენტში წარდგენილი უნდა იქნეს განაცხადის შეტანისას ან შეტანიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება ერთი თვით, თუ საქპატენტში განაცხადის შეტანიდან 15 კალენდარული დღის ვადაში წარმომადგენელი/პატენტრწმუნებული წარადგენს მოთხოვნას ვადის გაგრძელების შესახებ და გადაიხდის ვადის გაგრძელებისათვის დადგენილ საფასურს.

4. განაცხადის საქპატენტში შეტანისას გადახდილი უნდა იქნეს:
ა) ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასური. თუ განაცხადის შეტანიდან 15 კალენდარული დღის ვადაში არ იქნა გადახდილი ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასური, საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადაში გადაიხდება განაცხადით გათვალისწინებული კლასების წარდგენისათვის დადგენილ თანხაზე ნაკლები, მაგრამ არანაკლებ ერთი კლასის წარდგენისათვის საკმარისი თანხა, ექსპერტიზა ტარდება განმცხადებლის მიერ შერჩეულ კლასებზე, ხოლო ასეთი შერჩევის არარსებობის შემთხვევაში, პირველ იმდენ კლასზე, რამდენისთვისაც საკმარისია გადახდილი საფასური;
ბ) საკონვენციო ან/და საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნისთვის დადგენილი საფასური, თუ მოითხოვება ასეთი პრიორიტეტი. განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღიდან ერთი თვის ვადაში საკონვენციო ან/და საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნისთვის დადგენილი საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, პრიორიტეტი დადგინდება განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღით.

5. კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განმცხადებელმა დადგენილ ვადაში უნდა წარადგინოს:

ა) საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში – პირველი განაცხადის მიმღები უწყების მიერ დამოწმებული განაცხადის ასლი;

ბ) საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში – ოფიციალური ან ოფიციალურად მიჩნეული გამოფენის ადმინისტრაციის ან საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა გამოფენაზე ექსპონატის ჩვენების თარიღის მითითებით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირველი განაცხადის დამოწმებული ასლის „DAS“-ის მეშვეობით წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელი ვალდებულია საქპატენტში წარადგინოს „DAS“-ის შესაბამისი კოდი და „DAS“-ში განთავსებული დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ქართული თარგმანი.

7. დასაშვებია საკონვენციო ან/და საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის ვადის გაგრძელება ერთი თვით, თუ განმცხადებელი კანონით გათვალისწინებულ სამთვიან ვადაში შეიტანს თხოვნას საქპატენტში ვადის გაგრძელების შესახებ და გადაიხდის ვადის გაგრძელებისათვის დადგენილ საფასურს. წინააღმდეგ შემთხვევაში განმცხადებელი კარგავს საკონვენციო ან/და საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებას და პრიორიტეტი დადგინდება საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღით.

8. თუ განაცხადი შეტანილია კოლექტიურ ან სასერტიფიკაციო ნიშანზე, კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება საქპატენტში წარდგენილი უნდა იქნეს განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

9. თუ განაცხადი შეტანილია გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, მადრიდის შეთანხმების ოქმის მე-9quinquies მუხლის შესაბამისად, ეროვნული განაცხადის შეტანისას ან შეტანიდან ერთი თვის ვადაში განმცხადებელმა უნდა წარადგინოს ისმოს მიერ დამოწმებული საბუთი, რომლითაც დასტურდება, რომ საერთაშორისო რეგისტრაცია გაუქმებამდე ვრცელდებოდა საქართველოზე, და გადაიხადოს დადგენილი საფასური. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ნიშნის რეგისტრაცია არ ვრცელდებოდა საქართველოზე, პრიორიტეტი დადგინდება განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღით.

10. ამ მუხლის მე-3, მე-5-მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული და სხვა დამატებითი საბუთები შეიძლება წარდგენილ იქნეს უცხო ენაზე. უცხო ენაზე წარდგენილი საბუთის სათანადო წესით დამოწმებული ქართული თარგმანი საქპატენტში წარდგენილი უნდა იქნეს ამ საბუთის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. თარგმანის წარდგენის ვადა შეიძლება გაგრძელდეს ერთი თვით, თუ საქპატენტში წარდგენის დღიდან განმცხადებელი საქპატენტში შეიტანს თხოვნას ვადის გაგრძელების შესახებ და გადაიხდის ვადის გაგრძელებისათვის დადგენილ საფასურს, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგენილი საბუთი მხედველობაში არ მიიღება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 5. განაცხადის შეტანის თარიღის დადგენა

1. განაცხადის შეტანის თარიღად ჩაითვლება საქპატენტში განაცხადის წარდგენის დღე, თუ განაცხადი წარდგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ან მატერიალური ფორმით, შეიცავს განმცხადებლის სახელს და გვარს/სახელწოდებას და მისამართს, სასაქონლო ნიშნის გამოსახულებას, საქონლის ჩამონათვალს, წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის სახელს და გვარს/სახელწოდებას და მისამართს, თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მიერ და ხელმოწერილია ამ ინსტრუქციის მე- 3 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

2. თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, განაცხადს ენიჭება საქმის ნომერი და გაიცემა საკანცელარიო ცნობა განაცხადის შეტანის შესახებ, საქმის ნომრის, შეტანის თარიღისა და განაცხადით წარდგენილი მონაცემებისა და საბუთების მითითებით.

3. თუ წარდგენილი განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას, განაცხადი შეტანილად არ ჩაითვლება და განაცხადის მასალები უბრუნდება წარმომდგენს.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2018 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №2 – ვებგვერდი, 10.08.2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 6. წარმომადგენლის დანიშვნა

1. განაცხადის საქპატენტში წარდგენისას ან განაცხადის წარდგენის შემდეგ განმცხადებელს უფლება აქვს დანიშნოს წარმომადგენელი/პატენტრწმუნებული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

2. წარმომადგენელზე/პატენტრწმუნებულზე გაცემული მინდობილობა უნდა შეიცავდეს:

ა) მარწმუნებლის სახელსა და გვარს/სახელწოდებას, იურიდიულ მისამართს; ფიზიკური პირის შემთხვევაში – მარწმუნებლისა და რწმუნებულის (გარდა პატენტრწმუნებულისა) პირად ნომერს; იურიდიული პირის შემთხვევაში – საიდენტიფიკაციო ნომერს;
ბ) წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების ფარგლებს;
გ) მინდობილობის შედგენის თარიღსა და ადგილს;
დ) მარწმუნებლის ხელმოწერას;
ე) მინდობილობის მოქმედების ვადას. თუ ვადა აღნიშნული არ არის, მინდობილობა ძალაშია მარწმუნებლის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

3. მინდობილობა ფორმდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ის არის შედგენილი.

4. უცხოელი განმცხადებელი, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია საქპატენტის მოთხოვნიდან 15 დღის ვადაში დანიშნოს წარმომადგენლად/პატენტრწმუნებულად საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გაეგზავნება მისთვის განკუთვნილი ყველა საბუთი. უცხოელი განმცხადებელი წარმომადგენელზე/პატენტრწმუნებულზე მინდობილობას გასცემს უშუალოდ თვითონ ან

სათანადო უფლებამოსილების მქონე რწმუნებულის მეშვეობით. თუ განმცხადებელი არ შეასრულებს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ. ამასთან, საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მხარისათვის გაუგზავნელობა არ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადების საფუძველი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 7. საქპატენტთან მიმოწერა

1. საქპატენტთან მიმოწერა ხორციელდება განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის მიერ, თითოეული განაცხადისათვის ცალ-ცალკე.

2. განაცხადის მატერიალური ფორმით შეტანის შემდეგ წარდგენილ ყველა მასალაში უნდა მიეთითოს საქმის ნომერი. საქმის ნომრის მითითებისა და ხელმოწერის გარეშე წარდგენილი მასალები განსახილველად არ მიიღება.

3. განაცხადის შეტანის შემდეგ მასალები საქპატენტს უნდა წარედგინოს კანონითა და ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ ვადებში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 8. განაცხადის მასალების შევსება, შეცვლა, შესწორება და დაზუსტება

1. კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში განაცხადის მასალების შევსება, შეცვლა, შესწორება და დაზუსტება ხორციელდება განმცხადებლის განცხადების საფუძველზე. თუ ცვლილება მოითხოვება პრიორიტეტის დადგენის შემდეგ, გადახდილი უნდა იქნეს დადგენილი საფასური. პრიორიტეტის დადგენის შემდეგ ცვლილებების შეტანა დასაშვებია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე. ამასთანავე, სასაქონლო ნიშნის ცვლილებისას დასაშვებია სასაქონლო ნიშნის მხოლოდ ისეთი უმნიშვნელო ცვლილება, რომელიც არ აფართოებს მისი დაცვის ფარგლებს, ხოლო საქონლის ჩამონათვალის ცვლილებისას დასაშვებია მხოლოდ მისი შეზღუდვა ან დაზუსტება. თუ საფასური არ იქნება გადახდილი ან გადახდილი თანხა არ შეესაბამება დადგენილ საფასურს, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, რის თაობაზეც წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

2. თუ ცვლილება ეხება სასაქონლო ნიშნის გამოსახულებას, რომელიც არსებითად არ ცვლის მას, საქპატენტს წარედგინება შეცვლილი სასაქონლო ნიშნის გამოსახულება.

3. განმცხადებლის სახელის და გვარის (სახელწოდების) ცვლილების შემთხვევაში საქპატენტს წარედგინება ამ ცვლილების დამადასტურებელი საბუთი. თუ საბუთი წარდგენილია წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის მიერ, განცხადებას თან უნდა ახლდეს მოქმედი განმცხადებლის მიერ სათანადო წესით გაცემული წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი. აღნიშნული საბუთი საქპატენტში წარდგენილი უნდა იქნეს ცვლილების მოთხოვნის შესახებ განცხადების წარდგენისას ან მისი წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება ერთი თვით, თუ 15 კალენდარული დღის ვადაში წარმომადგენელი/პატენტრწმუნებული საქპატენტს წარუდგენს განცხადებას ვადის გაგრძელების შესახებ და გადაიხდის დადგენილ საფასურს. აღნიშნულ ვადებში მინდობილობის

წარმოუდგენლობის შემთხვევაში ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება არ აისახება განაცხადში.

4. განმცხადებელს შეუძლია განაცხადზე უფლება გადასცეს სხვა პირს/უფლებამონაცვლეს საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ. ასეთ შემთხვევაში საქპატენტს უნდა წარედგინოს: განცხადება, განაცხადზე უფლების გადაცემის დამადასტურებელი ხელშეკრულება, ხელმოწერილი განმცხადებლისა და მისი უფლებამონაცვლის მიერ, ასევე, უფლებამონაცვლის მიერ გაცემული მინდობილობა, თუ საქმისწარმოება ხორციელდება წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის მეშვეობით.

5. ამ მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მინდობილობა საქპატენტში წარდგენილი უნდა იქნეს განაცხადზე უფლების გადაცემის ხელშეკრულების საქპატენტში წარდგენისას ან მისი წარდგენიდან 15 კალენდარული ვადაში. დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება ერთი თვით, თუ 15 კალენდარული დღის ვადაში წარმომადგენელი/პატენტრწმუნებული საქპატენტს წარუდგენს განცხადებას ვადის გაგრძელების შესახებ და გადაიხდის დადგენილ საფასურს. აღნიშნულ ვადებში მინდობილობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება არ აისახება განაცხადში.

6. ამ მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებების განაცხადში ასახვის დღიდან საქპატენტი მიმოწერას ახორციელებს უფლებამონაცვლესთან ან მის წარმომადგენელთან/ პატენტრწმუნებულთან.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 9. განაცხადის გაყოფა და გაერთიანება

1. განაცხადი, რომელიც საქონლის ორ ან მეტ დასახელებას შეიცავს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე შეიძლება გაიყოს ორ ან მეტ განაცხადად, პირველ განაცხადში არსებული საქონლის გადანაწილებით თითოეულ განაცხადზე. განაცხადებში საქონელი ისე უნდა გადანაწილდეს, რომ არ მოხდეს გამოყოფილი განაცხადების საქონლის ჩამონათვალს შორის გადაფარვა. გამოყოფილ განაცხადებს უნარჩუნდებათ პირველი განაცხადის შეტანის თარიღი.

2. განმცხადებელს უფლება აქვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე მოითხოვოს სხვადასხვა საქონლისათვის წარდგენილი იდენტური სასაქონლო ნიშნების ორი ან მეტი განაცხადის გაერთიანება. განაცხადების გაერთიანებისას თითოეულ განაცხადში მითითებულ საქონელს უნარჩუნდება შესაბამისი განაცხადის პრიორიტეტის თარიღი.

3. განაცხადის გაყოფა ან გაერთიანება დასაშვებია განმცხადებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) განმცხადებლის სახელს და გვარს (სახელწოდებას), არსებობის შემთხვევაში საიდენტიფიკაციო ნომერს/პირად ნომერს და მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას;
ბ) განაცხადის საქმის/საქმეების ნომერს;

გ) განაცხადის გაყოფის ან გაერთიანების შესახებ მოთხოვნას;
დ) განაცხადის გაყოფის შემთხვევაში გასაყოფი საქონლის ჩამონათვალს შესაბამისი კლასების მითითებით.

4. განცხადების წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში:
ა) გადახდილი უნდა იყოს განაცხადის გაყოფის ან გაერთიანებისათვის დადგენილი საფასური;
ბ) წარმოდგენილი უნდა იყოს მინდობილობა, თუ განცხადება შეტანილია წარმომადგენლის მიერ.

5. დადგენილი საფასურის გადახდიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საქპატენტი ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი განცხადება ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. თუ სასაქონლო ნიშნის განაცხადის გაყოფის ან გაერთიანების შესახებ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი, მე–2 ან მე–3 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, განმცხადებელს ეძლევა 15 სამუშაო დღის ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

6. ამ მუხლის მე–4 და მე–5 პუნქტებში გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ .

7. გამოყოფილ ან გაერთიანებულ განაცხადზე რეგისტრაციის პროცედურა გრძელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და გადაიხდება ყველა შესაბამისი ქმედებისთვის დადგენილი საფასური.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 10. განაცხადის მასალების გაცნობა

განმცხადებელს უფლება აქვს გაეცნოს განაცხადის განხილვისას გამოყენებულ მასალას და მოითხოვოს მისი ასლი.

მუხლი 11. განაცხადის განხილვის შეჩერება

1. განმცხადებელს უფლება აქვს ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს საკუთარი განაცხადის განხილვის შეჩერება ერთი თვით, ცალკეულ თვეზე დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ. შეჩერების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

2. განცხადება განაცხადის განხილვის შეჩერების შესახებ წარედგინება საქპატენტს. განცხადების წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში გადახდილი უნდა იქნეს განაცხადის განხილვის შეჩერებისთვის დადგენილი საფასური. განაცხადზე საქმისწარმოება ჩერდება საფასურის გადახდიდან ან განცხადების წარდგენიდან, იმ შემთხვევაში, თუ საფასური გადახდილ იქნა განცხადების წარდგენისას. საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში განცხადება შეჩერების შესახებ დარჩება განუხილველი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 11[1]. განაცხადის დამოწმებული ასლის მოთხოვნა

1. განმცხადებელს, ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების შემდეგ, უფლება აქვს მოითხოვოს განაცხადის დამოწმებული ასლი.

2. განცხადება განაცხადის დამოწმებული ასლის მოთხოვნის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს საქპატენტში და წარდგენიდან ერთი თვის ვადაში გადახდილი უნდა იქნეს დადგენილი საფასური.

3. განმცხადებლის მოთხოვნით საქპატენტის მიერ განაცხადის დამოწმებული ასლის გაცემა შესაძლებელია ასევე „DAS"–ის მეშვეობით.

4. განაცხადის დამოწმებულ ასლს საქპატენტი გასცემს ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში მოთხოვნა დარჩება განუხილველი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 12. განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტა

1. საქპატენტი განაცხადზე საქმისწარმოებას წყვეტს განმცხადებლის მოთხოვნით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. განაცხადზე საქმისწარმოება წყდება განმცხადებლის მიერ განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნის საქპატენტში წარდგენის დღიდან ან კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის წარმოშობიდან 10 დღის ვადაში და განმცხადებელს ეგზავნება შესაბამისი წერილობითი შეტყობინება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 12[1]. განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენა

1. თუ განაცხადზე საქმისწარმოება შეწყდა განმცხადებლის მოთხოვნით, საქპატენტის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება განაცხადის განხილვაზე უარის თქმის ან საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ ამ ინსტრუქციით დადგენილი პროცედურული ვადების დარღვევის გამო, განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში განმცხადებელს უფლება აქვს, დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ მოითხოვოს განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენა. ამ წესით აღდგენილ განაცხადს უნარჩუნდება პრიორიტეტის თარიღი.

2. განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენის საფასურთან ერთად განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს ექსპერტიზის შესაბამისი ეტაპისთვის დადგენილი საფასური. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმისწარმოების აღდგენის შესახებ განცხადება დარჩება განუხილველი.

3. განაცხადზე საქმისწარმოებას საქპატენტი აღადგენს შესაბამისი მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

თავი III
განაცხადის ექსპერტიზა

მუხლი 13. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა

1. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება კანონის მე–13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის ეტაპზე ექსპერტი ამოწმებს სრულად აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი ამ ინსტრუქციის მე–3 და მე–4 მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. საქპატენტს შეუძლია განმცხადებელს მოსთხოვოს ექსპერტიზისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია/მასალა. აღნიშნული საქპატენტს წარედგინება განმცხადებლისათვის შესაბამისი შეტყობინების ჩაბარების დღიდან არაუმეტეს 2 თვის ვადაში. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. განაცხადის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შემთხვევაში ამ მუხლში მითითებულ შეტყობინებაზე პასუხი წარდგენილი უნდა იქნეს შეტყობინების ჩაბარებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 14. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შედეგები და მასთან დაკავშირებული მიმოწერა

1. თუ განაცხადი და თანდართული მასალები აკმაყოფილებს კანონისა და ამ ინსტრუქციის მოთხოვნებს, ექსპერტიზას გამოაქვს გადაწყვეტილება განაცხადის განსახილველად მიღებისა და პრიორიტეტის დადგენის შესახებ და ამის შესახებ აცნობებს განმცხადებელს.

2. თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის მიერ და დარღვეულია ამ ინსტრუქციის მე–4 მუხლის მე–3 პუნქტის მოთხოვნები, განაცხადი განუხილველი დარჩება და ამის თაობაზე ეცნობება განმცხადებელს.

3. თუ განაცხადი ეხება კოლექტიურ ან სასერტიფიკაციო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას და განაცხადის შეტანიდან 2 თვის ვადაში არ არის წარდგენილი შესაბამისი დებულება, განაცხადზე საქმისწარმოება წყდება და ამის თაობაზე ეცნობება განმცხადებელს.

4. თუ განაცხადის მასალები მოითხოვს დაზუსტებას, განმცხადებელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს ჩამოთვლილი ყველა ის მოთხოვნა და შესწორება, რომელთა შესრულებაც აუცილებელია მოცემულ განაცხადზე ექსპერტიზის გასაგრძელებლად. განმცხადებელი ვალდებულია მისთვის შეტყობინების ჩაბარების დღიდან ორი თვის ვადაში, წარადგინოს წერილობითი პასუხი საქპატენტში. განმცხადებელს უფლება აქვს ერთი თვით გააგრძელოს შეტყობინებაზე პასუხის წარდგენის ვადა, თუ ზემოთ აღნიშნულ ორთვიან ვადაში წარადგენს მოთხოვნას ვადის გაგრძელების შესახებ და გადაიხდის ვადის გაგრძელებისათვის დადგენილ საფასურს.

5. შეტყობინება იგზავნება, თუ:

ა) განაცხადი ეხება ერთზე მეტ სასაქონლო ნიშანს. განმცხადებელს ეძლევა შესაძლებლობა თითოეული სიმბოლოსათვის წარადგინოს დამოუკიდებელი განაცხადი. შეტყობინებაზე პასუხის წარდგენის ვადის დარღვევის შემთხვევაში განაცხადზე საქმისწარმოება წყდება და განმცხადებელს ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება;

ბ) მოითხოვება ადრინდელი პრიორიტეტი, კერძოდ, საკონვენციო, საგამოფენო ან გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე და ასეთი პრიორიტეტის მოთხოვნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არის წარდგენილი დადგენილი წესით ან/და მისი მონაცემები განსხვავდება საქპატენტში შეტანილი განაცხადების მონაცემებისაგან; შეტყობინებაზე პასუხის წარდგენის ვადის დარღვევის შემთხვევაში განმცხადებელი კარგავს ადრინდელი პრიორიტეტის მოთხოვნის უფლებას და პრიორიტეტი დგინდება საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღით;

გ) სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს გამოსახულება არ აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს ან/და განაცხადში მითითებული ფერი ან ფერთა კომბინაცია არ შეესაბამება ამ გამოსახულების ფერებს. შეტყობინებაზე პასუხის წარდგენის ვადის დარღვევის შემთხვევაში ექსპერტი ფერს ან ფერთა კომბინაციას განსაზღვრავს სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლოს შესაბამისად;

დ) წარდგენილი საქონლის ჩამონათვალი არ არის კლასიფიცირებული საერთაშორისო კლასიფიკატორის შესაბამისად, ბუნდოვანი ან/და ზოგადია და მოითხოვს დაზუსტებას. საქპატენტის მიერ განსაზღვრულ ვადაში საქონლის ჩამონათვალის დაუზუსტებლობის შემთხვევაში საქპატენტი მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული საქონლის მიმართ განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ;

ე) ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასურის ოდენობა არ შეესაბამება განაცხადში მითითებული ან მიმოწერით დაზუსტებული საქონლის ჩამონათვალის კლასების რაოდენობისათვის დადგენილ თანხას. განმცხადებელს ეძლევა შესაძლებლობა, შეავსოს გადახდილი საფასური დადგენილ ოდენობამდე ან მიუთითოს ის კლასები, რომლისთვისაც საკმარისი იქნება გადახდილი თანხა. ამ პუნქტში მითითებულ შეტყობინებაზე პასუხის წარდგენის ვადის დარღვევის შემთხვევაში ექსპერტიზა ტარდება სიის მიხედვით პირველი იმდენი კლასისათვის, რამდენზეც საკმარისია გადახდილი საფასური;

ვ) გაგზავნილი შეტყობინების პასუხად მიღებული მასალა საჭიროებს დაზუსტებას;

ზ) განაცხადის სხვა მასალები ხარვეზიანია და საჭიროებს დაზუსტებას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 15. არსობრივი ექსპერტიზა

1. განმცხადებელმა განაცხადის განსახილველად მიღების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 3 თვის ვადაში უნდა გადაიხადოს არსობრივი ექსპერტიზისა და გამოქვეყნებისათვის დადგენილი საფასური. წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადზე საქმისწარმოება წყდება, რის თაობაზეც წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

2. არსობრივი ექსპერტიზა შეიძლება შეჩერდეს:

ა) ადრინდელი პრიორიტეტის მქონე დაპირისპირებული სიმბოლოს რეგისტრაციაზე

გამოტანილი გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე;
ბ) განმცხადებლის მოთხოვნით ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადით;
გ) ამ ინსტრუქციის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული ვადით;
დ) დაპირისპირებული ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებიდან 6 თვის გასვლამდე დარჩენილი ვადით, თუ არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის დაპირისპირებული ნიშნის რეგისტრაცია გაუქმებულია;
ე) დაპირისპირებული სიმბოლოს განაცხადზე ფორმალური ექსპერტიზის გადაწყვეტილების ამ ინსტრუქციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გასაჩივრებისათვის დადგენილი სამთვიანი ვადის გასვლამდე ან, განმცხადებლის მიერ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

3. არსობრივი ექსპერტიზის ეტაპზე ექსპერტი ამოწმებს, არსებობს თუ არა წარდგენილი სიმბოლოს რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონის მე-4 ან/და მე-5 მუხლებით განსაზღვრული საფუძვლები.

4. იმისათვის, რომ დადგინდეს, არსებობს თუ არა რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ -„ი“ ქვეპუნქტით და მე-5 მუხლის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები, წარდგენილი სიმბოლო უნდა შედარდეს პარიზის კონვენციის 6ter მუხლით დაცულ სიმბოლოებს, საქართველოში დაცულ/რეგისტრირებულ მცენარის ახალ ჯიშებს, გეოგრაფიულ აღნიშვნებს ან ადგილწარმოშობის დასახელებებს, საქართველოში დაცულ/რეგისტრირებულ დიზაინს, საქართველოში დაცულ/რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს და საქპატენტში სარეგისტრაციოდ წარდგენილ სიმბოლოებს.

5. შედარების დროს სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 16. არსობრივი ექსპერტიზის შედეგები და მასთან დაკავშირებული მიმოწერა

1. თუ არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონის მე-4 ან/და მე-5 მუხლებით განსაზღვრული საფუძველი, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე საქპატენტს გამოაქვს გადაწყვეტილება წარდგენილი სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაზე განაცხადში მითითებული საქონლის მთლიანი ჩამონათვალის მიმართ, რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს.

2. თუ არსებობს რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონის მე-4 ან/და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული საფუძველი განაცხადში მითითებული საქონლის მთლიანი ჩამონათვალის მიმართ, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე საქპატენტს გამოაქვს გადაწყვეტილება

წარდგენილი სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ განაცხადში მოცემული საქონლის მთლიანი ჩამონათვალის მიმართ, რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს.

3. თუ არსებობს კანონის მე-4 ან/და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი განაცხადში მითითებული საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, საქპატენტს გამოაქვს გადაწყვეტილება წარდგენილი სიმბოლოს რეგისტრაციის შესახებ საქონლის ჩამონათვალის დარჩენილი ნაწილის მიმართ, რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს.

4. თუ კანონის მე-5 მუხლის „ა"-„დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული უარის თქმის საფუძვლების არსებობისას საქპატენტი მიიჩნევს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ან/და დიზაინის განმცხადებელი ან მფლობელი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან სამართლებრივად დაკავშირებული პირია, განმცხადებელს აღნიშნულის შესახებ ეგზავნება წერილობითი შეტყობინება. შეტყობინების ჩაბარებიდან ორი თვის ვადაში პასუხის წარმოუდგენლობის შემთხვევაში საქპატენტს გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება.

5. თუ არსებობს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" და „თ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის „ვ" და „ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნებართვის მოთხოვნის საფუძველი, ან საჭიროა განაცხადის მასალების დაზუსტება, განმცხადებელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება. განმცხადებელი ვალდებულია მისთვის შეტყობინების ჩაბარების დღიდან 2 თვის ვადაში, ხოლო განაცხადის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შემთხვევაში 15 კალენდარული დღის ვადაში წარადგინოს პასუხი საქპატენტში. დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება ერთი თვით, თუ განმცხადებელი საქპატენტში წარადგენს წერილობით მოთხოვნას ვადის გაგრძელების შესახებ შესაბამის 2-თვიან ან 15-დღიან ვადაში და გადაიხდის ვადის გაგრძელებისათვის დადგენილ საფასურს. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში საქპატენტი, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოიტანს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

აჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 17. გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე წარდგენილი ეროვნული განაცხადის ექსპერტიზა

1. თუ გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქპატენტში წარდგენილი განაცხადის შეტანის დღისათვის ამოწურულია მადრიდის შეთანხმების ოქმის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ვადა და მიღებული არ არის გადაწყვეტილება დაცვაზე უარის შესახებ, სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება ამ ინსტრუქციის შესაბამისად, არსობრივი ექსპერტიზისა და გამოქვეყნების გარეშე.

2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული განაცხადი წარდგენილი იქნა მადრიდის შეთანხმების ოქმის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ვადის გასვლამდე, მისი არსობრივი ექსპერტიზა და რეგისტრაცია ხორციელდება ამ ინსტრუქციის მიხედვით.

მუხლი 18. საერთაშორისო განაცხადის არსობრივი ექსპერტიზა

1. სასაქონლო ნიშანზე, რომლისთვისაც საქართველოში დაცვის მინიჭება მოითხოვება მისი საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, მადრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით, ტარდება მხოლოდ არსობრივი ექსპერტიზა ამ მუხლისა და ამ ინსტრუქციის მე-16 მუხლის პირველი, მე-2 და მე- 3 პუნქტების შესაბამისად. ასევე მოწმდება საქონლის ჩამონათვალის შესაბამისობა კანონის 11^1 მუხლის მოთხოვნებთან

2. საერთაშორისო განაცხადზე არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს საერთაშორისო ბიუროს შეტყობინების თარიღიდან მადრიდის შეთანხმების ოქმის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში.

3. თუ განაცხადში წარმოდგენილი საქონლის ჩამონათვალი ბუნდოვანი და/ან ზოგადია, განმცხადებელი ვალდებულია საქპატენტის მიერ წერილობითი შეტყობინების ჩაბარებიდან 2 თვის ვადაში დააზუსტოს საქონლის ჩამონათვალი კანონის 11^1 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში „საქპატენტი“ მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული საქონლის მიმართ განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ

4. თუ არსებობს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ან „თ“ ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის ვ“ ან „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნებართვის მოთხოვნის საფუძველი ან განაცხადის მასალები მოითხოვს დაზუსტებას, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება. განმცხადებელი ვალდებულია მისთვის შეტყობინების ჩაბარების დღიდან 2 თვის ვადაში წარადგინოს წერილობითი პასუხი საქპატენტში. დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება ერთი თვით, თუ ის საქპატენტში წარადგენს წერილობით მოთხოვნას ვადის გაგრძელების შესახებ ზემოთ აღნიშნულ ორთვიან ვადაში და გადაიხდის ვადის გაგრძელებისთვის დადგენილ საფასურს. შეტყობინებაზე პასუხის წარდგენის ამ პუნქტში მითითებული ვადების დარღვევის შემთხვევაში საერთაშორისო ბიუროს ეგზავნება გადაწყვეტილება საქართველოში სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის შესახებ საერთაშორისო ბიუროს მიერ დადგენილი ფორმით.

5. თუ არსებობს კანონის მე-4 ან/და მე-5 მუხლით განსაზღვრულ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები, ექსპერტიზას გამოაქვს გადაწყვეტილება წარდგენილი სიმბოლოს საქართველოში დაცვაზე უარის შესახებ განაცხადში მოცემული საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან/და მისი ნაწილის მიმართ და საერთაშორისო ბიუროს ეგზავნება შესაბამისი წერილობითი შეტყობინება მის მიერ დადგენილი ფორმით.

6. თუ არ არსებობს კანონის მე-4 ან/და მე-5 მუხლით განსაზღვრულ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე საქპატენტს გამოაქვს გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის საქართველოში დაცვის შესახებ, რომელიც ეგზავნება საერთაშორისო ბიუროს. გასაჩივრების ვადა აითვლება სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის ბიულეტენში გამოქვეყნების დღიდან.

7. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ვადაში არ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება დაცვაზე უარის შესახებ, სასაქონლო ნიშანი საქართველოში დაცულად ითვლება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 19. ფორმალური მოთხოვნებისა და არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ განმცხადებელს შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების ოფიციალურად გაცნობის დღიდან 3 თვის ვადაში.

2. არსობრივი ექსპერტიზის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ, განმცხადებელს შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების ოფიციალურად გაცნობის დღიდან 3 თვის ვადაში.

3. განაცხადის მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ საქპატენტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

4. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანზე ექსპერტიზის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ, განმცხადებელს შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების საერთაშორისო ბიუროს მიერ განმცხადებელთან გადაგზავნის დღიდან 3 თვის ვადაში.

5. სააპელაციო საჩივრის განხილვისათვის გადახდილი უნდა იქნეს დადგენილი საფასური.

6. ამ მუხლის პირველი, მე–2–მე–4 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება დასაშვებია ადმინისტრაციული წესით სასამართლოში ერთი თვის ვადაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 19 თებერვლის ბრძანება №2 – ვებგვერდი, 20.02.2024წ.
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 20. სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურა

1. სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული რეგისტრაციისათვის გამოიყენება კანონის 15^1 მუხლით დადგენილი სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურა.

2. სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურისას გამოიყენება ინსტრუქციის მე–15 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები.

3. სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული პროცედურით საქმისწარმოების შემთხვევაში, რეგისტრაციაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას, წერილობითი მოთხოვნის

წარდგენიდან ერთი თვის ვადაში განმცხადებელს უკან უბრუნდება გამოქვეყნებისა და რეგისტრაციის საფასური.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

თავი IV
გამოქვეყნება

მუხლი 21. განაცხადის მონაცემების გამოქვეყნება

1. კანონის მე–15 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბიულეტენში ქვეყნდება:
ა) საქმის ნომერი;
ა[1]) გამოქვეყნების ნომერი;
ბ) განაცხადის შეტანის თარიღი;
გ) პირველი განაცხადის ნომერი;
დ) პირველი განაცხადის შეტანის თარიღი;
ე) პირველი განაცხადის მიმღები ქვეყნის/უწყების კოდი;
ვ) განმცხადებლის სახელი და გვარი/სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
ზ) სარეგისტრაციოდ წარდგენილი სიმბოლო;
თ) მითითებული ფერი ან ფერთა კომბინაცია;
ი) საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის მიმართაც მოითხოვება რეგისტრაცია.

2. სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის მონაცემები ქვეყნდება საერთაშორისო ბიუროს ჟურნალში.

3. საერთაშორისო განაცხადით წარდგენილი სიმბოლოს საქართველოში დაცვის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთ თვეში ბიულეტენში დამატებით ქვეყნდება საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი, რეგისტრაციის ნომერი და რეგისტრაციის ვადის გასვლის თარიღი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 22. სასაქონლო ნიშნების რეესტრის მონაცემების გამოქვეყნება

1. თუ ამ ინსტრუქციის 21–ე მუხლის შესაბამისად გამოქვეყნებულმა განაცხადის მონაცემებმა არ განიცადა ცვლილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე, რეგისტრაციის დღიდან ერთი თვის ვადაში ბიულეტენში ქვეყნდება: რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღი, რეგისტრაციის მოქმედების ვადის გასვლის თარიღი, განაცხადის შეტანის თარიღი და საქმის ნომერი.

2. თუ ამ ინსტრუქციის 21–ე მუხლის შესაბამისად გამოქვეყნებულმა განაცხადის მონაცემებმა განიცადა ცვლილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე, რეგისტრაციის დღიდან ერთი თვის ვადაში ბიულეტენში ქვეყნდება: რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღი, რეგისტრაციის მოქმედების გასვლის თარიღი, განაცხადის შეტანის თარიღი, საქმის ნომერი და განაცხადის ის მონაცემები, რომლებმაც განიცადა ცვლილება.

3. ამ ინსტრუქციის 24–ე და 25–ე მუხლის შესაბამისად რეესტრში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება მომდევნო ბიულეტენში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 23. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია

1. თუ კანონის მე–16 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად შეტანილ საჩივარზე სააპელაციო პალატა გამოიტანს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ ან თუ აღნიშნულ პუნქტში მითითებულ ვადაში არ იქნა შეტანილი ასეთი საჩივარი, ან თუ სრულდება ამ ინსტრუქციის მე–17 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირობები, განმცხადებელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება მოწმობის გაცემისა და 10 წლით რეგისტრაციისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შესახებ.

2. განმცხადებელმა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საფასური უნდა გადაიხადოს აღნიშნული წერილობითი შეტყობინების ოფიციალური გაცნობის დღიდან 3 თვის ვადაში.

3. თუ განმცხადებელი ამ მუხლის მე–2 პუნქტში მითითებულ ვადაში არ გადაიხდის მოწმობის გაცემისა და 10 წლით რეგისტრაციის საფასურს, განაცხადი უქმდება და განმცხადებელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება.

4. თუ განმცხადებელი მოწმობის გაცემისა და 10 წლით რეგისტრაციის დადგენილ საფასურს გადაიხდის ამ ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, საქპატენტი რეესტრში არეგისტრირებს სასაქონლო ნიშანს და აღნიშნული საფასურის გადახდის დღიდან ერთი თვის ვადაში გასცემს მოწმობას.

4^1. მოწმობის ფორმა მტკიცდება საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

4^2. მოწმობა აისახება ელექტრონულ სისტემაში. განაცხადზე მატერიალური ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მფლობელს გადაეცემა მატერიალური ფორმით, ხოლო ელექტრონული ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მოწმობა მატერიალური ფორმით გაიცემა მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში.

5. კანონის მე–17 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად რეესტრში შეიტანება ასევე შემდეგი სახის მონაცემები:
ა) რეგისტრაციის ნომერი;
ბ) რეგისტრაციის თარიღი;
გ) რეგისტრაციის მოქმედების ვადის გასვლის თარიღი;
დ) საქმის ნომერი;

ე) განაცხადის შეტანის თარიღი;
ვ) პირველი განაცხადის ნომერი;
ზ) პირველი განაცხადის შეტანის თარიღი;
თ) პირველი განაცხადის მიმღები ქვეყნის/უწყების კოდი;
ი) სასაქონლო ნიშნის მფლობელის სახელი და გვარი/სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
კ) სასაქონლო ნიშნის გამოსახულება;
ლ) მითითებული ფერი ან ფერთა კომბინაცია;
მ) საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი;
ნ) წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის სახელი და გვარი/სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
ო) სასაქონლო ნიშნის დაუცველი ნაწილების ნუსხა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 23[1]. საჯარო შეტყობინება

1. იმ შემთხვევაში, თუ პირველად გაგზავნისას შეტყობინების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი ადრესატს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც, იმავე ან საქპატენტისათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

2. თუ განმცხადებლის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად შეუძლებელია, საქპატენტი უფლებამოსილია შეტყობინება გაავრცელოს საჯაროდ. შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით ან ინფორმირების სხვა საშუალებების გამოყენებით.

3. ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეტყობინება განმცხადებლისთვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების ვებგვერდზე განთავსებიდან მე–7 დღეს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 24. ქმედებები რეესტრში

1. ინსტრუქციის 23–ე მუხლის მე–5 პუნქტის „ი“, „კ“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო მონაცემების თითოეული ცვლილება შეტანილი იქნება რეესტრში სასაქონლო ნიშნის მფლობელის ან მისი წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის განცხადების საფუძველზე.

2. თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი საქპატენტში შეიტანს განცხადებას ინსტრუქციის 23–ე მუხლის მე–5 პუნქტის „ი“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების შესახებ, აღნიშნული ცვლილებები რეესტრში შედის ცვლილებების შეტანისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში. საფასური გადახდილი უნდა იქნეს საქპატენტში განცხადების შეტანიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. 23–ე მუხლის მე–5 პუნქტის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებთან დაკავშირებული

ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება სასაქონლო ნიშნის უმნიშვნელო ცვლილება ან საქონლის ჩამონათვალის შეზღუდვა/დაზუსტება.

3. რეესტრში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება მომდევნო ბიულეტენში.

4. სასაქონლო ნიშანზე უფლების გადაცემის შემთხვევაში საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ, გადაცემის შესახებ წარდგენილი ხელშეკრულების საფუძველზე ხდება შესაბამისი ცვლილებების შეტანა რეესტრში დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული საფასური გადახდილი უნდა იქნეს საქპატენტში განცხადების შეტანიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც უფლების გადაცემის ხელშეკრულება საქპატენტს წარედგინება წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის მიერ, ხელშეკრულებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს მფლობელის ან უფლებამონაცვლის მიერ გაცემული მინდობილობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაცემის ხელშეკრულება არ განიხილება.

6. თუ საქპატენტი სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ წარდგენილი საბუთების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემამ შეიძლება მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა შეუქმნას იმ საქონლის თვისებების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის, მწარმოებლის ან სხვა მახასიათებლების შესახებ, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია, უფლებამონაცვლეს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება საქონლის ჩამონათვალიდან შეცდომაში შემყვანი საქონლის ამოღების თაობაზე საქპატენტი რეესტრში არ შეიტანს ცნობას გადაცემის შესახებ ვიდრე არ მიიღებს უფლებამონაცვლის თანხმობას ჩამონათვალიდან შეცდომაში შემყვანი საქონლის ამოღების თაობაზე.

7. თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელმა დააგირავა სასაქონლო ნიშანი ან/და გასცა ლიცენზია მის გამოყენებაზე, გირავნობის ან/და სალიცენზიო ხელშეკრულება რეგისტრირდება და შესაბამისი მონაცემები შეიტანება რეესტრში გირავნობის ან/და სალიცენზიო ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული საფასური გადახდილი უნდა იქნეს საქპატენტში განცხადების შეტანიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. თუ გირავნობის ან/და სალიცენზიო ხელშეკრულება საქპატენტს წარედგინება წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის მიერ, ხელშეკრულებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს ერთ–ერთი მხარის მიერ გაცემული მინდობილობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა რჩება განუხილველი

8. სასაქონლო ნიშნის ყადაღის რეგისტრაციის მოთხოვნით საქპატენტისთვის მიმართვის შემთხვევაში, წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ორგანოს ან სასამართლოს მიერ გაცემული დოკუმენტი.

9. თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი საქპატენტში შეიტანს განცხადებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ან სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების, ბათილად ცნობის ან აღდგენის შესახებ, საქპატენტს შესაბამისი ცვლილებები შეაქვს რეესტრში.

10. რეესტრში განხორციელებული ცვლილების, უფლებების გადაცემის, ასევე, ლიცენზიის ან გირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაციის შემთხვევაში, გაიცემა მოწმობის დანართი. დანართი იბეჭდება საქპატენტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებულ ბლანკზე, მოწმობის დანართი აისახება ელექტრონულ სისტემაში და, განცხადებაზე მატერიალური ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მფლობელს გადაეცემა მატერიალური ფორმით, ხოლო ელექტრონული ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მატერიალური ფორმით გაიცემა მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2018 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №2 – ვებგვერდი, 10.08.2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 23² სასაქონლო ნიშნის დაყოფა და დაყოფილი ნიშნის გაერთიანება

1.სასაქონლო ნიშნის მფლობელის მოთხოვნით სასაქონლო ნიშანი შეიძლება დაიყოს ორ ან მეტ იდენტურ სასაქონლო ნიშნად დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომრების მინიჭებით, იმ პირობით, რომ არ მოხდეს დაყოფილი სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს შორის გადაფარვა.

2. სასაქონლო ნიშნის მფლობელის განცხადება სასაქონლო ნიშნის დაყოფის თაობაზე უნდა შეიცავდეს:
ა) განმცხადებლის სახელს და გვარს (სახელწოდებას), არსებობის შემთხვევაში საიდენტიფიკაციო ნომერს/პირად ნომერს და მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას;
ბ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ნომერს და თარიღს;
გ) სასაქონლო ნიშნის დაყოფის შესახებ მოთხოვნას;
დ) დასაყოფი საქონლის ჩამონათვალს შესაბამისი კლასების მითითებით.

3. სასაქონლო ნიშნის დაყოფისათვის დადგენილი საფასური გადახდილი უნდა იყოს განცხადების წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

4. საქპატენტი საფასურის გადახდიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა სასაქონლო ნიშნების დაყოფის შესახებ განცხადება ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. თუ ხდება დაყოფილი სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს შორის გადაფარვა ან განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, საქპატენტი ნიშნის მფლობელს განუსაზღვრავს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის აღმოფხვრისთვის.

5. სასაქონლო ნიშნის დაყოფის თაობაზე განცხადების შეტანამდე გადახდილი ყველა საფასური და ყველა შეტანილი მოთხოვნა წარდგენილად ითვლება თითოეული დაყოფილი სასაქონლო ნიშნისთვის.

6. დაყოფის საფუძველზე წარმოშობილ სასაქონლო ნიშნებს უნარჩუნდებათ თავდაპირველი სასაქონლო ნიშნის შეტანისა და პრიორიტეტის თარიღი.

7. სასაქონლო ნიშნის დაყოფის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის შესაბამისი მონაცემების რეესტრში ასახვის დღიდან, ქვეყნდება ბიულეტენში და გაიცემა მოწმობა.

8. დადგენილი საფასურის გადახდის შემთხვევაში, დაყოფილი სასაქონლო ნიშნები, რომელთა რეგისტრაციაც ძალაშია, შესაძლებელია გაერთიანდეს ერთ სასაქონლო ნიშნად, თუ ორივე სასაქონლო ნიშნის მფლობელი ისევ ერთი და იგივე პირია.

9. დაყოფილი სასაქონლო ნიშნების გაერთიანების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) განმცხადებლის სახელს და გვარს (სახელწოდებას), არსებობის შემთხვევაში საიდენტიფიკაციო ნომერს/პირად ნომერს და მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას;
ბ) სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ნომერს და თარიღს;
გ) სასაქონლო ნიშნების გაერთიანების შესახებ მოთხოვნას.

10. სასაქონლო ნიშნის გაერთიანებისთვის დადგენილი საფასური გადახდილი უნდა იყოს განცხადების წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

11. საქპატენტი საფასურის გადახდიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა დაყოფილი სასაქონლო ნიშნების გაერთიანების შესახებ განცხადება ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, საქპატენტი ნიშნის მფლობელს განუსაზღვრავს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის აღმოფხვრისთვის.

12. დაყოფილი სასაქონლო ნიშნის გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის შესაბამისი მონაცემების რეესტრში ასახვის დღიდან და გაიცემა მოწმობა.

13. თუ სასაქონლო ნიშნის დაყოფის ან გაერთიანების შესახებ განცხადება წარმოდგენილია წარმომადგენლის მიერ, განცხადების წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში წარმოდგენილი უნდა იყოს მინდობილობა.

14. ამ მუხლის მე–3, მე–4, მე–10, მე–11 და მე–13 პუნქტებში მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 24[1]. დუბლიკატის გაცემა

1. სასაქონლო ნიშნის მფლობელის ან მისი წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის მიერ საქპატენტისთვის განცხადებით მიმართვის და შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში, გაიცემა სასაქონლო ნიშნის მოწმობის დუბლიკატი.

2. თუ განცხადება წარდგენილია წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის მიერ, განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს ასევე მფლობელის მიერ გაცემული წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი.

3. სასაქონლო ნიშნის მოწმობის დუბლიკატის მოთხოვნისათვის დადგენილი საფასური გადახდილი უნდა იქნეს მიმართვიდან 15 კალენდარული ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

4. საქპატენტი დუბლიკატს გასცემს საფასურის გადახდიდან 15 კალენდარული დღის ვადაში იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ძალაშია.

5. სასაქონლო ნიშნის მოწმობის დუბლიკატი გაიცემა ამ ინსტრუქციის 23–ე მუხლის 41 პუნქტით განსაზღვრული ფორმით ამ დუბლიკატის გაცემის პერიოდისათვის რეესტრში არსებული მონაცემების შესაბამისად და ზედა მარჯვენა კუთხეში დასტურდება შტამპით „დუბლიკატი“. დუბლიკატი აისახება ელექტრონულ სისტემაში და განაცხადზე მატერიალური ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მფლობელს გადაეცემა მატერიალური ფორმით, ხოლო ელექტრონული ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მატერიალური ფორმით გაიცემა მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 24². ამონაწერი რეესტრიდან

1. სასაქონლო ნიშნის მფლობელს ან ნებისმიერ პირს, საქპატენტისთვის განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, უფლება აქვს მოითხოვოს ამონაწერი რეესტრიდან.

2. რეესტრიდან ამონაწერის მისაღებად გადაიხდება კანონმდებლობით დადგენილი საფასური. საფასური გადახდილი უნდა იქნეს საქპატენტში მოთხოვნის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

3. ამონაწერი გაიცემა საფასურის გადახდიდან 10 დღის ვადაში უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და აისახება მონაცემთა ბაზაში ელექტრონული ფორმით, ხოლო მატერიალური ფორმით გაიცემა განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში.

4. ამონაწერი რეესტრიდან უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
ა) სასაქონლო ნიშანს;
ბ) რეგისტრაციის ნომერს;
გ) სასაქონლო ნიშნის სტატუსს;
დ) სასაქონლო ნიშნის მფლობელ(ებ)ის მონაცემებს;
ე) რეგისტრაციის მოქმედების დაწყების თარიღს;
ვ) რეგისტრაციის მოქმედების ამოწურვის თარიღს;
ზ) განაცხადის გამოქვეყნების ნომერსა და თარიღს;
თ) რეგისტრაციის გამოქვეყნების ნომერსა და თარიღს;
ი) საქმის ნომერს;
კ) განაცხადის შეტანის თარიღს;
ლ) საქონლის ჩამონათვალს;
მ) პრიორიტეტის მონაცემებს;

ნ) წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის (არსებობის შემთხვევაში) მონაცემებს;
ო) ინფორმაციას რეესტრში განხორციელებული ცვლილებების, უფლებების გადაცემის, ყადაღის, ლიცენზიის გაცემის ან გირავნობის და სხვა ქმედებების შესახებ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 25. რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელება

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით, გაგრძელების ჯერადობის შეუზღუდავად. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადას აგრძელებს საქპატენტი ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ საქპატენტში წარდგენილი განცხადების საფუძველზე, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. აღნიშნული განცხადების საქპატენტში წარდგენა და შესაბამისი საფასურის გადახდა წარმოებს რეგისტრაციის მოქმედების ბოლო წლის განმავლობაში.

2. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასური არ იქნა გადახდილი ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში, სასაქონლო ნიშნის მფლობელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება აღნიშნული საფასურის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 6 თვის ვადაში გადახდის მოთხოვნით. აღნიშნული შეტყობინება საინფორმაციო ხასიათისაა და მისი ჩაუბარებლობა არ ახდენს გავლენას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების გადაწყვეტილებაზე.

2^1. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული საფასური გადახდილი უნდა იქნეს სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ საქპატენტში ვადის გაგრძელების შესახებ განცხადების შეტანიდან ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

3. თუ რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასური არ იქნა გადახდილი ამ მუხლის მე–2 პუნქტში მითითებულ ვადაში, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უქმდება და სასაქონლო ნიშნის მფლობელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2018 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №2 – ვებგვერდი, 10.08.2018 წ.
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 26. განაცხადი სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციაზე

1. განმცხადებელმა სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის მიზნით, მადრიდის შეთანხმების ოქმის მე–3 მუხლის შესაბამისად, განაცხადი ისმოს საერთაშორისო ბიუროში უნდა შეიტანოს საქპატენტის მეშვეობით. აღნიშნული განაცხადი საქპატენტში წარდგენილი უნდა იქნეს მატერიალური ფორმით ან ისმოს მადრიდის eFiling–ის მეშვეობით.

2. განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენისას, განმცხადებელმა უნდა მიმართოს საქპატენტს შესაბამისი განცხადებით და წარადგინოს ისმოს მიერ დადგენილი ფორმით (MM2) შევსებული საერთაშორისო განაცხადი. თუ განაცხადი წარდგენილია განმცხადებლის წარმომადგენლის/პატენტრწმუნებულის მიერ, განაცხადს უნდა დაერთოს განმცხადებლის

მიერ გაცემული წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი.
3. საერთაშორისო განაცხადი ივსება ინგლისურ ენაზე და საერთაშორისო ბიუროსთვის გადაიხდება ისმოს მიერ დადგენილი საფასური.

4. განაცხადს უნდა ახლდეს ნიცის საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით დაჯგუფებული საქონლის ჩამონათვალის თარგმანი ინგლისურ ენაზე.

5. თუ საერთაშორისო რეგისტრაცია განხორციელდა საქპატენტში შეტანილი განაცხადის ან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საფუძველზე, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი შეტანილი იქნება განაცხადის მონაცემებში ან რეესტრში.

6. საერთაშორისო განაცხადის მიღებიდან 10 დღის ვადაში საქპატენტი ამოწმებს განაცხადის მადრიდის ოქმის მოთხოვნებთან შესაბამისობას და გადახდილი საფასურის ოდენობას.

7. თუ განაცხადი არ არის შევსებული ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ერთი თვის ვადაში აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის თაობაზე. ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში განაცხადის წარდგენის თარიღად ჩაითვლება ხარვეზის აღმოფხვრის თარიღი. მოთხოვნების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

8. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო განაცხადი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, საქპატენტი უზრუნველყოფს საერთაშორისო განაცხადის საერთაშორისო ბიუროსთვის წარდგენას ერთი თვის ვადაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 27. კოლექტიური ნიშნისა და სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაცია

კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაციისათვის გამოიყენება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისთვის დადგენილი წესები, თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 27.06.2024წ.

მუხლი 28. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება

1. კანონის 27–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქპატენტი აუქმებს ნიშნის რეგისტრაციას ნიშნის მფლობელის ან მისი წარმომადგენლის/ პატენტრწმუნებულის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

2. კანონის 27–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, საქპატენტი აუქმებს ნიშნის რეგისტრაციას, თუ წარდგენილი იქნება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული საბუთი მემკვიდრ(ეებ)ის ან, იურიდიული პირის შემთხვევაში, მისი უფლებამონაცვლის არარსებობის შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქპატენტი ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 29. სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა

საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ სასამართლოს მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებები შეიტანება რეესტრში და ინფორმაცია ამის შესახებ ქვეყნდება ბიულეტენში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №5 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საქართველოს კანონი

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი აწესრიგებს საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან, დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ა) საქპატენტი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი –საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ – ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანო;
ბ) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრი (შემდგომ – რეესტრი) – საქპატენტის მიერ რეგისტრირებული და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნებისა და საქპატენტის მიერ აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა;
გ) განაცხადი – საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადი ან საქონლის სპეციფიკაციაში ცვლილების შეტანის შესახებ განაცხადი;
დ) განმცხადებელი – გაერთიანება, აუცილებლობის შემთხვევაში – სახელმწიფო უწყება ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ითხოვს ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციას; ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელიც არის იმ საქონლის ერთადერთი მწარმოებელი, რომლის წარმოების გეოგრაფიული არეალის მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ არეალის მეზობელი ტერიტორიის მახასიათებლებისგან ან რომლის მახასიათებლები განსხვავდება აღნიშნული არეალის მოსაზღვრე გეოგრაფიულ არეალში წარმოებული საქონლის მახასიათებლებისგან; თუ უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა საქონლის წარმოშობის ქვეყანაში დაცულია, როგორც კოლექტიური ან სასერტიფიკაციო სასაქონლო ნიშანი, – ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელი;
ე) გაერთიანება – ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დასაცავ/დაცულ საქონელთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ საქონლის მწარმოებელთა ან/და გადამამუშავებელთა ნებისმიერი გაერთიანება ან/და სხვა პირთა გაერთიანება, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა;
ვ) ორგანოლეპტიკური მახასიათებლები – საბოლოო საქონლის მახასიათებლები, რომელთა შეფასება ხდება ადამიანის გრძნობათა ორგანოებით;
ზ) გვარეობითი ცნება – საქონლის დასახელება, რომელიც, იმ ადგილთან, რეგიონთან ან ქვეყანასთან კავშირის მიუხედავად, სადაც ეს საქონელი თავდაპირველად იწარმოებოდა ან იყიდებოდა, საქართველოში ამ საქონლის საერთო დასახელებად იქცა;

თ) სახელმწიფო კონტროლი – კომპეტენტური უწყების მიერ ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის დასადგენად განხორციელებული ქმედება, აგრეთვე სამოქალაქო ბრუნვაში ჩართულ ან/და ბაზარზე განთავსებულ საქონელზე ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის კანონით დადგენილი წესით გამოყენების კონტროლი;
ი) კომპეტენტური უწყება – სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო უწყება;
კ) მაკონტროლებელი ორგანო – საქართველოს კანონმდებლობის, ევროკავშირის ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აკრედიტებული და კომპეტენტური უწყების მიერ ავტორიზებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აღნიშნული უწყების მიერ დელეგირებული აქვს სახელმწიფო კონტროლის უფლებამოსილება რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის დასადგენად;
ლ) სპეციფიკაციასთან შესაბამისობის შეფასება – პროცედურების ერთობლიობა, რომლითაც დგინდება, შესრულებულია თუ არა ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული საქონლისთვის ამ კანონით გათვალისწინებული საქონლის სპეციფიკაციით განსაზღვრული მოთხოვნები;
მ) საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (შემდგომ – სერტიფიკატი) – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობას;
ნ) წარმოების ეტაპი – ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული საქონლის წარმოების, გადამუშავების ან დამზადების ნებისმიერი ეტაპი;
ო) მიკვლევადობა – ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული საქონლის, მასში გამოსაყენებელი ნებისმიერი ნივთიერებისა და ინგრედიენტის, აგრეთვე ამ საქონლის ტარის შესახებ მონაცემების (ინფორმაციის) დადგენის შესაძლებლობა წარმოების ეტაპსა და დისტრიბუციის ეტაპზე;
პ) მიკვლევადობის ნიშანი – საქონლის პარტიაზე/ლოტზე განთავსებული ნიშანი, რომელიც იძლევა ამ საქონლის მწარმოებლისა და აღნიშნული პარტიის/ლოტის იდენტიფიცირების საშუალებას. თუ, საქონლის მახასიათებლებიდან გამომდინარე, მიკვლევადობის ნიშნის უშუალოდ საქონელზე განთავსება შეუძლებელია, იგი შეიძლება მოხმარებისთვის განკუთვნილ საქონლის ეტიკეტზე განთავსდეს;
ჟ) ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის ოფიციალური სიმბოლო (შემდგომ – ოფიციალური სიმბოლო) – ამ კანონის შესაბამისად დამტკიცებული სიმბოლო, რომელიც ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ საქონელზე მიანიშნებს;
რ) საბოლოო საქონელი– საქონელი, რომელმაც წარმოების ყველა ეტაპი გაიარა და მზად არის სამოქალაქო ბრუნვაში ჩასართავად/ბაზარზე განსათავსებლად ან ჩართულია სამოქალაქო ბრუნვაში/განთავსებულია ბაზარზე;
ს) აუდიტი – კომპეტენტური უწყების მიერ მაკონტროლებელი ორგანოს სისტემური და დამოუკიდებელი შემოწმება, რომელიც ტარდება იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა მაკონტროლებელი ორგანოს საქმიანობა და მისი შედეგები შესასრულებელ ამოცანებს, ეფექტიანად შესრულდა თუ არა ეს ამოცანები და რამდენად მიიღწევა დასახული მიზნები მათი შესრულებით;
ტ) ოპერატორი – პირი, რომლის საქმიანობაც უკავშირდება საქონლის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებასა და დისტრიბუციას და რომელიც პასუხისმგებელია ამ საქმიანობის

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის;
უ) სურსათი – ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი პროდუქტი. სურსათი მოიცავს აგრეთვე ყველა სახის სასმელს (მათ შორის, სასმელ წყალს), საღეჭ რეზინსა და სურსათში გამოსაყენებელ ნებისმიერ ნივთიერებას (წყლის ჩათვლით), რომელიც გამოიყენება სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს. სურსათი არ მოიცავს ცხოველის საკვებს, ცოცხალ ცხოველს (გარდა იმ ცხოველისა, რომელიც გამზადებულია ბაზარზე განსათავსებლად), მცენარეს (მოსავლის აღებამდე), სამკურნალო და ჰომეოპათიურ საშუალებებს, თამბაქოსა და მის პროდუქტს, ნარკოტიკულ საშუალებას, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, კოსმეტიკურ საშუალებას, ნარჩენებსა და დამაბინძურებლებს.

მუხლი 3. ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა

1. ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის (არეალის) სახელი ან ამ სახელის შემცველი დასახელება ან სხვა აღნიშვნა, რომელიც აღნიშნულ გეოგრაფიულ ადგილზე მიუთითებს და გამოიყენება იმ საქონლის მოსანიშნად:

ა) რომელიც ამ გეოგრაფიული არეალიდან არის წარმოშობილი;
ბ) რომლის ხარისხი ან მახასიათებლები, მთლიანად ან ძირითადად, განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული არეალის გარემოთი (ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორების ჩათვლით), რომელმაც განსაზღვრა საქონლის რეპუტაცია;
გ) რომლის წარმოება, გადამუშავება და დამზადება ამ გეოგრაფიული არეალის საზღვრებში ხდება.

2. გეოგრაფიული აღნიშვნა არის აღნიშვნა, რომელიც შეიცავს გეოგრაფიული ადგილის (არეალის) სახელს ან სხვა აღნიშვნას, რომელიც ამ გეოგრაფიულ ადგილზე მიუთითებს და გამოიყენება იმ საქონლის მოსანიშნად:
ა) რომელიც ამ გეოგრაფიული არეალიდან არის წარმოშობილი;
ბ) რომლის ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები, ძირითადად, მისი გეოგრაფიული წარმოშობითაა განპირობებული;
გ) რომლის წარმოების ერთი ეტაპი მაინც ხორციელდება ამ გეოგრაფიული არეალის საზღვრებში.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული გეოგრაფიული ადგილი (არეალი) შეიძლება შედგებოდეს ადგილისგან, რეგიონისგან ან ქვეყნის მთელი ტერიტორიისგან.

4. ქართულ გეოგრაფიულ აღნიშვნას, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს და, ტრადიციულად, კონკრეტულ ადგილას გამოიყენებოდა, საქპატენტი აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსს ანიჭებს. ეს სტატუსი შეიძლება მიენიჭოს აგრეთვე ისეთ აღნიშვნას, რომელიც ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გარდამავალი პერიოდის შემდეგ აღარ დააკმაყოფილებს ამ კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნებს. ქართული გეოგრაფიული აღნიშვნისთვის აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსის მინიჭების პროცედურა განისაზღვრება „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციით.

მუხლი 4. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა

1. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა ხდება საქპატენტის მიერ მისი რეგისტრაციის საფუძველზე, ხოლო აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა – საქპატენტის მიერ მისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭებით.

2. საქართველოში უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა ხდება საქპატენტის მიერ მისი რეგისტრაციის ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

3. რეგისტრირებული ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დაცული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა და საქპატენტის მიერ აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა შეიტანება რეესტრში. რეესტრის მონაცემები საჯაროა.

თავი II
ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია

მუხლი 5. განაცხადი ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ

საქპატენტისთვის წარდგენილი განაცხადი ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ მოთხოვნას;

ბ) განმცხადებლისა და კომპეტენტური უწყების ან მაკონტროლებელი ორგანოს (არსებობის შემთხვევაში) სახელსა და გვარს/სახელწოდებებს, საიდენტიფიკაციო ნომრებსა და იურიდიულ მისამართებს;

გ) იმ ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნას, რომლის რეგისტრაციაც მოითხოვება. თუ ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა ქართულ ენაზე არ არის შესრულებული, წარდგენილი უნდა იქნეს მისი ქართულად ტრანსლიტერირებული ფორმა;

დ) იმ საქონლის კატეგორიას, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია;

ე) განმცხადებლის მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლობას, თუ განაცხადს წარმომადგენელი წარადგენს;

ვ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერას;

ზ) ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საქონლის სპეციფიკაციას;

თ) დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს, რომ საქონლის განსაკუთრებული ხარისხი, რეპუტაცია ან თვისებები შესაბამისი გეოგრაფიული არეალის ბუნებრივი ფაქტორით ან/და ადამიანური ფაქტორით არის განპირობებული;

ი) კონტროლის გეგმას, რომლითაც ხორციელდება საქონლის სპეციფიკაციით გათვალისწინებული საქონლის წარმოების პირობების კონტროლი;

კ) დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის წარმოშობის ქვეყანაში დაცვას, თუ განმცხადებელი უცხოელია;
ლ) დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის საფასურის გადახდას;
მ) ერთიან დოკუმენტს, რომელიც შეიცავს:

მ.ა) საქონლის სპეციფიკაციის ძირითად მონაცემებს: საქონლის დასახელებასა და აღწერას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე საქონლის შეფუთვისა და ეტიკეტირების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს და შესაბამისი გეოგრაფიული არეალის ზუსტ აღწერას;

მ.ბ) საქონლის ხარისხს ან მახასიათებლებს და გეოგრაფიულ გარემოსა და ადამიანურ ფაქტორს შორის არსებული კავშირის აღწერას ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე აღნიშნული კავშირის დამადასტურებელ საქონლის აღწერის ან მისი წარმოების მეთოდის სპეციფიკურ ელემენტებს.

მუხლი 6. საქონლის სპეციფიკაცია

საქონლის სპეციფიკაცია უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:
ა) სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული/ბაზარზე განთავსებული საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნას ქართულ ენასა და იმ ენაზე/ენებზე, რომელიც/რომლებიც ამ საქონლის აღწერისთვის შესაბამის გეოგრაფიულ არეალში გამოიყენებოდა ან გამოიყენება;
ბ) საქონლის (ნედლეულის (არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით) აღწერას, აგრეთვე საქონლის ფიზიკურ, ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ, ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს, რომლებიც მის განსაკუთრებულ თვისებებს ან/და რეპუტაციას განაპირობებს;
გ) საქონლის წარმოებისა და გადამუშავების მეთოდების, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე ავთენტური და უცვლელი ადგილობრივი მეთოდების აღწერას;
დ) ამ მუხლის „ვ.ა“ ქვეპუნქტში ან/და „ვ.ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული კავშირის გათვალისწინებით, შესაბამისი გეოგრაფიული არეალის საზღვრებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე საქონლის ამ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელ ინფორმაციას;
ე) საქონლის ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გეოგრაფიული არეალის საზღვრებში წარმოშობის მტკიცებულებას;
ვ) დეტალურ მონაცემებს, რომლებიც ადასტურებს, რომ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი კავშირი:

ვ.ა) საქონლის ხარისხსა ან მახასიათებლებსა და გეოგრაფიულ გარემოსა და ადამიანურ ფაქტორს შორის, ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

ვ.ბ) საქონლის ხარისხსა, რეპუტაციასა ან სხვა მახასიათებლებსა და გეოგრაფიულ წარმოშობას შორის, ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;

ზ) ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის დამდგენი კომპეტენტური უწყების ან მაკონტროლებელი ორგანოს დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომერსა და იურიდიულ მისამართს;
თ) საქონლის ეტიკეტირების განსაკუთრებულ წესს (არსებობის შემთხვევაში);

ი) საქონლის შეფუთვის შესახებ ინფორმაციას (არსებობის შემთხვევაში) და განმცხადებლის დასაბუთებას საქონლის ხარისხის დაცვის, მისი წარმოშობის ნამდვილობის ან სახელმწიფო კონტროლის უზრუნველსაყოფად ამ საქონლის შესაბამის გეოგრაფიულ არეალში შეფუთვის საჭიროების თაობაზე.

მუხლი 7. ცვლილება საქონლის სპეციფიკაციაში

1. განმცხადებელს ან ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საქპატენტს წარუდგინოს საქონლის სპეციფიკაციაში ცვლილების შეტანის შესახებ განაცხადი.

2. თუ განაცხადი საქონლის სპეციფიკაციაში არსებითი ცვლილების შეტანას ეხება, იგი წარდგენილი უნდა იქნეს ამ კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად და მასზე უნდა ჩატარდეს ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ექსპერტიზა იმავე მუხლით განსაზღვრულ ვადაში.

3. თუ განაცხადი საქონლის სპეციფიკაციაში არაარსებითი ცვლილების შეტანას ეხება, საქპატენტი მისი წარდგენიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას საქონლის სპეციფიკაციაში ცვლილების შეტანის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

4. საქონლის სპეციფიკაციაში შესატანი ცვლილება არსებითად მიიჩნევა, თუ იგი:

ა) საქონლის ძირითად მახასიათებლებს ეხება;
ბ) ამ კანონის მე-5 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კავშირს ცვლის;
გ) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის ნებისმიერი ნაწილის ცვლილებას მოიცავს;
დ) შესაბამის გეოგრაფიულ არეალს ცვლის;
ე) საქონლის ან ნედლეულის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვასთან/ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს აფართოებს.

5. დაინტერესებული პირის მიერ საქონლის სპეციფიკაციაში ცვლილების შეტანის შესახებ განაცხადის წარდგენის შემთხვევაში ამის თაობაზე ეცნობება განმცხადებელს ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის ექსპერტიზის დასრულებიდან 5 დღის ვადაში. განმცხადებელი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრება საქონლის სპეციფიკაციაში შესატანი არაარსებითი ცვლილების შესახებ საქპატენტს წარუდგინოს აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში, ხოლო არსებითი ცვლილების თაობაზე – 1 თვის ვადაში.

6. საქონლის სპეციფიკაციაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში საქპატენტი აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას ამ კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8. განაცხადის ექსპერტიზა

1. განაცხადის ექსპერტიზას ატარებს საქპატენტი.

2. საქპატენტი განაცხადის წარდგენიდან 2 თვის ვადაში ამოწმებს განაცხადის ამ კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

3. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნებს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის შესახებ და მის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება 1-თვიანი ვადა. ხარვეზისამ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საქპატენტი 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

4. თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნებს, საქპატენტი 3 თვის ვადაში ამოწმებს ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობას, რის შედეგადაც იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის ექსპერტიზის გაგრძელების შესახებ ან ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

5. განაცხადის გაფორმებისა და წარდგენის, მისი ექსპერტიზის ჩატარების, ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების, განხილვის ვადების შეჩერების, გაგრძელებისა და აღდგენის, საქონლის სპეციფიკაციაში ცვლილების შეტანის, განაცხადის მასალების გამოქვეყნების, ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმებისა და ბათილად ცნობის, აგრეთვე რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა წესები განისაზღვრება „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციით.

6. თუ განაცხადი უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნას ეხება, საქპატენტი ამოწმებს მხოლოდ ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობას.

მუხლი 9. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განმხილველი ეროვნული კომისია

1. საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით იქმნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განმხილველი ეროვნული კომისია (შემდგომ – კომისია), რომელიც განიხილავს ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის, რეგისტრაციაზე უარის თქმის, რეგისტრაციის გაუქმების ან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მოთხოვნაზე უარის თქმის საკითხებს.

2. კომისია შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან 1 არის შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს წარმომადგენელი, 2 – საქპატენტის წარმომადგენელი, 1 – შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერიის წარმომადგენელი, ხოლო 1 – მოწვეული დარგობრივი სპეციალისტი. კომისიის თავმჯდომარეა საქპატენტის თავმჯდომარე.

3. კომისია იქმნება:
ა) ამ კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საქპატენტის მიერ განაცხადის ექსპერტიზის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში;

ბ) ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმების საკითხზე, იმ შემთხვევაში, თუ აღარ არის უზრუნველყოფილი საქონლის სპეციფიკაციის

მოთხოვნებთან საქონლის შესაბამისობა, საქპატენტის ინიციატივით ან დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში.

4. კომისია 6 თვის განმავლობაში ამოწმებს საქონლის სპეციფიკაციის ამ კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

5. კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის, რეგისტრაციაზე უარის თქმის, რეგისტრაციის გაუქმების ან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე.

6. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები (მათ შორის, დარგობრივი სპეციალისტის მოწვევისა და მისი ანაზღაურების საკითხი) განისაზღვრება კომისიის დებულებით.

მუხლი 10. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები

ადგილწარმოშობის დასახელებად ან გეოგრაფიულ აღნიშვნად არ რეგისტრირდება დასახელება, რომელიც:

ა) ამ კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს;
ბ) გვარეობით ცნებად არის მიჩნეული;
გ) საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს ეწინააღმდეგება;
დ) მცენარის ჯიშის (საღვინე ვაზის ჯიშის ჩათვლით) ან ცხოველის ჯიშის დასახელებას ეწინააღმდეგება, რამაც შეიძლება მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ მცდარი წარმოდგენა შეუქმნას.

მუხლი 11. გამოქვეყნება

1. ამ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში საქპატენტი საქონლის სპეციფიკაციას აქვეყნებს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (შემდგომ – ბიულეტენი), თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და 1 ადგილობრივ გაზეთში (არსებობის შემთხვევაში).

2. საქპატენტის მიერ მიღებული უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელებისთვის ან გეოგრაფიული აღნიშვნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე ბიულეტენში ქვეყნდება საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის ქართულად ტრანსლიტერირებული ფორმა, საქონლის კატეგორია და ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი (არსებობის შემთხვევაში).

3. საქპატენტის მიერ ამ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული აღნიშვნის ქართულ გეოგრაფიულ აღნიშვნად აღიარების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე ბიულეტენში ქვეყნდება აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა, საქონლის კატეგორია და აღნიშვნის აღიარების ნომერი.

მუხლი 12. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის მოქმედების ვადა

1. რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა დაცულია ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენის დღიდან.

2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის მოქმედების ვადა განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.

3. აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა დაცულია მისი გამოქვეყნების დღიდან. თუ აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა, რომელიც საქპატენტის მიერ რეგისტრირებული იყო, როგორც ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა, ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გადატანილ იქნა რეესტრში, მისი დაცვის თარიღად მიიჩნევა აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენის დღე.

4. რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა ან აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა დაცულია უვადოდ. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვის მოქმედება წყდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის ან საქონლის წარმოშობის ქვეყანაში ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში.

მუხლი 13. გადაწყვეტილების გასაჩივრების წესები

1. განმცხადებელი უფლებამოსილია ამ კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მიღებული განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ან მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მიღებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება 1 თვის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში ან 3 თვის ვადაში – საქპატენტის სააპელაციო პალატაში.

2. ამ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება 1 თვის ვადაში საჩივრდება სასამართლოში.

3. საქპატენტის მიერ ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად გამოქვეყნებული გადაწყვეტილება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ 1 თვის ვადაში საჩივრდება სასამართლოში ან 3 თვის ვადაში – საქპატენტის სააპელაციო პალატაში.

4. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად – სასამართლოს ან საქპატენტის სააპელაციო პალატას, თუ ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა:
ა) ამ კანონის მე-3 და მე-6 მუხლების მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს;

ბ) ხელს შეუშლის იდენტური ან ნაწილობრივ იდენტური დასახელების ან სასაქონლო ნიშნის არსებობას ან იმ საქონლის არსებობას, რომელიც კანონიერად იყო ჩართული სამოქალაქო ბრუნვაში/განთავსებული ბაზარზე ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღემდე არაუგვიანეს 5 წლისა;
გ) სასაქონლო ნიშნის რეპუტაციის, ცნობადობისა და გამოყენების ხანგრძლივობის გათვალისწინებით,
მომხმარებელს შესაბამისი საქონლის წარმოშობის შესახებ მცდარ წარმოდგენას შეუქმნის;
დ) გვარეობით ცნებად არის მიჩნეული;
ე) მცენარის ჯიშის (საღვინე ვაზის ჯიშის ჩათვლით) ან ცხოველის ჯიშის დასახელებას ეწინააღმდეგება, რამაც შეიძლება მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ მცდარი წარმოდგენა შეუქმნას;
ვ) სრულად ან ნაწილობრივ არის რეესტრში შეტანილი დასახელების ომონიმი და საკმარისად არ განსხვავდება ამ დასახელების ადგილობრივი და ტრადიციული გამოყენებისგან, რითაც მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას შეუქმნის. ომონიმური დასახელება, რომელიც მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ მცდარ წარმოდგენას უქმნის, არ რეგისტრირდება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იგი ტერიტორიის, რეგიონის ან საქონლის წარმოშობის ფაქტობრივი ადგილის დასახელებაა;
ზ) საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადები განმცხადებლისთვის აითვლება მისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების ოფიციალურად გაცნობის დღიდან, ხოლო ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისთვის – განაცხადის მასალების ბიულეტენში გამოქვეყნების დღიდან.

6. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდება შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

მუხლი 14. საფასური

განაცხადის ექსპერტიზისთვის, რეესტრში ცვლილების შეტანისთვის, განაცხადის მასალების გამოქვეყნებისთვის, რეესტრიდან ამონაწერის გაცემისთვის, აგრეთვე ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა ქმედებისთვის გადაიხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფასური.

მუხლი 15. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უცხო ქვეყანაში რეგისტრაცია და დაცვა

1. ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა უცხო ქვეყანაში რეგისტრაციისთვის შეიძლება წარდგენილ იქნეს უშუალოდ ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, მხოლოდ მისი საქართველოში რეგისტრაციის შემდეგ.

2. საქპატენტი უფლებამოსილია განახორციელოს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის ან/და აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის უცხო ქვეყანაში რეგისტრაციისა და დაცვისთვის საჭირო ღონისძიებები.

თავი III

ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვის ფარგლები

მუხლი 16. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვის ფარგლები

1. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვის ფარგლებიდან გამომდინარე, აკრძალულია:

ა) ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება ერთ-ერთ შემდეგ შემთხვევაში:

ა.ა) როდესაც ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული საქონელი და ის საქონელი, რომელზედაც რეგისტრაცია არ ვრცელდება, ერთნაირი ტიპის საქონელია;

ა.ბ) რეგისტრირებული ან დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეპუტაციით სარგებლობის შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ შესაბამისი საქონელი ინგრედიენტის სახით გამოიყენება;

ბ) ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის ნებისმიერი მცდარი გამოყენების, იმიტაციის ან მიბაძვის შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ შესაბამისი საქონლის წარმოშობის ადგილი მითითებულია ან დაცული ადგილწარმოშობის დასახელება წარმოდგენილია თარგმანით, ტრანსლიტერაციით, ტრანსკრიფციით ან შემდეგ სიტყვებთან ერთად: „სტილი“, „ტიპი“, „მეთოდი“, „წარმოებული, როგორც“, „იმიტაცია“, „არომატი“ და სხვა, აგრეთვე მაშინ, თუ აღნიშნული საქონელი ინგრედიენტის სახით გამოიყენება;

გ) როდესაც ნებისმიერი სხვა მცდარი ან ისეთი აღნიშვნა, რომელიც მომხმარებელს საქონლის წარმომავლობის, წარმოშობის ადგილის, დასახელების ან განსაკუთრებული ხარისხის შესახებ მცდარ წარმოდგენას უქმნის, მოცემულია სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული/ბაზარზე განთავსებული საქონლის შიდა ან გარე შეფუთვაზე, სარეკლამო მასალაზე ან საქონელთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში, აგრეთვე საქონლის იმგვარი შეფუთვის (ტარაში მოთავსების) შემთხვევაში, რომელმაც შეიძლება მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ მცდარი წარმოდგენა შეუქმნას;

დ) ნებისმიერი სხვა ქმედების განხორციელების შემთხვევაში, რომელმაც შეიძლება მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ მცდარი წარმოდგენა შეუქმნას.

2. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გვარეობით ცნებად გადაქცევა არ შეიძლება.

3. თუ დაცული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა იმ საქონლის დასახელებას შეიცავს, რომელიც გვარეობით ცნებად არის მიჩნეული, აღნიშნული გვარეობითი ცნების გამოყენებაზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული აკრძალვები.

4. ამ მუხლის დებულებები ფიზიკურ პირს არ უზღუდავს უფლებას, საქონლის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვისას/ბაზარზე განთავსებისას გამოიყენოს საკუთარი ან იმ პირის სახელი, რომლის მემკვიდრეცაა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სახელის გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის.

5. ამ მუხლის დებულებები არცერთ პირს არ უზღუდავს უფლებას, საქონლის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვისას/ბაზარზე განთავსებისას გამოიყენოს მცენარის ან ცხოველის ჯიშის დასახელება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული დასახელების გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის.

მუხლი 17. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმება და ბათილად ცნობა

1. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია უქმდება ამ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. სასამართლო დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს, თუ ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციისას დაირღვა ამ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის ან მე-10 მუხლის მოთხოვნები.

3. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ ინფორმაცია რეესტრში შეიტანება და ბიულეტენში ქვეყნდება.

მუხლი 18. ადგილწარმოშობის დასახელებასა ან გეოგრაფიულ აღნიშვნასა და სასაქონლო ნიშანს შორის ურთიერთობა

1. რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის არსებობის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის განაცხადს, რომელიც წარდგენილ იქნა აღნიშნული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ, რეგისტრაციაზე უარი უნდა ეთქვას, თუ რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული საქონელი და ის საქონელი, რომელსაც სასაქონლო ნიშანი ეხება, ერთნაირი ტიპის საქონელია და აღნიშნული სასაქონლო ნიშნის გამოყენებით შეიძლება დაირღვეს ამ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

2. ამ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიუხედავად, დასაშვებია ისეთი სასაქონლო ნიშნის გამოყენება ან/და მისი რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელება, რომლის რეგისტრაციის თაობაზე განაცხადიც კეთილსინდისიერი განზრახვით, ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენამდე იქნა შეტანილი ან რეგისტრირებული.

3. თუ ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენისას საქპატენტში უკვე შეტანილია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე განაცხადი, რომელიც შეიცავს ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნას ან შედგება მისგან, და აღნიშნული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვის შედეგად იარსებებს ამ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე განაცხადზე საქმისწარმოება შეჩერდება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

თავი IV
სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 19. სახელმწიფო კონტროლი

1. რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის (გარდა უცხო ქვეყნის რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა ან გეოგრაფიული აღნიშვნისა) საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობას ადგენს და სერტიფიკატს გასცემს კომპეტენტური უწყება/მაკონტროლებელი ორგანო.

2. რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ საქონელთან დაკავშირებით კომპეტენტური უწყება სურსათის (გარდა ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმლისა, სპირტიანი სასმლისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატისა) შემთხვევაში არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო, ხოლო ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმლის, სპირტიანი სასმლის, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატის შემთხვევებში – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო.

3. არასასოფლო-სამეურნეო საქონელთან დაკავშირებით კომპეტენტურ უწყებას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

4. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის დადგენის ფუნქციას კომპეტენტური უწყება გადასცემს ერთ ან რამდენიმე მაკონტროლებელ ორგანოს (არსებობის შემთხვევაში) „მაკონტროლებელი ორგანოების ავტორიზაციისა და ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

5. კომპეტენტური უწყება საქმიანობას ახორციელებს ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებზე დაყრდნობით, კვალიფიციური პერსონალისა და საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელი სხვა რესურსების გამოყენებით.

6. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებული სახელმწიფო კონტროლის უფლებამოსილების მაკონტროლებელი ორგანოსთვის დელეგირებას კომპეტენტური უწყება ახორციელებს ამ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო კონტროლის გეგმის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
ა) იგი შეიცავს მაკონტროლებელი ორგანოს მიერ შესასრულებელი ამოცანების ზუსტ აღწერას და იმ პირობების ჩამონათვალს, რომელთა შესაბამისადაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო კონტროლი;
ბ) მაკონტროლებელ ორგანოს აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, ჰყავს საჭირო რაოდენობის კვალიფიციური და გამოცდილი პერსონალი და საქმიანობას ახორციელებს ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთანავე, საქმიანობის განხორციელებისას მაკონტროლებელ ორგანოს ინტერესთა კონფლიქტი არ უნდა ჰქონდეს.

7. სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული/ბაზარზე განთავსებული სურსათის (ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმლის, სპირტიანი სასმლის, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატის ჩათვლით) კონტროლს შესაბამისი ანალიზის საფუძველზე ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო, ხოლო სხვა საქონლის კონტროლს – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენტური უწყება.

8. თუ კომპეტენტური უწყების/მაკონტროლებელი ორგანოს მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას დადგინდა ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან უმნიშვნელო შეუსაბამობა, კომპეტენტური უწყება/ მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეუსაბამობის აღმოფხვრისთვის გონივრული ვადა განსაზღვროს. შეუსაბამობის ამ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში კომპეტენტური უწყება/ მაკონტროლებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას შეუსაბამობის აღმოფხვრამდე სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების შესახებ.

9. თუ კომპეტენტური უწყების/მაკონტროლებელი ორგანოს მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას დადგინდა ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან მნიშვნელოვანი შეუსაბამობა, კომპეტენტური უწყება/ მაკონტროლებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სერტიფიკატის გაუქმების შესახებ.

10. ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შეუსაბამობების ხარისხი განისაზღვრება სახელმწიფო კონტროლის გეგმით.

მუხლი 20. სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. გაერთიანებამ ან რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული საქონლის მწარმოებელმა ან/და გადამამუშავებელმა, რომელსაც თავისი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის შეფასება სურს, კომპეტენტურ უწყებას/მაკონტროლებელ ორგანოს სათანადო პირობები უნდა შეუქმნას და უნდა უზრუნველყოს მისთვის ყველა საჭირო დოკუმენტის, ადგილის, შენობა-ნაგებობის, მოწყობილობისა და აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა.

2. კომპეტენტური უწყება/მაკონტროლებელი ორგანო სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ამოწმებს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული საქონლის წარმოების ყველა ეტაპს, მისი მიწოდების სრულ ჯაჭვს, საქონლის შენახვის პირობებს, ნედლეულის წარმოშობის ადგილს და ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის დასადგენად აუცილებელ ყველა გარემოებას.

3. კომპეტენტური უწყება/მაკონტროლებელი ორგანო ახორციელებს მიკვლევადობის ნიშნების გამოყენების სახელმწიფო კონტროლს.

მუხლი 21. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სიხშირე

1. საქონლის მიკვლევადობისა და გადაადგილების, აგრეთვე ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის დასადგენად კომპეტენტური უწყება/მაკონტროლებელი ორგანო მის მიერ შერჩეული საქონლის ნიმუშის საფუძველზე არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ ახორციელებს საქონლის მწარმოებლისა და გადამამუშავებლის სახელმწიფო კონტროლს.

2. რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში საბოლოო საქონლის ნიმუშის საფუძველზე ყოველწლიურად მოწმდება საქონლის მწარმოებელი, ხოლო რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების შემთხვევაში – საქონლის მწარმოებელი ან გადამამუშავებელი, რომელიც თავის საქონელს სამოქალაქო ბრუნვაში ჩართავს/ბაზარზე განათავსებს. თუ ერთი ოპერატორი რამდენიმე მწარმოებლის ან გადამამუშავებლის საქონელს ჩართავს სამოქალაქო ბრუნვაში/განათავსებს ბაზარზე, ხორციელდება საქონლის მწარმოებლების ან გადამამუშავებლების საქონლის შესაბამისი ნიმუშების სახელმწიფო კონტროლი.

3. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის მიკვლევადობასთან, გადაადგილებასა და სპეციფიკაციასთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში საქონლის მწარმოებლის ან გადამამუშავებლის კონტროლი 2 წლის განმავლობაში, წელიწადში არაუმეტეს ორჯერ ხორციელდება.

მუხლი 22. სახელმწიფო კონტროლის გეგმა

1. სახელმწიფო კონტროლის გეგმას ამ კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად შეიმუშავებს კომპეტენტური უწყება/მაკონტროლებელი ორგანო. რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ საქონელთან დაკავშირებული გაერთიანება ან განმცხადებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში ითანამშრომლოს კომპეტენტურ უწყებასთან/მაკონტროლებელ ორგანოსთან.

2. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციიდან 6 თვის ვადაში მაკონტროლებელი ორგანო სახელმწიფო კონტროლის გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კომპეტენტურ უწყებას. კომპეტენტური უწყება ვალდებულია აღნიშნული სახელმწიფო კონტროლის გეგმა 3 თვის ვადაში დაამტკიცოს.

3. მაკონტროლებელი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში სახელმწიფო კონტროლის გეგმას ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციიდან 6 თვის ვადაში ამტკიცებს კომპეტენტური უწყება.

მუხლი 23. მაკონტროლებელი ორგანოს ანგარიშვალდებულება

1. ამ კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მაკონტროლებელი ორგანოს საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს კომპეტენტური უწყება „მაკონტროლებელი ორგანოების ავტორიზაციისა და ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

2. მაკონტროლებელი ორგანო კომპეტენტურ უწყებას წარუდგენს თითოეული

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ ანგარიშს ყოველწლიურად, კალენდარული წლის დამთავრებიდან 3 თვის ვადაში, აგრეთვე კომპეტენტური უწყების მოთხოვნის საფუძველზე. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს სულ მცირე:
ა) იმ პირთა სიას, რომელთა სახელმწიფო კონტროლიც განხორციელდა, და აღნიშნული კონტროლის შესახებ ინფორმაციას;
ბ) რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული/ბაზარზე განთავსებული საქონლის რაოდენობის შესახებ ინფორმაციას;
გ) ამ კანონის 21–ე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად გამოყენებული ღონისძიებებისა და მათი რაოდენობის შესახებ ინფორმაციას;
დ) იმ სერტიფიკატების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას, რომლებიც გაუქმებულია ან რომელთა მოქმედებაც შეჩერებულია.

3. საქპატენტს ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინება არაუგვიანეს 15 დღისა.

4. თუ მაკონტროლებელი ორგანოს მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას დადგინდა რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან მნიშვნელოვანი შეუსაბამობა, მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია ამის შესახებ კომპეტენტურ უწყებას შეატყობინოს.

5. კომპეტენტური უწყება უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე ჩაატაროს მაკონტროლებელი ორგანოს აუდიტი.

6. კომპეტენტური უწყება მაკონტროლებელი ორგანოს აუდიტის ჩატარებისას ხელმძღვანელობს კანონიერების, ობიექტურობის, დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის, მიზანშეწონილობისა და თანასწორობის პრინციპებით.

7. კომპეტენტური უწყება მაკონტროლებელი ორგანოს აუდიტის ჩატარებისას ამოწმებს მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას.

8. კომპეტენტური უწყება უფლებამოსილია მაკონტროლებელ ორგანოს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ზედამხედველობის განსახორციელებლად აუდიტის ჩატარებისთვის აუცილებელი ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია.

9. მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია ამ მუხლის მე–8 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი და ინფორმაცია კომპეტენტურ უწყებას მიაწოდოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

10. ამ მუხლით გათვალისწინებული აუდიტი უნდა დასრულდეს დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

11. თუ აუდიტის ჩატარებისას დადგინდა, რომ მაკონტროლებელი ორგანო ვერ ასრულებს მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებით განსაზღვრულ ამოცანებს და დროულად ვერ

იღებს შესაბამის ზომებს, კომპეტენტური უწყება დაუყოვნებლივ წყვეტს მაკონტროლებელი ორგანოსთვის უფლებამოსილების დელეგირებას.

მუხლი 24. საბოლოო საქონლის შემოწმება

1. სურსათის ან ალკოჰოლიანი სასმლის რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საბოლოო საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის დასადგენად სახელმწიფო კონტროლის განხორციელება მოიცავს საქონლის ორგანოლეპტიკური, ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლების გამოსაკვლევად საქონლის ნიმუშის აღებას.

2. არასასურსათო საქონლის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება მოიცავს საქონლის ფიზიკური და სხვა ძირითადი მახასიათებლების შემოწმებას.

3. საქონლის ორგანოლეპტიკური, ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლების გამოსაკვლევად საქონლის ნიმუშის აღებას ახორციელებს კომპეტენტური უწყება/მაკონტროლებელი ორგანო.

მუხლი 25. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის დადგენისა და სახელმწიფო კონტროლის ხარჯები

1. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის დადგენის ხარჯს ფარავს გაერთიანება ან შესაბამისი საქონლის მწარმოებელი.

2. სახელმწიფო უფლებამოსილია თანამონაწილეობით დაფაროს სახელმწიფო კონტროლის ხარჯი. სახელმწიფო კონტროლის ხარჯის ანაზღაურების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის აქტით.

მუხლი 26. გაერთიანების უფლებამოსილებები გაერთიანება უფლებამოსილია:

ა) საქონლის ხარისხის, რეპუტაციისა და ავთენტურობის უზრუნველსაყოფად ჩაატაროს სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული/ბაზარზე განთავსებული საქონლის დასახელების გამოყენების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტურ უწყებას მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია „გაერთიანების საქმიანობის მონიტორინგის შესახებ ინსტრუქციის“ შესაბამისად;
ბ) მიიღოს შესაბამისი ზომები რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა ან გეოგრაფიული აღნიშვნისა და მასთან პირდაპირ დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად;
გ) მოამზადოს საინფორმაციო მასალები და განახორციელოს ღონისძიებები საქონლისთვის დამატებითი ღირებულების მიმნიჭებელი საქონლის მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მომხმარებლისთვის მისაწოდებლად;
დ) განახორციელოს ღონისძიებები ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
ე) მიიღოს შესაბამისი ზომები ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურების ეფექტიანად განხორციელებისთვის, მათ შორის, ჩაატაროს ეკონომიკური ანალიზი, რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული საქონლის მწარმოებელს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია და გაუწიოს კონსულტაცია;
ვ) მიიღოს შესაბამისი ზომები საქონლის ღირებულების გასაზრდელად და საჭიროების შემთხვევაში აღკვეთოს საქონლის რეპუტაციის დამაზიანებელი ან მისთვის რისკის შემქმნელი

ქმედებები;
ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

თავი V
ოფიციალური სიმბოლო და წარწერა, პასუხისმგებლობა

მუხლი 27. ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ საქონელზე ოფიციალური სიმბოლოსა და წარწერის „რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება“ ან „რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა“ გამოყენების წესი

1. წარწერის „რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება“ ან „რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა“ გამოყენების უფლება აქვს სერტიფიკატის მფლობელ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

2. წარწერა „რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება“ ან „რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ საქონლის სავაჭრო სახელწოდებაში ან მასთან ერთად, აგრეთვე შეფუთვაზე ან რეკლამაში ან შეთავაზებაში, რომელიც შეიცავს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით ნიშანდებულ საქონელს, თუ:

ა) საქონელში არ არის სხვა ინგრედიენტი, რომელმაც შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაანაცვლოს რეგისტრირებული ან დაცული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით ნიშანდებული საქონელი;
ბ) გამოყენებული ინგრედიენტების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საქონელს ძირითადი მახასიათებლები შესძინოს;
გ) საქონლის ინგრედიენტის პროცენტული მაჩვენებელი მიეთითება რეგისტრირებულ ადგილწარმოშობის დასახელებასთან ან გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ერთად, საქონლის სავაჭრო სახელწოდების სიახლოვეს, ხედვის ძირითად არეალში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – ინგრედიენტების ჩამონათვალში, ამ ინგრედიენტის გასწვრივ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით ნიშანდებული საქონლის (გარდა ღვინისა) ეტიკეტის წინა მხარეს უნდა განთავსდეს შესაბამისი ოფიციალური სიმბოლო. ხედვის იმავე არეალში უნდა განთავსდეს საქონლის რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა. საქონლის ეტიკეტზე შეიძლება განთავსდეს აგრეთვე წარწერა „რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება“ ან „რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა“.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით ნიშანდებული ღვინის ეტიკეტის წინა მხარეს უნდა განთავსდეს წარწერა „რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება“ ან „რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა“. ხედვის იმავე არეალში უნდა განთავსდეს

ღვინის რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა. ღვინის ეტიკეტზე შეიძლება განთავსდეს აგრეთვე შესაბამისი ოფიციალური სიმბოლო.

5. ოფიციალური სიმბოლოს შავ–თეთრი ვერსია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი საქონლის ეტიკეტზე ან შეფუთვაზე სხვა ფერები წარმოდგენილი არ არის.

6. ოფიციალური სიმბოლო მტკიცდება საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

მუხლი 28. პასუხისმგებლობა ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო გამოყენებისთვის

1. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის ამ კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ გამოყენება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო გამოყენების შემთხვევაში გაერთიანება, კომპეტენტური უწყება, მაკონტროლებელი ორგანო, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს:
ა) კანონსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტა;
ბ) ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით ნიშანდებული საქონლის სამოქალაქო ბრუნვიდან/ბაზრიდან ამოღება, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვაში ჩასართავად/ბაზარზე განსათავსებლად შემოტანილი ან დასაწყობებული (შესანახად განთავსებული) საქონლის ან იმ საქონლის ამოღება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გადის;
გ) იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი ან სარეკლამო მასალის ან აბრის განადგურება, რომელიც შეიცავს ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნას ან არის მისი ასლი ან იმიტაცია, მათ შორის, ინტერნეტში განთავსებული ისეთი გამოსახულების ან მასალის წაშლა, რომელიც ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნას შეიცავს;
დ) ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეს, მატრიცის, სხვა დანადგარის, ტექნიკური აღჭურვილობისა და იარაღის განადგურება;
ე) ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით ნიშანდებული საქონლის განადგურება. გასანადგურებელი საქონელი ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის შემცველი გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდისა და შეფუთვის მოცილების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჰუმანიტარული ან საქველმოქმედო მიზნით, მხოლოდ დაინტერესებული პირის თანხმობით და იმ პირობით, რომ ეს საქონელი ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას რისკს არ შეუქმნის.

3. გაერთიანება ან სხვა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების გარდა, მოითხოვოს ერთ–ერთი შემდეგი ქმედების განხორციელება:
ა) მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით), თუ დამრღვევმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა ადგილწარმოშობის დასახელებასთან ან გეოგრაფიულ აღნიშვნასთან დაკავშირებული კანონდარღვევის შესახებ;

ბ) მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა;
გ) ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა.

4. ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის განსაკუთრებული უფლების დარღვევით ნიშანდებული საქონლის რაოდენობა, დამრღვევის განზრახვა ან/და ნებისმიერი სხვა გარემოება, რომელიც შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას.

მუხლი 29. ადგილწარმოშობის დასახელების გავრცელება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად

განმცხადებელმა ადგილწარმოშობის დასახელების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ განაცხადი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, საქპატენტის მეშვეობით უნდა წარუდგინოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს.

თავი VI
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 30. გარდამავალი დებულებები

1. იმ ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის ამ კანონთან შესაბამისობა, რომლის რეგისტრაციის შესახებ განაცხადი წარდგენილია საქპატენტისთვის ან რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტის მიერ ამ კანონის ამოქმედებამდე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს 2031 წლის 1 იანვრამდე. თუ აღნიშნულ თარიღამდე ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის ამ კანონთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი არ იქნება, ეს ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა შეტანილი იქნება რეესტრში, როგორც აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა, თუკი იგი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს. ამ პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საჭირო ცვლილება საფასურის გადახდის გარეშე უნდა განხორციელდეს.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე საქპატენტის მიერ რეგისტრირებული ან საქპატენტისთვის რეგისტრაციისთვის წარდგენილი ადგილწარმოშობის დასახელება, ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი საქონლის ნედლეული წარმოშობილია ისეთ გეოგრაფიულ არეალში, რომელიც აღნიშნული საქონლის წარმოშობის გეოგრაფიულ არეალზე ფართოა ან მისგან განსხვავებულია, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადგილწარმოშობის დასახელებად, თუ დაცულია ერთ-ერთი შემდეგი პირობა:
ა) დადგენილია საქონლის ნედლეულის წარმოების გეოგრაფიული არეალის საზღვრები;
ბ) საქონლის ნედლეულის წარმოებისთვის სპეციალური პირობებია დადგენილი;
გ) ადგილწარმოშობის დასახელება, ისტორიულად და ტრადიციულად, შესაბამისი გეოგრაფიული არეალის ფარგლების გარეთ გამოიყენებოდა;
დ) არსებობს კონტროლის მექანიზმი ამ პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობების დაცვის უზრუნველსაყოფად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის საქონლის ნედლეული გულისხმობს ცოცხალ ცხოველს, რძესა და ხორცს.

4. „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 28 თებერვლის №88 ბრძანებულებით დამტკიცებულ ადგილწარმოშობის დასახელებასა და გეოგრაფიულ აღნიშვნას, გარდა რეესტრში შეტანილი ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნისა, ამ კანონის ამოქმედებისთანავე მიენიჭოს აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსი.

5. ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში:

ა) საქპატენტმა შეიმუშაოს და დადგენილი წესით დაამტკიცოს:

ა.ა) „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქცია;

ა.ბ) ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განმხილველი ეროვნული კომისიის დებულება;

ა.გ) ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის ოფიციალური სიმბოლოები;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს და დადგენილი წესით დაამტკიცოს:

ბ.ა) „მაკონტროლებელი ორგანოების ავტორიზაციისა და ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქცია;

ბ.ბ) „გაერთიანების საქმიანობის მონიტორინგის შესახებ“ ინსტრუქცია.

მუხლი 31. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №25(32), 1999 წელი, მუხ. 126).

მუხლი 32. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–29-ე და 31-ე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი–29-ე და 31-ე მუხლები ამოქმედდეს 2024 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 21 სექტემბერი 2023 წ.
N3493-XIIIმს-Xმპ

განაცხადი

საქართველოში სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის რეგისტრაციისათვის

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
3300 ქ. მცხეთა,
ანტიოქიის ქ. N 5
ტელ.:(+99532) 252533

☐ დაჩქარებული პროცედურა

განცხადება

1. გთხოვთ, განაცხადში მოყვანილი სიმბოლო გაატაროთ რეგისტრაციაში, როგორც სასაქონლო ნიშანი (მომსახურების/კოლექტიური/სასერტიფიკაციო ნიშანი) განმცხადებლის (731) სახელზე.

განმცხადებლის სახელი **გვარი**

სახელწოდება

პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი (არსებობის შემთხვევაში)

მისამართი

გთხოვთ დამიდგინოთ სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი :

☐ საქპატენტში შეტანის თარიღით:

☐ პირველი განაცხადის შეტანის თარიღით

☐ გამოფენაზე ექსპონატის ღია ჩვენების დაწყების თარიღით:

☐ გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე

ქვეყნის კოდი:

(220) შეტანის თარიღი

(210) განაცხადის №

2. (310) **პირველი განაცხადის ნომერი**

(320) **პირველი განაცხადის შეტანის თარიღი:**

(330) **პირველი განაცხადის მიმღები ქვეყნის (უწყების) კოდი**

(230) **გამოფენაზე ჩვენების თარიღი:**

საერთაშორისო განაცხადის ნომერი:

საერთაშორისო რეგისტრაციით მოთხოვნილი პრიორიტეტი:

3. (740) **წარმომადგენელი (პატენტრწმუნებული)**

რეგისტრაციის ნომერი

4. (750) **მიმოწერის მისამართი** (ადრესატის სრული სახელი ან დასახელება და მისამართი)

ტელეფონი: ელ.ფოსტა ფაქსი:

5. 540 **სარეგისტრაციო სიმბოლო**	6. 571 **აღწერილობა**

7. **დამატებითი ცნობები**: წარდგენილი სიმბოლო არის:

☐ მოცულობითი ☐ ბგერითი ☐ კოლექტიური ნიშანი ☐ სასერტიფიკაციო ნიშანი

8. **ფერი ან ფერთა კომბინაცია**:

9. 511 **საქონელი და/ან მომსახურება, რომელთათვისაც მოითხოვება ნიშნის რეგისტრაცია, დაჯგუფებული საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით**

კლასი	საქონლის და/ან მომსახურების დასახელება

* თუ ჩამონათვალი არ თავსდება გამოყოფილ გრაფაში, ის მთლიანად იბეჭდება დამატებით ფურცელზე, როგორც განაცხადის დანართი

10. **თანმხლები საბუთების ნუსხა**	**ეგზემპლარების რაოდენობა**	**ფურცლების რაოდენობა ერთ ეგზემპლარში**
☐ წარდგენილი სიმბოლოს გამოსახულება		
☐ კოლექტიური/სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება		
☐ უცხო ენაზე წარდგენილი საბუთების ქართული თარგმანი		
☐ მინდობილობა წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) უფლებამოსილების შესახებ		
☐ პირველი განაცხადის დამოწმებული ასლი		
☐ პირველი განაცხადის დამოწმებული ასლის თარგმანი		
☐ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი (თუ მოყვანილია დანართზე)		
☐ საერთაშორისო ბიუროს მიერ დამოწმებული საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ საერთაშორისო რეგისტრაცია გაუქმებამდე ვრცელდებოდა საქართველოზე.		

სხვა საბუთი		

ხელმოწერა / /

თარიღი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 27.06.2024წ.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2024 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №10

ინსტრუქცია საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ინსტრუქციის რეგულირების სფერო

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქცია აწესრიგებს ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის, მათ შორის, უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის, საქონლის სპეციფიკაციაში ცვლილების განაცხადის გაფორმებისა და წარდგენის, მისი ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების, ქართული გეოგრაფიული აღნიშვნისთვის აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსის მინიჭების წესს, გადაწყვეტილების გასაჩივრების, განხილვის ვადების შეჩერების, გაგრძელებისა და აღდგენის, საქონლის სპეციფიკაციაში ცვლილების შეტანის, განაცხადის მასალების გამოქვეყნების, ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმებისა და ბათილად ცნობის, აგრეთვე რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სხვა წესებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
   ა) ადგილობრივი გაზეთი – პერიოდული ბეჭდური გამოცემა, რომელიც არანაკლებ თვეში ერთხელ მუდმივი სახელწოდებით გამოდის და მოიცავს იმ მიკროზონის ფარგლებს, რომელიც განსაზღვრულია განცხადებული ან/და რეგისტრირებული დასახელების სპეციფიკაციაში;
   ბ) ბიულეტენი – სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი;
   გ) მთავრობის დადგენილება – „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილება;
   დ) ელექტრონული სისტემა – საქპატენტის ელექტრონული სისტემა – https://online.sakpatenti.gov.ge/;
   ე) ვებგვერდი – საქპატენტის ოფიციალური ვებგვერდი – www.sakpatenti.gov.ge;
   ვ) კანონი – საქართველოს კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №3493–XIIIმს–Xმპ, 21/09/2023);

ზ) კომისია – კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განმხილველი ეროვნული კომისია;

თ) საქპატენტი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ – ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანო.

2. ინსტრუქციაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში გამოყენებულ ტერმინებს.

თავი II
განაცხადის ფორმა და წარდგენის წესი

მუხლი 3. განაცხადის წარდგენა და გაფორმება

1. განაცხადის წარდგენა საქპატენტში შესაძლებელია მატერიალური ფორმით, საქპატენტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული განაცხადის ფორმით, ასევე, ელექტრონულად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
2. განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში, განაცხადზე მიმდინარე საქმისწარმოების ფარგლებში, ყველა სახის დოკუმენტი განმცხადებელს ეგზავნება მატერიალური ფორმით.
3. განაცხადის ელექტრონული სისტემით წარდგენის შემთხვევაში, განაცხადზე მიმდინარე საქმისწარმოების ფარგლებში, განმცხადებელს ყველა სახის დოკუმენტი ეგზავნება ელექტრონული სისტემის მეშვეობით და ჩაბარებულად ითვლება სისტემაში ასახვისთანავე.
4. განაცხადის ელექტრონულად წარდგენის შემთხვევაში, კანონითა და ამ ინსტრუქციით დადგენილ საფასურებზე ვრცელდება მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შეღავათი.
5. განაცხადის ელექტრონულად წარდგენის შემდგომ განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს საქმისწარმოების მატერიალური ფორმით გაგრძელება. ასეთ შემთხვევაში განაცხადზე აღარ გავრცელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული შეღავათი.
6. განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენის შემდგომ განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს საქმისწარმოების ელექტრონული ფორმით გაგრძელება. ამ შემთხვევაში განაცხადზე არ გავრცელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული შეღავათი.
7. დამატებითი ინფორმირების მიზნით განმცხადებელს შესაძლებელია გაეგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება განაცხადთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ.
8. განაცხადი უნდა ეხებოდეს ერთ ადგილწარმოშობის დასახელებას ან ერთ გეოგრაფიულ აღნიშვნას.
9. მატერიალური განაცხადის გრაფების შევსების წესი:
   ა) განაცხადის პირველ გრაფაში ივსება:
      ა.ა) მოთხოვნა ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის/საქონლის სპეციფიკაციაში ცვლილების შესახებ;
      ა.ბ) განმცხადებლის სრული სახელი/სახელწოდება და მისამართი/იურიდიული მისამართი;

ა.გ) თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – მისი გვარი, სახელი, პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სრული საფოსტო მისამართი და ინდექსი, იმ ქვეყნის სახელი, რომლის მოქალაქეცაა ან სადაც აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან მოქმედი საწარმო;

ა.დ) თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – მისი სამართლებრივი ფორმა, სრული სახელწოდება, ქვეყანა (სადაც რეგისტრირებულია იურიდიული პირი), სრული საფოსტო მისამართი და ინდექსი, ასევე საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ა.ე) თუ განმცხადებელი გაერთიანებაა – მისი სამართლებრივი ფორმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სრული სახელწოდება, ქვეყანა/რეგიონი/მიკროზონა, სადაც ახორციელებს საქმიანობას, სრული საფოსტო მისამართი და ინდექსი, ასევე საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) განაცხადის მე-2 გრაფაში მიეთითება წარმომადგენლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი თუ წარმომადგენელი იურიდიული პირია – სრული სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სრული საფოსტო მისამართი და ინდექსი, ასევე, საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) განაცხადის მე-3 გრაფაში ივსება კომპეტენტური უწყების ან მაკონტროლებელი ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრული სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი და იურიდიული მისამართი;

დ) განაცხადის მე-4 გრაფაში იწერება ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა, რომლის რეგისტრაცია ან სპეციფიკაციის ცვლილებაც მოითხოვება. თუ ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა ქართულ ენაზე არ არის შესრულებული, მისი ქართულად ტრანსლიტერირებული ფორმა;

ე) მატერიალური განაცხადის მე-5 გრაფაში ივსება იმ საქონლის კატეგორია, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია/სპეციფიკაციის ცვლილება;

ვ) მატერიალური განაცხადის მე-6 გრაფაში „X“ სიმბოლოთი მოინიშნება განაცხადის შეტანისას თანმხლები დოკუმენტის შესაბამისი უჯრა და მიეთითება თითოეული დოკუმენტის ეგზემპლარისა და თითოეულ ეგზემპლარში ფურცლების რაოდენობა.

10. მატერიალური განაცხადი უნდა იყოს ხელმოწერილი განმცხადებლის, უფლებამოსილი პირის, ან წარმომადგენლის მიერ და დათარიღებული ხელმოწერის დღით. მატერიალური განაცხადის ბოლოს გარკვევით უნდა მიეთითოს ხელმომწერი პირის სახელი და გვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი საქპატენტში შეტანილად არ ჩაითვლება.

11. ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესები ასევე ვრცელდება განაცხადის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენისას.

მუხლი 4. განაცხადთან დაკავშირებული დოკუმენტები

1. განაცხადს უნდა ერთოდეს:

ა) კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქონლის სპეციფიკაცია;

ბ) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ საქონლის განსაკუთრებული ხარისხი, რეპუტაცია ან თვისებები შესაბამისი გეოგრაფიული არეალის ბუნებრივი ფაქტორით ან/და ადამიანური ფაქტორით არის განპირობებული;

გ) კონტროლის გეგმა, რომლითაც ხორციელდება საქონლის სპეციფიკაციით გათვალისწინებული საქონლის წარმოების პირობების კონტროლი;

დ) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის წარმოშობის ქვეყანაში დაცვას, თუ განმცხადებელი უცხოელია;

ე) კანონის მე-5 მუხლის „მ“ პუნქტით გათვალისწინებული ერთიანი დოკუმენტი;

ვ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მინდობილობა, თუ საქპატენტში განაცხადი წარდგენილია წარმომადგენლის მიერ;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება, თუ განაცხადი ეხება უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნას, რომელიც საქონლის წარმოშობის ქვეყანაში დაცულია, როგორც კოლექტიური ან სასერტიფიკაციო სასაქონლო ნიშანი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, ასევე სხვა დამატებითი დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის შემთხვევაში განაცხადს თან უნდა ერთოდეს დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

მუხლი 5. წარმომადგენლის დანიშვნა

1. განმცხადებელი უფლებამოსილია განაცხადის წარდგენისას ან განაცხადის წარდგენის შემდეგ დანიშნოს წარმომადგენელი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წარმომადგენლობა უნდა დასტურდებოდეს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტით – მინდობილობით, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) მარწმუნებლის სახელსა და გვარს/სახელწოდებას, იურიდიულ მისამართს, ფიზიკური პირის შემთხვევაში – მარწმუნებლისა და რწმუნებულის პირად ნომერს, იურიდიული პირის შემთხვევაში – საიდენტიფიკაციო ნომერს;

ბ) წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებს;

გ) მინდობილობის შედგენის თარიღს და ადგილს;

დ) მარწმუნებლის ხელმოწერას.

3. იმ შემთხვევაში, თუ მინდობილობაში არ არის მითითებული მოქმედების ვადა, მინდობილობა ძალაშია მარწმუნებლის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

4. მინდობილობა ფორმდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ის არის შედგენილი. საქართველოს ტერიტორიაზე ფიზიკური პირის მიერ გაცემული მინდობილობა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ორგანიზაციის სახელით მინდობილობის გაცემის შემთხვევაში, ის გაცემული უნდა იყოს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ.

5. უცხოელი განმცხადებელი, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია, საქპატენტის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წარმომადგენლად დანიშნოს საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გაეგზავნება

მისთვის განკუთვნილი ყველა დოკუმენტი. თუ განმცხადებელი არ შეასრულებს ამ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საქპატენტს ეხსნება პასუხისმგებლობა დოკუმენტის გაუგზავნელობისათვის და ეს არ შეიძლება გახდეს საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

თავი III
განაცხადის ექსპერტიზა

მუხლი 6. საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ექსპერტიზა

1. საქპატენტი განაცხადის წარდგენიდან 2 თვის ვადაში ამოწმებს განაცხადის შესაბამისობას კანონის მე-5 მუხლისა და ამ ინსტრუქციის მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
2. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ და მის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება ერთთვიანი ვადა. განმცხადებელს უფლება აქვს ამ ვადაში მოითხოვოს ხარვეზის აღმოფხვრის ვადის გაგრძელება არაუმეტეს 15 დღით.
3. განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საქპატენტი 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საქპატენტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე, ან აღნიშნული ვადის ამოწურვამდე, განაცხადის განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.
5. თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქპატენტი 3 თვის ვადაში ამოწმებს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობას.
6. თუ საქპატენტი ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მიიჩნევს, რომ არ არსებობს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის საფუძვლები, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის ექსპერტიზის გაგრძელების შესახებ.
7. თუ საქპატენტი ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მიიჩნევს, რომ არსებობს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის საფუძვლები, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 7. უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის განაცხადის ექსპერტიზა

1. საქართველოში უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი განაცხადით უნდა დასტურდებოდეს კანონის მე–10 მუხლით გათვალისწინებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლების არარსებობა.
2. უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას დასახელების რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე.

მუხლი 8. საქპატენტის მიერ საქონლის სპეციფიკაციაში არსებითი ცვლილების განაცხადის ექსპერტიზა

1. განმცხადებლის ან ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირის მიერ საქონლის სპეციფიკაციაში არსებითი ცვლილების შეტანის შესახებ განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს კანონის მე–5 მუხლისა და ამ ინსტრუქციის მე–3 და მე–4 მუხლების შესაბამისად.
2. საქპატენტი განაცხადის წარდგენიდან 2 თვის ვადაში ამოწმებს მის შესაბამისობას ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან.
3. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ და მის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება ერთთვიანი ვადა. განმცხადებელს უფლება აქვს ამ ვადაში მოითხოვოს ხარვეზის ვადის გაგრძელება არაუმეტეს 15 დღით.
4. ხარვეზის განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საქპატენტი 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.
5. ამ მუხლის მე–3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საქპატენტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე, ან აღნიშნული ვადის ამოწურვამდე, განაცხადის განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.
6. თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საქპატენტი 3 თვის ვადაში ამოწმებს კანონის მე–10 მუხლით გათვალისწინებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობას.
7. თუ საქპატენტი ამ მუხლის მე–6 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მიიჩნევს, რომ არ არსებობს კანონის მე–10 მუხლით გათვალისწინებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის საფუძვლები, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის ექსპერტიზის გაგრძელების შესახებ.
8. თუ საქპატენტი ამ მუხლის მე–6 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მიიჩნევს, რომ არსებობს კანონის მე–10 მუხლით გათვალისწინებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას საქონლის სპეციფიკაციაში არსებითი ცვლილების შეტანის შესახებ განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
9. დაინტერესებული პირის მიერ საქონლის სპეციფიკაციაში არსებითი ცვლილების შეტანის

შესახებ განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, საქპატენტი ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული შემოწმების დასრულებიდან 5 დღის ვადაში განმცხადებელს უგზავნის წარმოდგენილ განაცხადსა და თანდართულ მასალებს.

10. განმცხადებელი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრება საქონლის სპეციფიკაციაში შესატანი არსებითი ცვლილების შესახებ საქპატენტს წარუდგინოს ამ მუხლის მე–9 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

11. განმცხადებლის მიერ ამ მუხლის მე–10 პუნქტით დადგენილ ვადაში მოსაზრების წარმოუდგენლობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვას.

მუხლი 9. საქპატენტის მიერ საქონლის სპეციფიკაციაში არაარსებითი ცვლილების განაცხადის განხილვა

1. განმცხადებელს ან ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს საქპატენტს წარუდგინოს საქონლის სპეციფიკაციაში არაარსებითი ცვლილების შეტანის შესახებ განაცხადი.

2. საქპატენტი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ამოწმებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად.

3. დაინტერესებული პირის მიერ საქონლის სპეციფიკაციაში არაარსებითი ცვლილების შეტანის შესახებ განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული შემოწმების დასრულებიდან 5 დღის ვადაში საქპატენტი განმცხადებელს უგზავნის დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და თანდართულ მასალებს.

4. განმცხადებელი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრება საქონლის სპეციფიკაციაში შესატანი არაარსებითი ცვლილების შესახებ საქპატენტს წარუდგინოს ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. განმცხადებლის მიერ ამ მუხლის მე–4 პუნქტით დადგენილ ვადაში მოსაზრების წარმოუდგენლობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვას.

6. საქპატენტი ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარდგენილ განაცხადს განიხილავს მისი წარდგენიდან 1 თვის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას საქონლის სპეციფიკაციაში არაარსებითი ცვლილების შეტანის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

მუხლი 10. აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსის მინიჭება

1. დაინტერესებული პირის მიერ ქართული გეოგრაფიული აღნიშვნისთვის კანონის მე–3 მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსის მინიჭების მიზნით, განაცხადი წარედგინება საქპატენტს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე წარდგენილი განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ქართული გეოგრაფიული აღნიშვნისა და საქონლის კატეგორიის შესახებ და უნდა ერთოდეს მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ:

   ა) დადგენილია საქონლის ნედლეულის წარმოების გეოგრაფიული არეალის საზღვრები;

   ბ) საქონლის ნედლეულის წარმოებისთვის დადგენილია სპეციალური პირობები;

გ) ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა, ტრადიციულად, კონკრეტულ ადგილას გამოიყენებოდა.

3. ამ მუხლის მე–2 პუნქტის მიზნებისთვის საქონლის ნედლეული გულისხმობს ცოცხალ ცხოველს, რძესა და ხორცს.

4. საქპატენტი განაცხადის წარდგენიდან 3 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ქართული გეოგრაფიული აღნიშვნისთვის ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსის მინიჭების ან სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

5. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი და მე–2 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ და მის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება ერთთვიანი ვადა. განმცხადებელს უფლება აქვს ამ ვადაში მოითხოვოს ხარვეზის ვადის გაგრძელება არაუმეტეს 15 დღით.

6. ხარვეზის განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საქპატენტი 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

7. ამ მუხლის მე–5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საქპატენტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე ან აღნიშნული ვადის ამოწურვამდე, განაცხადის განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

8. აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის დასახელება, საქონლის კატეგორია, საქონლის ნედლეულის წარმოების გეოგრაფიული არეალის საზღვრები და საქონლის ნედლეულის წარმოებისთვის დადგენილი სპეციალური პირობები.

9. ქართულ გეოგრაფიულ აღნიშვნად აღიარების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე, ინფორმაცია ბიულეტენში ქვეყნდება ამ ინსტრუქციის მე–15 მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 11. განაცხადის განხილვის ვადის შეჩერება

1. განმცხადებელს უფლება აქვს განაცხადის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს განაცხადის განხილვის ვადის შეჩერება ერთი თვით. განაცხადის განხილვის შეჩერების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

2. განაცხადის განხილვის ვადის დინება გაგრძელდება განაცხადის განხილვის ვადის შეჩერების ამოწურვისთანავე ან განაცხადის განხილვის ვადის შეჩერების პერიოდში განმცხადებლის მიერ განხილვის ვადის დინების გაგრძელების შესახებ განცხადების წარმოდგენისთანავე.

3. განაცხადის განხილვის ვადის შეჩერების, გაგრძელებისა და განახლების შესახებ გამოიცემა ბრძანება.

მუხლი 12. განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენა

1. განაცხადზე განმცხადებლის მოთხოვნით ან ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში საქმისწარმოების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში განმცხადებელს უფლება აქვს მოითხოვოს განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენა.

2. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ერთთვიან ვადაში საქპატენტს სხვა განმცხადებლის მიერ წარედგინება იდენტური განაცხადი ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ, ამ განაცხადზე საქმისწარმოება შეჩერდება ადრინდელი ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენის შემთხვევაში, საქპატენტი გამოსცემს ბრძანებას საქმისწარმოების აღდგენის შესახებ განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 13. საქპატენტის ექსპერტიზის შედეგები

საქპატენტის მიერ კანონის მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე, განაცხადის ექსპერტიზის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, განაცხადზე საქმისწარმოება გაგრძელდება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განმხილველი ეროვნული კომისიის დებულებით დადგენილი წესით.

მუხლი 14. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. განმცხადებელი უფლებამოსილია კანონის მე–8 მუხლის მე–3 პუნქტის შესაბამისად, მიღებული განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ან მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად მიღებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება 1 თვის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში ან 3 თვის ვადაში საქპატენტის სააპელაციო პალატაში.
2. კანონის მე–9 მუხლის მე–5 პუნქტის შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილება 1 თვის ვადაში საჩივრდება სასამართლოში.
3. საქპატენტის მიერ კანონის მე–11 მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტების შესაბამისად გამოქვეყნებული გადაწყვეტილება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ 1 თვის ვადაში საჩივრდება სასამართლოში ან 3 თვის ვადაში – საქპატენტის სააპელაციო პალატაში.
4. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, ამ მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს, ხოლო ამ მუხლის მე–3 პუნქტის შესაბამისად – სასამართლოს ან საქპატენტის სააპელაციო პალატას, თუ სახეზეა კანონის მე–13 მუხლის მე–4 პუნქტის „ა“ – „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
5. საქართველოში საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდება შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

თავი IV

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ მონაცემების რეესტრში შეტანა, ინფორმაციის გამოქვეყნება, რეესტრში მონაცემების ცვლილება, რეესტრიდან ამონაწერის გაცემა

მუხლი 15. რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ მონაცემების რეესტრში შეტანა

1. კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტისა და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, განმცხადებელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება განაცხადის მასალების გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასურის გადახდის შესახებ.
2. განმცხადებელი ვალდებულია განაცხადის მასალების გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასური გადაიხადოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შეტყობინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განაცხადის მასალების გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასურის გადახდიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში საქპატენტი რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა ან გეოგრაფიული აღნიშვნის მონაცემებს შეიტანს რეესტრში.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განაცხადის მასალების გამოქვეყნებისთვის დადგენილი საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში განაცხადზე შეწყდება საქმისწარმოება, რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქპატენტის მიერ რეესტრში შეიტანება რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა ან გეოგრაფიულ აღნიშვნასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:
   ა) საქმის ნომერი;
   ბ) განაცხადის შეტანის თარიღი;
   გ) განმცხადებლის სახელი და გვარი/სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
   დ) ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა;
   ე) უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში, ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის ქართულად ტრანსლიტერირებული ფორმა;
   ვ) უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში, ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი (არსებობის შემთხვევაში);
   ზ) საქონლის კატეგორია, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია;
   თ) უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში, საერთაშორისო საქონლის კატეგორია (არსებობის შემთხვევაში);
   ი) კომპეტენტური უწყების ან მაკონტროლებელი ორგანოს სრული სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი და იურიდიული მისამართი (არსებობის შემთხვევაში);
   კ) ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის სპეციფიკაცია;
   ლ) სპეციფიკაციაში ცვლილების შეტანის გადაწყვეტილების შემთხვევაში, შეცვლილი მონაცემები.

მუხლი 16. განაცხადის მასალების გამოქვეყნება

1. კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-11 მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციის ან სპეციფიკაციაში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში საქპატენტის მიერ ბიულეტენში, ვებგვერდზე და ერთ ადგილობრივ გაზეთში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ქვეყნდება:
   ა) საქონლის სპეციფიკაცია;
   ბ) საქონლის სპეციფიკაციაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში – საქონლის სპეციფიკაცია შეცვლილი სახით.
2. უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელებისთვის ან გეოგრაფიული აღნიშვნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ბიულეტენში ქვეყნდება:
   ა) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის ქართულად ტრანსლიტერირებული ფორმა;
   ბ) საქონლის კატეგორია;
   გ) ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი (არსებობის შემთხვევაში).
3. კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აღნიშვნის ქართულ გეოგრაფიულ აღნიშვნად აღიარების შესახებ საქპატენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ბიულეტენში ქვეყნდება:
   ა) აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა;
   ბ) საქონლის კატეგორია;
   გ) აღნიშვნის აღიარების ნომერი.

მუხლი 17. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ ინფორმაციის რეესტრში შეტანა და გამოქვეყნება

რეესტრში შეიტანება და ბიულეტენში ქვეყნდება ინფორმაცია ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 18. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცული/დასაცავი ადგილწარმოშობის დასახელებებისა ან/და გეოგრაფიული აღნიშვნების რეესტრში შეტანა და გამოქვეყნება

საქპატენტის მიერ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცული/დასაცავი ადგილწარმოშობის დასახელებები ან/და გეოგრაფიული აღნიშვნები რეესტრში შეიტანება, ბიულეტენში და ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 19. რეესტრში ცვლილების შეტანა

1. თუ რეესტრის მონაცემებში ცვლილება შეიტანება უფლებამოსილი პირის ან მისი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, განცხადება საქპატენტს უნდა წარედგინოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად.

2. თუ განცხადებას არ ერთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ და მის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება 10-დღიანი ვადა.
3. ხარვეზის განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საქპატენტი 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ.
4. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში საქპატენტი შეიტანს შესაბამის ცვლილებას რეესტრში.

მუხლი 20. რეესტრის საჯაროობა

რეესტრი საჯაროა. რეესტრის მონაცემები განთავსებულია საქპატენტის ვებგვერდზე.

მუხლი 21. ამონაწერი რეესტრიდან

1. საქპატენტი, ნებისმიერი დაინტერესებული პირის მომართვის საფუძველზე, გასცემს რეესტრიდან ამონაწერს. განცხადება საქპატენტს უნდა წარედგინოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად.
2. თუ განცხადებას არ ერთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ და მის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება 10-დღიანი ვადა.
3. ხარვეზის განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საქპატენტი 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ.
4. ამონაწერი გაიცემა საფასურის გადახდიდან 10 დღის ვადაში ელექტრონული ფორმით, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, ხოლო განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში – მატერიალური ფორმით.
5. რეესტრიდან ამონაწერი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
   ა) რეგისტრაციის ნომერს;
   ბ) განაცხადის შეტანის თარიღს;
   გ) რეგისტრაციის/აღიარების თარიღს;
   დ) განმცხადებლის სახელს და გვარს/სახელწოდებას და იურიდიულ მისამართს;
   ე) ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნას. უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში – ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის ქართულად ტრანსლიტერირებულ ფორმას;
   ვ) უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში – ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერს (არსებობის შემთხვევაში);
   ზ) საქონლის კატეგორიას, რომლისთვისაც რეგისტრირებულია ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა;
   თ) უცხო ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში – საერთაშორისო საქონლის კატეგორიას (არსებობის შემთხვევაში);

ი) კომპეტენტური უწყების ან მაკონტროლებელი ორგანოს სრულ სახელწოდებას, საიდენტიფიკაციო ნომერსა და იურიდიულ მისამართს (არსებობის შემთხვევაში);
კ) ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის სპეციფიკაციას, ხოლო სპეციფიკაციის ცვლილების შემთხვევაში – სპეციფიკაციას შეცვლილი მონაცემებით.

თავი V
ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმება და ბათილად ცნობა

მუხლი 22. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმება

1. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს საქპატენტის ინიციატივით ან დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.
2. საქპატენტის ინიციატივით ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმება შესაძლებელია, თუ აღარ არის უზრუნველყოფილი საქონლის სპეციფიკაციის მოთხოვნებთან საქონლის შესაბამისობა.
3. დაინტერესებული პირის მოთხოვნას ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე უნდა ერთოდეს შესაბამისი დასაბუთება და სათანადო დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ აღარ არის უზრუნველყოფილი საქონლის სპეციფიკაციის მოთხოვნებთან საქონლის შესაბამისობა.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქპატენტის ინიციატივით ან დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში, კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იქმნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განმხილველი ეროვნული კომისია. კომისიის მიერ საკითხი განიხილება კანონითა და ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განმხილველი ეროვნული კომისიის დებულებით დადგენილი წესით.

მუხლი 23. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

თავი VI
გარდამავალი დებულებები

მუხლი 24. გარდამავალი დებულებები

1. 2024 წლის 1 ნოემბრამდე ადგილწარმოშობის დასახელებისა ან გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ სარეგისტრაციოდ წარდგენილ განაცხადებზე საქმისწარმოება დასრულდეს „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №3493–XIIIმს–Xმპ, 21/09/2023) სრულ ამოქმედებამდე არსებული წესით.

2. იმ ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის კანონთან შესაბამისობა, რომლის რეგისტრაციის შესახებ განაცხადი წარედგინა საქპატენტს და, შესაბამისად, რეგისტრაცია განხორციელდა კანონის ამოქმედების შემდეგ ან რომელიც რეგისტრირებულია საქპატენტის მიერ კანონის ამოქმედებამდე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს 2031 წლის 1 იანვრამდე, რისთვისაც განაცხადი საქპატენტს უნდა წარედგინოს და განხილულ იქნეს კანონის მე–7 მუხლისა და ამ ინსტრუქციის მე–8 მუხლის შესაბამისად.

3. თუ ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის კანონთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი არ იქნება 2031 წლის 1 იანვრამდე, ეს ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა შეტანილი იქნება რეესტრში, როგორც აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა.

4. ამ მუხლის მე–3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, განაცხადი საქპატენტს უნდა წარედგინოს და განხილულ იქნეს ამ ინსტრუქციის მე–10 მუხლით დადგენილი წესით. ამ პუნქტით განსაზღვრული განცხადების წარდგენისას მხედველობაში არ მიიღება ინსტრუქციის მე–10 მუხლის მე–2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

დანართი 2

ადგილწარმოშობის დასახელების და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის /საქონლის სპეციფიკაციაში ცვლილების შესახებ განაცხადის მატერიალური ფორმა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“
ანტიოქიის ქუჩა №5, მცხეთა 3300, საქართველო
www.sakpatenti.gov.ge/, ტელ.: (+995 32) 252533

1

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა /ცვლილება განახორციელოთ საქონლის სპეციფიკაციაში.

განმცხადებელი:

სახელი/გვარი/სამართლებრივი ფორმა/სახელწოდება
_____

_____

პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი
_____
(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მისამართი
_____
(საფოსტო ინდექსის მითითებით)

მოქალაქეობის ქვეყანა/მუდმივი საცხოვრებელი ადგილი/ქვეყანა, სადაც რეგისტრირებულია იურიდიული პირი
_____

2

წარმომადგენელი:

სახელი/გვარი/სახელწოდება
_____

პირადი/რეგისტრაციის/საიდენტიფიკაციო ნომერი
_____
(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მისამართი
_____
(საფოსტო ინდექსის მითითებით)

3

კომპეტენტური უწყება ან მაკონტროლებელი ორგანო:

სახელწოდება _____

საიდენტიფიკაციო ნომერი
_____

4 ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიულ აღნიშვნა, რომლის რეგისტრაცია/სპეციფიკაციის ცვლილება მოითხოვება:

_____

5 საქონლის კატეგორია, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია/სპეციფიკაციის ცვლილება:

_____

6

თანმხლები საბუთები	ეგზემპლარი	ფურცლების რეოდენობა ეგზემპლარში
საქონლის სპეციფიკაცია		
დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, საქონლის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციას ან თვისებებს		
კონტროლის გეგმა		
საქონლის წარმოშობის ქვეყანაში დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი		
მინდობილობა		
კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება		
კანონის მე-5 მუხლის „მ“ პუნქტით გათვალისწინებული ერთიანი დოკუმენტი		
საქპატენტის ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასურის ქვითარი		

ხელმოწერა_____

თარიღი_____

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2024 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №8

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის ოფიციალური სიმბოლოები

ადგილწარმოშობის დასახელების ოფიციალური სიმბოლო

გეოგრაფიული აღნიშვნის ოფიციალური სიმბოლო

სსიპ აქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2024 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №9

ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განმხილველი ეროვნული კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განმხილველი ეროვნული კომისიის დებულება (შემდგომ – დებულება) აწესრიგებს ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განმხილველი ეროვნული კომისიის (შემდგომ – კომისია) საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს კომისიის შექმნისა და შემადგენლობის, კომისიის მიერ ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის, რეგისტრაციაზე უარის თქმის, რეგისტრაციის გაუქმების, ან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მოთხოვნაზე უარის თქმის, საქონლის სპეციფიკაციაში ცვლილების შეტანის შესახებ განაცხადის განხილვის, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წესებსა და კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, მათ შორის, დარგობრივი სპეციალისტის მოწვევისა და მისი ანაზღაურების საკითხს.
2. კომისია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომ – კანონი), ამ დებულებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.
3. ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში გამოყენებულ ტერმინებს.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობის პრინციპები

კომისია საქმიანობისას ხელმძღვანელობს ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, დამოუკიდებლობისა და კოლეგიურობის პრინციპებით.

მუხლი 3. კომისიის ფუნქციები

კომისიის ფუნქციებია:

ა) ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის, რეგისტრაციაზე უარის თქმის, რეგისტრაციის გაუქმების, ან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მოთხოვნაზე უარის თქმის საკითხების განხილვა და განხილვის საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

ბ) საქონლის სპეციფიკაციაში არსებითი ცვლილების შეტანის თაობაზე განაცხადის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 4. კომისიის შექმნა და შემადგენლობა

1. კომისია იქმნება სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ (შემდგომ – საქპატენტი) თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ვადებში. ამავე აქტით განისაზღვრება კომისიის მდივანი.
2. კომისიის შემადგენლობაში შედიან:
   ა) საქპატენტის თავმჯდომარე – კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) დარგობრივი სამინისტროს ერთი წარმომადგენელი;
   გ) საქპატენტის ერთი წარმომადგენელი;
   დ) შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მუნიციპალიტეტის მერიის ერთი წარმომადგენელი;
   ე) ერთი მოწვეული დარგობრივი სპეციალისტი.
3. საქპატენტი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კომისიის წევრის კანდიდატის წარმოდგენის შესახებ წერილობით მოთხოვნას უგზავნის დარგობრივ სამინისტროსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს – მუნიციპალიტეტის მერიას. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომისიის წევრის კანდიდატის წარმოდგენის თაობაზე დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნა საქპატენტის მიერ იგზავნება შესაბამის ორგანიზაციაში ან დარგობრივ სამინისტროში.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული წერილობითი მოთხოვნა იგზავნება:
   ა) საქპატენტის მიერ განაცხადის ექსპერტიზის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე კომისიის ფორმირების შემთხვევაში;
   ბ) საქპატენტის ინიციატივიდან ან დაინტერესებული პირის მოთხოვნის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კომისიის ფორმირების შემთხვევაში.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დარგობრივი სამინისტროები / ორგანიზაციები ვალდებულნი არიან საქპატენტს წარუდგინონ კომისიის წევრის/დარგობრივი სპეციალისტის კანდიდატურა შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. მოწვეული დარგობრივი სპეციალისტის ანაზღაურების საკითხი

მოწვეული დარგობრივი სპეციალისტის ანაზღაურების საკითხი განისაზღვრება მასთან დადებული ხელშეკრულებით. მოწვეული დარგობრივი სპეციალისტის მომსახურების ხარჯები გაწეული იქნება საქპატენტის ბიუჯეტიდან.

მუხლი 6. კომისიის საქმიანობის წესი

1. კომისიის სხდომებს იწვევს და უძღვება კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობა. კომისიის სხდომა შეიძლება ჩატარდეს დისტანციურად, ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კენჭისყრა ღიაა. კომისიის წევრს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

4. კომისიის სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრება წინასწარ. დღის წესრიგი სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 3 დღისა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეგზავნებათ კომისიის წევრებს.

5. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის დამსწრე წევრები და სხდომის მდივანი. კომისიის სხდომის ოქმზე ხელმოწერა შესაძლებელია მატერიალურად ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით, ყველა წევრის მიერ ერთიანი ფორმატის დაცვით. ოქმში შეიტანება ინფორმაცია კომისიის სხდომის დღის წესრიგის, დამსწრეთა ვინაობის, განხილული საკითხებისა და, ასევე, გამოთქმული მოსაზრებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

6. კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, უფლება აქვს წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი, განსხვავებული აზრი კი დაერთვის კომისიის ოქმს. განსხვავებული აზრის მქონე კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კომისიის ოქმს.

7. დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, საქპატენტის მიერ გაიცემა კომისიის სხდომის ოქმი მოთხოვნის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

8. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტი.

9. კომისიის სხდომის მდივნის კანდიდატურას საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სამმართველოს თანამშრომლებისაგან განსაზღვრავს და საქპატენტის თავმჯდომარეს წარუდგენს სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსი.

10. კომისიის სხდომის მდივანი:
   ა) კოორდინაციას უწევს კომისიის მუშაობას;
   ბ) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომის მომზადებასა და ჩატარებას;
   გ) ამზადებს და კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტსა და კომისიის სხდომაზე მოსაწვევ პირთა სიას;
   დ) პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენაზე, სხდომის მასალების შენახვასა და დაცვაზე;
   ე) ახორციელებს კომისიის მუშაობასთან დაკავშირებული კორესპონდენციის კომისიის წევრებთან გაგზავნას;
   ვ) კომისიის სახელით გამოითხოვს კომისიის მუშაობისთვის საჭირო ინფორმაციას;
   ზ) ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. კომისიის წევრის აცილება

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში, კომისიის წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს კომისიას აღნიშნული გარემოების თაობაზე და განაცხადოს თვითაცილება. კომისიის აღნიშნული წევრი ვერ მიიღებს მონაწილეობას საკითხის განხილვაში.

2. თუ კომისიის წევრმა არ განაცხადა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თვითაცილება და კომისიისთვის ცნობილი გახდა აღნიშნულის თაობაზე, კომისია ვალდებულია განიხილოს აცილების საკითხი.

3. დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს კომისიის წევრის აცილების საფუძველი, უფლება აქვს, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, კომისიის წევრს წერილობით განუცხადოს აცილება. განცხადება აცილების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, დაინტერესებულმა მხარემ აცილების განცხადება უნდა წარუდგინოს კომისიას მისი შექმნიდან ან იმ მომენტიდან არაუმეტეს 2 დღის ვადაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ისეთი ფაქტი ან გარემოება, რომელიც იძლევა აცილების საფუძველს.

5. კომისიის წევრის აცილებისა და თვითაცილების საკითხს წყვეტს კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

6. ამ მუხლით განსაზღვრული რომელიმე გარემოების საფუძველზე კომისიის წევრის აცილების შემთხვევაში, ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობებათ შესაბამის დარგობრივ სამინისტროებს/ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კომისიის წევრის ადგილმონაცვლის წარდგენა არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

7. კომისიის მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით აცილების/თვითაცილების საკითხის განხილვისას ამ დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის დენა ჩერდება, კომისიის მიერ კომისიის წევრის აცილებაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე ან კომისიის წევრის ადგილმონაცვლის წარმოდგენამდე.

მუხლი 8. კომისიის მიერ განაცხადების განხილვა

1. ამ დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით კომისიის ფორმირებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, კომისიის მდივანი განსახილველ განაცხადსა და მასთან დაკავშირებულ საქმისწარმოების მასალებს სრულად, ელექტრონული ან მატერიალური ფორმით უგზავნის კომისიის წევრებს. კომისიის პირველი სხდომის თარიღის შესახებ კომისიის წევრებს ეცნობებათ მის გამართვამდე 7 სამუშაო დღით ადრე.

2. კომისია 6 თვის განმავლობაში ამოწმებს საქონლის სპეციფიკაციის კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

3. კომისია უფლებამოსილია განაცხადის განხილვის ფარგლებში განმცხადებელს მოსთხოვოს განაცხადის განხილვისთვის აუცილებელი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა ან/და წარმოდგენილი ინფორმაციის დაზუსტება.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, კომისიის მიერ განმცხადებელს განესაზღვრება გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 10 სამუშაო დღეზე ნაკლები. აღნიშნული ვადა განმცხადებლის მოთხოვნით შეიძლება გაგრძელდეს ერთხელ, არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა. კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის

ან ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, კომისიის მიერ განაცხადი განიხილება თავდაპირველად წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის კომისიისთვის წარდგენამდე ან/და წარდგენილი ინფორმაციის დაზუსტებამდე განაცხადის განხილვის ვადა შეჩერებულად ითვლება.
6. კომისია უფლებამოსილია განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის სხდომაზე. ელექტრონული განაცხადის შემთხვევაში, კომისიის სხდომაზე მოწვევის თაობაზე იგზავნება ელექტრონული შეტყობინება საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით. მატერიალური განაცხადის შემთხვევაში, შეტყობინება კომისიის სხდომაზე მოწვევის თაობაზე იგზავნება მატერიალურად, განაცხადში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე.
7. კომისია უფლებამოსილია კომისიის სხდომაზე მოიწვიოს დაინტერესებული მხარე საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მომართვის საფუძველზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად.
8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში, განმცხადებლის ან/და დაინტერესებული მხარის სხდომაზე მოწვევის თაობაზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და განმცხადებლის ან/და დაინტერესებული მხარის გამოცხადების/გამოუცხადებლობის თაობაზე ინფორმაცია აისახება კომისიის სხდომის ოქმში. განმცხადებლის ან/და დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელ გარემოებას.
9. კომისიამ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მასალებთან დაკავშირებით მოსაზრებისათვის შეიძლება მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ან სხვა კომპეტენტურ უწყებას.
10. ამ დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით კომისია ამოწმებს საქონლის სპეციფიკაციის კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.
11. ამ დებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით კომისია ამოწმებს წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისობას კანონის მე-6 მუხლისა და მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
12. ამ მუხლში მითითებული გადაწყვეტილებები/მოთხოვნები აისახება კომისიის სხდომის ოქმში და განმცხადებელთან/დაინტერესებულ მხარეებთან იგზავნება კომისიის მდივნის მიერ ელექტრონული ფორმით.

მუხლი 9. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. კომისიის მიერ ამ დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული შემოწმების შედეგები ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე, კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
   ა) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ;
   ბ) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ;
დ) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის გაუქმებაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
ე) საქონლის სპეციფიკაციაში არსებითი ცვლილების შეტანის მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
ვ) საქონლის სპეციფიკაციაში არსებითი ცვლილების შეტანის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილება კომისიის მიერ მიიღება, თუ დასტურდება საქონლის სპეციფიკაციის მოთხოვნებთან საქონლის შეუსაბამობა.
4. კომისიის გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. თუ კომისიის წევრმა დააფიქსირა განსხვავებული აზრი, ხელმოწერის დროს გადაწყვეტილებაზე კეთდება შესაბამისი მითითება.

მუხლი 10. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

ამ დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მიღებული კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ეს კანონი აღიარებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის – დიზაინის – საკუთრების უფლების ხელშეუვალობას; აწესრიგებს დიზაინის შექმნასთან, რეგისტრაციასთან, გამოყენებასთან, სამართლებრივ დაცვასთან და აქედან გამომდინარე უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

2. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება დიზაინზე, რომელიც კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ სამრეწველო საკუთრების რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) ან რომელზედაც ვრცელდება საერთაშორისო რეგისტრაცია.

3. დიზაინი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქპატენტში ან რომელზედაც არ ვრცელდება საერთაშორისო რეგისტრაცია, დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ (შემდგომში – საქპატენტი) – საქართველოს საპატენტო კანონით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ბ) საერთაშორისო ბიურო – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო;

გ) პარიზის კონვენცია – 1883 წლის 20 მარტს ხელმოწერილი სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (გადასინჯულია სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს);

გ[1]) „საერთაშორისო გამოფენების შესახებ“ კონვენცია – „საერთაშორისო გამოფენების შესახებ“ 1928 წლის 22 ნოემბრის პარიზის კონვენცია;

დ) დიზაინერი – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა დიზაინი;

ე) თანადიზაინერი – ფიზიკური პირი, რომელმაც სხვა ფიზიკურ პირთან (პირებთან) ერთობლივი ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნა დიზაინი;

ვ) დიზაინის მფლობელი – პირი, რომელსაც აქვს დიზაინზე განსაკუთრებული უფლება და რომელიც საქპატენტმა დაარეგისტრირა რეესტრში დიზაინის მფლობელად;

ზ) მოწმობა – ამ კანონის შესაბამისად დიზაინის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი გაცემის მომენტისათვის დიზაინის საქპატენტში რეგისტრაციის ფაქტს;

თ) განმცხადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ითხოვს დიზაინის რეგისტრაციას;

ი) განაცხადი – ამ კანონის შესაბამისად დიზაინის რეგისტრაციისათვის აუცილებელი საბუთების ერთობლიობა;

კ) ჰააგის შეთანხმება – დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმების 1960 წლის 28 ნოემბრის ჰააგის ან/და 1999 წლის 2 ივლისის ჟენევის აქტები;

ლ) საერთაშორისო დიზაინი – ჰააგის შეთანხმების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე უფლებების გავრცელების მოთხოვნით საერთაშორისო ბიუროს მიერ რეგისტრირებული დიზაინი;

მ) დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია – 1968 წლის 8 ოქტომბერს ხელმოწერილი დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის ლოკარნოს შეთანხმებით შემოღებული საერთაშორისო კლასიფიკაცია;

ნ) პრიორიტეტი – უპირატესობა, რომელიც აქვს განაცხადს მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით;

ო) საკონვენციო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად დადგენილი პრიორიტეტი,

რომლითაც განმცხადებელს შეუძლია ისარგებლოს პარიზის კონვენციის ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სხვა ქვეყანაში;

პ) საგამოფენო პრიორიტეტი – პარიზის კონვენციის მე-11 მუხლის შესაბამისად დადგენილი პრიორიტეტი, რომლითაც განმცხადებელს შეუძლია ისარგებლოს პარიზის კონვენციის ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სხვა ქვეყანაში;

ჟ) სააპელაციო პალატა – საქართველოს საპატენტო კანონით განსაზღვრული, საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატა.

მუხლი 3. დიზაინი და მისი დაცვის კრიტერიუმები

1. დიზაინი არის მთლიანი პროდუქტის ან მისი ნაწილის გამოხატულება, რომელიც გამომდინარეობს თვით პროდუქტის ნიშნებისაგან, მათ შორის, ხაზებისაგან, კონტურებისაგან, ფერებისაგან, ფორმისაგან, ტექსტურისაგან ან/და მასალისაგან, ან პროდუქტის მორთვისაგან.

2. პროდუქტი არის ნებისმიერი სამრეწველო ან ხელნაკეთი საგანი, მათ შორის, საფუთავი, გაფორმება, გრაფიკული სიმბოლო, ტიპოგრაფიული შრიფტი, შედგენილ პროდუქტში ჩასართავად განკუთვნილი შემადგენელი ნაწილი, კომპიუტერული პროგრამის გარდა.

3. შედგენილი პროდუქტი არის პროდუქტი, რომელიც შედგება მრავალი ნაწილისაგან, რომელთა შეცვლა შესაძლებელია პროდუქტის დაშლითა და ხელმეორედ აწყობით.

4. დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალურია.

5. დიზაინს აქვს სიახლე, თუ განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე არც ერთი მისი იდენტური დიზაინი არ გამხდარა საჯაროდ ხელმისაწვდომი.

6. ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული გარემოებების გარდა, დიზაინის სიახლის დადგენისას საჯაროდ ხელმისაწვდომად მიიჩნევა აგრეთვე საქპატენტში წარდგენილი დიზაინი, რომელსაც აქვს ადრინდელი პრიორიტეტი, მაგრამ გამოქვეყნდა იმ დიზაინზე განაცხადის წარდგენის შემდეგ, რომლის სიახლეც დგინდება. ეს წესი ვრცელდება აგრეთვე საერთაშორისო ბიუროში რეგისტრირებულ იმ დიზაინზე, რომლისთვისაც მოთხოვნილია საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელება.

7. დიზაინები იდენტურად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, თუ მათი ნიშნები მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებით განსხვავდება.

8. დიზაინი ინდივიდუალურია, თუ საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ის ახდენს ინფორმირებულ მომხმარებელზე, განსხვავდება საერთო შთაბეჭდილებისაგან, რომელსაც იმავე მომხმარებელზე ახდენს სხვა დიზაინი, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე.

9. დიზაინის ინდივიდუალობის შეფასებისას გაითვალისწინება მისი შექმნისას დიზაინერის თავისუფლების ხარისხი.

10. პროდუქტში ჩართული ან მისთვის გამოყენებული დიზაინი, რომელიც შედგენილი პროდუქტის ნაწილია, მიიჩნევა ახლად და ინდივიდუალურად, თუ იგი შედგენილ პროდუქტში ხილულია მისი ჩვეულებრივი გამოყენების დროს და ხილული ნიშნები აკმაყოფილებს სიახლისა და ინდივიდუალობის კრიტერიუმებს.

11. ამ მუხლის მიზნებისათვის „ჩვეულებრივი გამოყენება“ ნიშნავს საბოლოო მომხმარებლის მიერ გამოყენებას, გარდა ტექნიკური მომსახურებისა, მიმდინარე და აღდგენითი სარემონტო სამუშაოებისა.

საქართველოს 2010 წლის 2 ივლისის კანონი №3279 – სსმ I, №37. 14.07.2010 წ., მუხ.220

მუხლი 4. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლები

1. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს მისი გამოსახულება.

2. სამართლებრივი დაცვა არ ვრცელდება დიზაინში ჩართულ სიტყვაზე ან სიტყვათა წყობაზე.

3. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლები მოიცავს ნებისმიერ დიზაინს, რომელიც ინფორმირებულ მომხმარებელზე არ ახდენს განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას.

4. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლების განსაზღვრისას გაითვალისწინება მისი შექმნისას დიზაინერის თავისუფლების ხარისხი.

მუხლი 5. დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების წარმოშობა და მოქმედების ვადა

1. დიზაინზე განსაკუთრებული უფლებები წარმოიშობა საქპატენტში რეგისტრაციის შემთხვევაში განაცხადის შეტანის თარიღიდან, ასევე ამ კანონის შესაბამისად, ჰააგის შეთანხმების საფუძველზე საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელების გზით.

2. საქპატენტში რეგისტრირებულ დიზაინზე გაიცემა მოწმობა.

3. განმცხადებელი უფლებამოსილია საქპატენტში რეგისტრაციაში გაატაროს დიზაინი ერთი ან რამდენიმე 5– წლიანი პერიოდით, მაგრამ არა უმეტეს 25 წლისა საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღიდან.

მუხლი 6. დიზაინის გასაჯაროება

1. დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომად მიიჩნევა, თუ იგი გამოქვეყნებული, გამოფენილი ან სავაჭრო მიმოქცევაში ჩართული იყო ან სხვაგვარად გახდა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული გარემოების მიუხედავად, დიზაინი გასაჯაროებულად არ მიიჩნევა, თუ:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებით დიზაინი არ იქნებოდა ხელმისაწვდომი იმ პირებისთვის, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამის სფეროში ახორციელებენ საქმიანობას;

ბ) დიზაინის შესახებ ინფორმაცია პირდაპირ ან ირიბად გახდა ხელმისაწვდომი მესამე პირისთვის კონფიდენციალურობის დაცვის პირობით.

3. დიზაინის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება დიზაინის გასაჯაროებად არ მიიჩნევა, თუ ეს ინფორმაცია მესამე პირისთვის ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე 12 თვის ვადაში:

ა) დიზაინერის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ დიზაინის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებით;

ბ) მესამე პირის მიერ დიზაინის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებით, თუ მესამე პირისთვის ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა დიზაინერის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ ამ ინფორმაციის მისთვის მიწოდების ანდა დიზაინერის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ მესამე პირის მიმართ განხორციელებული სხვა ისეთი ქმედების შედეგად, რომლითაც მან მიიღო აღნიშნული ინფორმაცია;

გ) მესამე პირის მიერ დიზაინერის ან მისი უფლებამონაცვლის მიმართ განხორციელებული არაკეთილსინდისიერი ქმედების შედეგად.

საქართველოს 2010 წლის 2 ივლისის კანონი №3279 – სსმ I, №37. 14.07.2010 წ., მუხ.220

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

მუხლი 7. დიზაინი, რომელიც განპირობებულია მხოლოდ მისი ტექნიკური ფუნქციით, და ურთიერთშეკავშირებადი დიზაინი

1. დაცვა არ ვრცელდება დიზაინის იმ ნიშნებზე, რომლებიც:

ა) განპირობებულია მხოლოდ მათი ტექნიკური ფუნქციით;

ბ) დიზაინში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ზუსტად ისეთი ფორმითა და ზომით, რომ პროდუქტს, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, ჰქონდეს მეორე პროდუქტთან მექანიკურად შეკავშირების ან მის შიგნით, ირგვლივ ან საპირისპირო მხარეს განთავსების შესაძლებლობა ისე, რომ თითოეულ პროდუქტს შეეძლოს თავისი ფუნქციის შესრულება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება დიზაინზე, რომელიც შესაძლებელს ხდის მრავალჯერადად აწყობას ან ურთიერთშეცვლადი პროდუქტების მოდულურ სისტემაში შეკავშირებას.

მუხლი 8. თანადიზაინერთა ურთიერთობა

თანადიზაინერთა ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში თანადიზაინერები სარგებლობენ საერთო თანაბარი უფლებებით.

მუხლი 9. დიზაინის რეგისტრაციის უფლება

1. განაცხადის შეტანის უფლება აქვს დიზაინერს ან მის უფლებამონაცვლეს, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. რამდენიმე პირის მიერ შექმნილ დიზაინზე განაცხადის შეტანის უფლება აქვს როგორც ყველა დიზაინერს ერთობლივად, ისე თითოეულ მათგანს სხვა თანადიზაინერების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, თუ თანადიზაინერთა შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. დასაქმებულის ან/და შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ დიზაინზე, რომელიც უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას, განაცხადის შეტანის უფლება აქვს დამსაქმებელს/შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. (ამოღებულია – 11.11.2025, №1029).

5. (ამოღებულია – 11.11.2025, №1029).

6. თუ ერთი და იგივე დიზაინი დამოუკიდებლად შექმნა ორმა ან ორზე მეტმა პირმა, დიზაინზე განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის იმ განმცხადებელს, რომლის განაცხადსაც უფრო ადრინდელი პრიორიტეტი აქვს.

7. თუ რამდენიმე განაცხადს, რომელიც შეეხება იდენტურ დიზაინებს, დაუდგინდა ერთი და იგივე პრიორიტეტი, დიზაინის რეგისტრაციის უფლება აქვს განმცხადებელთა შეთანხმებაში მითითებულ პირს (პირებს). მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

მუხლი 10. დიზაინის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები

დიზაინი არ რეგისტრირდება, თუ:

ა) იგი არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს;

ბ) იგი იდენტურია ადრინდელი დიზაინისა, რომელიც წარდგენილია საქპატენტში ან რეგისტრირებულია საერთაშორისო ბიუროში საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით და გამოქვეყნდა შესაბამისი განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე;

გ) იგი იდენტურია ადრინდელი დიზაინისა, რომელიც გამოქვეყნდა შესაბამისი განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღის შემდეგ, მაგრამ წარდგენილია საქპატენტში ან რეგისტრირებულია საერთაშორისო ბიუროში საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით ზემოაღნიშნულ თარიღამდე;

დ) მისი რეგისტრაცია ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან აღიარებულ მორალურ პრინციპებს;

ე) იგი მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა ისეთ სიმბოლოს, რომელიც პარიზის კონვენციის 6ter მუხლის საფუძველზე არ ექვემდებარება რეგისტრაციას, ამასთანავე, არ არსებობს საქართველოს ან/და საზღვარგარეთის შესაბამისი კომპეტენტური უწყების სათანადო ნებართვა;

ვ) იგი მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა საერთაშორისო ორგანიზაციის გერბს, დროშას, ემბლემას ან ნიშანს ანდა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს გერბს, დროშას ან ემბლემას, რომელიც არ არის დაცული პარიზის კონვენციის 6ter მუხლით, მაგრამ მის მიმართ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს საჯარო ინტერესი, ამასთანავე, არ არსებობს ამ ნიშნის მფლობელის ან/და საქართველოს ან/და საზღვარგარეთის შესაბამისი კომპეტენტური უწყების თანხმობა მის გამოყენებაზე;

ზ) დიზაინად ან მის შემადგენელ ელემენტად გამოსახულია საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა, რომელსაც ადგილობრივი რეგისტრაციის, ორმხრივი ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს 2010 წლის 2 ივლისის კანონი №3279 – სსმ I, №37. 14.07.2010 წ., მუხ.220
საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

თავი II
განაცხადის წარდგენა, ექსპერტიზა და რეგისტრაცია

მუხლი 11. განაცხადი

1. განაცხადს საქპატენტს წარუდგენს განმცხადებელი ან მისი წარმომადგენელი.

2. თუ განმცხადებელი დიზაინერის უფლებამონაცვლეა, განაცხადს წარდგენისთანავე ან წარდგენის დღიდან

2 თვის ვადაში უნდა დაერთოს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი.

3. თუ განაცხადი წარადგინა განმცხადებლის წარმომადგენელმა, განაცხადს წარდგენისთანავე ან წარდგენის დღიდან 2 თვის ვადაში უნდა დაერთოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.

4. განაცხადი უნდა შეიცავდეს:
   ა) განცხადებას დიზაინის რეგისტრაციის შესახებ (შემდგომში – განცხადება);
   ბ) დიზაინის გამოსახულებას.

5. განაცხადი შეიძლება შეიცავდეს აღწერილობას, რომელიც მხოლოდ განმარტებითი ხასიათისაა.

6. განაცხადის წარდგენა ხდება საქპატენტში საგანაცხადო მასალის უშუალოდ შეტანით ან სხვა გზით.

7. განაცხადი შეტანილად მიიჩნევა იმ მომენტიდან, როდესაც წარდგენილია განცხადება და დიზაინის გამოსახულება.

8. განაცხადის ფორმა და წარდგენის წესი განისაზღვრება დიზაინის რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციით (შემდგომში – ინსტრუქცია).

მუხლი 12. მრავლობითი განაცხადი, განაცხადების გაერთიანება და დაყოფა

1. განაცხადი შეიძლება შეიცავდეს ერთ ან რამდენიმე დიზაინს, თუ მასში შემავალი დიზაინები მიეკუთვნება დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთ კლასს (მრავლობითი განაცხადი).

2. განმცხადებელს უფლება აქვს:
   ა) გააერთიანოს განაცხადები და წარადგინოს გაერთიანებული განაცხადი, თუ მასში შემავალი დიზაინები მიეკუთვნება დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთ კლასს (გაერთიანებული განაცხადი);
   ბ) დაყოს წარდგენილი განაცხადი ცალკეულ განაცხადებად (გამოცალკევებული განაცხადები).

3. თითოეული დიზაინი, რომელსაც შეიცავს მრავლობითი ან გაერთიანებული განაცხადი, სხვებისაგან დამოუკიდებლად განიხილება და დამოუკიდებელი დაცვის საგანია.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

მუხლი 13. პრიორიტეტი

1. განმცხადებელი, რომელსაც სურს ისარგებლოს საკონვენციო პრიორიტეტით, ვალდებულია განაცხადი საქპატენტში წარადგინოს პარიზის კონვენციის ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყანაში ამ დიზაინზე პირველი განაცხადის შეტანის თარიღიდან 6 თვის ვადაში.

2. განმცხადებელი, რომელსაც სურს ისარგებლოს საგამოფენო პრიორიტეტით, ვალდებულია განაცხადი საქპატენტში წარადგინოს პარიზის კონვენციის ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყანაში მოწყობილ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოფენაზე დიზაინის ექსპონირების თარიღიდან 6 თვის ვადაში.

3. საკონვენციო და საგამოფენო პრიორიტეტები ერთმანეთის ვადას არ აგრძელებს.

4. ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში განმცხადებელს უფლება აქვს, ცალკეული დიზაინისათვის მოითხოვოს ის პრიორიტეტი, რომელიც მას აქვს.

5. განაცხადს პრიორიტეტი არ დაუდგინდება იმ განაცხადის შეტანის თარიღით, რომლისთვისაც უკვე იყო მოთხოვნილი ადრინდელი პრიორიტეტი.

6. განაცხადის ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობისას პრიორიტეტის უფლების აღდგენა დასაშვებია, თუ:

ა) განმცხადებელმა განაცხადი საქპატენტში შეიტანა და პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნა წარადგინა პრიორიტეტის მოთხოვნის 6-თვიანი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

ბ) პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნაში მითითებულია განაცხადის წარდგენის ვადის დარღვევის მიზეზი და ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება;

გ) დადგინდება, რომ განაცხადის წარდგენის ვადა სათანადო ზომების მიღების მიუხედავად ან უნებლიედ დაირღვა.

7. საქპატენტი პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს განმცხადებლის მიერ პრიორიტეტის უფლების აღდგენისთვის დადგენილი საფასურის გადახდიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. პრიორიტეტის უფლების აღდგენისთვის დადგენილი საფასური გადაიხდება პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა. ამ საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნა განუხილველი დარჩება.

9. განმცხადებელს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნაზე უარი არ შეიძლება ეთქვას მისთვის საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობის მიცემის გარეშე.

10. პრიორიტეტის უფლების აღდგენასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.
საქართველოს 2026 წლის 24 ივნისის კანონი №1765 – ვებგვერდი, 30.06.2026წ.

მუხლი 14. განაცხადის ექსპერტიზა

1. საქპატენტი ატარებს განაცხადის ექსპერტიზას, რომლის საფუძველზედაც იღებს გადაწყვეტილებას დიზაინის რეგისტრაციის შესახებ.

2. ექსპერტიზა მოიცავს განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებას, ფორმალური მოთხოვნებისა და არსობრივი ექსპერტიზების ჩატარებას, რომელთა ჩატარების წესი დგინდება ინსტრუქციით.

მუხლი 15. განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურება

1. საქპატენტი განაცხადის შეტანის თარიღს ადასტურებს მისი წარდგენიდან 2 კვირის ვადაში.

2. თუ გამოვლინდა, რომ წარდგენილ განაცხადს აკლია ამ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საგანაცხადო მასალა, განმცხადებელი ვალდებულია აღნიშნული მასალა წარმოადგინოს შეტყობინების მიღების დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. თუ განმცხადებელი შეასრულებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, განაცხადის შეტანის თარიღად მიიჩნევა აღნიშნული მოთხოვნის შესრულების თარიღი. წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი შეტანილად არ მიიჩნევა.

მუხლი 16. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა

1. განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურების შემდეგ საქპატენტი ატარებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რომლის დროსაც მოწმდება განაცხადის სისრულე და გაფორმების სისწორე და ამ კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

2. საქპატენტი ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას ატარებს განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურების დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფუძველზე საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების შესახებ ან განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე და აცნობებს განმცხადებელს.

მუხლი 17. არსობრივი ექსპერტიზა

1. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულებიდან 3 თვის ვადაში საქპატენტი ატარებს არსობრივ ექსპერტიზას, რომელიც ითვალისწინებს დიზაინის ამ კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას და სიახლის დადგენის შესახებ ექსპერტიზას.

2. საქპატენტი ამ კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად სიახლის დადგენისას ითვალისწინებს საქპატენტში შეტანილ და საერთაშორისო ბიუროს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უფლებების გავრცელების მოთხოვნით რეგისტრირებულ დიზაინებს.

3. სიახლის დადგენისას არ გაითვალისწინება ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული კვლევის შედეგად გამოვლენილი დიზაინი, რომელიც შეესაბამება ამ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირობას.

4. არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას დიზაინის რეგისტრაციის ან დიზაინის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

5. ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქპატენტს შეუძლია მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება განაცხადში შემავალი დიზაინების ნაწილის მიმართ.

მუხლი 18. პროცედურული ვადების გაგრძელება და აღდგენა

1. განაცხადზე საქმის წარმოებისას განმცხადებელს უფლება აქვს, დადგენილი წესით მოითხოვოს:

ა) წარდგენილ საგანაცხადო მასალაში ცვლილების ან/და შესწორების შეტანა, თუ ამ ქმედებით არ იცვლება დიზაინის დაცვის ფარგლები;

ბ) დიზაინის გამოქვეყნების გადადება არა უმეტეს 30 თვით განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღიდან. მრავლობითი განაცხადის შემთხვევაში გამოქვეყნების გადადების მოთხოვნა შეიძლება შეეხებოდეს მასში შემავალ როგორც ყველა, ისე ცალკეულ დიზაინს;

გ) განაცხადის განხილვის შეჩერება;
დ) საქპატენტის მოთხოვნაზე პასუხის გაცემისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება;
ე) ვადის დარღვევის გამო განაცხადთან დაკავშირებული დაკარგული უფლებების აღდგენა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ქმედებების განხორციელების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

საქართველოს 2010 წლის 2 ივლისის კანონი №3279 – სსმ I, №37. 14.07.2010 წ., მუხ.220

მუხლი 19. დიზაინის გამოქვეყნება

1. საქპატენტი დიზაინის რეგისტრაციის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განაცხადის მონაცემებსა და დიზაინის გამოსახულებას ინსტრუქციით დადგენილი წესით აქვეყნებს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (შემდგომში – ბიულეტენი).

2. დიზაინის რეგისტრაციის შესახებ ექსპერტიზის მიერ გამოტანილი უარყოფითი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს დადებითი გადაწყვეტილებით შეცვლის შემთხვევაში საქპატენტი განაცხადის მონაცემებსა და დიზაინის გამოსახულებას ინსტრუქციით დადგენილი წესით აქვეყნებს ბიულეტენში.

3. დიზაინერის მოთხოვნის შემთხვევაში საქპატენტი ვალდებულია არ გამოაქვეყნოს მისი სახელი.

მუხლი 20. სააპელაციო პალატაში გასაჩივრების საფუძვლები

1. განმცხადებელს უფლება აქვს, საქპატენტის გადაწყვეტილება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების ან განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ასევე არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება დიზაინის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში.

2. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება დიზაინის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში, თუ დაირღვა ამ კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნები.

3. ამ კანონის 29-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ პირს უფლება აქვს, დიზაინის რეგისტრაციის შესახებ არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება სააპელაციო პალატაში გაასაჩივროს, თუ არსებობს იმავე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძველი.

4. მრავლობითი ან გაერთიანებული განაცხადის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი შეიძლება შეეხებოდეს მასში შემავალ ერთ ან რამდენიმე დიზაინს.

4^1. ამ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ე“ ან „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას დიზაინის რეგისტრაციის შესახებ არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს დიზაინის შეცვლილი ფორმით რეგისტრაცია, თუ შეცვლილი დიზაინი აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს და შენარჩუნებულია თავდაპირველი დიზაინის არსი.

4^2. დიზაინის შეცვლილი ფორმით რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს:

ა) განმცხადებლის განცხადების საფუძველზე, რომლითაც იგი დაცვის დიზაინის ნაწილზე გავრცელებაზე უარს აცხადებს;
ბ) რეესტრის მონაცემებში ან განაცხადში სასამართლოს, სააპელაციო პალატის ან დიზაინის ხელახალი ექსპერტიზის იმ გადაწყვეტილების შეტანით, რომლითაც დიზაინის რეგისტრაცია ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი.

5. სააპელაციო პალატაში სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან/ჩაბარებიდან 3 თვის ვადაში.

6. სააპელაციო პალატა სააპელაციო საჩივარს იხილავს დადგენილი წესით სააპელაციო საჩივრის შეტანის დღიდან 3 თვის ვადაში.

7. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შესაძლებელია კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

მუხლი 21. დიზაინის რეგისტრაცია

1. თუ ამ კანონის მე–20 მუხლის მე–5 პუნქტით დადგენილ ვადაში სააპელაციო პალატაში არ იქნა შეტანილი სააპელაციო საჩივარი, ან შეტანილი სააპელაციო საჩივრის საფუძველზე სააპელაციო პალატამ გამოიტანა გადაწყვეტილება დიზაინის რეგისტრაციის შესახებ, საქპატენტი ინსტრუქციით დადგენილი წესით არეგისტრირებს დიზაინს რეესტრში.

2. საქპატენტი რეგისტრირებული დიზაინის შესახებ მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში და გასცემს მოწმობას.

3. მოწმობის ფორმას და რეესტრში შესატან მონაცემებს ადგენს საქპატენტი.

4. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, გაეცნოს რეესტრის მონაცემებს.

მუხლი 21[1]. წინასწარი ძიება

1. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, მიმართოს საქპატენტს წინასწარი ძიების მომსახურების მისაღებად, რათა დადგინდეს, არის თუ არა კონკრეტული დიზაინის იდენტური დიზაინი დაცული საქართველოში საქპატენტში რეგისტრაციის ან დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების გავრცელების გზით.

2. საქპატენტი ახორციელებს წინასწარ ძიებას და მის შედეგს აცნობებს დაინტერესებულ პირს მის მიერ წინასწარი ძიების მომსახურებისთვის დადგენილი საფასურის გადახდიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. წინასწარი ძიების განხორციელების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

მუხლი 22. დიზაინის დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურა

1. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დიზაინის დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურისას გამოიყენება ამ კანონის II თავით დადგენილი წესი.

2. განმცხადებელს განაცხადის შეტანისას ან განაცხადის შეტანიდან ერთი თვის ვადაში შეუძლია მოითხოვოს დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარება.

2[1]. განმცხადებელს უფლება აქვს, მოითხოვოს დიზაინის დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურიდან ამ თავით გათვალისწინებულ პროცედურაზე გადასვლა ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე, დიზაინის რეგისტრაციამდე.

3. განაცხადს დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარების

3. განაცხადს დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით უნდა დაერთოს ამ კანონის მე–11 მუხლით გათვალისწინებული ყველა საბუთი და გადახდილი უნდა იქნეს დიზაინის დაჩქარებული რეგისტრაციისათვის დადგენილი საფასური.

4. თუ განმცხადებელს სურს ისარგებლოს ამ კანონის მე–13 მუხლის პირველი და მე–2 პუნქტებით განსაზღვრული პრიორიტეტებით, განაცხადს დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით უნდა დაერთოს პრიორიტეტის მოთხოვნის უფლების დამადასტურებელი საბუთი და გადახდილი უნდა იქნეს პრიორიტეტის მოთხოვნისათვის დადგენილი საფასური.

5. დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში საქპატენტი ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი ამ მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების მოთხოვნებს. თუ საგანაცხადო მასალას აკლია ამ მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საბუთი, განმცხადებელი ვალდებულია 15 დღის ვადაში წარადგინოს ეს საბუთი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ და განაცხადს განიხილავს ამ კანონის II თავით დადგენილი წესით.

6. თუ განაცხადი დაჩქარებული ექსპერტიზის მოთხოვნით აკმაყოფილებს ამ მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების მოთხოვნებს, საქპატენტი 7 სამუშაო დღის ვადაში ატარებს ამ კანონის მე–17 მუხლით გათვა– ლისწინებულ არსობრივ ექსპერტიზას და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში არეგისტრირებს დიზაინს რეესტრში, აქვეყნებს რეგისტრირებული დიზაინის შესახებ მონაცემებს ბიულეტენში და გასცემს მოწმობას.

7. დიზაინის რეგისტრაციის შესახებ მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, სააპელაციო პალატაში შეიტანოს სააპელაციო საჩივარი ამ კანონის მე–20 მუხლით დადგენილი წესით.

8. დიზაინის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შემდეგ, თუ საქპატენტში შეტანილი იქნება უფრო ადრინდელი პრიორიტეტით სარგებლობის უფლების მქონე განაცხადი და დაჩქარებული წესით რეგისტრირებული დიზაინის მიმართ იარსებებს ამ კანონის მე–10 მუხლის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაცხადის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას დიზაინის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და აქვეყნებს ბიულეტენში.

9. ამ მუხლის მე–8 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება დიზაინის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის გაუქმების შესახებ საჩივრდება ამ კანონის მე–20 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

მუხლი 22[1]. დიზაინის ხელახალი ექსპერტიზა

1. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების ვადის განმავლობაში მოითხოვოს დიზაინის ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება ერთ–ერთი შემდეგი საფუძვლით:

ა) დიზაინი წარმოდგენილია მხოლოდ იმ ნიშნებით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე–7 მუხლის პირველი პუნქტით;

ბ) დიზაინის რეგისტრაციისას არსებობდა ამ კანონის მე–10 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი;

გ) დიზაინი არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე–3 მუხლის მე–4–მე–10 პუნქტების მოთხოვნებს;

დ) დიზაინის რეგისტრაციით ირღვევა მესამე პირის საავტორო უფლებები;

ე) დიზაინში გამოყენებულია განმასხვავებელუნარიანი სიმბოლო და მასზე უფლების მფლობელი, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილია აკრძალოს განმასხვავებელუნარიანი სიმბოლოს ამგვარი გამოყენება.

2. დიზაინის ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ განცხადებას უნდა ერთოდეს:
ა) იმის წერილობითი დასაბუთება, რომ დიზაინის რეგისტრაცია ექვემდებარება ბათილად ცნობას;
ბ) ყველა იმ ადრე გაცემული რეგისტრაციის, გამოცემის ან სხვა შესაბამისი დოკუმენტის ასლი, რომელსაც დაინტერესებული მხარე დასაბუთებისას ეყრდნობა. ამასთანავე, თუ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები უცხოურ ენაზეა წარდგენილი, დაინტერესებული მხარე ვალდებულია 1 თვის ვადაში წარადგინოს მათი სანოტარო წესით დამოწმებული ქართული თარგმანი. საწინააღმდეგო შემთხვევაში უცხოურ ენაზე წარდგენილი დოკუმენტები არ განიხილება.

3. დიზაინის მფლობელს უფლება აქვს, დიზაინის ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ განცხადების ჩაბარებიდან 2 კვირის ვადაში წარადგინოს წერილობითი შეპასუხება, რომელიც გათვალისწინებული იქნება დიზაინის ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების დროს.

4. საქპატენტი დიზაინის ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობაზე უარის თქმის შესახებ ან დიზაინის რეგისტრაციის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ.

5. დიზაინის რეგისტრაციის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ მონაცემები ქვეყნდება ბიულეტენში და შეიტანება რეესტრში.

6. დიზაინის ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს აგრეთვე დიზაინის რეგისტრაციის გაუქმების ან მისი რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“ ან „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შემთხვევაში შესაძლებელია დიზაინის შეცვლილი ფორმით რეგისტრაციის შენარჩუნება ამ კანონის მე–20 მუხლის 42 პუნქტით დადგენილი წესით, თუ შეცვლილი დიზაინი აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს და შენარჩუნებულია თავდაპირველი დიზაინის არსი.

8. დიზაინის ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

მუხლი 23. მომსახურების საფასური

1. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის ჩატარებისთვის, არსობრივი ექსპერტიზის ჩატარებისთვის, დიზაინის გამოქვეყნებისა და რეგისტრაციისთვის, დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარებისთვის, პრიორიტეტის უფლების აღდგენისთვის, მფლობელის უფლების აღდგენისთვის, დიზაინის ხელახალი ექსპერტიზის ჩატარებისთვის, დიზაინის რეგისტრაციის ძალის ყოველი 5 წლით შენარჩუნებისთვის, წინასწარი ძიების მომსახურებისთვის, სააპელაციო საჩივრის წარდგენისთვის, რეესტრის მონაცემებში ცვლილების შეტანისა და დიზაინის სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული სხვა მოქმედების განხორციელებისთვის გადაიხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დადგენილი საფასური.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობა იწვევს განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტას.

3. საფასურის სახე და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. საფასურის გადახდის ფორმა და წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

საქართველოს 2026 წლის 24 ივნისის კანონი №1765 – ვებგვერდი, 30.06.2026წ.

თავი III
საერთაშორისო დიზაინი

მუხლი 24. საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების გავრცელება
საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო დიზაინს, რომლის რეგისტრაციის მოქმედება გავრცელებულია საქართველოს ტერიტორიაზე, აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც საქართველოში რეგისტრირებულ დიზაინს.

მუხლი 24[1]. განაცხადის საერთაშორისო ბიუროში წარდგენა საქპატენტის მეშვეობით

1. განმცხადებელს უფლება აქვს, დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის მიზნით წარადგინოს განაცხადი საერთაშორისო ბიუროში საქპატენტის მეშვეობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის წარდგენის პირობები განისაზღვრება ინსტრუქციით.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

მუხლი 25. საერთაშორისო დიზაინის ექსპერტიზა

1. საერთაშორისო დიზაინისთვის გამოიყენება ამ კანონის მე-10, მე-12, მე-17, მე-19 და მე-20 მუხლები, 28-ე მუხლი (გარდა 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა) და 281-301 მუხლები.

2. თუ დიზაინი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციისათვის ამ კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქპატენტი ჰააგის შეთანხმებით დადგენილ ვადაში იღებს გადაწყვეტილებას საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებაზე უარის თქმის შესახებ და ატყობინებს საერთაშორისო ბიუროს.

3. საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების ვადაზე და ვადის გაგრძელებაზე ვრცელდება ჰააგის შეთანხმების ნორმები.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.
საქართველოს 2026 წლის 24 ივნისის კანონი №1765 – ვებგვერდი, 30.06.2026წ.

თავი IV
დიზაინზე განსაკუთრებული უფლებები

მუხლი 26. დიზაინზე განსაკუთრებულ უფლებათა ფარგლები

1. დიზაინის მფლობელი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს დიზაინს. მას უფლება აქვს, გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს დიზაინი, დადგენილი წესით გასცეს კერძო ლიცენზია დიზაინის გამოყენებაზე.

2. დიზაინის რეგისტრაცია მის მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს იმ პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი, ექსპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა და ასეთი პროდუქტის შენახვა ამ მიზნებისათვის.

2[1]. ამ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დიზაინის

გამოქვეყნების გადადების შემთხვევაში დიზაინის მფლობელს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ქმედებები აკრძალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიზაინის სადავო გამოყენება რეგისტრირებული დიზაინის რეპროდუცირების შედეგია. სადავო ქმედება რეგისტრირებული დიზაინის რეპროდუცირებად არ მიიჩნევა, თუ იგი არის მესამე პირის დამოუკიდებელი შემოქმედების შედეგი, რომლისთვისაც ეს დიზაინი ხელმისაწვდომი არ იყო.

3. თუ დიზაინის მფლობელი რამდენიმე პირია:

ა) უფლების გადაცემა ან კერძო ლიცენზიის გაცემა ნებადართულია მხოლოდ ყველა მფლობელის თანხმობით;

ბ) თითოეულ მფლობელს უფლება აქვს, რეგისტრირებული დიზაინი სხვა მფლობელთა თანხმობის გარეშე გამოიყენოს საკუთარ წარმოებაში.

4. განაცხადის გამოქვეყნების დღიდან მის რეგისტრაციამდე განმცხადებელს პირობითად ენიჭება იგივე უფლებები, რომლებიც მას მიენიჭება რეგისტრაციის შემდეგ. თუ რეგისტრაცია არ განხორციელდება, აღნიშნული უფლებები წარმოშობილად არ მიიჩნევა.

5. დიზაინის რეგისტრაციიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევად არ მიიჩნევა:

ა) დიზაინის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დამზადებული პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდეგ გავრცელება ან სხვაგვარად გამოყენება;

ბ) დიზაინის პირადი სარგებლობისათვის გამოყენება, თუ ეს ქმედება არ ისახავს სამეწარმეო მიზნებს;

გ) დიზაინის ექსპერიმენტული მიზნებისათვის გამოყენება;

დ) დიზაინის ასლის გადაღება, რომელიც სრულდება ციტირების ან სწავლების მიზნით, თუ ამგვარი გადაღება არ ითვლება არაკეთილსინდისიერ ქმედებად და ზიანს არ აყენებს დიზაინის ჩვეულებრივ გამოყენებას და მიეთითება წყარო;

ე) დიზაინის რომელიმე ქვეყნის საზღვაო ხომალდზე, საჰაერო ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენება მისი საქართველოს ტერიტორიაზე დროებით ყოფნის დროს. ასეთ შემთხვევაში დიზაინი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამგვარ სატრანსპორტო საშუალებაზე და არა მეწარმეობისათვის;

ე[1]) დიზაინის გამოყენება ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საზღვაო ხომალდის, საჰაერო ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების შეკეთების მიზნით სათადარიგო ნაწილებისა და აქსესუარების საქართველოში იმპორტისას;

ე[2]) დიზაინის გამოყენება ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საზღვაო ხომალდზე, საჰაერო ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე სარემონტო სამუშაოების განხორციელებისას;

ვ) დიზაინის გამოყენება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) შემთხვევაში.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

მუხლი 26[1]. დიზაინერისა და თანადიზაინერის სახელის უფლება

დიზაინერსა და თანადიზაინერს უფლება აქვთ, მითითებულ იქნენ განაცხადსა და რეესტრში იმგვარად, როგორც გათვალისწინებულია განმცხადებლისა და დიზაინის მფლობელის მისათითებლად.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

მუხლი 27. წინათსარგებლობის უფლება

1. წინათსარგებლობის უფლება გულისხმობს პირის უფლებას, გამოიყენოს დიზაინი მისი რეგისტრაციის მოქმედების მიუხედავად, თუ იგი კეთილსინდისიერად იყენებდა ამ დიზაინს ან ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები მისი გამოყენებისათვის საქპატენტში განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღამდე.

2. წინათსარგებლობის უფლება მესამე პირს აძლევს დიზაინის მხოლოდ იმ მიზნითა და მოცულობით გამოყენების უფლებას, რა მიზნით და მოცულობითაც უკვე გამოიყენა იგი ან ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები, განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე.

3. დაუშვებელია წინათსარგებლობის უფლებაზე კერძო ლიცენზიის გაცემა.

4. წინათსარგებლობის უფლების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ ისეთ საწარმოსთან ერთად, სადაც განხორციელდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებები.

საქართველოს 2010 წლის 2 ივლისის კანონი №3279 – სსმ I, №37. 14.07.2010 წ., მუხ.220

მუხლი 28. დიზაინის რეგისტრაციის გაუქმება

1. დიზაინის რეგისტრაციას აუქმებს საქპატენტი:
   ა) დიზაინის მფლობელის განცხადების საფუძველზე;
   ბ) დიზაინის მფლობელის მიერ დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, თუ გასულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადა;
   გ) ამ კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე.
   დ) დიზაინის მფლობელის – ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას არ დარჩა მემკვიდრე, ან დიზაინის მფლობელის – იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ არ არსებობს მისი უფლებამონაცვლე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დიზაინის რეგისტრაცია გაუქმებულად არ მიიჩნევა, თუ დიზაინის მფლობელი დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების ვადის ამოწურვის დღიდან 6 თვეში გადაიხდის შემდგომი პერიოდისთვის მისი რეგისტრაციის მოქმედების ვადის საფასურს, ამასთანავე, დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების დაწყებიდან არ არის გასული 25 წელი. ამ პუნქტით განსაზღვრული 6-თვიანი ვადის გაშვების შემთხვევაში დიზაინის რეგისტრაცია უქმდება მისი რეგისტრაციის მოქმედების ვადის ამოწურვის დღიდან.

2^1. თუ დიზაინის მფლობელი რამდენიმეა, დიზაინის რეგისტრაცია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა გაუქმდეს დიზაინის ყველა მფლობელის თანხმობით.

2^2. დიზაინის რეგისტრაციის გაუქმება შეიძლება შეეხოს მრავლობითი განაცხადით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე დიზაინს.

2^3. თუ რეესტრში რეგისტრირებულია დიზაინზე გაცემული ლიცენზია, დიზაინის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ დიზაინის მფლობელის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარადგენს იმის მტკიცებულებას, რომ მან აცნობა ლიცენზიატს თავისი გადაწყვეტილების თაობაზე.

3. დიზაინის რეგისტრაციის გაუქმების შედეგად დიზაინის რეგისტრაციით მინიჭებული უფლებები შეწყვეტილად მიიჩნევა დიზაინის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ჩანაწერის რეესტრში შეტანის დღიდან, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. დიზაინის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინფორმაცია შეიტანება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.
საქართველოს 2026 წლის 24 ივნისის კანონი №1765 – ვებგვერდი, 30.06.2026წ.

მუხლი 28¹. დიზაინის მფლობელის უფლებების აღდგენა ვადის დაუცველობის/დარღვევის შემთხვევაში

1. დიზაინის რეგისტრაციის ამ კანონის 28–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაუქმებისას დიზაინის რეგისტრაციის აღდგენა დასაშვებია, თუ:

ა) დიზაინის მფლობელი საქპატენტს დიზაინის რეგისტრაციის აღდგენის შესახებ მოთხოვნას ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს;

ბ) დიზაინის მფლობელის მიერ საქპატენტისთვის წარდგენილ მოთხოვნაში მითითებულია ვადის დაუცველობის/დარღვევის მიზეზი და ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება;

გ) დადგინდება, რომ ვადა სათანადო ზომების მიღების მიუხედავად ან უნებლიედ დაირღვა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა საქპატენტს წარედგინება იმ ვადაში, რომელიც უფრო ადრე ამოიწურება:

ა) 2 თვის ვადაში იმ მიზეზის აღმოფხვრიდან, რომელმაც ვადის დაუცველობა/დარღვევა გამოიწვია;

ბ) 12 თვის ვადაში ამ კანონის 28–ე მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული 6–თვიანი ვადის გასვლის თარიღიდან.

3. საქპატენტი დიზაინის რეგისტრაციის აღდგენის შესახებ მოთხოვნას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს დიზაინის მფლობელის მიერ ვადის დაუცველობის/დარღვევის შემთხვევაში მფლობელის უფლების აღდგენისთვის დადგენილი საფასურის გადახდიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. ვადის დაუცველობის/დარღვევის შემთხვევაში მფლობელის უფლების აღდგენისთვის დადგენილი საფასური გადაიხდება დიზაინის რეგისტრაციის აღდგენის შესახებ მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა. ამ საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნა განუხილველი დარჩება.

5. დიზაინის მფლობელს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნაზე უარი არ შეიძლება ეთქვას მისთვის საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობის მიცემის გარეშე.

6. დიზაინის რეგისტრაციის აღდგენის შესახებ ინფორმაცია შეიტანება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

საქართველოს 2026 წლის 24 ივნისის კანონი №1765 – ვებგვერდი, 30.06.2026წ.

მუხლი 29. დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

1. დიზაინის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო, თუ დადგინდა, რომ:
ა) დიზაინი წარმოდგენილია მხოლოდ იმ ნიშნებით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით;
ბ) დიზაინის რეგისტრაციისას არსებობდა ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი;
გ) დიზაინი არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4-მე-10 პუნქტების მოთხოვნებს;
დ) დიზაინის რეგისტრაციისას განმცხადებელი ან დიზაინის მფლობელი არ იყო უფლებამოსილი პირი ამ კანონის მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად;
ე) დიზაინის რეგისტრაციით ირღვევა მესამე პირის საავტორო უფლებები;
ვ) დიზაინში გამოყენებულია განმასხვავებელუნარიანი სიმბოლო და მასზე უფლების მფლობელი, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილია აკრძალოს განმასხვავებელუნარიანი სიმბოლოს ამგვარი გამოყენება;
ზ) დიზაინის რეგისტრაცია არაკეთილსინდისიერი განზრახვით განხორციელდა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის ნაცვლად შეიძლება მოითხოვოს დიზაინის რეგისტრაციით მინიჭებული/რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა. თუ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მითითებულ იქნეს თანაგანმცხადებლად, მას შეუძლია მოითხოვოს დიზაინის თანამფლობელობა.

3. დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობა შეიძლება მოთხოვნილ იქნეს დიზაინის რეგისტრაციის გაუქმების ან მისი რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნა დასაშვებია დიზაინის გამოქვეყნებიდან 3 წლის განმავლობაში. აღნიშნული ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც პირი, რომელიც დიზაინის რეგისტრაციისას არ იყო უფლებამოსილი პირი, განაცხადის წარდგენის ან დიზაინზე უფლებების მიღების დროს არაკეთილსინდისიერი განზრახვით მოქმედებდა.

5. მრავლობითი განაცხადის ან გაერთიანებული განაცხადის შემთხვევაში დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელი შეიძლება შეეხებოდეს ერთ ან რამდენიმე დიზაინს.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობა შეიძლება მოითხოვონ შემდეგმა პირებმა:
ა) „ა“, „ბ“, „გ“ ან „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე – დაინტერესებულმა პირმა;
ბ) „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე – მხოლოდ იმ პირმა, რომელიც არის უფლებამოსილი პირი ამ კანონის მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად;
გ) „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე – მხოლოდ საავტორო უფლების მფლობელმა;
დ) „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე – მხოლოდ განმასხვავებელუნარიან სიმბოლოზე უფლების მფლობელმა.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დიზაინის მფლობელის შეცვლის შემთხვევაში დიზაინის უფლებამოსილი მფლობელის შესახებ მონაცემების რეესტრში შეტანის მომენტიდან აღნიშნულ დიზაინზე ყველა ადრე გაცემული ლიცენზია და სხვა უფლება გაუქმებულად მიიჩნევა.

8. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის აღძვრამდე დიზაინის მფლობელმა ან ლიცენზიატმა დაიწყო დიზაინის გამოყენება ან მისი გამოყენების დაწყებისთვის მნიშვნელოვანი და ეფექტიანი მოსამზადებელი სამუშაოები გასწია, იგი უფლებამოსილია დიზაინის ახალი მფლობელის შესახებ მონაცემების რეესტრში შეტანის დღიდან 3 თვის ვადაში მისგან

მოითხოვოს არაექსკლუზიური კერძო ლიცენზია. ეს ლიცენზია უნდა გაიცეს იმ ვადით, რომელიც საჭიროა აღნიშნული სარჩელის აღძვრამდე არსებული ვალდებულებების შესასრულებლად, იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომლითაც დიზაინის ადრინდელი მფლობელი ან ლიცენზიატი ახორციელებდა საქმიანობას სარჩელის აღძვრამდე.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტი არ გამოიყენება, თუ დიზაინის არაუფლებამოსილი მფლობელი ან ლიცენზიატი დიზაინის გამოყენების დაწყებისას ან მისი გამოყენების დაწყებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების გაწევისას არაკეთილსინდისიერი განზრახვით მოქმედებდა.

10. დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შედეგად რეგისტრაციით მინიჭებული უფლებები შეწყვეტილად მიიჩნევა დიზაინზე ამ უფლებების წარმოშობის დღიდან, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში სხვა თარიღი არ იქნება მითითებული.

11. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ე“ ან „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შემთხვევაში შესაძლებელია დიზაინის შეცვლილი ფორმით რეგისტრაციის შენარჩუნება ამ კანონის მე-20 მუხლის 41 და 42 პუნქტებით დადგენილი წესით.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

მუხლი 29¹. დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების უკუძალა

დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას უკუძალა არ აქვს:

ა) თუ დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა იმავე დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ბ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დადებული და აღსრულებული გარიგების მიმართ.

საქართველოს 2025 წლის 11 ნოემბრის კანონი №1029 – ვებგვერდი, 17.11.2025წ.

მუხლი 30. პასუხისმგებლობა დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევისათვის

დიზაინის მფლობელის ნებართვის გარეშე პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, დამზადება, გაყიდვა, გამოყენება, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა, ან ასეთი პროდუქტის შენახვა ამ მიზნებისათვის, ანდა მისი არსის განზრახ გამჟღავნება (გარდა დიზაინერის მიერ გამჟღავნებისა) საქპატენტის მიერ დიზაინის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებამდე, ან დიზაინერობის მითვისება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 30¹. დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დაცვა

1. დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისას დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს:

ა) ამ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების აკრძალვა;

ბ) დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული ან სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ან დასაწყობებული (შესანახად განთავსებული) პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი

ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღება;

გ) დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, განადგურება;

დ) იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი ან სარეკლამო მასალის განადგურება, რომელიც დიზაინის გამოსახულებას შეიცავს ან არის მისი ასლი ან იმიტაცია, მათ შორის, ინტერნეტში განთავსებული ისეთი მასალის ან გამოსახულების წაშლა, რომელიც დიზაინის გამოსახულებას შეიცავს;

ე) პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეს, მატრიცის, სხვა დანადგარის, ტექნიკური აღჭურვილობისა და იარაღის განადგურება.

2. დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, მოითხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რამდენიმე ქმედების ერთდროულად განხორციელება.

3. დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისას დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება განხორციელდეს აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელმაც იცოდა ან რომელსაც უნდა სცოდნოდა, რომ მისი მომსახურება გამოიყენება ან გამოიყენებოდა დიზაინზე განსაკუთრებული უფლების კომერციული მასშტაბით დარღვევისათვის.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დამრღვევის მოთხოვნის საფუძველზე, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების ნაცვლად, მას დააკისროს ფულადი კომპენსაციის გადახდა, თუ იგი გაუფრთხილებლობით მოქმედებდა ან თუ მას შესაბამისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით შესაძლო დარღვევასთან შედარებით არაპროპორციული ზიანი მიადგება, ამასთანავე, თუ დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ფულადი კომპენსაციის ოდენობა მისაღებია.

5. დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისას დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედების გარდა, მოითხოვოს ერთ– ერთი შემდეგი ქმედების განხორციელება:

ა) მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით), თუ დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დამრღვევმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შესახებ;

ბ) დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დამრღვევისთვის დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის სასარგებლოდ;

გ) ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა.

6. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის არსი, დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით მიღებული შემოსავალი, დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელისთვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელსაც მიიღებდა დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი დიზაინის მართლზომიერად გამოყენებით.

7. ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია განისაზღვრება არანაკლებ იმ ოდენობით, რომელსაც დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დამრღვევი დიზაინის გამოყენების ნებართვის მიღებისას გადაიხდიდა.

8. ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დიზაინის მფლობელის ნებართვის გარეშე გამოყენებული იმ პროდუქტის რაოდენობა, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც გამოიყენება იგი, დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დამრღვევის განზრახვა, იმ მომსახურების მასშტაბი, ხასიათი და სხვა მახასიათებელი, რომლის შეთავაზებაც ხდება დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით, ან/და ნებისმიერი სხვა გარემოება, რომელიც კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1920 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 31. დიზაინზე უფლებების გადაცემა

1. დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით.

2. დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, ასევე მასში შეტანილი ცვლილებები დადგენილი წესით რეგისტრირდება რეესტრში და მონაცემები ქვეყნდება ბიულეტენში.

3. დიზაინის ახალ მფლობელს არ შეუძლია დიზაინის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები მესამე პირის წინააღმდეგ გამოიყენოს სათანადო ცვლილებების რეესტრში რეგისტრაციამდე.

მუხლი 32. კერძო ლიცენზია დიზაინის გამოყენებაზე

1. დიზაინის მფლობელს უფლება აქვს, გასცეს კერძო ლიცენზია დიზაინის გამოყენებაზე.

2. კერძო ლიცენზია არ არის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზია.

3. კერძო ლიცენზიის ხელშეკრულება ფორმდება წერილობით. კერძო ლიცენზიაში უნდა განისაზღვროს დიზაინის გამოყენების ფარგლები.

4. კერძო ლიცენზია შეიძლება იყოს ექსკლუზიური ან არაექსკლუზიური. თუ კერძო ლიცენზიის ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის ლიცენზიის სახე, მიიჩნევა, რომ კერძო ლიცენზია არაექსკლუზიურია.

5. არაექსკლუზიური კერძო ლიცენზიის გაცემა ლიცენზიის გამცემს არ უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას.

6. ექსკლუზიური კერძო ლიცენზია ლიცენზიის გამცემს უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას.

7. კერძო ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი დიზაინის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებათა დარღვევის შესახებ, თუ დიზაინის მფლობელი უფლებათა დარღვევის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში თვითონ არ შეიტანს სარჩელს.

8. კერძო ლიცენზიის ხელშეკრულება და მასში შეტანილი ცვლილებები შეიძლება დარეგისტრირდეს რეესტრში.

9. თუ კერძო ლიცენზიის ხელშეკრულება ითვალისწინებს შეზღუდვას მხოლოდ განსაზღვრულ

ბაზარზე დიზაინის შექმნასთან, გავრცელებასთან ან/და ექსპორტთან დაკავშირებით, შესაბამისი აღნიშვნა უნდა გაკეთდეს პროდუქტის საეტიკეტო მონაცემებში. თუ ასეთი აღნიშვნა არ არსებობს, კერძო ლიცენზიის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეზღუდვას არა აქვს ძალა მესამე პირისათვის.

მუხლი 33. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია განაცხადი შეიტანოს:
   ა) ფიზიკურმა პირმა, რომელიც მუშაობს ან მუშაობდა საქპატენტში განაცხადის შეტანამდე 12 თვით ადრე;
   ბ) იურიდიულმა პირმა, რომლის წევრი, პარტნიორი, აქციონერი ან ხელმძღვანელი არის ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი.

2. დაუშვებელია დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი დავის განხილვისას სააპელაციო პალატის შემადგენლობაში იყოს პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა გასაჩივრებული დიზაინის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

თავი V
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 34. ამ კანონის ნორმათა გავრცელება ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზე

1. ეს კანონი ვრცელდება იმ დიზაინის შექმნასთან, რეგისტრაციასთან, გამოყენებასთან და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე:
   ა) რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ;
   ბ) რომლებიც ძალაშია ამ კანონის ამოქმედების დღისათვის.

2. განაცხადი, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედების დღისათვის საქპატენტში მიმდინარეობს საქმის წარმოება, განიხილება 1999 წლის 5 თებერვლის საქართველოს საპატენტო კანონით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5(12), 1999 წელი, მუხ. 21) დადგენილი წესით.

მუხლი 35. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიება

საქპატენტმა გამოსცეს ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე.

საქართველოს 2010 წლის 26 ოქტომბრის კანონი № 3742 – სსმ I, № 62, 05.11.2010 წ., მუხ. 382

თავი VI
დასკვნითი დებულება

მუხლი 36. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის გასვლისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
პრეზიდენტი მ. სააკაშვილი

თბილისი, 2010 წლის 4 მაისი
№3030–Iს

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის
2011 წლის 14 დეკემბრის ბრძანება №3

ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ინსტრუქციის რეგულირების სფერო

ინსტრუქცია შემუშავებულია „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აწესრიგებს დიზაინის განაცხადის შედგენის, წარდგენის, ექსპერტიზის და რეგისტრაციის პროცედურებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კანონი – საქართველოს კანონი „დიზაინის შესახებ“;

ბ) ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ (შემდგომში – საქპატენტი) – „ საქართველოს საპატენტო კანონით“ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

გ) ბიულეტენი – სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე ოფიციალური ბეჭდური გამოცემა;

დ) რეესტრი – სამრეწველო საკუთრების რეესტრი;

დ[1]) ისმო – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია;

დ[2]) ჰააგის შეთანხმება – დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმების 1999 წლის 2 ივლისის ჟენევის აქტი;

ე) საერთაშორისო კოდი – ისმოს სტანდარტით ST.80 დადგენილი, მონაცემთა იდენტიფიკაციის საერთაშორისო შეთანხმებით მიღებული ორნიშნა რიცხვითი კოდი;

ვ) ქვეყნის კოდი – ისმო-ს სტანდარტით ST.3 დადგენილი ქვეყნის, მთავრობათაშორისი და სხვა ორგანიზაციების დასახელების შესატყვისი ორნიშნა კოდი;

ზ) დადგენილი საფასური – „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილებით დამტკიცებული საფასური;

თ) დღე – სამუშაო დღე;

ი) საერთაშორისო ბიულეტენი – ოფიციალური გამოცემა, რომელშიც ისმოს საერთაშორისო ბიურო აქვეყნებს მონაცემებს საერთაშორისო დიზაინების რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმების შესაბამისად;

კ) ისმოს ციფრული წვდომის სისტემა „DAS“ (შემდგომ – „DAS“) – ისმოს ელექტრონული სისტემა, რომელიც მის მონაწილე ინტელექტუალური საკუთრების უწყებებს საშუალებას აძლევს, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უსაფრთხოდ გაცვალონ პარიზის კონვენციით გათვალისწინებული განაცხადის პრიორიტეტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

ლ) დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია (შემდგომში – ლოკარნოს კლასიფიკაცია) – 1968 წლის 8 ოქტომბერს ხელმოწერილი დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის ლოკარნოს შეთანხმებით მიღებული საერთაშორისო კლასიფიკაცია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

თავი II
განაცხადის ფორმა და წარდგენის წესი

მუხლი 3. განაცხადის წარდგენა

1. განაცხადი დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე (შემდგომში – განაცხადი) წარედგინება საქპატენტს კანონის მე–11 მუხლით და ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით.

2. განაცხადის წარდგენა საქპატენტში ხდება მატერიალური ფორმით ან ელექტრონული სისტემის – https://online.sakpatenti.gov.ge/ (შემდგომში – ელექტრონული სისტემა) მეშვეობით.

2^1. საგანაცხადო მასალების მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს საქპატენტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული განცხადების ფორმით, ამ ინსტრუქციის მე–5 მუხლით დადგენილი წესით, ხოლო ელექტრონული სისტემით წარდგენისას, საგანაცხადო მასალის შეტანა ხდება საქპატენტის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

2^2. საქპატენტში საგანაცხადო მასალების მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში, განაცხადზე საქმისწარმოების ფარგლებში, განმცხადებელს ყველა სახის დოკუმენტი ეგზავნება მატერიალური ფორმით.

2^3. საქპატენტში საგანაცხადო მასალების ელექტრონული სისტემით წარდგენის შემთხვევაში, განაცხადზე საქმისწარმოების ფარგლებში, განმცხადებელს ყველა სახის დოკუმენტი ეგზავნება საქპატენტის ელექტრონული სისტემის მეშვეობით და მისთვის ჩაბარებულად ითვლება ელექტრონულ სისტემაში ასახვისთანავე. ამ მომენტიდან იწყება კანონმდებლობით დადგენილი ვადების ათვლა ყველა შესაბამისი მომდევნო ქმედებისთვის.

2^4. საქპატენტში განაცხადის ელექტრონულად წარდგენის შემდგომ, განმცხადებლის მიერ საქმისწარმოების მატერიალური ფორმით გაგრძელების მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის დღიდან განაცხადზე აღარ გავრცელდება ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით საფასურებზე კანონმდებლობით დადგენილი შეღავათი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2^5. საქპატენტში განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენის შემდგომ განმცხადებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს საქმისწარმოების ელექტრონული ფორმით გაგრძელება. ამ შემთხვევაში განაცხადზე არ გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით დადგენილი შეღავათი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2^6. დამატებითი ინფორმირების მიზნით, განმცხადებელს შესაძლებელია გაეგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება განაცხადთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ.

3. ამ მუხლის 22 და 23 პუნქტებით გათვალისწინებული საქმისწარმოების წესები ვრცელდება ასევე დიზაინის რეგისტრაციის შემდგომ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებულ საქმისწარმოებაზეც.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 4. განაცხადის ფორმა და თანდართული მასალები

1. განაცხადი უნდა შეიცავდეს:
   ა) განცხადებას დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე (შემდგომში – განცხადება);
   ბ) დიზაინის გამოსახულებას;

2. განაცხადი დამატებით შეიძლება შეიცავდეს:
   ა) დიზაინის აღწერილობას, რომელიც ატარებს მხოლოდ განმარტებით ხასიათს. იგი შეიძლება სიტყვიერად აღწერდეს დიზაინის გამოსახულებას და გამოსახულების ნიშნების თავისებურებებს;
   ბ) პრიორიტეტის დამადასტურებელ საბუთს, თუ მოითხოვება საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტი.

3. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი დიზაინერის უფლებამონაცვლეა, განაცხადს წარდგენისთანავე ან წარდგენის დღიდან ორი თვის ვადაში უნდა დაერთოს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი.

3^1. თუ დიზაინის შექმნა უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას და განმცხადებელი იმავდროულად შემკვეთი ან დამსაქმებელია, განმცხადებელს არ ეკისრება ამ მუხლის მე–3 პუნქტში მითითებული უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა.

4. თუ განაცხადი წარადგინა განმცხადებლის წარმომადგენელმა, განაცხადს წარდგენისთანავე ან წარდგენის დღიდან 2 თვის ვადაში უნდა დაერთოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.

5. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ერთ–ერთი თანადიზაინერია, განაცხადს უნდა დაერთოს თანადიზაინერთა სათანადოდ დამოწმებული წერილობითი თანხმობა, თუ მათ შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში განაცხადს უნდა დაერთოს ხელშეკრულების დამოწმებული ასლი.

6. უცხოურ ენაზე წარდგენილ საგანაცხადო მასალებს, წარდგენის დღიდან ორი თვის ვადაში უნდა დაერთოს სათანადო წესით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მასალები წარდგენილად არ მიიჩნევა.

7. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სარგებლობს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული

შეღავათიანი საფასურით, აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთი საქპატენტს წარედგინება განაცხადის შეტანის დღიდან 2 კვირის ვადაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 4[1]. წარმომადგენლის დანიშვნა

1. საქპატენტში განაცხადის წარდგენისას ან წარდგენის შემდეგ განმცხადებელს უფლება აქვს დანიშნოს წარმომადგენელი წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

2. წარმომადგენლის დანიშვნის შემთხვევაში საქპატენტი განმცხადებლისთვის განკუთვნილ ყველა დოკუმენტს უგზავნის წარმომადგენელს.

3. წარმომადგენელზე გაცემული მინდობილობა უნდა შეიცავდეს:

ა) მარწმუნებლის სახელსა და გვარს (სახელწოდებას), იურიდიულ მისამართს, ასევე, ფიზიკური პირის შემთხვევაში – მარწმუნებლისა და რწმუნებულის პირად ნომერს, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – საიდენტიფიკაციო ნომერს;

ბ) წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებს;

გ) მინდობილობის შედგენის თარიღსა და ადგილს;

დ) მარწმუნებლის ხელმოწერას;

ე) მინდობილობის მოქმედების ვადას. თუ ვადა აღნიშნული არ არის, მინდობილობა ძალაშია მარწმუნებლის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

4. მინდობილობა ფორმდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ის არის შედგენილი.

5. უცხოელი განმცხადებელი, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან რეალური და მოქმედი სამრეწველო ან კომერციული დაწესებულება საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია საქპატენტის მოთხოვნიდან 2 თვის ვადაში დანიშნოს წარმომადგენლად საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გაეგზავნება განმცხადებლისთვის განკუთვნილი ყველა საბუთი. უცხოელი განმცხადებელი წარმომადგენელზე მინდობილობას გასცემს უშუალოდ თვითონ ან სათანადო უფლებამოსილების მქონე რწმუნებულის მეშვეობით. თუ განმცხადებელი არ შეასრულებს ამ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ. ამასთან, საქპატენტი იხსნის ვალდებულებას საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მხარისთვის გაგზავნის თაობაზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2026 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №19 – ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 5. განცხადების შევსების წესი

1. (ამოღებულია – 13.09.2021 №4).

2. განცხადება ივსება ქართულ ენაზე, ნაბეჭდი სახით.

3. განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) განმცხადებლის სრულ სახელს/სახელწოდებას (საერთაშორისო კოდი 71); თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – მის გვარს, სახელს, პირად ნომერს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – მის სამართლებრივ ფორმას, სრულ სახელწოდებას და საიდენტიფიკაციო ნომერს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) განმცხადებლის მისამართს ქვეყნის კოდის მითითებით, რომლის მოქალაქეც არის ან სადაც გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან რეალური და მოქმედი სამრეწველო ან კომერციული დაწესებულება.

გ) თხოვნას დიზაინის რეგისტრაციის შესახებ;

დ) თხოვნას პრიორიტეტის დადგენის შესახებ, რისთვისაც განმცხადებელმა „X"-ით უნდა მონიშნოს მოთხოვნილი პრიორიტეტის შესაბამისი უჯრა;

ე) საკონვენციო პრიორიტეტის შემთხვევაში პირველი განაცხადის ნომერს (საერთაშორისო კოდი – 31), პირველი განაცხადის შეტანის თარიღს (საერთაშორისო კოდი – 32) პირველი განაცხადის მიმღები ქვეყნის/უწყების კოდს (საერთაშორისო კოდი – 33);

ვ) საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში დიზაინის გამოფენაზე ჩვენების თარიღს (საერთაშორისო კოდი – 23);

ზ) პროდუქტის დასახელებას, რომელშიც ჩართულია ან რომლისთვისაც უნდა იყოს გამოყენებული დიზაინი (საერთაშორისო კოდი – 54);

თ) განაცხადში წარდგენილი დიზაინების რაოდენობას (საერთაშორისო კოდი – 28);

ი) მიმოწერის მისამართს საქართველოს ტერიტორიაზე, ადრესატის სრულ სახელს ან დასახელებას, ტელეფონს, ელექტრონული ფოსტის მისამართსა და ფაქსის ნომერს (საერთაშორისო კოდი – 98);

კ) წარმომადგენლის სახელს/სახელწოდებას, მისამართს, ტელეფონს, ელექტრონული ფოსტის მისამართს (საერთაშორისო კოდი – 74), თუ განაცხადი წარდგენილია წარმომადგენლის მეშვეობით;

ლ) დიზაინერ(ებ)ის სახელს და მისამართს ქვეყნის კოდის მითითებით შესაბამის გრაფაში;

მ) მითითებას იმის შესახებ, უკავშირდება თუ არა დიზაინის შექმნა სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას;

ნ) შესაბამის მითითებას, თუ განმცხადებელი იმავდროულად დამსაქმებელი ან შემკვეთია;

ო) განაცხადის თანდართული საბუთების ნუსხას, სადაც მიეთითება ეგზემპლარებისა და ფურცლების რაოდენობა.

4. (ამოღებულია – 25.12.2025, №16).

5. თუ განმცხადებელი ითხოვს გამოქვეყნების გადადებას, ამ შემთხვევაში მან განცხადების შესაბამის გრაფაში „X"-ით (იქსით) უნდა მონიშნოს უჯრა და მიუთითოს გამოქვეყნების

გადადების ვადა თვეებში, არა უმეტეს 30 თვისა განაცხადის წარდგენიდან ან პრიორიტეტის თარიღიდან. მრავლობითი განაცხადის შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია განაცხადში მიუთითოს ის დიზაინები, რომლებზეც მოითხოვება ვადის გადადება.

6. თუ განმცხადებელი ითხოვს დაჩქარებულ რეგისტრაციას, მან „X"-ით უნდა მონიშნოს შესაბამისი უჯრა.

7. განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი და ხელმოწერის დღით დათარიღებული განმცხადებლის ან წარმომადგენლის მიერ და მიეთითოს ხელმომწერი პირის სრული სახელი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 6. პროდუქტის დასახელება და კლასიფიკაცია

1. პროდუქტის დასახელება უნდა იყოს ფორმულირებული ისეთი სახით, რომ შეესაბამებოდეს მის არსს და დანიშნულებას და შესაძლებელი იყოს პროდუქტის კლასიფიცირება ლოკარნოს კლასიფიკაციის მხოლოდ ერთ კლასში. ამასთან, უნდა შეესაბამებოდეს ამ კლასის ჩამონათვალის შესაბამის დასახელებას.

2. დაუშვებელია დასახელება შეიცავდეს მითითებას პროდუქტის ხარისხზე.

3. დაუშვებელია დასახელებაში ფიგურირებდეს დამატებით პროდუქტის განმარტებითი სიტყვები, სპეციალური დასახელება, ცალკეული ასოები და ციფრები.

4. ინფორმაცია დასახელებისა და საკლასიფიკაციო ინდექსის შესახებ გავლენას არ ახდენს დაცვის ფარგლებზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 7. დიზაინის გამოსახულება

1. დიზაინის გამოსახულება უნდა შესრულდეს გრაფიკული ან ფოტოგრაფიული გამოსახულების სახით და აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) თითოეული ფურცელი უნდა იყოს თეთრი, გაუმჭვირვალე, სტანდარტის შესაბამისი A4 ზომის (29,7 სმ X 21 სმ), ხოლო სივრცე, რომელიც გამოიყენება გამოსახულებისათვის, არ უნდა აღემატებოდეს 26,2 სმ X 17 სმ-ს. მარცხენა მხრიდან უნდა იყოს დატოვებული სულ მცირე 2,5 სმ-ის ტოლი ველი;

ბ) გამოსახულება უნდა იყოს ვარგისი გამოქვეყნებისათვის, მკაფიოდ გამოსახული და ისეთი ხარისხის, რომ ჩანდეს ობიექტის ყველა დეტალი, რომელზეც მოითხოვება დაცვა;

გ) გამოსახულება უნდა იყოს შესრულებული ნეიტრალურ ფონზე და შეიძლება იყოს შავ-თეთრი ან ფერადი;

გ[1]) დაუშვებელია 1 დიზაინის ხედების სხვადასხვა ფორმატით წარდგენა;

დ) გამოსახულებები შესრულებული უნდა იყოს ერთი და იგივე მასშტაბში. დასაშვებია რომელიმე ნაწილის გადიდებული სახით ჩვენება;

ე) თითოეული რაკურსის გამოსახულების ზომა არ უნდა აღემატებოდეს 16x16 სმ-ს და არ იყოს 3x3 სმ- ზე ნაკლები;

ვ) გამოსახულება არ უნდა შეიცავდეს განმარტებითი სახის წარწერას ან სხვა ისეთ ელემენტს, რომელიც დასაცავი დიზაინის ნაწილს არ წარმოადგენს;

ზ) გამოსახულება არ უნდა იყოს წარდგენილი ტექნიკური ნახაზების სახით.

2. თუ განაცხადი შეიცავს რამდენიმე დიზაინს, განმცხადებელმა თანმიმდევრობით უნდა დანომროს თითოეული მათგანი არაბული ციფრებით.

3. თუ დიზაინის ხედების/რაკურსების რაოდენობა ერთზე მეტია, დიზაინის შესაბამის ნომერს უნდა მიეწეროს წერტილით გაყოფილი შესაბამისი ციფრი, სადაც წერტილის მარცხნივ დაწერილი ციფრი აღნიშნავს დიზაინის ნომერს, ხოლო მარჯვენა მხარეს დაწერილი ხედის ნომერს.

4. დიზაინის ის ნაწილი, რომელზეც არ მოითხოვება დაცვა, გამოსახულებაზე ნაჩვენები უნდა იყოს წყვეტილი ხაზით ან ფერის დაჩრდილვითა ან გაბუნდოვნებით. თუ მოითხოვება დიზაინის მხოლოდ ნაწილის დაცვა, დასაშვებია მისი მითითება დიზაინის გამოსახულებაზე ამ ნაწილის შემოსაზღვრით. აღნიშნული შემთხვევები უნდა მიეთითოს დიზაინის აღწერილობაშიც.

5. პროდუქტის შიდა ნაწილი, რომელიც გარედან არ ჩანს, ნაჩვენები უნდა იყოს წყვეტილ ხაზებს შორის ორი წერტილით.

6. თუ განაცხადი ეხება დიზაინს, რომელიც წარმოადგენს ზედაპირზე განმეორებად ნახატს, გამოსახულება უნდა ასახავდეს მთლიანად ნახატს და იმ ზედაპირს, რომელზეც უნდა იყოს გან მეორებული ნახატი.

7. თუ განაცხადი ეხება დიზაინს, რომელიც წარმოადგენს ტიპოგრაფიულ შრიფტს, მისი გამოსახულება უნდა მოიცავდეს ანბანის ყველა ასოს და ყველა არაბულ ციფრს. დასაშვებია ამავდროულად 5-სტროფიანი ტექსტის წარდგენა, რომელშიც გამოყენებულია ეს შრიფტი როგორც ასოების, ისე ციფრების სახით. შრიფტის ზომა უნდა იყოს 16.

8. თუ დიზაინი ეხება შედგენილ პროდუქტს, გამოსახულების ერთ-ერთი ხედი უნდა გამოსახავდეს მას აწყობილ მდგომარეობაში.

9. თუ დიზაინი წარმოადგენს პროდუქტების ნაკრებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ესთეტიკური და ფუნქციური ურთიერთშეთავსებადობით, იგი წარდგენილ უნდა იქნეს ერთი გამოსახულების სახით, ამასთან, მასში შემავალი თითოეული პროდუქტი ნაჩვენები უნდა იყოს ცალ- ცალკე. ნაკრების სახით, ერთ დიზაინად წარმოდგენილი ყველა პროდუქტი ექვემდებარება საერთო დაცვას.

10. განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში, გამოსახულება წარდგენილ უნდა იქნეს ქაღალდზე ერთ ეგზემპლარად, ამასთან, დასაშვებია გამოსახულების მეორე

ეგზემპლარის ელექტრონული ფორმით „JPEG (.jpg, .jpeg)" ფორმატით წარდგენა. განაცხადის ელექტრონულად წარდგენის შემთხვევაში ელექტრონულად ატვირთული გამოსახულების მაქსიმალური ზომა უნდა იყოს 5MB, ხოლო გარჩევადობა 100–300 dpi-ს ფარგლებში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 8. პროდუქტის ნიმუში

1. პროდუქტის ნიმუშის წარდგენა დასაშვებია, თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილია ორგანზომილებიანი დიზაინი და განმცხადებელი მოითხოვს გამოქვეყნების გადადებას.

2. პროდუქტის ნიმუში წარდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად და მისი ზომები არ უნდა აღემატებოდეს 26,2 სმ X 17 სმ-ს.

3. თუ დიზაინი წარმოადგენს განმეორებად ნახატს, ნიმუში უნდა ასახავდეს მთელ ნახატს და განმეორებადი ზედაპირის აღსაქმელად საკმარის ნაწილს სიგრძესა და სიგანეში.

4. ნიმუში არ უნდა იყოს მალფუჭებადი ან შესანახად სახიფათო.

მუხლი 9. მრავლობითი განაცხადი

1. მრავლობითი განაცხადი შეიძლება შეიცავდეს დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთ კლასს მიკუთვნებულ არა უმეტეს ას დიზაინს.

2. განმცხადებელმა მრავლობით განაცხადში მოცემული დიზაინების გამოსახულებებს უნდა მიანიჭოს თანმიმდევრული ნუმერაცია ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

3. თუ დადგინდა, რომ მრავლობით განაცხადში გაერთიანებული დიზაინები არ მიეკუთვნება საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთ კლასს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ. განმცხადებელი ვალდებულია შეტყობინების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში დაყოს განაცხადი და საქპატენტს წარუდგინოს გამოცალკევებული განაცხადი.

4. თუ განმცხადებელი არ შეასრულებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნას, საქპატენტი:
ა) განიხილავს მხოლოდ იმ დიზაინებს, რომლებიც მიეკუთვნება განცხადებაში მითითებულ საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთ კლასს;

ბ) განსაზღვრავს ერთ-ერთი დიზაინის კლასს, თუ განმცხადებელს განცხადებაში მითითებული არა აქვს საერთაშორისო კლასიფიკაციის კლასი და განიხილავს მხოლოდ იმ დიზაინებს, რომლებიც მიეკუთვნება არჩეული დიზაინის კლასს, ხოლო დიზაინებს, რომლებიც არ მიეკუთვნება საქპატენტის მიერ დადგენილ კლასს – დატოვებს განუხილველად.

5. მრავლობითი განაცხადისათვის საფასურების გადახდა ხდება მრავლობით განაცხადში წარდგენილი თითოეული დიზაინისათვის.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 10. გაერთიანებული განაცხადი

1. გაერთიანებული განაცხადის წარდგენა დასაშვებია, თუ მასში შემავალი დიზაინები მიეკუთვნება დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთ კლასს.

2. გაერთიანებული განაცხადი საქპატენტს უნდა წარედგინოს დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

3. გაერთიანებული განაცხადის ფარგლები არ უნდა სცილდებოდეს მასში შემავალი განაცხადების ფარგლებს.

4. გაერთიანებულ განაცხადში შემავალ ყველა დიზაინს უნარჩუნდება შესაბამისი პრიორიტეტი.

5. გაერთიანებული განაცხადი განიხილება როგორც ახალი განაცხადი, ხოლო მასში გაერთიანებულ თითოეულ განაცხადზე გაერთიანებამდე მიმდინარე საქმისწარმოება წყდება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 11. გამოცალკევებული განაცხადი

1. გამოცალკევებული განაცხადის წარდგენა დასაშვებია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

2. გამოცალკევებული განაცხადის ფარგლები არ უნდა სცილდებოდეს იმ განაცხადის ფარგლებს, რომლისგანაც მოხდა გამოცალკევება.

3. განაცხადზე, რომლისგანაც მოხდა განაცხად(ებ)ის გამოცალკევება, საქმისწარმოება გრძელდება, ხოლო გამოცალკევებულ განაცხადში შემავალ დიზაინს უნარჩუნდება იმ განაცხადის პრიორიტეტი, რომლისგანაც მოხდა გამოცალკევება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 12. საგანაცხადო მასალების მიღების პროცედურა

1. საქპატენტში წარდგენისთანავე საგანაცხადო მასალებს ენიჭება საქმის ნომერი და წარდგენის თარიღი.

2. განაცხადის წარდგენისთანავე გაიცემა ცნობა დიზაინის საგანაცხადო მასალების მიღების შესახებ, რომელშიც აღნიშნულ იქნება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები, ასევე, წარდგენილი დიზაინების რაოდენობა და გამოსახულება. აღნიშნული ცნობა არ წარმოადგენს შეტანის თარიღის დამადასტურებელ საბუთს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 13. პრიორიტეტის მოთხოვნა

1. განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტი საქპატენტში განაცხადის შეტანისთანავე ან შეტანიდან ორი თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს არსობრივი ექსპერტიზის დასრულებისა. ამასთან, უნდა გადაიხადოს საკონვენციო ან

საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნისთვის დადგენილი საფასური. განაცხადის წარდგენისას დაცული უნდა იყოს კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრული ვადა.

2. საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნიდან 3 თვის ვადაში განმცხადებელი ვალდებულია წარადგინოს პირველი განაცხადის მიმღები უწყების მიერ დამოწმებული პირველი განაცხადის ასლი, რომელსაც თან უნდა ერთოდეს სათანადოდ დამოწმებული ქართული თარგმანი.

2^1. საქპატენტში პირველი განაცხადის დამოწმებული ასლის მიღება შესაძლებელია, ასევე, „DAS"-ის მეშვეობით. აღნიშნულ შემთხვევაში განმცხადებელი ვალდებულია საქპატენტში წარადგინოს „DAS"-ის შესაბამისი კოდი და „DAS"-ში განთავსებული დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ქართული თარგმანი.

3. საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნიდან სამი თვის ვადაში განმცხადებელი ვალდებულია წარადგინოს გამოფენისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული გამოფენაში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთი, რომელსაც თან უნდა ერთოდეს სათანადოდ დამოწმებული ქართული თარგმანი.

4. საბუთში აღნიშნული უნდა იყოს გამოფენის გახსნის თარიღი და იგი უნდა ადასტურებდეს იმ პროდუქტის ექსპონირების ფაქტს, რომელშიც ჩართულია, ან რომლისთვისაც გამოიყენება დიზაინი.

5. საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არ წარადგენს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ საბუთებს, განაცხადს პრიორიტეტი დაუდგინდება განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღით.

6. დაუშვებელია განაცხადს უარი ეთქვას საკონვენციო პრიორიტეტის დადგენის თაობაზე იმ მოტივით, რომ პირველი განაცხადის შეტანის ქვეყანაში ან სხვა ქვეყანაში დიზაინს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე ან დიზაინის რეგისტრაცია გაუქმებულია.

7. თუ განმცხადებელი არ ითხოვს საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტს, განაცხადს პრიორიტეტი უდგინდება განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღით.

8. მრავლობითი განაცხადის შემთხვევაში დასაშვებია შესაბამისი საკონვენციო და საგამოფენო პრიორიტეტის მოთხოვნა განაცხადში შემავალი ცალკეული დიზაინისათვის.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2026 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №19 – ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 13^1. პრიორიტეტის უფლების აღდგენა

1. პრიორიტეტის უფლების აღდგენის მოთხოვნა საქპატენტს წარედგინება კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში. პრიორიტეტის უფლების აღდგენის მოთხოვნის წარდგენა დასაშვებია არსობრივი ექსპერტიზის დასრულებამდე.

2. პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს განაცხადის წარდგენის ვადის დაგვიანების მიზეზი და თან უნდა ერთოდეს ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნა ხელმოწერილი უნდა იყოს განმცხადებლის მიერ.

3. პრიორიტეტის უფლების აღდგენისთვის გადაიხდება კანონმდებლობით დადგენილი საფასური. საფასურის გადახდა დასაშვებია პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა. საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნა დარჩება განუხილველი.

4. თუ პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნა არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ და მის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება ვადა არაუმეტეს 10 დღისა.

5. განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნის განუხილველად დატოვების შესახებ.

6. თუ პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნა აკმაყოფილებს ამ მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არსებობს პრიორიტეტის უფლების აღდგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, საქპატენტი განმცხადებელს განუსაზღვრავს 10 დღეს საკუთარი მოსაზრებების წარმოსადგენად. აღნიშნულ ვადაში განმცხადებლის მიერ მოსაზრებების წარმოუდგენლობის შემთხვევაში საქპატენტი მიიღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

7. ამ მუხლის მე–4 და მე–6 პუნქტებით განსაზღვრულ ვადაში საქპატენტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე, ან აღნიშნული ვადის ამოწურვამდე, განაცხადის განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

8. საქპატენტი პრიორიტეტის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნაზე გადაწყვეტილებას იღებს განმცხადებლის მიერ პრიორიტეტის უფლების აღდგენისთვის დადგენილი საფასურის გადახდიდან 10 დღის ვადაში.

9. პრიორიტეტის აღდგენის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განმცხადებელმა პრიორიტეტის მოთხოვნისათვის დადგენილი საფასური უნდა გადაიხადოს გადაწყვეტილების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადს პრიორიტეტი დაუდგინდება საქპატენტში შეტანის თარიღით.

10. პრიორიტეტის აღდგენის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში პრიორიტეტის დამადასტურებელი დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს ამ ინსტრუქციის მე–13 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2026 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №19 – ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

თავი III
განაცხადის ექსპერტიზის ჩატარების წესი

მუხლი 14. განაცხადის ექსპეტიზა

1. საქპატენტში წარდგენილ განაცხადზე ტარდება ექსპერტიზა კანონის მე–14–17 მუხლების შესაბამისად.

2. განმცხადებლისათვის გაგზავნილი შეტყობინებები პასუხის მიღებამდე აჩერებს ექსპერტიზის ვადებს.

3. ამ მუხლის მიზნებისთვის განაცხადთან დაკავშირებული ქმედებებისათვის დადგენილი ვადები (გარდა შეტანის თარიღის დადგენისა) აითვლება შესაბამისი საფასურის გადახდის დღიდან.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 15. შეტანის თარიღის დადასტურება

1. განაცხადს უდასტურდება შეტანის თარიღი შეტანიდან 2 კვირის განმავლობაში, თუ განაცხადი წარდგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ან მატერიალური ფორმით და შეიცავს დიზაინის გამოსახულებას, განმცხადებლის სახელს/სახელწოდებასა და მიმოწერის მისამართს.

2. იმ შემთხვევაში, თუ დაცულია ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, გამოსახულების ნაცვლად შეიძლება წარდგენილ იყოს პროდუქტის ნიმუში, თუ დიზაინი ორგანზომილებიანია და განმცხადებელი ითხოვს გამოქვეყნების გადადებას.

3. გამოსახულება არ ჩაითვლება წარდგენილად, თუ იგი არ არის მკაფიოდ გამოსახული, რის გამოც შეუძლებელია დიზაინის აღქმა.

4. თუ განაცხადი აკმაყოფილებს ამ მუხლის 1–ელი, მე–2 და მე–3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საქპატენტი განაცხადის შეტანის თარიღს დაუდასტურებს საგანაცხადო მასალების წარდგენის თარიღით.

5. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი, მე–2, მე–3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება, რომლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში იგი ვალდებულია წარადგინოს მოთხოვნილი მასალა. ამ მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში განაცხადის შეტანის თარიღად მიიჩნევა აღნიშნული მოთხოვნის შესრულების თარიღი. წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი შეტანილად არ მიიჩნევა და მიიღება გადაწყვეტილება საგანაცხადო მასალების განუხილველად დატოვების შესახებ.

6. გადაწყვეტილება განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურების ან საგანაცხადო მასალების განუხილველად დატოვების შესახებ ეგზავნება განმცხადებელს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 16. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა

1. საქპატენტი განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას ატარებს განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, მაგრამ არაუადრეს ერთი თვისა განაცხადის წარდგენის თარიღიდან, თუ გადახდილია ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასური.

2. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასური გადაიხდება განაცხადის წარდგენიდან ორი კვირის ვადაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განმცხადებლის მიერ საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში განაცხადზე საქმისწარმოება წყდება.

4. თუ განაცხადი შეიცავს რამდენიმე დიზაინს და ფორმალური ექსპერტიზისათვის გადახდილი საფასური ნაკლებია განაცხადში შემავალი დიზაინებისათვის დადგენილი საფასურის ოდენობაზე, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ, რომლის მიღებიდან ერთი თვის ვადაში განმცხადებელი ვალდებულია გადაიხადოს საფასური სრულად, ან მიუთითოს, რომელი დიზაინები უნდა იყოს განხილული გადახდილი საფასურის ფარგლებში.

5. თუ განმცხადებელი არ შეასრულებს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საქპატენტი ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას ჩაატარებს განმცხადებლის მიერ მითითებული რიგითობის მიხედვით იმდენ დიზაინზე, რამდენისთვისაც საკმარისია გადახდილი საფასური. თუ მოითხოვება საკონვენციო ან/და საგამოფენო პრიორიტეტი, დადგენილი საფასური გადახდილი უნდა იქნეს პრიორიტეტის მოთხოვნიდან 2 კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადს პრიორიტეტი დაუდგინდება საქპატენტში შეტანის თარიღით.

6. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დროს მოწმდება საგანაცხადო მასალების გაფორმების შესაბამისობა კანონის მე-16 მუხლისა და ამ ინსტრუქციის შესაბამისი მუხლების მოთხოვნებთან.

7. თუ საგანაცხადო მასალები არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ, რომლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში იგი ვალდებულია შეავსოს დადგენილი ხარვეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადზე საქმისწარმოება წყდება და გადაწყვეტილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ ეგზავნება განმცხადებელს.

8. მრავლობითი განაცხადის შემთხვევაში, თუ ხარვეზი დაუდგინდა განაცხადში შემავალ რომელიმე დიზაინს (დიზაინებს) და თუ დადგენილ ვადაში არ იქნება ხარვეზი შევსებული, ამ დიზაინის მიმართ შეწყდება საქმისწარმოება.

9. თუ განაცხადი წარდგენილია კანონისა და ამ ინსტრუქციის შესაბამისად, განაცხადს ენიჭება ნომერი, უდასტურდება პრიორიტეტი და მიიღება გადაწყვეტილება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების შესახებ.

10. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გადაწყვეტილება ეგზავნება განმცხადებელს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 17. არსობრივი ექსპერტიზა

1. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულებიდან სამი თვის ვადაში, საქპატენტი ატარებს არსობრივ ექსპერტიზას კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, არსობრივი ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ.

2. არსობრივი ექსპერტიზის საფასური განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ორი კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადზე შეწყდება საქმისწარმოება.

3. თუ განაცხადი შეიცავს რამდენიმე დიზაინს და არსობრივი ექსპერტიზისათვის გადახდილი საფასური ნაკლებია განაცხადში შემავალი დიზაინებისათვის დადგენილი საფასურის ოდენობაზე, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ, რომლის მიღებიდან ერთი თვის ვადაში განმცხადებელი ვალდებულია გადაიხადოს არსობრივი ექსპერტიზის საფასური სრულად, ან მიუთითოს, რომელი დიზაინები უნდა იყოს განხილული არსობრივი ექსპერტიზის დროს.

4. თუ განმცხადებელი არ შეასრულებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირობას, საქპატენტი არსობრივი მოთხოვნების ექსპერტიზას ჩაატარებს რიგითობის მიხედვით იმდენ დიზაინზე, რამდენისთვისაც საკმარისია გადახდილი საფასური.

5. არსობრივი ექსპერტიზის დროს განაცხადის განხილვა შეიძლება შეჩერდეს საქპატენტის მიერ, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ განაცხადით წარდგენილი დიზაინი იდენტურია უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადით წარდგენილი დიზაინისა.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, განაცხადის განხილვა ჩერდება, ვიდრე ბიულეტენში არ გამოქვეყნდება უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადით წარდგენილი დიზაინი, ან თუ უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადს უარი ეთქმევა რეგისტრაციაზე.

7. განაცხადის განხილვის შეჩერების თაობაზე განმცხადებელს ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება.

7[1]. თუ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების შემდეგ, კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მოთხოვნილია პრიორიტეტის უფლების აღდგენა ან, ამ ინსტრუქციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტი, დასაშვებია პრიორიტეტის თარიღის შესწორება და ასახვა არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილებაში.

8. საქპატენტი გადაწყვეტილებას დიზაინის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ უგზავნის განმცხადებელს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2026 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №19 – ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 18. დიზაინის გამოქვეყნება

1. საქპატენტი, კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დიზაინის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში ბიულეტენში აქვეყნებს განაცხადის ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს და დიზაინის გამოსახულებას, თუ განმცხადებლის მიერ გადახდილია შესაბამისი საფასური.

2. გამოქვეყნების საფასური განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს დიზაინის რეგისტრაციის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმისწარმოება შეწყდება.

3. თუ განაცხადი შეიცავს რამდენიმე დიზაინს და გამოქვეყნებისათვის გადახდილი საფასური ნაკლებია განაცხადში შემავალი დიზაინების გამოქვეყნებისათვის დადგენილი საფასურის ოდენობაზე, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ, რომლის მიღებიდან ერთი თვის ვადაში განმცხადებელი ვალდებულია სრულად გადაიხადოს გამოქვეყნების საფასური, ან მიუთითოს, რომელი დიზაინი უნდა გამოქვეყნდეს.

4. თუ განმცხადებელი არ შეასრულებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საქპატენტი რიგითობის მიხედვით გამოაქვეყნებს განაცხადში შემავალ იმდენ დიზაინს, რამდენისთვისაც საკმარისია გადახდილი საფასური.

მუხლი 19. გამოქვეყნების გადადება

1. დიზაინის გამოქვეყნების გადადების მოთხოვნის წარდგენა დასაშვებია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე. გამოქვეყნების გადადების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადას.

1^1. დიზაინის გამოქვეყნების გადადების მოთხოვნის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში გადახდილ უნდა იქნეს დადგენილი საფასური, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა დარჩება განუხილველი.

2. თუ განაცხადს დაუდგინდა რამდენიმე პრიორიტეტი, გამოქვეყნების გადადების ვადა აითვლება ყველაზე ადრინდელი პრიორიტეტიდან.

3. მრავლობითი განაცხადის შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა მიუთითოს, მასში შემავალ რომელ დიზაინზე ითხოვს გამოქვეყნების გადადებას.

4. განაცხადზე, რომელზეც მოითხოვება გამოქვეყნების გადადება, საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონით დადგენილი წესით. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ ინსტრუქციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გამოსახულების ნაცვლად წარმოდგენილია პროდუქტის ნი მუში.

5. თუ დიზაინზე მოითხოვება გამოქვეყნების გადადება, დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ბიულეტენში ქვეყნდება მხოლოდ განმცხადებლის სახელი, განაცხადის შეტანის თარიღი, განაცხადის ნომერი, გამოქვეყნების გადადების ამოწურვის თარიღი და კეთდება აღნიშვნა გამოქვეყნების გადადების შესახებ.

6. დიზაინის, რომელზეც მოითხოვება გამოქვეყნების გადადება, რეგისტრაციის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გამოქვეყნების გადადების ვადის ამოწურვის შემდეგ, განმცხადებლის მიერ შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში, საქპატენტი აქვეყნებს ბიულეტენში განაცხადის მონაცემებს ამ ინსტრუქციის მე-18 მუხლით დადგენილი წესით.

7. განმცხადებელს ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს გამოქვეყნების გადადება და მოითხოვოს დიზაინის გამოქვეყნება.

8. თუ ამ ინსტრუქციის მე-8 მუხლის შესაბამისად წარდგენილია პროდუქტის ნიმუში, განმცხადებელი ვალდებულია, გამოქვეყნების გადადების ვადის ამოწურვამდე ან გამოქვეყნების გადადების გაუქმების მოთხოვნისთანავე წარადგინოს დიზაინის გამოსახულება ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლით დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2026 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №19 – ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 20. საგანაცხადო მასალებში ცვლილებების ან/და შესწორების შეტანა განმცხადებლის მოთხოვნით

1. განაცხადზე საქმისწარმოებისას განმცხადებელს უფლება აქვს საგანაცხადო მასალებში შეიტანოს ცვლილებები ან/და შესწორებები.

2. საგანაცხადო მასალებში ცვლილება ან/და შესწორება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განმცხადებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

3. ცვლილებები ან/და შესწორებები, რომლებიც ეხება დიზაინის გამოსახულებას, პროდუქტის დასახელებას ან/და აღწერილობას, დასაშვებია ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულებამდე, თუ ამ ქმედებით არ იცვლება დიზაინის დაცვის ფარგლები.

4. ცვლილებების ან/და შესწორებების შეტანა, რომელიც ეხება განმცხადებლის, დიზაინერის ან წარმომადგენლის სახელს და მისამართს, დასაშვებია როგორც საქმისწარმოების ეტაპზე, ასევე რეგისტრაციის შემდეგ.

4^1. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში, საქპატენტში წარდგენილ უნდა იქნეს ცვლილების დამადასტურებელი საბუთი. თუ მოთხოვნა წარდგენილია წარმომადგენლის მიერ, წარდგენილ უნდა იქნეს წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებებისა ან/და შესწორებების შეტანა ხორციელდება საფასურის გადახდის გარეშე.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებების ან/და შესწორებების შეტანა განაცხადში ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულებამდე ხდება საფასურის გადახდის გარეშე, ხოლო ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების შემდეგ, შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ.

6^1. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისთვის, საფასური გადახდილ უნდა იქნეს ცვლილების მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა დარჩება განუხილველი.

6^2. როგორც საქმისწარმოების ეტაპზე, ისე რეგისტრაციის შემდეგ, მიმოწერის მისამართის ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში, საფასურის გადახდა არ მოითხოვება.

7. განაცხადში მექანიკური შეცდომების გასწორება ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე ხორციელდება საფასურის გადახდის გარეშე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2026 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №19 – ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 21. დამატებითი მასალების, განაცხადში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანის მოთხოვნა საქპატენტის მიერ

1. საქპატენტი უფლებამოსილია ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე განმცხადებლისგან მოითხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა, განაცხადში ცვლილებების ან/და შესწორებების შეტანა, რომელთა გარეშეც შეუძლებელია განაცხადის განხილვის გაგრძელება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებებისათვის განმცხადებლის მიერ საფასური არ გადაიხდება.

3. განმცხადებელი ვალდებულია საქპატენტის მოთხოვნის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში წარადგინოს შესაბამისი მასალები.

4. შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში, განმცხადებელს უფლება აქვს მოითხოვოს ამ მუხლის მე–3 პუნქტით დადგენილი ვადის გაგრძელება თითო თვით, არა უმეტეს 2 თვისა.

5. განმცხადებლის მიერ წარდგენილი დამატებითი მასალა, რომელიც ავსებს, ცვლის ან აზუსტებს განაცხადს, არ უნდა სცილდებოდეს დიზაინის დაცვის ფარგლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მასალა არ განიხილება, რის შესახებაც განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება.

6. ამ მუხლის 1–ელი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქპატენტს ფორმალური ექსპერტიზის მიმდინარეობის ეტაპზე გამოაქვს გადაწყვეტილება განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო არსობრივი ექსპერტიზის მიმდინარეობის ეტაპზე – გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

7. მრავლობითი განაცხადის შემთხვევაში ამ მუხლის მე–6 პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება ეხებოდეს მასში შემავალ ერთ ან რამდენიმე დიზაინს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 22. განაცხადის განხილვის შეჩერება

1. განმცხადებელს უფლება აქვს დადგენილი საფასურის გადახდის შემთხვევაში, ამ ინსტრუქციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დიზაინის გამოქვეყნებამდე, მოითხოვოს განაცხადის განხილვის შეჩერება თითო თვით, არა უმეტეს 6 თვისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლება არ ვრცელდება განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებისას საქპატენტის მიერ მოთხოვნილი მასალების წარდგენასა და ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული საფასურის გადახდისათვის დადგენილი ვადების გაგრძელებაზე.

3. განაცხადის განხილვის შეჩერების შესახებ, განცხადების წარდგენიდან 1 თვის ვადაში, გადახდილ უნდა იქნეს დადგენილი საფასური. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა განაცხადის განხილვის შეჩერების შესახებ დარჩება განუხილველი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 23. ვადის დარღვევის გამო განაცხადთან დაკავშირებული დაკარგული უფლებების აღდგენა

1. თუ განაცხადზე საქმისწარმოება შეწყვეტილია განმცხადებლის მიერ კანონითა და ამ ინსტრუქციით დადგენილი ვადების დარღვევის გამო, განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს საქმისწარმოების აღდგენა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებით განმცხადებელს შეუძლია ისარგებლოს საქპატენტის მიერ განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან ექვსი თვის ვადაში, საქმისწარმოების შეწყვეტის მიზეზის აღმოფხვრისა და შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში.

3. საქპატენტი საქმისწარმოების აღდგენის შესახებ განცხადებას განიხილავს მიღებიდან 1 თვის ვადაში და თუ იგი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იღებს გადაწყვეტილებას განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენის შესახებ. საქმისწარმოების აღდგენის საფასური გადახდილი უნდა იქნეს აღდგენის შესახებ განცხადების წარდგენიდან 1 თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა დარჩება განუხილველი.

4. საქმისწარმოების შეწყვეტიდან 6 თვის ვადაში საქმისწარმოების აღდგენისათვის გადაიხდება მხოლოდ საქმისწარმოების აღდგენის საფასური. თუ საქმისწარმოება შეწყვეტილია შესაბამისი ქმედებისთვის საფასურის გადაუხდელობის გამო, საქმისწარმოების აღდგენის საფასურთან ერთად, ასევე, გადაიხდება აღნიშნული ქმედებისათვის დადგენილი საფასური.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 24. განაცხადის გამოთხოვა

1. დიზაინის გამოქვეყნებამდე განმცხადებელს უფლება აქვს გამოითხოვოს განაცხადი.

2. საქპატენტს განაცხადის გამოთხოვის შესახებ განცხადების საფუძველზე გამოაქვს

გადაწყვეტილება განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

2^1. განაცხადი გამოთხოვილად მიიჩნევა განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ ჩანაწერის რეესტრში შეტანის დღიდან.

3. განაცხადის გამოთხოვის შემთხვევაში დაუშვებელია განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენა.

4. *მრავლობითი განაცხადის შემთხვევაში ამ მუხლის პირველი, მე-2, 21 და მე-3 პუნქტები შეიძლება ეხებოდეს განაცხადში შემავალ ერთ ან რამდენიმე დიზაინს.*

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2026 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №19 – ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 25. განაცხადის დამოწმებული ასლის მოთხოვნა

1. განმცხადებელს განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურების შემდეგ, უფლება აქვს მოითხოვოს განაცხადის დამოწმებული ასლი.

2. საგანაცხადო მასალების დამოწმებული ასლის მოთხოვნის შესახებ განცხადების საქპატენტში წარდგენიდან ერთი თვის ვადაში გადახდილ უნდა იქნეს დადგენილი საფასური.

3. საგანაცხადო მასალების დამოწმებულ ასლს საქპატენტი გასცემს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდიდან ათი დღის ვადაში.

4. განმცხადებლის მოთხოვნით საქპატენტის მიერ საგანაცხადო მასალების დამოწმებული ასლის გაცემა შესაძლებელია, ასევე, „DAS“-ის მეშვეობით.

5. საგანაცხადო მასალების დამოწმებული ასლის გაცემის საფასურის ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მოთხოვნა დარჩება განუხილველი.

6. დამოწმებული ასლი აისახება ელექტრონულ სისტემაში. მისი მატერიალური ფორმით გაცემა განხორციელდება განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 26. საერთაშორისო დიზაინის ექსპერტიზა

1. კანონის 25-ე მუხლის და ამ ინსტრუქციით დადგენილი წესის შესაბამისად, საქპატენტი საერთაშორისო დიზაინზე ატარებს არსობრივ ექსპერტიზას საერთაშორისო ბიულეტენში დიზაინის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში.

2. კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებაზე უარის თქმის შესახებ

გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, საქპატენტი დიზაინის საერთაშორისო ბიულეტენის გამოქვეყნებიდან 6 თვის განმავლობაში ატყობინებს ამის თაობაზე საერთაშორისო ბიუროს.

3. თუ საერთაშორისო დიზაინი აკმაყოფილებს კანონის 25–ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, საქპატენტს გამოაქვს გადაწყვეტილება საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების თაობაზე და გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში განაცხადის მონაცემებსა და დიზაინის გამოსახულებას აქვეყნებს ბიულეტენში.

4. (ამოღებულია – 25.12.2025, №16).

5. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების თაობაზე საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს კანონის მე–20 მუხლით დადგენილი წესით.

6. თუ კანონის მე–20 მუხლის მე–5 პუნქტით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების თაობაზე არ გასაჩივრდა, საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ძალაში შედის საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან.

6^1. საქპატენტი გადაწყვეტილებას საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების თაობაზე დიზაინის საერთაშორისო ბიულეტენის გამოქვეყნებიდან 6 თვის განმავლობაში აცნობებს საერთაშორისო ბიუროს.

7. თუ კანონის მე–20 მუხლის მე–5 პუნქტით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების ან გავრცელებაზე უარის შესახებ გასაჩივრდა სააპელაციო პალატაში ან სასამართლოში, რის საფუძველზეც სააპელაციო პალატის ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედება გავრცელდა საქართველოს ტერიტორიაზე, რეგისტრაციის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ძალაში შევა საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან.

8. ამ მუხლის მე–6 და მე–7 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინფორმაცია საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების თაობაზე ერთი თვის ვადაში ქვეყნდება ბიულეტენში.

9. (ამოღებულია – 13.09.2021 №4).

9^1. მფლობელის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში, საქპატენტი აგრძელებს საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედებას საქართველოს ტერიტორიაზე და ინფორმაციას რეგისტრაციის მოქმედების გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 თვის ვადაში აქვეყნებს ბიულეტენში.

9^2. საქპატენტს, კანონის 281 მუხლის საფუძველზე, საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების აღდგენის შესახებ ინფორმაცია შეაქვს საქპატენტის ელექტრონულ სისტემაში და აქვეყნებს ბიულეტენში.

10. საქპატენტს ინფორმაცია კანონის 28–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმების შესახებ შეაქვს ელექტრონულ სისტემაში და აქვეყნებს ბიულეტენში.

11. საქპატენტს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების საქართველოს ტერიტორიაზე ბათილად ცნობის შესახებ ინფორმაცია შეაქვს ელექტრონულ სისტემაში, აქვეყნებს ბიულეტენში და აცნობებს საერთაშორისო ბიუროს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 26[1]. საერთაშორისო განაცხადის წარდგენა საქპატენტის მეშვეობით

1. განმცხადებელს უფლება აქვს დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის მიზნით განაცხადი ისმოს საერთაშორისო ბიუროში შეიტანოს საქპატენტის მეშვეობით.

2. საქპატენტის მეშვეობით განაცხადის წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელმა უნდა მიმართოს საქპატენტს შესაბამისი განცხადებით და წარადგინოს საერთაშორისო განაცხადი, რომელიც შედგება სათანადოდ შევსებული ისმოს მიერ დადგენილი (DM/1) განაცხადის ბლანკისგან და დიზაინის გამოსახულებისაგან. თუ განაცხადი წარდგენილია განმცხადებლის წარმომადგენლის მიერ, საგანაცხადო მასალებს უნდა ერთოდეს განმცხადებლის მიერ გაცემული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.

3. წარდგენილი საერთაშორისო განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს ჰააგის შეთანხმების მოთხოვნებს.

4. საქპატენტის მეშვეობით საერთაშორისო განაცხადის წარდგენის შემთხვევაში განაცხადი უნდა შეივსოს ინგლისურ ენაზე და საერთაშორისო ბიუროსთვის გადახდილ უნდა იქნეს ჰააგის შეთანხმებით განსაზღვრული საფასური.

5. საქპატენტის მეშვეობით საერთაშორისო განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, განმცხადებლის სახელზე გაიცემა ცნობა საგანაცხადო მასალების მიღების შესახებ, რომელშიც მიეთითება საგანაცხადო მასალების გვერდების რაოდენობა და წარდგენის თარიღი.

6. საერთაშორისო განაცხადის მიღებიდან ათი დღის ვადაში საქპატენტი ამოწმებს გადახდილი საფასურის ოდენობას და საგანაცხადო მასალების შესაბამისობას ჰააგის შეთანხმების მოთხოვნებთან.

7. თუ საგანაცხადო მასალები არ აკმაყოფილებს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ერთი თვის ვადაში აღნიშნული ხარვეზის შევსების თაობაზე. ამ მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში საგანაცხადო მასალების წარდგენის თარიღად ჩაითვლება ხარვეზის შევსების თარიღი.

8. თუ ამ მუხლის მე–7 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზი არ იქნება შევსებული დადგენილ ვადაში, განცხადება დარჩება განუხილველი.

9. თუ საერთაშორისო განაცხადი აკმაყოფილებს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, საქპატენტი უზრუნველყოფს მის გაგზავნას საერთაშორისო ბიუროში, საერთაშორისო განაცხადის მასალების საქპატენტში წარდგენის ან ხარვეზის შევსების თარიღიდან ერთი თვის ვადაში.

10. საქპატენტი განმცხადებელს აცნობებს საერთაშორისო განაცხადის საერთაშორისო ბიუროში გაგზავნის ფაქტის შესახებ გაგზავნიდან 5 დღის ვადაში.

სსაჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2026 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №19 – ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

თავი IV
დიზაინის რეგისტრაცია

მუხლი 27. დიზაინის რეგისტრაციის და მოწმობის გაცემის წესი

1. განმცხადებლის მიერ საფასურის გადახდის შემთხვევაში, კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად, საქპატენტი არეგისტრირებს დიზაინს რეესტრში. რეგისტრირებულ მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში და გასცემს მოწმობას.

2. დიზაინის რეგისტრაციის საფასურის გადახდის შესახებ შეტყობინება განმცხადებელს საქპატენტის მიერ ეგზავნება კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ერთი თვის ვადაში.

3. რეგისტრაციისა და დიზაინის რეგისტრაციის პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნებისათვის დადგენილი საფასური გადაიხდება ერთდროულად, განმცხადებლისათვის ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში. საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, განაცხადზე საქმისწარმოება წყდება.

4. თუ განაცხადი შეიცავს რამდენიმე დიზაინს, ხოლო რეგისტრაციისათვის და პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნებისათვის გადახდილი საფასური ნაკლებია განაცხადში შემავალი დიზაინების რეგისტრაციისათვის და პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნებისათვის დადგენილი საფასურის ოდენობაზე, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ, რომლის მიღებიდან ერთი თვის ვადაში განმცხადებელი ვალდებულია სრულად გადაიხადოს რეგისტრაციისა და პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნებისათვის დადგენილი საფასური, ან მიუთითოს, რომელი დიზაინი უნდა დარეგისტრირდეს.

5. თუ განმცხადებელი არ შეასრულებს ამ მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საქპატენტი რიგითობის მიხედვით დაარეგისტრირებს განაცხადში შემავალ იმდენ დიზაინს, რამდენისთვისაც საკმარისია გადახდილი საფასური.

6. დიზაინის რეგისტრაციის დღიდან ერთი თვის ვადაში საქპატენტი გასცემს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილ მოწმობას, რომელიც დამოწმებული იქნება ბეჭდით.

6^1. დიზაინის რეგისტრაციის მოწმობის ფორმა მტკიცდება საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

6^2. დიზაინის რეგისტრაციის მოწმობა, მოწმობის დანართთან ერთად, აისახება ელექტრონულ სისტემაში და, განაცხადზე მატერიალური ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მფლობელს გადაეცემა მატერიალური ფორმით, ხოლო ელექტრონული ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მისი მატერიალური ფორმით გაცემა განხორციელდება მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან/მოწმობის გაცემიდან 5 დღის ვადაში.

7. საქპატენტი აქვეყნებს მონაცემებს იმ დიზაინების შესახებ, რომლებიც იყო გამოქვეყნებული, მაგრამ არ დარეგისტრირდა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 27^1. დიზაინის დაჩქარებული რეგისტრაცია

1. დიზაინის დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურა ხორციელდება კანონის 22–ე მუხლით და ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით.

2. განაცხადს დაჩქარებული რეგისტრაციის მოთხოვნით უდასტურდება შეტანის თარიღი და მისი ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება განაცხადის შეტანიდან სამი დღის ვადაში, თუ გადახდილია დაჩქარებული რეგისტრაციისათვის დადგენილი შესაბამისი საფასური.

3. თუ განაცხადი წარდგენილია კანონისა და ამ ინსტრუქციით დადგენილი წესების დაცვით, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების შესახებ.

4. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს კანონის 22–ე მუხლის მე–5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ და ხარვეზის შესავსებად ეძლევა შეტყობინების ჩაბარებიდან 15 დღე. თუ აღნიშნულ ვადაში განმცხადებელი არ შეავსებს გამოვლენილ ხარვეზს, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ და განაცხადს განიხილავს კანონითა და ამ ინსტრუქციის მე–3 თავით დადგენილი წესით.

5. ამ მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ საქპატენტის მიერ გამოტანილ იქნება გადაწყვეტილება დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ, განმცხადებელს შესაბამისი განცხადების საფუძველზე, უბრუნდება დაჩქარებული რეგისტრაციისათვის გადახდილი საფასურის 50%.

6. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულებიდან 7 დღის ვადაში საქპატენტი

ატარებს არსობრივ ექსპერტიზას კანონის მე–17 მუხლის შესაბამისად, რის შედეგადაც იღებს გადაწყვეტილებას დიზაინის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

7. საქპატენტი, დიზაინის გამოქვეყნებისა და რეგისტრაციისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შემთხვევაში, არეგისტრირებს დიზაინს რეესტრში, რეგისტრირებული დიზაინის შესახებ მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში და გასცემს მოწმობას დაჩქარებული რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში ამ ინსტრუქციის 27–ე მუხლის 6–6^2 პუნქტებით განსაზღვრული წესით.

8. კანონის 22–ე მუხლის მე–8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაჩქარებული რეგისტრაციისათვის გადახდილი საფასური უკან არ ბრუნდება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 27^2. წინასწარი ძიება

1. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მიმართოს საქპატენტს წინასწარი ძიების მომსახურების მისაღებად, რათა დადგინდეს, არის თუ არა კონკრეტული დიზაინის იდენტური დიზაინი დაცული საქართველოში საქპატენტში რეგისტრაციის ან დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების გავრცელების გზით.

2. წინასწარი ძიების მომსახურების მისაღებად, 1 განცხადებით საქპატენტში წარდგენილი უნდა იყოს მხოლოდ 1 საძიებო დიზაინის გამოსახულება (გამოსახულებები) და გადახდილი უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი საფასური.

3. წინასწარი ძიების საფასური გადახდილი უნდა იქნეს მოთხოვნის წარდგენიდან 1 თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა დარჩება განუხილველი.

4. წინასწარი ძიების ჩატარებისას საქპატენტი ითვალისწინებს როგორც საქპატენტში შეტანილ დიზაინებს, რომელთა მონაცემებიც უკვე გამოქვეყნებულია ბიულეტენში, ისე საერთაშორისო ბიუროს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უფლებების გავრცელების მოთხოვნით რეგისტრირებულ დიზაინებსაც.

5. წინასწარი ძიების შედეგებს საქპატენტი განმცხადებელს უგზავნის დადგენილი საფასურის გადახდიდან 10 დღის ვადაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 27^3. შეცვლილი ფორმით რეგისტრაცია

კანონის მე–20 მუხლის 42 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამავე მუხლის 41 პუნქტის, 221 მუხლის მე–7 პუნქტისა და 29–ე მუხლის მე–11 პუნქტის შესაბამისად, მონაცემები დიზაინის შეცვლილი ფორმით რეგისტრაციის თაობაზე შეიტანება რეესტრში და გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში ქვეყნდება ბიულეტენში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 28. საფასურის გადახდის წესი

1. თუ კანონით ან ამ ინსტრუქციით სხვა რამ არ არის დადგენილი, საფასურის გადახდა უნდა მოხდეს საქპატენტის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

2. განმცხადებლის, დიზაინის მფლობელის, ან/და მესამე პირის მოთხოვნის საფუძველზე, საქპატენტის მიერ კანონით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისათვის საფასურის გადახდა ხდება ასეთი ქმედების მოთხოვნით საქპატენტისთვის მიმართვიდან ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა დარჩება განუხილველი.

3. საფასურის გადახდისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება არ დაიშვება, გარდა ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. იმ შემთხვევაში, თუ საფასური გადახდილია ისეთი ქმედებისთვის, რომელიც არ შესრულდა, შესაბამისი განცხადების საფუძველზე საქპატენტი აბრუნებს გადახდილ თანხას.

5. თუ განაცხადი შეტანილია რამდენიმე განმცხადებლის მიერ, რომელთაგან ერთ–ერთზე არ ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საფასურებთან დაკავშირებული შეღავათი, შესაბამისი ქმედებისთვის საფასური გადაიხდება შეღავათის გარეშე.

6. თუ განაცხადი შეტანილია რამდენიმე განმცხადებლის მიერ და მათზე ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის შეღავათი, შესაბამისი ქმედებისათვის გადაიხდება ის საფასური, რომლისთვისაც გათვალისწინებულია უფრო დაბალპროცენტიანი შეღავათი.

7. საფასურის გადახდა უნდა მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორებით, საქპატენტის სახაზინო ანგარიშზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 29 (ამოღებულია)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 30. დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელება და რეგისტრაციის ძალის შენარჩუნების საფასური

1. დიზაინის რეგისტრაცია შეიძლება გაგრძელდეს მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ხუთწლიანი პერიოდით. დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების ვადას აგრძელებს საქპატენტი, დიზაინის მფლობელის მიერ საქპატენტში წარდგენილი განცხადების საფუძველზე, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდგომ.

1^1. ამ მუხლის 1–ელ პუნქტში მითითებული მოთხოვნა უნდა შეიცავდეს მფლობელის სახელს/სახელწოდებას, დიზაინის რეგისტრაციის ნომერს, ხოლო თუ რეგისტრაცია შეიცავს ერთზე მეტ დიზაინს, იმ დიზაინების მითითებას, რომელთათვისაც მოითხოვება რეგისტრაციის გაგრძელება.

1[2]. განმცხადებლის მიერ რეგისტრაციის მოქმედების გაგრძელების საფასურის გადახდა მიიჩნევა რეგისტრაციის გაგრძელების მოთხოვნად, თუ საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში ასახული იქნება 11 პუნქტში მითითებული ყველა მონაცემი.

2. ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული მოთხოვნის საქპატენტში წარდგენა და შესაბამისი საფასურის გადახდა ხდება მიმდინარე 5-წლიანი პერიოდის მე-5 წლის განმავლობაში.

3. მიმდინარე ხუთწლიანი პერიოდის ამოწურვამდე 3 თვით ადრე საქპატენტი უფლებამოსილია, მფლობელს, დამატებითი ინფორმირების სახით, გაუგზავნოს შეტყობინება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საფასურის გადახდის მოთხოვნით. მფლობელისათვის აღნიშნული შეტყობინების ჩაუბარებლობა არ ახდენს გავლენას დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების გაუქმების გადაწყვეტილებაზე.

4. შემდგომი ხუთწლიანი პერიოდით რეგისტრაციის მოქმედების გაგრძელებისათვის გათვალისწინებული საფასური გადახდილ უნდა იქნეს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული განცხადების საქპატენტში შეტანიდან ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა დარჩება განუხილველი.

5. მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ხუთწლიანი პერიოდებისათვის დიზაინის რეგისტრაციის ძალის შენარჩუნების საფასურის ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მფლობელს საფასურის გადახდისათვის ეძლევა ექვსთვიანი საშეღავათო პერიოდი, რომელიც მოიცავს დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების მიმდინარე ხუთწლიანი პერიოდის ამოწურვის თარიღიდან მომდევნო ექვს თვეს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საშეღავათო პერიოდის განმავლობაში მფლობელის მიერ საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში დიზაინის რეგისტრაცია უქმდება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2026 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №19 – ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 30[1]. დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენა ვადის დაუცველობის/ დარღვევის შემთხვევაში

1. დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნა საქპატენტს წარედგინება კანონის 281 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში.

2. დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის დადგენილი ვადის დაუცველობის/ დარღვევის მიზეზი და მოთხოვნას თან უნდა ერთოდეს ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები. დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნა ხელმოწერილი უნდა იყოს დიზაინის მფლობელის მიერ.

3. დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენისთვის გადაიხდება კანონმდებლობით დადგენილი

საფასური. საფასურის გადახდა დასაშვებია დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა. საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნა დარჩება განუხილველი.

4. თუ დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნა არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ და მის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება ვადა არაუმეტეს 10 დღისა.

5. განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნის განუხილველად დატოვების თაობაზე.

6. თუ დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნა აკმაყოფილებს ამ მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არსებობს დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, საქპატენტი განმცხადებელს განუსაზღვრავს 10 დღეს საკუთარი მოსაზრებების წარმოსადგენად. აღნიშნულ ვადაში განმცხადებლის მიერ მოსაზრებების წარმოუდგენლობის შემთხვევაში საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

7. ამ მუხლის მე–4 და მე–6 პუნქტებით განსაზღვრულ ვადაში საქპატენტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე, ან აღნიშნული ვადის ამოწურვამდე, განაცხადის განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

8. საქპატენტი დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენის შესახებ მოთხოვნაზე გადაწყვეტილებას იღებს დიზაინის მფლობელის უფლების აღდგენისთვის დადგენილი საფასურის გადახდიდან 10 დღის ვადაში.

9. საქპატენტს გადაწყვეტილება რეგისტრაციის მოქმედების აღდგენის შესახებ შეაქვს საქპატენტის ელექტრონულ სისტემაში და აქვეყნებს ბიულეტენში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2026 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №19 – ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 31 (ამოღებულია)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 32. ქმედებები რეესტრში

1. დიზაინის მფლობელს უფლება აქვს, სათანადო განცხადების წარდგენით შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში, მოითხოვოს რეესტრში ცვლილების შეტანა. ცვლილება შეიძლება ეხებოდეს დიზაინერის, მფლობელის ან მისი წარმომადგენლის სახელსა და/ან მისამართს. დიზაინერის ან მფლობელის სახელის და/ან მისამართს ცვლილებისათვის დადგენილი საფასური გადახდილი უნდა იქნეს განცხადების წარდგენიდან 1 თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა დარჩება განუხილველი.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში საქპატენტში წარდგენილ უნდა იქნეს ცვლილების დამადასტურებელი საბუთი. იმ შემთხვევაში, თუ განცხადება წარდგენილია წარმომადგენლის მიერ, საქპატენტს უნდა წარედგინოს მფლობელის მიერ გაცემული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.

3. წარმომადგენლის ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებელია მფლობელის მიერ გაცემული, ახალი წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის წარდგენა.

4. უფლებების გადაცემის, ლიცენზიის, ან გირავნობის ხელშეკრულებების რეგისტრაციის მოთხოვნით საქპატენტისთვის მიმართვის შემთხვევაში წარდგენილ უნდა იქნეს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, თუ განცხადება წარდგენილია წარმომადგენლის მიერ, ხელშეკრულებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს ერთ-ერთი მხარის მიერ გაცემული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ქმედებების რეესტრში ასახვისათვის, დადგენილი საფასური გადახდილ უნდა იქნეს მიმართვიდან ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა დარჩება განუხილველი.

6. ყადაღის რეგისტრაციის მოთხოვნით საქპატენტისთვის მიმართვის შემთხვევაში წარდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ორგანოს ან სასამართლოს მიერ გაცემული საბუთი.

7. თუ წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, მფლობელს ეგზავნება შეტყობინება ერთი თვის ვადაში ხარვეზის შევსების შესახებ. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მფლობელის განცხადება რჩება განუხილველი.

8. საქპატენტს შესაბამისი ცვლილებები მიმართვიდან ერთი თვის ვადაში შეაქვს რეესტრში და აქვეყნებს ბიულეტენში.

9. დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების გაგრძელების, გაუქმების, ან ბათილად ცნობის შემთხვევაში, საქპატენტს შესაბამისი ცვლილებები შეაქვს რეესტრში და აქვეყნებს ბიულეტენში.

10. ამ მუხლის 1-ელი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, რეესტრში განხორციელებული ცვლილების შემთხვევაში გაიცემა მოწმობის დანართი. დანართი იბეჭდება საქპატენტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებულ ბლანკზე, რომელსაც ხელს აწერს საქპატენტის თავმჯდომარე და დასტურდება ბეჭდით. მოწმობის დანართი აისახება ელექტრონულ სისტემაში და, განცხადებაზე მატერიალური ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მფლობელს გადაეცემა მატერიალური ფორმით, ხოლო ელექტრონული ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მისი მატერიალური ფორმით გაცემა განხორციელდება მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 33. დუბლიკატის გაცემა

1. დიზაინის მფლობელის ან მისი წარმომადგენლის მიერ საქპატენტისთვის განცხადებით მიმართვისა და შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში, დასაშვებია გაიცეს დიზაინის მოწმობის დუბლიკატი.

2. დუბლიკატი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიზაინის რეგისტრაცია ძალაშია.

3. თუ განცხადება წარდგენილია წარმომადგენლის მიერ, განცხადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს ასევე მფლობელის მიერ გაცემული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.

4. დიზაინის მოწმობის დუბლიკატის მოთხოვნისათვის დადგენილი საფასური გადახდილ უნდა იქნეს მიმართვიდან ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

5. საქპატენტი დუბლიკატს გასცემს შესაბამისი საფასურის გადახდიდან ათი დღის ვადაში.

6. დიზაინის მოწმობის დუბლიკატი გაიცემა 27-ე მუხლის 61 პუნქტით განსაზღვრული ფორმით ამ დუბლიკატის გაცემის პერიოდისათვის რეესტრში არსებული მონაცემების შესაბამისად და ზედა მარჯვენა კუთხეში დასტურდება შტამპით „დუბლიკატი“.

7. დუბლიკატი აისახება ელექტრონულ სისტემაში და, განცხადებაზე მატერიალური ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მფლობელს გადაეცემა მატერიალური ფორმით, ხოლო ელექტრონული ფორმით საქმისწარმოების შემთხვევაში, მისი მატერიალური ფორმით გაცემა განხორციელდება მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

მუხლი 34. ამონაწერი რეესტრიდან

1. ნებისმიერ პირს, საქპატენტისთვის განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, უფლება აქვს მოითხოვოს ამონაწერი რეესტრიდან.

2. რეესტრიდან ამონაწერის მისაღებად გადაიხდება კანონმდებლობით დადგენილი საფასური. საფასური გადახდილ უნდა იქნეს საქპატენტში მოთხოვნის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

3. ამონაწერი გაიცემა საფასურის გადახდიდან 10 დღის ვადაში უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და აისახება მონაცემთა ბაზაში ელექტრონული ფორმით, ხოლო მატერიალური ფორმით გაიცემა განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში.

4. ამონაწერი რეესტრიდან უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
   ა) განაცხადის ნომერს;
   ბ) განაცხადის შეტანის თარიღს;
   გ) რეგისტრაციის ნომერს;
   დ) დიზაინის მფლობელ(ებ)ის სახელს და გვარს (სახელწოდებას);
   ე) წარმომადგენლის სახელს და გვარს (სახელწოდებას);

ვ) დიზაინერ(ებ)ის სახელს და გვარს;

ზ) საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსს; თ) პროდუქტის დასახელებას;

ი) პრიორიტეტის მონაცემებს; კ) დიზაინის გამოსახულებას;

ლ) ბიულეტენში განაცხადის გამოქვეყნების ნომერს და თარიღს;

მ) ბიულეტენში რეგისტრაციის გამოქვეყნების ნომერს და თარიღს;

ნ) რეგისტრაციის მოქმედების დაწყების თარიღს;

ო) რეგისტრაციის სტატუსს;

პ) რეგისტრაციის მოქმედების მიმდინარე ხუთწლიანი პერიოდის ამოწურვის თარიღს;

ჟ) ინფორმაციას რეესტრში განხორციელებული ცვლილებების, უფლებების გადაცემის, ლიცენზიის გაცემის, გირავნობის, ყადაღის და სხვა ქმედებების შესახებ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №4 – ვებგვერდი, 14.09.2021 წ.

თავი V

დიზაინის ხელახალი ექსპერტიზა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 35. ხელახალი ექსპერტიზის მოთხოვნის უფლება

1. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების ვადის განმავლობაში მოითხოვოს ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მიზნით.

2. დაინტერესებული მხარის მიერ დიზაინზე ხელახალი ექსპერტიზა ასევე შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დიზაინის რეგისტრაციის გაუქმების ან რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგაც.

3. ხელახალი ექსპერტიზის ჩატარებაზე დაინტერესებულ მხარეს უარი ეთქმება, თუ აღნიშნული დიზაინის თაობაზე მიმდინარეობს სასამართლო დავა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 36. განცხადება ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე

1. განცხადება ხელახალი ექსპერტიზის შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) განცხადების წარმდგენი პირის სახელს/სახელწოდებას, პირად ნომერს/საიდენტიფიკაციო ნომერს (მისი არსებობის შემთხვევაში), მისამართსა და სხვა საკონტაქტო ინფორმაციას;

ბ) დიზაინის რეგისტრაციის ნომერს და სხვა მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას იმ

რეგისტრაციის შესახებ, რომლისთვისაც მოითხოვება ხელახალი ექსპერტიზა;

გ) თუ რეგისტრაცია შეიცავს რამდენიმე დიზაინს, დიზაინის ნომერს, რომლისთვისაც მოითხოვება ხელახალი ექსპერტიზა.

2. განცხადებას უნდა ერთოდეს კანონის 221 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული საბუთები.

3. თუ ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა წარმომადგენელმა, მას უნდა ერთოდეს განმცხადებლის მიერ გაცემული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა). მინდობილობა ფორმდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ის არის შედგენილი. საქართველოს ტერიტორიაზე ფიზიკური პირის მიერ გაცემული მინდობილობა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ორგანიზაციის მიერ გაცემული მინდობილობა დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 37. განცხადების საგანი

1. ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნა შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ერთ რეგისტრაციას.

2. თუ რეგისტრაცია შეიცავს რამდენიმე დიზაინს, განცხადება ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე შეიძლება ეხებოდეს მასში შემავალ ერთ ან რამდენიმე დიზაინს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 38. საფასურის გადახდა და წარდგენის ფორმა

1. ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე განცხადების საქპატენტში წარდგენიდან 2 კვირის ვადაში გადახდილი უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი საფასური, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

2. განცხადების წარდგენა შესაძლებელია როგორც მატერიალური ფორმით, ისე საქპატენტის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

3. განცხადების ელექტრონული ფორმით წარდგენისას განმცხადებელს ყველა სახის დოკუმენტი ეგზავნება საქპატენტის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ხოლო მისთვის ჩაბარებულად ითვლება ელექტრონულ სისტემაში ასახვისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 39. საექსპერტო კოლეგიის შექმნა

1. საქპატენტის თავმჯდომარე, განმცხადებლის მიერ ამ ინსტრუქციის 38–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ბრძანებით ქმნის საექსპერტო კოლეგიას (შემდგომ – კოლეგია) ხელახალი ექსპერტიზის ჩასატარებლად.

2. კოლეგია შედგება 3 წევრისგან, რომელთაგან 2 წევრი უნდა იყოს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის თანამშრომელი.

3. კოლეგიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც:

ა) არის დაინტერესებული მხარის ან/და მისი წარმომადგენლის ნათესავი;

ბ) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;

გ) დაინტერესებულ მხარესთან აკავშირებს საერთო უფლებები ან ვალდებულებები;

დ) მონაწილეობდა განაცხადზე ექსპერტიზის ჩატარებაში ან/და გადაწყვეტილების მიღებაში.

4. კოლეგიას ჰყავს მდივანი, რომელიც ინიშნება საქპატენტის იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომელთაგან. კოლეგიის მდივანი უზრუნველყოფს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული კორესპონდენციის, ასევე, კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებ(ებ)ის მხარეებთან გაგზავნას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2026 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №19 – ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 40. მხარეების ინფორმირება და ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება

1. ამ ინსტრუქციის 35–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას საქპატენტი განსახილველად მიღებისთანავე უგზავნის დიზაინის მფლობელს და წერილობითი შეპასუხებისთვის განუსაზღვრავს განცხადების ჩაბარებიდან 2–კვირიან ვადას.

2. ამ მუხლის 1–ელი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში კოლეგია ატარებს ხელახალ ექსპერტიზას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2026 წლის 14 აგვისტოს ბრძანება №19 – ვებგვერდი, 14.08.2026 წ.

მუხლი 41. გადაწყვეტილება და მისი გამოქვეყნება

1. ხელახალი ექსპერტიზის შედეგების საფუძველზე, კოლეგია საქპატენტის სახელით იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციის ბათილად ცნობაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ.

2. საქპატენტი რეგისტრაციის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ ინფორმაციას გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში აქვეყნებს ბიულეტენში და არეგისტრირებს რეესტრში.

3. თუ საქპატენტის გადაწყვეტილება რეგისტრაციის სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის ან სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქპატენტი ბიულეტენში აქვეყნებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია, ხოლო რეესტრში აკეთებს მითითებას ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ.

4. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე, ამავე გადაწყვეტილების შესაბამისად, საქპატენტი ბიულეტენში აქვეყნებს ინფორმაციას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №16 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

განცხადება
დიზაინის რეგისტრაციისათვის

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5
ტელ: (+995322)252533

☐ დაჩქარებული პროცედურით

გთხოვთ, წარმოდგენილი დიზაინი დაარეგისტრიროთ ჩემს სახელზე

71 **განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი**

მისამართი:

ტელეფონი: ელ. ფოსტა:

☐ სხვა განმცხადებლები (იბეჭდება დამატებით ფურცელზე. იხ. დანართი)

გთხოვთ დაადგინოთ დიზაინის პრიორიტეტი:

☐ საქპატენტში შეტანის თარიღით
☐ პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში პირველი განაცხადის შეტანის თარიღით
☐ გამოფენაზე ექსპონატის წარდგენის თარიღით
☐ საქპატენტში ადრინდელი განაცხადის შეტანის თარიღით (მიეთითება განაცხადების გაერთიანების ან გაყოფის შემთხვევაში)

31 **პირველი განაცხადის ნომერი**	32 **პირველი განაცხადის შეტანის თარიღი**	33 **პირველი განაცხადის მიმღები ქვეყნის (უწყების) კოდი**

23 **გამოფენის სახელი და წარდგენის თარიღი**	**ადრინდელი განაცხადის (განაცხადების) საქმის ნომერი და შეტანის თარიღი:**

☐ დიზაინის შექმნა უკავშირდება შეკვეთის შესრულებას
☐ დიზაინის შექმნა უკავშირდება სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას

54 **პროდუქტის დასახელება**	28 **დიზაინების რაოდენობა**
	51 **საერთაშორისო კლასი**

98 **განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:**
ადრესატის სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი

მისამართი:

ტელეფონი: ფოსტა:

(74) **წარმომადგენელი:** სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი მისამართი: ტელეფონი: ფოსტა:
(72) **დიზაინერი:** სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი მისამართი: ტელეფონი: ფოსტა: ☐ სხვა დიზაინერები (იბეჭდება დამატებით ფურცელზე. იხ. დანართი)
☐ **გამოქვეყნების გადადება** (გამოქვეყნების გადადების მოთხოვნილი ვადა თვეებში, არა უმეტეს 30 თვისა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღიდან)

თანმხლები საბუთების ნუსხა:	**გამოსახულების ან ფურცლების რაოდენობა**
☐ დიზაინის გამოსახულება	
☐ დიზაინის გამოსახულების ელექტრონული ვერსია	
პროდუქტის ნიმუში, ორგანზომილებიანი (გამოქვეყნების გადადების მოთხოვნის შემთხვევაში)	
☐ აღწერილობა	
☐ უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი	
☐ წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი	
☐ პირველი განაცხადის დამოწმებული ასლი	
☐ სხვა საბუთი	

განმცხადებლის ხელმოწერა:	**წარმომადგენლის ხელმოწერა:**
სახელი:	სახელი:
გვარი:	გვარი:
ხელმოწერა:	ხელმოწერა:
თარიღი:	თარიღი:

საქართველოს კანონი
საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი არეგულირებს:
ა) იმ საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას და გამოყენებისას (საავტორო უფლებები);
ბ) შემსრულებლის, ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს (შემდგომში – მომიჯნავე უფლებები);
გ) მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 2. საერთაშორისო ხელშეკრულებები

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებათა წესები.

მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ვრცელდება:
ა) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მონაცემთა ბაზაზე, რომლებზედაც უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე, და იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ადგილსამყოფელი საქართველოს ტერიტორიაზე;
ბ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, მონაცემთა ბაზაზე, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა საქართველოს ტერიტორიაზე. ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა ასევე ჩაითვლება საქართველოში პირველად გამოქვეყნებულად, თუ უცხო ქვეყანაში პირველი გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში ისინი გამოქვეყნდა საქართველოს ტერიტორიაზე;
გ) შესრულებაზე, რომელიც პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე; შესრულებაზე, რომელიც ჩაწერილია ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად; შესრულებაზე, რომელიც არ არის ჩაწერილი ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, მაგრამ ჩართულია მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემაში, რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად;
დ) საზოგადოებრივი მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებზე, აგრეთვე სხვა მაუწყებლის გადაცემაზე, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო მაუწყებლობის ლიცენზია ან გაიარა ავტორიზაცია და რომელიც გადასცემს გადაცემას საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული

გადამცემებით, ეთერის, კაბელის ან სხვა, ანალოგიური საშუალების გამოყენებით;
ე) არქიტექტურულ ნაწარმოებებზე, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც ჩართულია შემადგენელ ნაწილად საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ არქიტექტურულ ნაწარმოებში, მიუხედავად მათი ავტორების მოქალაქეობისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა;
ვ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც დაცულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2015 წლის 12 ივნისის კანონი №3694 – ვებგვერდი, 15.06.2015წ.

მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
ა) „ავტორი" – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ–შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები;
ბ) „აუდიოვიზუალური ნაწარმოები" – ნაწარმოები, რომელიც შედგება თანამიმდევრული გამოსახულებებისაგან ხმის თანხლებით ან/და უამისოდ, ქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას და შეიძლება აღქმულ იქნეს მხედველობით ან/და სმენით. აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს მიეკუთვნება კინემატოგრაფიული და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელე–, ვიდეო–, დიაფილმები და სხვა);
გ) „აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი (პროდიუსერი)" – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა ასეთი ნაწარმოების დამზადებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლად მიიჩნევა ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ნაწარმოებზე;
დ) საჯარო გაცნობა – ნებისმიერი მოქმედება (გამოქვეყნების გარდა), რომლის შედეგადაც უშუალოდ ან ტექნიკური საშუალებით ნაწარმოები, შესრულება, ფონოგრამა, ვიდეოგრამა, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა ან მონაცემთა ბაზა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა;
ე) გამოცემა – ავტორის, საავტორო ან მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელის, მონაცემთა ბაზის დამამზადებლის თანხმობით ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება გაყიდვის ან გაქირავების ანდა ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით იმ რაოდენობით, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებს;
ვ) „გაქირავება" – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ორიგინალის ან ასლის ხელმისაწვდომობა დროის განსაზღვრულ პერიოდში სარგებლობისათვის მოგების მიღების მიზნით;
ზ) „ვიდეოგრამა" – გამოსახულებათა თანამიმდევრობის ჩანაწერი რაიმე ობიექტური ფორმით, ხმის თანხლებით ან უამისოდ;
თ) „ვიდეოგრამის დამამზადებელი (პროდიუსერი)" – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა გამოსახულებათა თანამიმდევრობის პირველი ჩანაწერის ხმის თანხლებით ან უამისოდ განხორციელებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, ვიდეოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა

ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან/და დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ვიდეოგრამაზე ან/და მის ფუტლარზე;
ი) კაბელით გადაცემა – საზოგადოების მიერ მიღების მიზნით ხმის ან/და გამოსახულების გადაცემა სადენით, ოპტიკური ბოჭკოს ან სხვა ანალოგიური საშუალებით;
ი[1]) კაბელით ხელახალი გადაცემა – სადენით ან საჰაერო გზით, სატელიტური კავშირის ჩათვლით, საზოგადოებისთვის განკუთვნილი ტელე- და რადიოპროგრამების საწყისი გადაცემის ერთდროულად, შეუწყვეტლად და შეუკვეცავად ხელახალი გადაცემა კაბელით ან მიკროტალღური სისტემის მეშვეობით;
კ) „კომპიუტერული პროგრამა" – ინსტრუქციათა ერთობლიობა სიტყვების, კოდების, სქემების ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით, რომელიც საშუალებას იძლევა აამოქმედოს კომპიუტერი განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. ტერმინი მოიცავს კომპიუტერული პროგრამის დიზაინის მოსამზადებელ მასალას;
ლ) ეთერში გადაცემა – საზოგადოების მიერ მიღების მიზნით ხმის ან/და გამოსახულების გადაცემა უსადენო კავშირგაბმულობით, მათ შორის, თანამგზავრის მეშვეობით (თანამგზავრი – ყველა თანამგზავრი, რომელიც მუშაობს ტელესაკომუნიკაციო წესების შესაბამისად საზოგადოებისათვის მისაწოდებელი სამაუწყებლო სიგნალებისათვის განკუთვნილ სიხშირეთა დიაპაზონში; თანამგზავრის მეშვეობით გადაცემა – მაუწყებლობის ორგანიზაციის კონტროლისა და პასუხისმგებლობის პირობებში პროგრამების მატარებელი სიგნალების მიღება; საზოგადოებისათვის განკუთვნილი პროგრამები მიიღება კავშირის უწყვეტი ჯაჭვის სახით – ზევით სატელიტისა და ქვევით დედამიწის მიმართულებით); კოდირებული სიგნალების გადაცემა წარმოადგენს ეთერში გადაცემას, თუ დეკოდირების საშუალებები საზოგადოებას მიეწოდება საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ ან მისი თანხმობით;
მ) მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა – საზოგადოების მიერ მისაღებად განკუთვნილი ხმის ან/და გამოსახულების ერთობლიობა, რომელიც გადაიცემა ეთერში ან კაბელით;
ნ) მონაცემთა ბაზა – სისტემური ან მეთოდური წესით განლაგებული ნაწარმოებების ან/და სხვა მონაცემებისა და მასალის კრებული, რომელიც ინდივიდუალურად ხელმისაწვდომია ელექტრონული ან სხვა საშუალებებით. ტერმინი არ გულისხმობს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საშუალებებით ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოყენების დროს;
ო) რეპროდუცირება – ნაწარმოების, მომიჯნავე უფლების ობიექტის ან მონაცემთა ბაზის პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან მისი ნაწილის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მათ შორის, ხმისა და ვიდეოჩანაწერის ფორმით. რეპროდუცირებად ასევე ჩაითვლება ჩაწერა დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით;
ო[1]) დროებითი ასლი – ნაწარმოების, შესრულების ჩანაწერის, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მონაცემთა ბაზის ან მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის ჩანაწერის შემთხვევითი ან აუცილებელი დროებითი ასლი, რომელიც წარმოადგენს ტექნიკური პროცესის აუცილებელ და მნიშვნელოვან ნაწილს; დროებითი ასლის შექმნის ერთადერთი მიზანია უზრუნველყოს ობიექტის ქსელში გადაცემა მესამე პირებს შორის ნაწარმოების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების შუალედური ან კანონიერი გამოყენებისას და ასეთ დროებით ასლს არ აქვს დამოუკიდებელი კომერციული მნიშვნელობა;
პ) რეპროგრაფიული გამრავლება (ასლის გადაღება) – წერილობითი ან გრაფიკული საშუალებით გამოხატული ნაწარმოების, მონაცემების ან სხვა მასალის ორიგინალის ან ასლის ფაქსიმილური რეპროდუცირება ნებისმიერი ზომით, ფოტოკოპირების ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

რეპროგრაფიულ გამრავლებად არ ჩაითვლება ჩაწერა ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით;
პ[1]) მისაწვდომი ფორმატი — მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ბეჭდური ნაწარმოების ალტერნატიული საშუალებით ან ფორმით რეპროდუცირების შედეგი, რომელიც ბენეფიციარისთვის აღნიშნული ნაწარმოების ამ მუხლის „შ“ ქვეპუნქტში მითითებული დარღვევის არმქონე პირის თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. მისაწვდომი ფორმატი არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარის ან ავტორიზებული პირის მიერ დამხმარე საშუალების გამოყენებას ან/და სხვაგვარ ხელშეწყობას;
ჟ) საჯარო გადაცემა – ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მონაცემთა ბაზის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით (გარდა ნაწარმოების ან ფონოგრამის ასლების გავრცელებისა) ისე, რომ გადაცემის გამოსახულება ან/და ხმა შესაძლებელია აღიქვან პირებმა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, იმ ადგილზე (ადგილებზე), რომელიც იმდენადაა დაშორებული გადაცემის ადგილიდან, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება ან/და ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მიღების ადგილზე (ადგილებზე), მათ შორის, გადაიცეს ისე, რომ საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტები, მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან;
რ) „საჯარო შესრულება” – ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის წარმოდგენა დეკლამაციის, თამაშობის, სიმღერის, ცეკვის ან სხვა სახით, უშუალოდ (ცოცხალი შესრულება) ან ნებისმიერი მოწყობილობის მეშვეობით, ადგილზე (ადგილებზე), სადაც საჯარო შესრულება შეიძლება აღქმულ იქნეს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო შესრულებად ითვლება ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანამიმდევრობით;
ს) საჯარო ჩვენება – ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დემონსტრირება უშუალოდ ან ეკრანზე ფირის, სლაიდის, კადრის ან სხვა ტექნიკური საშუალების მეშვეობით, რასაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო ჩვენებად ჩაითვლება ცალკეული კადრების ჩვენება თანამიმდევრობის გარეშე;
ტ) ტექნოლოგიური საშუალება – ნებისმიერი ტექნოლოგია, მოწყობილობა ან მისი კომპონენტი, რომელთა ნორმალურად ფუნქციონირების დროს აღკვეთილია ან იზღუდება მოქმედებები, რომლებიც არ არის ნებადართული საავტორო ან სხვა უფლებების მფლობელის მიერ; ტექნოლოგიური საშუალება ქმედითად ჩაითვლება, თუ დაცული ნაწარმოების ან სხვა ობიექტის გამოყენებისას უფლებათა მფლობელი მასთან წვდომას აკონტროლებს იმ პროცესების მეშვეობით (დაშიფრვის, კოპირების შეზღუდვისა და სხვა გზით), რომლებიც ემსახურება დაცვის მიზანს;
ტ[1]) ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლა – მოწყობილობის ან მისი კომპონენტის ან/და სხვა საშუალებების გამოყენება ტექნოლოგიური საშუალებების ნეიტრალიზაციისათვის;
უ) უფლების მართვის ინფორმაცია – ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის საშუალებით ხორციელდება ნაწარმოების ან ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის, ავტორის ან უფლებათა მფლობელის იდენტიფიცირება, ანდა ინფორმაცია ნაწარმოების ან ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის გამოყენების პირობების შესახებ, აგრეთვე ნებისმიერი ციფრები და კოდები, რომლებშიც მოცემულია ასეთი ინფორმაცია, თუ ამ ინფორმაციის ნებისმიერი ელემენტი აღნიშნულია ნაწარმოების ან ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის ასლზე ანდა ჩნდება მათი საჯარო გაცნობის დროს;

ფ) ფონოგრამა – შესრულების ხმის, სხვა ხმის ან ხმის გამომხატველი სიგნალის ჩანაწერი. ტერმინი არ გულისხმობს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში ჩართულ ხმის ჩანაწერს;
ქ) „ფონოგრამის დამამზადებელი" – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა შესრულების ან სხვა ხმების პირველი ხმოვანი ჩანაწერის განხორციელებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, ფონოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან/და დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ფონოგრამაზე ან/და მის ფუტლარზე;
ღ) ჩაწერა – გამოსახულების ან/და ხმის ფიქსირება რაიმე ობიექტური ფორმით, რაც ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებით მათი აღქმის, რეპროდუცირებისა და გადაცემის საშუალებას იძლევა;
ყ) შემსრულებელი – მსახიობი (თეატრის, კინოსი და ა.შ.), მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, კითხულობს, მღერის, ახდენს დეკლამირებას, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვაგვარად ასრულებს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს, საესტრადო, საცირკო, თოჯინურ ან ფოლკლორულ ნომერს;
შ) ბენეფიციარი — შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მიუხედავად, პირი, რომელსაც აქვს მხედველობის, ფიზიკური შესაძლებლობის, აღქმის ან ბეჭდური ნაწარმოების კითხვისთვის საჭირო სხვა უნარის ისეთი დარღვევა, რომლის გამოც მას ბეჭდური ნაწარმოების სხვა პირის თანაბრად კითხვა არ შეუძლია. ბენეფიციარად არ მიიჩნევა პირი, რომელსაც ბეჭდური ნაწარმოების კითხვა მხედველობის გაუმჯობესებისთვის განკუთვნილი მარტივი დამხმარე საშუალების გამოყენებით შეუძლია. პირისთვის ბენეფიციარის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ან/და შესაძლებლობის შეზღუდვის შესახებ ცნობის (ცნობის გაცემის/შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების საფუძვლის გათვალისწინებით) წარდგენის შემთხვევაში;
ჩ) ავტორიზებული პირი – „საქპატენტის" მიერ ავტორიზებულ პირად აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, მუნიციპალიტეტების საბიბლიოთეკო ქსელში გაერთიანებული მასობრივი (საჯარო) ბიბლიოთეკა, ის საგანმანათლებლო დაწესებულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა ბენეფიციარებისთვის საგანმანათლებლო მომსახურების არაკომერციული მიზნით მიწოდებაა.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2023 წლის 15 დეკემბრის კანონი №3966 – ვებგვერდი, 25.12.2023წ.
საქართველოს 2025 წლის 6 თებერვლის კანონი №266 – ვებგვერდი, 06.02.2025წ.

თავი II
საავტორო უფლებები

მუხლი 5. საავტორო უფლების ობიექტები

1. საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

2. საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა.

3. საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 6. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები

1. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებია:

ა) ლიტერატურული ნაწარმოები (წიგნი, ბროშურა, სტატია, კომპიუტერული პროგრამა და სხვა);

ბ) დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, ქორეოგრაფიის ან პანტომიმის ნაწარმოები და სხვა სასცენო ნაწარმოები;

გ) მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით ან უტექსტოდ;

დ) აუდიოვიზუალური ნაწარმოები;

ე) სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიის, სახვითი ხელოვნებისა და სხვა მსგავსი ნაწარმოები;

ვ) დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოები;

ზ) თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები;

თ) არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის ან საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოები;

ი) ფოტოგრაფიული ნაწარმოები ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოები. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ცალკეული გამოსახულება არ ითვლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებად;

კ) რუკა, გეგმა, ესკიზი, ილუსტრაცია და სხვა მსგავსი ნაწარმოები, რომელიც მიეკუთვნება გეოლოგიას, გეოგრაფიას, კარტოგრაფიას ან სხვა დარგებს;

ლ) გადამუშავებული ნაწარმოები, კერძოდ, თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პწკარედი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადამუშავება;

მ) შედგენილი ნაწარმოები, კერძოდ, კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა და სხვა ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს;

ნ) სხვა ნაწარმოებები.

2. გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა დაცვა ხორციელდება მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარებიან ან შეიცავენ ისინი.

3. გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებთა დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად.

4. კომპიუტერული პროგრამის დაცვა ვრცელდება ყველა სახის კომპიუტერულ პროგრამაზე (ოპერაციული სისტემების ჩათვლით), რომელიც შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი ენით და ფორმით, საწყისი ტექსტისა და ობიექტური კოდის ჩათვლით.

საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კანონი №1693 – სსმ I, №28, 28.10.2002 წ., მუხ. 129
საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 7. საავტორო უფლების დამოუკიდებლობა საკუთრების უფლებისაგან

1. საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები.

2. მატერიალური ობიექტის საკუთრების ან მფლობელობის გადაცემა თავისთავად არ იწვევს ამ ობიექტში გამოხატულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების გადაცემას, გარდა ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 8. ნაწარმოებები, რომლებზედაც არ ვრცელდება საავტორო უფლება

1. საავტორო უფლება არ ვრცელდება შემდეგ ნაწარმოებებზე:

ა) ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები), აგრეთვე მათ ოფიციალურ თარგმანებზე;

ბ) სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები);

გ) ინფორმაციებზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნულ ნაწარმოებთა სხვისი სახელით გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ავტორის სახელის უფლების დაცვა.

მუხლი 9. საავტორო უფლების წარმოშობა

1. საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა.

2. საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა.

3. (ამოღებულია).

4. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

ა) ლათინური ასო C წრეწირში: ©;

ბ) განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);

გ) ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი №651 – სსმ I, №47, 14.12.2000 წ., მუხ. 135
საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 9[1]. ნაწარმოების დეპონირება

1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს , ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დეპონირება განახორციელოს „საქპატენტში". დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული პირი მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად /საავტორო უფლების მფლობელად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება.

2. ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის „საქპატენტში" დეპონირებისას განმცხადებელმა

უნდა დაიცვას წარმოდგენილ ნაწარმოებთან დაკავშირებული სხვა პირების საავტორო ან სხვა უფლებები.

3. „საქპატენტში“ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია თავად განმცხადებელი.

4. თუ „საქპატენტში“ ნაწარმოებს წარადგენს ავტორის მემკვიდრე, უფლებამონაცვლე ან სხვა პირი, რომელიც ფლობს საავტორო უფლებებს, განცხადებას უნდა დაერთოს მემკვიდრეობის, უფლებამონაცვლეობის ან საავტორო უფლებების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. „საქპატენტში“ ნაწარმოების წარმომადგენლის მეშვეობით დეპონირებისას განცხადებას უნდა დაერთოს აგრეთვე წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. „საქპატენტის“ მიერ ამ მუხლის თანახმად დეპონირებულ ნაწარმოებთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება გახდეს საჯარო თავად ნაწარმოების ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მოთხოვნით.

7. ნაწარმოების დეპონირებისათვის გადაიხდება საფასური, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3032 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.184

მუხლი 10. ავტორობის პრეზუმფცია

1. პირი, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია, როგორც ავტორი, ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე, მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. ეს დებულება გამოიყენება ასევე ნაწარმოების ფსევდონიმით გამოქვეყნებისას, თუ ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია.

2. როდესაც ნაწარმოები ქვეყნდება ფსევდონიმით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია) ან ანონიმურად, გამომცემელი, რომლის სახელი ან დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ნაწარმოებზე, ითვლება ავტორის წარმომადგენლად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. მას, როგორც წარმომადგენელს, უფლება აქვს დაიცვას ავტორის უფლებები და უზრუნველყოს მათი განხორციელება. ეს დებულება გამოიყენება მანამ, სანამ ასეთი ნაწარმოების ავტორი არ გაამჟღავნებს თავის ვინაობას.

მუხლი 11. თანაავტორობა

1. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი ინტელექტუალურ–შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნა ორმა ან ორზე მეტმა პირმა (თანაავტორობა), ერთობლივად ეკუთვნის თანაავტორებს, იმის მიუხედავად, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას, თუ შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. თანაავტორთა ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. არც ერთ თანაავტორს არა აქვს უფლება, აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საამისოდ საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე.

3. თანაავტორთა შეთანხმებით ნაწარმოების გამოცემა ან საჯარო გაცნობა შეიძლება განხორციელდეს ერთობლივი ფსევდონიმით.

4. ყოველ თანაავტორს აქვს უფლება, გამოიყენოს ნაწარმოების ის ნაწილი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი და რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოების ნაწილი ჩაითვლება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ, თუ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწარმოების სხვა ნაწილების გარეშეც.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 12. შედგენილი ნაწარმოების ავტორის (შემდგენლის) უფლებები

1. შედგენილი ნაწარმოების ავტორს (შემდგენელს) ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, რაც მისი ინტელექტუალურ–შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.

2. შემდგენელმა უნდა დაიცვას შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორების საავტორო უფლება.

3. შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ნაწარმოებები შედგენილი ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. შემდგენლის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, განახორციელონ იმავე მასალის შერჩევა და განლაგება თავიანთ შედგენილ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

მუხლი 13. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის უფლებები

1. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორს ეკუთვნის საავტორო უფლება მის მიერ განხორციელებულ გადამუშავებაზე.

2. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორმა უნდა დაიცვას ამ ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება.

3. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, გადაამუშაონ იგივე ნაწარმოები.

მუხლი 14. გამომცემლის განსაკუთრებული უფლებები

1. ენციკლოპედიების, ენციკლოპედიური ლექსიკონების, მეცნიერული ნაშრომების, პერიოდული და ერთმანეთის გამგრძელებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების გამომცემლებს ეკუთვნით ამ გამოცემებში შესულ ნაწარმოებთა გამოყენების განსაკუთრებული უფლება. გამომცემელს უფლება აქვს, ასეთ ნაწარმოებთა ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს მისი მითითება. დაუშვებელია გაზეთში, ჟურნალში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოების გამოყენება სხვა პირის მიერ ამ გაზეთის, ჟურნალის ან პერიოდული გამოცემის გამომცემლის ან ასეთი ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში გამოქვეყნებული ექსკლუზიური მასალის სხვა საინფორმაციო საშუალების მიერ გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია იმ საინფორმაციო საშუალების დამოწმება, რომელშიც ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ გამოცემებში შესულ ნაწარმოებთა ავტორები ინარჩუნებენ თავიანთი ნაწარმოებების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2388 – სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ. 223

მუხლი 15. საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე

1. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორები (თანაავტორები) არიან: დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის.

2. აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე ხელშეკრულების დადება იწვევს ავტორების (თანაავტორების) მიერ ამ ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების გადაცემას აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლისთვის, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამ ნაწარმოების ავტორებს (თანაავტორებს) უნარჩუნდებათ უფლება, მიიღონ ჰონორარი მოსარგებლისგან (მაუწყებლობის ორგანიზაციისგან, კინოთეატრისგან და ა. შ.) ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისთვის და ხელშეკრულებით სხვაგვარი შეთანხმება აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელსა და ავტორებს (თანაავტორებს) შორის ბათილია. ეს უფლება ხორციელდება მხოლოდ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით.

3. აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს უფლება აქვს, ასეთი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს მისი მითითება.

4. ავტორი ადრე შექმნილი ნაწარმოებისა, რომელიც გადამუშავებულია ან ჩართულია შემადგენელ ნაწილად აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში, აგრეთვე ავტორი ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის პროცესში, ინარჩუნებენ საავტორო უფლებას დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე თავიანთ ნაწარმოებებზე. მათ უფლება აქვთ დამოუკიდებლად ისარგებლონ ამ ნაწარმოებებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იმ პირობით, რომ ასეთი სარგებლობა ხელს არ შეუშლის აუდიოვიზუალური ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 16. საავტორო უფლება სამსახურებრივ ნაწარმოებზე

1. ქონებრივი უფლებები დასაქმებულის ან შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ ნაწარმოებზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებასთან (სამსახურებრივი ნაწარმოები), ეკუთვნის შესაბამისად დამსაქმებელს ან შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. (ამოღებულია).

3. (ამოღებულია).

4. (ამოღებულია).

5. (ამოღებულია).

6. დამსაქმებელს უფლება აქვს , სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი (დასახელება) ან მოითხოვოს ასეთი მითითება.

7. სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას საავტორო გასამრჯელოს (ჰონორარის) ოდენობა და გადახდის წესი შეიძლება განისაზღვროს ავტორსა და დამსაქმებელს შორის ხელშეკრულებით.

8. (ამოღებულია).

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3032 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.184

მუხლი 17. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებია:
   ა) აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, ავტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით (ავტორობის უფლება);
   ბ) მიუთითოს ფსევდონიმი სახელის ნაცვლად და მოითხოვოს ასეთი მითითება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, აგრეთვე უარი თქვას სახელის აღნიშვნაზე (სახელის უფლება);
   გ) გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი;
   დ) ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება);
   ე) დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება);
   ვ) ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა);
   ზ) მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა (ნაწარმოების გამოხმობის უფლება). ამ შემთხვევაში ავტორი ვალდებულია საჯაროდ განაცხადოს გამოხმობის შესახებ. ნაწარმოების გამოხმობის უფლება არ ვრცელდება სამსახურებრივ ნაწარმოებზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების განხორციელება ხდება ავტორის ხარჯზე. ავტორმა ნაწარმოების მოსარგებლეს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი მიუღებელი მოგების ჩათვლით. ავტორს აგრეთვე უფლება აქვს, სამოქალაქო ბრუნვიდან თავისი ხარჯებით ამოიღოს გაყიდვის ან გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით ადრე დამზადებული ნაწარმოების ასლები.

3. პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც.

4. დაუშვებელია პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში. მათი განხორციელება ავტორის გარდაცვალების შემდეგ ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 18. ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები

1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება.

2. ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:
ა) ნაწარმოების რეპროდუცირება (რეპროდუცირების უფლება);
ბ) ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების გავრცელება გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით (გავრცელების უფლება);
გ) ნაწარმოების ასლების იმპორტირება გაყიდვის ან გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით, იმ ასლების ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობით (იმპორტის უფლება);
დ) ნაწარმოების საჯარო ჩვენება (საჯარო ჩვენების უფლება). ეს უფლება არ გამოიყენება, თუ საჯარო ჩვენება არის სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებული ნაწარმოების კანონიერი შესყიდვის შედეგი;
ე) ნაწარმოების საჯარო შესრულება (საჯარო შესრულების უფლება);
ვ) ნაწარმოების საჯარო გადაცემა, პირველი ან/და ხელახალი გადაცემის ჩათვლით; აგრეთვე ნაწარმოების გადაცემა სადენით ანდა უმავთულო კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან (საჯარო გადაცემის უფლება);
ზ) ნაწარმოების თარგმნა (თარგმნის უფლება);
თ) ნაწარმოების გადამუშავება (გადამუშავების უფლება);
ი) ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის გაქირავება ან/და მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა;
კ) ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება.

3. ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს საავტორო ჰონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის (ჰონორარის უფლება).

4. საქართველოში ავტორის მიერ ან მისი თანხმობით ნაწარმოების ასლის პირველი გაყიდვით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ავტორის უფლება მის შემდგომ გავრცელებაზე.

5. ნოტებით გამოხატული მუსიკალური ნაწარმოების, აუდიოვიზუალური ნაწარმოების, კომპიუტერული პროგრამის, მონაცემთა ბაზის, ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ავტორებს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელებს ეკუთვნით აღნიშნულ ნაწარმოებთა ორიგინალის ან ასლების გაქირავების და მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის განსაკუთრებული უფლება, ამ ორიგინალზე ან ასლებზე საკუთრების უფლების მიუხედავად.

6. არქიტექტურული, ქალაქმშენებლობისა და საბაღე-საპარკო პროექტების გამოყენების განსაკუთრებული უფლება მოიცავს ასეთი პროექტების განხორციელების უფლებას.

7. საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით გამოყენებისთვის დგინდება, ერთი მხრივ, ავტორს, საავტორო უფლების სხვა მფლობელს ან ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციასა და, მეორე მხრივ, მოსარგებლეს შორის დადებული ხელშეკრულებით. ნაწარმოების კაბელით ხელახალი გადაცემის შემთხვევაში საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი დგინდება მხოლოდ ამ ორგანიზაციასა და მოსარგებლეს შორის დადებული ხელშეკრულებით. თუ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია და მოსარგებლე ვერ შეთანხმდებიან, ჰონორარის

ოდენობას, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესს ერთ-ერთი მხარის ან მხარეების მიმართვის საფუძველზე განსაზღვრავს „საქპატენტის“ თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონის 65-ე მუხლის მე-5, მე-6 და მე-8–მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით. ყველა მოსარგებლე ვალდებულია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას ჰონორარი გადაუხადოს აღნიშნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად. ამ კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში მისი მიღებიდან 2 თვის ვადაში. შესაბამისი ტარიფის დადგენის შესახებ ამ კომისიის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება არ აჩერებს ამ გადაწყვეტილების მოქმედებას.

7^1. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის იმავე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყველა მოსარგებლე ვალდებულია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას ჰონორარი გადაუხადოს აღნიშნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ – ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ტარიფის შესაბამისად.

8. პირს, რომელიც საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით პირველად გახდის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ნაწარმოებს, რომლის გამოცემა ან საჯარო გაცნობა ადრე არ მომხდარა, ამ ნაწარმოებზე წარმოეშობა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქონებრივი უფლებები.

9. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებათა შეზღუდვები განისაზღვრება ამ კანონის 21–28-ე მუხლებით, იმ პირობით, რომ ასეთი შეზღუდვები ხელს არ შეუშლის ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ შელახავს ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის კანონიერ ინტერესებს.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 19. ქონებრივი უფლებები კომპიუტერულ პროგრამებზე და მონაცემთა ბაზებზე

1. კომპიუტერული პროგრამის ავტორი ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) კომპიუტერული პროგრამის რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ. თუ ასეთი რეპროდუცირება ესაჭიროება კომპიუტერული პროგრამის ჩატვირთვას, ჩვენებას, მუშაობას, გადაცემას (ტრანსმისიას) ან შენახვას, აუცილებელია ავტორის თანხმობა;

ბ) კომპიუტერული პროგრამის პროგრამირების ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანა, ადაპტირება, სისტემატიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუცირება იმ პირის უფლებების დაცვით, რომელიც ცვლის კომპიუტერულ პროგრამას;

გ) (ამოღებულია).

2. მონაცემთა ბაზის ავტორი ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) მონაცემთა ბაზის დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ;

ბ) მონაცემთა ბაზის თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუცირება, გავრცელება, საჯარო გადაცემა, ჩვენება ან შესრულება;

გ) (ამოღებულია).

დ) ნებისმიერი გადაცემა, ჩვენება ან შესრულება საზოგადოების წინაშე, დიალოგური, პირდაპირი ტრანსლაციის ჩათვლით.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 20. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებები

1. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს მოსთხოვოს ნაწარმოების მესაკუთრეს, მისცეს საშუალება განახორციელოს თავისი ნაწარმოების რეპროდუცირება (დაშვების უფლება). ამასთან, მესაკუთრეს არ შეიძლება მოეთხოვოს ნაწარმოების მიტანა ავტორთან.

2. სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიული ნაწარმოების ორიგინალის პირველად გასხვისების შემდეგ მისი ყოველი მომდევნო გაყიდვის შემთხვევაში, მათ შორის, პროფესიონალი შუამავლების (სამხატვრო სალონის, სახვითი ხელოვნების გალერეის და სხვ.) მეშვეობით, ავტორს ან მის მემკვიდრეებს უფლება აქვთ გამყიდველისაგან მიიღონ ჰონორარი შემდეგი ოდენობით:

ა) თუ გასაყიდი ფასია 500 ლარიდან 100 000 ლარამდე – 4%;

ბ) თუ გასაყიდი ფასია 100 000,01 ლარიდან 400 000 ლარამდე – 4000 ლარს + 100 000,01 ლარს ზემოთ თანხის 3%;

გ) თუ გასაყიდი ფასია 400 000,01 ლარიდან 700 000 ლარამდე – 13000 ლარს + 400 000,01 ლარს ზემოთ თანხის 1%;

დ) თუ გასაყიდი ფასია 700 000,01 ლარიდან 1 000 000 ლარამდე – 16000 ლარს + 700 000,01 ლარს ზემოთ თანხის 0,5%;

ე) თუ გასაყიდი ფასია 1 000 000 ლარზე მეტი – 17500 ლარს + 1 000 000 ლარს ზემოთ თანხის 0,25%.

3. ამ მუხლის მე–2 პუნქტით დადგენილი ჰონორარის შეგროვება ხორციელდება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით, რომლის მოთხოვნის საფუძველზედაც სახვითი ხელოვნების ან ფოტოგრაფიული ნაწარმოების გამყიდველი ვალდებულია წარუდგინოს მას გაყიდვების შესახებ ინფორმაცია. ამ მუხლის მე–2 პუნქტით დადგენილი ჰონორარი (გადასახადების გადახდის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს 25 000 ლარს.

4. ამ მუხლის მიზნებისათვის მე–2 პუნქტში აღნიშნულ სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიული ნაწარმოების ორიგინალს უთანაბრდება ავტორის მიერ ან მისი ნებართვით შეზღუდული რაოდენობით დამზადებული ორიგინალის ასლები.

5. აკრძალულია ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გასხვისება, რომელიც კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით გადადის მხოლოდ ავტორის მემკვიდრეზე საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

თავი III
ქონებრივი უფლებების შეზღუდვა

მუხლი 21. ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისთვის

1. დაშვებულია მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკური პირის მიერ მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება:
   ა) არქიტექტურული ნაწარმოებების შენობა-ნაგებობათა ფორმით რეპროდუცირებისას;
   ბ) ელექტრონული მონაცემთა ბაზების რეპროდუცირებისას, გარდა ამ კანონის 28-ე და 30-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
   გ) კომპიუტერული პროგრამების რეპროდუცირებისას, გარდა ამ კანონის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
   დ) წიგნების (მთლიანად), ნოტებისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების რეპროგრაფიული გამრავლებისას;
   ე) აუდიოვიზუალური ნაწარმოების, ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების რეპროდუცირებისას.

3. ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესისგან განსხვავებით, უფლება აქვს, მიიღოს შესაბამისი ჰონორარი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ჰონორარს იხდიან პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების მწარმოებლები და იმპორტიორები. ამ ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებას ახორციელებს მხოლოდ ის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, რომელსაც მიენიჭა ამავე მუხლით განსაზღვრული უფლებების კოლექტიური მართვის შესახებ აკრედიტაცია.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების სახეობები, შესაბამისი ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება, ერთი მხრივ, მწარმოებლებს ან/და იმპორტიორებს და, მეორე მხრივ, ამ კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას შორის შეთანხმებით. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, შესაბამისი ჰონორარის ოდენობას, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესს ერთ-ერთი მხარის ან მხარეების მიმართვის საფუძველზე განსაზღვრავს „საქპატენტის“ თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი კომისია ამ კანონის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით, ხოლო შესაბამისი ჰონორარი გადაიხდება იმავე მუხლის მე-7 და 7^1 პუნქტებით განსაზღვრული წესით.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარი ნაწილდება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრებს/ავტორებს შორის ამ ორგანიზაციის მიერ წლის განმავლობაში მათთვის გადახდილი ჰონორარის პროპორციულად.

პროპორციის გამოთვლისას ამავე მუხლის მე–3 პუნქტის საფუძველზე გადასახდელი ჰონორარი არ გაითვალისწინება.

7. თუ „საქპატენტმა“ განსხვავებული უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ ერთზე მეტ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას მიანიჭა აკრედიტაცია, ის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, რომელსაც მიენიჭა ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების კოლექტიური მართვის შესახებ აკრედიტაცია, ვალდებულია ამ მუხლის მე–3 პუნქტით განსაზღვრული ჰონორარი ამავე მუხლის მე–6 პუნქტით დადგენილი წესის გათვალისწინებით გაუნაწილოს შესაბამის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას.

8. ამ მუხლის მე–3 პუნქტით განსაზღვრული ჰონორარის შემგროვებელ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას უფლება აქვს, მწარმოებლებს, იმპორტიორებსა და შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს კონფიდენციალურობის დაცვით მოსთხოვოს ამ მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებული მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების წარმოებისა და იმპორტის შესახებ ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია გადასახდელი ჰონორარის ოდენობის დასადგენად. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) მხოლოდ მწარმოებლის, წარმოებული მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების სახეობის, რაოდენობისა და თვითღირებულების შესახებ ინფორმაციას – მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების წარმოების შემთხვევაში;

ბ) მხოლოდ იმპორტიორების, მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების სახეობის, რაოდენობისა და საბაჟო ღირებულების შესახებ ინფორმაციას – იმპორტირებული მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების შემთხვევაში.

9. სათანადო მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების მწარმოებლები და იმპორტიორები, აგრეთვე შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციები და დაწესებულებები ვალდებული არიან ამ მუხლით განსაზღვრული ჰონორარის შემგროვებელ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას კონფიდენციალურობის დაცვით მიაწოდონ ამ მუხლის მე–8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

10. აქართველოს მთავრობა ადგენს ამ მუხლის მე–9 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების წესს და განსაზღვრავს იმავე პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

11. ამ მუხლის მე–3 პუნქტით განსაზღვრული ჰონორარის შემგროვებელი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ ამავე მუხლის მე–10 პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში ეს ორგანიზაცია შესაბამისი სუბიექტების წინაშე პასუხისმგებელია მიყენებული ზიანისთვის.

12. ჰონორარი არ გადაიხდევინება ამ მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებულ მოწყობილობებსა და მატერიალურ მატარებლებთან დაკავშირებით, რომლებიც არის:

ა) ექსპორტის საგანი;

ბ) პროფესიული მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილი არ არის საშინაო გამოყენებისთვის.

13. ჰონორარი აგრეთვე არ გადაიხდევინება ფიზიკური პირის მიერ ამ მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებული მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების პირადი მიზნით იმპორტირების შემთხვევაში.

14. საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების ამ კანონით გათვალისწინებული რეპროდუცირების უფლება არ ვრცელდება დროებით ასლზე.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი №651 – სსმ I, №47, 14.12.2000 წ., მუხ. 135

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/1/877 – ვებგვერდი, 30.12.2020წ.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 22. ნაწარმოების რეპროგრაფიული გამრავლება ბიბლიოთეკების, არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ

დაშვებულია რეპროგრაფიული გამრავლება პირდაპირი და არაპირდაპირი მოგების მიუღებლად, ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში – იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით. ასეთი რეპროგრაფიული გამრავლება დაიშვება:

ა) ერთეულ ასლად, მართლზომიერად გამოცემული ნაწარმოებების განადგურებული, დაკარგული ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარი ასლების შესაცვლელად ბიბლიოთეკებისა და არქივების მიერ; სხვა ბიბლიოთეკების ფონდებიდან დაკარგული, განადგურებული ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარი ასლების შესაცვლელად ამ ბიბლიოთეკებისათვის გადაცემის მიზნით, თუ ასეთი ასლების მიღება ჩვეულებრივ პირობებში სხვა გზით შეუძლებელია;

ბ) ერთეულ ასლად, მართლზომიერად გამოცემული ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე მოცულობის ნაწარმოებების ან წერილობითი ნაწარმოების მოკლე ნაწყვეტებისა (კომპიუტერული პროგრამების გარდა) ბიბლიოთეკებისა და არქივების მიერ, ფიზიკურ პირთა მოთხოვნით, სასწავლო, სამეცნიერო ან პირადი მიზნით;

გ) მართლზომიერად გამოცემული ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე მოცულობის ნაწარმოებების ან წერილობითი ნაწარმოების მოკლე ნაწყვეტებისა (კომპიუტერული პროგრამების გარდა) საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მეცადინეობისათვის.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 23. ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე

დაშვებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო

ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით:

ა) მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოებებიდან ციტირება სამეცნიერო, კვლევითი პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მოკლე ნაწყვეტების ბეჭდვითი მიმოხილვისათვის რეპროდუცირების ჩათვლით;

ბ) მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოებებიდან მოკლე ნაწყვეტების გამოყენება ილუსტრაციის სახით, გამოცემებში, რადიო- და ტელეგადაცემებში, სასწავლო ხასიათის ფონო- და ვიდეოჩანაწერებში, მხოლოდ

იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით;
გ) მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე პერიოდული გამოცემების მეშვეობით მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სტატიების ან საჯაროდ გადაცემული მსგავსი შინაარსის ნაწარმოებების რეპროდუცირება ჟურნალ–გაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთი ნაწარმოების კრებულში გამოცემის უფლება;
დ) მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში ფოტოგრაფირების, ეთერში ან კაბელით გადაცემის გზით, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით;
ე) საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და მსგავსი ნაწარმოებების, მათ შორის, სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვების რეპროდუცირება ჟურნალ– გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთ ნაწარმოებთა ცალკე კრებულად ან წიგნად გამოცემის განსაკუთრებული უფლება;
ვ) მართლზომიერად გამოქვეყნებული, რელიეფური წერტილოვანი შრიფტით ან სხვა სპეციალური საშუალებით უსინათლოთათვის შექმნილი ნაწარმოების რეპროდუცირება მოგების მიღების მიზნის გარეშე, გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი გამოყენების ასეთი საშუალებებისათვის.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 23¹. საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ბეჭდური ნაწარმოების ნებადართული გამოყენება ბეჭდური ნაწარმოების კითხვისთვის საჭირო უნარის დარღვევის მქონე პირის სასარგებლოდ

1. ამ მუხლით განსაზღვრული წესი ვრცელდება მართლზომიერი გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ იმ ბეჭდურ ნაწარმოებზე, რომელიც ბენეფიციარისა და ავტორიზებული პირისთვის კანონიერადაა მისაწვდომი. ამ მუხლის მიზნებისთვის ბეჭდური ნაწარმოები არის ტექსტის სახით (ციფრული ფორმითა და მატერიალური ფორმით) ან აუდიოფორმატით ხელმისაწვდომი, საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ნაწარმოები, სიმბოლო და მათთან დაკავშირებული ილუსტრაციები.

2. ამ მუხლით განსაზღვრული წესი არ ვრცელდება ბეჭდური ნაწარმოების იმ მისაწვდომ ფორმატზე, რომელიც ადგილობრივ სამოქალაქო ბრუნვაში კომერციულადაა ჩართული. ეს შეზღუდვა აღნიშნული ბეჭდური ნაწარმოების სხვა მისაწვდომ ფორმატზე არ ვრცელდება. დავის შემთხვევაში ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი ვალდებულია დაამტკიცოს ბეჭდური ნაწარმოების მისაწვდომი ფორმატის ადგილობრივ სამოქალაქო ბრუნვაში კომერციულად ჩართვის ფაქტი. ამ მუხლით გათვალისწინებული ბეჭდური ნაწარმოების ნებადართული გამოყენება კომერციული ინტერესის მქონე სუბიექტის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვით ხორციელდება.

3. ბენეფიციარს უფლება აქვს, ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის წინასწარი თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე მოიპოვოს (მიიღოს) ბეჭდური ნაწარმოების მისაწვდომი ფორმატის ასლი ადგილობრივი ავტორიზებული პირისა და შესაბამის

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოში აღიარებული ავტორიზებული პირისგან. ამასთანავე, ბენეფიციარს ან/და მის კანონიერ წარმომადგენელს, პერსონალურ ასისტენტს, მხარდამჭერს, მზრუნველს უფლება აქვს, განახორციელოს ბეჭდური ნაწარმოების მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირება ბენეფიციარის მიერ ამ ნაწარმოების პირადი მიზნით სარგებლობისთვის. ამ პუნქტით განსაზღვრული რეპროდუცირების პროცესში დასაშვებია ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის, მზრუნველის, პერსონალური ასისტენტის მიერ მისთვის დახმარების გაწევა.

4. ავტორიზებული პირი უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის წინასწარი თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით განახორციელოს ამ ნაწარმოების რეპროდუცირება მისაწვდომ ფორმატში, მოიპოვოს (მიიღოს) ამ ფორმატის ასლი სხვა ადგილობრივი ავტორიზებული პირისა და შესაბამის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოში აღიარებული ავტორიზებული პირისგან, უზრუნველყოს თავის სისტემაში დაცული, მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირებული ბეჭდური ნაწარმოების ნებისმიერი საშუალებით ხელმისაწვდომობა (გადაცემა, გაცვლა, გავრცელება) ადგილობრივი ბენეფიციარებისა და შესაბამის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოში მყოფი ბენეფიციარებისთვის, აგრეთვე სხვა ადგილობრივი ავტორიზებული პირისა და შესაბამის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოში აღიარებული ავტორიზებული პირისთვის. ამ პუნქტით განსაზღვრული ყველა ქმედება ხორციელდება არაკომერციული მიზნით და ექსკლუზიურად ბენეფიციართა მიერ გამოსაყენებლად.

5. ავტორიზებული პირი უფლებამოსილია ამ მუხლით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი ხარჯების დასაფარავად სხვა ადგილობრივი ავტორიზებული პირისგან მიიღოს ანაზღაურება მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, თუ ეს საქართველოს კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება. ავტორიზებული პირის მიერ ამ პუნქტის შესაბამისად მიღებული შემოსავალი ამ მუხლით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას უნდა მოხმარდეს.

6. საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ მას ამ მუხლით დადგენილი წესის დარღვევით ზიანი მიადგა. არააორსებითი ზიანი არ გაითვალისწინება.

7. ავტორიზებული პირი იღებს სათანადო ზომებს, რათა უზრუნველყოს:
   ა) თავის სისტემაში დაცული, მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირებული ბეჭდური ნაწარმოების მხოლოდ ბენეფიციარისა და ავტორიზებული პირისთვის ხელმისაწვდომობა;
   ბ) ბეჭდური ნაწარმოების უკანონო რეპროდუცირების, მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირებული ბეჭდური ნაწარმოების უკანონო ხელმისაწვდომობისა (გადაცემა, გაცვლა, გავრცელება) და მოპოვების (მიღების) თავიდან აცილება;
   გ) ბენეფიციართა რაოდენობის, პარტნიორი ავტორიზებული პირების (ავტორიზებული პირები, რომლებიც მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირებულ ბეჭდურ ნაწარმოებებს ერთმანეთს უცვლიან) საკონტაქტო ინფორმაციის, აგრეთვე თავის სისტემაში დაცული, მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირებული ნაწარმოების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

8. ავტორიზებული პირი ამ მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას ბენეფიციართა პერსონალური მონაცემების დაცვით აწვდის „საქპატენტს“,

რომელიც მისთვის მიწოდებულ ინფორმაციას თავს უყრის და აქვეყნებს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე. ინფორმაციის განახლების შემთხვევაში ავტორიზებული პირი ვალდებულია განახლებული ინფორმაცია ახალი გარემოების წარმოშობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს „საქპატენტს“. „საქპატენტისთვის“ მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობისთვის პასუხისმგებელია ავტორიზებული პირი. ავტორიზებული პირის მიერ „საქპატენტისთვის“ ინფორმაციის მიწოდების წესი განისაზღვრება „საქპატენტის“ თავმჯდომარის ბრძანებით.

9. „საქპატენტი“ ვალდებულია საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე უზრუნველყოს ადგილობრივი ავტორიზებული პირების ჩამონათვალისა და მათი საკონტაქტო ინფორმაციის, აგრეთვე თავის ხელთ არსებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოებში აღიარებული ავტორიზებული პირების ჩამონათვალისა და მათი საკონტაქტო ინფორმაციის მისაწვდომი და კონსოლიდირებული ფორმით საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

10. ავტორიზებული პირი ვალდებულია ბენეფიციარის, სხვა ავტორიზებული პირის ან საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ინფორმაცია:
ა) თავის სისტემაში დაცული, მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირებული ბეჭდური ნაწარმოებების შესახებ;
ბ) პარტნიორი ავტორიზებული პირების დასახელებებისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ.

11. ბეჭდური ნაწარმოების მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირება ამ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვით უნდა განხორციელდეს. ამასთანავე, ნებადართულია ისეთი ცვლილების განხორციელება, რომელიც აუცილებელია მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირებული ბეჭდური ნაწარმოების შესაქმნელად.

12. ამ მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტებით განსაზღვრული წესების საპირისპირო სახელშეკრულებო დათქმა ბათილია.

13. ამ მუხლის დებულებების აღსრულებისას ბენეფიციართა პერსონალური მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ავტორიზებული პირი უფლებამოსილია ამ მუხლისა და ამ კანონის 23^2 მუხლის მიზნებისთვის დაამუშაოს ბენეფიციარის სტატუსის მოპოვებით დაინტერესებული პირის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა და შესაძლებლობის შეზღუდვის შესახებ ცნობა (ცნობის გაცემის/შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების საფუძვლის ჩათვლით).

საქართველოს 2023 წლის 15 დეკემბრის კანონი №3966 – ვებგვერდი, 25.12.2023წ.

მუხლი 23^2. ბენეფიციარის სტატუსისა და ავტორიზებული პირის სტატუსის მინიჭების წესი

1. ბენეფიციარის სტატუსის მოპოვებით დაინტერესებული პირი მიმართავს ავტორიზებულ პირს და წარუდგენს მას ბენეფიციარის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადებას. ავტორიზებული პირი პირისთვის ბენეფიციარის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღნიშნული განცხადებით მისთვის მიმართვიდან 2 კვირის ვადაში.

2. ბენეფიციარის სტატუსის მოპოვებით დაინტერესებული პირი (მისი კანონიერი წარმომადგენელი, მინდობილი პირი) ავტორიზებულ პირს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:
ა) ბენეფიციარის სტატუსის მინიჭების თაობაზე დაინტერესებული პირის განცხადებას;
ბ) დაინტერესებული პირის ვინაობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ხოლო ბენეფიციარის

სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მინდობილი პირის მიერ წარდგენის შემთხვევაში – აგრეთვე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას;

გ) შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნას, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას ან/და შესაძლებლობის შეზღუდვის შესახებ ცნობას და თანდართულ დოკუმენტებს, რომლებიც ამ კანონის მე-4 მუხლის „შ“ ქვეპუნქტში მითითებული გარემოების არსებობას ადასტურებს.

3. ავტორიზებული პირი ვალდებულია ბენეფიციარის სტატუსის მოპოვებით დაინტერესებულ პირს ბენეფიციარის სტატუსი მიანიჭოს, თუ დასტურდება ამ კანონის მე-4 მუხლის „შ“ ქვეპუნქტში მითითებული გარემოების არსებობა.

4. ბენეფიციარის სტატუსი მოქმედებს ბენეფიციარის მიერ ამ სტატუსის შეწყვეტის თაობაზე განცხადებამდე, მის გარდაცვალებამდე ან იმ გარემოების აღმოფხვრამდე, რომელიც, ამ კანონის მე-4 მუხლის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირისთვის ბენეფიციარის სტატუსის მინიჭების საფუძველია. ბენეფიციარმა ბენეფიციარის სტატუსის მინიჭების საფუძვლის აღმოფხვრის შესახებ, ხოლო ბენეფიციარის მემკვიდრემ – ბენეფიციარის გარდაცვალების შესახებ გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს ავტორიზებულ პირს.

5. დაწესებულებისთვის ავტორიზებული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას და ამ სტატუსის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს „საქპატენტი“. დაწესებულებისთვის ავტორიზებული პირის სტატუსის მინიჭებისა და ამ სტატუსის გაუქმების წესი განისაზღვრება „საქპატენტის“ თავმჯდომარის ბრძანებით. ეს ბრძანება ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

6. ავტორიზებული პირის სტატუსის მოპოვებით დაინტერესებული დაწესებულება მიმართავს „საქპატენტს“ და წარუდგენს მას ავტორიზებული პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადებას, მუნიციპალიტეტების საბიბლიოთეკო ქსელში გაერთიანების დამადასტურებელ მტკიცებულებას (მუნიციპალიტეტების საბიბლიოთეკო ქსელში გაერთიანებული მასობრივი (საჯარო) ბიბლიოთეკის შემთხვევაში), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდებას (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შემთხვევაში) ან/და ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს ავტორიზებული პირის სტატუსის მოპოვებით დაინტერესებული დაწესებულების საქმიანობის ამ კანონის მე-4 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტის მოთხოვნასთან შესაბამისობას. „საქპატენტი“ უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში ავტორიზებული პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადების სრულყოფილად განსახილველად ავტორიზებული პირის სტატუსის მოპოვებით დაინტერესებულ დაწესებულებას დამატებითი დოკუმენტაციის/ ინფორმაციის წარდგენა მოსთხოვოს.

7. ავტორიზებული პირის სტატუსის გაუქმების საფუძვლებია:

ა) ამ სტატუსის გაუქმების შესახებ უფლებამოსილი პირის მოთხოვნა;

ბ) ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმება;

გ) დაწესებულების საქმიანობის სახის შეცვლა;

დ) ავტორიზებული პირის მიერ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა.

8. ავტორიზებული პირის მიერ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა ავტორიზებული პირის სტატუსის გაუქმებას ავტომატურად არ იწვევს. ამ საფუძვლით ავტორიზებული პირის სტატუსის გაუქმება დასაშვებია, თუ ავტორიზებულმა პირმა მძიმე დარღვევა ჩაიდინა და აღნიშნული სტატუსის გაუქმება საავტორო უფლებების ან მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ან ბენეფიციართა კანონიერი ინტერესების დაცვის ერთადერთი საშუალებაა.

9. დაწესებულებისთვის ავტორიზებული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ან ამ სტატუსის გაუქმების შესახებ „საქპატენტის“ გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ– სამართლებრივი აქტი. იგი საჩივრდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

10. ავტორიზებული პირი ავტორიზებული პირის სტატუსის გაუქმების შემდეგ ვალდებულია თავის სისტემაში დაცული, მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირებული ბეჭდური ნაწარმოებები თავის მიერვე შერჩეულ სხვა ავტორიზებულ პირს გადასცეს.

საქართველოს 2023 წლის 15 დეკემბრის კანონი №3966 – ვებგვერდი, 25.12.2023წ.

მუხლი 24. თავისუფალი დასწრებისათვის ღია ადგილებში მუდმივად განლაგებული ნაწარმოების გამოყენება

დაშვებულია თავისუფალი დასწრებისათვის ღია ადგილებში მუდმივად განლაგებულ არქიტექტურულ, ფოტოგრაფიულ, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნაწარმოების გამოსახულება წარმოადგენს ასეთი რეპროდუცირების ან საჯარო გადაცემის ძირითად ობიექტს ანდა გამოიყენება მოგების მიღების მიზნით.

მუხლი 25. მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულება ცერემონიების დროს

დაშვებულია მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულება ოფიციალური, სამგლოვიარო და რელიგიური ცერემონიების დროს ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ასეთი ცერემონიის ხასიათით.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 26. ნაწარმოების რეპროდუცირება სასამართლო წარმოებისათვის

დაშვებულია ნაწარმოების რეპროდუცირება ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, სასამართლო წარმოებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით.

მუხლი 27. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ ნაწარმოების მოკლევადიანი ჩაწერა

საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაცია უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის დამატებითი ჰონორარის გადახდის გარეშე, მოკლევადიანი სარგებლობისათვის ჩაწეროს ის ნაწარმოები, რომლის ეთერში გადაცემის უფლებაც მიიღო ამ ორგანიზაციამ, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ჩანაწერის დამზადება საკუთარი მოწყობილობის მეშვეობით, საკუთარი გადაცემისათვის;

ბ) ჩანაწერის განადგურება დამზადებიდან 6 თვის შემდეგ, თუ უფრო ხანგრძლივი ვადა არ იყო შეთანხმებული ჩაწერილი ნაწარმოების ავტორთან. ავტორის თანხმობის გარეშე ოფიციალურ არქივში შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ დოკუმენტური ხასიათის ჩანაწერი.

მუხლი 28. კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის მფლობელთა უფლებების შეზღუდვები

1. პირი, რომელიც მართლზომიერად ფლობს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის ეგზემპლარს, უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე:

ა) შეიტანოს კომპიუტერულ პროგრამაში ან მონაცემთა ბაზაში ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია მომხმარებლის ტექნიკურ საშუალებათა ფუნქციონირებისათვის, აგრეთვე განახორციელოს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, ჩაწერა და კომპიუტერის მეხსიერებაში შენახვა (ერთი კომპიუტერისათვის ან ქსელის ერთი მომხმარებლისათვის), აშკარა შეცდომების გასწორება, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) დაამზადოს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის სარეზერვო ეგზემპლარი იმ პირობით, რომ იგი განკუთვნილია მხოლოდ არქივისათვის და მართლზომიერი მფლობელის დაკარგული, განადგურებული ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარი ეგზემპლარის შესაცვლელად.

2. კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის სარეზერვო ეგზემპლარი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესებისაგან განსხვავებული მიზნით და უნდა განადგურდეს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის მფლობელობის უფლების შეწყვეტისთანავე.

მუხლი 29. კომპიუტერული პროგრამის თავისუფალი გამოყენება (დეკომპილირება)

პირი, რომელიც მართლზომიერად ფლობს კომპიუტერული პროგრამის ეგზემპლარს, უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე განახორციელოს კომპიუტერული პროგრამის დეკომპილაცია (კვლავაწარმოოს და გარდაქმნას ობიექტური კოდი საწყის ტექსტში), აგრეთვე დაავალოს დეკომპილირება სხვა პირებს იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია მის მიერ დამოუკიდებლად შექმნილ კომპიუტერულ პროგრამასა და სხვა პროგრამებს შორის ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ეს მოქმედებები განახორციელა პირმა, რომელსაც ჰქონდა პროგრამის ეგზემპლარის გამოყენების უფლება, ან მისი სახელით სხვა პირმა, რომელსაც ჰქონდა შესაბამისი ნებართვა;

ბ) ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად საჭირო ინფორმაცია სხვა წყაროებიდან ადრე არ ყოფილა ხელმისაწვდომი მისთვის;

გ) ეს მოქმედებები ეხება დეკომპილირებული პროგრამის იმ ნაწილებს, რომლებიც აუცილებელია ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად;

დ) დეკომპილირების შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ დამოუკიდებლად შექმნილ კომპიუტერულ პროგრამასა და სხვა პროგრამებს შორის ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად. ეს ინფორმაცია არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამოყენებულ იქნეს ახალი კომპიუტერული პროგრამის შესამუშავებლად, რომელიც არსებითად მსგავსია დეკომპილირებული პროგრამისა, ან სხვა ისეთი მოქმედების განსახორციელებლად, რომელიც არღვევს საავტორო უფლებას.

მუხლი 30. მონაცემთა ბაზის თავისუფალი გამოყენება

მონაცემთა ბაზის ორიგინალის ან ასლის მართლზომიერ მოსარგებლეს შეუძლია მონაცემთა

ბაზის ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობის გარეშე განახორციელოს ამ კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული მოქმედებები, როცა ეს აუცილებელია ბაზაში შეღწევისათვის და მისი ნორმალური გამოყენებისათვის. თუ მართლზომიერ მოსარგებლეს აქვს მონაცემთა ბაზის ნაწილის გამოყენების უფლება, აღნიშნული უფლება ვრცელდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

თავი IV
საავტორო უფლების მოქმედების ვადა

მუხლი 31. საავტორო უფლების წარმოშობა და მისი მოქმედების ხანგრძლივობა

1. საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში, გარდა ამ კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ მუხლით და ამავე კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ვადების ათვლა იწყება იმ წელიწადის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა იურიდიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული ვადის ათვლის დაწყების საფუძველს წარმოადგენდა.

მუხლი 32. საავტორო უფლებათა მოქმედების ვადები

1. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომლის გამოცემა ან საჯარო გაცნობა მოხდა ფსევდონიმით ან ანონიმურად, მოქმედებს 70 წლის განმავლობაში ამ ფაქტის მართლზომიერად დადგომის თარიღიდან. თუ ამ ვადაში ავტორი გაამჟღავნებს თავის ვინაობას ან თუ მისი ვინაობა ეჭვს არ იწვევს, გამოიყენება ამ კანონის 31-ე მუხლი.

2. საავტორო უფლება თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე მოქმედებს თითოეული თანაავტორის სიცოცხლეში და უკანასკნელი თანაავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში.

3. თუ ნაწარმოების გამოცემა ან საჯარო გაცნობა ხდება ტომებად, ნაწილებად, გამოშვებებად ან ეპიზოდებად, ხოლო საავტორო უფლების დაცვის ვადა აითვლება ამ ფაქტის მართლზომიერად დადგომის თარიღიდან, ეს ვადა გამოითვლება თითოეული ასეთი ნაწარმოებისათვის.

4. საავტორო უფლება ამ კანონის მე-12 და მე-13 მუხლებში აღნიშნულ ნაწარმოებებზე მოქმედებს 70 წლის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც მოხდა მათი მართლზომიერი გამოცემა ან საჯარო გაცნობა, ხოლო თუ ნაწარმოების გამოცემა ან საჯარო გაცნობა არ მომხდარა – მისი შექმნის თარიღიდან.

5. საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე მოქმედებს ამ კანონის მე-15 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ავტორთაგან (თანაავტორთაგან) უკანასკნელის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში.

5[1]. თანაავტორობით შექმნილ ტექსტიან მუსიკალურ ნაწარმოებზე საავტორო უფლება მოქმედებს თითოეული თანაავტორის სიცოცხლეში და უკანასკნელი თანაავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა თანაავტორებად მითითებული ტექსტისა და მუსიკალური ნაწარმოების ავტორები, რომელთა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა მუსიკალური ნაწარმოები.

6. იმ პირის ქონებრივი საავტორო უფლება, რომელმაც მართლზომიერად განახორციელა იმ ნაწარმოების გამოცემა ან საჯარო გაცნობა, რომლის გამოცემა ან საჯარო გაცნობა ადრე არ მომხდარა (ამ კანონის მე–18 მუხლის მე–8 პუნქტი), მოქმედებს 25 წლის განმავლობაში ასეთი ფაქტის დადგომის თარიღიდან.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1917 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 33. უვადო საავტორო უფლებები

1. ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორობის უფლების, სახელის უფლების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ.

2. საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ დაუშვებელია სხვა ავტორის მიერ ნაწარმოების სახელწოდების გამოყენება იმავე ჟანრის ნაწარმოებისათვის, თუ ასეთმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ავტორთა აღრევა, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

3. აკრძალულია ნაწარმოების გამოცემა ან საჯარო გაცნობა ისეთი ფსევდონიმით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ადრე ხელმისაწვდომი ნაწარმოების ავტორთან გაიგივება, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 34. ვადაგასული საავტორო უფლების გამოყენება

1. ნაწარმოები, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. ამასთან, დაცული უნდა იყოს ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებები. ეს წესი ვრცელდება იმ ნაწარმოებზედაც, რომელიც არ იყო დაცული საქართველოს ტერიტორიაზე.

2. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სპეციალური ანარიცხები საქართველოს ტერიტორიაზე იმ ნაწარმოების გამოყენებისთვის, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია. ასეთი ანარიცხებიდან მიღებული შემოსავალი გადაეცემა მხოლოდ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას. ანარიცხების ოდენობა ნაწარმოების გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლის 3 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

თავი V
საავტორო უფლების გადაცემა

მუხლი 35. საავტორო უფლების გადაცემის საფუძვლები

1. საავტორო უფლება გადაიცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით ანდა ხელშეკრულებით.

2. კანონით მემკვიდრეებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადის ფარგლებში გადადის ამ კანონის მე-18 მუხლში აღნიშნული ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლებები, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის. მემკვიდრეებს უფლება აქვთ განახორციელონ აღნიშნულ პირად უფლებათა დაცვა. მათი ეს უფლებამოსილება ვადით არ იზღუდება.

4. თუ ავტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული, მისი პირადი უფლებებიდან მემკვიდრეობით გადადის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). აღნიშნული უფლება მემკვიდრეებზე გადადის საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

5. ავტორს უფლება აქვს მიუთითოს პირი, რომელსაც ის ნიშნავს ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული უფლებების დამცველად. ეს პირი თავის მოვალეობას ასრულებს ავტორის გარდაცვალებამდე.

6. თუ მემკვიდრეები არ არსებობენ ან არაჯეროვნად ახორციელებენ ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ უფლებებს, ამ უფლებების დაცვას აწარმოებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი №651 – სსმ I, №47, 14.12.2000 წ., მუხ. 135
საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 36. ავტორის ქონებრივი უფლებების გადაცემა

ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს შეუძლია ყველა ქონებრივი უფლება ან მათი ნაწილი გადასცეს უფლებამონაცვლეს.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 37. განსაკუთრებული ლიცენზია

1. განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი მხოლოდ ლიცენზიატს აძლევს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები ხელშეკრულებით განსაზღვრული სახითა და ფარგლებში და მასვე ანიჭებს უფლებას, აკრძალოს ნაწარმოების ამგვარი გამოყენება სხვა პირთა (მათ შორის, ავტორის) მიერ.

2. ნაწარმოების სხვა პირთა მიერ გამოყენების აკრძალვის უფლება შეიძლება განახორციელოს ავტორმა, თუ ლიცენზიატი არ აწარმოებს ამ უფლების დაცვას.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 38. ჩვეულებრივი ლიცენზია

1. ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი ლიცენზიატს აძლევს უფლებას გამოიყენოს ნაწარმოები იმ პირთა თანაბრად, რომლებმაც მიიღეს ასეთი ნაწარმოების იმავე სახით გამოყენების უფლება.

2. საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული უფლება ჩაითვლება ჩვეულებრივ უფლებად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 39. ნაწარმოების გამოყენება განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემის შემდეგ

განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემის შემთხვევაშიც კი ავტორს ამ ნაწარმოების გამოყენების უფლება უნარჩუნდება თავის ნაწარმოებთა მხოლოდ სრული კრებულის გამოცემისას, თუ განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემის შედეგად თარიღიდან, როდესაც გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით ნაწარმოები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა, გასულია 5 წელი. ამასთან, ავტორს არა აქვს უფლება, გამოიყენოს ასეთი ნაწარმოები სრული კრებულისაგან დამოუკიდებლად.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 40. სალიცენზიო ხელშეკრულება

1. სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს: გამოსაყენებელი ნაწარმოების ზუსტ აღწერას (სახელწოდება, მოცულობა, ჟანრი), ნაწარმოების გამოყენების კონკრეტულ სახეს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და ტერიტორიას, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის წესს ან ჰონორარის ოდენობას ნაწარმოების გამოყენების ყოველი სახისათვის, მისი გადახდის წესსა და ვადას, აგრეთვე სხვა პირობებს, რომლებსაც მხარეები არსებითად მიიჩნევენ.

2. ნაწარმოების ყველა იმ სახით გამოყენების უფლება, რომელიც სალიცენზიო ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ეკუთვნის ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს.

3. თუ სალიცენზიო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ნაწარმოების გამოყენების კონკრეტული სახე, ხელშეკრულება ითვლება დადებულად ნაწარმოების ისეთ გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად მხარეთა იმ განზრახვის შესრულებისათვის, რომელიც მათ ჰქონდათ ხელშეკრულების დადებისას.

4. თუ სალიცენზიო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულება შეიძლება გააუქმოს ავტორმა ან საავტორო უფლების სხვა მფლობელმა მისი დადებიდან 3 წლის შემდეგ. ლიცენზიატს აღნიშნულის თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით ხელშეკრულების გაუქმებამდე 6 თვით ადრე.

5. თუ სალიცენზიო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების მოქმედების ტერიტორია, იგი მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

6. სალიცენზიო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ მიეცეს სხვა პირებს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

7. თუ ნაწარმოების რეპროდუცირების შესახებ სალიცენზიო ხელშეკრულებაში ჰონორარი განისაზღვრება ფიქსირებული თანხით, სალიცენზიო ხელშეკრულებით უნდა დადგინდეს ნაწარმოების მაქსიმალური ტირაჟი.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 41. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 42. ხელშეკრულების ფორმა

საავტორო უფლებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, ნაწარმოების შექმნის შესახებ ხელშეკრულება და სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. პერიოდულ

ბეჭდვით გამოცემებში ნაწარმოების გამოყენების სალიცენზიო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირადაც.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 43. ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულება

1. ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულების მიხედვით ავტორი კისრულობს ვალდებულებას, შექმნას ნაწარმოები ხელშეკრულების პირობების მიხედვით და გადასცეს იგი შემკვეთს, ხოლო შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს ნაწარმოები და გადაუხადოს ავტორს ჰონორარი.

2. ავტორი ვალდებულია პირადად შექმნას ნაწარმოები, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ნაწარმოების შექმნაში სხვა პირის (პირების) ჩართვა დასაშვებია მხოლოდ შემკვეთის თანხმობით.

3. შემკვეთი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომისთანავე დაათვალიეროს ნაწარმოები და წერილობით შეატყობინოს ავტორს ნაწარმოების მოწონების ანდა ხელშეკრულების პირობების საფუძველზე მისი დაწუნების ან მასში შესწორებათა შეტანის აუცილებლობის შესახებ.

4. თუ ავტორს ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება, ნაწარმოები შემკვეთის მიერ მოწონებულად ითვლება.

5. ავტორისათვის ავანსის გადახდის წესი, ვადა და ავანსის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

6. ბათილია ხელშეკრულების ის პირობა, რომელიც ზღუდავს ავტორის უფლებას მომავალში შექმნას ნაწარმოები განსაზღვრულ თემაზე ან განსაზღვრულ დარგში.

7. ხელშეკრულების საგანი არ შეიძლება იყოს იმ ნაწარმოებზე უფლების გადაცემა, რომელიც შეიძლება მომავალში შექმნას ავტორმა.

8. შეკვეთის შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე ქონებრივი საავტორო უფლებები ეკუთვნის შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3032 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.184

მუხლი 44. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ავტორის ქონებრივი უფლებების გადაცემის, ნაწარმოების შექმნის ან სალიცენზიო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

თავი VI
მომიჯნავე უფლებები

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 45. მომიჯნავე უფლებები

1. ამ თავით გათვალისწინებული საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებების დაცვა არ აბრკოლებს საავტორო უფლებათა დაცვას.

2. მომიჯნავე უფლებები ხორციელდება საავტორო უფლებათა პატივისცემის გზით. ამ თავის არც ერთი დებულება არ განიმარტება, როგორც საავტორო უფლებათა დაცვის შელახვა.

მუხლი 46. მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები

1. მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები არიან: შემსრულებლები, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის ორგანიზაციები.

2. ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის ორგანიზაციები ამ თავით გათვალისწინებულ უფლებებს ახორციელებენ ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ანდა ეთერში ან კაბელით გადაცემული ნაწარმოების ავტორსა და შემსრულებელთან დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. შემსრულებელი ამ თავით გათვალისწინებულ უფლებებს ახორციელებს შესრულებული ნაწარმოების ავტორის უფლებათა დაცვის პირობით.

4. მომიჯნავე უფლებათა წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის რაიმე ფორმალობათა დაცვა. ფონოგრამის დამამზადებელს ან შემსრულებელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს მომიჯნავე უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ფონოგრამის ყოველ ეგზემპლარზე ან/და მის ფუტლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:
   ა) ლათინური ასო P წრეწირში: P ;
   ბ) განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);
   გ) ფონოგრამის პირველი გამოცემის წელი.

მუხლი 47. შემსრულებლის უფლებები

1. შემსრულებელს თავის შესრულებაზე აქვს შემდეგი პირადი და ქონებრივი უფლებები:
   ა) სახელის უფლება;
   ბ) უფლება, დაიცვას შესრულება ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს შემსრულებლის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება);
   გ) უფლება, გამოიყენოს შესრულება ნებისმიერი ფორმით, შესრულების ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით.

2. შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:
   ა) იმ შესრულების ჩაწერა, რომელიც ადრე არ იყო ჩაწერილი;
   ბ) ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირება;
   გ) შესრულების გადაცემა ეთერში ან კაბელით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება შემსრულებლის თანხმობით ადრე ჩაწერილი ან ეთერში ადრე გადაცემული შესრულების გადაცემა;

დ) შესრულების ჩანაწერის გადაცემა ეთერში ან კაბელით, თუ თავდაპირველად ამ შესრულების ჩაწერა არ მომხდარა მოგების მიღების მიზნით;
ე) ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების ორიგინალის ან ასლების გაქირავება ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა;
ვ) ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების ორიგინალის ან ასლების გავრცელება – გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით;
ზ) ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების გადაცემა სადენებით ანდა უმავთულო კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს პირისათვის, მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებართვა გაიცემა შემსრულებლის მიერ, ხოლო შემსრულებელთა კოლექტივის შესრულებაზე ნებართვა – ასეთი კოლექტივის ხელმძღვანელის მიერ, მოსარგებლესთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.

4. შემსრულებელსა და მაუწყებლობის ორგანიზაციას შორის ხელშეკრულების დადება შესრულების ეთერში ან კაბელით გადაცემის თაობაზე იწვევს შემსრულებლის მიერ შესრულების ჩაწერის, მისი შემდგომი გადაცემისა და ჩანაწერის რეპროდუცირების უფლების გადაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთი გამოყენების შემთხვევაში შესრულებისათვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობა განისაზღვრება აღნიშნული ხელშეკრულებით.

5. შემსრულებელსა და აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს შორის ხელშეკრულების დადება აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე იწვევს შემსრულებლის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა გადაცემას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შემსრულებლის მიერ ასეთი უფლებების გადაცემა შემოიფარგლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენებით და, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არ შეიცავს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში დაფიქსირებული ხმისა და გამოსახულების ცალ-ცალკე გამოყენების უფლებას.

6. საქართველოში შემსრულებლის მიერ ან მისი თანხმობით ფონოგრამის ასლების პირველი გაყიდვით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში შემსრულებლის უფლება მის შემდგომ გავრცელებაზე.

7. იმ შესრულებაზე, რომელიც შემსრულებლის მიერ შექმნილია სამსახურებრივი მოვალეობის ან დამსაქმებლის დავალების შესრულების წესით, შემსრულებელს ეკუთვნის სახელის უფლება. ასეთი შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის პირს, რომელთანაც შემსრულებელს აქვს შრომითი ურთიერთობა, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3032 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.184

მუხლი 48. ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები

1. ფონოგრამის დამამზადებელს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს ფონოგრამა ნებისმიერი ფორმით, ფონოგრამის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით.

2. ფონოგრამის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) ფონოგრამის პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირება;

ბ) (ამოღებულია).

გ) ფონოგრამის ორიგინალის ან ასლების გაქირავება ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა;

დ) ფონოგრამის ორიგინალის ან ასლების გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით;

ე) ფონოგრამის ასლების იმპორტირება გაყიდვის ან გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით იმ ასლების ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ფონოგრამის დამამზადებლის თანხმობით;

ვ) ფონოგრამის გადაცემა სადენებით ანდა უმავთულო კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის, მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

4. საქართველოში ფონოგრამის დამამზადებლის მიერ ან მისი თანხმობით ფონოგრამის ასლების პირველი გაყიდვით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ფონოგრამის დამამზადებლის უფლება მის შემდგომ გავრცელებაზე.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 49. ვიდეოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები

1. ვიდეოგრამის დამამზადებელს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს ვიდეოგრამა ნებისმიერი ფორმით, ვიდეოგრამის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით.

2. ვიდეოგრამის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) ვიდეოგრამის პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირება;

ბ) (ამოღებულია).

გ) ვიდეოგრამის ორიგინალის ან ასლების გაქირავება ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა;

დ) ვიდეოგრამის ორიგინალის ან ასლების გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით;

ე) ვიდეოგრამის ასლების იმპორტირება გაყიდვის ან გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით იმ ასლების ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ვიდეოგრამის დამამზადებლის თანხმობით;

ვ) ვიდეოგრამის გადაცემა სადენებით ანდა უმავთულო კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეული ადგილიდან და დროს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვიდეოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

4. საქართველოში ვიდეოგრამის დამამზადებლის მიერ ან მისი თანხმობით ვიდეოგრამის

ასლების პირველი გაყიდვით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ვიდეოგრამის დამამზადებლის უფლება მის შემდგომ გავრცელებაზე.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 50. მაუწყებლობის ორგანიზაციის განსაკუთრებული უფლებები

1. მაუწყებლობის ორგანიზაციას ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს თავისი გადაცემა ნებისმიერი ფორმით, გადაცემის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ანაზღაურების მიღების უფლების ჩათვლით.

2. გადაცემის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) გადაცემის ჩაწერა;

ბ) გადაცემის ჩანაწერის რეპროდუცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაცემა ჩაწერილია მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობით და რეპროდუცირება ხორციელდება იმავე მიზნით, რისთვისაც მოხდა მისი ჩაწერა;

გ) გადაცემის ერთდროულად გადაცემა ეთერში და კაბელით ხელახალი გადაცემა შესაბამისად საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის სხვა ორგანიზაციის მიერ;

დ) გადაცემის გადაცემა ეთერში ან კაბელით;

ე) გადაცემის საჯარო გადაცემა ადგილებში, სადაც შესვლა ფასიანია.

ვ) გადაცემის ჩანაწერის გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით;

ზ) გადაცემის ჩანაწერის გაქირავება ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა;

თ) გადაცემის ჩანაწერის გადაცემა სადენებით ანდა უსადენო კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეული ადგილიდან და დროს.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 51. მომიჯნავე უფლებათა ობიექტების თავისუფალი გამოყენება

1. ამ კანონით გათვალისწინებულ მომიჯნავე უფლებათა შეზღუდვები ხელს არ უშლის შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს.

2. დაშვებულია შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მათი ჩანაწერების გამოყენება შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობისა და მათთვის ჰონორარის გადახდის გარეშე, შემდეგ შემთხვევებში:

ა) შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან ციტირებისას, სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის – მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით;

ბ) შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან მოკლე ნაწყვეტების ილუსტრაციის სახით გამოყენებისას სწავლებისათვის ან მეცნიერული გამოკვლევებისათვის – მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით;

გ) შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან მოკლე ნაწყვეტების ჩართვისას მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში.

3. დაშვებულია ფიზიკურ პირთა მიერ შესრულების, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მათი ჩანაწერების გამოყენება, აგრეთვე პირადი სარგებლობისათვის ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირება შემსრულებლის, მაუწყებლობის ორგანიზაციის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის თანხმობის გარეშე. ასეთი რეპროდუცირება ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული წესით ხორციელდება ჰონორარის გადახდის პირობით.

4. მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტის ამ კანონით გათვალისწინებული რეპროდუცირების უფლება არ ვრცელდება დროებით ასლზე.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 52. მოგების მიღების მიზნით გამოცემული ფონოგრამის გამოყენება

1. დაშვებულია მოგების მიღების მიზნით გამოცემული ფონოგრამის დამამზადებლის და ასეთ ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების შემსრულებლის თანხმობის გარეშე, მაგრამ ჰონორარის გადახდით:

ა) ფონოგრამის საჯარო შესრულება;

ბ) ფონოგრამის საჯარო გადაცემა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებას ახორციელებს იმ ორგანიზაციათაგან ერთ-ერთი, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა უფლებებს, ამ ორგანიზაციათა შორის შეთანხმების შესაბამისად.

3. ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება, ერთი მხრივ, ფონოგრამით მოსარგებლეებსა და, მეორე მხრივ, მხოლოდ იმ ორგანიზაციას, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ფონოგრამის დამამზადებლებისა და შემსრულებლების უფლებებს, შორის შეთანხმებით. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, ჰონორარის ოდენობას, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესს ერთ-ერთი მხარის ან მხარეების მიმართვის საფუძველზე განსაზღვრავს „საქპატენტის“ თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი კომისია ამ კანონის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით, ხოლო შესაბამისი ჰონორარი გადაიხდება იმავე მუხლის მე-7 და 7^1 პუნქტებით განსაზღვრული წესით.

4. ფონოგრამებით მოსარგებლეებმა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებს უნდა წარუდგინონ პროგრამები (გეგმები), რომლებიც შეიცავს ზუსტ ცნობებს ფონოგრამების გამოყენების ოდენობის შესახებ, აგრეთვე სხვა ცნობები და საბუთები, რომლებიც აუცილებელია ჰონორარის შეგროვებისა და განაწილებისათვის.

5. ამ მუხლის მიზნებისათვის ფონოგრამა, რომელიც ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომი გახდა სადენებიანი ანდა უსადენო კავშირგაბმულობის საშუალებით მის მიერ არჩეული ადგილიდან და დროს, განიხილება, როგორც მოგების მიღების მიზნით გამოცემული.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი №651 – სსმ I, №47, 14.12.2000 წ., მუხ. 135

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1917 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 53. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ შესრულების ან გადაცემის ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისათვის

საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას უფლება აქვს შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობის გარეშე განახორციელოს შესრულების ან გადაცემის ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისათვის და ასეთი ჩანაწერის რეპროდუცირება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) წინასწარი თანხმობის მიღება ამ შესრულების ან პროგრამის გადაცემაზე;

ბ) მოკლევადიანი ჩანაწერის დამზადება და რეპროდუცირება საკუთარი მოწყობილობით, საკუთარი გადაცემისათვის;

გ) მოკლევადიანი ჩანაწერის განადგურება იმ პირობით, რომელიც გათვალისწინებულია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა მოკლევადიანი ჩანაწერებისათვის.

თავი VII
მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 54. მონაცემთა ბაზის დამამზადებელი

1. მონაცემთა ბაზის (რომელიც არ წარმოადგენს ნაწარმოებს) დამამზადებელი, რომელიც ადასტურებს, რომ მან განახორციელა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი ინვესტიცია მონაცემთა ბაზის შემცველობის შეძენის, მოპოვების, დაზუსტების ან წარმოდგენის მხრივ, სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, არ დაუშვას მისი მთლიანი შემცველობის ან ხარისხობრივად ან/და რაოდენობრივად შეფასებული მნიშვნელოვანი ნაწილის ამოღება ან/და ხელახალი გამოყენება.

2. ამ თავის მიზნებისათვის, ამოღება გულისხმობს მონაცემთა ბაზის მთლიანი შემცველობის ან მნიშვნელოვანი ნაწილის მუდმივად ან დროებით გადატანას სხვა მატერიალურ მატარებელზე ნებისმიერი საშუალებით თუ ფორმით, ხოლო ხელახალი გამოყენება გულისხმობს აღნიშნული მატარებლის ან მისი ასლების საზოგადოებაში გავრცელებას, გაქირავებას ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემას ანდა მონაცემთა ბაზის მთლიანი შემცველობის ან მნიშვნელოვანი ნაწილის საჯარო გაცნობას. საქართველოში დამამზადებლის მიერ ან მისი თანხმობით მონაცემთა ბაზის ასლების პირველი გაყიდვით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში მათი გავრცელების კონტროლის უფლება.

3. დაუშვებელია მონაცემთა ბაზის შემცველობის უმნიშვნელო ნაწილების განმეორებითი ან სისტემატური ამოღება ან/და ხელახალი გამოყენება, თუ ასეთი მოქმედება ხელს უშლის მის ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ ლახავს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის კანონიერ ინტერესებს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

5. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უფლებები ძალაშია დამოუკიდებლად იმისა, დაცულია თუ არა ამ მონაცემთა ბაზაში შემავალი ნაწარმოებები, მომიჯნავე უფლებების ობიექტები და სხვა მონაცემები, მათი შინაარსის მიუხედავად. მონაცემთა ბაზის დაცვა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლებების შესაბამისად არ უნდა ლახავდეს მის შემადგენელ ნაწილებთან დაკავშირებულ საავტორო ან სხვა უფლებებს.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 54[1]. მონაცემთა ბაზის დეპონირება

1. მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება აქვს მონაცემთა ბაზის ორიგინალის ან ასლის დეპონირება განახორციელოს „საქპატენტში“. დეპონირების შედეგად „საქპატენტის“ მიერ გაცემული მოწმობა ადასტურებს მხოლოდ მონაცემთა ბაზის დეპონირების ფაქტს.

2. მონაცემთა ბაზის ორიგინალის ან ასლის „საქპატენტში“ დეპონირებისას განმცხადებლის მიერ დაცული უნდა იქნეს მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებული საავტორო და სხვა უფლებები.

3. განმცხადებლის მიერ „საქპატენტში“ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია თავად განმცხადებელი.

4. თუ „საქპატენტში“ მონაცემთა ბაზის დეპონირებისათვის განცხადებას წარადგენს დამამზადებლის მემკვიდრე, უფლებამონაცვლე ან სხვა პირი, რომელიც ფლობს დამამზადებლის უფლებებს, მას უნდა დაერთოს მემკვიდრეობის, უფლებამონაცვლეობის ან დამამზადებლის უფლებების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. „საქპატენტში“ მონაცემთა ბაზის წარმომადგენლის მეშვეობით დეპონირებისას განცხადებას აგრეთვე უნდა დაერთოს წარმომადგენლობის დამდასტურებელი დოკუმენტი.

6. ამ მუხლის თანახმად დეპონირებულ მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებული ინფორმაცია „საქპატენტის“ მიერ შეიძლება გახდეს საჯარო თავად მონაცემთა ბაზის დამამზადებლის მოთხოვნით.

7. მონაცემთა ბაზის დეპონირებისათვის გადაიხდება საფასური, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3032 – სსმ I, №27, 24.05.2010 წ., მუხ.184

მუხლი 55. მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლის უფლებები და მოვალეობები

1. თუ მონაცემთა ბაზა გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, დამამზადებელს უფლება არა აქვს აუკრძალოს მონაცემთა ბაზის კანონიერ მოსარგებლეს მონაცემთა ბაზის შემცველობის ხარისხობრივად ან/და რაოდენობრივად შეფასებული უმნიშვნელო ნაწილების ამოღება ან/და ხელახალი გამოყენება ნებისმიერი მიზნით. თუ კანონიერ მოსარგებლეს აქვს მონაცემთა ბაზის ნაწილის ამოღების ან/და ხელახალი გამოყენების უფლება, ეს პუნქტი ვრცელდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

2. გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლის მოქმედება არ უნდა ლახავდეს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის კანონიერ ინტერესებს.

3. გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის კანონიერმა მოსარგებლემ არ უნდა შელახოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელის უფლებები მონაცემთა ბაზაში არსებულ ნაწარმოებთან ან მომიჯნავე უფლების ობიექტთან დაკავშირებით.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 56. მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების შეზღუდვა

მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლე უფლებამოსილია მისი დამამზადებლის ნებართვის გარეშე:

ა) ამოიღოს პირადი სარგებლობისათვის არაელექტრონული მონაცემთა ბაზის შემცველობის მნიშვნელოვანი ნაწილი;
ბ) ამოიღოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მასალის საილუსტრაციოდ მონაცემთა ბაზის შემცველობის მნიშვნელოვანი ნაწილი, წყაროს მითითებით და დასახული არაკომერციული მიზნით განსაზღვრული მოცულობით;
გ) ამოიღოს და ხელახლა გამოიყენოს მონაცემთა ბაზის შემცველობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის და ადმინისტრაციული თუ სასამართლო-საპროცესო მიზნებისათვის.

თავი VIII
მომიჯნავე უფლებებისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების მოქმედების ვადა

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 57. მომიჯნავე უფლებათა მოქმედების ვადები

1. ამ კანონის 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლება მოქმედებს პირველი შესრულებიდან 50 წლის განმავლობაში. თუ ამ ვადაში შესრულების (გარდა ფონოგრამის სახით ჩაწერილი შესრულებისა) ჩანაწერი გამოცემის ან საჯარო გადაცემის გზით საზოგადოებისთვის მართლზომიერად ხელმისაწვდომი გახდა, ეს უფლება მოქმედებს აღნიშნული ფაქტებიდან ერთ-ერთის პირველად დადგომიდან 50 წლის განმავლობაში, ხოლო თუ ამ ვადაში ფონოგრამის სახით ჩაწერილი შესრულება გამოცემის ან საჯარო გადაცემის გზით საზოგადოებისთვის მართლზომიერად ხელმისაწვდომი გახდა, ეს უფლება მოქმედებს აღნიშნული ფაქტებიდან ერთ-ერთის პირველად დადგომიდან 70 წლის განმავლობაში.

2. შემსრულებლის სახელის უფლება და რეპუტაციის პატივისცემის უფლება დაცულია უვადოდ. ეს უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის. შემსრულებლის პირად უფლებათა დაცვა მისი გარდაცვალების შემდეგ ხორციელდება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისათვის.

3. ამ კანონის 48-ე და 49-ე მუხლებით გათვალისწინებული ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის უფლება მოქმედებს შესაბამისად ფონოგრამის ან ვიდეოგრამის პირველი ჩაწერიდან 50 წლის განმავლობაში. თუ ამ ვადაში ფონოგრამა ან ვიდეოგრამა გამოცემის ან საჯარო გადაცემის გზით საზოგადოებისთვის მართლზომიერად ხელმისაწვდომი გახდა, ეს უფლება მოქმედებს აღნიშნული ფაქტებიდან ერთ-ერთის პირველად დადგომიდან 70 წლის განმავლობაში.

3^1. თუ ფონოგრამის დამამზადებელს ფონოგრამის მართლზომიერი გამოცემიდან ან საჯარო გადაცემიდან 50 წლის შემდეგ გასაყიდად არ გამოაქვს ფონოგრამის ასლების საკმარისი რაოდენობა ან არ ხდის მათ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს, შემსრულებელს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომლითაც თავისი შესრულების ჩანაწერზე უფლებები ფონოგრამის დამამზადებელს გადასცა.

4. ამ კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული მაუწყებლობის ორგანიზაციის განსაკუთრებული უფლება მოქმედებს აღნიშნული ორგანიზაციის მიერ პროგრამის სადენით

ან უსადენო კავშირგაბმულობის მეშვეობით (საკაბელო ან სატელიტური კავშირის ჩათვლით) პირველად გადაცემიდან 50 წლის განმავლობაში.

5. ამ კანონის 54-ე მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლება მოქმედებს მონაცემთა ბაზის დამზადებიდან 15 წლის განმავლობაში. თუ ამ ვადაში მონაცემთა ბაზა გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის მართლზომიერად ხელმისაწვდომი გახდა, 15 წელი აითვლება აღნიშნული ფაქტებიდან ერთ-ერთის პირველად დადგომიდან.

6. ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული მონაცემთა ბაზის შემცველობის ხარისხობრივად ან/და რაოდენობრივად შეფასებული ცვლილება, კერძოდ, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება, გამომდინარე გაუქმებიდან ან შესწორებიდან, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომ განხორციელდა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი კაპიტალ-დაბანდება, შესაძლებლობას იძლევა ასეთი დაბანდების შედეგად შეცვლილ მონაცემთა ბაზას მიეცეს დაცვის საკუთარი ვადა.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული ვადების ათვლა იწყება იმ წელიწადის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა იურიდიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული ვადის ათვლის დაწყების საფუძველია.

8. ამ თავში აღნიშნული უფლებები ამ მუხლის პირველ, მე-2–მე-5 პუნქტებში მითითებული ვადების მოქმედების დროს გადადის შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის, მაუწყებლობის ორგანიზაციის და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის მემკვიდრეებზე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში
– მის უფლებამონაცვლეებზე.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1917 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

თავი IX
საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დაცვა

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 58. საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევა

1. ამ კანონით გათვალისწინებული საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევა იწვევს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ასრულებს ამ კანონის მოთხოვნებს, ითვლება საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დამრღვევად.

3. საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევად აგრეთვე ჩაითვლება:
ა) ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მონაცემთა ბაზის უკანონო გამოყენება;
ბ) უფლების მართვის ინფორმაციის შეცვლა ან წაშლა უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე;

გ) თუ ნაწარმოები, მომიჯნავე უფლების ობიექტი ან მონაცემთა ბაზა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა (საჯარო გაცნობის, მათი ჩანაწერის ასლების გავრცელების, გაქირავების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით), როდესაც აღნიშნულის განმახორციელებელმა პირმა იცოდა ან სათანადო საფუძველი ჰქონდა სცოდნოდა, რომ უფლების მართვის ინფორმაცია შეცვლილი ან წაშლილი იქნა უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე;

დ) ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლა;

ე) ნებისმიერი ისეთი ტექნოლოგიის, მოწყობილობის ან მისი კომპონენტის წარმოება, იმპორტი, გავრცელება, გაყიდვა, გაქირავება ან რეკლამირება:

ე.ა) რომლის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა ემსახურება ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლას;

ე.ბ) რომელსაც აქვს შეზღუდული კომერციული მნიშვნელობა და ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის გარდა შესაძლებელია მისი სხვა მიზნით გამოყენება;

ე.გ) რომელიც თავიდანვე შექმნილია, განკუთვნილია, წარმოებულია ან გადაკეთებულია იმისთვის, რომ შესაძლებელი გახადოს ან ხელი შეუწყოს ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლას;

ვ) ტექნოლოგიის, მოწყობილობის ან მისი კომპონენტის გამოყენებით ტექნოლოგიური საშუალებების ნეიტრალიზაციის მიზნით მომსახურების შეთავაზება და გაწევა.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

ზ) „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შუალედური მომსახურების (ჰოსტინგის) მიმწოდებლის (შემდგომ – შუალედური მომსახურების მიმწოდებელი) მიერ ამ კანონის 601 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2025 წლის 9 დეკემბრის კანონი №1137 – ვებგვერდი, 12.12.2025წ.

მუხლი 59. საავტორო უფლების, მომიჯნავე უფლებებისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დაცვა

1. საავტორო უფლების მფლობელს, მომიჯნავე უფლებების მფლობელს ან მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება აქვს, დამრღვევისგან მოითხოვოს:

ა) უფლების აღიარება;

ბ) უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს;

გ) ამ კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის კონტრაფაქციულად მიჩნეული ასლების, აგრეთვე მათი რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალებებისთვის გვერდის ავლისათვის საჭირო მასალის, მოწყობილობის ან მოწყობილობის კომპონენტის ჩამორთმევა. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის კონტრაფაქციული ასლები შეიძლება გადაეცეს უფლების მფლობელს მისი მოთხოვნით;

დ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით), თუ დამრღვევმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა საავტორო უფლების, მომიჯნავე უფლებების ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დარღვევის შესახებ;

ე) მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაცვლად დამრღვევისთვის საავტორო უფლების, მომიჯნავე უფლებების ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დარღვევით მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა მოსარჩელის სასარგებლოდ;

ვ) მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით;
ზ) მისი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების გამოყენება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“–„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომები გამოიყენება უფლების მფლობელის არჩევით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის კონტრაფაქციული ასლები, რომლებიც არ გამოითხოვა უფლების მფლობელმა, აგრეთვე მათი რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალებებისთვის გვერდის ავლისათვის საჭირო მასალა, მოწყობილობა ან მოწყობილობის კომპონენტი ნადგურდება სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჩამორთმევას არ ექვემდებარება მესამე პირის მიერ მართლზომიერად შეძენილი ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის კონტრაფაქციული ასლები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონტრაფაქციული ასლები კომერციული გამოყენების მიზნით იქნა შეძენილი.

5. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლები კონტრაფაქციულია, შესაძლებელია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებები განხორციელდეს აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელმაც იცოდა ან რომელსაც უნდა სცოდნოდა, რომ მისი მომსახურება გამოიყენება ან გამოიყენებოდა განსაკუთრებული უფლების კომერციული მასშტაბით დარღვევისათვის.

6. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს უფლების დარღვევის არსი, განსაკუთრებული უფლების დარღვევით მიღებული შემოსავალი, უფლების მფლობელისთვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელსაც მიიღებდა უფლების მფლობელი ნაწარმოების, მომიჯნავე უფლებების ობიექტის ან მონაცემთა ბაზის მართლზომიერად გამოყენებით.

7. ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს უფლების დარღვევის სიმძიმე, კონტრაფაქციული ასლების რაოდენობა, დამრღვევის განზრახვა ან/და ნებისმიერი სხვა გარემოება, რომელიც კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული.

8. დავის დაწყებამდე უფლების მფლობელმა ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით უნდა მიმართოს დამრღვევს, ხოლო დამრღვევს უფლება აქვს, უფლების მფლობელის მიერ ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდის მოთხოვნიდან 2 კვირის ვადაში გადაუხადოს მას ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების 10 პროცენტზე მეტი ოდენობით. თუ დამრღვევი მისთვის მიმართვიდან 2 კვირის ვადაში არ გადაუხდის უფლების მფლობელს ერთჯერად ფულად კომპენსაციას აღნიშნული ოდენობით, უფლების მფლობელი უფლებამოსილია დაიწყოს დავა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მოითხოვოს ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა, რომელიც არ უნდა იყოს დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგ ოდენობაზე ნაკლები.

9. საავტორო უფლების მფლობელს, მომიჯნავე უფლების მფლობელს, მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება აქვს, შუალედური მომსახურების მიმწოდებლისგან წერილობითი შეტყობინებით მოითხოვოს იმ კონტრაფაქციული ასლების დაუყოვნებლივ წაშლა ან იმ

კონტრაფაქციული ასლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, რომლებიც არღვევს მის საავტორო უფლებას ან/და მომიჯნავე უფლებას ან უფლებას მონაცემთა ბაზაზე.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული თითოეული უფლების მფლობელის წერილობითი შეტყობინება უნდა შეიცავდეს:

ა) უფლების დარღვევის ობიექტის აღწერას, აგრეთვე მითითებას იმ ფაქტზე, რომელიც არის დასაბუთებული საფუძველი იმისა, რომ საავტორო უფლების, მომიჯნავე უფლების ან მონაცემთა ბაზაზე უფლების მფლობელის უფლება დაირღვა;

ბ) იმ მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება კონტრაფაქციული ასლების იდენტიფიცირება;

გ) უფლების მფლობელის სახელს (დასახელებას), საიდენტიფიკაციო ან პირად ნომერს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართებს, ტელეფონის ნომერსა და ელექტრონული ფოსტის მისამართს.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1917 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 16 დეკემბრის კანონი №2442 – ვებგვერდი, 27.12.2022წ.
საქართველოს 2025 წლის 9 დეკემბრის კანონი №1137 – ვებგვერდი, 12.12.2025წ.

მუხლი 60. კონტრაფაქციული ასლები

1. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლები, რომელთა დამზადება, გავრცელება, გაქირავება ან სხვაგვარი გამოყენება იწვევს საავტორო და მომიჯნავე უფლების ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დარღვევას, ითვლება კონტრაფაქციულ ასლებად.

2. კონტრაფაქციულად ითვლება აგრეთვე იმ ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლები, რომლებიც დაცულია საქართველოში ამ კანონის შესაბამისად და რომლებიც უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე იმპორტირებულია საქართველოში იმ სახელმწიფოდან, სადაც ისინი არასდროს ყოფილა დაცული ან სადაც მათი დაცვა შეწყვეტილია.

3. (ამოღებულია – 23.12.2017, №1917).

4. (ამოღებულია – 23.12.2017, №1917).

5. (ამოღებულია – 23.12.2017, №1917).

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1917 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 60¹. შუალედური მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები და მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები

1. შუალედური მომსახურების მიმწოდებელს საავტორო უფლების, მომიჯნავე უფლების ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ იგი უფლების მფლობელისგან ამ კანონის 59-ე მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი წესით შედგენილი წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე ან მისი მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა წაშლის სავარაუდო კონტრაფაქციულ ასლებს ან შეზღუდავს მათ ხელმისაწვდომობას, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება აღნიშნული უფლების სავარაუდო დამრღვევს.

2. შუალედური მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით

გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში წერილობით აცნობოს უფლების მფლობელს განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

3. თუ უფლების სავარაუდო დამრღვევი მიიჩნევს, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედება მის მიმართ არამართლზომიერად განხორციელდა, იგი უფლებამოსილია შუალედური მომსახურების მიმწოდებლისგან განცხადებით მოითხოვოს სადავო მასალაზე იმ ხელმისაწვდომობის აღდგენა, რომელიც აღნიშნული ქმედების განხორციელებამდე არსებობდა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლების სავარაუდო დამრღვევის განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) მითითებას იმ მასალაზე, რომელიც წაიშალა ან რომლის ხელმისაწვდომობაც შეიზღუდა;

ბ) იმ ვებგვერდის მისამართს, რომელზეც განთავსებული იყო ის მასალა, რომელიც წაიშალა ან რომლის ხელმისაწვდომობაც შეიზღუდა;

გ) დასაბუთებას, რომლის საფუძველზეც უფლების სავარაუდო დამრღვევს მიაჩნია, რომ ის მასალა, რომელიც წაიშალა ან რომლის ხელმისაწვდომობაც შეიზღუდა, წერილობით შეტყობინებაში მითითებული უფლების მფლობელის უფლებას არ არღვევს;

დ) უფლების სავარაუდო დამრღვევის სახელს (დასახელებას), საიდენტიფიკაციო ან პირად ნომერს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართებს, ტელეფონის ნომერსა და ელექტრონული ფოსტის მისამართს.

5. შუალედური მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადება მიღებიდან 24 საათში გაუგზავნოს უფლების მფლობელს. უფლების მფლობელი ვალდებულია აღნიშნული განცხადების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარადგინოს სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული სადავო მასალის წაშლის ან მისი ხელმისაწვდომობის შეზღუდვის თაობაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინება.

6. თუ უფლების მფლობელი ვერ წარადგენს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ სასამართლო განჩინებას, შუალედური მომსახურების მიმწოდებელი აღადგენს წაშლილ მასალას ან მის შეზღუდულ ხელმისაწვდომობას. ამ შემთხვევაში შუალედური მომსახურების მიმწოდებელს საავტორო უფლების, მომიჯნავე უფლების ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული პირები თავიანთი არამართლზომიერი ქმედებით ზიანის მიყენებისთვის პასუხს აგებენ. აღნიშნული ზიანის ოდენობა განისაზღვრება ამ კანონის 59-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი წესით.

საქართველოს 2025 წლის 9 დეკემბრის კანონი №1137 – ვებგვერდი, 12.12.2025წ.

მუხლი 61. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1917 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 62. სახელმწიფო პოლიტიკა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში

1. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას და კანონით მინიჭებული სხვა ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. მისი სტატუსი და უფლებამოსილება დგინდება საქართველოს კანონმდებლობისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე.

2. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ უფლებამოსილია:
ა) უზრუნველყოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონმდებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს წინადადებები მისი განვითარების თაობაზე;
ბ) წარმოადგინოს საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში;
გ) განახორციელოს ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირება ამ კანონით დადგენილი წესით;
გ[1]) დაადგინოს ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირების წესი;
დ) ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციებისაგან მოითხოვოს ქონებრივი უფლებების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
ე) თავისი წარმომადგენლის მეშვეობით სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის საერთო კრებისა და სამეთვალყურეო ორგანოების სხდომებში, ხოლო თუ ორგანიზაცია არღვევს საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი და უცხოელი უფლების მფლობელთა ქონებრივი უფლებების ეფექტიანად მართვასა და განხორციელებას, აგრეთვე აღნიშნული უფლებების გამოყენების პროცესში არღვევს მოსარგებლეთა კანონიერ ინტერესებს, ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზე განსახილველად დააყენოს შესაბამისი საკითხები.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი №651 – სსმ I, №47, 14.12.2000 წ., მუხ. 135
საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2013 წლის 25 სექტემბრის კანონი №1328 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.
საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

თავი X
ქონებრივი უფლებების მართვა კოლექტიურ საფუძველზე

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 63. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის შექმნა

1. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს, შემსრულებლებს, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლებს, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელებს (შემდგომ – უფლების მფლობელი) საკუთარი ქონებრივი უფლებების კოლექტიურად სამართავად შეუძლიათ შექმნან ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია.

2. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელსაც ავტორების, საავტორო უფლებების სხვა მფლობელებისა და მომიჯნავე უფლებების სუბიექტების ქონებრივი უფლებების კოლექტიურად სამართავად „საქპატენტი“ ანიჭებს აკრედიტაციას ამ კანონით დადგენილი წესით.

3. ერთი უფლების ან უფლებათა კატეგორიის მიმართ ქონებრივი უფლებების მართვა მხოლოდ ერთმა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს.

4. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია თავის საქმიანობას ახორციელებს ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, საკუთარი წესდების საფუძველზე და უფლების მფლობელის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

5. უფლების მფლობელი, რომელიც ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს საკუთარ ქონებრივ უფლებებს კოლექტიურად სამართავად, ამავე ორგანიზაციას გადასცემს უფლებებს ყველა იმ ნაწარმოებზე, რომლებიც მან უკვე შექმნა ან/და რომლებსაც იგი შექმნის აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6. დაუშვებელია, იურიდიული პირის, გარდა ამ კანონის შესაბამისად აკრედიტებული ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისა, საფირმო სახელწოდებაში გამოყენებულ იქნეს სიტყვები: „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ სიტყვების გამოყენებით.

7. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების რეესტრის წარმოების წესი მტკიცდება „საქპატენტის“ თავმჯდომარის ბრძანებით.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 64. აკრედიტაცია

1. ორგანიზაციამ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე სამართავად მისთვის აკრედიტაციის მინიჭების მიზნით „საქპატენტს“ უნდა წარუდგინოს აკრედიტაციის განაცხადი, რომლითაც დასტურდება, რომ:

ა) ორგანიზაცია წარმოადგენს უფლების მფლობელებს და იმავდროულად ნებისმიერ უფლების მფლობელს შეუძლია შეუერთდეს მას ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. აღნიშნულის დასადასტურებლად ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს უფლების მფლობელებთან დადებული წერილობითი ხელშეკრულებები უფლების მფლობელების სიასთან ერთად, რომელიც უნდა მოიცავდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტების რეპერტუარს ელექტრონული ან მატერიალური ფორმით;
ბ) ორგანიზაციას შეუძლია კოლექტიურად მართოს ქონებრივი უფლებები, მათ შორის, ჰყავს შესაბამისი პერსონალი, აქვს ჰონორარის შეგროვებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰონორარის შეგროვების, განაწილებისა და გადახდის ეფექტიანი მექანიზმები (შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით);
გ) ორგანიზაციის წესდება, შიდა რეგულაციები და ტარიფების განაწილების წესები და პრინციპები იძლევა როგორც უფლების მფლობელების, ისე მოსარგებლეების მიმართ თანაბარი და არადისკრიმინაციული მოპყრობის გარანტიას;
დ) ორგანიზაციას გადახდილი აქვს აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასური;
ე) ორგანიზაცია რეგისტრირებული არ არის მოვალეთა რეესტრში და მას არ ადევს ყადაღა;
ვ) ორგანიზაციის წესდება და სხვა რეგულაციები შეესაბამება ამ კანონსა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარდგენილ აკრედიტაციის განაცხადს უნდა ერთოდეს ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია უცხო ქვეყნების იმ ანალოგიური ორგანიზაციების უმეტეს ნაწილთან, რომელთა რეპერტუარი არსებითად ფარავს საქართველოში გამოყენებული ნაწარმოებების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტების მნიშვნელოვან ნაწილს, აგრეთვე ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია უცხო ქვეყნების იმ ანალოგიური ორგანიზაციების უმეტეს ნაწილთან, რომელთა რეპერტუარი არსებითად ფარავს უცხო ქვეყნებში გამოყენებული ქართული ნაწარმოებების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტების მნიშვნელოვან ნაწილს. ეს ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები უნდა მოიცავდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტების რეპერტუარს ელექტრონული ან მატერიალური ფორმით.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის წარდგენისას ვერ ხდება ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების სრულყოფილად წარდგენა, განმცხადებლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, ამ კანონის 65-ე მუხლის საფუძველზე „საქპატენტის“ თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისია (შემდგომ – აკრედიტაციის კომისია) უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აკრედიტაციის კომისია ანიჭებს აკრედიტაციას და ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების სრულყოფილად წარსადგენად ეძლევა 1- წლიანი ვადა, რომელიც აკრედიტაციის კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება ცხადდება ძალადაკარგულად და „საქპატენტი“ იღებს გადაწყვეტილებას ახალი კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

5. ერთზე მეტი ორგანიზაციის მიერ ერთი და იმავე უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განაცხადის „საქპატენტში“ წარდგენის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება იმ განმცხადებლის სასარგებლოდ, რომელიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს აკრედიტაციის პირობებს. კონკურსში ისეთი ორგანიზაციის მონაწილეობის შემთხვევაში, რომელიც წარსულში საქმიანობდა შესაბამის სფეროში, აკრედიტაციის კომისია გაითვალისწინებს მის წარსულ საქმიანობას და გამოცდილებას.

6. აკრედიტაციის კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი, აკრედიტაციის კონკურსის ჩატარების წესი, აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასური, აგრეთვე ამ კანონის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

7. განმცხადებელმა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ აკრედიტაციის განაცხადში უნდა მიუთითოს იმ უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების ჩამონათვალი, რომლის/ რომელთა კოლექტიური მართვაც მას სურს. თუ აკრედიტაციის კომისია დოკუმენტების განხილვის შემდეგ დაასკვნის, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებს აკრედიტაციის პირობებს აკრედიტაციის განაცხადში მითითებული უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების ნაწილის მიმართ, აკრედიტაციის კომისიას განმცხადებლის თანხმობით შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ორგანიზაციისთვის შესაბამისი უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

8. ამ კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 51-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარის შეგროვებისა და განაწილების უფლებამოსილების მინიჭება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს „საქპატენტში“ მხოლოდ უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენისას. თუ ამ პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარის შეგროვებისა და განაწილების უფლებამოსილების მინიჭება ერთზე მეტმა განმცხადებელმა მოითხოვა, გადაწყვეტილება მიიღება იმ განმცხადებლის სასარგებლოდ, რომელიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს აკრედიტაციის პირობებს, აგრეთვე გათვალისწინებული იქნება მისი წარსული საქმიანობა და გამოცდილება.

9. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება „საქპატენტის“ ოფიციალურ ბიულეტენში.

10. განმცხადებელს აკრედიტაციის მინიჭებაზე უარი ეთქმება, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

11. ორგანიზაცია, რომლის მიმართაც გაიცემა აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება, ვალდებულია ამ გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ოფიციალური გაცნობიდან 14 დღის ვადაში მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) და უზრუნველყოს საკუთარი საფირმო სახელწოდების ამ კანონის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან შესაბამისობა.

12. ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „საქპატენტი“ უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ორგანიზაციის საფირმო სახელწოდების ცვლილების მოთხოვნით.

13. „საქპატენტი“ უფლებამოსილია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ანგარიში ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ.

14. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის შეწყვეტის შემთხვევაში „საქპატენტი“ იმავე უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ ახალი აკრედიტაციის მისანიჭებლად აცხადებს კონკურსს აკრედიტაციის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 65. აკრედიტაციის კომისია

1. „საქპატენტისთვის“ შესაბამისი უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენის შემთხვევაში „საქპატენტი“ ატარებს კონკურსს. კონკურსში გამარჯვებული სულ მცირე უნდა აკმაყოფილებდეს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო კრიტერიუმებს.

2. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას შესაბამისი უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ აკრედიტაციას ანიჭებს აკრედიტაციის კომისია ამ კანონით დადგენილი წესით.

3. იმ უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ, რომლის/რომელთა კოლექტიური მართვისთვის მინიჭებული არ არის აკრედიტაცია, ავტორების ან/და სხვა უფლების მფლობელების წერილობითი განაცხადის საფუძველზე „საქპატენტი“ ვალდებულია გამოაცხადოს აკრედიტაციის კონკურსი ამ განაცხადის წარდგენიდან 2 თვის ვადაში.

4. აკრედიტაციის კომისია იქმნება „საქპატენტის“ თავმჯდომარის ბრძანებით აკრედიტაციის კონკურსის გამოცხადების შემდეგ პირველი განაცხადის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 დღისა.

5. აკრედიტაციის კომისიის შემადგენლობაში შედიან „საქპატენტის“ თავმჯდომარე (აკრედიტაციის კომისიის თავმჯდომარე), საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით შერჩეული საქართველოს პარლამენტის 2 წევრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელი, საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი.

6. აკრედიტაციის კომისია უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან მხარეების დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საქმის გადასაწყვეტად განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტი ხმის მიცემის უფლებით ან ამ უფლების გარეშე.

7. აკრედიტაციის კონკურსში მონაწილეობის მიღების შესახებ განაცხადის მიღებიდან 1 თვის ვადაში აკრედიტაციის კომისია ამოწმებს კანდიდატის შესაბამისობას ამ კანონის 64-ე

მუხლით დადგენილ აკრედიტაციის მოთხოვნებთან. აკრედიტაციის კომისია უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე დამატებით მოითხოვოს ისეთი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენა, რომელიც აუცილებელია იმის შესაფასებლად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ამ კანონით დადგენილ აკრედიტაციის მოთხოვნებს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ აკრედიტაციის კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის მინიჭების ან აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

9. აკრედიტაციის კომისიას ჰყავს სამდივნო, რომლის შემადგენლობას „საქპატენტის“ თანამშრომლებისგან განსაზღვრავს „საქპატენტის“ თავმჯდომარე.

10. აკრედიტაციის კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს აკრედიტაციის კომისიის სამდივნო.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.
საქართველოს 2023 წლის 30 ნოემბრის კანონი №3878 – ვებგვერდი, 15.12.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 12 დეკემბრის კანონი №106 - ვებგვერდი, 28.12.2024წ.

მუხლი 66. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ფუნქციები, უფლებები და ვალდებულებები

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია უფლების მფლობელების სახელით და მათ მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ან ამ კანონის საფუძველზე:

ა) მოსარგებლეებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს ჰონორარის ოდენობისა და ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის გამოყენების პირობების შესახებ;

ბ) მოსარგებლეებზე გასცემს ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის გამოყენების ლიცენზიებს მისი უფლებების მართვის მანდატის ფარგლებში;

გ) აგროვებს ჰონორარებს ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაცემული ლიცენზიების ან მის მიერ მართული უფლებების გამოყენების საფუძველზე;

დ) შეგროვებულ ჰონორარებს დროულად ანაწილებს და უხდის უფლების მფლობელებს თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, აგრეთვე შესაბამისი ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის ფაქტობრივი გამოყენების პროპორციულად;

ე) სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმოადგენს იმ უფლების მფლობელების ინტერესებს, რომელთა უფლებებსაც იგი მართავს, აგრეთვე ახორციელებს ყველა იმ სამართლებრივ ქმედებას, რომლებიც აუცილებელია უფლების მფლობელების უფლებების დასაცავად და აღსასრულებლად;

ვ) უფლების მფლობელების მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად ახორციელებს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ ნებისმიერ სხვა საქმიანობას;

ზ) წარმოადგენს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის არაწევრ უფლების მფლობელებს და აგროვებს მათთვის განკუთვნილ ჰონორარს (მათ შორის, მუსიკალური ნაწარმოების ტექსტით ან ტექსტის გარეშე რეპროდუცირების, საჯარო შესრულების ან/და საჯარო გადაცემის შემთხვევაში) ამ კანონით დადგენილი წესით.

2. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას უფლება აქვს, მოსარგებლეებს მოსთხოვოს, ხოლო მოსარგებლეები ვალდებული არიან მიაწოდონ პროგრამა, ინფორმაცია, დოკუმენტი ან წყარო, რომელიც ნაწარმოების ან/და ამ კანონით

დაცული სხვა ობიექტის გამოყენების შესახებ ზუსტ ინფორმაციას იძლევა და აუცილებელია ჰონორარის გამოსათვლელად, შესაგროვებლად და გასანაწილებლად. ეს ორგანიზაცია, თავის მხრივ, ვალდებულია დაიცვას მისთვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

3. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მოსარგებლეს უფასოდ შესთავაზოს ჰონორარის გამოსათვლელად, შესაგროვებლად და გასანაწილებლად საჭირო შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში მოსარგებლე ვალდებულია გამოიყენოს ეს პროგრამული უზრუნველყოფა, ხოლო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია უფასოდ შექმნას პროგრამული უზრუნველყოფის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო სათანადო პირობები.

4. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციამ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს იმ უფლების მფლობელების ინტერესების შესაბამისად, რომლებსაც იგი წარმოადგენს.

5. ყველა ნაწარმოები ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტები, რომლებიც საჯაროდ სრულდება, გადაიცემა ეთერში, კაბელით ან საზოგადოებისთვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი ხდება, აგრეთვე ჩართულია გადაცემაში, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაში, შედის შესაბამისი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის რეპერტუარში. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარგებლეს. ამ პუნქტის დებულებები არ ვრცელდება კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებსა და სხვა ნაწარმოებებზე, რომლებიც გამოხატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით.

6. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ნაწარმოებებისა და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტების, აგრეთვე უფლების მფლობელების სამართლებრივი დაცვის, რომელიც დაკავშირებულია ნებართვის გარეშე გამოყენებასთან ან ჰონორარის გადაუხდელობასთან, უზრუნველსაყოფად საკმარისია ნაწარმოების მცირე ნაწილის იდენტიფიცირება და დაწვრილებითი ჩამონათვალის გამოყენება საჭირო არ არის.

7. თუ ნაწარმოები ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტი საჯაროდ სრულდება, ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის კანონიერი გამოყენებისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება წერილობითი ხელშეკრულებით, რომელიც დადებულია მოსარგებლეს, საჯარო შესრულების ორგანიზატორსა და იმ პირს შორის, რომელიც საკუთრების ან სარგებლობის უფლებით ფლობს ადგილს ან შენობას (მოედანი, სცენა, დარბაზი და სხვა), სადაც ხორციელდება საჯარო შესრულება. ასეთი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში ამ პუნქტით განსაზღვრულ პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ სოლიდარულად.

8. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას უფლების მფლობელების მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (გარდა ამ კანონის III თავით განსაზღვრული შემთხვევებისა) უფლება აქვს, მისი რეპერტუარისთვის მიკუთვნებული არაკომერციული მიზნით გამოყენებისთვის განკუთვნილი ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის არაკომერციული მიზნით გამოყენების რეპროდუცირების, გავრცელების, საჯარო შესრულებისა და საჯარო გადაცემის, აგრეთვე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად გახდომის ჩვეულებრივი ლიცენზია გასცეს კულტურული მემკვიდრეობის მმართველ დაწესებულებებზე (ბიბლიოთეკები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, მუზეუმები, არქივები ან/და კინემატოგრაფიულ და აუდიომემკვიდრეობის დარგში არსებული საჯაროდ ხელმისაწვდომი დაწესებულებები, აგრეთვე საჯარო ინტერესის მატარებელი მსგავსი

ტიპის დაწესებულებები), თუ:

ა) ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე სათანადოდ წარმოადგენს უფლების მფლობელებს შესაბამის ნაწარმოებთან ან/და ამ კანონით დაცულ სხვა ობიექტსა და ლიცენზიით გათვალისწინებულ სხვა ობიექტებთან მიმართებით;

ბ) უფლების მფლობელების მიმართ იქნება თანაბარი მიდგომა, რომელიც ლიცენზიის პირობებს უკავშირდება.

9. უფლების ყველა მფლობელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს ამორიცხოს საკუთარი ნაწარმოები ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტი ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზირების მექანიზმიდან ან/და გამონაკლისისა და შეზღუდვის განაცხადიდან, რაც დაკავშირებულია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის რეპერტუარში არსებული არაკომერციული მიზნით გამოყენებისთვის განკუთვნილი ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუტების მიერ არაკომერციული მიზნით გამოყენებასთან. აღნიშნული უფლება ვრცელდება ლიცენზირების მექანიზმიდან ან/და გამონაკლისისა და შეზღუდვის განაცხადიდან სრულად ამორიცხვაზე, აგრეთვე თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაზე, მათ შორის, ლიცენზიის ხელმოწერის ან მის შესაბამისად ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის გამოყენების დაწყების შემდეგ.

10. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია უნდა ზრუნავდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარების ხელშეწყობასა და მისი საქმიანობის სფეროსთვის მიკუთვნებული საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე.

11. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს ამ კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების „საქპატენტისთვის“ წარდგენა.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[1]. მიზნობრივი დაქვითვები

1. უფლებების მართვის საფასურის მაქსიმალური ოდენობა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ შეგროვებული ჰონორარის 20 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია უფლებების სამართავად გაწეული დასაბუთებული და დადასტურებული ხარჯების მიღმა ნებისმიერი თანხა, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხისა, გადაანაწილოს უფლების მფლობელებზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ უფლებების სამართავად გაწეული ხარჯები შეგროვებული ჰონორარის 20 პროცენტზე ნაკლებია.

2. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ შეგროვებული ჰონორარის ნაწილი აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ ორგანიზაციის იმ ფონდების საქმიანობისთვის, რომელთა მიზანია საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელების, რომელთა ინტერესებშიც მოქმედებს ეს ორგანიზაცია, შემოქმედებითი და სოციალური საჭიროებების მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ამ მუხლით განსაზღვრული მიზნობრივი დაქვითვები გამოიყენება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წესდებით დადგენილი წესით.

3. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია უფლების მფლობელს მიაწოდოს ინფორმაცია მისგან უფლების მართვის ნებართვის მიღებამდე შეგროვებული ჰონორარიდან უფლებების მართვის საფასურისა და სხვა მიზნობრივი დაქვითვების შესახებ.

4. უფლებების მართვის საფასური და სხვა მიზნობრივი დაქვითვები უნდა შეესაბამებოდეს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ უფლების მფლობელებისთვის გაწეულ მომსახურებებს, მათ შორის, როცა ეს შესაძლებელია, ამ მუხლის მე–5 პუნქტში მითითებული მომსახურების ჩათვლით, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

5. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ სოციალური, კულტურული ან საგანმანათლებლო საქმიანობისთვის მიზნობრივი დაქვითვა გამოიყენება შესაბამისი ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66². ჰონორარების შეგროვებისა და განაწილების წესები

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია რეგულარულად, გულმოდგინედ და მაქსიმალური სიზუსტით ანაწილებს თავისი საქმიანობიდან მიღებულ მთლიან შემოსავალს იმ უფლების მფლობელებზე, რომელთა უფლებებსაც იგი მართავს.

2. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია ჰქონდეს განცალკევებული ანგარიშები:

ა) უფლების მართვასთან დაკავშირებული ჰონორარისთვის;

ბ) საკუთარი ქონების მართვიდან ან კანონით ნებადართული სხვა საქმიანობიდან წარმოშობილი შემოსავლისთვის;

გ) ჰონორარისთვის, რომელიც ვერ განაწილდა უფლების მფლობელებზე მათი იდენტიფიცირების შეუძლებლობის ან/და მიკვლევის შეუძლებლობის გამო.

3. ჰონორარის განაწილების ძირითადი პრინციპები და წესები განსაზღვრული უნდა იყოს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წესდებით იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ჰონორარის პროპორციული, არადისკრიმინაციული, სათანადო და სამართლიანი განაწილება, აგრეთვე არ რჩებოდეს აღნიშნული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელების შესაძლებლობა.

4. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია შეგროვებული ჰონორარი უფლების მფლობელებს გადაუხადოს იმ ფინანსური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა, რომელშიც შეგროვდა ჰონორარები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს კონკრეტულად მოსარგებლეების ანგარიშგებასთან, უფლებების, უფლების მფლობელების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ობიექტური მიზეზი, საჭიროა, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციამ უფლების მფლობელებთან დააზუსტოს ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის შესახებ ინფორმაცია ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომლის გამოც დადგენილი ვადის დაცვა ვერ ხერხდება.

5. თუ უფლების მფლობელების იდენტიფიცირების შეუძლებლობის ან მათი მიკვლევის შეუძლებლობის გამო უფლების მფლობელებისთვის ჰონორარის გადახდა ვერ ხერხდება ამ მუხლის მე–4 პუნქტით დადგენილ ვადაში, ამ ვადიდან გამონაკლისი არ გამოიყენება და შეგროვებული თანხები ინახება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ცალკე ანგარიშზე.

6. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციამ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა უფლების მფლობელების იდენტიფიცირებისა და მიკვლევისთვის. კერძოდ, ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 3 თვისა ეს ორგანიზაცია თავისი ვებგვერდის მეშვეობით ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას იმ ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის შესახებ, რომლის ერთი ან ერთზე მეტი უფლების მფლობელი იდენტიფიცირებული არ არის.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის სახელწოდებას (სათაურს);

ბ) უფლების მფლობელის სახელს ან სახელწოდებას;

გ) შესაბამისი გამომცემლის ან დამამზადებლის სახელს;

დ) მოსარგებლეების კატეგორიის შესახებ, კერძოდ, რომელ კატეგორიაში მოხდა ამ ნაწარმოების ან/და კანონით დაცული სხვა ობიექტის გამოყენება;

ე) ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს უფლების მფლობელის იდენტიფიცირებას ან მიკვლევას.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებასთან ერთად ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია აგრეთვე ამოწმებს ამ კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სხვა ხელმისაწვდომ ჩანაწერებს.

9. ჰონორარს, რომელიც ვერ განაწილდა იმ ფინანსური წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში, რომელშიც იგი შეგროვდა, ენიჭება გაუნაწილებელი ჰონორარის სტატუსი.

10. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციამ უფლებების მართვიდან მიღებული შემოსავალი სრულად უნდა გაუნაწილოს უფლების მფლობელებს, გარდა ამ კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

11. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი ვალდებულია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზე წევრებს აცნობოს გაუნაწილებელი ჰონორარის, მათ შორის, მისი ოდენობისა და წარმომავლობის, შესახებ. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება ამ კანონის 66^{13} მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას გაუნაწილებელი ჰონორარის გამოყენების შესახებ, უფლების მფლობელების მიერ ამ თანხების ანაზღაურების უფლების მოთხოვნის ხელყოფის გარეშე. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია უფლებამოსილია გაუნაწილებელი ჰონორარის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ ორგანიზაციის საჭიროებებიდან გამომდინარე, აგრეთვე ამავე ორგანიზაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია დადგენილ იქნეს გაუნაწილებელი ჰონორარის განკარგვის ზოგადი წესი.

12. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ამ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გაუნაწილებელი ჰონორარიდან თანხები გადარიცხოს ამავე ორგანიზაციის მიერ კონკრეტული მიზნობრიობით შექმნილ ფონდებში. ამ ფონდებში გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე უნდა იყოს და ყოველწლიურად უნდა გამოქვეყნდეს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ვებგვერდზე.

13. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია გაანაწილოს და გადაიხადოს ჰონორარი ამ მუხლის მე–10 პუნქტით გათვალისწინებული თანხების გამოქვითვის შემდეგ, ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის ფაქტობრივი გამოყენების პროპორციულად.

14. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია უფლების მფლობელებს ჰონორარის გადახდასთან ერთად წარუდგინოს ანგარიშები, რომლებიც უნდა შეიცავდეს მათი უფლებების გამოყენების შესახებ ინფორმაციას.

15. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია უფლებამოსილია განკარგოს ის ჰონორარი, რომელიც განაწილებული/მოთხოვნილი არ იქნა 3 წლის განმავლობაში. ეს ვადა აითვლება იმ ფინანსური წლის დასრულებიდან, რომელშიც ეს ჰონორარი შეგროვდა. აღნიშნული ჰონორარი შეიძლება მიემატოს უფლების მფლობელებისთვის გასანაწილებელი ჰონორარის ოდენობას ან გამოყენებულ იქნეს იმგვარად, რომ სარგებელი მოუტანოს უფლების მფლობელებს, მათ შორის, გადაირიცხოს ამ მუხლის მე–12 პუნქტით განსაზღვრულ ფონდებში. ჰონორარის განკარგვის შესაბამისი ფორმის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66³. გადახდები ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია უცხო ქვეყნის ანალოგიურ ორგანიზაციებს უნაწილებს და უხდის ჰონორარს იმ ფინანსური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა, რომელშიც ჰონორარი შეგროვდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მომხმარებლების ანგარიშგებასთან, უფლებების, უფლების მფლობელების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ობიექტური მიზეზი, საჭიროა, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციამ უფლების მფლობელებთან დააზუსტოს ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის შესახებ ინფორმაცია ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომლის გამოც დადგენილი ვადის დაცვა ვერ ხერხდება.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66⁴. უფლების მფლობელის გარანტიები ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციასთან მიმართებით

1. უფლების მფლობელი უფლებამოსილია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას სამართავად გადასცეს საკუთარი უფლება, უფლებათა კონკრეტული კატეგორია. აღნიშნული ორგანიზაცია, თავის მხრივ, ვალდებულია მართოს მისთვის გადაცემული უფლება, უფლებათა კონკრეტული კატეგორია ან ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის სახეობა, თუ იგი/ისინი თანხვედრაშია მისი საქმიანობის ფარგლებთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ორგანიზაცია ობიექტურად დასაბუთებული მიზეზის საფუძველზე უარს იტყვის უფლების მართვაზე. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის შესაბამისად უფლების მართვაზე უარის თქმის საფუძვლები განსაზღვრული უნდა იყოს ამავე ორგანიზაციის წესდებით.

2. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ნებისმიერ უფლებაზე, უფლებათა კონკრეტულ კატეგორიაზე, სასურველი ნაწარმოების ან/და

ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის სახეობაზე გასცეს არაკომერციული მიზნით გამოყენების ლიცენზია შესაბამისი უფლების მფლობელის წინასწარი თანხმობის არსებობის შემთხვევაში.

3. უფლების მფლობელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უფლებების სამართავად გადაცემასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება სრულად ან მისთვის სასურველ ფარგლებში, აგრეთვე უფლების მფლობელი (მათ შორის, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის არაწევრი უფლების მფლობელი) უფლებამოსილია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისგან გამოითხოვოს ნებისმიერი უფლება, უფლებათა კონკრეტული კატეგორია ან უფლების კატეგორიათა ჯგუფები, დაკავშირებული სასურველი ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის სახეობასთან (გარდა ამავე კანონის მე–15 მუხლის მე–2 პუნქტით, მე–18 მუხლის მე–7 პუნქტით (ნაწარმოების კაბელით ხელახალი გადაცემის შემთხვევაში), მე–20 მუხლის მე–3 პუნქტით, 21–ე მუხლის მე–3 პუნქტით, 34–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 51–ე მუხლის მე–3 პუნქტითა და 52–ე მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებისა), აღნიშნულის თაობაზე ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან არანაკლებ 6 თვის ვადაში. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია უფლებამოსილია დაადგინოს, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტა ან ხელშეკრულებიდან გასვლა ან ნებისმიერი უფლების, უფლებათა კონკრეტული კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების გამოთხოვა ძალაში შევიდეს მიმდინარე კალენდარული წლის დასრულების შემდეგ. უფლების მფლობელის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გადაცემული უფლებამოსილების მართვის შეწყვეტის შესახებ მოთხოვნა აღნიშნულ ორგანიზაციას უნდა წარედგინოს მომავალი კალენდარული წლის დაწყებამდე 6 თვით ადრე.

4. უფლების მფლობელს უნარჩუნდება იმ ჰონორარის მოთხოვნის უფლება, რომელიც ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციამ მის სახელზე შეაგროვა გაცემული ნებართვის ან ლიცენზიის შეწყვეტამდე ან ასეთი მოთხოვნის წაყენებამდე.

5. უფლების მფლობელის მიერ ამ მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას უფლება არ აქვს, უფლების მფლობელს შეუზღუდოს საკუთარი ქონებრივი უფლებების უცხო ქვეყნის ანალოგიური ორგანიზაციისთვის სამართავად გადაცემის უფლება.

6. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია უფლების მფლობელისგან ქონებრივი უფლებების სამართავად ნებართვის მიღებამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მისი უფლებების, მათ შორის, ამ მუხლის პირველი—მე–5 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების, შესახებ.

7. დაუშვებელია, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციამ უარი თქვას ქონებრივი უფლებების მართვაზე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[5]. მოსარგებლის უფლებები და ვალდებულებები, ლიცენზირება

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია და მოსარგებლე ვალდებული არიან ქონებრივ უფლებებზე ლიცენზიის გაცემის პროცესში მოლაპარაკებები

აწარმოონ კეთილსინდისიერად. ისინი ვალდებული არიან ერთმანეთს მიაწოდონ ლიცენზიის ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი ყველა ინფორმაცია.

2. ლიცენზირების პირობები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს. ლიცენზირების პროცესში ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას არ მოეთხოვება სხვა მოსარგებლესთან შეთანხმებული ქონებრივ უფლებებზე ლიცენზიის პირობების, როგორც პრეცედენტის, წარდგენა.

3. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია ქონებრივ უფლებებზე ლიცენზიის მიღებასთან დაკავშირებით მოსარგებლის მიმართვა განიხილოს გონივრულ ვადაში და ამ მიზნით მოსთხოვოს მას ლიცენზირებისთვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ მოსარგებლეს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება ქონებრივ უფლებებზე ლიცენზიის გაცემაზე თანხმობის ან უარის თქმის შესახებ. ქონებრივ უფლებებზე ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე შეტყობინება უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ განმარტებას შესაბამისი საფუძვლის მითითებით.

4. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია მოსარგებლეს მისცეს ელექტრონული საშუალებით კომუნიკაციის შესაძლებლობა, მათ შორის, ლიცენზირების ანგარიშის წარდგენისას.

5. მოსარგებლე ვალდებულია აწარმოოს დოკუმენტაცია, რომელშიც ასახავს ინფორმაციას ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის გამოყენების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციასთან შეთანხმების შესაბამისად, აღნიშნული აუცილებელი არ არის ჰონორარის გამოსაანგარიშებლად და გასანაწილებლად.

6. მოსარგებლე ვალდებულია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას შეთანხმებულ ან წინასწარ დადგენილ ვადასა და ფორმატში მიაწოდოს ამ ორგანიზაციის მართვის ქვეშ მყოფი უფლებების გამოყენების შესახებ ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ჰონორარების შესაგროვებლად და გასანაწილებლად. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, თავის მხრივ, ვალდებულია არ გაამჟღავნოს მისთვის მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია. ამგვარი ინფორმაციის მიწოდების ფორმატის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციამ და მოსარგებლემ უნდა გაითვალისწინონ შესაბამის სფეროში მოქმედი სტანდარტები.

7. ერთი კატეგორიის მოსარგებლეებისთვის უნდა არსებობდეს ლიცენზირების თანაბარი პირობები. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას არ აქვს უფლება, საკმარისი საფუძვლის გარეშე უარი განაცხადოს ქონებრივ უფლებებზე ლიცენზიის გაცემაზე.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[6]. ტარიფების დადგენა

1. ამ კანონით განსაზღვრული უფლებების გამოყენებისას უფლების მფლობელმა უნდა მიიღოს მისი ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის გამოყენების შესაბამისი ჰონორარი.
2. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ჰონორარს ამ კანონის 21–ე მუხლის მე–4 პუნქტით განსაზღვრულ პირებთან შეთანხმებული ოდენობით

აგროვებს ლიცენზიის გაცემის გარეშე იმავე პუნქტითა და ამავე კანონის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია მოსარგებლეს მიაწოდოს ტარიფების დადგენის კრიტერიუმების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. ტარიფი სამოქალაქო ბრუნვაში არსებული უფლებების ეკონომიკური ღირებულების შესაბამისი უნდა იყოს.

4. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია სატარიფო გეგმები გამოაქვეყნოს თავისი ვებგვერდის მეშვეობით და სთხოვოს „საქპატენტს“ მათი გამოქვეყნება საკუთარ ვებგვერდზე. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ვებგვერდზე სატარიფო გეგმების გამოქვეყნების შემთხვევაში „საქპატენტი“ საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს ტარიფების ელექტრონულად ხელმისაწვდომობის შესახებ შეტყობინებას.

5. თუ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია და მოსარგებლე ვერ შეთანხმდებიან, ჰონორარის ოდენობას, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესს ერთ-ერთი მხარის ან მხარეების მიმართვის საფუძველზე განსაზღვრავს „საქპატენტის“ თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი კომისია ამ კანონის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით, ხოლო შესაბამისი ჰონორარი გადაიხდება იმავე მუხლის მე-7 და 71 პუნქტებით განსაზღვრული წესით. ამ კომისიის მიერ დადგენილი ტარიფი სამოქალაქო ბრუნვაში არსებული უფლებების ეკონომიკური ღირებულების შესაბამისი უნდა იყოს.

6. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია ამ მუხლის შესაბამისად დადგენილი ტარიფები დამტკიცებისთანავე წარუდგინოს „საქპატენტს“ ოფიციალურ ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[7]. უფლების მფლობელებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მათი უფლებების მართვის შესახებ

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია სულ მცირე წელიწადში ერთხელ ყოველი უფლების მფლობელისთვის, რომელსაც მან უფლებების მართვიდან მიღებული შემოსავალი გადაუხადა ან რომლისთვისაც გადახდები განახორციელა იმ პერიოდში, რომელსაც განეკუთვნება ინფორმაცია, ხელმისაწვდომი გახადოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ნებისმიერი საკონტაქტო ინფორმაცია, რომელზედაც წვდომის უფლება მას მიღებული აქვს და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფლების მფლობელის იდენტიფიცირებისთვის და მისი ადგილსამყოფლის დასადგენად;

ბ) უფლების მფლობელების მიერ მისაღები ჰონორარების ოდენობის შესახებ;

გ) მის მიერ უფლებათა კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით უფლების მფლობელებისთვის გადახდილი თანხების ოდენობის შესახებ;

დ) იმ პერიოდის შესახებ, რომლის განმავლობაშიც განხორციელდა ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის გამოყენება, რომლისთვისაც ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციამ თანხები შეაგროვა და გადაუხადა უფლების მფლობელებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარგებლეების მიერ ანგარიშებთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ხელს უშლის მას, უფლების მფლობელებს მიაწოდოს ეს ინფორმაცია;

ე) გამოქვითვების შესახებ, რომლებიც განხორციელებულია, როგორც უფლებების მართვის საფასური;
ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სოციალური, კულტურული ან საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფისადმი დაქვემდებარებული, ნებისმიერი მიზნით შესრულებული გამოქვითვების შესახებ, გარდა უფლებების მართვის საფასურისა;
ზ) ნებისმიერი შემოსავლის შესახებ, რომელიც მიღებულია იმ უფლებების მართვიდან, რომლებიც მიეკუთვნება უფლების მფლობელს, და, მიუხედავად შეგროვების პერიოდისა, გადაუხდელია.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[8]. სხვა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისთვის მიწოდებული ინფორმაცია ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებების მართვის შესახებ

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია სულ მცირე წელიწადში ერთხელ, ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებით მისი მართვის ქვეშ მყოფი ცალკეული უფლებების და უფლებათა კატეგორიების კოლექტიურად მმართველი ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს შესაბამის პერიოდთან დაკავშირებული:
ა) ზუსტი ინფორმაცია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ გადახდილი ჰონორარის შესახებ, აგრეთვე უფლებათა და უფლებათა გამოყენების ტიპის მიხედვით გადახდილი ჰონორარების შესახებ და შეგროვების პერიოდის მიხედვით გაუნაწილებელი ნებისმიერი შემოსავლის თაობაზე ინფორმაცია;
ბ) უფლებების მართვის საფასურის სახით განხორციელებული გამოქვითვების თაობაზე ინფორმაცია;
გ) გაცემული ლიცენზიების თაობაზე ინფორმაცია, აგრეთვე იმ მოსარგებლეების შესახებ ინფორმაცია, რომელთაც უარი ეთქვათ ლიცენზიის გაცემაზე;
დ) ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრების მიერ წარმომადგენლობითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლების მართვასთან დაკავშირებული რეზოლუციების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[9]. ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების მხარის, უფლების მფლობელის ან მოსარგებლის მოთხოვნის შესაბამისად ინფორმაციის მიწოდება

ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების მხარის, უფლების მფლობელის ან მოსარგებლის სათანადოდ დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით დაუყოვნებლივ აწვდის მას სულ მცირე:
ა) ინფორმაციას პირდაპირ ან ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებებით სამართავად გადაცემული ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტების შესახებ, აგრეთვე უფლებების თაობაზე დაფარვის ტერიტორიის ფარგლებში;
ბ) ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, ასეთი ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მიერ მართული უფლების შესახებ ინფორმაციას, დაფარვის ტერიტორიის ფარგლებში.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[10]. ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია საკუთარ ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:

ა) ორგანიზაციის წესდება;

ბ) ორგანიზაციის წევრობის მარეგულირებელი და უფლების მართვაზე გაცემული ნებართვის შეწყვეტის წესები, თუ ეს გათვალისწინებული არ არის ორგანიზაციის წესდებით;

გ) სალიცენზიო ხელშეკრულების სტანდარტები და მოქმედი ტარიფები (შეღავათების ჩათვლით);

დ) ამ კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების სია;

ე) უფლების მფლობელებისთვის ჰონორარების განაწილების ზოგადი წესები;

ვ) უფლებების მართვის საფასურის შესახებ;

ზ) სხვა გამოქვითვების წარმოების შესახებ პოლიტიკა, მართვის საფასურის გარდა, მათ შორის, შეგროვებული ჰონორარებიდან, აგრეთვე გამოქვითვები სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის;

თ) მის მიერ დადებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაცია და იმ ორგანიზაციების სახელწოდება, რომლებთანაც დადებულია აღნიშნული ხელშეკრულებები, და მათ თაობაზე ინფორმაცია;

ი) გაუნაწილებელი ჰონორარის გამოყენების ზოგადი პოლიტიკა;

კ) საჩივრების განხილვისა და დავების გადაწყვეტის პროცედურები, რომლებიც მითითებულია ამ კანონის 66[14] მუხლში.

2. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის თავის ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგ უზრუნველყოს ამ ინფორმაციის მუდმივი განახლება. ამ ინფორმაციაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს საზოგადოებისთვის განახლებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[11]. გამჭვირვალობის წლიური ანგარიში

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია ყოველი საფინანსო წლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს საფინანსო წლის დასრულებიდან 8 თვის ვადაში, მოამზადოს და საკუთარ ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს გამჭვირვალობის ყოველწლიური ანგარიში. ეს ანგარიში მისი გამოქვეყნებიდან 5 წლის განმავლობაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

2. გამჭვირვალობის წლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს ბალანსს ან აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებას, ფინანსური წლის განმავლობაში შემოსავლებისა და ხარჯების წლიურ ანგარიშს და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;

ბ) აქტიური ლიცენზიების შესახებ (მათ შორის, ახალი ლიცენზიების თაობაზე, რომელთა გაცემაც მოხდა საანგარიშო კალენდარული წლის განმავლობაში, დაყოფილი უფლების ან უფლებების კატეგორიების მიხედვით) და ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის სამართლებრივი სტრუქტურისა და მმართველობითი სტრუქტურის აღწერას;

დ) ნებისმიერი იურიდიული პირის შესახებ, რომელსაც პირდაპირ ან ირიბად ფლობს

ან აკონტროლებს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია;

ე) ორგანიზაციის თავმჯდომარის, გამგეობის, ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს და სხვა კომისიებისა და საბჭოების წევრებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების მთლიანი ოდენობის და მათთვის მინიჭებული სხვა სარგებლის შესახებ;

ვ) ფინანსურ ინფორმაციას შეგროვებული ჰონორარების შესახებ, მართვის ქვეშ მყოფი უფლებების კატეგორიის და გამოყენების ტიპის მიხედვით (მაგალითად, მაუწყებლობა, ონლაინშესრულება, საჯარო შესრულება), მათ შორის, ინფორმაციას ჰონორარების ინვესტიციების შედეგად მიღებული შემოსავლების და ასეთი შემოსავლების გამოყენების მიზნობრიობის თაობაზე (მიუხედავად იმისა, ის უფლების მფლობელებს შორის განაწილდა, სხვა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას გადაერიცხა ან სხვა მიზნობრიობით იქნა გამოყენებული);

ზ) ფინანსურ ინფორმაციას უფლებების მართვის საფასურისა და ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ უფლების მფლობელებისთვის მიწოდებული სხვა მომსახურების შესახებ. ამ ინფორმაციაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სულ მცირე შემდეგი საკითხები:

ზ.ა) ყველა სამართავად გაწეული და ფინანსური ხარჯი, რომლებიც მოცემული უნდა იყოს მართვის ქვეშ მყოფი უფლებებისა და უფლებათა კატეგორიების მიხედვით. ნებისმიერი არაპირდაპირი ხარჯი, რომელიც ერთი ან რამდენიმე უფლების კატეგორიას არ მიეკუთვნება, უნდა შეიცავდეს ამ ხარჯების განაწილების მეთოდის აღწერას;

ზ.ბ) ნებისმიერი ფინანსური ხარჯები, მათ შორის, სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო მომსახურებებზე გაწეული ხარჯები;

თ) შეგროვილი ჰონორარების (მათი დეტალური აღწერის მითითებით) შესახებ ინფორმაციას, რომელიც სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

თ.ა) უფლების მფლობელებისთვის შეგროვებულ ჯამურ თანხას, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით;

თ.ბ) უფლების მფლობელებისთვის გადახდილ ჯამურ ჰონორარს, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით;

თ.გ) გადახდების შესრულების სიხშირეს, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით;

თ.დ) ინფორმაციას მთლიანი შეგროვებული თანხის შესახებ, რომელიც ჯერ არ განაწილებულა უფლების მფლობელებზე, უფლების კატეგორიის და გამოყენების ტიპის მიხედვით, და იმ ფინანსური წლის მითითებით, რომელშიც ეს თანხები შეგროვდა;

თ.ე) ინფორმაციას მთლიანი შეგროვებული თანხის შესახებ, რომელიც ჯერ არ განაწილებულა იდენტიფიცირებულ უფლების მფლობელებზე უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით, და იმ ფინანსური წლის მითითებით, რომელშიც ეს თანხები შეგროვდა;

თ.ვ) ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ ბოლო 2 წლის განმავლობაში განაწილებისა და გადახდების განუხორციელებლობის შემთხვევაში – მისი დაგვიანების მიზეზებს;

თ.ზ) ინფორმაციას ჯამური გაუნაწილებელი თანხების შესახებ და ამ თანხების გამოყენების შემთხვევაში – ახსნა-განმარტებას, თუ რა მიზნით იქნა გამოყენებული ეს თანხები;

თ.თ) ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ თანხების გადახდის დაგვიანების შემთხვევაში – სპეციალურ ანგარიშებზე არსებულ თანხებზე დარიცხული სარგებლის და ამ სარგებლის განაწილების შესახებ ინფორმაციას;

ი) სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ი.ა) სხვა ანალოგიური ორგანიზაციებიდან მიღებულ და მათთვის გადახდილ თანხებს, უფლების კატეგორიის, გამოყენების ტიპისა და ორგანიზაციის მიხედვით;

ი.ბ) სხვა ანალოგიური ორგანიზაციებისთვის შეგროვებული ჰონორარებიდან უფლების მართვის საფასურის შესახებ, უფლებებისა და უფლებების კატეგორიის, გამოყენების ტიპისა და ორგანიზაციის მიხედვით;

ი.გ) სხვა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ შეგროვებული და გადმორიცხული ჰონორარებიდან უფლებების მართვის საფასურის შესახებ, უფლებებისა და უფლებების კატეგორიის, გამოყენების ტიპისა და ორგანიზაციის მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კ) სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის გამოქვითული თანხების გამოყენების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, რომელიც უნდა შეიცავდეს ფინანსური წლის განმავლობაში სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის გამოქვითული თანხების ოდენობასა და თითოეულის მიზნობრიობის ტიპის თაობაზე ინფორმაციას.

3. გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში შეტანილი ინფორმაცია 2 წელიწადში ერთხელ უნდა შეამოწმოს იმ აუდიტორული ფირმებიდან ერთ-ერთმა აუდიტორულმა ფირმამ, რომელსაც მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის აუდიტის უფლებამოსილება. აუდიტის დასკვნა, მათ შორის, ნებისმიერი შეფასება, სრულად უნდა აისახოს გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული გამჭვირვალობის კრიტერიუმები ვრცელდება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ კონკრეტული მიზნობრიობით შექმნილ ფონდებზე.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[12]. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრობის წესები

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია წევრად მიიღოს უფლების მფლობელი (მათ შორის, იურიდიული პირი), თუ იგი აკმაყოფილებს ამ ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრულ წევრობის მოთხოვნებს. უფლების მფლობელის აღნიშნული ორგანიზაციის წევრად მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ორგანიზაცია ვალდებულია წერილობით დაასაბუთოს უარის თქმის მიზეზი.

2. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია უფლების მფლობელის განაცხადი ამ ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ განიხილოს მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში.

3. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრობის წესები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს. ამ ორგანიზაციის წევრობის კრიტერიუმები შეიძლება დარეგულირდეს ამავე ორგანიზაციის წესდებით, აგრეთვე შესაძლებელია დადგინდეს ორგანიზაციის წევრად მიღების სპეციალური წესები, რომლებიც, თავის მხრივ, საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

4. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წესდება უნდა ითვალისწინებდეს ეფექტიან და ქმედით მექანიზმებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს

ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამ ორგანიზაციის წევრების თანაბარი მონაწილეობა. აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფლებათა სხვადასხვა კატეგორიის წევრების წარმომადგენლების ჩართულობა უნდა იყოს სამართლიანი და დაბალანსებული.

5. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია ორგანიზაციის წევრებს მისცეს უფლება და შესაძლებლობა, მასთან კომუნიკაცია განახორციელონ ელექტრონულად, მათ შორის, უზრუნველყოფილი უნდა იყოს გაწევრების შესახებ განაცხადის წარდგენა როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით, აგრეთვე წევრის სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

6. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს და რეგულარულად განაახლოს თავისი წევრების რეესტრი.

7. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციიდან წევრის გასვლის შემთხვევაში ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია ორგანიზაციიდან გასულ წევრთან საბოლოო ანგარიშსწორება მოახდინოს ორგანიზაციიდან მისი გასვლიდან არაუგვიანეს 3 თვისა. აღნიშნული ორგანიზაცია უფლებამოსილია დაადგინოს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა ძალაში შევიდეს ფინანსური წლის დასრულების შემდეგ.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[13]. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება (შემდგომ — საერთო კრება) მოიწვევა სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

2. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების (მათ შორის, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ჰონორარის განაწილების ძირითად პრინციპებსა და წესებს შეეხება) შეტანის შესახებ, აგრეთვე ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრობასთან დაკავშირებული წესების თაობაზე.

3. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე, იხილავს მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშს, ამტკიცებს მათ ანაზღაურებასა და წახალისებასთან, როგორიცაა ფულადი და არაფულადი სარგებლისა და საპენსიო დანამატების გაცემა, დაკავშირებულ წესს, აგრეთვე ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სხვა წესებს.

4. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:
   ა) შეგროვებული ჰონორარების განაწილების ზოგადი წესები და პოლიტიკა;
   ბ) გაუნაწილებელი ჰონორარების განკარგვის ზოგადი წესები და პოლიტიკა;
   გ) გაუნაწილებელი ჰონორარების გამოყენება;
   დ) შეგროვებული ჰონორარებიდან მიზნობრივი დაქვითვების განხორციელება;
   ე) რისკების მართვის პოლიტიკა;
   ვ) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა;
   ზ) რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები, იურიდიული პირის

დაფუძნება და სხვა იურიდიული პირის აქციების ან/და წილების შეძენა;
თ) სესხის აღება, სესხის გაცემა, თავდებობა ან სესხის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება.

5. საერთო კრება აკონტროლებს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობას სულ მცირე აუდიტორის დანიშვნითა და გათავისუფლებით, აგრეთვე ამტკიცებს ამ ორგანიზაციის გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშს.

6. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრების საერთო რაოდენობის სულ მცირე 10 პროცენტს ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ კვალიფიციური დასკვნის მოსამზადებლად შეუძლია მოიწვიოს დარგის სპეციალისტი.

7. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ყველა წევრს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში და ისარგებლოს ხმის უფლებით. აღნიშნული ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს ორგანიზაციის წევრის მიერ საერთო კრებაში მონაწილეობის მიღება დისტანციურად, რაც განსაზღვრული უნდა იყოს ამ ორგანიზაციის წესდებით.

8. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. ეს წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი იმ პირობით, რომ ასეთი წარმომადგენლობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს. ინტერესთა კონფლიქტი აგრეთვე არსებობს, თუ აღნიშნულ ორგანიზაციაში უფლების მფლობელსა და წარმომადგენელს აქვთ უფლებების სხვადასხვა კატეგორიის უფლების მფლობელის სტატუსი.

9. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გაიცემა მხოლოდ კონკრეტულ საერთო კრებაში მონაწილეობის მიზნით. საერთო კრებაში მონაწილე წარმომადგენელი სარგებლობს უფლების მფლობელის ანალოგიური უფლებებითა და ვალდებულებებით.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[14]. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ ამ კანონითა და ამ ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად განხორციელების კონტროლის მიზნით იქმნება სამეთვალყურეო საბჭო.

2. უფლებათა სხვადასხვა კატეგორიის მფლობელი ორგანიზაციის წევრები სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილი უნდა იყვნენ სამართლიანად.

3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევს საერთო კრება 5 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნენ პირები, რომელთა პროფესიული გამოცდილება მათ მიერ ეფექტიანი საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრები.

4. სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე. სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე წელიწადში ერთხელ საერთო კრებას წარუდგენს საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიშს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან საერთო კრებას წარუდგინონ ინფორმაცია არსებული ან სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ,

რომელმაც სამომავლოდ შეიძლება შეაფერხოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება.

5. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრებს, ისევე, როგორც ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას, რომლის უფლებებსაც ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების საფუძველზე მართავს აღნიშნული ორგანიზაცია, უფლება აქვთ, სამეთვალყურეო საბჭოს ჩართულობის, დახმარების ან/და დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართონ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციას, ხელშეკრულების შეწყვეტას ან უფლებების გამოთხოვას, წევრობის პირობებს, აგრეთვე ჰონორარების შეგროვებას, განაწილებას ან/და მიზნობრივ დაქვითვას.

6. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის არაწევრ პირებს, რომელთა უფლებების ან უფლებათა კატეგორიების მართვასაც ახორციელებს აღნიშნული ორგანიზაცია, ამ მუხლის მე–5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებით შეუძლიათ ისარგებლონ, როდესაც განსახილველი საკითხი შეეხება ჰონორარების შეგროვებას, განაწილებას ან/და მიზნობრივ დაქვითვას.

7. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია ამ მუხლის მე– 5 და მე–6 პუნქტების საფუძველზე წარდგენილ ყველა საჩივარს ან მოთხოვნას უპასუხოს წერილობით. ამ ორგანიზაციის უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს დასაბუთებული.

8. სამეთვალყურეო საბჭო ამ მუხლის მე–5 პუნქტის საფუძველზე წარდგენილ მიმართვას განიხილავს დაუყოვნებლივ.

9. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია ამ მუხლის მე–5 პუნქტით გათვალისწინებული დავა გადაწყვიტოს მხარეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და იმოქმედოს სამართლიანად და მიუკერძოებლად. დავის გადაწყვეტის პროცესის მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად.

10. დავის გადაწყვეტის პროცესში სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, გამგეობის წევრებს და ნებისმიერ თანამშრომელს მოსთხოვოს ახსნა–განმარტებები. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებამდე შეისწავლოს წლიური ანგარიში და საბუღალტრო დოკუმენტები.

11. ამ მუხლის მე–5 პუნქტის შესაბამისად წარმოშობილი დავა შეწყდება, თუ:
ა) მხარეებმა ხელი მოაწერეს მორიგების შეთანხმებას;
ბ) ნებისმიერი მხარე სამეთვალყურეო საბჭოს გაუგზავნის შეტყობინებას ნებისმიერ დროს, მას შემდეგ, რაც იგი ამ მუხლის მე–7 პუნქტის შესაბამისად, მიიღებს სამეთვალყურეო საბჭოს შეტყობინებას, რომ მხარეს აღარ სურს დავის გაგრძელება;
გ) სამეთვალყურეო საბჭოს შეფასებით, საკითხი ვერ გადაწყდება ამ მუხლის მე–5 პუნქტის საფუძველზე წარმოშობილი დავის ფარგლებში, რის თაობაზედაც მხარეებს ეგზავნებათ დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება;
დ) ამოიწურა საქმისწარმოებისთვის დაწესებული თავდაპირველი და დამატებითი ვადები, რის თაობაზედაც მხარეებს ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება.

12. ამ მუხლის მე–5 პუნქტის შესაბამისად დავის განხილვა არ ართმევს მხარეს უფლებას, მიმართოს სასამართლოს.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[15]. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან ორგანიზაციას უხელმძღვანელონ მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სათანადო წესით იმოქმედონ ორგანიზაციის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, გამჭვირვალე ადმინისტრაციული, ფინანსური პროცედურებისა და შიდა კონტროლის მექანიზმების გამოყენებით.

2. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს სათანადო მექანიზმები, რათა გამორიცხოს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს მისი იდენტიფიცირება, მართვა, კონტროლი და აღმოფხვრა ისეთი საშუალებით, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი უარყოფითი ზეგავლენა ამ ორგანიზაციის წევრების ინტერესებზე.

3. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან სულ მცირე წელიწადში ერთხელ საერთო კრებას წარუდგინონ ინდივიდუალური ანგარიშები, რომლებიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიმართ არსებული ნებისმიერი ინტერესის შესახებ;

ბ) წინა საფინანსო წლის განმავლობაში ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისგან მიღებული ნებისმიერი ანაზღაურების თაობაზე, მათ შორის, საპენსიო დანამატის, აგრეთვე ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით მიღებული სარგებლის შესახებ;

გ) წინა საფინანსო წლის განმავლობაში ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისგან მიღებული იმ ჰონორარის შესახებ, რომელიც მათ მიიღეს, როგორც უფლების მფლობელებმა;

დ) ნებისმიერი არსებული ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირის ინტერესებსა და ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ინტერესებს შორის, ან ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებსა და ნებისმიერი სხვა ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს შორის.

4. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის თავმჯდომარეს 5 წლის ვადით ირჩევს საერთო კრება. ერთი და იგივე პირი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წესდება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ თავისი უფლება-მოვალეობების სხვაგვარად შეუსრულებლობის შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი პირის შესახებ.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[16]. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობის კონტროლი

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ უფლების მფლობელების ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობის, აგრეთვე მათ მიერ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით, დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების და „საქპატენტის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს ახორციელებს „საქპატენტი“.

2. „საქპატენტი“ უფლებამოსილია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობის ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით აღნიშნული ორგანიზაციისგან ნებისმიერ დროს გამოითხოვოს მისი საქმიანობის შესახებ ანგარიში, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერ ინფორმაციას ქონებრივი უფლებების მართვასთან დაკავშირებით, მათ შორის, ამ ორგანიზაციის მიერ განაწილებული ჰონორარის რაოდენობისა და განაწილების პრინციპის, უფლებების სამართავად დაკავებული თანხის ოდენობისა და ორგანიზაციის ზოგადი ფინანსური მდგომარეობის თაობაზე.

3. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობის ამ კანონთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით „საქპატენტი“ უფლებამოსილია ჩაატაროს მოკვლევა როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოკვლევის შედეგად დგება ანგარიში. „საქპატენტის“ მიერ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობის ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, მისი სიმძიმიდან გამომდინარე,

„საქპატენტი“ უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაცია და შეუსაბამობის აღმოფხვრისთვის განსაზღვროს გონივრული ვადა, მაგრამ არაუმეტეს 3 თვისა. „საქპატენტის“ გადაწყვეტილება 7 დღის ვადაში ეგზავნება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას და ქვეყნდება ამ ორგანიზაციის ვებგვერდსა და „საქპატენტის“ ვებგვერდზე.

5. „საქპატენტის“ მიერ მოკვლევის ჩატარებისას დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი მასალები დაუყოვნებლივ ეგზავნება სამართალდამცავ ორგანოებს.

6. „საქპატენტი“ უფლებამოსილია მოკვლევის შედეგების საფუძველზე ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები მიიწვიოს ზეპირ განხილვაზე.

7. თუ „საქპატენტის“ მიერ მოკვლევის ჩატარებისას გამოვლინდა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების მიერ ამ კანონის 66[15] მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, „საქპატენტი“ უფლებამოსილია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას მოსთხოვოს, 1 თვის ვადაში მოიწვიოს საერთო კრება, რომელზედაც განხილული იქნება ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

8. „საქპატენტი“ უფლებამოსილია მიიღოს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირებისთვის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ამ ხელმძღვანელი პირების მიერ ამ კანონის 66[15] მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტების არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[17]. დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ მოკვლევის ჩატარება, მოკვლევის დასკვნის განხილვის შედეგები

1. „საქპატენტი“ უფლებამოსილია ამ კანონის 66[16] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოკვლევის ჩატარება დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე დაავალოს იმ აუდიტორული ფირმებიდან ერთ- ერთ აუდიტორულ ფირმას, რომელსაც მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის აუდიტის უფლებამოსილება. დარღვევის დადგენის შემთხვევაში ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას ეკისრება აუდიტის მთლიანი ღირებულება, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს მისი სამართავად გაწეული ხარჯებიდან.

2. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია მოკვლევის ჩატარებისას ითანამშრომლოს აუდიტორთან, შეფერხების გარეშე, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც აუდიტორი საჭიროდ მიიჩნევს. ამ ორგანიზაციის მიერ თანამშრომლობაზე უარის თქმის ან დაბრკოლების შექმნის შემთხვევაში აუდიტორი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს „საქპატენტს“, რაც შეიძლება გახდეს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისთვის აკრედიტაციის შეწყვეტის საფუძველი, ამ კანონით დადგენილი წესით.

3. აუდიტორის მიერ ჩატარებული მოკვლევის დასკვნა ეგზავნება „საქპატენტს“.

4. აუდიტორის მოკვლევის დასკვნის საფუძველზე „საქპატენტი“ მიმართავს ამ კანონის 66[16] მუხლით განსაზღვრულ ღონისძიებებს.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

მუხლი 66[18]. აკრედიტაციის შეწყვეტა

1. მიუხედავად ამ კანონის 66[17] მუხლით გათვალისწინებული ზომების მიღებისა, თუ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილი არ იქნება დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება, „საქპატენტი“ იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შეწყვეტის შესახებ.

2. „საქპატენტი“ ვალდებულია აკრედიტაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში დაასაბუთოს ამ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა.

3. აკრედიტაციის შეწყვეტა ნიშნავს აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

4. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში „საქპატენტი“ მიიჩნევს, რომ აკრედიტაციის შეწყვეტას უფლების მფლობელებისთვის უფრო მეტი ზიანის გამოწვევა შეუძლია, ვიდრე აკრედიტაციის გაგრძელებას, იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისთვის მის მიერ დადგენილი პირობების დაცვით საქმიანობის გაგრძელების უფლების მინიჭების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ორგანიზაცია ვალდებულია გააგრძელოს ამ კანონით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულება „საქპატენტის“ მიერ ახალი აკრედიტაციის მინიჭებამდე.

5. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას აკრედიტაცია ვადაზე ადრე შეუწყდება აგრეთვე ამ კანონის 64–ე მუხლის მე–4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების წარუდგენლობის ან ამ ხელშეკრულებების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში.

6. ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში „საქპატენტი“ უფლებამოსილია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას შეუწყვიტოს აკრედიტაცია კონკრეტული უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ.

7. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება „საქპატენტის“ ოფიციალურ ბიულეტენში.

8. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის „საქპატენტის“ ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 1 თვის გასვლის შემდეგ.

9. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, რომელსაც ამ მუხლის შესაბამისად შეუწყდა უფლებამოსილება, უფლებათა იმავე კატეგორიაში ახალი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე აგრძელებს უფლებამოსილების განხორციელებას ამავე მუხლის მე–4 პუნქტით დადგენილი წესით.

10. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის შეწყვეტის შემდეგ დაუშვებელია ამ კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ქმედების განხორციელება აღნიშნული ორგანიზაციის სახელით.

11. ორგანიზაცია, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით შეუწყდა აკრედიტაცია, ვალდებულია აკრედიტაციის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ოფიციალური გაცნობიდან 14 დღის ვადაში მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და უზრუნველყოს ორგანიზაციის საფირმო სახელწოდების შესაბამისობა ამ კანონის 63–ე მუხლის მე–6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

12. ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის მე–11 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „საქპატენტი“ უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ორგანიზაციის საფირმო სახელწოდების ცვლილების მოთხოვნით.

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

თავი XI
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 67. ამ კანონის ნორმათა გავრცელება ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზე

1. ეს კანონი ვრცელდება იმ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ.

2. იმ ნაწარმოებზე, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული საავტორო უფლების დაცვის 70-წლიანი ვადა, ვრცელდება ამ კანონის 31-32-ე მუხლებით გათვალისწინებული საავტორო უფლების მოქმედების ვადები.

3. იმ შესრულებაზე, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მისი პირველი შესრულებიდან, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლების მოქმედების ვადა.

4. იმ ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომელთა შექმნიდან, გამოცემიდან ან საჯარო გაცნობიდან ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 70 წელი, თუ აღნიშნულ ვადაში ისინი არ ყოფილა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადა.

5. მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემებზე, რომელთა შექმნიდან, პირველი გამოცემიდან ან საჯარო გაცნობიდან ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 70 წელი, თუ აღნიშნულ ვადაში ისინი არ ყოფილა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადა.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 67[1]. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 – სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198
საქართველოს 2007 წლის 26 ოქტომბრის კანონი №5423 – სსმ I, №38, 14.11.2007 წ., მუხ.365

თავი XII
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 68. ძალადაკარგული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.

მუხლი 69. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე
თბილისი, 1999 წლის 22 ივნისი
№2112-IIს

საქართველოს მთავრობის
2023 წლის 4 სექტემბრის
დადგენილება №349

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის შექმნისა და საქმიანობის, აკრედიტაციის კონკურსის ჩატარების, აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასურის განსაზღვრისა და ტარიფების განმსაზღვრელი კომისიის საქმიანობის წესი

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

„ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის შექმნისა და საქმიანობის, აკრედიტაციის კონკურსის ჩატარების, აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასურის განსაზღვრისა და ტარიფების განმსაზღვრელი კომისიის საქმიანობის წესი“ (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის (შემდგომში – კომისია) საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს – კომისიის შემადგენლობას, ფუნქციებს და კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობის პრინციპები

კომისია საქმიანობისას ხელმძღვანელობს ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობისა და კოლეგიურობის პრინციპებით.

თავი II
კომისია

მუხლი 3. კომისიის ფუნქციები

კომისიის ფუნქციებია:

ა) სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ (შემდეგომში – საქპატენტი) შესაბამისი უფლების, უფლებათა კატეგორიისა ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე შემოსული განაცხადების განხილვა და ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისთვის აკრედიტაციის მინიჭება ან აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ამ წესისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე;

ბ) ჰონორარის ოდენობის, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში ერთ-ერთი მხარის ან მხარეების მიმართვის საფუძველზე ჰონორარის ოდენობის, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესის განსაზღვრა.

მუხლი 4. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქპატენტის თავმჯდომარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან:
   ა) საქპატენტის თავმჯდომარე – კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით შერჩეული საქართველოს პარლამენტის 2 წევრი;
   გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი;
   დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი;
   ე) საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელი;
   ვ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი.

3. თუ საქართველოს პარლამენტის მიერ წარდგენილ კომისიის წევრს შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მის ადგილმონაცვლეს წარადგენს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით. საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელების სხვაგვარად შეუძლებლობის შემთხვევაში ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს კომისიის წევრის ადგილმონაცვლის გონივრულ ვადაში წარდგენა.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სახელმწიფო უწყებების მიერ წარდგენილი კომისიის წევრის მიერ საკუთარი უფლებამოსილების შეუძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფო უწყებები მის ადგილმონაცვლეს წარადგენენ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

მუხლი 5. კომისიის საქმიანობის წესი

1. კომისია საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. კომისიის სხდომებს იწვევს და უძღვება კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში კომისიის დამსწრეთა ხმების უმრავლესობით აირჩევა კომისიის სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

3. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის სხდომა შეიძლება ჩატარდეს დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

4. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის ხმა ითვლება გადამწყვეტად. კენჭისყრა ღიაა. კომისიის წევრს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

5. კომისიის სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრება წინასწარ. დღის წესრიგი სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 3 დღისა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეგზავნებათ კომისიის წევრებს.

6. კომისიის თავმჯდომარის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, კომისიის სხდომა შესაძლოა მოწვეულ იქნეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაუცველად.

7. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის დამსწრე წევრები და სხდომის მდივანი. ოქმში შეიტანება ინფორმაცია კომისიის სხდომის დღის წესრიგის, დამსწრეთა ვინაობის, განხილული საკითხების შესახებ გამოთქმული მოსაზრებებისა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

8. თუ აკრედიტაციის პროცესში წარდგენილი ინფორმაცია წარმოადგენს განმცხადებლის კომერციულ საიდუმლოებას, განმცხადებელი ვალდებულია მიუთითოს აღნიშნულის თაობაზე ასეთი ინფორმაციის წარდგენისას.

9. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის სამდივნო, რომლის შემადგენლობას საქპატენტის თანამშრომლებისგან განსაზღვრავს საქპატენტის თავმჯდომარე. სხდომის მდივანს/მდივნებს კომისიის სამდივნოს შემადგენლობიდან ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

10. კომისიის სამდივნო:
   ა) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომის მომზადებასა და ჩატარებას;
   ბ) ამზადებს და კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტსა და კომისიის სხდომაზე მისაწვევ პირთა სიას;
   გ) კოორდინაციას უწევს კომისიის მუშაობას;
   დ) პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის სწორად შედგენაზე;
   ე) კომისიის სახელით გამოითხოვს კომისიის მუშაობისთვის საჭირო ინფორმაციას;
   ვ) ახორციელებს ამ წესით განსაზღვრულ და კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

11. კომისია მუშაობას ასრულებს აკრედიტაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, გარდა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

12. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიას უფლებამოსილება უნარჩუნდება აკრედიტებული ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ პირობის შესრულებამდე ან კომისიის მიერ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებამდე.

13. კომისიის მუშაობის პროცესში კომისიის მიერ მიღებული, გაგზავნილი თუ დამუშავებული ინფორმაციის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქპატენტი. პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია შენახულ უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით. საქპატენტი ამ პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას ინახავს 10 წლის ვადით.

მუხლი 6. კომისიის წევრის აცილება

1. კომისიის წევრი ვალდებულია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე განაცხადოს დაუყოვნებლივ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. კომისიის აღნიშნული წევრი ვერ მიიღებს

მონაწილეობას კანდიდატის შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში.

3. თუ კომისიის წევრმა არ განაცხადა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თვითაცილება და კომისიისთვის ცნობილი გახდა აღნიშნულის თაობაზე, კომისია ვალდებულია განიხილოს აცილების საკითხი.
4. ამ მუხლით განსაზღვრული რომელიმე გარემოების წარმოშობისას ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობებათ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს. შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ, ხოლო საქართველოს პარლამენტს ეთხოვოს კომისიის წევრის ადგილმონაცვლის გონივრულ ვადაში წარდგენა.

თავი III
აკრედიტაციის კონკურსი

მუხლი 7. აკრედიტაციის კონკურსის გამოცხადება

1. საქპატენტისთვის შესაბამისი უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენის შემთხვევაში საქპატენტი ატარებს კონკურსს.
2. საქპატენტი უფლებამოსილია, აკრედიტაციის კონკურსის გამოცხადებამდე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში ქვეყანაში არსებული გარემოს შეფასების მიზნით, ჩაატაროს მოკვლევა ან/და მოიძიოს შესაბამისი ინფორმაცია.
3. იმ უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ, რომლის/რომელთა კოლექტიური მართვისთვის მინიჭებული არ არის აკრედიტაცია, ავტორების ან/და სხვა უფლების მფლობელების წერილობითი განაცხადის საფუძველზე, საქპატენტი ვალდებულია, გამოაცხადოს აკრედიტაციის კონკურსი ამ განცხადების წარდგენიდან 2 თვის ვადაში.
4. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისთვის აკრედიტაციის შეწყვეტის შემთხვევაში, საქპატენტი იმავე უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ ახალი აკრედიტაციის მისანიჭებლად აცხადებს კონკურსს აკრედიტაციის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა.
5. აკრედიტაციის კონკურსის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება საქპატენტის თავმჯდომარის მიერ.
6. კონკურსის გამოცხადების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, ასევე ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ-ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც ვალდებულნი არიან, საქპატენტს წარუდგინონ კანდიდატურები აკრედიტაციის კონკურსის გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა.
7. საქპატენტი უზრუნველყოფს აკრედიტაციის კონკურსის გამოცხადების თაობაზე ინფორმაციის დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
8. შეტყობინება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს:
   ა) ინფორმაციას იმ უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების

თაობაზე, რომელთა მიმართ აკრედიტაციის მინიჭების მიზნითაც ტარდება კონკურსი;

ბ) კანდიდატისათვის წაყენებულ მოთხოვნებს;

გ) წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალსა და წარდგენის ვადას;

დ) აკრედიტაციის კონკურსში მონაწილეობის საფასურის ოდენობას, მისი გადახდის წესსა და ვადას;

ე) განაცხადის მიღების დაწყებისა და დასრულების ვადებს;

ვ) განაცხადის მიღების ადგილისა და ელექტრონული ფოსტის მისამართს, საკონტაქტო პირის თაობაზე ინფორმაციასა და ტელეფონის ნომერს.

მუხლი 8. განაცხადის წარდგენა

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე სამართავად აკრედიტაციის მინიჭების მიზნით, აკრედიტაციის განაცხადი წარედგინება საქპატენტს. აკრედიტაციის განაცხადი უნდა შეიცავდეს ამ წესით დამტკიცებულ (დანართი 1) შევსებულ განცხადების ფორმასა და ამ მუხლით განსაზღვრულ სხვა დოკუმენტაციას. განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს საქპატენტში, ამ წესის შესაბამისად, მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში მას უნდა დაერთოს საგანაცხადო მასალები ელექტრონული სახით მონაცემთა მატერიალური მატარებლის გამოყენებით (მაგ., CD–ROM დისკი). ელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევაში განაცხადი ხელმოწერილი უნდა იყოს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
2. როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში განაცხადს მონაცემთა მატერიალური მატარებლის მეშვეობით უნდა ერთოდეს ელექტრონული ცხრილი (Excel ფორმატი), ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა ინფორმაციის მექანიკური დათვლის საშუალებას და რომელიც შეიცავს ინფორმაციას ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლების მფლობელებთან დადებული წერილობითი ხელშეკრულებებისა და უცხო ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან დადებული ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულებების შესახებ, შესაბამისი რეპერტუარისა და უფლების მფლობელის მითითებით.
3. აკრედიტაციის განაცხადში უნდა მიეთითოს იმ უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების ჩამონათვალი, რომლის/რომელთა კოლექტიური მართვაც სურს ორგანიზაციას.
4. საქპატენტში უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენასთან ერთად, შეიძლება, მოთხოვნილ იქნეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის მე–3 პუნქტითა და 51–ე მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებაზე უფლებამოსილების მინიჭება.
5. ამ მუხლის მე–4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს საქპატენტში მხოლოდ უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენისას.
6. განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომლითაც დასტურდება, რომ:

ა) ორგანიზაცია წარმოადგენს უფლების მფლობელებს და, იმავდროულად, ნებისმიერ უფლების მფლობელს შეუძლია შეუერთდეს მას, ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. აღნიშნულის დასადასტურებლად, ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს უფლების მფლობელებთან დადებული წერილობითი ხელშეკრულებები, უფლების მფლობელების სიასთან ერთად, რომელიც უნდა მოიცავდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტების რეპერტუარს ელექტრონული ან მატერიალური ფორმით;

ბ) ორგანიზაციას შეუძლია, კოლექტიურად მართოს ქონებრივი უფლებები, მათ შორის, ჰყავს შესაბამისი პერსონალი, აქვს ჰონორარის შეგროვებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰონორარის შეგროვების, განაწილებისა და გადახდის ეფექტიანი მექანიზმები (შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით). აღნიშნული ინფორმაციის დადასტურების მიზნით, წარდგენილი უნდა იყოს, მათ შორის, პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ჰონორარის შეგროვებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა და ინფორმაცია ჰონორარის შეგროვების, განაწილებისა და გადახდის ეფექტიანი მექანიზმების თაობაზე;

გ) ორგანიზაციის წესდება, შიდა რეგულაციები და ტარიფების განაწილების წესები და პრინციპები იძლევა როგორც უფლების მფლობელების, ისე მოსარგებლეების მიმართ თანაბარი და არადისკრიმინაციული მოპყრობის გარანტიას. წარდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს, მათ შორის:

გ.ა) შიდა რეგულაციებსა და ტარიფების განაწილების წესებს;
გ.ბ) ჰონორარებიდან ადმინისტრაციული ხარჯის გამოთვლისა და გამოქვითვის წესს;
გ.გ) ტარიფების ოდენობის გასაჩივრების წესს;
გ.დ) საერთო კრების მოწვევისა და საქმიანობის წესს;
გ.ე) წევრებისთვის თანაბარი და არადისკრიმინაციული მოპყრობის გარანტიებს;
გ.ვ) შესაბამისი უფლების კოლექტიური მართვის სისტემიდან ამორიცხვის მექანიზმს;
გ.ზ) უფლების მფლობელის მიერ ორგანიზაციის წევრობაზე უარის თქმის შესაძლებლობასა და გასვლის წესს;
გ.თ) არაწევრ უფლების მფლობელებთან ურთიერთობის წესს;
გ.ი) ინფორმაციას, რომ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის თავმჯდომარე ირჩევა 5 წლის ვადით წევრთა საერთო კრების მიერ, ამასთან, ერთი და იგივე პირი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ;

დ) ორგანიზაცია რეგისტრირებული არ არის მოვალეთა რეესტრში და მას არ ადევს ყადაღა, რისთვისაც განაცხადს უნდა ერთოდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ცნობა ორგანიზაციის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის არარსებობის თაობაზე და განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ე) ორგანიზაციის წესდება და სხვა რეგულაციები შეესაბამება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

7. განაცხადის წარდგენისას გადახდილი უნდა იქნეს აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასური, 500 ლარის ოდენობით, რომელიც გადაიხდება საქპატენტის მიერ მითითებულ

ანგარიშზე. განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა ერთოდეს განაცხადს. გადახდილი თანხა არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

8. განაცხადს უნდა ერთოდეს ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები, დადებული უცხო ქვეყნების იმ ანალოგიური ორგანიზაციების უმეტეს ნაწილთან, რომელთა რეპერტუარი არსებითად ფარავს საქართველოში გამოყენებული ნაწარმოებების ან/და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული სხვა ობიექტების მნიშვნელოვან ნაწილს. ხელშეკრულებები უნდა მოიცავდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტების რეპერტუარს ელექტრონული ან მატერიალური ფორმით.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში:
   ა) იმის დასადგენად, ფარავს თუ არა ანალოგიური ორგანიზაციების რეპერტუარი არსებითად საქართველოში გამოყენებული ნაწარმოებების ან/და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული სხვა ობიექტების მნიშვნელოვან ნაწილს, კომისია უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს იმ დოკუმენტურად დადასტურებული ჰონორარების ოდენობით, რომელიც შეგროვებულ (გადარიცხული/გადასარიცხი) იქნა ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების საფუძველზე;
   ბ) თუ განაცხადი შეტანილ იქნა იმ უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ, რომელშიც არ შეგროვებულა ჰონორარი ან არ იძებნება ინფორმაცია შეგროვებული ჰონორარის ოდენობის ან/და რეპერტუარის შესახებ უპირატესობა მიენიჭება იმ განმცხადებელს, რომლის მიერაც უფრო მეტი ხელშეკრულება იქნება წარდგენილი;
   გ) თუ განაცხადი შეტანილ იქნა იმ უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ, რომელშიც შეგროვებული ჰონორარის ოდენობის ან/და რეპერტუარის შესახებ ინფორმაცია იძებნება ნაწილობრივ, კომისია უფლებამოსილია, დაეყრდნოს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას.

10. განაცხადს უნდა ერთოდეს უცხო ქვეყნების იმ ანალოგიური ორგანიზაციების უმეტეს ნაწილთან დადებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები, რომელთა რეპერტუარიც არსებითად ფარავს უცხო ქვეყნებში გამოყენებული ქართული ნაწარმოებების ან/და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული სხვა ობიექტების მნიშვნელოვან ნაწილს. ხელშეკრულებები უნდა მოიცავდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტების რეპერტუარს ელექტრონული ან მატერიალური ფორმით.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში:
   ა) იმის დასადგენად, ფარავს თუ არა ანალოგიური ორგანიზაციების რეპერტუარი არსებითად უცხო ქვეყნებში გამოყენებული ქართული ნაწარმოებების ან/და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული სხვა ობიექტების მნიშვნელოვან ნაწილს, კომისია უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს იმ დოკუმენტურად დადასტურებული ჰონორარების ოდენობით, რომელიც გადმორიცხულ იქნა ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების საფუძველზე;

   ბ) თუ განაცხადი შეტანილ იქნა იმ უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ, რომელშიც არ გადმორიცხულა ჰონორარი ან არ იძებნება ინფორმაცია გადმორიცხული ჰონორარის ოდენობის ან/და რეპერტუარის

შესახებ უპირატესობა მიენიჭება იმ განმცხადებელს, რომლის მიერაც უფრო მეტი ხელშეკრულება იქნება წარდგენილი;

გ) თუ განაცხადი შეტანილ იქნა იმ უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ, რომელშიც გადმორიცხული ჰონორარის ოდენობის ან/და რეპერტუარის შესახებ ინფორმაცია იძებნება ნაწილობრივ, კომისია უფლებამოსილია, დაეყრდნოს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას.

12. ამ მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტების მიზნებისათვის, კომისია ეყრდნობა ბოლო ორი წლის მონაცემებს (მიმდინარე კალენდარული წელი არ იქნება გათვალისწინებული).

13. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის წარდგენის დროს ვერ ხდება ამ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების სრულყოფილად წარდგენა, განმცხადებელი უფლებამოსილია, განაცხადს დაურთოს მის ხელთ არსებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები და ამასთან, წარადგინოს დასაბუთებული მოთხოვნა ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების სრულყოფილად წარდგენისთვის ვადის გაგრძელების თაობაზე.

14. განაცხადის წარმომადგენლის მეშვეობით წარდგენის შემთხვევაში განაცხადს უნდა ერთოდეს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად გაცემული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

15. თუ კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ განმცხადებელმა განზრახ წარადგინა მცდარი/არაზუსტი ინფორმაცია, აღნიშნული გარემოება წარმოადგენს განაცხადის განუხილველად დატოვების საფუძველს.

თავი IV
კონკურსის ჩატარების პროცედურა

მუხლი 9. კომისიის შექმნა

1. აკრედიტაციის კონკურსის გამოცხადების შემდეგ პირველი განაცხადის წარდგენიდან არა უგვიანეს 15 დღისა საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით იქმნება კომისია. ამავე ბრძანებით განისაზღვრება კომისიის სამდივნოს შემადგენლობა.

2. კომისია უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარეების დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის გადასაწყვეტად განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტი, ხმის მიცემის უფლებით ან ამ უფლების გარეშე.

3. კომისია დამსწრეთა ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ექსპერტის მიწვევის, ექსპერტის მიერ შესაფასებელი საკითხის/საკითხების განსაზღვრისა და მისთვის გადაწყვეტილების მიღების დროს ხმის უფლების მინიჭების თაობაზე. ექსპერტის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს. ექსპერტის მიწვევისა და ანაზღაურების საკითხი განისაზღვრება მასთან დადებული ხელშეკრულებით. ექსპერტის მომსახურების ხარჯები გაწეული იქნება საქპატენტის ბიუჯეტიდან. ექსპერტთა რაოდენობა არ არის შეზღუდული.

მუხლი 10. წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება

1. განაცხადის მიღებიდან 1 თვის ვადაში კომისია ამოწმებს კანდიდატის შესაბამისობას „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლით დადგენილ აკრედიტაციის მოთხოვნებთან. ყველა შესული განაცხადის შემოწმების შემდეგ კომისია იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის მინიჭების ან აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, ამ წესის მე-11 მუხლის შესაბამისად.
2. კომისია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დამატებით მოითხოვოს ისეთი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენა, რომელიც აუცილებელია იმის შესაფასებლად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ აკრედიტაციის მოთხოვნებს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში კომისიის მიერ განმცხადებელს განესაზღვრება გონივრული ვადა. აღნიშნულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში კომისიის მიერ განაცხადის შემოწმება განხორციელდება თავდაპირველად წარდგენილი განაცხადის ფარგლებში.
4. თუ განმცხადებლის მიერ სრულად არ იქნება წარდგენილი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ წესით განსაზღვრული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ხარვეზის დადგენის შესახებ და განუსაზღვროს განმცხადებელს გონივრული ვადა მის გამოსასწორებლად. განმცხადებლის მიერ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად.
5. ამ მუხლის მე-3-მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვადაში დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე ან ხარვეზის აღმოფხვრამდე განაცხადის განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.
6. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემოწმების შედეგები ფორმდება საოქმო ჩანაწერით და განმცხადებელს ეცნობება კომისიის მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად. აღნიშნული საოქმო ჩანაწერი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

მუხლი 11. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. კომისია აკრედიტაციის მინიჭების ან აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით.
2. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებთან დაკავშირებით საქპატენტში დაცული ან/და ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საქპატენტის მიერ მოკვლეული ან/და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, რაც შესაძლოა, წარმოადგენდეს, მათ შორის, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების წლიურ ანგარიშებსა და აუდიტის დასკვნას.
3. ერთზე მეტი ორგანიზაციის მიერ ერთისა და იმავე უფლების, უფლებათა კატეგორიის ან

უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განაცხადის საქპატენტში წარდგენის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება იმ განმცხადებლის სასარგებლოდ, რომელიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს აკრედიტაციის პირობებს. კონკურსში ისეთი ორგანიზაციის მონაწილეობის შემთხვევაში, რომელიც წარსულში საქმიანობდა შესაბამის სფეროში, კომისია ორგანიზაციის შეფასებისას გაითვალისწინებს მის წარსულ საქმიანობასა და გამოცდილებას.

4. თუ განაცხადით მოთხოვნილია რამდენიმე უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ აკრედიტაციის მინიჭება და კომისია დოკუმენტების განხილვის შემდეგ დაასკვნის, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებს აკრედიტაციის პირობებს აკრედიტაციის განაცხადში მითითებული უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების ნაწილის მიმართ, განმცხადებლის თანხმობით შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ორგანიზაციისთვის შესაბამისი უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების მიმართ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში კომისიის მიერ განმცხადებელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება და განესაზღვრება გონივრული ვადა კონკრეტული უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლებათა კატეგორიის ჯგუფის მიმართ აკრედიტაციის გაცემაზე თანხმობის წარსადგენად. კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში თანხმობის წარუდგენლობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე.

6. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით, ჰონორარის შეგროვებისა და განაწილების უფლებამოსილების მინიჭება მოთხოვნილი იქნება ერთზე მეტი განმცხადებლის მიერ, გადაწყვეტილება მიიღება იმ განმცხადებლის სასარგებლოდ, რომელიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს აკრედიტაციის პირობებს, აგრეთვე გათვალისწინებული იქნება მისი წარსული საქმიანობა და გამოცდილება.

7. ამ წესის მე-8 მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში კომისიის მიერ გაიცემა აკრედიტაცია და ორგანიზაციას ამ წესის მე-8 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით განსაზღვრული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების სრულყოფილად წარსადგენად ეძლევა 1-წლიანი ვადა, რომელიც ამავე კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით შეიძლება, გაგრძელდეს 1 წლის ვადით.

8. კომისიის მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესით აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, აკრედიტებული ორგანიზაცია ვალდებულია ამ წესის მე-8 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით განსაზღვრული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები კომისიის მიერ განსაზღვრულ ერთწლიან ვადაში წარადგინოს საქპატენტში, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ერთწლიანი ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 1 თვისა კომისია ამოწმებს აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტით დაკისრებული ვალდებულის შესრულებას. თუ კომისია მიიჩნევს, რომ აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები წარდგენილია სრულყოფილად, აღნიშნულ ორგანიზაციას წერილობით აცნობებს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ სრულყოფილად არ იქნა წარდგენილი ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები,

თუმცა დასტურდება, რომ 1 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი რაოდენობა, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება აღნიშნული ვადის 1 წლით გაგრძელების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია ძალადაკარგულად გამოაცხადებს აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი 1-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, თუ კომისია მიიჩნევს, რომ ორგანიზაციის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულყოფილად არ შესრულდა, იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე და საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას ახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ.
11. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ქვეყნდება საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ოფიციალური ბიულეტენის უახლეს ნომერში. ამ პუნქტით დადგენილი წესით გამოქვეყნებას ექვემდებარება აგრეთვე კომისიის გადაწყვეტილება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.
12. აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

მუხლი 12. კონკურსის ჩაშლილად გამოცხადება

კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არცერთი განაცხადი, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ კომისია არცერთი ორგანიზაციის მიმართ არ მიიღებს აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას.

თავი V
ჰონორარის ოდენობის ან/და მისი გამოანგარიშების ან/და გადახდის წესის დადგენა

მუხლი 13. განცხადება ჰონორარის ოდენობის ან/და მისი გამოანგარიშების ან/და გადახდის წესთან დაკავშირებით

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციასა და უფლებით მოსარგებლეს, აგრეთვე „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ სუბიექტებს შორის ჰონორარის ოდენობის, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, აღნიშნული მხარეები საქპატენტს წარუდგენენ განცხადებას ჰონორარის ოდენობის, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესის განსაზღვრის მიზნით.
2. ჰონორარის ოდენობის ან/და მისი გამოანგარიშების ან/და გადახდის წესის დადგენის შესახებ განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.
3. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულმა განმცხადებელმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ განცხადებას უნდა დაურთოს:

ა) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების სივრცის ტევადობა (მაგალითად, დასაჯდომი ადგილების რაოდენობა, სავაჭრო ობიექტების შემთხვევაში – ფართობი და ან სასტუმროების შემთხვევაში – სასტუმროს ნომრების რაოდენობა) ან სხვა მონაცემები (მაგ.: მომხმარებელთა საორიენტაციო რაოდენობა, გავრცელების არეალი და სხვა);

ბ) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის გამოყენებაზე ისეთი გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ ინფორმაცია, რამაც შეიძლება, გავლენა მოახდინოს მისი გამოყენების ინტენსივობაზე ან/და მოსარგებლეთა ფინანსურ მდგომარეობაზე;

გ) დასაბუთება შეთავაზებული ჰონორარის შეგროვების ტარიფის მიუღებლობის თაობაზე;

დ) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის გამოყენების დროს წარმოშობილი ხარჯები ან უფლების მფლობელების მიერ მათ ნორმალურ ექსპლუატაციაზე ზემოქმედების ფაქტი, იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი არ ასახავს გამოყენების ბუნებას;

ე) ნაწარმოებების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის გამოყენების მნიშვნელობა მოსარგებლეთა შესაბამისი საქმიანობისთვის;

ვ) სხვა ინფორმაცია, რაც რელევანტური იქნება ჰონორარის ოდენობის, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესის განსაზღვრისთვის.

4. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 51-ე მუხლებით გათვალისწინებული მოწყობილობებისა და მატერიალურ მატარებლებთან დაკავშირებული ჰონორარის ოდენობის, მისი გამოანგარიშების ან/და გადახდის წესზე შეუთანხმებლობისას საქპატენტისთვის მიმართვის შემთხვევაში, განმცხადებელმა განაცხადს უნდა დაურთოს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მუხლი 14. კომისია

1. კომისია საქმიანობს ამ წესის I–IV თავებით დადგენილი წესებით, თუ ამ თავებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ამ თავით გათვალისწინებული მიზნებისთვის, კომისია იქმნება ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს 15 დღისა.

3. კომისია განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დამატებითი დოკუმენტების წარსადგენად.

4. დამატებითი დოკუმენტების წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

5. თუ განმცხადებელი კომისიის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენს დამატებით დოკუმენტებს, კომისია განცხადებას ტოვებს განუხილველად.

6. კომისია ოდენობის ან/და მისი გამოანგარიშების ან/და გადახდის წესის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განცხადების მიღებიდან 3 თვის ვადაში.

7. საკითხის სირთულის გათვალისწინებით, კომისიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ერთჯერადად, არაუმეტეს 6 თვისა გააგრძელოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადა.

8. ყველა შესაბამისი მოსარგებლე ვალდებულია ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე, მმართველ ორგანიზაციას ჰონორარი გადაუხადოს აღნიშნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად.

9. კომისია უფლებამოსილია მხარეებისგან ან სხვა შესაბამისი სუბიექტებისგან გამოითხოვოს შესაგროვებელი ჰონორარის სამართლიანი ტარიფის დადგენისთვის აუცილებელი ინფორმაცია, მათ შორის:
   ა) არსებული ჰონორარის ოდენობის განაწილებისა და გადახდის წესი და პრინციპები, ასევე სხვა მოსარგებლეებთან დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში არსებული ინფორმაცია შესაგროვებელი ჰონორარის შეგროვების ტარიფთან დაკავშირებით;
   ბ) შესაბამისი ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის საქართველოს ბაზარზე გამოყენების შესახებ ინფორმაცია და მისი ეკონომიკური ღირებულება;
   გ) ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ჰონორარის შეგროვების სამართლიანი ტარიფის დადგენისთვის.

10. გადაწყვეტილება ჰონორარის ოდენობის, გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ უნდა შეიცავდეს დასაბუთებას. გადაწყვეტილება ქვეყნდება საქპატენტის ოფიციალურ ბიულეტენში და საქპატენტის ვებგვერდზე.

11. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე, მმართველი ორგანიზაცია, ამ მუხლის შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ტარიფებს დამტკიცებისთანავე წარუდგენს საქპატენტს ოფიციალური ბიულეტენის უახლეს ნომერში გამოსაქვეყნებლად.

12. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში მისი მიღებიდან 2 თვის ვადაში. შესაბამისი ტარიფის დადგენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

13. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყველა მოსარგებლე ვალდებულია, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე, მმართველ ორგანიზაციას ჰონორარი გადაუხადოს აღნიშნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ტარიფის შესაბამისად.

14. კომისიას უფლებამოსილება უწყდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.

15. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება საქპატენტს წარედგინა მიმდინარე აკრედიტაციის კონკურსის პირობებში, ჰონორარის ოდენობის ან/და მისი გამოანგარიშების ან/და გადახდის წესს განსაზღვრავს აკრედიტაციის პირობებში მოქმედი კომისია.

16. მას შემდეგ, რაც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას ჰონორარის განსაზღვრის თაობაზე, იმავე საკითხზე საქპატენტისთვის განცხადებით მიმართვა შეიძლება მხოლოდ კომისიის მიერ აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სასამართლოში ან არსებობს სასამართლოს მიერ აღნიშნულის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 15. ჰონორარის ოდენობის ან/და მისი გამოანგარიშების წესის დადგენის კრიტერიუმები

ჰონორარის ოდენობის ან/და მისი გამოანგარიშების წესის დადგენისას კომისიამ შესაძლოა მხედველობაში მიიღოს:

ა) ნაწარმოების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტის გამოყენების შედეგად უფლების მფლობელის მიერ არსებული მდგომარეობით მისაღები შემოსავალი;

ბ) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების სივრცის ტევადობას (მაგალითად, დასაჯდომი ადგილების რაოდენობა, სავაჭრო ობიექტების შემთხვევაში – ფართობი და ან სასტუმროების შემთხვევაში – სასტუმროს ნომრების რაოდენობა) ან სხვა მონაცემებს (მაგ.: მომხმარებელთა საორიენტაციო რაოდენობა, გავრცელების არეალი და სხვა);

გ) საზოგადოების მასშტაბი, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება ნაწარმოები ან სხვა ობიექტები;

დ) ნაწარმოების ან/და სხვა ობიექტის გამოყენების ბუნება და ხანგრძლივობა;

ე) გამოყენებული უფლების ეკონომიკური ღირებულება;

ვ) კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება.

თავი VI
გარდამავალი დებულებები

მუხლი 16. გარდამავალი დებულება

1. საქპატენტი პირველი აკრედიტაციის კონკურსს აცხადებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2023 წლის 3 ივლისის №3450-XIIრს-Xმპ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისია იქმნება აკრედიტაციის კონკურსის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 15 დღისა.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ წესის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის
2023 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №1

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების რეესტრის წარმოების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

„ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების რეესტრის წარმოების წესი“ (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და განსაზღვრავს სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ (შემდგომში – საქპატენტი) მიერ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების რეესტრის შექმნისა და მისი წარმოების ძირითად დებულებებს.

მუხლი 2. რეესტრის წარმოება

1. რეესტრი არის მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რომელშიც აისახება ინფორმაცია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შექმნილი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების (შემდგომში – ორგანიზაცია) შესახებ.
2. საქპატენტი კანონის საფუძველზე უზრუნველყოფს ორგანიზაციების რეესტრის წარმოებასა და მის განთავსებას საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. რეესტრში ასახულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე ისინი ძალადაკარგულად ან ბათილად არ იქნება ცნობილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. რეესტრის მონაცემები

რეესტრი შეიცავს ორგანიზაციის შესახებ შემდეგი სახის მონაცემებს:

ა) სახელწოდებას;
ბ) იმ უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფების ჩამონათვალს, რომლის სამართავადაც ამ ორგანიზაციას მიენიჭა აკრედიტაცია;
გ) საიდენტიფიკაციო ნომერს;
დ) ხელმძღვანელი პირის სახელსა და გვარს;
ე) გამგეობის წევრების სახელსა და გვარს;
ვ) საკონტაქტო მონაცემებს, მათ შორის: იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართს, ტელეფონის ნომერს, ელექტრონულ ფოსტასა და ვებგვერდს.

მუხლი 4. რეესტრის განახლება

1. საქპატენტი აახლებს რეესტრის მონაცემებს ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

2. კანონის 65-ე მუხლით გათვალისწინებული აკრედიტაციის კომისიის მიერ ორგანიზაციისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, საქპატენტი რეესტრში შეიტანს აღნიშნული ორგანიზაციის მონაცემებს. აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში რეესტრში შესაბამისი ორგანიზაციის გასწვრივ (შენიშვნის ველში) კეთდება ჩანაწერი „გასაჩივრებულია სასამართლოში“.

3. ორგანიზაციისთვის აკრედიტაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, საქპატენტი ვალდებულია განაახლოს რეესტრი. აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში რეესტრში შესაბამისი ორგანიზაციის გასწვრივ (შენიშვნის ველში) კეთდება ჩანაწერი „გასაჩივრებულია სასამართლოში“.

4. ორგანიზაციისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ ბათილად ცნობის შემთხვევაში საქპატენტი ვალდებულია განაახლოს რეესტრი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

5. ორგანიზაციის შესახებ რეესტრში ასახული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, ორგანიზაცია ვალდებულია საქპატენტს მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია აღნიშნული ცვლილებიდან 1 თვის ვადაში, რის საფუძველზეც საქპატენტი უზრუნველყოფს რეესტრის განახლებას მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

დანართი №2

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების რეესტრი

N	მმართველი ორგანიზაციის სახელწოდება	უფლების, უფლებათა კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა ჯგუფი	საიდენტიფიკაციო ნომერი	ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი	გამგეობის წევრების სახელი და გვარი	საკონტაქტო მონაცემები	შენიშვნა

საქართველოს კანონი ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. ეს კანონი აწესრიგებს ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების სამართლებრივ დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველთა და მცენარეთა ყველა ახალ გვარსა და სახეობაზე.

2. აკრძალულია გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენება სანაშენე მეცხოველეობასა და მცენარეულ გასამრავლებელ მასალაში.

მუხლი 2

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სელექციონერი:

ა.ა) პირი, რომელმაც გამოავლინა და გააუმჯობესა ან რომელმაც გამოიყვანა ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიში;

ა.ბ) ამ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული პირის სამუშაოს მიმცემი ან დავალების გამცემი; ა.გ) ამ ქვეპუნქტის „ა.ა“ ან „ა.ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული პირის უფლებამონაცვლე;

ბ) განაცხადი – ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად გაფორმებული, ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემისათვის აუცილებელი საბუთების ერთობლიობა;

გ) მოწმობა – ამ კანონის შესაბამისად ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და სელექციონერის უფლების დამადასტურებელი, დამცავი დოკუმენტი;

დ) ცხოველის ჯიში – ცხოველთა ჯგუფი, რომელსაც, დაცვისუნარიანობის მიუხედავად, აქვს გენეტიკურად განპირობებული კონსტიტუციურ-ექსტერიერული ნიშან-თვისებები; ამასთანავე, ზოგი მათგანი სპეციფიკურია და განასხვავებს მას სხვა ცხოველთა ჯგუფებისაგან. ჯიში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მდედრი ან მამრი ინდივიდით ან სანაშენე მასალით;

ე) ცხოველის ჯიშის დაცვის კატეგორიები – ტიპი, ხაზი;

ვ) სანაშენე ცხოველი – ჯიშის აღწარმოებისა და გამრავლებისათვის გათვალისწინებული ცხოველი;

ზ) სანაშენე მასალა – სანაშენე ცხოველი, მისი თესლი და ემბრიონი;

თ) საწარმოო დანიშნულების ცხოველი – ცხოველი, რომელიც გამოიყენება ჯიშის აღწარმოების მიზნებისაგან განსხვავებული მიზნებისათვის;

ი) საწყისი ჯიში – სელექციონერის მიერ ახალი ჯიშის გამოსაყვანად შერჩეული ცხოველის ან/და მცენარის ჯიში;

კ) მცენარის ჯიში – მცენარეთა ჯგუფი, ცნობილი ბოტანიკური ტაქსონის უდაბლესი საფეხურის ფარგლებში, რომელიც, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებს თუ არა სრულად სელექციონერის უფლების მინიჭების პირობებს, შესაძლებელია განისაზღვროს მოცემული გენოტიპით ან გენოტიპთა კომბინაციით განპირობებულ მახასიათებელთა გამომჟღავნებით, განსხვავდება

სხვა მცენარეთა ჯგუფებისაგან მითითებული განპირობებული მახასიათებლებიდან სულ მცირე ერთის გამომჟღავნებით და შეიძლება განხილულ იქნეს მთლიანად მისი უცვლელად კვლავწარმოებისათვის გამოდგომის თვალსაზრისით;

ლ) გასამრავლებელი მასალა – მცენარის ჯიშის გამრავლებისათვის განკუთვნილი თესლი, მცენარე ან მისი ნაწილი;

მ) მოსავალი – მცენარის ჯიშის გამრავლების შედეგად მიღებული ნებისმიერი სახის პროდუქტი;

ნ) მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია – 1961 წლის 2 დეკემბრის „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია“;

ო) კავშირი – მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის კავშირი, რომელიც დაფუძნებულია მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციით.

მუხლი 3

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ (შემდგომ – საქპატენტი) უზრუნველყოფს სელექციონერისთვის სელექციონერის განსაკუთრებული უფლების მინიჭებას და ოფიციალური ბიულეტენის გამოცემით საზოგადოების ინფორმირებას ცხოველის ან/და მცენარის ახალ ჯიშებზე განაცხადებისა და სელექციონერის განსაკუთრებული უფლების მინიჭების შესახებ.

2. საქპატენტს შეუძლია ცხოველის ან/და მცენარის ახალ ჯიშზე სელექციონერის განსაკუთრებული უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის უფლებამოსილი ორგანოს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებული პირის (შემდგომ – გამოცდის ჩამტარებელი პირი) მიერ ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების შესაბამისად ჩატარებული გამოცდის შედეგების საფუძველზე.

3. საქპატენტს შეუძლია ცხოველის ახალ ჯიშზე სელექციონერის განსაკუთრებული უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ ცხოველის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე ჩატარებული გამოცდის შედეგების საფუძველზე, ხოლო მცენარის ახალ ჯიშზე სელექციონერის განსაკუთრებული უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება – კავშირის წევრი სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე ჩატარებული გამოცდის შედეგების საფუძველზე.

საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1648 – ვებგვერდი, 14.12.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 5 ოქტომბრის კანონი №1860 – ვებგვერდი, 17.10.2022წ.

მუხლი 4

სელექციონერის განსაკუთრებული უფლების მოქმედების ვადაა „საქპატენტის“ მიერ ახალი ჯიშის დარეგისტრირების დღიდან:

ა) 25 წელი – მცენარის ახალ ჯიშზე, გარდა ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯიშებისა;

ბ) 30 წელი – ვაზის, მერქნიან, ხეხილოვან, დეკორატიულ, ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ტყის მცენარეთა ახალ ჯიშებზე (მათ შორის, საძირეებისა);

გ) 30 წელი – ცხოველის ახალ ჯიშზე.

თავი II
სელექციონერი და მოწმობის მფლობელი

მუხლი 5

1. სელექციონერს ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის „საქპატენტში“ რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემის შედეგად წარმოექმნება სელექციონერის განსაკუთრებული (ქონებრივი) უფლებები.

2. თუ სელექციონერი მოითხოვს, „საქპატენტი“ ვალდებულია არ გამოაქვეყნოს მისი სახელი.

3. თუ ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიში გამოვლენილ და გაუმჯობესებულ იქნა ან გამოყვანილ იქნა რამდენიმე ფიზიკური პირის ერთობლივი ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად, თითოეული მათგანი მიიჩნევა თანასელექციონერად.

4. თანასელექციონერთა შორის ურთიერთობები განისაზღვრება ხელშეკრულებით.

მუხლი 6

1. ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის მიღების უფლება აქვს სელექციონერს.

2. რამდენიმე ფიზიკური პირის ერთობლივი ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად გამოვლენილი და გაუმჯობესებული ან გამოყვანილი ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის მიღების უფლება აქვს როგორც ყველა სელექციონერს ერთად, ისე ცალკეულ მათგანს რეგისტრაციასა და მოწმობის მიღებაზე დანარჩენი სელექციონერების წერილობითი უარის შემთხვევაში.

მუხლი 7

1. თუ ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის გამოვლენა და გაუმჯობესება ან გამოყვანა დაკავშირებულია მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ან სპეციალური დავალების შესრულებასთან, ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის მიღების უფლება აქვს სამუშაოს მიმცემს, თუ ასეთი დავალება სასელექციო საქმიანობას ითვალისწინებს და თუ მუშაკსა და სამუშაოს მიმცემს შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციის შედეგად გაცემული მოწმობა სამუშაოს მიმცემს ეკუთვნის, მუშაკს უფლება აქვს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სამუშაოს მიმცემისაგან მიიღოს ახალი ჯიშის გამოყენების ფარდი გასამრჯელო.

2. თუ ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის გამოვლენა და გაუმჯობესება ან გამოყვანა დაკავშირებული არ არის მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ან სპეციალური დავალების შესრულებასთან, ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის მიღების უფლება აქვს მუშაკს. ამ შემთხვევაში სამუშაოს მიმცემს განაცხადის შეტანის დღიდან ეკუთვნის ცხოველის/მცენარის ახალი ჯიშის გამოყენების ლიცენზიის მიღების ან/და ცხოველის/მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციიდან და მოწმობის გაცემიდან გამომდინარე სელექციონერის განსაკუთრებული უფლებების შესყიდვის უპირატესი უფლება.

მუხლი 8

თუ სამუშაოს მიმცემი უარს ამბობს ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციასა და მოწმობის მიღებაზე, რეგისტრაციისა და მოწმობის მიღების უფლება აქვს მუშაკს.

მუხლი 9

თუ „საქპატენტში“ ცხოველის ან/და მცენარის ერთ ახალ ჯიშზე სხვადასხვა დროს შეტანილია ორი ან ორზე მეტი განაცხადი, რეგისტრაცია და მოწმობის გაცემა ხდება პირველი განმცხადებლის სახელზე.

თავი III
ცხოველის და მცენარის ახალი ჯიშების დაცვისუნარიანობა

მუხლი 10

1. ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიში რეგისტრირდება და გაიცემა მოწმობა, თუ ის აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს.

2. ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებია: სიახლე, განსხვავებულობა, ერთგვაროვნება, სტაბილურობა.

მუხლი 11

1. ცხოველის ჯიშს აქვს სიახლე, თუ განაცხადის შეტანის დღისათვის ამ ჯიშის სანაშენე ცხოველი ან სანაშენე მასალა სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით არ გასხვისებულა გამოყენებისათვის ან/და სხვა გზით არ გადასცემია მესამე პირს.

2. ცხოველის ჯიშის სიახლეზე გავლენას არ მოახდენს, თუ ამ ჯიშისაგან წარმოებულ სანაშენე ცხოველს ან სანაშენე მასალას სხვა პირი გამოიყენებს:
   ა) სელექციონერისათვის ზიანის მიყენების მიზნით;
   ბ) ცხოველის ჯიშის საკონკურსო ან საწარმოო გამოცდის ჩასატარებლად;
   გ) ცხოველის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების, ხარისხის დადგენის ან სხვა სახის შემოწმების ჩატარების მიზნით.

3. ცხოველის ჯიშის სიახლეზე გავლენას არ მოახდენს, თუ ამ მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიღებული ნამეტი პროდუქტი გამოიყენება ცხოველის ჯიშისაგან წარმოებულ პროდუქტად აღიარების გარეშე.

მუხლი 12

1. მცენარის ჯიშს აქვს სიახლე, თუ განაცხადის შეტანის დღისათვის ამ ჯიშის გასამრავლებელი მასალა სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით არ გასხვისებულა გამოყენებისათვის ან/და სხვა გზით არ გადასცემია მესამე პირს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, სელექციონერის უფლების მინიჭება აგრეთვე შესაძლებელია მცენარის იმ ჯიშისათვის, რომელიც ამ კანონის ამოქმედების დღისათვის აღარ არის ახალი, იმ პირობით, რომ განაცხადი „საქპატენტში“ შეტანილია ამ

კანონის ამოქმედების დღიდან ერთი წლის განმავლობაში და დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოყვანილი ერთ-ერთი პირობა:

ა) მცენარის ჯიში შეტანილი იყო ვაჭრობისათვის დაშვებულ მცენარეთა ეროვნულ კატალოგში;

ბ) კავშირის წევრ რომელიმე ქვეყანაში მცენარის ჯიში დაცული იყო სელექციონერის უფლებით, ან კავშირის წევრ რომელიმე ქვეყანაში წარდგენილი იყო განაცხადი და ამ განაცხადის წარდგენას მოჰყვა სელექციონერის უფლების მინიჭება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მინიჭებული სელექციონერის უფლების მოქმედების ვადა აითვლება ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ კატალოგში შეტანის დღიდან, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სელექციონერის უფლების მინიჭების დღიდან. შესაბამის შემთხვევებში გამოყენებული უნდა იყოს ამ თარიღებიდან ყველაზე ადრეული თარიღი.

4. თუ სელექციონერის უფლება მინიჭებულია ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, სელექციონერი ვალდებულია გასცეს ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის გამოყენების ლიცენზია გონივრული პირობებით, რათა მესამე პირმა შეძლოს გააგრძელოს მცენარის ჯიშის გამოყენება, რაც მას კეთილსინდისიერად ჰქონდა დაწყებული სელექციონერის მიერ განაცხადის „საქპატენტში“ შეტანამდე.

მუხლი 13

ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიში ითვლება განსხვავებულად, თუ იგი ნათლად განირჩევა სხვა ჯიშისაგან, რომლის არსებობაც „საქპატენტში“ განაცხადის შეტანის დღისათვის საყოველთაოდ ცნობილია; კერძოდ, განაცხადის შეტანა სელექციონერის უფლების მისანიჭებლად ან ჯიშის ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების რეესტრში ან კატალოგში შესატანად ნებისმიერ ქვეყანაში ჯიშს ხდის საყოველთაოდ ცნობილად განაცხადის შეტანის დღიდან, თუ განაცხადის შეტანის შედეგად მინიჭებულია სელექციონერის უფლება ან თუ ჯიში შეტანილია ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების რეესტრში ან კატალოგში.

მუხლი 14

1. ცხოველის ახალი ჯიში ითვლება ერთგვაროვნად, თუ ამ ჯიშის ცხოველები, გამრავლების თავისებურებების მიუხედავად, ძირითადი კონსტიტუციურ-ექსტერიერული ნიშან-თვისებებით საკმარისად ერთნაირია.

2. მცენარის ახალი ჯიში ითვლება ერთგვაროვნად, თუ იგი, გამრავლების თავისებურებების მიუხედავად, ძირითადი ნიშან-თვისებებით ერთგვაროვანია.

მუხლი 15

1. ცხოველის ახალი ჯიში ითვლება სტაბილურად, თუ მისი ძირითადი ნიშნები უცვლელი რჩება განმეორებითი გამრავლების შემდეგ ან გამრავლების განსაკუთრებული ციკლის შემთხვევაში – ყოველი ასეთი ციკლის ბოლოს.

2. მცენარის ახალი ჯიში ითვლება სტაბილურად, თუ მისი ძირითადი ნიშან-თვისებები უცვლელი რჩება ერთ ჯერზე მეტად გამრავლების შემდეგ ან გამრავლების განსაკუთრებული ციკლის შემთხვევაში – ყოველი ასეთი ციკლის ბოლოს.

თავი IV
ცხოველის და მცენარის ახალი ჯიშების ექსპერტიზა, გამოქვეყნება, რეგისტრაცია და მოწმობის გაცემა

მუხლი 16
სელექციონერს განაცხადი ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის მიღების მოთხოვნით „საქპატენტში“ შეაქვს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით.

მუხლი 17
1. განაცხადი უნდა შეიცავდეს:
   ა) განცხადებას, რომელშიც მითითებულია სელექციონერის სახელი და მისამართი;
   ბ) ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შემოთავაზებულ დასახელებას;
   გ) ცხოველის ახალი ჯიშის შემთხვევაში – ცხოველის ახალი ჯიშის აღწერილობას, ძირითად ზოოლოგიურ, კონსტიტუციურ-ექსტერიერულ ნიშან-თვისებებსა და სამეურნეო დახასიათებას, ხოლო მცენარის ახალი ჯიშის შემთხვევაში – მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობას, ძირითად მორფოლოგიურ-ბიოლოგიურ და ბოტანიკურ ნიშან-თვისებებს;
   დ) ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის ფოტოგამოსახულებას;
   ე) სელექციონერის წერილობით ვალდებულებას, გამოცდის ჩამტარებელ პირს დადგენილ ვადაში, დადგენილი ოდენობით, უსასყიდლოდ მიაწოდოს შესაბამისად ცხოველის ჯიშის სანაშენე მასალის ან მცენარის ჯიშის გასამრავლებელი მასალის ნიმუშები;
   ვ) იმ თარიღის მითითებას, როდესაც შესაბამისად ცხოველის ჯიშის სანაშენე ცხოველი ან სანაშენე მასალა ან მცენარის ჯიშის გასამრავლებელი მასალა გამოყენების მიზნით გაიყიდა ან სხვაგვარად გადაეცა სხვა პირს სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით.

2. ცხოველის ან მცენარის ერთ ახალ ჯიშზე შეიტანება ერთი განაცხადი.

3. თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მეშვეობით, მას განაცხადის შეტანის დღიდან 1 თვის განმავლობაში უნდა დაერთოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი.

4. განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სხვა საგანაცხადო მასალა შეიძლება წარდგენილ იქნეს ნებისმიერ სხვა ენაზე. ამ საგანაცხადო მასალის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელმა 3 თვის ვადაში უნდა წარადგინოს მისი ქართული თარგმანი.
5. თუ განაცხადი შეტანილია უფლებამონაცვლის მიერ, მას განაცხადის შეტანის დღიდან 1 თვის განმავლობაში უნდა დაერთოს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი.

6. ამ მუხლის მე-3–მე-5 პუნქტებით დადგენილი საბუთებისა და მასალების შესაბამის ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში განაცხადზე საქმის წარმოება წყდება.

საქართველოს 2022 წლის 5 ოქტომბრის კანონი №1860 – ვებგვერდი, 17.10.2022წ.

მუხლი 18
თუ განაცხადი „საქპატენტში“ შეტანამდე ცხოველის ახალი ჯიშის შემთხვევაში წარდგენილი იყო სხვა ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოში, ხოლო მცენარის ახალი ჯიშის შემთხვევაში –

კავშირის წევრი სხვა ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოში, უნდა მიეთითოს შესაბამისი ქვეყანა, ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის დასახელება, განაცხადის ნომერი და წარდგენის თარიღი.

მუხლი 19

1. თუ „საქპატენტში“ შეტანილ განაცხადში აღწერილი ცხოველის ახალი ჯიში დაცულია ან/და გასავრცელებლად დაშვებულია სხვა ქვეყანაში, განმცხადებელი ვალდებულია განაცხადს დაურთოს შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ამსახველი ოფიციალური საბუთის დამოწმებული ასლი და მისი ქართული თარგმანი.

2. თუ „საქპატენტში“ შეტანილ განაცხადში აღწერილი მცენარის ახალი ჯიში წარდგენილი იყო კავშირის წევრ სხვა ქვეყანაში, განმცხადებელი ვალდებულია განაცხადს დაურთოს პირველი განაცხადის დამოწმებული ასლი და მისი ქართული თარგმანი.

მუხლი 20

1. განაცხადში ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის დასახელება შემოთავაზებული უნდა იქნეს სელექციონერის მიერ.

2. ცხოველის ჯიშის დასახელება უნდა მიანიშნებდეს ამ ჯიშზე, უნდა იძლეოდეს მისი ადვილად ამოცნობის საშუალებას, უნდა იყოს მოკლე, უნდა განსხვავდებოდეს იმავე ან ახლოს მდგომი ზოოლოგიური სახეობის სხვა ცხოველის ჯიშის ყველა დასახელებისაგან, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, არ უნდა შეურაცხყოფდეს რელიგიურ გრძნობებს, არ უნდა შედგებოდეს მხოლოდ ციფრებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მიღებული პრაქტიკაა, და არ უნდა იწვევდეს ცხოველის ახალი ჯიშის თვისებების, წარმოშობის, მნიშვნელობის, იდენტურობისა და სელექციონერის ვინაობის აღრევას.

3. მცენარის ჯიში აღნიშნული უნდა იყოს დასახელებით, რომელიც შემდგომ ამ ჯიშის გვარეობითი დასახელება იქნება და შესაძლებელს გახდის მის ადვილად ამოცნობას. იგი უნდა განსხვავდებოდეს იმავე ან ახლოს მდგომი ბოტანიკური სახეობის სხვა მცენარის ჯიშის ყველა დასახელებისაგან, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, არ უნდა შეურაცხყოფდეს რელიგიურ გრძნობებს, არ უნდა შედგებოდეს მხოლოდ ციფრებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მიღებული პრაქტიკაა, და არ უნდა იწვევდეს მცენარის ახალი ჯიშის თვისებების, წარმოშობის, მნიშვნელობის, იდენტურობისა და სელექციონერის ვინაობის აღრევას.

4. თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის დასახელება არ აკმაყოფილებს შესაბამისად ამ მუხლის მე–2 ან მე–3 პუნქტის მოთხოვნებს, ან თუ მესამე პირის უკვე არსებული უფლება ხელს უშლის ამ ჯიშის დასახელების გამოყენებას ამ მუხლის მე–5 პუნქტის შესაბამისად, სელექციონერი ვალდებულია შეტყობინების მიღების დღიდან 1 თვის ვადაში წარადგინოს ახალი დასახელება.

5. ნებისმიერი პირი, რომელიც საქართველოში დაცულ ცხოველის ან მცენარის ჯიშს გასაყიდად სთავაზობს ან ყიდის საქართველოს ტერიტორიაზე, ვალდებულია ამ ჯიშის დასახელება გამოიყენოს ჯიშზე სელექციონერის უფლების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგაც, გარდა

იმ შემთხვევისა, როდესაც, ამ მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, მისი უკვე არსებული უფლება ხელს უშლის ასეთ გამოყენებას.

6. თუ ცხოველის ან მცენარის ჯიში გასაყიდად არის შეთავაზებული ან იყიდება, ნებადართულია ჯიშის რეგისტრირებული დასახელების დაკავშირება სასაქონლო ნიშანთან, საფირმო სახელწოდებასთან ან სხვა მსგავს აღნიშვნასთან, იმ პირობით, რომ ცხოველის ან მცენარის ჯიშის დასახელება ადვილად ამოსაცნობი იქნება.

მუხლი 21

განაცხადი „საქპატენტში“ შეტანილად ჩაითვლება იმ დღიდან, როდესაც წარდგენილია შემდეგი მასალები:
ა) განცხადება;
ბ) ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შეთავაზებული დასახელება;
გ) ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა.

მუხლი 22

1. „საქპატენტში“ცხოველის ან/და მცენარის ერთ ახალ ჯიშზე ორი ან ორზე მეტი განაცხადის შეტანის შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭება იმ განაცხადს, რომელიც უფრო ადრე იქნა შეტანილი.

2. სელექციონერი, რომელსაც სურს ისარგებლოს ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ სხვა ქვეყანასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი პრიორიტეტით, ვალდებულია „საქპატენტში“ განაცხადი შეიტანოს ამ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანაში განაცხადის წარდგენიდან 12 თვის განმავლობაში.

3. სელექციონერი, რომელსაც სურს ისარგებლოს მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციით დადგენილი პრიორიტეტით, ვალდებულია „საქპატენტში“ განაცხადი შეიტანოს ამ კონვენციის მონაწილე ქვეყანაში განაცხადის წარდგენიდან 12 თვის განმავლობაში.

4. „საქპატენტში“ შეტანილ განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს სხვა ქვეყანაში განაცხადის წარდგენის თარიღი. განმცხადებელი ვალდებულია განაცხადის „საქპატენტში“ შეტანის დღიდან 6 თვის განმავლობაში წარადგინოს იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ დამოწმებული განაცხადის ასლი, სადაც პირველად იყო წარდგენილი განაცხადი, და მისი ქართული თარგმანი.
5. მცენარის ახალი ჯიშის შემთხვევაში სელექციონერს უფლება აქვს, პრიორიტეტის ვადის ამოწურვის დღიდან 2 წლის განმავლობაში, ხოლო თუ პირველი განაცხადი უარყოფილი ან გამოთხოვილია – ამგვარი უარყოფის ან გამოთხოვის დღიდან, განაცხადის ექსპერტიზის მიზნებისათვის „საქპატენტს“ წარუდგინოს ნებისმიერი აუცილებელი ინფორმაცია, საბუთი ან მასალა.

მუხლი 23

„საქპატენტი“ ატარებს განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რაც მოიცავს საგანაცხადო მასალების სისრულის და გაფორმების შემოწმებას, განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურების ჩათვლით.

მუხლი 24

1. „საქპატენტი“ განაცხადის შეტანის თარიღს ადასტურებს მისი შეტანის დღიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

2. განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება განაცხადის შეტანის დღიდან 1 თვის ვადაში.

3. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე–17 და 22–ე მუხლების მოთხოვნებს, ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის მსვლელობისას „საქპატენტს“ შეუძლია სელექციონერს მოსთხოვოს ხარვეზის გამოსწორება და შესაბამისი მასალის წარდგენა. სელექციონერი ვალდებულია გამოასწოროს ხარვეზი და შესაბამისი მასალა წარადგინოს შეტყობინების მიღების დღიდან 1 თვის ვადაში.

4. თუ სელექციონერი შეასრულებს ამ მუხლის მე–3 პუნქტის მოთხოვნას, მაშინ განაცხადის შეტანის თარიღად ჩაითვლება აღნიშნული მოთხოვნის შესრულების თარიღი. თუ სელექციონერი ვერ შეასრულებს ამ მოთხოვნას, განაცხადი შეტანილად არ ჩაითვლება, ხოლო საგანაცხადო მასალები დაუბრუნდება სელექციონერს.

5. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის პირობებს, განაცხადზე საქმის წარმოება წყდება, რაც ეცნობება განმცხადებელს.

მუხლი 25

1. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის პირობებს, „საქპატენტი“ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემებს აქვეყნებს ოფიციალურ ბიულეტენში და იღებს გადაწყვეტილებას ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის გამოცდის ჩასატარებლად გადაცემის თაობაზე.

2. ოფიციალურ ბიულეტენში ქვეყნდება:
ა) მონაცემები სელექციონერის შესახებ;
ბ) განაცხადის წარდგენის თარიღი;
გ) ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შეთავაზებული დასახელება;
დ) ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება.

3. ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა გამოიფინება საჯაროდ გასაცნობად.

მუხლი 26

ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება, „საქპატენტს“ წარუდგინოს წერილობითი შედავება, თუ:
ა) ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიში არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს;
ბ) ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა სრულ წარმოდგენას არ ქმნის ამ ჯიშის შეფასებისთვის;
გ) ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობაში შეტანილია ყალბი მონაცემები;
დ) განაცხადში აღწერილ ცხოველის ან მცენარის ახალ ჯიშზე ამ კანონის 22–ე მუხლის მე–2

პუნქტის თანახმად პრიორიტეტის მოთხოვნა სხვა ქვეყანაში ცხოველის ან მცენარის ამ ჯიშზე წარდგენილი განაცხადის მიხედვით საფუძველს მოკლებულია.

მუხლი 27

1. შედავების მიღებიდან 1 კვირის განმავლობაში საქპატენტი შედავების მასალებს დასკვნისთვის გადასცემს გამოცდის ჩამტარებელ პირს. შედავების მასალების ასლები გადაეცემა განმცხადებელს.

2. საქპატენტი შედავებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს გამოცდის ჩამტარებელი პირის დასკვნის საფუძველზე.

3. შედავების განხილვის პროცედურებსა და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო „საქპატენტთან“ ერთად.

საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1648 – ვებგვერდი, 14.12.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 5 ოქტომბრის კანონი №1860 – ვებგვერდი, 17.10.2022წ.

მუხლი 28

1. განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულებისა და საგანაცხადო მასალების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნების შემდეგ ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიში 2 კვირის ვადაში გადაეცემა გამოცდის ჩამტარებელ პირს ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩასატარებლად.

2. ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის გამოცდა ტარდება განსხვავებულობის, ერთგვაროვნებისა და სტაბილურობის შემოწმების გზით.

3. სელექციონერს უფლება აქვს, მოითხოვოს განაცხადის განხილვის პროცედურული ვადების გაგრძელება, ხოლო მის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში – მათი აღდგენა დადგენილი წესით.

4. სელექციონერს უფლება აქვს, განაცხადის განხილვის ნებისმიერ საფეხურზე გამოითხოვოს განაცხადი ან მოითხოვოს განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტა.

საქართველოს 2022 წლის 5 ოქტომბრის კანონი №1860 – ვებგვერდი, 17.10.2022წ.

მუხლი 29

1. საქართველოში ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე ჩატარებული გამოცდის შედეგებს აფორმებს გამოცდის ჩამტარებელი პირი და 1 თვის ვადაში გადასცემს საქპატენტს.

2. ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის გამოცდის დადებითი დასკვნის შემთხვევაში გამოცდის ჩამტარებელი პირი განმცხადებელთან ერთად ადგენს ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობას, რომელსაც დასკვნასთან ერთად გადასცემს „საქპატენტს“.

3. გამოცდის შედეგების შესახებ მონაცემები განმცხადებლის კომერციული საიდუმლოებაა;

„საქპატენტთან“ და განმცხადებელთან შეუთანხმებლად მათი სხვა პირისათვის გადაცემა ითვლება დარღვევად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს 2022 წლის 5 ოქტომბრის კანონი №1860 – ვებგვერდი, 17.10.2022წ.

მუხლი 30

1. ცხოველის/მცენარის ახალი ჯიშის გამოცდის დადებითი დასკვნის შემთხვევაში „საქპატენტი“ იღებს გადაწყვეტილებას ცხოველის/მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციის შესახებ. ცხოველის/მცენარის ახალი ჯიშის დასახელება, აღწერილობა და სხვა მონაცემები „საქპატენტს“ შეაქვს ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების რეესტრში და გასცემს მოწმობას, რომელიც სელექციონერის განსაკუთრებული უფლების მფლობელის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტია.

2. ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების რეესტრში შეიტანება:
   ა) ახალი ჯიშის გვარი და სახეობა;
   ბ) ახალი ჯიშის დასახელება;
   გ) ახალი ჯიშის აღწერილობა და ფოტოგამოსახულება;
   დ) სელექციონერის სახელი და მისამართი;
   ე) რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.

3. ცხოველის/მცენარის ახალ ჯიშზე გაცემული მოწმობის ფორმას ადგენს „საქპატენტი“.

4. „საქპატენტი“ ოფიციალურ ბიულეტენში აქვეყნებს: ცხოველის/მცენარის ახალი ჯიშის გვარსა და სახეობას, ცხოველის/მცენარის ახალი ჯიშის დასახელებას, ცხოველის/მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობასა და ფოტოგამოსახულებას, სელექციონერის სახელსა და მისამართს, რეგისტრაციის ნომერსა და თარიღს.

5. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, დადგენილი წესით გაეცნოს ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების რეესტრს.

მუხლი 31

1. თუ „საქპატენტში“ შეტანილი განაცხადი ეხება ჯიშს, რომელიც სელექციონერის უფლებით დაცულია სხვა ქვეყანაში, ცხოველის ეს ჯიში საქართველოს ტერიტორიაზე განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდას არ ექვემდებარება. ასეთ ჯიშზე შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, სელექციონერის უფლების დამადასტურებელი ოფიციალური საბუთის დამოწმებული ასლი და მისი ქართული თარგმანი წარედგინება „საქპატენტს“ განაცხადთან ერთად ან განაცხადის შეტანის დღიდან 2 თვის ვადაში. ასეთ განაცხადზე ტარდება მხოლოდ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა.

2. თუ „საქპატენტში“ შეტანილი განაცხადი ეხება ჯიშს, რომელიც სელექციონერის უფლებით დაცულია კავშირის წევრ სხვა ქვეყანაში, მცენარის ეს ჯიში საქართველოს ტერიტორიაზე განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდას არ ექვემდებარება. ასეთ ჯიშზე შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, სელექციონერის

უფლების დამადასტურებელი ოფიციალური საბუთის დამოწმებული ასლი და მისი ქართული თარგმანი წარედგინება „საქპატენტს“ განაცხადთან ერთად ან განაცხადის შეტანის დღიდან 2 თვის ვადაში. ასეთ განაცხადზე ტარდება მხოლოდ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა.

3. თუ საქპატენტში შეტანილი განაცხადი ეხება ჯიშს, რომლის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდა უკვე ჩაატარა გამოცდის ჩამტარებელმა პირმა და გასცა დადებითი დასკვნა, ამ განაცხადზე ტარდება მხოლოდ ჯიშის სიახლესა და დასახელებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა.

4. თუ ამ მუხლის პირველ–მე-3 პუნქტებში მითითებული განაცხადები აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის პირობებს, „საქპატენტი“ იღებს გადაწყვეტილებას ცხოველის/მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციის შესახებ, მონაცემები შეაქვს ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების რეესტრში, გასცემს მოწმობას და რეგისტრაციის მონაცემებს აქვეყნებს შესაბამის ოფიციალურ ბიულეტენში.

საქართველოს 2022 წლის 5 ოქტომბრის კანონი №1860 – ვებგვერდი, 17.10.2022წ.

მუხლი 32

ამ კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნების დღიდან რეგისტრაციის დღემდე განმცხადებელს დროებით ენიჭება სელექციონერის იგივე უფლებები, რომლებიც მას მიენიჭებოდა რეგისტრაციის შემთხვევაში. თუ მესამე პირმა ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების გამოქვეყნების დღიდან რეგისტრაციის დღემდე განახორციელა ისეთი ქმედებები, რომლებიც საჭიროებს სელექციონერის თანხმობას, სელექციონერს უფლება აქვს, მოითხოვოს სამართლიანი ანაზღაურება მხოლოდ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციის შემდეგ.

თავი V
სელექციონერის განსაკუთრებული უფლების მფლობელის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 33

1. სელექციონერის განსაკუთრებული უფლება არის უფლება, თავად განახორციელოს, ნება დართოს ან/და აკრძალოს ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის:

ა) წარმოება და კვლავწარმოება (მცენარის ახალი ჯიშის შემთხვევაში)/აღწარმოება (ცხოველის ახალი ჯიშის შემთხვევაში);

ბ) გამრავლების მიზნით კონდიციამდე დაყვანა (მცენარის ახალი ჯიშის შემთხვევაში);

გ) გასაყიდად შეთავაზება, გასხვისება ან უფლებების სხვა სახით გადაცემა;

დ) ექსპორტი;

ე) იმპორტი;

ვ) გასამრავლებელი მასალის შენახვა ამ პუნქტის „ა“–„ე“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი მიზნებისათვის (მცენარის ახალი ჯიშის შემთხვევაში);

ზ) სანაშენე მასალის შენახვა ამ პუნქტის „ა“ და „გ“–„ე“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი მიზნებისათვის (ცხოველის ახალი ჯიშის შემთხვევაში).

2. სელექციონერს შეუძლია გარკვეული პირობებითა და შეზღუდვებით გასცეს ნებართვა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ქმედებებზე.

3. სელექციონერის განსაკუთრებული უფლება ვრცელდება აგრეთვე მოწმობით დაცული ცხოველის ჯიშისაგან სხვა პირის მიერ მიღებულ სანაშენე მასალაზე, ამ მასალიდან მიღებულ ცხოველზე და ამ ცხოველიდან მიღებულ პროდუქტზე.

4. ამ კანონის 37-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ქმედებები მოსავალთან დაკავშირებით, მთელი მცენარისა და მისი ნაწილების ჩათვლით, რომელიც მიღებულია მოწმობით დაცული ჯიშის გასამრავლებელი მასალის უნებართვოდ გამოყენების შედეგად, საჭიროებს სელექციონერის ნებართვას, თუ სელექციონერს არ ჰქონდა შესაძლებლობა, განეხორციელებინა თავისი განსაკუთრებული უფლება აღნიშნულ გასამრავლებელ მასალასთან დაკავშირებით.

5. სელექციონერის განსაკუთრებული უფლება ვრცელდება აგრეთვე:

ა) მცენარის ჯიშზე, რომელიც არსებითად წარმოებულია მოწმობით დაცული მცენარის ჯიშისაგან, თუ ეს დაცული მცენარის ჯიში თვითონ არ არის არსებითად წარმოებული ჯიში;

ბ) მცენარის ჯიშზე, რომელიც, ამ კანონის მე-13 მუხლის თანახმად, ნათლად არ განირჩევა მოწმობით დაცული მცენარის ჯიშისაგან;

გ) მცენარის ჯიშზე, რომლის წარმოებაც მოითხოვს მოწმობით დაცული მცენარის ჯიშის განმეორებით გამოყენებას.

მუხლი 34

ცხოველის ჯიში ითვლება სხვა ცხოველის ჯიშისაგან გამოყვანილად, თუ:

ა) იგი გამოყვანილია საწყისი ჯიშისაგან ან იმ ჯიშისაგან, რომელიც თვითონ არის

გამოყვანილი საწყისი ჯიშისაგან, და თუ ცხოველთა ამ ჯიშებში ნათლად არის გამოხატული საწყისი ჯიშის გენოტიპის ან გენოტიპების კომბინაციისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები; ამასთანავე, იგი საწყისი ჯიშისაგან ნათლად განსხვავდება ერთი ან რამდენიმე ნიშან-თვისებით, რომელიც (რომლებიც) ექვემდებარება აღწერას;

ბ) მასში, გარდა გამრავლების პროცესისათვის დამახასიათებელი ცვალებადობისა, სრულად არის გამოხატული საწყისი ჯიშის გენოტიპის ან გენოტიპების კომბინაციისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები.

მუხლი 35

1. მცენარის ჯიში ითვლება სხვა მცენარის ჯიშისაგან არსებითად წარმოებულად, თუ იგი:

ა) უპირატესად წარმოებულია საწყისი ჯიშისაგან ან იმ ჯიშისაგან, რომელიც თვითონ არის წარმოებული საწყისი ჯიშისაგან და ინარჩუნებს არსებითი ნიშნების გამოხატულებას, რაც საწყისი ჯიშის გენოტიპის ან გენოტიპების კომბინაციის შედეგია;

ბ) საწყისი ჯიშისაგან განსხვავდება გარეგნული ნიშნებით, გარდა გამრავლების პროცესისათვის დამახასიათებელი განსხვავებებისა, და საწყის ჯიშს შეესაბამება ძირითადი ნიშნების გამოვლენით, რაც საწყისი ჯიშის გენოტიპის ან გენოტიპების კომბინაციის შედეგია.

2. არსებითად წარმოებული ჯიში შეიძლება მიღებულ იქნეს: ბუნებრივი ან ინდუცირებული მუტანტის ან თვითკლონური ვარიანტის გამორჩევით, ან მცენარის გამორჩევით საწყისი ჯიშის მცენარისგან, უკუშეჯვარებით ან გენური ინჟინერიით გარდაქმნის მეთოდით.

მუხლი 36

ცხოველის ახალი ჯიშის სელექციონერის განსაკუთრებული უფლება არ ვრცელდება:

ა) ცხოველის ახალი ჯიშის პირადი მოხმარებისთვის და არაკომერციული მიზნით განხორციელებულ ქმედებებზე;

ბ) ექსპერიმენტულ-სასელექციო მიზნით განხორციელებულ ქმედებაზე.

მუხლი 37

1. მცენარის ახალი ჯიშის სელექციონერის განსაკუთრებული უფლება არ ვრცელდება:

ა) მცენარის ახალი ჯიშის პირადი მოხმარებისთვის და არაკომერციული მიზნით გამოყენებაზე;

ბ) ექსპერიმენტული მიზნით განხორციელებულ ქმედებაზე;

გ) სხვა ჯიშების შექმნის მიზნით განხორციელებულ ქმედებაზე, გარდა ამ კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აგრეთვე იმ ქმედებებზე, რომლებიც განსაზღვრულია იმავე მუხლის პირველი–მე-3 პუნქტებით.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლება აქვს, სელექციონერის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, გონივრულ ფარგლებში შეზღუდოს სელექციონერის უფლება ნებისმიერ ჯიშთან დაკავშირებით, რათა ნება დართოს ფერმერებს, საკუთარ მიწის ნაკვეთში გამრავლების მიზნით გამოიყენონ გასამრავლებელი მასალა, რომელიც მიღებულია მათ მიერ საკუთარ მიწის ნაკვეთში მოწმობით დაცული ჯიშის მოყვანის შედეგად, ან იმ ჯიშთან დაკავშირებით, რომელზედაც ვრცელდება ამ კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტი ან ამ მუხლის პირველი პუნქტი.

საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1648 – ვებგვერდი, 14.12.2017წ.

მუხლი 38

1. მცენარის ახალი ჯიშის სელექციონერის განსაკუთრებული უფლება არ ვრცელდება მოწმობით დაცული ჯიშის ნებისმიერ მასალასთან ან მისგან წარმოებულ ნებისმიერ მასალასთან დაკავშირებულ ქმედებებზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვაში ჩართულია სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით, თუ ეს ქმედებები არ უკავშირდება:

ა) მოწმობით დაცული ჯიშის შემდგომ გამრავლებას;

ბ) მოწმობით დაცული ჯიშის მცენარეული მასალის, რომლისგანაც შესაძლებელია მცენარის ამ ჯიშის გამრავლება, ექსპორტს იმ ქვეყანაში, სადაც ამ გვარისა და სახეობისთვის მიკუთვნებული ჯიშის დაცვა არ ხდება, გარდა საბოლოო სახით მოხმარების მიზნით ექსპორტის შემთხვევისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის „მასალა“ ჯიშთან დაკავშირებით ნიშნავს:

ა) ნებისმიერი სახის გასამრავლებელ მასალას;

ბ) აღებულ მოსავალს, მთელი მცენარისა და მისი ნაწილების ჩათვლით;

გ) აღებული მოსავლისაგან მიღებულ ნებისმიერ პროდუქტს.

მუხლი 39

სელექციონერი ვალდებულია განსაკუთრებული უფლების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს შესაბამისად ცხოველის ჯიშის სანაშენე მასალის ან მცენარის ჯიშის გასამრავლებელი მასალის მიღება, რომლისგანაც შესაძლებელია ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობაში მითითებული ნიშნების მქონე ცხოველის ან მცენარის ჯიშის წარმოება.

თავი VI
ცხოველის და მცენარის ახალი ჯიშების რეგისტრაციისა და მოწმობების ბათილობა და ძალადაკარგულად ცნობა

მუხლი 40

დაინტერესებული პირის მოთხოვნით ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაცია და მოწმობა შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი რეგისტრაციის დღიდან, თუ დადგინდა, რომ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს:

ა) ცხოველის ან მცენარის ჯიში არ აკმაყოფილებდა ამ კანონის მე-12 და მე-13 მუხლების მოთხოვნებს;

ბ) სელექციონერის უფლების მინიჭება დაფუძნებული იყო სელექციონერის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და დოკუმენტებზე, ამასთანავე, სელექციონერის უფლების მინიჭების დროს არ იყო დაკმაყოფილებული ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშისთვის შესაბამისად ამ კანონის მე-14 ან მე-15 მუხლით დადგენილი პირობები;

გ) სელექციონერის უფლება მიენიჭა იმ პირს, რომელსაც არ ჰქონდა ამის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან ეს უფლება გადასცა იმ პირს, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით ეკუთვნოდა სელექციონერის უფლების მინიჭება.

მუხლი 41

1. დაინტერესებული პირის მოთხოვნით ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაცია და მოწმობა შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დღიდან, თუ დადგინდა, რომ:

ა) ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიში აღარ აკმაყოფილებს ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშისთვის შესაბამისად ამ კანონის მე-14 ან მე-15 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნით, დადგენილ ვადაში სელექციონერმა არ წარადგინა ცნობები, საბუთები ან მასალები, რომლებიც აუცილებელია ჯიშის შენარჩუნების შემოწმებისათვის ამ კანონის 39-ე მუხლის საფუძველზე;

გ) სელექციონერმა არ დააკმაყოფილა უფლებების შენარჩუნებისათვის დადგენილი მოთხოვნები;

დ) იმ შემთხვევაში, თუ ცხოველის ან მცენარის ჯიშის დასახელება გაუქმდა სელექციონერის უფლების მინიჭების შემდეგ, სელექციონერის მიერ არ იქნა შეთავაზებული სხვა, შესაბამისი დასახელება.

2. ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაცია და მოწმობა შეიძლება ძალადაკარგულად ან ბათილად იქნეს ცნობილი სელექციონერის მიერ „საქპატენტში“ წერილობითი მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე.

3. მონაცემები ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობის შესახებ „საქპატენტს“ შეაქვს ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების რეესტრში და ამის თაობაზე ცნობას აქვეყნებს შესაბამის ოფიციალურ ბიულეტენში.

საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1648 – ვებგვერდი, 14.12.2017წ.

მუხლი 42

„საქპატენტისათვის“ წერილობითი მიმართვის საფუძველზე სელექციონერს ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციის მოქმედების პერიოდში უფლება აქვს, რეგისტრირებულ მონაცემებში შეიტანოს ცვლილება ან დამატება მხოლოდ სელექციონერის ან მისი წარმომადგენლის მისამართთან დაკავშირებით.

თავი VII
ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის გამოყენების ლიცენზია

მუხლი 43

1. ლიცენზიარს (სელექციონერს) უფლება აქვს, სხვა პირზე (ლიცენზიატზე) გასცეს რეგისტრირებული ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის გამოყენების ლიცენზია.

2. ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის გამოყენების ლიცენზიის გაცემა დასაშვებია საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებულ ცხოველის ან მცენარის ახალ ჯიშზე.

3. ლიცენზია შეიძლება იყოს მარტივი ან განსაკუთრებული.

4. მარტივი ლიცენზიის ხელშეკრულებით ლიცენზიარი გადასცემს ლიცენზიატს ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის გამოყენების უფლებას. ამასთანავე, ლიცენზიარი ინარჩუნებს ყველა განსაკუთრებულ უფლებას და უფლებას, დადოს სხვა მარტივი სალიცენზიო ხელშეკრულებები.

5. განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით ლიცენზიარი მხოლოდ ლიცენზიატს გადასცემს ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის გამოყენების უფლებას. ამასთანავე, ლიცენზიარი განსაკუთრებული სალიცენზიო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში თავად კარგავს ამ ხელშეკრულებით გადაცემულ განსაკუთრებულ უფლებებს და უფლებას, დადოს სხვა სალიცენზიო ხელშეკრულებები.

6. სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს წერილობით და უნდა ითვალისწინებდეს: ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ ზუსტ მონაცემებს, ჯიშის გამოყენების სახეებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და ტერიტორიას, ანაზღაურების ოდენობას ან ოდენობის განსაზღვრის წესსა და ვადას, აგრეთვე სხვა პირობებს, რომლებსაც მხარეები არსებითად მიიჩნევენ.

7. ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის ყველა იმ სახით გამოყენების უფლება, რომლებიც სალიცენზიო ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ეკუთვნის ლიცენზიარს.

8. ლიცენზიატს ეკრძალება სალიცენზიო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა ან ქველიცენზიის გაცემა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სალიცენზიო ხელშეკრულებით.

მუხლი 44

1. იძულებითი ლიცენზიის გაცემა შესაძლებელია ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მხოლოდ საჯარო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

2. ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შემთხვევაში იძულებითი ლიცენზია გაიცემა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული მეცხოველეობისა და მეთესლეობის ეროვნული საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაწყვეტილებით.

3. იძულებითი ლიცენზია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი მანამდე ცდილობდა სელექციონერისაგან ლიცენზიის მიღებას გონივრული პირობებითა და გონივრულ ვადებში, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა.

4. იძულებითი ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებით დგინდება ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის გამოყენების ფარგლები, იძულებითი ლიცენზიის მოქმედების ვადა, სელექციონერისა და ლიცენზიატის უფლება-მოვალეობანი და ანაზღაურების ოდენობა. იძულებითი ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება ფორმდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით.

5. იძულებითი სალიცენზიო ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდება, თუ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდება, რომ სალიცენზიო ხელშეკრულების პირობები სრულდება და არსებობს ამის აუცილებლობა.

6. თუ იძულებითი ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ჩატარებული შემოწმებით დადგინდება, რომ აღარ არსებობს იძულებითი ლიცენზიის მოქმედების საფუძვლები, იძულებითი ლიცენზიის მოქმედება წყდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით.

7. იძულებითი ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში სელექციონერმა უნდა მიიღოს სამართლიანი ანაზღაურება.

საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1648 – ვებგვერდი, 14.12.2017წ.

თავი VIII
სელექციონერის უფლებების დარღვევა და პასუხისმგებლობა

მუხლი 45

ამ კანონის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის გამოყენება მესამე პირის მიერ ითვლება სელექციონერის უფლებების დარღვევად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი IX
(ამოღებულია)

საქართველოს 2022 წლის 5 ოქტომბრის კანონი №1860 – ვებგვერდი, 17.10.2022წ.

მუხლი 46. (ამოღებულია)

საქართველოს 2022 წლის 5 ოქტომბრის კანონი №1860 – ვებგვერდი, 17.10.2022წ.

თავი X
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 47

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან „საქპატენტთან“ ერთად ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში მოამზადოს და დაამტკიცოს:

ა) ცხოველის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირის შედავების განხილვის წესი, განაცხადის განხილვის, პროცედურული ვადების გაგრძელების, შეწყვეტისა და აღდგენის წესი და იძულებითი ლიცენზიის გაცემის წესი;

ბ) მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირის შედავების განხილვის წესი, განაცხადის განხილვის, პროცედურული ვადების გაგრძელების, შეწყვეტისა და აღდგენის წესი და იძულებითი ლიცენზიის გაცემის წესი.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე ცხოველის ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების დამტკიცება საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე მცენარის ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების დამტკიცება საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

4. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს ამ კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე მუდმივმოქმედი საექსპერტო საბჭოს ჩამოყალიბება და მისი დებულების დამტკიცება.

5. 2011 წლის 1 მარტამდე მიღებულ იქნეს საქართველოს მთავრობის დადგენილება „თესლისა და სარგავი მასალის საქართველოში გავრცელების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“.

6. საქართველოს მთავრობამ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარდგინებით 2022 წლის 31 დეკემბრამდე დადგენილებით დაამტკიცოს:

ა) ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესი;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების საფასურის ოდენობა.

საქართველოს 2022 წლის 5 ოქტომბრის კანონი №1860 – ვებგვერდი, 17.10.2022წ.

მუხლი 48

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი „ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №4, 12.01.2007, მუხ. 60);

ბ) საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №4, 12.01.2007, მუხ. 61);

გ) საქართველოს 1996 წლის 5 სექტემბრის კანონი „სანაშენე მეცხოველეობის შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი, №22–23, 17 ოქტომბერი, 1996, გვ. 43);

დ) საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის კანონი „სასოფლო–სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №29(36), 1999 წელი, მუხ. 157).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კანონთან მათ შესაბამისობამდე.

მუხლი 49

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
მ. სააკაშვილი

თბილისი, 2010 წლის 15 დეკემბერი
№4066-რს

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის
2007 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №2–132

მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირების შედავებების განხილვის წესი, განაცხადის განხილვის, პროცედურული ვადების გაგრძელების, შეწყვეტისა და აღდგენის წესი და იძულებითი ლიცენზიის გაცემის წესი

თავი I
განაცხადი მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის მიღების მოთხოვნის მიზნით

მუხლი 1. განაცხადი

1. მცენარის ახალი ჯიშის განაცხადის წარდგენა სელექციონერის უფლების მინიჭებისათვის ხდება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტში (შემდგომში – საქპატენტი). საგანაცხადო მასალა საქპატენტში შეტანილი უნდა იქნეს მატერიალური ფორმით ან ელექტრონულად – საქპატენტის ელექტრონული სისტემის გამოყენებით. საგანაცხადო მასალების მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში მას თან უნდა დაერთოს საგანაცხადო მასალები ელექტრონული სახით, მონაცემთა ელექტრონული მატარებლის გამოყენებით (მაგ., CD–ROM დისკი). ელექტრონული სახით ქართულ ენაზე წარმოდგენილი საგანაცხადო მასალები შედგენილი უნდა იყოს .doc ფორმატში, Sylfaen შიფტით.

1[1]. მცენარის ახალი ჯიშის განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ასევე მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირის (UPOV) ელექტრონული სისტემის – UPOV PRISMA–ს გამოყენებით.

2. განაცხადი უნდა შეიცავდეს:
   ა) განცხადებას, რომელშიც მითითებულია სელექციონერის სახელი და მისამართი;
   ბ) მცენარის ახალი ჯიშის შეთავაზებულ დასახელებას;
   გ) მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობას, ძირითად ზოოლოგიურ, კონსტიტუციურ–ექსტერიერულ ნიშან თვისებებს და სამეურნეო დახასიათებას;
   დ) მცენარის ახალი ჯიშის ფოტოგამოსახულებას;
   ე) სელექციონერის წერილობით ვალდებულებას, „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის მიხედვით აკრედიტებულ პირს დადგენილ ვადაში, დადგენილი ოდენობით, უსასყიდლოდ მიაწოდოს მცენარის ჯიშის სანაშენე მასალის ნიმუში;
   ვ) იმ თარიღის მითითებას, როდესაც ჯიშის სანაშენე ცხოველი ან სანაშენე მასალა ჯიშის გამოყენების მიზნით გაიყიდა ან სხვაგვარად გადაეცა სხვა პირს სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით.

3. თუგანაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მეშვეობით, საგანაცხადო მასალებს განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა დაერთოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი.

4. თუ განაცხადი შეტანილია უფლებამონაცვლის მიერ, საგანაცხადო მასალებს განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა დაერთოს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №2-21 — ვებგვერდი, 25.02.2011წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 8 ივლისის ბრძანება №2-647 — ვებგვერდი, 09.07.2019წ.

მუხლი 2. განცხადება

1. განცხადება უნდა იყოს გაფორმებული „საქპატენტის“ მიერ დადგენილი ფორმით.

2. განცხადებაში აღინიშნება:
   ა) სელექციონერის სახელი და მისამართი;
   ბ) მცენარის ახალი ჯიშის სელექციონერის მიერ შეთავაზებული დასახელება;
   გ) მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობას ძირითად მორფოლოგიურ-ბიოლოგიური და ბოტანიკური ნიშან- თვისებებს;
   დ) სელექციონერის წერილობითი ვალდებულება, მიაწოდოს „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით მითითებულ პირს მცენარის ჯიშის გასამრავლებელი მასალის ნიმუში დადგენილ ვადაში და დადგენილი ოდენობით, უსასყიდლოდ;
   ე) თარიღი, როდესაც მცენარის ჯიშის გასამრავლებელი მასალა გამოყენების მიზნით გაიყიდა ან სხვაგვარად გადაეცა სხვა პირს სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით.

3. უცხოური მცენარის ჯიშის დასახელება იწერება სელექციონერის ენაზე ქართული ტრანსფკრიპციით. ბოტანიკური ცნებები იწერება ლათინურად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №2-21 — ვებგვერდი, 25.02.2011წ.

მუხლი 3. მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა

1. მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
   ა) მცენარის ჯიშის გვარს, სახეობასა და დასახელებას (ქართულად და ლათინურად);
   ბ) სელექციონერის სახელს (სახელწოდებას) და მისამართს;
   გ) მცენარის ჯიშის შეთავაზებულ დასახელებას;
   დ) მცენარის ჯიშის წარმომავლობას, გამოყვანის, გამოვლენისა და გაუმჯობესების მეთოდის მითითებით და საწყის (მშობელი) ფორმებს;
   ე) მცენარის ჯიშის შენარჩუნებისა და გამრავლების თავისებურებებს;
   ვ) მცენარის ჯიშის განმასხვავებელ და დამახასიათებელ ნიშნებს;
   ზ) მსგავსი მცენარის ჯიშების დასახელებებს და ნიშნებს, რითაც ისინი განსხვავდებიან მცენარის ახალი ჯიშისაგან;
   თ) მცენარის ჯიშის გამოცდისათვის საჭირო განსაკუთრებული პირობების აღწერას (თუ ეს აუცილებელია);

ი) მრავალხაზიანი მცენარის ჯიშის ან პოპულაციის (თვითდამამტვერიანებელი და ვეგეტატიურად გასამრავლებელი მცენარეები) შემთხვევაში, ამ ჯიშის ყველა ხაზზე ცალკე მცენარის ჯიშის აღწერილობას, პროცენტული თანაფარდობის აღნიშვნით.

2. მცენარის ჯიშის აღწერილობას ხელს აწერს სელექციონერი.

მუხლი 4. ფოტოგამოსახულება

განაცხადს უნდა ჰქონდეს თანდართული მცენარის ახალი ჯიშის დამოწმებული ფერადი ფოტოგამოსახულება ზომით 9X12 სმ ან 13X18 სმ, ორ ეგზემპლარად, თეთრ ფონზე, მასშტაბიან სახაზავთან ერთად, აუცილებლობისას უნდა იქნეს წარმოდგენილი ყვავილების ფერადი ფოტოგამოსახულება – კოკორი, ყვავილი (ზედხედში, გვერდხედში, ქვედა მხრიდან), ყვავილედი, მცენარის რეპროდუქტიული ნაწილების (თავთავები, ტარო, საგველა, თესლი, ნაყოფი, კენკრა, ბოლქვი, ძირხვენა და სხვა), აგრეთვე სამეურნეო განვითარების ფაზაში ნორმალურად განვითარებული მცენარე; მრავალწლიანი ხე–მცენარეებისათვის მთლიანი ხე ან ბუჩქი და მისი ცალკეული ნაწილი (ერთწლიანი ნერგი, მსხმოიარე ორგანოები, რტო, ფოთოლი, მტევანი და სხვ.).

მუხლი 5. მცენარის ახალი ჯიშის დასახელება

1. მცენარის ახალი ჯიშის დასახელება, რომელიც მიეთითება განცხადებაში, უნდა იყოს შეთავაზებული სელექციონერის მიერ.
2. თუ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი მცენარის ახალი ჯიში „საქპატენტში“ განაცხადის შეტანამდე რეგისტრირებულია „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ“ კონვენციის (შემგომში – UPOV–ის კონვენცია) მონაწილე სახელმწიფოში ან იმავე ჯიშის სარეგისტრაციო განაცხადი წარდგენილია UPOV–ის კონვენციის წევრ რომელიმე სახელმწიფოში, „საქპატენტში“ განაცხადის წარდგენისას სელექციონერი ვალდებულია მიუთითოს მცენარის ახალი ჯიშისათვის იგივე დასახელება, განაცხადის ნომერი და წარდგენის თარიღი, რომელიც მიუთითა UPOV–ის კონვენციის წევრ სახელმწიფოში წარდგენილ განაცხადში.
3. თუ ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული დასახელება შეუთავსებელია საქართველოს კანონმდებლობასთან ან ამ მუხლის მე–4 პუნქტის მოთხოვნებთან, „საქპატენტი“ მოსთხოვს სელექციონერს მცენარის ახალი ჯიშისათვის სხვა დასახელების მითითებას.
4. მცენარის ახალი ჯიშის დასახელება შემდგომში წარმოადგენს ამ ჯიშის გვარეობით დასახელებას და შესაძლებელს გახდის მის ადვილად ამოცნობას. იგი უნდა განსხვავდებოდეს იმავე ან ახლოს მდგომი ბოტანიკური სახეობის მცენარის სხვა ჯიშის ყველა დასახელებისაგან, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და არ უნდა შეურაცხყოფდეს რელიგიურ გრძნობებს, არ უნდა შედგებოდეს მხოლოდ ციფრებისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მიღებული პრაქტიკაა, და არ უნდა გამოიწვიოს მცენარის ახალი ჯიშის თვისებების, წარმოშობის, მნიშვნელობის, იდენტურობის ან სელექციო– ნერის ვინაობის აღრევა.

მუხლი 6. განაცხადის წარდგენა

1. სელექციონერი განაცხადს მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის მიღების

მოთხოვნით წარადგენს „საქპატენტში“.

2. „საქპატენტი“ საგანაცხადო მასალების მიღებას ადასტურებს მის მიერ შემუშავებული ფორმის საკანცელარიო ცნობის გაცემით.
3. განაცხადი შეიძლება წარდგენილ იქნეს წარმომადგენლის მეშვეობით.
4. განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სხვა საგანაცხადო მასალა შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ნებისმიერ ენაზე. საგანაცხადო მასალის უცხო ენაზე წარდგენის შემთხვევაში სელექციონერმა 3 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
5. განცხადება, მცენარის ჯიშის აღწერილობა და ფოტოგამოსახულება „საქპატენტში“ შეტანილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად. სხვა საგანაცხადო საბუთები შეტანილი უნდა იყოს ერთ ეგზემპლარად.
6. განაცხადი „საქპატენტში“ შეტანილად ჩაითვლება იმ დღიდან, როდესაც წარდგენილია შემდეგი მასალები:
   ა) განცხადება, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული მცენარის ახალი ჯიშის დასახელება;
   ბ) მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა.

მუხლი 7. სხვა ქვეყანაში ადრე შეტანილი განაცხადის „საქპატენტში“ წარდგენა

1. თუ სელექციონერს სურს ისარგებლოს UPOV–ის კონვენციით დადგენილი პრიორიტეტით, იგი ვალდებულია „საქპატენტში“ განაცხადი წარადგინოს UPOV–ის კონვენციის მონაწილე ქვეყანაში პირველი განაცხადის შეტანის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარდგენილ განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს სხვა ქვეყანაში განაცხადის შეტანის თარიღი. განმცხადებელი ვალდებულია განაცხადის „საქპატენტში“ შეტანის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში წარადგინოს იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ დამოწმებული განაცხადის ასლი, სადაც პირველად იყო წარდგენილი განაცხადი და მისი ქართული თარგმანი. აღნიშნული ასლის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი „საქპატენტს“ წარედგინება არა უგვიანეს ორი თვისა მისი უცხო ენაზე მიწოდების დღიდან.

მუხლი 8. განაცხადის ფორმალური მოთხოვნის ექსპერტიზა

1. „საქპატენტი“ ატარებს განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რაც მოიცავს საგანაცხადო მასალების სისრულის და გაფორმების შემოწმებას, განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურების ჩათვლით.
2. განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში.
3. თუ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის პროცესში სელექციონერს მიეცა ვადა ამ წესით გათვალისწინებული განაცხადის ხარვეზის გამოსასწორებლად, ხარვეზის გამოსასწორებელი ვადის განმავლობაში ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი ვადის დინება ჩერდება.
4. თუ განაცხადს, რომელსაც დაუდასტურდა შეტანის თარიღი, აკლია უფლებამონაცვლეობის

ანწარმომადგენლობისდამადასტურებელისაბუთი, სელექციონერსეგზავნება შეტყობინება-მოთხოვნა ხარვეზის ერთი თვის ვადაში გამოსწორების თაობაზე. თუ განმცახდებელი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, განაცხადზე საქმისწარმოება შეწყდება.

5. თუ პრიორიტეტად მოთხოვნილია UPOV-ის კონვენციის წევრ სხვა ქვეყანაში განაცახდის შეტანის თარიღი, ხოლო განაცხადს აკლია ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბუთი, მაშინ სელექციონერს ეგზავნება შეტყობინება-მოთხოვნა ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოსწორების თაობაზე. თუ სელექციონერი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, განაცხადზე საქმისწარმოება შეწყდება.
6. თუ განაცხადს აკლია ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბუთის ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი, მაშინ სელექციონერს ეგზავნება შეტყობინება-მოთხოვნა 3 თვეში ხარვეზის გამოსწორების თაობაზე. თუ სელექციონერი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, განაცხადზე საქმისწარმოება შეწყდება.
7. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის მოთხოვნებს, განაცხადს ენიჭება ნომერი და უდგინდება პრიორიტეტი.
8. თუ შესრულებულია ამ წესის მე-6 მუხლის მოთხოვნები, სელექციონერს ეგზავნება განცხადების ასლი შევსებული მონაცემებით, ხოლო მასალები გადაეცემა გამოსაქვეყნებლად.
9. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში „საქპატენტი“ ატარებს განაცხადზე სიახლის ექსპერტიზას. სიახლის ექსპერტიზისას მოწმდება, გასულია თუ არა ერთი წელი განცხადებული ჯიშის გასამრავლებელი მასალის სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით განაცხადში მითითებული პირველი გასხვისების თარიღიდან განაცხადის „საქპატენტში“ შეტანამდე.

მუხლი 9. განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურება

1. „საქპატენტი“ განაცხადის შეტანის თარიღს ადასტურებს განაცხადის შეტანიდან 2 დღის ვადაში, თუ წარდგენილია ამ წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საბუთები.

2. თუ საგანაცხადო მასალებს აკლია აღწერილობა ან განცხადება, განაცხადს შეტანის თარიღი არ უდასტურდება და, თუ სელექციონერის ვინაობა და მიმოწერის მისამართი ცნობილია, სელექციონერს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის გამოსწორების შესახებ. შეტყობინების მიღების დღიდან თუ სელექციონერი ხარვეზს გამოასწორებს ერთი თვის ვადაში, განაცხადს შეტანის თარიღად უდასტურდება მოთხოვნილი საბუთების სრულად წარდგენის თარიღი.

3. თუ სელექციონერი ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას არ შეასრულებს, განაცხადი შეტანილად არ ჩაითვლება და მასალები უკან დაუბრუნდება სელექციონერს.

მუხლი 10. გამოქვეყნება

1. „საქპატენტი“ მცენარის ახალი ჯიშის განაცხადის შესახებ მონაცემებს აქვეყნებს ოფიციალურ ბიულეტენში.
2. ოფიციალურ ბიულეტენში ქვეყნდება:
   ა) მონაცემები სელექციონერის შესახებ;
   ბ) განაცხადის წარდგენის თარიღი;
   გ) მცენარის ახალი ჯიშის შეთავაზებული დასახელება;
   დ) მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება, ხოლო აღწერილობა გამოიფინება საჯაროდ გასაცნობად.

3. გამოქვეყნების შემდეგ მასალები ორი კვირის ვადაში გადაეცემა გამოცდის ჩასატარებლად „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ აკრედიტებულ პირს.

4. „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული აკრედიტებული პირი ატარებს მცენარის ახალი ჯიშის გამოცდას განსხვავებულობაზე, ერთგავროვნებასა და სტაბილურობაზე.

5. ამ მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდა ტარდება განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების შესახებ UPOV–ის წესების საფუძველზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №2–21 — ვებგვერდი, 25.02.2011წ.

მუხლი 11. მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაცია

1. მცენარის ახალი ჯიშის გამოცდის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ „საქპატენტს“ გამოაქვს გადაწყვეტილება მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემის თაობაზე.

2. მცენარეთა ახალი ჯიშების რეესტრში შეიტანება:
   ა) მცენარის ახალი ჯიშის გვარი და სახეობა;
   ბ) მცენარის ახალი ჯიშის დასახელება;
   გ) მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა და ფოტოგამოსახულება;
   დ) სელექციონერის სახელი (დასახელება) და მისამართი;
   ე) რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.

3. რეესტრში მონაცემების შეტანის შემდეგ გაიცემა მოწმობა, რომლის ფორმასაც ადგენს „საქპატენტი“, ხოლო მონაცემები ქვეყნდება ოფიციალურ ბიულეტენში.

4. „საქპატენტის“ მიერ ოფიციალურ ბიულეტენში ქვეყნდება: სელექციონერის სახელი და მისამართი, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი, მცენარის ახალი ჯიშის გვარი და სახეობა, მცენარის ახალი ჯიშის დასახელება, მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა და ფოტოგამოსახულება.

5. ნებისმიერ პირს უფლება აქვს დადგენილი წესით გაეცნოს მცენარეთა ახალი ჯიშების რეესტრის მონაცემებს.

მუხლი 12. ცვლილებების შეტანა რეესტრში

1. სელექციონერს მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციის მოქმედების პერიოდში უფლება აქვს რეგისტრირებულ მონაცემებში შეიტანოს ცვლილება ან დამატება მხოლოდ სელექციონერის ან მისი წარმომადგენლის მისამართთან დაკავშირებით.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ცვლილებები ქვეყნდება „საქპატენტის“ ოფიციალურ ბიულეტენში.

თავი II
პროცედურული ვადების გაგრძელება, შეწყვეტა და აღდგენა

მუხლი 13. პროცედურული ვადების გაგრძელება

1. სელექციონერს უფლება აქვს „საქპატენტისადმი“ წერილობითი მიმართვის საფუძველზე მოითხოვოს პროცედურული ვადების გაგრძელება ერთი თვის ვადით ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე, განაცხადის გამოქვეყნებამდე.
2. ასეთი თხოვნის წარდგენა დასაშვებია არა უმეტეს სამჯერ.

მუხლი 14. შეწყვეტა

სელექციონერს უფლება აქვს განაცხადის განხილვის ნებისმიერ საფეხურზე გამოითხოვოს განაცხადი ან მოითხოვოს განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტა.

მუხლი 15. განაცხადის აღდგენა

სელექციონერს უფლება აქვს „საქპატენტისადმი“ წერილობითი მიმართვის საფუძველზე მოითხოვოს განაცხადზე შეწყვეტილი საქმისწარმოების აღდგენა საქმისწარმოების შეწყვეტიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

მუხლი 16. შედავებების განხილვა

1. მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება „საქპატენტს“ წარუდგინოს წერილობითი შედავება, თუ:
   ა) მცენარის ახალი ჯიში არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს;
   ბ) მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა სრულ წარმოდგენას არ ქმნის ახალი ჯიშის შეფასებისთვის;
   გ) აღწერილობაში შეტანილი მონაცემები გაყალბებულია;
   დ) განაცხადში აღწერილ მცენარის ახალ ჯიშზე მოთხოვნილი პრიორიტეტი სხვა ქვეყანაში ამ მცენარის ჯიშზე წარდგენილი განაცხადის მიხედვით საფუძველსაა მოკლებული.
2. შედავების მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში „საქპატენტი“ შედავების მასალებს დასკვნისათვის გადასცემს „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირს. შედავების მასალების ასლი გადაეცემა განმცხადებელს.
3. „საქპატენტი“ შედავებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს „ ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირის დასკვნის საფუძველზე.
4. სელექციონერს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გადაწყვეტილება განაცხადის განხილვაზე უარის თქმის ან განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ შეუძლია გაასაჩივროს „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში.
5. „საქპატენტის“ სააპელაციო პალატა საჩივარს განიხილავს მისი შეტანიდან 2 თვის ვადაში.

6. „საქპატენტის“ ან „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №2-21 – ვებგვერდი, 25.02.2011წ.

თავი III
მცენარეთა ახალ ჯიშებზე იძულებითი ლიცენზიის გაცემა

მუხლი 17. იძულებითი ლიცენზიის გაცემა

1. ახალი ჯიშის (სათესლე ან მცენარეული მასალა, მიღებული მოსავალი) გამოყენებაზე იძულებითი ლიცენზია გაიცემა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული მეთესლეობის ეროვნული საბჭოს (შემდგომში – საბჭო) რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით.
2. იძულებითი ლიცენზია გაიცემა მხოლოდ მარტივი ლიცენზიის სახით.

მუხლი 18. იძულებითი ლიცენზიის გაცემის პირობები

იძულებითი ლიცენზიის გაცემა შესაძლებელია ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მხოლოდ საჯარო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით და იგი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუდაინტერესებული პირი მანამდე ცდილობდა სელექციონერისაგან ლიცენზიის მიღებას გონივრული პირობებით და გონივრულ ვადებში, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა.

მუხლი 19. მცენარის ახალი ჯიშის გამოყენების ფარგლები

იძულებითი ლიცენზიის გაცემის თაობაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დგინდება მცენარის ახალი ჯიშის გამოყენების ფარგლები, იძულებითი ლიცენზიის მოქმედების ვადა, სელექციონერისა და ლიცენზიატის უფლება-მოვალეობანი და ანაზღაურების ოდენობა.

მუხლი 20. იძულებითი ლიცენზიის მოქმედების ვადა

1. იძულებითი ლიცენზიის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ახალი ჯიშის გამოყენებაზე იძულებითი ლიცენზიის გაცემის მომენტისათვის მცენარის ახალ ჯიშზე განსაკუთრებული უფლებების მოქმედების დარჩენილ ვადას.
2. იძულებითი სალიცენზიო ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდება, თუ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდება, რომ სალიცენზიო ხელშეკრულების პირობები სრულდება და არის ამის აუცილებლობა.

მუხლი 21. იძულებითი ლიცენზიის მიღება

1. იძულებითი ლიცენზია გაიცემა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული მეთესლეობის ეროვნული საბჭოს რეკომენდაციით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაწყვეტილებით.
2. იძულებითი ლიცენზიის მისაღებად დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც, თავის მხრივ, მიღებულ განცხადებას ორი კვირის ვადაში უგზავნის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ მეთესლეობის ეროვნულ საბჭოს.
3. განცხადება უნდა შეიცავდეს:
   ა) მტკიცებულებას, რომ დაინტერესებულმა პირმა აწარმოა მოლაპარაკება სელექციონერთან, მაგრამ ვერ მიაღწია შეთანხმებას მცენარის ახალ ჯიშზე სამართლიანი პირობებით ლიცენზიის მიღების თაობაზე;
   ბ) მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ სელექციონერი საკმარისად არ იყენებს მცენარის ახალ ჯიშს, რითაც ზიანდება საჯარო ინტერესები;
   გ) ახალი ჯიშის გამოყენების ფარგლებს;
   დ) ლიცენზიის მოქმედების ვადას.
4. განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში საბჭო განიხილავს მას და გამოაქვს გადაწყვეტილება.
5. იძულებითი ლიცენზიის გაცემისას საბჭოს გადაწყვეტილება შეიცავს:
   ა) ლიცენზიის გამოყენების ფარგლებს და მოქმედების ვადას;
   ბ) სელექციონერის ანაზღაურების ოდენობას.
6. საბჭოს გადაწყვეტილებას აქვს რეკომენდაციის სახე.

მუხლი 22. იძულებითი ლიცენზიის მოქმედების შეწყვეტა

თუ იძულებითი ლიცენზიის მოქმედების პერიოდში შემოწმებით დადგინდება, რომ აღარ არსებობს იძულებითი ლიცენზიის მოქმედების საფუძვლები, იძულებითი ლიცენზიის მოქმედება წყდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით.

მუხლი 23. გადაწყვეტილების გასაჩივრება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაწყვეტილება იძულებითი ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის
2007 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №2-133

ცხოველის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირების შედავებების განხილვის წესი, განაცხადის განხილვის, პროცედურული ვადების გაგრძელების, შეწყვეტისა და აღდგენის წესი და იძულებითი ლიცენზიის გაცემის წესი

თავი I
განაცხადი ცხოველის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის მიღების მოთხოვნის მიზნით

მუხლი 1. განაცხადი

1. ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის წარდგენა, სელექციონერის უფლების მინიჭებისათვის ხდება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტი“ (შემდგომში – საქპატენტი). საგანაცხადო მასალა საქპატენტში შეტანილი უნდა იქნეს მატერიალური ფორმით ან ელექტრონულად – საქპატენტის ელექტრონული სისტემის გამოყენებით. საგანაცხადო მასალების მატერიალური ფორმით შეტანის შემთხვევაში მას თან უნდა დაერთოს საგანაცხადო მასალები ელექტრონული სახით, მონაცემთა ელექტრონული მატარებლის გამოყენებით (მაგ., CD-ROM დისკი). ელექტრონული სახით ქართულ ენაზე წარმოდგენილი საგანაცხადო მასალები შედგენილი უნდა იყოს .doc ფორმატში, Sylfaen შიფტით.

2. განაცხადი უნდა შეიცავდეს:
   ა) განცხადებას, რომელშიც მითითებულია სელექციონერის სახელი და მისამართი;
   ბ) ცხოველის ახალი ჯიშის შეთავაზებულ დასახელებას;
   გ) ცხოველის ახალი ჯიშის აღწერილობას, ძირითად ზოოლოგიურ, კონსტიტუციურ-ექსტერიერულ ნიშან-თვისებებს და სამეურნეო დახასიათებას;
   დ) ცხოველის ახალი ჯიშის ფოტოგამოსახულებას;
   ე) სელექციონერის წერილობით ვალდებულებას, „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შეს ახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით აკრედიტებულ პირს დადგენილ ვადაში, დადგენილი ოდენობით, უსასყიდლოდ მიაწოდოს ცხოველის ჯიშის სანაშენე მასალის ნიმუში;
   ვ) იმ თარიღის მითითებას, როდესაც ჯიშის სანაშენე ცხოველი ან სანაშენე მასალა ჯიშის გამოყენების მიზნით გაიყიდა ან სხვაგვარად გადაეცა სხვა პირს სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით.

3. თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მეშვეობით, საგანაცხადო მასალებს განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა დაერთოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი.

4. თუ განაცხადი შეტანილია უფლებამონაცვლის მიერ, საგანაცხადო მასალებს განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა დაერთოს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №2-25 — ვებგვერდი, 25.02.2011წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 8 ივლისის ბრძანება №2-646 — ვებგვერდი, 09.07.2019წ.

მუხლი 2. განცხადება

1. განცხადება უნდა იყოს გაფორმებული „საქპატენტის“ მიერ დადგენილი ფორმით.
2. განცხადებაში აღინიშნება:
   ა) სელექციონერის სახელი და მისამართი;
   ბ) ცხოველის ახალი ჯიშის სელექციონერის მიერ შეთავაზებული დასახელება;
   გ) სელექციონერის წერილობითი ვალდებულება, მიაწოდოს „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შეს ახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით აკრედიტებულ პირს დადგენილ ვადაში დადგენილი ოდენობით, ასევე უსასყიდლოდ მიაწოდოს ცხოველის ჯიშის სანაშენე მასალის ნიმუშები;
   დ) თუ ჯიშის სპერმა, ემბრიონი ან ცოცხალი პირუტყვი გამოყენების მიზნით გაიყიდა ან სხვაგვარად გადაეცა სხვა პირს, სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით, ასეთი გასხვისების ან სხვაგვარად გადაცემის თარიღი.
3. უცხოური ცხოველის ჯიშის დასახელება იწერება სელექციონერის ენაზე ქართული ტრანსკრიპციით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №2-25 — ვებგვერდი, 25.02.2011წ.

მუხლი 3. ცხოველის ახალი ჯიშის აღწერილობა

1. ცხოველის ახალი ჯიშის აღწერილობა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
   ა) ცხოველის ჯიშის გვარსა და სახეობას (ქართულად და ლათინურად);
   ბ) სელექციონერის სახელს (სახელწოდებას) და მისამართს;
   გ) ცხოველის ჯიშის შეთავაზებულ დასახელებას;
   დ) ცხოველის ჯიშის წარმომავლობას, გამოყვანის, გამოვლენისა და გაუმჯობესების მეთოდის მითითებით და საწყის (მშობელი) ფორმებს;
   ე) ცხოველის ჯიშის შენარჩუნებისა და პროდუქტიულობის მაჩვენებლებს;
   ვ) ცხოველის ჯიშის განმასხვავებელ და დამახასიათებელ ნიშნებს;
   ზ) მსგავსი ცხოველის ჯიშების დასახელებებს და ნიშნებს, რითაც ისინი განსხვავდებიან ცხოველის ახალი ჯიშისაგან;
   თ) ცხოველის ჯიშის გამოცდისათვის საჭირო განსაკუთრებული პირობების აღწერას;
   ი) თუ განაცხადი ეხება მრავალხაზიან ცხოველის ჯიშს ან პოპულაციას, ამ ჯიშის ყველა ხაზზე ცალკე ცხოველის ხაზის აღწერილობას, პროცენტული თანაფარდობის აღნიშვნით.
2. ცხოველის ჯიშის აღწერილობას ხელს აწერს სელექციონერი.

მუხლი 4. ფოტოგამოსახულება

განაცხადს უნდა ჰქონდეს თანდართული ცხოველის ახალი ჯიშის ფერადი ფოტოგამოსახულება ზომით 9X12 სმ ან 13X18 სმ., ორ ეგზემპლარად, თეთრ ფონზე.

მუხლი 5. ცხოველის ახალი ჯიშის დასახელება

1. ცხოველის ახალი ჯიშის დასახელება, რომელიც მიეთითება განცხადებაში, უნდა იყოს შეთავაზებული სელექციონერის მიერ.

2. თუ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ცხოველის ახალი ჯიში „საქპატენტში“ განაცხადის შეტანამდე რეგისტრირებულია სხვა რომელიმე ქვეყანაში ან იმავე ჯიშის სარეგისტრაციო განაცხადი წარდგენილია ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ სხვა ქვეყნებთან გაფორმებული ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოში, „საქპატენტში“ განაცხადის წარდგენისას სელექციონერი ვალდებულია მიუთითოს ცხოველის ახალი ჯიშისათვის იგივე დასახელება, განაცხადის ნომერი და წარდგენის თარიღი, რომელიც მიუთითა ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ სხვა ქვეყნებთან გაფორმებულიხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოში წარდგენილ განაცხადში.

3. თუ ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული დასახელება შეუთავსებელია საქართველოს კანონმდებლობასთან ან ამ მუხლის მე–4 პუნქტის მოთხოვნებთან, „საქპატენტი“ მოსთხოვს სელექციონერს ცხოველის ახალი ჯიშისათვის სხვა დასახელების მითითებას.

4. ცხოველის ახალი ჯიშის დასახელება შემდგომში წარმოადგენს ამ ჯიშის გვარეობით დასახელებას და შესაძლებელს გახდის მის ადვილად ამოცნობას. იგი უნდა განსხვავდებოდეს იმავე ან ახლოს მდგომი ცხოველის სხვა ჯიშის ყველა დასახელებისაგან, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და არ უნდა შეურაცხყოფდეს რელიგიურ გრძნობებს, არ უნდა შედგებოდეს მხოლოდ ციფრებისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მიღებული პრაქტიკაა, და არ უნდა გამოიწვიოს ცხოველის ახალი ჯიშის თვისებების, წარმოშობის, მნიშვნელობის, იდენტურობის ან სელექციონერის ვინაობის აღრევა.

მუხლი 6. განაცხადის წარდგენა

1. სელექციონერი განაცხადს ცხოველის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის მიღების მოთხოვნით წარადგენს „საქპატენტში“.

2. „საქპატენტი“ საგანაცხადო მასალების მიღებას ადასტურებს მის მიერ შემუშავებული ფორმის საკანცელარიო ცნობის გაცემით.

3. განაცხადი შეიძლება წარდგენილ იქნეს წარმომადგენლის მეშვეობით.

4. განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სხვა საგანაცხადო მასალა შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ნებისმიერ ენაზე. საგანაცხადო მასალის უცხო ენაზე წარდგენის შემთხვევაში სელექციონერმა 3 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

5. განცხადება, ცხოველის ჯიშის აღწერილობა და ფოტოგამოსახულება „საქპატენტში“ შეტანილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად. სხვა საგანაცხადო საბუთები შეტანილი უნდა იყოს ერთ ეგზემპლარად.

6. განაცხადი „საქპატენტში“ შეტანილად ჩაითვლება იმ დღიდან, როდესაც წარდგენილია შემდეგი მასალები:
   ა) განცხადება, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ცხოველის ახალი ჯიშის დასახელება;
   ბ) ცხოველის ახალი ჯიშის აღწერილობა.

მუხლი 7. სხვა ქვეყანაში ადრე შეტანილი განაცხადის „საქპატენტში“ წარდგენა

1. თუ სელექციონერს სურს ისარგებლოს ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ სხვა ქვეყანასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი პრიორიტეტით, იგი ვალდებულია „საქპატენტში“ განაცხადი წარადგინოს ამ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანაში განაცხადის წარდგენიდან 12 თვის განმავლობაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარდგენილ განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს სხვა ქვეყანაში განაცხადის შეტანის თარიღი. განმცხადებელი ვალდებულია განაცხადის „საქპატენტში“ შეტანის დღიდან 6 თვის განმავლობაში წარადგინოს იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ დამოწმებული განაცხადის ასლი, სადაც პირველად იყო წარდგენილი განაცხადი და მისი ქართული თარგმანი.

მუხლი 8. განაცხადი ფორმალური მოთხოვნის ექსპერტიზა

1. „საქპატენტი“ ატარებს განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რაც მოიცავს საგანაცხადო მასალების სისრულის და გაფორმების შემოწმებას, განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურების ჩათვლით.
2. განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში.
3. თუ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის პროცესში სელექციონერს მიეცა ვადა ამ წესით გათვალისწინებული განაცხადის ხარვეზის გამოსასწორებლად, ხარვეზის გამოსასწორებელი ვადის განმავლობაში ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი ვადის დინება ჩერდება.
4. თუ განაცხადს, რომელსაც დაუდასტურდა შეტანის თარიღი, აკლია უფლებამონაცვლეობის ან წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, სელექციონერს ეგზავნება შეტყობინება–მოთხოვნა ხარვეზის ერთი თვის ვადაში გამოსწორების თაობაზე. თუ განმცხადებელი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, განაცხადზე საქმისწარმოება შეწყდება.
5. თუ პრიორიტეტად მოთხოვნილია ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ სხვა ქვეყნებთან გაფორმებული ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანაში განაცხადის შეტანის თარიღი, ხოლო განაცხადს აკლია ამ წესის მე–7 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული საბუთი, მაშინ სელექციონერს ეგზავნება შეტყობინება–მოთხოვნა ამ წესის მე–7 მუხლის მე–2 პუნქტით დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოსწორების თაობაზე. თუ სელექციონერი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, განაცხადზე საქმისწარმოება შეწყდება.
6. თუ განაცხადს აკლია ამ წესის მე–7 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული საბუთის ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი, მაშინ სელექციონერს ეგზავნება შეტყობინება– მოთხოვნა 3 თვეში ხარვეზის გამოსწორების თაობაზე. თუ სელექციონერი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს განაცხადზე საქმისწარმოება შეწყდება.
7. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის მოთხოვნებს, განაცხადს ენიჭება ნომერი და უდგინდება პრიორიტეტი.
8. თუ შესრულებულია ამ წესის მე–6 მუხლის მოთხოვნები, სელექციონერს ეგზავნება განცხადების ასლი შევსებული მონაცემებით, ხოლო მასალები გადაეცემა გამოსაქვეყნებლად.
9. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში „საქპატენტი“ ატარებს განაცხადზე სიახლის ექსპერტიზას. სიახლის ექსპერტიზისას მოწმდება, გასულია

თუ არა ერთი წელი განცხადებული ჯიშის გასამრავლებელი მასალის სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით განაცხადში მითითებული პირველი გასხვისების თარიღიდან განაცხადის „საქპატენტში“ შეტანამდე.

მუხლი 9. განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურება

1. „საქპატენტი“ განაცხადის შეტანის თარიღს ადასტურებს განაცხადის შეტანიდან 2 დღის ვადაში, თუ წარდგენილია ამ წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საბუთები.
2. თუ საგანაცხადო მასალებს აკლია აღწერილობა ან განცხადება, განაცხადს შეტანის თარიღი არ უდასტურდება და თუ სელექციონერის ვინაობა და მიმოწერის მისამართი ცნობილია, სელექციონერს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის გამოსწორების შესახებ. შეტყობინების მიღების დღიდან თუ სელექციონერი ხარვეზს გამოასწორებს ერთი თვის ვადაში, განაცხადს შეტანის თარიღად უდასტურდება მოთხოვნილი საბუთების სრულად წარდგენის თარიღი.
3. თუ სელექციონერი ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას არ შეასრულებს, განაცხადი შეტანილად არ ჩაითვლება და მასალები უკან დაუბრუნდება სელექციონერს.

მუხლი 10. გამოქვეყნება

1. „საქპატენტი“ ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის შესახებ მონაცემებს აქვეყნებს ოფიციალურ ბიულეტენში.
2. ოფიციალურ ბიულეტენში ქვეყნდება:
   ა) მონაცემები სელექციონერის შესახებ;
   ბ) განაცხადის წარდგენის თარიღი;
   გ) ცხოველი ახალი ჯიშის შეთავაზებული დასახელება;
   დ) ცხოველის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება, ხოლო აღწერილობა გამოიფინება საჯაროდ გასაცნობად.
3. გამოქვეყნების შემდეგ მასალები ორი კვირის ვადაში გადეცემა გამოცდის ჩასატარებლად „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ აკრედიტებულ პირს.
4. „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შეს ახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული აკრედიტებული პირი ატარებს ცხოველის ახალი ჯიშის გამოცდას განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდა ტარდება განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დამტკიცებული მეთოდიკების საფუძველზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №2-25 - ვებგვერდი, 25.02.2011წ.

მუხლი 11. ცხოველის ახალი ჯიშის რეგისტრაცია

1. ცხოველის ახალი ჯიშის გამოცდის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ „საქპატენტს“ გამოაქვს გადაწყვეტილება ცხოველის ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემის თაობაზე.

2. ცხოველის ახალი ჯიშების რეესტრში შეიტანება:
   ა) ცხოველის ახალი ჯიშის გვარი და სახეობა;
   ბ) ცხოველის ახალი ჯიშის დასახელება;
   გ) ცხოველის ახალი ჯიშის აღწერილობა და ფოტოგამოსახულება;
   დ) სელექციონერის სახელი (დასახელება) და მისამართი;
   ე) რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.
3. რეესტრში მონაცემების შეტანის შემდეგ გაიცემა მოწმობა, რომლის ფორმასაც ადგენს „საქპატენტი“, ხოლო მონაცემები ქვეყნდება ოფიციალურ ბიულეტენში.
4. „საქპატენტის“ მიერ ოფიციალურ ბიულეტენში ქვეყნდება: სელექციონერის სახელი და მისამართი, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი, ცხოველის ახალი ჯიშის გვარი და სახეობა, ცხოველის ახალი ჯიშის დასახელება, ცხოველის ახალი ჯიშის აღწერილობა და ფოტოგამოსახულება.
5. ნებისმიერ პირს უფლება აქვს დადგენილი წესით გაეცნოს ცხოველთა ახალი ჯიშების რეესტრის მონაცემებს.

მუხლი 12. ცვლილებების შეტანა რეესტრში

1. სელექციონერს ცხოველის ახალი ჯიშის რეგისტრაციის მოქმედების პერიოდში უფლება აქვს რეგისტრირებულ მონაცემებში შეიტანოს ცვლილება ან დამატება მხოლოდ სელექციონერის ან მისი წარმომადგენლის მისამართთან დაკავშირებით.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ცვლილებები ქვეყნდება „საქპატენტის“ ოფიციალურ ბიულეტენში.

თავი II
პროცედურული ვადების გაგრძელება, შეწყვეტა და აღდგენა

მუხლი 13. პროცედურული ვადების გაგრძელება

1. სელექციონერს უფლება აქვს „საქპატენტისადმი“ წერილობითი მიმართვის საფუძველზე მოითხოვოს პროცედურული ვადების გაგრძელება ერთი თვის ვადით ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე, განაცხადის გამოქვეყნებამდე.
2. ასეთი თხოვნის წარდგენა დასაშვებია არა უმეტეს სამჯერ.

მუხლი 14. შეწყვეტა

სელექციონერს უფლება აქვს განაცხადის განხილვის ნებისმიერ საფეხურზე გამოითხოვოს განაცხადი ან მოითხოვოს განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტა.

მუხლი 15. განაცხადის აღდგენა

სელექციონერს უფლება აქვს „საქპატენტისადმი“ წერილობითი მიმართვის საფუძველზე მოითხოვოს განაცხადზე შეწყვეტილი საქმისწარმოების აღდგენა საქმისწარმოების შეწყვეტიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

მუხლი 16. შედავებების განხილვა

1. ცხოველის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს უფლება აქვს „საქპატენტს“ წარუდგინოს წერილობითი შედავება, თუ:
   ა) ცხოველის ახალი ჯიში არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს;
   ბ) ცხოველის ახალი ჯიშის აღწერილობა სრულ წარმოდგენას არ ქმნის ახალი ჯიშის შეფასებისთვის;
   გ) აღწერილობაში შეტანილი მონაცემები გაყალბებულია;
   დ) განაცხადში აღწერილ ცხოველის ახალ ჯიშზე მოთხოვნილი პრიორიტეტი სხვა ქვეყანაში ამ ცხოველის ჯიშზე წარდგენილი განაცხადის მიხედვით საფუძვლსაა მოკლებული.
2. შედავების მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში „საქპატენტი“ შედავების მასალებს დასკვნისათვის გადას ცემს „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირს. შედავების მასალების ასლი გადაეცემა განმცხადებელს.
3. „საქპატენტი“ შედავებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირის დასკვნის საფუძველზე.
4. სელექციონერს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გადაწყვეტილება განაცხადის განხილვაზე უარის თქმის ან განაცხადზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ შეუძლია გაასაჩივროს „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში.
5. „საქპატენტის“ სააპელაციო პალატა საჩივარს განიხილავს მისი შეტანიდან 2 თვის ვადაში.
6. „საქპატენტის“ ან „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №2-25 – ვებგვერდი, 25.02.2011წ.

თავი III
ცხოველთა ახალ ჯიშებზე იძულებითი ლიცენზიის გაცემა

მუხლი 17. იძულებითი ლიცენზიის გაცემა

1. ახალი ჯიშის გამოყენებაზე იძულებითი ლიცენზია გაიცემა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული მეცხოველეობის ეროვნული საბჭოს (შემდგომში – საბჭო) რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით.
2. იძულებითი ლიცენზიის გაცემა ხდება სელექციონერისათვის ლიცენზიის საფასურის გადახდის პირობით.
3. იძულებითი ლიცენზია გაიცემა მხოლოდ მარტივი ლიცენზიის სახით.

მუხლი 18. იძულებითი ლიცენზიის გაცემის პირობები

იძულებითი ლიცენზიის გაცემა შესაძლებელია ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მხოლოდ საჯარო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით და იგი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი მანამდე ცდილობდა სელექციონერისაგან ლიცენზიის მიღებას გონივრული პირობებით და გონივრულ ვადებში, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა.

მუხლი 19. ცხოველის ახალი ჯიშის გამოყენების ფარგლები

იძულებითი ლიცენზიის გაცემის თაობაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დგინდება ცხოველის ახალი ჯიშის გამოყენების ფარგლები, იძულებითი ლიცენზიის მოქმედების ვადა, სელექციონერისა და ლიცენზიატის უფლება-მოვალეობანი და ანაზღაურების ოდენობა.

მუხლი 20. იძულებითი ლიცენზიის მოქმედების ვადა

1. იძულებითი ლიცენზიის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ახალი ჯიშის გამოყენებაზე იძულებითი ლიცენზიის გაცემის მომენტისათვის ცხოველის ახალ ჯიშზე განსაკუთრებული უფლებების მოქმედების დარჩენილ ვადას.
2. იძულებითი სალიცენზიო ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდება, თუ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდება, რომ სალიცენზიო ხელშეკრულების პირობები სრულდება და არის ამის აუცილებლობა.

მუხლი 21. იძულებითი ლიცენზიის მიღება

1. იძულებითი ლიცენზია გაიცემა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული მეცხოველეობის ეროვნული საბჭოს რეკომენდაციით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაწყვეტილებით.
2. იძულებითი ლიცენზიის მისაღებად დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც, თავის მხრივ მიღებულ განცხადებას ორი კვირის ვადაში უგზავნის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ მეცხოველეობის ეროვნულ საბჭოს.

3 განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) მტკიცებულებას, რომ დაინტერესებულმა პირმა აწარმოა მოლაპარაკება სელექციონერთან, მაგრამ ვერ მიაღწია შეთანხმებას ცხოველის ახალ ჯიშზე სამართლიანი პირობებით ლიცენზიის მიღების თაობაზე;

ბ) მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ სელექციონერი საკმარისად არ იყენებს ცხოველის ახალ ჯიშს, რითაც ზიანდება საჯარო ინტერესები;

გ) ახალი ჯიშის გამოყენების ფარგლებს;

დ) ლიცენზიის მოქმედების ვადას.

4. განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში საბჭო განიხილავს მას და გამოაქვს გადაწყვეტილება.

5. იძულებითი ლიცენზიის გაცემისას საბჭოს გადაწყვეტილება შეიცავს:
   ა) ლიცენზიის გამოყენების ფარგლებს და მოქმედების ვადას;
   ბ) სელექციონერის ანაზღაურების ოდენობას.
6. საბჭოს გადაწყვეტილებას აქვს რეკომენდაციის სახე.

მუხლი 22. იძულებითი ლიცენზიის მოქმედების შეწყვეტა

თუ იძულებითი ლიცენზიის მოქმედების პერიოდში შემოწმებით დადგინდება, რომ აღარ არსებობს იძულებითი ლიცენზიის მოქმედების საფუძვლები, იძულებითი ლიცენზიის მოქმედება წყდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით.

მუხლი 23. გადაწყვეტილების გასაჩივრება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაწყვეტილება იძულებითი ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის
2010 წლის 3 ივლისის
დადგენილება №182

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს საპატენტო კანონის 77–ე მუხლის მე–5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 47–ე მუხლის, „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის 23–ე მუხლის, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–14 მუხლის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 91 მუხლის მე–7 პუნქტისა და 541 მუხლის მე–7 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მომსახურების გაწევისათვის თანდართული საფასურები:

1. გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებული საფასურები (დანართი №1).

2. სასარგებლო მოდელის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები (დანართი №2).

3. დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები (დანართი №3).

4. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები (დანართი №4).

5. საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები (დანართი №5).

6. ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირებასთან დაკავშირებული საფასურები (დანართი №6).

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის დადგენილება №216 – ვებგვერდი, 08.06.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №385 – ვებგვერდი, 19.11.2024წ.

მუხლი 11

ამ დადგენილებით გათვალისწინებული საფასური არის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე მომსახურების გაწევისათვის დადგენილი სავალდებულო გადასახდელი.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის დადგენილება №189 – ვებგვერდი, 02.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის დადგენილება №23 – ვებგვერდი, 22.01.2021წ.

მუხლი 2

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 1999 წლის 27 ივლისის №51 ბრძანება „სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების დაცვის საფასურების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

ამ დადგენილებით გათვალისწინებული საფასურები გავრცელდეს დადგენილების ამოქმედების თარიღის შემდეგ „საქპატენტში“ შეტანილ განაცხადებზე.

მუხლი 4

№4 დანართის მე-40 და 41-ე გრაფით გათვალისწინებული საფასურები ამოქმედდეს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლისთანავე.

მუხლი 5

განაცხადზე, რომელზეც ამ დადგენილების ამოქმედების დღისათვის მიმდინარეობს საქმისწარმოება, შესაბამის ობიექტებზე საპატენტო სიგელისა და მოწმობების გაცემის ჩათვლით, გავრცელდეს ის საფასურები, რომლებიც მოქმედებდა განაცხადის საქპატენტში შეტანის დროს.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 ივლისის დადგენილება №215 – სსმ III, №94, 02.08.2010წ., მუხ.1390

მუხლი 5[1]

ამ დადგენილების ამოქმედების შემდეგ საქპატენტში შესული სააპელაციო საჩივრების განხილვაზე, მათ შორის, იმ სააპელაციო საჩივრებზე, რომლებიც შეეხება დადგენილების ამოქმედებამდე საქპატენტში შესულ განაცხადებს, გავრცელდეს თანდართული საფასურები.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 ივლისის დადგენილება №215 – სსმ III, №94, 02.08.2010წ., მუხ.1390

მუხლი 6

1. ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ საფასურებზე, გარდა ამავე დადგენილებით დამტკიცებული დანართ №3-ის 41-ე-44-ე გრაფებით განსაზღვრული საფასურებისა, განმცხადებელ გამომგონებლებზე, დიზაინერებზე, საქართველოში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებზე გავრცელდეს 70%-იანი შეღავათი, ხოლო სტუდენტ, სკოლის მოსწავლე და პენსიონერ განმცხადებელ გამომგონებლებსა და დიზაინერებზე – 90%-იანი შეღავათი.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი საფასურების გადახდისაგან გათავისუფლდნენ საქართველოს სამინისტროები.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის დადგენილება №189 – ვებგვერდი, 02.05.2011წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №688 – ვებგვერდი, 22.12.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №544 – ვებგვერდი, 17.12.2025წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №392 – ვებგვერდი, 18.08.2026წ.

მუხლი 6[1]

„საქპატენტში“ განაცხადების ელექტრონულად შეტანის შემთხვევაში, შესაბამის ობიექტებზე საპატენტო სიგელისა და მოწმობების გაცემის ჩათვლით საფასურებზე გავრცელდეს 20%-იანი შეღავათი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ივნისის დადგენილება №328 – ვებგვერდი, 19.06.2018წ.

მუხლი 6[2]

სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურებზე, 2020 წლის 7 დეკემბრიდან 2021 წლის 7 ივნისამდე პერიოდში, „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშნის განაცხადების ელექტრონულად შეტანის შემთხვევაში, მოწმობების გაცემის ჩათვლით, საფასურებზე გავრცელდეს 50%-იანი შეღავათი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №723 – ვებგვერდი, 04.12.2020წ.

მუხლი 7

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 ივლისის დადგენილება №215 - სსმ III, №94, 02.08.2010წ., მუხ.1390
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის დადგენილება №189 - ვებგვერდი, 02.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №343 - ვებგვერდი, 12.09.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ივნისის დადგენილება №328 - ვებგვერდი, 19.06.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის დადგენილება №216 – ვებგვერდი, 08.06.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №385 - ვებგვერდი, 19.11.2024წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 23 მაისის დადგენილება №174 - ვებგვერდი, 29.05.2025წ.

გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებული საფასურები

	ქმედება	აშშ დოლარი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)
	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა	
1.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა და განაცხადის გამოქვეყნება (30 გვერდამდე საგანაცხადო მასალები)	100
2.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა და განაცხადის გამოქვეყნება (30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე)	1
	არსობრივი ექსპერტიზა	
3.*	არსობრივი ექსპერტიზა (10 მუხლამდე გამოგონების ფორმულის შემთხვევაში)	300

4.*	არსობრივი ექსპერტიზა (10 მუხლზე მეტი გამოგონების ფორმულის შემთხვევაში ყოველ დამატებით მუხლზე)	30
5*.	არსობრივი ექსპერტიზა ყოველ დამატებით მუხლზე ექსპერტიზის დასკვნის გაცემის შემდეგ	30
პატენტის გაცემა და ძალის შენარჩუნება		
6.	პატენტის რეგისტრაცია, პატენტის გამოქვეყნება, საპატენტო სიგელის გაცემა (30 გვერდამდე პატენტის აღწერილობა)	200
7.	პატენტის რეგისტრაცია, პატენტის გამოქვეყნება, საპატენტო სიგელის გაცემა (30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე)	3
8.	განაცხადის ან პატენტის ძალის შენარჩუნება მესამე, მეოთხე, მეხუთე წლებში, ყოველწლიურად	50
9.	განაცხადის ან პატენტის ძალის შენარჩუნება მეექვსე, მეშვიდე, მერვე წლებში, ყოველწლიურად	70
10.	განაცხადის ან პატენტის ძალის შენარჩუნება მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე წლებში, ყოველწლიურად	170
11.	განაცხადის ან პატენტის ძალის შენარჩუნება მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე წლებში, ყოველწლიურად	250
12.	განაცხადის ან პატენტის ძალის შენარჩუნება მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე წლებში, ყოველწლიურად	300
13.	განაცხადის ან პატენტის ძალის შენარჩუნება მეთვრამეტე, მეცხრამეტე, მეოცე წლებში, ყოველწლიურად	500
14.	დაცვის დამატებითი მოწმობის მოთხოვნა	100
15.	დაცვის დამატებითი მოწმობის საფუძველზე, პატენტის ძალის შენარჩუნება 21-ე წელს	600

16.	დაცვის დამატებითი მოწმობის საფუძველზე, პატენტის ძალის შენარჩუნება 22-ე წელს	700
17.	დაცვის დამატებითი მოწმობის საფუძველზე, პატენტის ძალის შენარჩუნება 23-ე წელს	800
18.	დაცვის დამატებითი მოწმობის საფუძველზე, პატენტის ძალის შენარჩუნება 24-ე წელს	900
19.	დაცვის დამატებითი მოწმობის საფუძველზე, პატენტის ძალის შენარჩუნება 25-ე წელს	1000
20.	დაცვის დამატებითი მოწმობის საფუძველზე, პატენტის ძალის შენარჩუნება 26-ე წელს	1100
21.	პატენტის მოქმედების აღდგენა	100
მიმღები უწყების როლში საერთაშორისო განაცხადზე ჩასატარებელი ქმედებები		
22.	საერთაშორისო განაცხადის შემოწმება საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინებით და განაცხადის მასალების გადაგზავნა	100
ქმედებები განმცხადებლის, პატენტმფლობელის ან/და მესამე პირის მოთხოვნით		
23.	განაცხადის მასალებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა ყოველ ერთ მიმართვაზე	40
24.	შეტყობინება-მოთხოვნაზე ან ექსპერტიზის დასკვნაზე პასუხის ვადის გაგრძელება ყოველი ერთი თვით	30
25.	გამოგონების განაცხადის გარდაქმნა სასარგებლო მოდელის განაცხადად	50
26.	სასარგებლო მოდელის განაცხადის გარდაქმნა გამოგონების განაცხადად	70

27.	ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება	250
28.	განაცხადის განხილვის შეჩერება ყოველი ერთი თვით	30
29.	საკონვენციო და საგამოფენო პრიორიტეტის უფლების აღდგენა	60
30.	განაცხადის დამოწმებული ასლის მომზადება და გაცემა	30
31.	ცვლილებების შეტანა რეესტრში, გარდა მექანიკური შეცდომების გასწორებისა, ერთი მიმართვით ყოველ ერთ პატენტზე	60
32.	საპატენტო სიგელის დუბლიკატის გაცემა	60
33.	რეესტრიდან დამოწმებული ამონაწერის მომზადება და გაცემა	30
34.	ხელშეკრულების რეგისტრაცია	100
35.	სააპელაციო საჩივრის განხილვა გამოგონებაზე	200
36.	პატენტის სრულად ბათილად ცნობა მფლობელის მოთხოვნით	30
37.	პატენტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა მფლობელის მოთხოვნით	150
38.	ნაწილობრივ ბათილად ცნობილი პატენტის აღწერილობის გამოქვეყნება (30 გვერდამდე)	100
39	ნაწილობრივ ბათილად ცნობილი პატენტის აღწერილობის გამოქვეყნება (30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე)	3
40.	მექანიკური შეცდომების გასწორების მოთხოვნა საგანაცხადო მასალების 30 გვერდამდე, ერთ პატენტზე	10
41.	მექანიკური შეცდომების გასწორება საგანაცხადო მასალების 30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე	2

42.	დამოწმებული ამონაწერის გაცემა საფასურების გადახდის შესახებ	5
43.	ვადის დარღვევის გამო, განაცხადთან დაკავშირებული უფლებების აღდგენა	180
ევროპულ საპატენტო განაცხადზე და ვალიდირებულ ევროპულ პატენტზე ჩასატარებელი ქმედებები		
44.	ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის ქართულ ენაზე თარგმანის გამოქვეყნება	50
45.	ევროპული საპატენტო განაცხადის გამოგონების ფორმულის ქართულ ენაზე შესწორებული თარგმანის გამოქვეყნება	30
46.	ვალიდირებული ევროპული პატენტის რეგისტრაცია, პატენტის აღწერილობის ქართულ ენაზე თარგმანის გამოქვეყნება და სიგელის გაცემა (30 გვერდამდე პატენტის აღწერილობა)	200
47.	ვალიდირებული ევროპული პატენტის რეგისტრაცია, პატენტის აღწერილობის ქართულ ენაზე თარგმანის გამოქვეყნება და სიგელის გაცემა (30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე)	3
48.	EPO-ში წარდგენილი მესამე პირის საჩივრის ან შეზღუდვის მოთხოვნის შედეგად ვალიდირებული ევროპული პატენტის შეცვლილი აღწერილობის ქართულ ენაზე თარგმანის გამოქვეყნება (30 გვერდამდე)	100
49.	EPO-ში წარდგენილი მესამე პირის საჩივრის ან შეზღუდვის მოთხოვნის შედეგად ვალიდირებული ევროპული პატენტის შეცვლილი აღწერილობის ქართულ ენაზე თარგმანის გამოქვეყნება (30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე)	3
50.	ვალიდირებული ევროპული პატენტის აღწერილობის ქართულ ენაზე შესწორებული თარგმანის გამოქვეყნება (30 გვერდამდე)	100
51.	ვალიდირებული ევროპული პატენტის აღწერილობის ქართულ ენაზე შესწორებული თარგმანის გამოქვეყნება (30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე)	3

3.*, 4.*, 5.*,– „საქპატენტში“ ეროვნულ ფაზაში შემოსულ იმ საერთაშორისო განაცხადის შემთხვევაში, რომლისთვისაც „საქპატენტი“ მოქმედებს როგორც აღნიშნული ან არჩეული უწყება, აღნიშნულ ქმედებათა საფასურები შემცირდება 50%-ით, თუ საერთაშორისო საძიებო უწყების მიერ გაცემულია საერთაშორისო ძიების ანგარიში (ფორმა PCT/ISA/210) და წერილობითი დასკვნა (ფორმა PCT/ISA/237).

დანართი №2

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 ივლისის დადგენილება №215 - სსმ III, №94, 02.08.2010წ., მუხ.1390
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის დადგენილება №189 - ვებგვერდი, 02.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №343 - ვებგვერდი, 12.09.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ივნისის დადგენილება №328 - ვებგვერდი, 19.06.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის დადგენილება №216 – ვებგვერდი, 08.06.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №385 - ვებგვერდი, 19.11.2024წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 23 მაისის დადგენილება №174 - ვებგვერდი, 29.05.2025წ.

სასარგებლო მოდელის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები

№	ქმედება	აშშ დოლარი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)
	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა	
1.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა და განაცხადის გამოქვეყნება (30 გვერდამდე საგანაცხადო მასალები)	100
2.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა და განაცხადის გამოქვეყნება (30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე)	1
	არსობრივი ექსპერტიზა	
3.	არსობრივი ექსპერტიზა (10 მუხლამდე სასარგებლო მოდელის ფორმულის შემთხვევაში)	150
4.	არსობრივი ექსპერტიზა (10 მუხლზე მეტი სასარგებლო მოდელის ფორმულის შემთხვევაში ყოველ დამატებით მუხლზე)	15
5.	არსობრივი ექსპერტიზა ყოველ დამატებით მუხლზე ექსპერტიზის დასკვნის გაცემის შემდეგ	15
	სასარგებლო მოდელის რეგისტრაცია და ძალის შენარჩუნება	
6.	სასარგებლო მოდელის რეგისტრაცია, რეგისტრირებული სასარგებლო მოდელის აღწერილობის გამოქვეყნება, მოწმობის გაცემა (30 გვერდამდე რეგისტრირებული სასარგებლო მოდელის აღწერილობა)	150

7.	სასარგებლო მოდელის რეგისტრაცია, რეგისტრირებული სასარგებლო მოდელის აღწერილობის გამოქვეყნება, მოწმობის გაცემა (30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე)	3
8.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მესამე, მეოთხე წლებში, ყოველწლიურად	50
9.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეხუთე, მეექვსე წლებში, ყოველწლიურად	70
10.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეშვიდე, მერვე წლებში, ყოველწლიურად	170
11.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეცხრე, მეათე წლებში, ყოველწლიურად	250
12.	რეგისტრაციის მოქმედების აღდგენა	100
	ქმედებები განმცხადებლის, მფლობელისა და მესამე პირის მოთხოვნით	
13.	განაცხადის მასალებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა ყოველ ერთ მიმართვაზე	40
14.	შეტყობინება-მოთხოვნაზე ან ექსპერტიზის დასკვნაზე პასუხის ვადის გაგრძელება ყოველი ერთი თვით	30
15.	ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება	200
16.	განაცხადის განხილვის შეჩერება ყოველი ერთი თვით	30
17.	საკონვენციო და საგამოფენო პრიორიტეტის უფლების აღდგენა	60
18.	განაცხადის ერთი დამოწმებული ასლის მომზადება და გაცემა	30
19.	ცვლილებების შეტანა რეესტრში, გარდა მექანიკური შეცდომების გასწორებისა, ერთი მიმართვით ყოველ ერთ რეგისტრირებულ სასარგებლო მოდელზე	60
20.	მოწმობის დუბლიკატის გაცემა	60

21.	რეესტრიდან დამოწმებული ამონაწერის მომზადება და გაცემა	30
22.	დამოწმებული ამონაწერის გაცემა საფასურების გადახდის შესახებ	5
23.	ხელშეკრულების რეგისტრაცია	100
24.	სააპელაციო საჩივრის განხილვა სასარგებლო მოდელზე	150
25.	რეგისტრირებული სასარგებლო მოდელის სრულად ბათილად ცნობა მფლობელის მოთხოვნით	30
26.	რეგისტრირებული სასარგებლო მოდელის ნაწილობრივ ბათილად ცნობა მფლობელის მოთხოვნით	75
27.	ნაწილობრივ ბათილად ცნობილი რეგისტრირებული სასარგებლო მოდელის აღწერილობის გამოქვეყნება (30 გვერდამდე)	50
28.	ნაწილობრივ ბათილად ცნობილი რეგისტრირებული სასარგებლო მოდელის აღწერილობის გამოქვეყნება (30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე)	2
29.	მექანიკური შეცდომების გასწორების მოთხოვნა საგანაცხადო მასალების 30 გვერდამდე, ერთ სასარგებლო მოდელზე	10
30.	მექანიკური შეცდომების გასწორება საგანაცხადო მასალების 30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე	2
31.	ვადის დარღვევის გამო განაცხადთან დაკავშირებული უფლებების აღდგენა	180
32.	სასარგებლო მოდელის დაცვისუნარიანობის, მათ შორის საგამომგონებლო დონის შეფასების მოთხოვნა სასამართლოსთვის	200

დანართი №3

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 ივლისის დადგენილება №215 – სსმ III, №94, 02.08.2010წ., მუხ.1390
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის დადგენილება №189 – ვებგვერდი, 02.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №343 – ვებგვერდი, 12.09.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ივნისის დადგენილება №328 – ვებგვერდი, 19.06.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №544 – ვებგვერდი, 17.12.2025წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №392 – ვებგვერდი, 18.08.2026წ.

დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები

№	ქმედება	აშშ დოლარი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)
	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა	
1.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ერთ დიზაინზე	50
2.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა თითოეულ დამატებით დიზაინზე	10
3.	საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნა ერთ დიზაინზე	30
4.	საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნა თითოეულ დამატებით დიზაინზე	10
	არსობრივი ექსპერტიზა	
5.	არსობრივი ექსპერტიზა ერთ დიზაინზე	80
6.	არსობრივი ექსპერტიზა თითოეულ დამატებით დიზაინზე	10
	გამოქვეყნება, მოწმობის გაცემა და ძალის შენარჩუნება	
7.	ერთი დიზაინის გამოქვეყნება	10
8.	რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა და პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნება ერთ დიზაინზე	100
9.	რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა და პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნება თითოეულ დამატებით დიზაინზე	10
10.	ერთზე მეტი მფლობელის არსებობის შემთხვევაში, ყოველი დამატებითი მოწმობის გაცემა	20
11.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეორე ხუთი წლით ერთ დიზაინზე	80
12.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეორე ხუთი წლით თითოეულ დამატებით დიზაინზე	10
13.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მესამე ხუთი წლით ერთ დიზაინზე	100
14.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მესამე ხუთი წლით თითოეულ დამატებით დიზაინზე	10
15.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეოთხე ხუთი წლით ერთ დიზაინზე	300
16.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეოთხე ხუთი წლით თითოეულ დამატებით დიზაინზე	30
17.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეხუთე ხუთი წლით ერთ დიზაინზე	550
18.	რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მეხუთე ხუთი წლით თითოეულ დამატებით დიზაინზე	50
	ქმედებები განმცხადებლის, მფლობელის ან/და მესამე პირის მოთხოვნით	
19.	საგანაცხადო მასალებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა	40
20.	ცვლილებების შეტანა რეესტრიის მონაცემებში ერთი რეგისტრაციისათვის	40
21.	დიზაინის გამოქვეყნების გადადება ყოველი ერთი მიმართვით	100
22.	„საქპატენტის“ მოთხოვნაზე პასუხის გაცემისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება ყოველი ერთი თვით	30
23.	განაცხადის განხილვის შეჩერება ყოველი ერთი თვით	30
24.	განაცხადის დამოწმებული ასლის გაცემა	30
25.	რეესტრიდან დამოწმებული ამონაწერის გაცემა	30

26.	მოწმობის დუბლიკატის გაცემა	60
27.	დამოწმებული ამონაწერის გაცემა საფასურების გადახდის შესახებ	5
28.	ხელშეკრულების რეგისტრაცია ერთი რეგისტრაციისათვის	100
29.	სააპელაციო საჩივრის განხილვა ერთ დიზაინზე	200
30.	სააპელაციო საჩივრის განხილვა თითოეულ დამატებით დიზაინზე	20
31.	ვადის დარღვევის გამო, განაცხადთან დაკავშირებული დაკარგული უფლებების აღდგენა	30
31[1].	ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება ერთ დიზაინზე	200
31[2].	ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება თითოეულ დამატებით დიზაინზე	20
31[3].	წინასწარი ძიების ჩატარება ერთ დიზაინზე	50
31[4].	საკონვენციო პრიორიტეტის აღდგენის მოთხოვნა	30
31[5].	საკონვენციო პრიორიტეტის აღდგენის მოთხოვნა თითოეულ დამატებით დიზაინზე	10
31[6].	მფლობელის უფლებების აღდგენის მოთხოვნა	100
31[7].	მფლობელის უფლებების აღდგენის მოთხოვნა თითოეულ დამატებით დიზაინზე	10
დაჩქარებული რეგისტრაცია		
32.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით ერთ დიზაინზე	100
33.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით თითოეულ დამატებით დიზაინზე	20
34.	არსობრივი ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით ერთ დიზაინზე	160
35.	არსობრივი ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით თითოეულ დამატებით დიზაინზე	20
36.	საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნა ერთ დიზაინზე, დაჩქარებული ექსპერტიზის შემთხვევაში	60
37.	საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნა თითოეულ დამატებით დიზაინზე, დაჩქარებული ექსპერტიზის შემთხვევაში	20
38.	ერთი დიზაინის გამოქვეყნება დაჩქარებული პროცედურით	20
39.	რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა დაჩქარებული პროცედურით და პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნება	200
40.	ერთზე მეტი მფლობელის არსებობის შემთხვევაში, ყოველი დამატებითი მოწმობის გაცემა დაჩქარებული პროცედურით	20
ჰააგის შეთანხმების საფუძველზე, საერთაშორისო დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებისათვის განსაზღვრული საფასურები		
41.	საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების გავრცელება ერთი დიზაინისათვის	90
42.	საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების გავრცელება თითოეული დამატებითი დიზაინისათვის	50
43.	საერთაშორისო რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მომდევნო 5 წლით, ერთი დიზაინისათვის	21
44.	საერთაშორისო რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება ყოველი მომდევნო 5 წლით, თითოეული დამატებითი დიზაინისათვის	1

დანართი №4

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 ივლისის დადგენილება №215 - სსმ III, №94, 02.08.2010წ., მუხ.1390
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის დადგენილება №189 - ვებგვერდი, 02.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №343 - ვებგვერდი, 12.09.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ივნისის დადგენილება №328 - ვებგვერდი, 19.06.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის დადგენილება №220 - ვებგვერდი, 10.07.2024წ.

სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები

№	ქმედება	აშშ დოლარი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)
1.	სასაქონლო ნიშნის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა საქონლის ერთ კლასზე	90
2.	სასაქონლო ნიშნის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა საქონლის ყოველ ერთზე მეტ კლასზე	50
3.	კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა საქონლის ერთ კლასზე	150
4.	კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა საქონლის ყოველ ერთზე მეტ კლასზე	90

5.	საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნა	30
6.	სასაქონლო ნიშნის არსობრივი ექსპერტიზა	120
7.	კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის არსობრივი ექსპერტიზა	310
8.	სასაქონლო ნიშნის გამოქვეყნება	60
9.	კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის გამოქვეყნება	60
10.	განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენა	90
11.	სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა და 10 წლით ძალის შენარჩუნება	150
12.	ერთზე მეტი განმცხადებლის არსებობის შემთხვევაში, ყოველი დამატებითი მოწმობის გაცემა	30
13.	სასაქონლო ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელება მომდევნო 10 წლით საქონლის ერთ კლასზე	300
14.	სასაქონლო ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელება მომდევნო 10 წლით საქონლის ყოველ ერთზე მეტ კლასზე	50
15.	კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა და 10 წლით ძალის შენარჩუნება	550
16.	კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელება მომდევნო 10 წლით საქონლის 1 კლასზე	550
17.	კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელება მომდევნო 10 წლით საქონლის ყოველ ერთზე მეტ კლასზე	90
18.	საერთაშორისო განაცხადის დამოწმება და გადაგზავნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროში	60
19.	დამატებითი გავრცელების შესახებ საერთაშორისო განაცხადის დამოწმება და გადაგზავნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროში	60
20.	განაცხადის მასალებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა ყოველ ერთ მიმართვაზე	60
21.	განაცხადის განხილვის შეჩერება ყოველი 1 თვით	50
22.	ცვლილებების შეტანა რეესტრში 1 მიმართვით ყოველ ერთ ნიშანზე	60
23.	მადრიდის შეთანხმების ოქმის შესაბამისად, გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე წარდგენილი ეროვნული განაცხადი	60
24.	განაცხადის დამოწმებული ასლის გაცემა	30
25.	რეესტრიდან დამოწმებული ამონაწერის გაცემა	30
26.	მოწმობის დუბლიკატის გაცემა	90
27.	მოწმობის დანართის დუბლიკატის გაცემა	30
28.	დამოწმებული ამონაწერის გაცემა საფასურების გადახდის შესახებ	5
29.	ხელშეკრულების რეგისტრაცია ყოველ ერთ ნიშანზე	90
30.	სააპელაციო საჩივრის განხილვა სასაქონლო ნიშანზე	200

31.	სააპელაციო საჩივრის განხილვა კოლექტიურ ან სასერტიფიკაციო ნიშანზე	400
32.	მოთხოვნილი საბუთის წარდგენის ვადის გაგრძელება ერთი თვით	30
33.	სასაქონლო ნიშანზე განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით საქონლის ჩამონათვალის ერთ კლასზე	200
34.	კოლექტიურ ან სასერტიფიკაციო ნიშანზე განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით საქონლის ჩამონათვალის ერთ კლასზე	260
35.	სასაქონლო ნიშანზე განაცხადის არსობრივი ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით საქონლის ჩამონათვალისათვის ერთ კლასზე	300
36.	კოლექტიურ ან სასერტიფიკაციო ნიშანზე განაცხადის არსობრივი ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით საქონლის ჩამონათვალისათვის ერთ კლასზე	390
37.	სასაქონლო ნიშანზე განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით საქონლის ჩამონათვალის ყოველ დამატებით კლასზე	100
38.	კოლექტიურ ან სასერტიფიკაციო ნიშანზე განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით საქონლის ჩამონათვალის ყოველ დამატებით კლასზე	130
39.	სასაქონლო ნიშანზე განაცხადის არსობრივი ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით საქონლის ჩამონათვალის ყოველ დამატებით კლასზე	100
40.	კოლექტიურ ან სასერტიფიკაციო ნიშანზე განაცხადის არსობრივი ექსპერტიზა დაჩქარებული პროცედურით საქონლის ჩამონათვალის ყოველ დამატებით კლასზე	130
41.	სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა, გამოქვეყნება დაჩქარებული პროცედურით და 10 წლით ძალის შენარჩუნება	340
42.	კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა, გამოქვეყნება დაჩქარებული პროცედურით და 10 წლით ძალის შენარჩუნება	660
43.	სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა, გამოქვეყნება დაჩქარებული პროცედურით და ათი წლით ძალის შენარჩუნება ყოველ დამატებით კლასზე	100
44.	კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა, გამოქვეყნება დაჩქარებული პროცედურით და 10 წლით ძალის შენარჩუნება ყოველ დამატებით კლასზე	130
45.	სასაქონლო ნიშნის განაცხადის გაყოფა ორ ან ორზე მეტ განაცხადად ან სხვადასხვა საქონლისათვის წარდგენილი იდენტური სასაქონლო ნიშნების ორი ან მეტი განაცხადის გაერთიანება	60
46.	რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის დაყოფა, თითოეულ გამოყოფილ სასაქონლო ნიშანზე	150
47.	რეგისტრაციის შემდგომ დაყოფილი სასაქონლო ნიშნების ერთ სასაქონლო ნიშნად გაერთიანება	60
48.*	სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვლის დაზუსტება საქონლის ყოველ ერთ კლასზე	50

ინდივიდუალური საფასურები ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმით საქართველოზე გავრცელებისათვის		
№	ქმედება	შვეიცარიული ფრანკი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)
49.	მადრიდის ოქმით საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელება საქართველოზე 10 წლით საქონლის ერთ კლასზე	314
50.	მადრიდის ოქმით საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელება საქართველოზე 10 წლით საქონლის ყოველ ერთზე მეტ კლასზე	115
51.	მადრიდის ოქმით საერთაშორისო რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მომდევნო 10 წლით, საქონლის ერთ კლასზე	314
52.	მადრიდის ოქმით საერთაშორისო რეგისტრაციის ძალის შენარჩუნება მომდევნო 10 წლით საქონლის ერთზე მეტ კლასზე	115

48.* ეს საფასური გადაიხდება „„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (N4048-XIVმს-Xმპ, სსმ, ვებგვერდი, 07/03/2024) მე-2 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად. 2025 წლის 9 მარტამდე აღნიშნული საქონლის ჩამონათვალის დაზუსტება განხორციელდეს საფასურის გადახდის გარეშე.

დანართი №5

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №688 - ვებგვერდი, 22.12.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ივნისის დადგენილება №328 - ვებგვერდი, 19.06.2018წ.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საფასურები

№	ქმედება	აშშ დოლარი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)
1.	საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის სარეგისტრაციო განაცხადის ექსპერტიზა	40
2.	საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოქვეყნება, რეგისტრაცია, მოწმობის გაცემა	20
3.	ცვლილებების შეტანა რეესტრში	30
4.	რეესტრიდან დამოწმებული ამონაწერის გაცემა	30

№	ქმედება	ლარი
1.	ნაწარმოების დეპონირებისა და მოწმობის გაცემის საფასური	10
2.	მონაცემთა ბაზის დეპონირებისა და მოწმობის გაცემის საფასური	10
3.	დეპონირების მოწმობის დუბლიკატის გაცემის საფასური	5

საქართველოს მთავრობის
2010 წლის 3 ივლისის
დადგენილება №181

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ (შემდგომში – საქპატენტი) არის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების სამართლებრივ უზრუნველყოფას.

2. საქპატენტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს საპატენტო კანონის, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის, „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ დებულებისა და სხვა სამარ- თლებრივი აქტების შესაბამისად.

3. საქპატენტს აქვს სიმბოლიკა, ბეჭედი საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით, დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში, კანონმდებლობით ნებადართული ანგარიშები ბანკში და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

4. საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას საქპატენტი უფლებამოსილია, გასწიოს სახელმწიფო წარმომადგენლობა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის დადგენილება №9 – ვებგვერდი, 27.01.2015წ.

მუხლი 2. საქპატენტის ძირითადი ამოცანები

საქპატენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება;

ბ) ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი განხორციელების ორგანიზება;

გ) ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პოლიტიკის განსაზღვრა და მისი განხორციელება;

დ) ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების ორგანიზება;

ე) საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ვ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, მცენარეთა ახალი ჯიში, ცხოველთა ახალი ჯიში, სასაქონლო ნიშანი, ადგილწარმოშობის დასახელება, გეოგრაფიული აღნიშვნა, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, საავტორო და მომიჯნავე უფლებები) უფლების მოპოვების სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური და მხატვრულ-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა;

ზ) ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფა;

თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ამოცანათა შესრულება.

მუხლი 3. საქპატენტის ძირითადი ფუნქციები

საქპატენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განაცხადის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტიზა, შესაბამისი დოკუმენტების გაცემა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრების წარმოება;

ბ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით განმცხადებლებისა და მესამე პირების სააპელაციო საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში;

გ) ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ წინადადებების მომზადება;

დ) საქპატენტის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული და კანონმდებლობიდან გამომდინარე ფუნქციების შესრულების მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პროექტებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

ე) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასთან დაკავშირებით მასალების გამოქვეყნება, მათ შორის, საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის გამოცემა;

ვ) საერთაშორისო განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება;

ზ) ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

თ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მონაცემთა ავტომატიზებული ბაზების შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ი) საქართველოს პატენტრწმუნებულთა (შემდგომში – პატენტრწმუნებული) საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება, პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის გაცემა, პატენტრწმუნებულთა რეესტრის წარმოება, პატენტრწმუნებულის მოწმობის გაცემა და სპეციალური მოსამზადებელი კურსის დანერგვისა და განხორციელების უზრუნველყოფა;

[ი[1]) პატენტრწმუნებულთა განგრძობადი პროფესიული განათლების პროგრამისთვის საჭირო კურსების დანერგვისა და განხორციელების უზრუნველყოფა; ***(ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან)***]

კ) საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების, მათი მემკვიდრეებისა და სხვა უფლებამონაცვლეების ქონებრივი უფლებების დაცვისათვის, კოლექტიურ საფუძველზე,

მმართველი ორგანიზაციების (საზოგადოებების) საქმიანობის ხელშეწყობა;

ლ) საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარების ხელშეწყობა;

მ) ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება, საინფორმაციო და შემეცნებითი ბროშურებისა და სხვა მასალების გამოქვეყნება და გავრცელება, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და საერთაშორისო შეთანხმებების კომენტარების მომ- ზადება და გამოცემა;

ნ) ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება;

ო) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მარტის დადგენილება №81 - ვებგვერდი, 24.03.2025წ.

მუხლი 4. საქპატენტის უფლებამოსილებანი

საქპატენტი უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს სახელმწიფოს სახელით გასცეს შესაბამისი დოკუმენტები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე;

ბ) წარმოადგინოს საქართველო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში და ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში;

გ) ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები და კოორდინაცია გაუწიოს ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას;

დ) საქპატენტთან არსებული დავების განმხილველი ორგანოს – სააპელაციო პალატის მეშვეობით განიხილოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, აგრეთვე მათი დაცვის კრიტერიუმებთან, პატენტის გაცემასა და სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დავებზე, – აღიაროს სასაქონლო ნიშანი საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად;

დ[1]) განახორციელოს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის ან/და აღიარებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის უცხო ქვეყანაში რეგისტრაციისა და დაცვისთვის საჭირო ღონისძიებები;

ე) გამართოს სემინარები, კონფერენციები და სხვა ღონისძიებანი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;

ვ) მიავლინოს საქპატენტის თანამშრომლები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გამოცდილების შესაძენად, სემინარებში, კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად;

ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები;

თ) სახელმწიფოში ინტელექტუალური საკუთრების სისტემისა და საინოვაციო საქმიანობის განვითარების კუთხით, განახორციელოს მიზნობრივი პროექტები;

ი) საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს კერძო სამართლის იურიდიული პირები.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №416 - ვებგვერდი, 09.11.2011წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის დადგენილება №9 – ვებგვერდი, 27.01.2015წ. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №550 – ვებგვერდი, 27.10.2015წ. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №386 – ვებგვერდი, 19.11.2024წ.

მუხლი 5. საქპატენტის ქონება და შემოსავლები

1. საქპატენტის ქონება არის ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, რომლებიც აისახება საქპატენტის დამოუკიდებელ ბალანსზე.

2. საქპატენტს უფლება აქვს, დამოუკიდებლად შეიძინოს და განკარგოს ქონება, გარდა უძრავი ქონებისა. საქპატენტი უძრავ ქონებას იძენს და განკარგავს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით.

3. საქპატენტის დაფინანსება ხორციელდება:

ა) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასა და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლით;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლით, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით.

4. „საქპატენტის“ შემოსავლები გამოიყენება მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ამოცანების, ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განსახორციელებლად და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებული, „საქპატენტის“ მიერ განსახორციელებელი სხვა მიზნების შესასრულებლად.

5. საქპატენტი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აიღოს სესხი ან გააფორმოს ბანკთან სადეპოზიტო ხელშეკრულება.

6. საქპატენტი საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებას აწარმოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №416 – ვებგვერდი, 09.11.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის დადგენილება №9 – ვებგვერდი, 27.01.2015წ.

მუხლი 6. საქპატენტის მართვა

1. საქპატენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საქპატენტის თავმჯდომარე თანამდებობაზე ინიშნება ოთხი წლის ვადით.

2. საქპატენტის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს საქპატენტის საქმიანობას, ახორციელებს საქპატენტის საქმიანობის კოორდინაციას;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს საქპატენტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) უფლებამოსილია, განახორციელოს თავის კომპეტენციას მიკუთვნებული ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის უფლების დელეგირება სამსახურის სხვა თანამშრომელზე;

დ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;

ე) წარმოადგენს საქპატენტს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ვ) მინდობილობის გარეშე მოქმედებს საქპატენტის სახელით, განაგებს საქპატენტის ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხსნის მიმდინარე ან/და სადეპოზიტო ანგარიშებს კომერციულ ბანკებში;

ზ) განსაზღვრავს და ამტკიცებს საქპატენტის სტრუქტურული ერთეულების დებულებას და შინაგანაწესს;

თ) განსაზღვრავს და ამტკიცებს საქპატენტის საშტატო განრიგს და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობას;

ი) ამტკიცებს საქპატენტში სტაჟირების გავლის წესს, ნიშნავს და ათავისუფლებს სტაჟიორებს;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს კონკურსის წესით და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქპატენტის თანამშრომლებს, განსაზღვრავს და ამტკიცებს დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ლ) იღებს გადაწყვეტილებას საქპატენტის თანამშრომელთა წახალისების, სახელფასო დანამატების გაცემისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

მ) (ამოღებულია – 21.03.2025, №81);

ნ) საქართველოს პრემიერ–მინისტრთან შეთანხმებით ამტკიცებს საქპატენტის ბიუჯეტს;

ო) საქპატენტის ფუნქციების განხორციელებისას, უფლებამოსილია, შექმნას სამეცნიერო–საკონსულტაციო საბჭო და განსაზღვროს მისი შემადგენლობა და უფლებამოსილება;

ო[1]) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქპატენტის თანამშრომლებისათვის ადგენს სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებებსა და შეღავათებს.

პ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლება–მოვალეობებს.

3. საქპატენტის თავმჯდომარეს ჰყავს 2 მოადგილე, რომელთაც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თავმჯდომარე. საქპატენტის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს საქპატენტის თავმჯდომარის ერთ–ერთი მოადგილე.

4. (ამოღებულია – 18.04.2023, №155).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის დადგენილება №9 – ვებგვერდი, 27.01.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 თებერვლის დადგენილება №54 – ვებგვერდი, 12.02.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 დეკემბრის დადგენილება №613 – ვებგვერდი, 12.12.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 მარტის დადგენილება №155 – ვებგვერდი, 11.03.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის დადგენილება №155 – ვებგვერდი, 19.04.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მარტის დადგენილება №81 – ვებგვერდი, 24.03.2025წ.

მუხლი 6[1]. საქპატენტის სტრუქტურა

1. საქპატენტი მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით.

2. საქპატენტის სტრუქტურული ერთეულებია:
ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი, რომლის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:
ა.ა) ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველო;

ა.ბ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველო;

ა.გ) საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველო;

ა.დ) სერვისების განვითარებისა და მოქალაქეთა მომსახურების სამმართველო;

ბ) გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტი, რომლის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ბ.ა) მექანიკისა და ფიზიკის სამმართველო;

ბ.ბ) ქიმია–მედიცინისა და ბიოლოგიის სამმართველო;

გ) ეკონომიკური დეპარტამენტი, რომლის სტრუქტურული ქვედანაყოფებია: გ.ა) ლოჯისტიკის სამმართველო;

გ.ბ) საფინანსო სამმართველო;

გ.გ) შესყიდვების სამმართველო;

დ) ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი; ე) იურიდიული დეპარტამენტი;

ვ) მონიტორინგის სამსახური;

ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

თ) სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტი, რომლის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

თ.ა) დიზაინისა და დეპონირების სამმართველო;

თ.ბ) სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სამმართველო.

3. საქპატენტის სტრუქტურულ ერთეულსა და სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თავმჯდომარე.

4. ადმინისტრაციული დეპარტამენტის, გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის, ეკონომიკური დეპარტამენტისა და იურიდიული დეპარტამენტის უფროსებს ჰყავთ მოადგილეები, რომელთაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თავმჯდომარე.

5. საქპატენტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განისაზღვრება ამ დებულებითა და საქპატენტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების დებულებებით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის დადგენილება №9 – ვებგვერდი, 27.01.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 მარტის დადგენილება №155 – ვებგვერდი, 11.03.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 თებერვლის დადგენილება №53 – ვებგვერდი, 07.02.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის დადგენილება №155 – ვებგვერდი, 19.04.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 3 აგვისტოს დადგენილება №366 – ვებგვერდი, 04.08.2026წ.

მუხლი 6². ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრა და მისი შესრულების უზრუნველყოფა;

ბ) ადამიანური რესურსების მოზიდვა, შერჩევის/დაქირავების პროცესის ორგანიზება და მართვა;

გ) საქპატენტსა და თანამშრომლებს შორის შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმიანობის სათანადო დოკუმენტური გაფორმება და თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოება;

დ) თანამშრომელთა მოტივაციისა და შეფასების სისტემების შექმნა, დანერგვა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

ე) შრომის შინაგანაწესის პროექტის შემუშავება; თანამდებობრივი სამუშაო აღწერილობების შედგენა და მეთოდური უზრუნველყოფა;

ვ) საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემების მართვა;

ზ) საქპატენტის საქმისწარმოების სისტემის ორგანიზება;

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული საიდუმლო ინფორმაციის შემცველი კორესპონდენციის/დოკუმენტაციის დადგენილი წესისა და პროცედურის შესაბამისად შენახვა/სისტემატიზაცია;

თ[1]) პატენტრწმუნებულთა რეესტრის წარმოებისა და პატენტრწმუნებულის მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა;

ი) საქპატენტის საერთაშორისო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დონორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა, პროექტების ინიციირება, კოორდინაცია, განხორციელებისათვის ხელშეწყობა;

კ) ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის უწყებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელების მიზნით;

ლ) საქპატენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების იმპლემენტაციის შესახებ ანგარიშების მომზადება;

მ) შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშების ანალიზი, ასევე მათი რეკომენდაციებისა და ვალდებულებების შესრულების შესახებ ანგარიშების მომზადება;

ნ) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე უწყებათაშორისი საბჭოების ფარგლებში სტრატეგიებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა და შესრულებული ანგარიშების მომზადება;

ო) საქპატენტის საქმიანობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, ასევე საქპატენტის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის წლიური ანგარიშების მომზადება;

პ) საქპატენტის წარმომადგენლობითი საკითხების (მათ შორის, საზღვარგარეთის ქვეყნებში) დაგეგმვა, ორგანიზება და კოორდინაცია;

ჟ) უცხოეთის დელეგაციების საქართველოში ვიზიტებსა და ოფიციალურ მიღებებთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, ოფიციალური მიღებების გამართვა, სტუმრების მიღება–გაცილება და სხვადასხვა ოფიციალურ პირთან შეხვედრების ორგანიზება;

რ) ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) მართვა/განვითარება, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა;

ს) საქპატენტის საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო (მონაცემთა) ბაზების ფორმირებისა და სარგებლობის, ასევე, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ტექნიკური უზრუნველყოფა;

ტ) საქპატენტის შიდა ქსელისა და მასთან მიერთებული დაშორებული ლოკალური ქსელების ტექნიკური გამართვა და ადმინისტრირება; კომპიუტერული ქსელების დაპროექტება და დანერგვა;

უ) საქპატენტის ვებგვერდისა და ელექტრონული ფოსტის ადმინისტრირება; საჭიროებისამებრ, ცალკეულ საინფორმაციო (მონაცემთა) ბაზებში ინფორმაციის განთავსების, განახლებებისა და ცვლილებების შეტანის ორგანიზება;

ფ) კომპიუტერული და საოფისე ტექნიკით აღჭურვის ორგანიზება, მათი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა; საქპატენტის კავშირგაბმულობის ტექნიკური მხარდაჭერა;

ქ) საქპატენტში არსებული სერვისების განვითარებაზე ზრუნვა, სერვისების მიწოდების პროცესის დაკვირვება, ანალიზი, არსებული ან შესაძლო პრობლემების ან/და ხარვეზების დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირების განხორციელება;

ღ) სერვისების მიწოდების პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით, შესაბამისი წინადადებების შემუშავება და ინიციირება;

ყ) საქპატენტის სერვისებთან დაკავშირებით კონსულტაციების (როგორც ადგილზე, ასევე სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით) გაწევა; ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით შემოტანილი განაცხადების, დამატებითი მასალების (აღწერილობა, ფორმულა, რეფერატი, ნახაზები და სხვ.), ასევე სააპელაციო საქმისწარმოების დოკუმენტების მიღება, დამუშავება, დასკანერება, მონაცემთა ბაზაში განთავსება და დაარქივება;

შ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ჩ) პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის დადგენილება №155 – ვებგვერდი, 19.04.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მარტის დადგენილება №81 – ვებგვერდი, 24.03.2025წ.

მუხლი 6³. გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტი

გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) გამოგონებისა და ახალი ჯიშების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა, მათი განხორციელების ორგანიზება;

ბ) გამოგონებისა და ახალი ჯიშების სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებაზე მუშაობა;

გ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ წინადადებების მომზადება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;

ე) გამოგონების, სასარგებლო მოდელის, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების განაცხადების კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტიზა, შესაბამისი დოკუმენტების გაცემა და, კომპეტენციის ფარგლებში, სამრეწველო საკუთრების რეესტრების წარმოება და განაცხადების საქმისწარმოებასთან დაკავშირებული სხვა ქმედებების განხორციელება;

ვ) განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურება და ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის ჩატარება; განაცხადზე არსობრივი ექსპერტიზის ჩატარება;

ზ) საერთაშორისო განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის დადგენილება №155 – ვებგვერდი, 19.04.2023წ.

მუხლი 6[4]. ეკონომიკური დეპარტამენტი

ეკონომიკური დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) საქპატენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ბ) საქპატენტის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დაცვის, შენახვისა და მოვლა- პატრონობის უზრუნველყოფა; სასაწყობო მეურნეობის მართვა და სასაწყობო ინფრასტრუქტურის გამართულობის უზრუნველყოფა;

გ) საქპატენტის ავტოპარკის მართვა და მისი გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სამუშაოების ორგანიზება, დაშვებული ლიმიტების გათვალისწინებით, საწვავის ხარჯვის კონტროლი;

დ) საქპატენტის ინფრასტრუქტურის (მათ შორის, ელექტროკომუნიკაციის, ვენტილაცია-კონდიცირებისა და სხვა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

ე) საქპატენტის სტრუქტურული ერთეულების საჭირო ნივთებით მომარაგება;

ვ) საქპატენტის არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის პროცესის უზრუნველყოფა;

ზ) საქპატენტის შენობა-ნაგებობების მდგომარეობის შემოწმება და საჭირო ღონისძიებების ჩატარების უზრუნველყოფა; სამშენებლო, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზება და მართვა და ამ მიზნით მესამე პირებთან ურთიერთობა;

თ) საფინანსო, ეკონომიკური და საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;

ი) ბუღალტრული დოკუმენტების აღრიცხვის რეგისტრების წარმოება და დროულ გაფორმებასა და მომხდარი ოპერაციების კანონიერებაზე წინასწარი კონტროლის განხორციელება;

კ) საქპატენტის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემლების დარიცხვა და კონტროლი გაცემაზე;

ლ) საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული პერიოდული ანგარიშების შედგენა და მისი წარდგენა დანიშნულებისამებრ;

მ) ძირითადი საშუალებების, ასევე მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების აღრიცხვა და დოკუმენტების შემუშავება;

ნ) მატერიალური ფასეულობების, ფულადი სახსრების, დებიტორებსა და კრედიტორებთან ანგარიშსწორების ინვენტარიზაციის ჩატარების უზრუნველყოფა, ინვენტარიზაციის შედეგების დროული განსაზღვრა და აღრიცხვაში ასახვა;

ო) საქპატენტის გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესყიდვა, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/ქვედანაყოფების დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;

პ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის, მასში შესატანი ცვლილებების პროექტის შემუშავება და წარდგენა;

ჟ) სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების ჩატარება, ანგარიშგება, შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მომზადება, წარმოება, რეგისტრაცია და შენახვა;

რ) შესყიდვის რაციონალური განხორციელების, ღია და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით ბაზრის კვლევა და ალტერნატივების ძიება.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის დადგენილება №155 – ვებგვერდი, 19.04.2023წ.

მუხლი 6[5]. ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი
ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრის ფუნქციებია:

ა) ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცოდნის გავრცელების ხელშეწყობა. საქპატენტის ამოცანებიდან, ფუნქციებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სწავლების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და სასწავლო პროცესის ორგანიზება;

ბ) ინტელექტუალური საკუთრების სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება, სწავლების საჭიროებების ანალიზი, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

გ) საქპატენტის თანამშრომლების, სტაჟიორებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროთი დაინტერესებულ სხვა პირთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, მომზადება– გადამზადებისა და მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;

გ[1]) პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების უზრუნველყოფა და საგამოცდო კომისიის სამდივნოს შემადგენლობაში მონაწილეობა, აგრეთვე სპეციალური მოსამზადებელი კურსის ორგანიზების უზრუნველყოფა;

[გ[2]) პატენტრწმუნებულთა განგრძობადი პროფესიული განათლების პროგრამისთვის საჭირო კურსების ორგანიზების უზრუნველყოფა; ***(ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან)***]

გ[3]) პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის გაცემის უზრუნველყოფა;

დ) ტრენერთა, ტრენინგის ექსპერტთა და ტრენერ–კონსულტანტთა შერჩევის, მომზადებისა და გადამზადების ორგანიზება;

ე) ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე შესაბამის საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებებთან, აკადემიურ წრეებსა და სხვა ორგანიზაციებთან, ასევე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ერთობლივი სასწავლო პროგრამებისა და პროექტების შემუშავების, დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

ვ) საქპატენტის ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო პროექტებსა და შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობა;

ზ) ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით მასალების გამოქვეყნების უზრუნველყოფის მიზნით, სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის გამოცემა (ქართულ და ინგლისურენოვანი ვერსია);

თ) ინგლისური და რუსულენოვანი რეფერატების მომზადება;

ი) გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის ადგილობრივი განაცხადების რეფერატებისა და აღწერილობების, ასევე საერთაშორისო განაცხადების რეფერატების რედაქტირება და კორექტირება; აღწერილობების მომზადება დამცავ დოკუმენტთან ერთად გასაცემად;

კ) დარგობრივი ლიტერატურის, მათ შორის, წიგნების, კლასიფიკატორების, ბროშურების, ბუკლეტების, წლიური ანგარიშების, საინფორმაციო ფურცლებისა და სხვ. გამოსაცემად მომზადება, ციფრული და/ან ოფსეტური ბეჭდვა;

ლ) საქპატენტის ბიბლიოთეკის მართვისა და განვითარების უზრუნველყოფა;

მ) საქპატენტში შექმნილი მატერიალური სახის დოკუმენტების გაციფრულება (დიგიტალიზაცია) და შესაბამისი ელექტრონული არქივების შექმნა.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის დადგენილება №155 – ვებგვერდი, 19.04.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მარტის დადგენილება №81 – ვებგვერდი, 24.03.2025წ.

მუხლი 6⁶. იურიდიული დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) საქპატენტის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ბ) სამართალშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა, ასევე საქპატენტის საქმიანობასთან დაკავშირებით შესამუშავებელი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, სამართლებრივი შეფასება და მათი მიღების პროცესში ჩართულობა;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება ან/და მათი სამართლებრივი ექსპერტიზა;

დ) განცხადებებისა და სხვა კორესპონდენციის დადგენილი წესით განხილვა;

ე) სასამართლო დავებზე საქპატენტის წარმომადგენლობა;

ვ) საქპატენტის სახელით დასადები ხელშეკრულებებისა (გარდა შრომითი ხელშეკრულებებისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებისა) და მემორანდუმების მომზადება ან/და მათი სამართლებრივი ექსპერტიზა;

ზ) საქპატენტის საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების მუდმივი მონიტორინგი და მათ შესახებ საქპატენტის ხელმძღვანელობისა და სტრუქტურული ერთეულების დროული ინფორმირება;

თ) საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის საქმიანობის ორგანიზება და პალატის სამდივნოს ფუნქციის შესრულება;

ი) საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს მთავრობასა და სხვა უწყებებთან საქპატენტის ურთიერთობის უზრუნველყოფა, კომპეტენციის ფარგლებში;

კ) საქპატენტის საქმიანობასთან დაკავშირებით საქპატენტის თანამშრომლებისთვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა;

ლ) პატენტრწმუნებულთა რეესტრში პირის რეგისტრაციის უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის დადგენილება №155 – ვებგვერდი, 19.04.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №386 – ვებგვერდი, 19.11.2024წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მარტის დადგენილება №81 – ვებგვერდი, 24.03.2025წ.

მუხლი 6⁷. მონიტორინგის სამსახური

მონიტორინგის სამსახურის ფუნქციებია:

ა) საქპატენტისა და მისი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასა და მოქმედ სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება და მონიტორინგი;

ბ) მონიტორინგის ფარგლებში სარეკომენდაციო შემოწმების განხორციელება, რომელიც მოიცავს საქპატენტის სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის ქმედებების, დავალებებისა და პროცესების ერთობლიობის შეფასებას;

გ) საქპატენტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სტრატეგიული პროექტების შესრულების მონიტორინგი;

დ) საქპატენტში სამართალდარღვევის, დისციპლინური გადაცდომის ან/და საქპატენტის მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შესახებ ცნობებთან (განცხადება, წერილი, საჩივარი, შეტყობინება, სხვა ინფორმაცია ან ფაქტი) დაკავშირებით სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, დასკვნის მომზადება და თავმჯდომარისთვის წარდგენა;

ე) საქპატენტის საქმიანობაში არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა; აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და მათი გამომწვევი მიზეზების პრევენციის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება და თავმჯდომარისათვის წარდგენა;

ვ) საქპატენტის საქმიანობის ეფექტიანობის, პროდუქტიულობისა და ეკონომიურობის გაზრდის მიზნით, რეკომენდაციების შემუშავება;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;

თ) საქართველოს კანონმდებლობის, საქპატენტის დებულების, საქპატენტის გადაწყვეტილებების, საქპატენტის შინაგანაწესის, თავმჯდომარის ბრძანებებისა და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტების განუხრელ შესრულებაზე კონტროლი და შესაბამისი რეაგირების განხორციელება.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის დადგენილება №155 – ვებგვერდი, 19.04.2023წ.

მუხლი 6⁸. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციებია:

ა) საქპატენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება, საკომუნიკაციო კამპანიებისა და პროექტების დაგეგმვა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან ურთიერთობა და მათთან სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარება;

გ) მედიაღონისძიებების, კერძოდ, პრესკონფერენციების, ბრიფინგებისა და პრეზენტაციების დაგეგმვა და განხორციელება;

დ) საქპატენტის მიერ განხორციელებული რეფორმების, პროექტების, სიახლეების, მიღწევების, საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მედიარელიზებისა და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება;

ე) საქპატენტის საქმიანობის შესახებ რეკლამების, საგაზეთო სტატიებისა და ვიდეორგოლების დაგეგმვა და მომზადებაში მონაწილეობა;

ვ) ინტელექტუალური საკუთრების საკითხებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში, საქპატენტის პოზიციის გამოხატვა, ახსნა– განმარტების მომზადება და მასალის დაარქივება;

ზ) მასმედიის ანალიზი, ინფორმაციული ნაკადების მუდმივი მონიტორინგი და რეკომენდაციების მომზადება;

თ) მასმედიასთან ურთიერთობა პრესკონფერენციების, ბრიფინგების, შეხვედრების, სემინარებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით;

ი) საქპატენტის ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალურ ქსელებში სხვა ოფიციალური გვერდების მართვა.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის დადგენილება №155 – ვებგვერდი, 19.04.2023წ.

მუხლი 6⁹. სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტი

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სასაქონლო ნიშნების, ადგილწარმოშობის დასახელებების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა

და დიზაინების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, პრიორიტეტული მიმართულებებისა და სისტემის განვითარების კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების ორგანიზება;

ბ) სასაქონლო ნიშნების, ადგილწარმოშობის დასახელებების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინების სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებაზე მუშობა;

გ) სასაქონლო ნიშნების, ადგილწარმოშობის დასახელებების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინების სფეროში საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ წინადადებების მომზადება;

დ) სასაქონლო ნიშნების, ადგილწარმოშობის დასახელების, გეოგრაფიული აღნიშვნისა და დიზაინების განაცხადის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტიზა, შესაბამისი დოკუმენტების გაცემა და, კომპეტენციის ფარგლებში, რეესტრების წარმოება;

ე) საერთაშორისო განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება;

ვ) საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების დეპონირების განხორციელება.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის დადგენილება №155 – ვებგვერდი, 19.04.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №386 – ვებგვერდი, 19.11.2024წ.

მუხლი 7. საქპატენტის ანგარიშვალდებულება

საქპატენტი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ–მინისტრის წინაშე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

1. საქპატენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საქპატენტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის
2011 წლის 18 მარტის ბრძანება №02

საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან – „საქპატენტთან“ – (შემდგომში – საქპატენტი) არსებული სააპელაციო პალატის (შემდგომში – სააპელაციო პალატა) ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, სტრუქტურას და საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სააპელაციო პალატა შექმნილია „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე–9 მუხლის საფუძველზე და წარმოადგენს საქპატენტთან არსებულ, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, ასევე მათი დაცვის კრიტერიუმებთან, პატენტის გაცემასთან და სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავების განმხილველ ორგანოს.

3. სააპელაციო პალატა თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

მუხლი 2. სააპელაციო პალატის შემადგენლობა

1. სააპელაციო პალატის თავმჯდომარეა საქპატენტის თავმჯდომარე.

2. სააპელაციო პალატის მდივნებს, იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომელთაგან ბრძანებით ნიშნავს სააპელაციო პალატის თავმჯდომარე. სააპელაციო პალატის მდივანი უზრუნველყოფს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული კორესპონდენციის, მათ შორის, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებების, მხარეებთან გაგზავნას.

3. სააპელაციო პალატის კოლეგია (შემდგომში – კოლეგია) იქმნება თავმჯდომარის ბრძანებით, საქპატენტის თანამშრომელთაგან, სამი წევრის შემადგენლობით.

4. სააპელაციო პალატის თავმჯდომარე კოლეგიის წევრთაგან ნიშნავს კოლეგიის თავმჯდომარეს.

5. კოლეგიის ერთ–ერთი წევრი უნდა იყოს საქპატენტის იმ დეპარტამენტის თანამშრომელი, რომელ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტსაც ეხება სააპელაციო საჩივარი, ხოლო მეორე წევრი – იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომელი;

6. თუ სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული საკითხი მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის, კოლეგიის ინიციატივით ან მხარეთა დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, კოლეგია უფლებამოსილია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მოიწვიოს ექსპერტი, რომელიც არ არის საქპატენტის თანამშრომელი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

მუხლი 3. აცილების საფუძვლები

1. დაუშვებელია საქმის განხილვაში კოლეგიის იმ წევრის მონაწილეობა, რომელიც:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს ან მას ამა თუ იმ დაინტერესებულ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;

ბ) მონაწილეობდა განაცხადზე ექსპერტიზის ჩატარებაში ან/და გადაწყვეტილების მიღებაში;

გ) დაინტერესებული მხარის ან/და მისი წარმომადგენლის ნათესავია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული აცილების საფუძვლები ვრცელდება, აგრეთვე, სააპელაციო პალატის მდივანზე და ამ დებულების მე–2 მუხლის მე–6 პუნქტით გათვალისწინებულ მოწვეულ ექსპერტზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

მუხლი 4. თვითაცილება და დაინტერესებულ მხარეთა განცხადება აცილების შესახებ

1. აცილების საფუძვლების არსებობისას კოლეგიის წევრი/მდივანი ვალდებულია სააპელაციო პალატის თავმჯდომარეს წერილობით აცნობოს თვითაცილების შესახებ და მიუთითოს თვითაცილების საფუძველი.

2. კოლეგიის წევრის თვითაცილების შემთხვევაში, სააპელაციო პალატის თავმჯდომარე განიხილავს კოლეგიის წევრის თვითაცილების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას კოლეგიის ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, ხოლო მდივნის თვითაცილების შემთხვევაში, საქმის განხილვა გაგრძელდება სხვა მდივნის მონაწილეობით.

3. სააპელაციო საჩივრის განხილვაში მონაწილე დაინტერესებული მხარე, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს კოლეგიის წევრის/მდივნის, ამ დებულების მე–3 მუხლით განსაზღვრული აცილების საფუძველი, ვალდებულია აცილების შესახებ განცხადება წარადგინოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ან იმ მომენტიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა აცილების საფუძველი.

4. კოლეგიის წევრის/მდივნის აცილების შესახებ საკითხს წყვეტს სააპელაციო პალატის თავმჯდომარე 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. თუ განცხადება მდივნის აცილების შესახებ დაკმაყოფილდა, საქმის განხილვა გაგრძელდება სხვა მდივნის მონაწილეობით.

6. თუ განცხადება კოლეგიის წევრის აცილების შესახებ დაკმაყოფილდა, ამ დებულებით განსაზღვრული წესით სააპელაციო პალატის თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებას კოლეგიის ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ და სააპელაციო პალატის სხდომა გადაიდება არაუმეტეს ორი კვირით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

მუხლი 5. საფასური

1. სააპელაციო პალატაში სააპელაციო საჩივრის შეტანისას გადაიხდება „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილებით დამტკიცებული საფასური.

2. სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შემდეგ, სააპელაციო საჩივრის განხილვისათვის გადახდილი საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახილველად მიღების შემდეგ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

მუხლი 6. სააპელაციო პალატაში გასაჩივრებისა და მიმართვის საფუძვლები

1. სააპელაციო პალატაში გასაჩივრების საფუძვლებია:
   ა) საქართველოს საპატენტო კანონის 40^3 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საფუძველი;
   ბ) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 15^1 მუხლის მე-7 პუნქტში, მე-16 მუხლის პირველ, მე-2 და მე-4 პუნქტებში, 38^4 მუხლსა და 38^6 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული საფუძვლები;
   გ) „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული საფუძვლები;
   დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2. (ამოღებულია – 04.09.2024, №7).

3. სააპელაციო პალატაში სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან/ჩაბარებიდან 3 თვის ვადაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2024 წლის 4 სეტემბრის ბრძანება №7 – ვებგვერდი, 05.09.2024წ.

მუხლი 6^1. სააპელაციო საჩივრის წარდგენა

1. სააპელაციო პალატაში სააპელაციო საჩივრის წარდგენა ხდება მატერიალური ფორმით ან ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

2. სააპელაციო საჩივარი წარდგენილი უნდა იქნეს სააპელაციო პალატის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული სააპელაციო საჩივრის ფორმით.
3. ელექტრონული ფორმით წარდგენისას, სააპელაციო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს საქპატენტის ელექტრონული სისტემის (შემდგომ – ელექტრონული სისტემა) www.online.sakpatenti.gov.ge მეშვეობით.

4. სააპელაციო საჩივრის ელექტრონული ფორმით წარდგენისას, მხარეებთან კორესპონდენციის/ბრძანების/გადაწყვეტილების გაგზავნა ხდება საქპატენტის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ბრძანება/გადაწყვეტილება/შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ბრძანების/გადაწყვეტილების/შეტყობინების მიღების შესახებ შეტყობინების ელექტრონულ სისტემაში ასახვისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

მუხლი 7. სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება და განხილვის ვადები

1. კოლეგია იხილავს სააპელაციო საჩივარს და გამოაქვს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის შეტანის დღიდან 3 თვის ვადაში.

2. სააპელაციო საჩივარს წარდგენის დღესვე ენიჭება სპეციალური ნომერი.

3. სააპელაციო საჩივრის შეტანის თარიღად ითვლება მისი საქპატენტში წარდგენის თარიღი.

4. სააპელაციო საჩივრის შეტანის თარიღიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სააპელაციო პალატის თავმჯდომარე ქმნის კოლეგიას.

5. თუ სააპელაციო საჩივარი აკმაყოფილებს ამ დებულების 6^1 მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტების და მე–8 მუხლის მოთხოვნებს, კოლეგიას გამოაქვს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების თაობაზე.

6. სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის თარიღი მხარეებს ეცნობებათ ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე. საჭიროების შემთხვევაში, ზეპირი მოსმენა შესაძლებელია გაიმართოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით.

7. საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის საქართველოში დაცვის მინიჭების შესახებ საქპატენტის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის განხილვისათვის დადგენილი სამთვიანი ვადის დენა ჩერდება, სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე, მიღებული წინასწარი გადაწყვეტილების ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროში გაგზავნიდან ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე ან დაინტერესებული მხარის მიერ პოზიციის წარმოდგენამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

მუხლი 8. სააპელაციო საჩივრის შინაარსი და დასაშვებობა

1. სააპელაციო საჩივარი უნდა ეხებოდეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის მხოლოდ ერთ განაცხადს.

2. (ამოღებულია – 28.01.21, №1).

3. სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:

ა) სააპელაციო პალატის სრულ დასახელებას;

ბ) სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის სახელს/სახელწოდებას და საკონტაქტო ინფორმაციას;

ბ[1]) წარმომადგენლის (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს), სახელს/სახელწოდებასა და საკონტაქტო ინფორმაციას;

გ) გასაჩივრებული აქტის დასახელებას, ნომერს და თარიღს;

დ) მითითებას იმის თაობაზე, თუ აქტის რა ნაწილია გასაჩივრებული;

ე) მითითებას, თუ რაში მდგომარეობს აქტის უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი;

ვ) გასაჩივრების სამართლებრივ საფუძვლებსა და გარემოებებს, რომლებსაც ეფუძნება მოთხოვნა;

ზ) სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხას და გვერდების რაოდენობას.

4. თუ სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა აქტი, რომელსაც ასაჩივრებს, სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს მისი ასლი.

5. სააპელაციო საჩივარი და თანდართული მასალები სააპელაციო პალატას წარედგინება იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მხარეც მონაწილეობს სააპელაციო საჩივრის განხილვაში.

6. სააპელაციო საჩივარს ხელს აწერს მისი წარმდგენი პირი.

7. თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს ან/და უფლებამონაცვლეს, სააპელაციო საჩივარს თან უნდა ერთოდეს მხარის წარმომადგენლობის ან/და უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი.

7[1]. მხარის წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა) უნდა შეიცავდეს:

ა) მარწმუნებლის სახელს/სახელწოდებას, იურიდიულ მისამართს, პირად ნომერს/საიდენტიფიკაციო ნომერს, აგრეთვე, წარმომადგენლის (გარდა პატენტრწმუნებულისა) პირად ნომერს;

ბ) წარმომადგენლის (პატენტრწმუნებულის) უფლებამოსილების ფარგლებს;

გ) მინდობილობის შედგენის თარიღსა და ადგილს;

დ) მარწმუნებლის ხელმოწერას;

ე) მინდობილობის მოქმედების ვადას. თუ ვადა აღნიშნული არ არის, მინდობილობა ძალაშია მარწმუნებლის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

7^2. მინდობილობა ფორმდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ის არის შედგენილი.

8. სააპელაციო საჩივარს უნდა ახლდეს სააპელაციო საჩივრის განხილვისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

8^1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, თუ სააპელაციო საჩივარი წარდგენილია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“-„ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, იგი უნდა შეიცავდეს მონაცემებს ყველა იმ ადრინდელი პრიორიტეტის მქონე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე, დიზაინზე, გეოგრაფიულ აღნიშვნასა და/ან ადგილწარმოშობის დასახელებაზე, ან ამ ობიექტების ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადებზე, რომლის საფუძველზეც წარდგენილია სააპელაციო საჩივარი.

8^2. „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 41 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის თაობაზე შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს დიზაინის გამოსახულება შეცვლილი ფორმით.

9. სააპელაციო საჩივარი არ არის დასაშვები, თუ:

ა) სააპელაციო საჩივარი არ არის წარდგენილი ამ დებულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით;

ბ) გასულია სააპელაციო საჩივრის წარდგენის დადგენილი ვადა;

გ) არსებობს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

დ) სააპელაციო საჩივარი შეიტანა პირმა, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ;

ე) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

10. თუ სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს 6^1 მუხლის მე-2 პუნქტის და ამ მუხლის პირველი, მე-3–8^1 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კოლეგიას გამოაქვს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის თაობაზე და სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირს განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ იქნება აღმოფხვრილი, კოლეგიას გამოაქვს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის დენა ჩერდება.

11. თუ აღმოიფხვრა ის გარემოება, რომელიც გახდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, მხარე უფლებამოსილია განმეორებით მიმართოს სააპელაციო პალატას ამ დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

12. თუ სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კოლეგიას გამოაქვს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე.

13. თუ არსებობს სააპელაციო საჩივარზე როგორც ხარვეზის დადგენის, ასევე საჩივრის დაუშვებელად ცნობის საფუძველი, კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე.

14. კოლეგიამ სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების, ხარვეზის დადგენის ან დაუშვებლად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კოლეგიის შექმნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №17 – ვებგვერდი, 26.12.2025 წ.

მუხლი 8[1]. კომერციული საიდუმლოება

1. სააპელაციო საჩივრის, შესაგებლის ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია წარმოადგენს მის კომერციულ საიდუმლოებას. სააპელაციო პალატის კოლეგია 15 სამუშაო დღის ვადაში იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას მითითებული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით.

2. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად არმიჩნევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობიდან 15 სამუშაო დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში არ გაასაჩივრა ამ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სააპელაციო პალატას.

3. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად არმიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება არ აჩერებს სააპელაციო საჩივრის განხილვას. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე აღნიშნული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია მესამე პირთათვის ხელმისაწვდომი შესაძლოა გახდეს დაფარული ფორმით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

8[2]. „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის 41 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის თაობაზე შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს დიზაინის გამოსახულება შეცვლილი ფორმით.

მუხლი 9. განხილვის წესი

1. სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს: სააპელაციო პალატის კოლეგიის დანიშვნის შესახებ, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ, სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, სააპელაციო პალატის მდივანი უგზავნის აპელანტს ან მის წარმომადგენელს.

2. კოლეგიის მიერ სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შემდეგ, სააპელაციო პალატის მდივანი, სააპელაციო საჩივრისა და მასზე თანდართული მასალების, აგრეთვე, სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ გადაწყვეტილების ასლს უგზავნის დაინტერესებულ მხარეს.

3. დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია სააპელაციო პალატას წარუდგინოს შესაგებელი, მატერიალური ფორმით ან ელექტრონული სისტემის მეშვეობით, სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. შესაგებელი წარდგენილ უნდა იქნეს იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მხარეც მონაწილეობს სააპელაციო საჩივრის განხილვაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაგებლის წარდგენა ხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. შესაგებელი წარდგენილ უნდა იქნეს სააპელაციო პალატის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული ფორმით.

4. აპელანტს უფლება აქვს უარი თქვას სააპელაციო საჩივარზე საჩივართან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

5. სააპელაციო პალატა საქმისწარმოებას წარმართავს ქართულ ენაზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

მუხლი 10. დაინტერესებულ მხარეთა მიერ დამატებითი ინფორმაციის წარდგენა და ახალ გარემოებებზე მითითება

1. დაინტერესებული მხარე საქმესთან დაკავშირებულ დამატებით დოკუმენტებს წარადგენს ზეპირი მოსმენის გამართვამდე არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

2. დაუშვებელია კოლეგიის მიერ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა, ან დაინტერესებულ მხარეთა მიერ მისი წარდგენა, თუ ის შეიცავს ახალ გარემოებებს და ამით სცილდება აპელაციის ფარგლებს.

3. თუ წარდგენილ იქნება დამატებითი ინფორმაცია, რომელიც არ სცილდება აპელაციის საგანს, ზეპირი მოსმენა შესაძლოა გადაიდოს გონივრული ვადით.

4. დაინტერესებული მხარეების მიერ დამატებითი ინფორმაცია წარდგენილ უნდა იქნეს იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მხარეც მონაწილეობს საქმეში.

მუხლი 11. ზეპირი მოსმენის გადადება

1. დაინტერესებულ მხარეთა დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე ან კოლეგიის ინიციატივით შესაძლებელია ზეპირი მოსმენის გადადება გონივრული ვადით, რის შესახებაც ეცნობებათ დაინტერესებულ მხარეებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მე–7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დენა ჩერდება.

მუხლი 12. სააპელაციო საჩივარზე საქმისწარმოების შეჩერება

1. კოლეგია უფლებამოსილია მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეაჩეროს საქმის განხილვა, თუ გამოვლინდა ისეთი გარემოება, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს განსახილველი საქმის შედეგზე.

2. კოლეგია ვალდებულია დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, საქმისწარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისთანავე განაახლოს საქმისწარმოება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დენა ჩერდება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

მუხლი 13. კოლეგიის სხდომა

1. კოლეგიის სხდომას თავმჯდომარეობს კოლეგიის თავმჯდომარე;

2. თავმჯდომარე ხსნის სხდომას და აცხადებს, თუ რომელი საქმე იქნება განხილული;

3. თავმჯდომარე მხარეებს წარუდგენს კოლეგიის შემადგენლობას, სხდომის მდივანს და განუმარტავს მათ აცილების უფლების შესახებ;

4. თავმჯდომარე მოკლედ გადმოსცემს საჩივრის შინაარსს და შესაგებელში მითითებულ ძირითად გარემოებებს;

5. თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე და დამსწრე დაინტერესებულ მხარეს მისცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

6. მხარეთა ან მესამე პირთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ, კოლეგია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით განიხილავს და ამოწმებს სადავო მტკიცებულებებს.

7. თუ ზეპირი მოსმენის დასრულების შემდეგ, კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე გამოვლინდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ახალი გარემოება, აღნიშნული უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მხარეს და მიეცეს საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. კოლეგია უფლებამოსილია ახლად გამოვლენილი გარემოება განიხილოს ზეპირი მოსმენით.

8. სხდომა ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით საჯაროა. მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

მუხლი 14. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი

1. სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით გამართული ზეპირი მოსმენის სხდომის მიმდინარეობა აისახება აუდიოჩანაწერში, რომლის ჩაწერას ტექნიკური საშუალების გამოყენებით უზრუნველყოფს სხდომის მდივანი.

2. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის ჩანაწერის გამოთხოვის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს გადაეცემა შესაბამისი აუდიოჩანაწერი ელექტრონული ფორმით – აუდიოდისკის სახით.
3. დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შეთხვევაში დასაშვებია ოქმის გაცემა წერილობითი ფორმით, მოთხოვნის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. ოქმის წერილობითი ფორმით გაცემისას, ოქმს უნდა დაესვას სააპელაციო პალატის ბეჭედი.

5. წერილობითი ფორმით გაცემულ ოქმში მიეთითება:

ა) სააპელაციო საჩივრის დასახელება, სააპელაციო საჩივრის სპეციალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლის თაობაზეც ეწყობა განხილვა;

ბ) განხილვის დრო და ადგილი;

გ) კოლეგიის თავმჯდომარის, წევრებისა და სხდომაზე დამსწრე პირთა ვინაობა;

დ) დავის საგანი, განხილვაში მონაწილე პირთა ახსნა–განმარტების მოკლე აღწერა.

6. ამ მუხლის მე–3 პუნქტის საფუძველზე გაგზავნილ ოქმზე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს შენიშვნები ოქმის ჩაბარებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. თუ კოლეგია ეთანხმება შენიშვნას, ადასტურებს მის სისწორეს და ასახავს ოქმში, ხოლო თუ არ ეთანხმება გამოაქვს გადაწყვეტილება შენიშვნის უარყოფის შესახებ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

მუხლი 15. გადაწყვეტილება და მისი ძალაში შესვლა

1. კოლეგია საქმის არსებითად განხილვის შედეგად იღებს შემდეგი სახის გადაწყვეტილებებს:

ა) სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესახებ;

გ) საპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, მხარეთა დაუსწრებლად;

3. კოლეგიის გადაწყვეტილებას ხელს აწერენ კოლეგიის წევრები;

4. კოლეგიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის გადაწყვეტილებას;

5. კოლეგიის გადაწყვეტილებაში მიეთითება სააპელაციო საჩივრის შემოსვლის დროს საჩივრისათვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი;

6. კოლეგიის გადაწყვეტილება ფორმდება სპეციალურ ბლანკზე და მას დაესმება ბეჭედი;

7. სააპელაციო პალატის ბლანკისა და ბეჭდის ფორმას ამტკიცებს სააპელაციო პალატის თავმჯდომარე;

8. საქმის არსებითად განხილვის შედეგად კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ბრძანებით ამტკიცებს სააპელაციო პალატის თავმჯდომარე;
9. კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო პალატის თავმჯდომარის ბრძანებასთან ერთად გასაჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სასამართლოში კოლეგიის გადაწყვეტილებისა და სააპელაციო პალატის თავმჯდომარის ბრძანების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 16. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 17. გარდამავალი დებულებები

1. 2020 წლის 10 ოქტომბრამდე სააპელაციო პალატაში განხილულ საქმეთა შესახებ მესამე პირების მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვისას, სააპელაციო პალატის კოლეგია, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართავს შესაბამის დაინტერესებულ პირს/პირებს და ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე იმსჯელებს 8^1 მუხლით განსაზღვრული წესით.

2. ამ დებულების ამოქმედებამდე განხილულ სააპელაციო საჩივრებთან დაკავშირებით ოქმის გაცემა ხდება ამ დებულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის ბრძანება №1 – ვებგვერდი, 01.02.2021 წ.

წიგნი მეორე

საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

კარი მეშვიდე[5]

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე სამართალწარმოების თავისებურებანი

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1919 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

თავი XLIV[12]

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებანი, ინფორმაციის მიღების უფლება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1919 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 363[25]. ამ თავში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს ამავე თავის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაცული სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი, კოლექტიური ნიშანი, სასერტიფიკაციო ნიშანი, რეგისტრირებული დიზაინი, პატენტით დაცული გამოგონება, სასარგებლო მოდელი, საავტორო უფლებით ან მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტი;

ბ) განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული ან/და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული საქონელი:

ბ.ა) დაცული სასაქონლო ნიშნის, მომსახურების ნიშნის, კოლექტიური ნიშნის ან/და სასერტიფიკაციო ნიშნის (შემდგომ – სასაქონლო ნიშანი) მიმართ — საქონელი ან/და მომსახურება, რომელიც შეიცავს სასაქონლო ნიშნის იდენტურ ან მსგავს ნიშანს ან რომელზედაც დატანილია სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშანი, ან რომელსაც აქვს მოცულობითი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ფორმა და რომლის წარმოება, მიწოდება, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, შენახვა, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა, ამ მიზნით შენახვა/დასაწყობება (დროებით შესანახად განთავსება) ან ნებისმიერი სხვაგვარი გამოყენება იწვევს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევას, მიუხედავად ნიშანდების ადგილისა;

ბ.ბ) რეგისტრირებული დიზაინის მიმართ – პროდუქტი, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება და რომლის წარმოება, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, შენახვა, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა ან ამ მიზნით შენახვა/დასაწყობება (დროებით შესანახად განთავსება) ანდა ნებისმიერი სხვაგვარი გამოყენება იწვევს რეგისტრირებულ დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევას;

ბ.გ) პატენტით დაცული გამოგონების ან რეგისტრირებული სასარგებლო მოდელის მიმართ – პატენტიდან ან რეგისტრაციიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული მოწყობილობა ან ნივთიერება, რომლის წარმოება, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, შენახვა, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა ან ამ მიზნით შენახვა/დასაწყობება (დროებით შესანახად განთავსება) ანდა სხვაგვარი გამოყენება იწვევს

პატენტის ან მოწმობის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევას; პატენტით ან რეგისტრაციით დაცული ხერხით დამზადებული მოწყობილობა ან ნივთიერება, რომლის დამზადება, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, შენახვა, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა ან ამ მიზნით შენახვა/დასაწყობება (დროებით შესანახად განთავსება) ანდა სხვაგვარი გამოყენება იწვევს პატენტის ან მოწმობის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევას;

ბ.დ) საავტორო უფლებით ან მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტის მიმართ – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კონტრაფაქციული ასლები.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1919 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2887 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4051 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

მუხლი 363[26]. რეგულირების სფერო

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე ვრცელდება ამ კოდექსით დადგენილი წესები, ამ თავით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1919 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 363[27]. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. სასამართლო უფლებამოსილია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე განჩინება მტკიცებულებათა შენარჩუნების მიზნით, თუ არსებობს მათი განადგურების საფრთხე.

2. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს იმ საქონლის, რომლითაც, სავარაუდოდ, ირღვევა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლება, წარმოებისათვის/რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალებებისთვის გვერდის ავლისათვის განკუთვნილი დანადგარის/მასალის, მოწყობილობის ან მოწყობილობის კომპონენტის ან/და სავარაუდო კანონდარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დეტალურ აღწერას ნიმუშის აღებით ან უამისოდ. ამასთანავე, თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა აღნიშნული ღონისძიებების გამოყენებით ვერ ხერხდება, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ყადაღის დადება.

3. სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლის მე–2 ნაწილით გათვალისწინებული რამდენიმე ღონისძიება ერთდროულად გამოიყენოს.

4. სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები გამოიყენოს იმ პირის მოსმენის გარეშე, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლება, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ამ უფლების მფლობელს არაპროპორციული ზიანი მიადგება, ან/და თუ არსებობს მტკიცებულებათა განადგურების აშკარა საშიშროება.

5. სასამართლომ პირს, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები, ამის თაობაზე უნდა აცნობოს დაუყოვნებლივ, ღონისძიებათა გამოყენებიდან არაუგვიანეს 48 საათისა.

6. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება, თუ დაასაბუთებს, რომ მისი განსაკუთრებული უფლების დარღვევის ან შესაძლო დარღვევის ფაქტის დასადგენად აღნიშნულ ღონისძიებათა გამოყენება აუცილებელია.

7. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესი განისაზღვრება და მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი განჩინების გასაჩივრება ხდება ამ კოდექსის 118-ე და 119-ე მუხლების შესაბამისად.

8. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის თაობაზე განჩინება მოსამართლეს 5 სამუშაო დღის ვადაში გამოაქვს.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1919 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 363[28]. ინფორმაციის მიღების უფლება

1. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე სამართალწარმოების პროცესში სასამართლო უფლებამოსილია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის თანაზომიერი და დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მოსთხოვოს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია განსაკუთრებული უფლება, იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული ან/და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული საქონლის წარმოშობის ან/და გასაღების ქსელის შესახებ ინფორმაციას. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე კანონდარღვევასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებას;

ბ) მოსთხოვოს ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი კომერციული მასშტაბით სთავაზობდა, იღებდა, ფლობდა ან/და იყენებდა განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებულ ან/და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართულ საქონელს. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ვრცელდება აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირზე, რომელიც სთავაზობდა, იღებდა, ფლობდა ან/და იყენებდა განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებულ ან/და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართულ საქონელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ქმედება/ქმედებები პირადი სარგებლობის მიზნით ხორციელდებოდა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მწარმოებლის, დამამზადებლის, დისტრიბუტორის, მიმწოდებლის ან/და საქონლის სხვა ადრინდელი მფლობელის, საბითუმო ან/და საცალო მოვაჭრის (რომლისთვისაც განკუთვნილია საქონელი, რომლითაც, სავარაუდოდ, ირღვევა განსაკუთრებული უფლება) სრულ სახელწოდებასა და მისამართს, აგრეთვე წარმოებული, დამზადებული, მიწოდებული, მიღებული ან შეკვეთილი საქონლის რაოდენობისა და ფასის შესახებ ინფორმაციას.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გამოყენების შედეგად მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება დაუშვებელია.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს პირი, რომელმაც სასამართლოს მიმართა აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების თაობაზე შუამდგომლობით. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ინფორმაციის მიწოდებისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. საბოლოოდ ეს ხარჯები გადანაწილდება სასამართლოს მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

5. ინფორმაციის მიწოდების შესახებ განჩინების გასაჩივრება დაუშვებელია. ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1919 – ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 363[29]. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. სასამართლო უფლებამოსილია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის მიმართვის საფუძველზე:

ა) გამოიტანოს განჩინება იმ პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ან/და მოძრავ ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებსა და სხვა აქტივებზე) ყადაღის დადების შესახებ, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან კომერციული მასშტაბით დაარღვია განსაკუთრებული უფლება, თუ შესაძლებელია, საფრთხე შეექმნას განსაკუთრებული უფლების მფლობელის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამ მიზნით სასამართლო განსაკუთრებული უფლების მფლობელის შუამდგომლობის საფუძველზე, განსაკუთრებული უფლების შესაძლო დამრღვევისგან გამოითხოვს მის მფლობელობაში არსებულ საბანკო, ფინანსურ ან/და კომერციულ დოკუმენტებს/ინფორმაციას. ამ დოკუმენტების/ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. სასამართლო უფლებამოსილია ყადაღის საგნის იდენტიფიცირების მიზნით მიღებული დოკუმენტები/ინფორმაცია გადასცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ დამოუკიდებელ ექსპერტს. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გამოყენების შედეგად მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება დაუშვებელია;

ბ) აუკრძალოს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია განსაკუთრებული უფლება, იმ ქმედების განხორციელება, რომლითაც ირღვევა განსაკუთრებული უფლება;

გ) ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების აკრძალვის ნაცვლად მოსთხოვოს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია განსაკუთრებული უფლება, შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

2. სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რამდენიმე ღონისძიება ერთდროულად გამოიყენოს.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომლის მომსახურება გამოიყენება ან გამოიყენებოდა

განსაკუთრებული უფლების კომერციული მასშტაბით დარღვევისათვის.

4. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებით შეიძლება ზარალი მიადგეს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია განსაკუთრებული უფლება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი და, იმავდროულად, მოსთხოვოს განსაკუთრებული უფლების მფლობელს მოწინააღმდეგე მხარისთვის შესაძლო ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. სასამართლოს უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის მოთხოვნა შეუძლია აგრეთვე მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.

5. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე ვრცელდება ამ კოდექსის XXIII თავით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი ადგენს საავტორო და მომიჯნავე უფლებების, მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების, დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების, გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლებების, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლებების, სელექციონერის განსაკუთრებული უფლებების, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების ან/და სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტის, საწყობის, თავისუფალი ზონის, რეექსპორტისა და ექსპორტის სასაქონლო ოპერაციების შესაბამისად გადაადგილებისას (შემდგომ – გადაადგილება) სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა გამოყენების წესს. იგი ეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში დადებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების დებულებებს სპეციალური სასაზღვრო ღონისძიებების თაობაზე.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2888 – ვებგვერდი, 01.06.2023წ.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უფლების მფლობელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს საავტორო ან მომიჯნავე უფლება, მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლება, დიზაინზე განსაკუთრებული უფლება, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლება, გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე (მათ შორის, გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე, რომლის მოქმედების ვადა გაგრძელებულია) განსაკუთრებული უფლება, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლება, სელექციონერის განსაკუთრებული უფლება ან/და საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლება;

ბ) საქონლის მფლობელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არის იმ საქონლის მესაკუთრე, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ კონტრაფაქციულია, ან რომელსაც აქვს ასეთი საქონლის განკარგვის მსგავსი უფლება, ან რომელიც ასეთი საქონლის ფიზიკურ კონტროლს ახორციელებს;

გ) კონტრაფაქციული პროდუქცია:

გ.ა) საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია/მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კონტრაფაქციული ასლები;

გ.ბ) სასაქონლო ნიშანზე, მომსახურების ნიშანზე, კოლექტიურ ნიშანზე ან/და სასერტიფიკაციო ნიშანზე (შემდგომ – სასაქონლო ნიშანი) უფლების დარღვევით წარმოებული საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც ამ საქონელთან დაკავშირებით კანონიერად არის რეგისტრირებული ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისგან და, ამდენად, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას;

გ.გ) შეფუთვა, ეტიკეტი, სტიკერი, ბროშურა, გამოყენების ინსტრუქცია, საგარანტიო დოკუმენტი ან მსგავსი სახის საქონელი (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი საქონელი ცალკეა წარმოდგენილი), რომელიც სასაქონლო ნიშნის ან საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით არის წარმოებული და მოიცავს ნიშანს, სახელს ან ტერმინს, რომელიც კანონიერად რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ან დაცული საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის იდენტურია, ან რომლის გარჩევა (მისი არსებითი ასპექტებიდან გამომდინარე) კანონიერად რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისაგან ან საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისაგან ან გეოგრაფიული აღნიშვნისაგან შეუძლებელია და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი და იმავე ტიპის ისეთი საქონლისათვის, რომლისთვისაც განხორციელდა სასაქონლო ნიშნის ან საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია;

გ.დ) დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია – საქართველოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული დიზაინის მფლობელის ნებართვის გარეშე დამზადებული პროდუქტი, რომელშიც ჩართულია ან რომლისთვისაც გამოიყენება დიზაინი და რომელიც, შესაბამისად, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დიზაინის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებებს;

გ.ე) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია – საქონელი, რომელზედაც უკანონოდ არის გამოყენებული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა;

გ.ვ) ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული პროდუქცია – საქართველოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის მფლობელის ნებართვის გარეშე ინტეგრალური მიკროსქემის (იმს) ელემენტების ან ინტეგრალური მიკროსქემის წარმოებისათვის მომზადებული სამგანზომილებიანი განლაგების იმგვარი გამოყენება, რომლითაც ირღვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიაზე უფლების მფლობელის განსაკუთრებული უფლებები;

გ.ზ) სელექციონერის განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული პროდუქცია – საქართველოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული სელექციონერის უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის იმგვარი გამოყენება, რომლითაც ირღვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სელექციონერის განსაკუთრებული უფლებები;

გ.თ) პატენტის ან მოწმობის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული პროდუქცია – საქართველოში კანონით დადგენილი წესით პატენტით დაცულ გამოგონებაზე ან რეგისტრირებულ სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით დამზადებული პროდუქტი, რომლითაც ირღვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პატენტის ან მოწმობის მფლობელის განსაკუთრებული უფლება;

დ) განადგურება – საქონლის ფიზიკური განადგურება, გადამუშავება ან განკარგვა იმგვარად, რომ არ მოხდეს საქონლის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება. ამასთანავე, აუცილებელია, თავიდან იქნეს აცილებული უფლების მფლობელისათვის ზიანის მიყენება;

ე) ორიგინალი საქონელი – პროდუქცია, რომელიც არ არის საავტორო და მომიჯნავე უფლებების, დიზაინზე განსაკუთრებული უფლების, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების, გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების, სელექციონერის განსაკუთრებული უფლების, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე ან სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული;

ვ) რეგისტრაციამდე საქონლის შეჩერება – სამსახურის უფლებამოსილება, დაიცვას უფლების მფლობელის უფლება ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტზე, რომელიც დაცულია საქართველოში, მაგრამ შეტანილი არ არის რეესტრში;

ზ) სამსახური – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური;

თ) რეესტრი – სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრი, რომელშიც, უფლების მფლობელის უფლებების დაცვის მიზნით, უფლების მფლობელის ან მისი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი რეგისტრაციის შესახებ განაცხადის საფუძველზე სამსახურს შეაქვს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, თუ შესრულებულია ამ კანონით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციის პირობები.

საქართველოს 2023 წლის 16 მაისის კანონი №2888 – ვებგვერდი, 01.06.2023წ. საქართველოს 2024 წლის 21 თებერვლის კანონი №4049 – ვებგვერდი, 07.03.2024წ.

თავი II
სამსახურის მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა

მუხლი 3. უფლების მფლობელის უფლებების დაცვა

1. სამსახური იცავს უფლების მფლობელის უფლებებს ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტზე, რომელიც შეტანილია რეესტრში.

2. სამსახური უფლებამოსილია დაიცვას უფლების მფლობელის უფლებები ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტზედაც, რომელიც დაცულია საქართველოში, მაგრამ შეტანილი არ არის რეესტრში.

3. სამსახური ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების მფლობელის უფლებებს იცავს ამ კანონით გათვალისწინებული სასაზღვრო ღონისძიებების გამოყენებით.

მუხლი 4. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციის წესი და პირობები

1. უფლების მფლობელს ან მის წარმომადგენელს (შემდგომ – განმცხადებელი) უფლება აქვს, სამსახურს წარუდგინოს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში შეტანის (შემდგომ – რეგისტრაცია) შესახებ განაცხადი როგორც წერილობით, ისე ელექტრონულად სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით და მოითხოვოს კონტრაფაქციული პროდუქციის

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების ან სხვა პროცედურის განხორციელების შეჩერება და უფლების მფლობელის უფლებების დაცვა.

2. რეგისტრაციის შესახებ განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) უფლების მფლობელის სახელს (სახელწოდებას) და მისამართს;

ბ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შესახებ ინფორმაციას;

გ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შემცველი საქონლის ჩამონათვალს;

დ) ორიგინალი საქონლის დეტალურ აღწერას და ნებისმიერ ინფორმაციას (მათ შორის, ორიგინალი საქონლის და მისი შეფუთვის ამსახველ ფოტოსურათებს, ორიგინალი საქონლის სპეციფიკურ და ტექნიკურ მონაცემებს), რომლითაც მარტივდება საქონლის იდენტიფიცირება;

ე) საქონლის მწარმოებლის და წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე ორიგინალი საქონლის იმპორტიორების/ექსპორტიორების შესახებ ინფორმაციას;

ვ) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლებების დარღვევით წარმოებული საქონლის შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას (მათ შორის, ასეთი საქონლის წარმოშობისა და მდებარეობის თაობაზე, სასაქონლო პარტიის, შეფუთვის იდენტიფიცირებისათვის საჭირო დეტალების, გადაადგილების, გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების, საქონლის გამგზავნის, მიმღების ან მფლობელის შესახებ, ორიგინალი საქონლისა და უფლებების დარღვევით წარმოებული საქონლის განმასხვავებელი ნიშნების თაობაზე ინფორმაციას, არსებობის შემთხვევაში);

ზ) რეგისტრაციის ვადას, რომელიც 2 წელს არ უნდა აღემატებოდეს. ეს ვადა განმცხადებლის მოთხოვნით შეიძლება რამდენჯერმე გაგრძელდეს, მაგრამ არაუმეტეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლებების მოქმედების ვადისა;

თ) იმის შესახებ განცხადებას, რომ განმცხადებელი იღებს ვალდებულებას, აანაზღაუროს საქონლის შეჩერებით საქონლის იმპორტიორისათვის, ექსპორტიორისათვის, მფლობელისათვის ან/და სხვა პირისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში;

ი) სამართლებრივ და ტექნიკურ საკითხებზე უფლების მფლობელის წარმომადგენლის სახელს (სახელწოდებას), მისამართსა და სხვა საკონტაქტო ინფორმაციას.

3. რეგისტრაციამდე საქონლის შეჩერების შემთხვევაში, თუ დადგინდა რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენის უფლებამოსილების მქონე პირი, იგი ვალდებულია ამ კანონის მე-5 მუხლის მე- 4 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს სრულყოფილი (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) განაცხადი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციის შესახებ განაცხადი არ შეიცავს ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული სასაქონლო პარტიის შეჩერება და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაცია ხორციელდება, თუ უფლების მფლობელი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სრულად წარადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

5. რეგისტრაციის შესახებ განაცხადს უნდა ერთოდეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განმცხადებლის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის (მოწმობის, სერტიფიკატის, სალიცენზიო ხელშეკრულების, დეპონირების მოწმობის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტის) დედანი ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული ასლი ან/და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ორიგინალი ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული ასლი, ხოლო თუ რეგისტრაციის შესახებ განაცხადს უფლების მფლობელის წარმომადგენელი წარადგენს – აგრეთვე წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ქართულ ენაზე შესრულებული ან თარგმნილი, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა ან წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი).

6. სამსახური რეგისტრაციის შესახებ განაცხადის მიღებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო რეგისტრაციამდე საქონლის შეჩერების შემთხვევაში – 2 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციის შესახებ ან რეგისტრაციაზე დასაბუთებული უარის თქმის თაობაზე.

7. რეგისტრაციის შესახებ განაცხადში მითითებული მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციის შესახებ განაცხადში მითითებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების მოქმედება წყდება ან უფლების მფლობელს სხვა მიზეზით უწყდება აღნიშნული განაცხადის წარდგენის უფლებამოსილება, განმცხადებელი ვალდებულია ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს სამსახურს. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების მოქმედების შეწყვეტის ან სხვა მიზეზით განაცხადის წარდგენის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში სამსახურს უფლება აქვს, შეწყვიტოს განაცხადის განხილვა.

8. რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შემთხვევაში რეგისტრაციის შესახებ განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე–2 და მე–5 პუნქტების მოთხოვნებს.

9. რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს რეგისტრაციის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში წარდგენილი რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ განაცხადი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე–8 პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ და ამის თაობაზე, გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, აცნობებს განმცხადებელს.

10. სამსახურს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრიდან ამოღების შესახებ, თუ:

ა) მისთვის ცნობილი გახდა, რომ განმცხადებელმა დაკარგა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლება;

ბ) უფლების მფლობელი, საქონლის შეჩერების შესახებ შეტყობინების მიღების მიუხედავად, არ ახორციელებს არც ამ კანონის მე–9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და არც ამავე კანონის მე– 10 მუხლის პირველი და მე–3 პუნქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს;

გ) უფლების მფლობელის მიერ მოთხოვნილია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრიდან ამოღება;

დ) სამსახურის მიერ ამ კანონის მე–5 მუხლის მე–4 პუნქტის, მე–6 მუხლის მე–2 პუნქტის ან მე–7

მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მიწოდებული ინფორმაცია უფლების მფლობელმა ამავე კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მიზნისაგან განსხვავებული მიზნით გამოიყენა.
საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4912 – ვებგვერდი, 04.07.2019წ.

მუხლი 5. რეგისტრაციამდე საქონლის შეჩერება
1. თუ სამსახურს აქვს საფუძველი, ივარაუდოს, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული საქონელი წარმოებულია საქართველოში დაცული ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტზე უფლებების დარღვევით, რომელიც დაცულია საქართველოში, მაგრამ შეტანილი არ არის რეესტრში, სამსახურს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი საქონლის (გარდა მალფუჭებადი საქონლისა) გადაადგილების ან/და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების 3 სამუშაო დღით შეჩერების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლის შეჩერებამდე სამსახურს უფლება აქვს, პირს, რომელიც პოტენციურად უფლებამოსილია წარადგინოს რეგისტრაციის შესახებ განაცხადი, მიაწოდოს ინფორმაცია საქონლის ფაქტობრივი/სავარაუდო რაოდენობის, სახეობისა და გამოსახულების (საქონლის, მათ შორის, მისი შესაფუთი მასალის, ამსახველი ფოტოსურათები) შესახებ და მოსთხოვოს მას საქონლის იდენტიფიცირებისათვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია.

3. სამსახური საქონლის შეჩერების შესახებ ინფორმაციას აწვდის საქონლის მფლობელს საქონლის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.

4. სამსახური ვალდებულია, საქონლის შეჩერების დღესვე ან დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც საქონლის მფლობელს გაეგზავნება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენის უფლებამოსილების მქონე პირს (მისი იდენტიფიცირების შემთხვევაში) აცნობოს (საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულად) საქონლის შეჩერების შესახებ და მიაწოდოს (საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულად) ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია. ამასთანავე, სამსახურს უფლება აქვს, მოსთხოვოს მას საქონლის იდენტიფიცირებისათვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაციის წარდგენა.

5. თუ საქონლის მფლობელი რამდენიმე პირია, სამსახური უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მხოლოდ ერთ პირს მიაწოდოს.

6. რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენის უფლებამოსილების მქონე პირის დასადგენად სამსახური ხელმძღვანელობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ (შემდგომ – „საქპატენტი“) ინტელექტუალური საკუთრების შესაბამისი ობიექტის რეესტრში ასახული ინფორმაციით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს „საქპატენტს“ ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს/უწყებას.

7. ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შეტყობინებები უნდა შეიცავდეს აგრეთვე ინფორმაციას შესაჩერებელი/შეჩერებული საქონლის მიმართ განსახორციელებელი სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ.

8. რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენის უფლებამოსილების მქონე პირს უფლება აქვს, ამ მუხლის მე–2 და მე–4 პუნქტების შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაცია წარადგინოს ელექტრონულად, შეტყობინებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

9. შეჩერებული საქონლის გაშვება ხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დასრულებისთანავე, შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ვერ დადგინდა რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენის უფლებამოსილების მქონე პირი;

ბ) თუ დადგინდა რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენის უფლებამოსილების მქონე პირი, მაგრამ აღნიშნული განაცხადი წარდგენილი არ იქნა ამ კანონის მე–4 მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში და შესაბამისი წესის დაცვით ან სამსახურის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე;

გ) რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენის უფლებამოსილების მქონე პირის თხოვნის საფუძველზე, თუ აღნიშნული განაცხადი შეიცავს ინფორმაციას საქონლის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების მიზეზის თაობაზე.

10. რეგისტრაციის შესახებ განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, სამსახური აგრძელებს საქონლის შეჩერების ვადას 10 სამუშაო დღით და მოთხოვნის შესაბამისად აწვდის მას ამ კანონის მე–7 მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4912 – ვებგვერდი, 04.07.2019წ.

მუხლი 6. რეგისტრირებულ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლებების დარღვევით წარმოებული საქონლის შეჩერება

1. თუ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებისას სამსახურს აქვს საფუძველი, ივარაუდოს, რომ ეს საქონელი წარმოებულია საქართველოში დაცულ ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტზე უფლებების დარღვევით, რომელიც შეტანილია რეესტრში, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ასეთი საქონლის გადაადგილების ან/და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების 10 სამუშაო დღით (მალფუჭებადი საქონლის შემთხვევაში – 3 სამუშაო დღით) შეჩერების (შემდგომ – საქონლის შეჩერება) შესახებ.

2. სამსახურის გადაწყვეტილება და საქონლის იმპორტიორის, ექსპორტიორის ან/და მფლობელის სახელი (სახელწოდება) და მისამართი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს. აღნიშნული გადაწყვეტილება და განმცხადებლის სახელი (სახელწოდება) და მისამართი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქონლის მფლობელს.

3. საქონლის შეჩერებამდე სამსახურს უფლება აქვს, საქონლის იდენტიფიცირების მიზნით განმცხადებელს მიაწოდოს ინფორმაცია მისი კუთვნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შემცველი საქონლის ფაქტობრივი/სავარაუდო რაოდენობის, სახეობისა და გამოსახულების (საქონლის, მათ შორის, მისი შესაფუთი მასალის, ამსახველი ფოტოსურათები) შესახებ და მოსთხოვოს მას საქონლის იდენტიფიცირებისათვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია.

საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4912 – ვებგვერდი, 04.07.2019წ.

მუხლი 7. შემოწმების ჩატარება და ინფორმაციის მიღების უფლება

1. სამსახურის თანხმობით განმცხადებელს უფლება აქვს, საქონლის მფლობელის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით შეამოწმოს შეჩერებული საქონელი და აიღოს შესამოწმებელი საქონლის ნიმუში. განმცხადებლის თხოვნის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია თავად აიღოს შესამოწმებელი საქონლის ნიმუში და ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველსაყოფად განმცხადებელს გაუგზავნოს. საქონლის ნიმუშებისათვის პასუხისმგებლობა განმცხადებელს ეკისრება. ამასთანავე, თუ აღებული ნიმუში სრულად არ იქნება გახარჯული, განმცხადებელი ვალდებულია ექსპერტიზის დასრულებისთანავე დააბრუნოს ნიმუში ან მისი დარჩენილი ნაწილი.

2. განმცხადებელს უფლება აქვს, მოითხოვოს საქონლის შეჩერების ვადის 10 სამუშაო დღით გაგრძელება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადა არასაკმარისია შესამოწმებელი საქონლის აღებული ნიმუშის ექსპერტიზის ჩასატარებლად. მალფუჭებადი საქონლის შემთხვევაში ვადა არ გაგრძელდება.

3. მოთხოვნის საფუძველზე სამსახური ვალდებულია განმცხადებელსა და საქონლის მფლობელს ან მის წარმომადგენელს მიაწოდოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია (მათ შორის, საქონლის ფაქტობრივი/სავარაუდო რაოდენობის, სახეობის, გამომგზავნის ან/და მიმღების, წარმოშობის ქვეყნის და დანიშნულების ადგილის შესახებ ინფორმაცია), რომელიც აუცილებელია საქონლის იდენტიფიცირებისათვის და შემოწმების ჩატარებისათვის. ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება აკრძალულია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. განმცხადებლის მიერ ამ ინფორმაციის გამჟღავნება იწვევს სამსახურის მიერ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრიდან ამოღებას და საქონლის შეჩერების პროცედურის შეწყვეტას.

მუხლი 8. შეჩერებული საქონლის ვადაზე ადრე გაშვება

1. თუ დიზაინზე, პატენტზე, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიაზე ან/და სელექციონერის განსაკუთრებული უფლებების სავარაუდო დარღვევით წარმოებულ შეჩერებულ საქონელთან დაკავშირებით სასამართლოში საქმის წარმოება მიმდინარეობს და საქონლის მფლობელი მოითხოვს საქონლის შეჩერების ვადის გასვლამდე მის გაშვებას, სამსახური უფლებამოსილია გაუშვას საქონელი, თუ დასრულებულია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურა და საქონლის მფლობელი წარადგენს ერთ-ერთ შემდეგ გარანტიას:

ა) მისი და უფლების მფლობელის ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული ოდენობით;

ბ) არანაკლებ შეჩერებული საქონლის საბაჟო ღირებულების ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარანტიის წარდგენის წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4912 – ვებგვერდი, 04.07.2019წ.

მუხლი 9. საქონლის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება

1. სამსახური საქონლის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას აუქმებს:

ა) განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე, თუ იგი ადასტურებს, რომ საქონელი კონტრაფაქციული არ არის;

ბ) თუ სამსახურმა ამ კანონის მე–4 მუხლის მე–10 პუნქტის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრიდან ამოღების შესახებ;

გ) ამ კანონის მე–7 მუხლის მე–3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.

2. განმცხადებელი ვალდებულია შეასრულოს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენისას ამ კანონის მე–4 მუხლის მე–2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად აღებული ვალდებულება მას შემდეგ, რაც მიეცემა შეჩერებული საქონლის შემოწმების საშუალება და სამსახურის ან/და განმცხადებლის ეჭვის საფუძვლიანობა ვერ დადგინდება.

3. ამ კანონის მე–5 მუხლის მე–10 პუნქტით ან მე–6 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის შეჩერების შესახებ შეტყობინების მიღებიდან საქონლის შენახვის ხარჯები განმცხადებელს ეკისრება.

მუხლი 10. საქონლის ჩამორთმევა და განადგურება სამსახურის მიერ

1. თუ ამ კანონის მე–5 მუხლის მე–4 პუნქტით ან მე–6 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან საქონლის შეჩერების ვადის განმავლობაში განმცხადებელი და საქონლის იმპორტიორი, ექსპორტიორი ან/და მფლობელი სამსახურს წარუდგენენ წერილობით შეთანხმებას, რომ საქონლის მფლობელი უარს აცხადებს შეჩერებულ საქონელზე, საქონელი (გარდა ამ მუხლის მე–5 პუნქტით გათვალისწინებული ეგზემპლარისა) ნადგურდება განმცხადებლის ხარჯითა და პასუხისმგებლობით და სამსახურის ზედამხედველობით. მალფუჭებადი საქონლის შემთხვევაში სამსახურისათვის წერილობითი შეთანხმების წარდგენის ვადაა 3 სამუშაო დღე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების მიუღწევლობისას მხარეებს შორის დავა სასამართლო წესით განიხილება. ამ შემთხვევაში საქონლის შეჩერებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი (მათ შორის, საქონლის შეჩერების ხანგრძლივობა, მიყენებული ზიანის ოდენობა, უფლებების დარღვევის ფაქტის არსებობა) წყდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. განმცხადებელი ან საქონლის იმპორტიორი, ექსპორტიორი ან/და მფლობელი საქონლის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მოქმედების პერიოდში სასამართლოსათვის სასარჩელო განცხადებით მიმართვის შემთხვევაში ვალდებულია სასამართლო განჩინება დაუყოვნებლივ წარუდგინოს სამსახურს.

4. თუ საქონლის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მოქმედების პერიოდში არ შესრულდა ამ მუხლის პირველი და მე–3 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურები, სამსახური უზრუნველყოფს საქონლის გაშვებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას.

5. სამსახურს უფლება აქვს, შეინახოს გასანადგურებელი საქონლის ეგზემპლარი ან/და მისი ამსახველი ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია, რომელიც შემდგომ შეიძლება სასწავლო მიზნით იქნეს გამოყენებული.

6. გასანადგურებელი საქონელი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შემცველი ყველა გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდისა და შეფუთვის მოცილების შემდეგ შეიძლება

გამოყენებულ იქნეს ჰუმანიტარული ან საქველმოქმედო მიზნით, მხოლოდ განმცხადებლის თანხმობით და იმ პირობით, რომ ეს საქონელი საფრთხეს არ შეუქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

მუხლი 11. სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენება (გამჟღავნება) უფლების მფლობელის მიერ

უფლების მფლობელს სამსახურის მიერ ამ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მიწოდებული ინფორმაციის გამოყენების (გამჟღავნების) უფლება აქვს:

ა) ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის დადგენის მიზნით სასამართლოში საქმის წარმოების დასაწყებად და საქმის წარმოებისას;

ბ) ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, თუ საქმეს აწარმოებენ იმ ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები, სადაც შეჩერებულ იქნა ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესაძლო დარღვევით წარმოებული საქონელი;

გ) ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესაძლო დარღვევით წარმოებულ საქონელთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დასაწყებად და გამოძიების მიმდინარეობისას;

დ) ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად;

ე) საქონლის განადგურებაზე ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი თანხმობის მისაცემად;

ვ) საქონლის მფლობელისათვის ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საგარანტიო თანხაზე თანხმობის მისაცემად.

მუხლი 12. სამსახურის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

სამსახურს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას არ გამოვლენილა ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესაძლო დარღვევა, რასაც მოჰყვა შესაბამისი საქონლის გაშვება ან საქონლის შეჩერების ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურების სამსახურის მიერ განუხორციელებლობა.

საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4912 – ვებგვერდი, 04.07.2019წ.

მუხლი 13. გამონაკლისები ამ კანონის მოქმედებიდან

ეს კანონი არ ვრცელდება:

ა) არაკომერციული დანიშნულების მცირე რაოდენობის საქონელზე, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან ხელბარგში ან/და განკუთვნილია პირადი მოხმარებისათვის;

ბ) ორიგინალ საქონელზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მისი გადაადგილება უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე ხდება;

გ) საქონელზე, რომელიც დამზადებულია უფლების მფლობელის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ და რომელიც წარმოებულია ამ პირსა და უფლების მფლობელს შორის შეთანხმებულზე მეტი რაოდენობით;

დ) სისხლის სამართლის პროცესის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

თავი III
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 14. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის №2159–IIს კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №31(38), 1999 წელი, მუხ. 163).

მუხლი 15. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45–ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 13 დეკემბერი 2017 წ.
N1723-IIს

საქართველოს კანონი
საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების საგანი და მოქმედების სფერო

ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს პატენტრწმუნებულის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, პირის რეგისტრაციასა და მისთვის საქართველოს პატენტრწმუნებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, აგრეთვე განსაზღვრავს საქართველოს პატენტრწმუნებულის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს, საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციის დაფუძნებისა და საქმიანობის პრინციპებსა და ძირითად მიზნებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საქართველოს პატენტრწმუნებული (შემდგომ — პატენტრწმუნებული) — საერთო სპეციალიზაციის ან/და სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციის მქონე პირი;

ბ) საერთო სპეციალიზაციის მქონე პატენტრწმუნებული – საქართველოს მოქალაქე, რომელიც რეგისტრირებულია პატენტრწმუნებულთა რეესტრში და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქმიანობას;

გ) სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციის მქონე პატენტრწმუნებული – საქართველოს მოქალაქე, რომელიც რეგისტრირებულია პატენტრწმუნებულთა რეესტრში და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქმიანობას სასაქონლო ნიშნების, ადგილწარმოშობის დასახელებების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის მიმართულებით;

დ) პატენტრწმუნებულთა რეესტრი (შემდგომ — რეესტრი) — საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის — „საქპატენტის“ (შემდგომ – საქპატენტი) მიერ ამ კანონისა და საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად წარმოებული რეესტრი, რომელში რეგისტრაციაც გულისხმობს პირისთვის ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით ან/და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სპეციალიზაციის მქონე პატენტრწმუნებულის კვალიფიკაციის მინიჭებას და, ამავდროულად, მისი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების წარმოშობის საფუძველია;

ე) საგამოცდო კომისია – საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომლის საქმიანობის წესიც განსაზღვრულია იმავე ბრძანებით და რომელიც ორგანიზებას უწევს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, პასუხისმგებელია აღნიშნული გამოცდის შედეგების შეფასებისთვის და ახორციელებს ამ კანონითა და საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

ვ) პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდა (შემდგომ – საკვალიფიკაციო გამოცდა) – საქპატენტის მიერ ამ კანონითა და საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილი წესით ორგანიზებული გამოცდა;

ზ) მარწმუნებელი — პირი, რომელიც პატენტრწმუნებულს ანიჭებს უფლებამოსილებას, მისი

სახელითა და ინტერესების შესაბამისად, ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში განახორციელოს სამართლებრივი მოქმედებები.

მუხლი 3. პროფესიული საიდუმლოება (კონფიდენციალური ინფორმაცია)

1. პატენტრწმუნებული ვალდებულია:

ა) უვადოდ, თავისი საქმიანობის შეცვლის მიუხედავად დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას გახდა მისთვის ხელმისაწვდომი;

ბ) მარწმუნებლის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს ის ინფორმაცია, რომელიც პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას გახდა მისთვის ხელმისაწვდომი ან გაანდეს მას, ან/და საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია).

2. პატენტრწმუნებული უფლებამოსილია მისთვის ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია მარწმუნებლის თანხმობის გარეშე გაამჟღავნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია მისთვის წაყენებული მოთხოვნის შესრულების თავიდან ასაცილებლად ან ბრალდებისგან თავის დასაცავად, ან მის მიერ მიუღებელი ანაზღაურების/ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის მიმდინარეობისას, ან იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კონფიდენციალური ინფორმაცია დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

მუხლი 4. ინტერესთა შეუთავსებლობა

1. დაუშვებელია, პატენტრწმუნებული იყოს პირი, რომელიც პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე ბოლო 24 თვის განმავლობაში საქპატენტში მუშაობდა. ეს აკრძალვა არ ვრცელდება იმ პირზე, რომელიც პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე ბოლო 24 თვის განმავლობაში საქპატენტში სტაჟირებას გადიოდა.

2. პატენტრწმუნებული ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც მარწმუნებლის ინტერესებს საფრთხეს შეუქმნის.

3. პატენტრწმუნებული ვალდებულია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უარი თქვას მარწმუნებლის დავალების შესრულებაზე, თუ კონკრეტულ საქმეზე მან მეორე მხარეს გაუწია მომსახურება.

4. პატენტრწმუნებული არ შეიძლება იმავდროულად იყოს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი.

მუხლი 5. პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა

1. პატენტრწმუნებული ვალდებულია მარწმუნებლის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისას/ შეუსრულებლობისას მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში მის ასანაზღაურებლად პროფესიული საქმიანობის განხორციელების მთელ პერიოდში ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა.

2. პატენტრწმუნებული ვალდებულია რეესტრში რეგისტრაციიდან 2 თვის ვადაში პატენტრწმუნებულთა ასოციაციას (შემდგომ – ასოციაცია) წარუდგინოს პროფესიული

პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტები (დაზღვევის ხელშეკრულება და პოლისი).

3. პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტების (დაზღვევის ხელშეკრულებისა და პოლისის) ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმების შემთხვევაში პატენტრწმუნებული ვალდებულია არაუგვიანეს 5 დღისა წარუდგინოს ასოციაციას პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტები.

4. თუ პატენტრწმუნებული არ შეასრულებს ამ მუხლის პირველი პუნქტით, მე–2 პუნქტით ან/და მე–3 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, ასოციაცია ვალდებულია შეუწყვიტოს მას ასოციაციის წევრობა და მისი შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიღებიდან 5 დღის ვადაში აცნობოს საქპატენტს.

5. პატენტრწმუნებულის პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესი, პირობები და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

6. პატენტრწმუნებული ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე მარწმუნებლის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისას/შეუსრულებლობისას მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.

თავი II
პატენტრწმუნებული

მუხლი 6. პატენტრწმუნებული

1. პატენტრწმუნებული არის საერთო სპეციალიზაციის ან/და სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციის მქონე პირი.

2. პირს უფლება აქვს, გახდეს საერთო სპეციალიზაციის მქონე პატენტრწმუნებული, თუ:

ა) იგი საქართველოს მოქალაქეა;

ბ) მას აქვს უმაღლესი განათლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ან ინჟინერიის მიმართულებით – მათემატიკის ან მშენებლობის დარგში/სპეციალობით, ან სტატისტიკის ან წარმოების სფეროში;

გ) მას ამ კანონით დადგენილი წესით ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა;

დ) მას აქვს საპატენტო სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ან გავლილი აქვს სპეციალური მოსამზადებელი კურსი.

3. პირს უფლება აქვს, გახდეს სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციის მქონე პატენტრწმუნებული, თუ:

ა) იგი საქართველოს მოქალაქეა;

ბ) მას აქვს უმაღლესი განათლება;

გ) მას ამ კანონით დადგენილი წესით ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა;

დ) მას აქვს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში (მათ შორის, ინტელექტუალური სამართლის სფეროში) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ან გავლილი აქვს სპეციალური მოსამზადებელი კურსი.

4. პატენტრწმუნებული არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, თუ მას ნასამართლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპატენტო სფეროში მუშაობის გამოცდილებისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მუშაობის გამოცდილების კრიტერიუმები განისაზღვრება საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სპეციალურ მოსამზადებელ კურსად ჩაითვლება კურსი, რომლის პროგრამის მინიმალური სტანდარტები განისაზღვრება საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

მუხლი 7. პატენტრწმუნებულის უფლებამოსილებები

1. საერთო სპეციალიზაციის მქონე პატენტრწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს ფიზიკური პირი ან/და იურიდიული პირი საქპატენტში, საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში, სხვა სახელმწიფო ორგანოსა და მესამე პირთან ურთიერთობებში და გაუწიოს მას სხვა მომსახურება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

2. სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციის მქონე პატენტრწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს ფიზიკური პირი ან/და იურიდიული პირი საქპატენტში, საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში, სხვა სახელმწიფო ორგანოსა და მესამე პირთან ურთიერთობებში და გაუწიოს მას სხვა მომსახურება სასაქონლო ნიშნების, ადგილწარმოშობის დასახელებების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის მიმართულებით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებები მოიცავს: ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევასა და ძიების წარმოებას, მარწმუნებლის წარმომადგენლობას საქპატენტში, საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში, სხვა სახელმწიფო ორგანოსა და მესამე პირთან ურთიერთობებში, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციის თაობაზე განაცხადის, საერთაშორისო განაცხადისა (PCT) და საერთაშორისო რეგისტრაციის მოსაპოვებლად საჭირო განაცხადის შედგენას, რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტისთვის დუბლიკატის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის შედგენას, დამცავი დოკუმენტების მისაღებად და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ძალის შესანარჩუნებლად აუცილებელი ქმედებების განხორციელებას, შესაბამისი უფლებების გადასაცემად საჭირო დოკუმენტაციის მომზადებასა და წარდგენას, სალიცენზიო ხელშეკრულების რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადებას, რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე განაცხადის შედგენას და უფლებების დაცვისა და განხორციელებისთვის

საჭირო სხვა საქმიანობების განხორციელებას, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

4. პატენტრწმუნებული პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს მარწმუნებელთან დადებული ხელშეკრულების ან/და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული, წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

5. პატენტრწმუნებული საქპატენტში წარმომადგენლობის განხორციელებისას ვალდებულია წარადგინოს განმცხადებლის ან ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების მფლობელის მიერ გაცემული, წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 8. პატენტრწმუნებულის ვალდებულებები

პატენტრწმუნებული ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად განახორციელოს პროფესიული საქმიანობა;

ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს დაინტერესებულ პირს ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ;

გ) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება (ინფორმაციის კონფიდენციალურობა);

დ) 2 წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს მე–3 კალენდარული წლის 31 იანვრისა ასოციაციას წარუდგინოს განგრძობადი პროფესიული განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები).

თავი III
საკვალიფიკაციო გამოცდა

მუხლი 9. საკვალიფიკაციო გამოცდის ძირითადი პრინციპები

1. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანია იმის დადასტურება, რომ პირს აქვს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში წარმომადგენლობის განსახორციელებლად საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ–ჩვევები.

2. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება სულ მცირე 2 წელიწადში ერთხელ, საქართველოს სახელმწიფო ენაზე.

3. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება საერთო სპეციალიზაციით ან/და სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციით.

4. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქპატენტის თავმჯდომარე.

5. საქპატენტი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღს, პროგრამასა და გამოცდაში მონაწილეობისთვის რეგისტრაციის ვადას აცხადებს საჯაროდ, თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებით, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს 2 თვისა.

6. პირი, რომელსაც სურს მოიპოვოს საერთო სპეციალიზაციის მქონე პატენტრწმუნებულის კვალიფიკაცია, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის საფასური გადახდილი აქვს.

7. პირი, რომელსაც სურს მოიპოვოს სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციის მქონე პატენტრწმუნებულის კვალიფიკაცია, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის საფასური გადახდილი აქვს.

8. საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის საფასურია 250 ლარი, რომელიც გადაიხდება გამოცდაში მონაწილეობისთვის რეგისტრაციისას, საქპატენტის მიერ განსაზღვრულ ანგარიშზე. საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი სარეგისტრაციო განაცხადს უნდა დაერთოს.

9. საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში პირი იღებს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს – სერტიფიკატს, რომლის ფორმა და გაცემის წესი განისაზღვრება საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

10. თუ პირი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 5 წლის განმავლობაში არ დარეგისტრირდება რეესტრში, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი ძალას კარგავს. ამ ვადის გასვლის შემდეგ პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების განსახორციელებლად პირი ვალდებულია ხელახლა ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

11. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების შესახებ საჩივრებს განიხილავს საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი კომისია იმავე ბრძანებით დადგენილი წესით.

მუხლი 10. საკვალიფიკაციო გამოცდა

1. საკვალიფიკაციო გამოცდა წერილობით ტარდება.

2. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმა, წესი და საგამოცდო საკითხები განისაზღვრება საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

3. საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილეებს მისი შედეგები ინდივიდუალურად ეცნობებათ, ხოლო გამოცდის შესახებ სტატისტიკური მონაცემები საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება.

მუხლი 11. საგამოცდო კომისია

1. საქპატენტის თავმჯდომარე ბრძანებით ქმნის საგამოცდო კომისიას და ამტკიცებს მის შემადგენლობასა და საქმიანობის წესს. იმავე ბრძანებით განისაზღვრება საგამოცდო კომისიის სამდივნოს შემადგენლობა და უფლებამოსილებები.

2. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეა საქპატენტის თავმჯდომარე.

3. საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შედიან:
ა) საქპატენტის თანამშრომლები;
ბ) საქპატენტის მიერ მოწვეული ექსპერტი (ექსპერტები) – საჭიროების შემთხვევაში;
გ) ასოციაციის წარმომადგენელი (პატენტრწმუნებული).

4. საგამოცდო კომისიის უფლებამოსილებებია:

ა) საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ორგანიზება;

ბ) საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების სისტემის შემუშავება, გამოცდის შედეგების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მათი გადასინჯვა;

გ) საგამოცდო კომისიის თავმჯდომარისთვის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების შესახებ საჩივრების განმხილველი კომისიის წევრობის კანდიდატების დასამტკიცებლად წარდგენა;

დ) საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

5. საგამოცდო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

თავი IV
რეესტრი და განგრძობადი პროფესიული განათლება

მუხლი 12. რეესტრი

1. რეესტრს ამ კანონისა და საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილი წესით აწარმოებს საქპატენტი.

2. პირს პატენტრწმუნებულის სტატუსი ენიჭება საქპატენტის მიერ რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. პირს რეესტრში რეგისტრაციიდან 15 სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა პატენტრწმუნებულის მოწმობა (შემდგომ – მოწმობა), რომლის ფორმა მტკიცდება საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით. მოწმობის საფასურია 100 ლარი, რომელიც გადაიხდება საქპატენტის მიერ განსაზღვრულ ანგარიშზე.

4. საქპატენტი პირის რეესტრში რეგისტრაციის საკითხს შესაბამისი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში განიხილავს.

5. პირმა რეესტრში რეგისტრაციისთვის საქპატენტს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად უნდა წარუდგინოს განცხადება და მას უნდა დაურთოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ფოტოსურათი (ზომა – 3X4);

ბ) მონაცემები სამუშაო ადგილის მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ; თუ პირი დასაქმებულია პატენტრწმუნებულთა ბიუროში/სხვა კერძო სამართლის იურიდიულ პირში, – მონაცემები დასაქმების ადგილის სახელწოდების, საიდენტიფიკაციო ნომრის, იურიდიული მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ;

გ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;

დ) მოწმობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. საქპატენტი განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს აღნიშნული განცხადების ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან შესაბამისობას. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში საქპატენტი განმცხადებელს ხარვეზს უდგენს და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს ვადას 10 სამუშაო დღის ოდენობით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე მოთხოვნილი დოკუმენტაციის საქპატენტისთვის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ეს ვადა განახლდება აღნიშნული დოკუმენტაციის საქპატენტისთვის წარდგენისთანავე.

8. განმცხადებლის მიერ ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საქპატენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

9. საქპატენტი პირის რეესტრში რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მას რეესტრში არეგისტრირებს და მოწმობას გადასცემს.

10. რეესტრში შეიტანება პატენტრწმუნებულის შესახებ შემდეგი მონაცემები:

ა) სახელი და გვარი, ფოტოსურათი (ზომა – 3X4);

ბ) მონაცემები სამუშაო ადგილის მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ; თუ პირი დასაქმებულია პატენტრწმუნებულთა ბიუროში/სხვა კერძო სამართლის იურიდიულ პირში, – მონაცემები დასაქმების ადგილის სახელწოდების, საიდენტიფიკაციო ნომრის, იურიდიული მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ;

გ) რეესტრში რეგისტრაციის თარიღი, მოწმობის ნომერი (მოწმობის ნომერი რეესტრში შეიტანება საქპატენტის მიერ მოწმობის გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში);

დ) სპეციალიზაცია.

11. რეესტრში შეტანილი მონაცემები საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება. რეესტრი განახლდება აღნიშნული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში.

12. პატენტრწმუნებული ვალდებულია ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში მისი განხორციელებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს საქპატენტს ამის შესახებ, რის საფუძველზედაც საქპატენტს სათანადო ცვლილება შეაქვს რეესტრში.

13. საქპატენტი უფლებამოსილია შეამოწმოს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ნამდვილობა.

14. საქპატენტი მიიღებს გადაწყვეტილებას პირის რეესტრში რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ:

ა) პირის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 5 წელია გასული და ის აღნიშნულ პერიოდში ამ კანონით დადგენილი წესით რეესტრში არ დარეგისტრირებულა;

ბ) საქპატენტის მიერ განცხადების განხილვისას გამოვლინდა განმცხადებელთან დაკავშირებული ისეთი გარემოება, რომელიც ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

15. პირის რეესტრიდან ამორიცხვა მისთვის პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების შეწყვეტას ნიშნავს.

16. საქპატენტმა პირს შეიძლება შეუწყვიტოს პატენტრწმუნებულის უფლებამოსილება, თუ ის არ შეასრულებს ამ კანონის მე–15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი დაადასტურებს, რომ მან ამ კანონის მე–15 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადა საპატიო მიზეზით გაუშვა.

17. პირის რეესტრში რეგისტრაციაზე უარის თქმის ან პირის რეესტრიდან ამორიცხვის შესახებ საქპატენტის გადაწყვეტილება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში.

18. ამ მუხლის მე–17 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გასაჩივრება მის მოქმედებას არ აჩერებს.

მუხლი 13. განგრძობადი პროფესიული განათლება

1. პატენტრწმუნებულმა უნდა იზრუნოს უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, რაც გულისხმობს პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი ცოდნის გაღრმავებას და უნარ–ჩვევების მუდმივ გაუმჯობესებას.

2. პატენტრწმუნებული ვალდებულია ყოველ 2 წელიწადში სულ მცირე 10 აკადემიური საათი დაუთმოს განგრძობად პროფესიულ განათლებას.

3. ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული განგრძობადი პროფესიული განათლების სტანდარტები განისაზღვრება საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

4. პატენტრწმუნებული ვალდებულია ყოველი მე–3 კალენდარული წლის 31 იანვრამდე ასოციაციას წარუდგინოს ინფორმაცია მის მიერ გასული 2 წლის განმავლობაში განგრძობადი პროფესიული განათლების მისაღებად განხორციელებული ქმედებების შესახებ.

5. პატენტრწმუნებული ვალდებულია, ამ კანონიდან გამომდინარე, განგრძობადი პროფესიული განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეინახოს მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

6. პატენტრწმუნებული ვალდებულია ამ მუხლის მე–5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში

საქპატენტის ან ასოციაციის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული, განგრძობადი პროფესიული განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას ეს დოკუმენტაცია არსებობის შემთხვევაში.

7. საქპატენტი ვალდებულია უზრუნველყოს პატენტრწმუნებულთა განგრძობადი პროფესიული განათლების პროგრამისთვის საჭირო კურსების დანერგვა.

თავი V
ასოციაცია

მუხლი 14. ასოციაციის სტატუსი

1. ასოციაცია არის პირთა წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ასოციაციას საქპატენტი აფუძნებს.

2. ასოციაცია საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობისა და სამართლიანობის პრინციპებით და იცავს მათ.

3. ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიზნებია: ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა, პატენტრწმუნებულის უფლებების, პროფესიული თავისუფლების, ინტერესებისა და დამოუკიდებლობის დაცვა, საზოგადოებაში პატენტრწმუნებულის პროფესიის ცნობადობის გაზრდა და მის მიმართ ნდობის ამაღლება, პატენტრწმუნებულის მიერ განგრძობადი პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა და წახალისება.

4. ასოციაციის საქმიანობის პრინციპები და ძირითადი მიზნები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და ასოციაციის წესდებით.

5. ასოციაციის წევრები არიან პატენტრწმუნებულები. ასოციაციის წესდებით შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე ასოციაციის საპატიო წევრისა და ასოცირებული წევრის სტატუსები.

მუხლი 15. ასოციაციაში გაწევრება

1. პირმა ასოციაციაში გაწევრებისთვის მას უნდა წარუდგინოს შესაბამისი განცხადება რეესტრში რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

2. ასოციაციის გამგეობა განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას პირის ასოციაციაში გაწევრების შესახებ.

3. პირმა ასოციაციაში გაწევრებისთვის მას შესაბამის განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) მონაცემები სამუშაო ადგილის მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის ნომრისა და

ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ; თუ პატენტრწმუნებული დასაქმებულია პატენტრწმუნებულთა ბიუროში/სხვა კერძო სამართლის იურიდიულ პირში, – მონაცემები დასაქმების ადგილის სახელწოდების, საიდენტიფიკაციო ნომრის, იურიდიული მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ.

4. ასოციაცია მიიღებს გადაწყვეტილებას პირის ასოციაციაში გაწევრებაზე უარის თქმის შესახებ, თუ:

ა) საქპატენტის მიერ პირის რეესტრში რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვეა გასული და ამ პირს ასოციაციაში გასაწევრებლად მისთვის ამ კანონით დადგენილი წესით არ მიუმართავს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი დაადასტურებს, რომ მან ამ კანონით დადგენილი ვადა საპატიო მიზეზით გაუშვა;

ბ) პირი რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

5. პირის ასოციაციაში გაწევრებაზე ასოციაციის გამგეობის უარი შეიძლება მისი მიღებიდან 1 თვის განმავლობაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

6. ასოციაცია ვალდებულია პირის ასოციაციაში გაწევრების ან პირის ასოციაციაში გაწევრებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აცნობოს საქპატენტს. საქპატენტი ამ ინფორმაციას ცნობად იღებს და საჭიროების შემთხვევაში სათანადო ცვლილება შეაქვს რეესტრში.

7. თუ საქპატენტისთვის ცნობილი გახდა, რომ პირმა დადგენილ ვადაში არ შეასრულა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, იგი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირის რეესტრიდან ამორიცხვის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი დაადასტურებს, რომ მან ამ კანონით დადგენილი ვადა საპატიო მიზეზით გაუშვა.

მუხლი 16. ასოციაციის წევრობის შეჩერება

1. პატენტრწმუნებულს ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით ერთ-ერთ შემდეგ შემთხვევაში:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში;

გ) თუ მან არ შეასრულა ამ კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით ან/და მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება;

დ) თუ ასოციაციის ეთიკის კომისიამ მას ამ კანონის 27-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელი დაადო.

2. ამ მუხლის შესაბამისად პატენტრწმუნებულისთვის ასოციაციის წევრობის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იგი თავისუფლდება ასოციაციის საწევრო გადასახადის გადახდისგან და ეკრძალება ასოციაციის საქმიანობაში მონაწილეობა.

3. პირს ასოციაციის წევრობა აღუდგება ასოციაციისთვის შესაბამისი განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ასოციაცია ამ მუხლის პირველი პუნქტის

„ბ“, „გ“ ან „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პატენტრწმუნებულისთვის ასოციაციის წევრობის შეჩერების შემთხვევაში პირს ასოციაციის წევრობას აღუდგენს მის მიერ ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის აღმოფხვრის ან ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით ან/და მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემთხვევაში ანდა იმ შემთხვევაში, თუ გასულია ამ კანონის 27-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით ან/და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ ასოციაცია დაუყოვნებლივ აცნობებს საქპატენტს. საქპატენტს 5 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი ცვლილება შეაქვს რეესტრში და პატენტრწმუნებულს შეუჩერებს/პირს აღუდგენს პატენტრწმუნებულის უფლებამოსილებას.

5. პატენტრწმუნებულისთვის ასოციაციის წევრობის შეჩერების შესახებ ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილება შეიძლება მიღებიდან 1 თვის განმავლობაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრება მის მოქმედებას არ აჩერებს.

მუხლი 17. ასოციაციის წევრობის შეწყვეტა

1. პატენტრწმუნებულს ასოციაციის წევრობა შეუწყდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით ერთ-ერთ შემდეგ შემთხვევაში:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) თუ მას შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;

გ) ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე;

დ) თუ იგი სასამართლომ ცნო მხარდაჭერის მიმღებად თავის მიერ განსაზღვრულ იმ სფეროში, რომელსაც პატენტრწმუნებულის საქმიანობა მიეკუთვნება;

ე) თუ იგი სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ვ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის;

ზ) თუ ცნობილი გახდა ისეთი გარემოება, რომლის დროულად აღმოჩენაც პირის რეესტრში რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი იქნებოდა;

თ) თუ იგი არ იხდის ასოციაციის საწევრო გადასახადს;

ი) თუ იგი არ ასრულებს ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით, მე-2 პუნქტით ან/და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას;

კ) თუ იგი გარდაიცვალა.

2. ასოციაციის გამგეობა ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, „ზ“ ქვეპუნქტით, „თ“ ქვეპუნქტით ან/და „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ღია ან ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას პატენტრწმუნებულისთვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ, ხოლო „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ ან „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას იგი ცნობად იღებს და საკითხის განხილვის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას პატენტრწმუნებულისთვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ.

3. პატენტრწმუნებულისთვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს და მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა გაეგზავნოს აღნიშნულ პირს, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ასოციაცია ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღებიდან 5 დღის ვადაში აცნობოს საქპატენტს. საქპატენტი 5 სამუშაო დღის ვადაში პირს რეესტრიდან ამორიცხავს.

5. თუ საქპატენტისთვის ცნობილი გახდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შესახებ, რომლის გამოც ასოციაციას პატენტრწმუნებულისთვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის პროცედურა არ დაუწყია, საქპატენტი უფლებამოსილია ასოციაციას მოსთხოვოს, 1 თვის ვადაში ჩაატაროს გამგეობის სხდომა, რომელიც პატენტრწმუნებულისთვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საკითხს განიხილავს.

6. პატენტრწმუნებულისთვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილება შეიძლება მიღებიდან 1 თვის განმავლობაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

7. ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრება მის მოქმედებას არ აჩერებს.

მუხლი 18. ასოციაციის სტრუქტურული ერთეულები

1. ასოციაციის მიერ ამ კანონით განსაზღვრულ ფუნქციათა შესასრულებლად ასოციაციაში იქმნება:

ა) გამგეობა;

ბ) ეთიკის კომისია;

გ) სამეთვალყურეო საბჭო.

2. ასოციაცია უფლებამოსილია თავისი ფუნქციების შესასრულებლად შექმნას აგრეთვე სხვა სტრუქტურული ერთეულები. მათი საქმიანობა განისაზღვრება ასოციაციის მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულებებით.

მუხლი 19. ასოციაციის საერთო კრება

1. ასოციაციის უმაღლესი ორგანოა ასოციაციის საერთო კრება, რომელიც სულ მცირე წელიწადში ერთხელ იკრიბება. მისი საქმიანობის წესი და უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ კანონითა და ასოციაციის წესდებით.

2. ასოციაციის საერთო კრება უფლებამოსილია დააწესოს ასოციაციის საწევრო გადასახადის ფიქსირებული ოდენობა.

მუხლი 20. ასოციაციის საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და რიგგარეშე კრების მოწვევის წესი

1. ასოციაციის საერთო კრების მიერ განსახილველი საკითხის ინიციირება, ასოციაციის წესდებით განსაზღვრულ პირთა გარდა, შეიძლება განახორციელოს ასოციაციის გამგეობის

თავმჯდომარემ ან/და საქპატენტმა.

2. რიგგარეშე საერთო კრება, ასოციაციის წესდებით განსაზღვრულ პირთა გარდა, შეიძლება მოიწვიოს ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ ან/და საქპატენტმა.

3. ასოციაციის საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და რიგგარეშე კრების მოწვევის წესი განისაზღვრება ასოციაციის წესდებით.

მუხლი 21. ასოციაციის გამგეობა

1. ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა ასოციაციის გამგეობა, რომლის სხდომა სულ მცირე 2 თვეში ერთხელ იმართება. საქპატენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ასოციაციას, ჩაატაროს გამგეობის სხდომა ამ კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. ასოციაციის გამგეობის წევრებსა და გამგეობის თავმჯდომარეს 3 წლის ვადით, ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით ირჩევს ასოციაციის საერთო კრება.

3. ასოციაციის გამგეობის წევრთა რაოდენობა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ კანონითა და ასოციაციის წესდებით.

მუხლი 22. ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე

1. ასოციაციას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს მას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია ასოციაციის მართვის ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისთვის.

2. პირი ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

3. ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე შრომის ანაზღაურებას ასოციაციის ფინანსური სახსრებიდან იღებს.

4. ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარის საქმიანობის ფარგლები განისაზღვრება ამ კანონითა და ასოციაციის წესდებით.

მუხლი 23. ასოციაციის ეთიკის კომისია

1. ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ასოციაციის წესდებით. მათ 3 წლის ვადით, ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით ირჩევს ასოციაციის საერთო კრება.

2. ასოციაციის ეთიკის კომისია ამოწმებს პატენტრწმუნებულის შესახებ მიღებულ ინფორმაციას და სწავლობს მის საფუძვლიანობას, განიხილავს და წყვეტს პატენტრწმუნებულის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

3. პატენტრწმუნებულის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის ანონიმური წერილის ან/და შეტყობინების საფუძველზე განხილვა დაუშვებელია.

4. პატენტრწმუნებულისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და დისციპლინური წარმოების წესი განისაზღვრება ამ კანონით, ასოციაციის წესდებითა და ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულებით.

5. ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ასოციაცია მიღებიდან 10 დღის ვადაში აცნობებს საქპატენტს.

6. ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება პატენტრწმუნებულისთვის გაცნობიდან 1 თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება მის მოქმედებას არ აჩერებს.

მუხლი 24. ასოციაციის საქმიანობაზე ზედამხედველობა, ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭო

1. ასოციაციის გამგეობის, მისი თავმჯდომარის, მათ მიერ დანიშნულ და არჩეულ პირთა მიერ ამ კანონისა და ასოციაციის წესდების შესრულების, ფინანსური სახსრებისა და სხვა ქონების აღნიშნული წესდებით განსაზღვრული მიზნებისთვის გამოყენებისა და მათი საქმიანობის კონტროლის განსახორციელებლად იქმნება ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭო.

2. ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს 3 წლის ვადით, ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით ირჩევს ასოციაციის საერთო კრება.

3. ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფინანსო საქმიანობის შესამოწმებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეარჩიოს და მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი.

4. საქპატენტი უფლებამოსილია ასოციაციის საქმიანობის ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეარჩიოს და მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი.

თავი VI
დისციპლინური წარმოება

მუხლი 25. პატენტრწმუნებულისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები

1. პატენტრწმუნებულს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-3–მე-5 და მე-8 მუხლებისა და მე-12 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის.

2. ასოციაცია იღებს გადაწყვეტილებას პატენტრწმუნებულის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, თუ პატენტრწმუნებულის მიერ სადავო ქმედების ჩადენიდან ასოციაციის ეთიკის კომისიისთვის მიმართვამდე 3 წელია გასული.

მუხლი 26. დისციპლინური დევნის აღძვრა

პატენტრწმუნებულის მიმართ დისციპლინურ დევნას აღძრავს ასოციაციის ეთიკის კომისია. იგი შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან 2 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პატენტრწმუნებულის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 27. დისციპლინური სახდელის სახეები

დისციპლინური სახდელის სახეებია:

ა) გაფრთხილება;

ბ) ასოციაციის წევრობის 6 თვიდან 3 წლამდე ვადით შეჩერება;

გ) ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

მუხლი 28. პატენტრწმუნებულისთვის დისციპლინური სახდელის დადების წესი

1. პატენტრწმუნებულისთვის დისციპლინური სახდელის დადების საკითხს ასოციაციის ეთიკის კომისია კოლეგიურად თავის სხდომაზე განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში ის აღნიშნულ გადაწყვეტილებას უნდა დაერთოს.

2. ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე პატენტრწმუნებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ზეპირად ან წერილობით გამოთქვას აზრი, გამოითხოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები და სრულად ისარგებლოს დაცვის უფლებით.

3. ასოციაციის ეთიკის კომისიის სხდომა დახურულია. ამასთანავე, ეთიკის კომისია უფლებამოსილია ორივე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩაატაროს საჯარო სხდომა. მხარეებს უფლება აქვთ, მიიღონ ეთიკის კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი საჯაროა.

4. პატენტრწმუნებულისთვის ამ კანონის 27-ე მუხლის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ასოციაცია ვალდებულია ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აცნობოს საქპატენტს.

თავი VII
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 29. საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციის დაფუძნება

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ საქართველოს პატენტრწმუნებულთა 2 საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებიდან 3 თვის ვადაში აფუძნებს საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციას. საქართველოს პატენტრწმუნებულთა პირველი საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება 2025 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო მეორე – 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

2. საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციის დაფუძნებისას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ ამტკიცებს საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციის წესდებას და 1 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციის დაფუძნების შესახებ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს პატენტრწმუნებულმა საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციას უნდა წარუდგინოს განცხადება ასოციაციაში გაწევრების მოთხოვნის შესახებ.

5. საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე ასოციაციის დაფუძნებიდან არაუგვიანეს 6 თვისა იწვევს ასოციაციის საერთო კრებას, რომელიც ირჩევს ასოციაციის გამგეობის, ეთიკის კომისიისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.

6. საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციის დაფუძნებამდე:

ა) ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს საქართველოს პატენტრწმუნებულები ასრულებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ წინაშე;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ უფლებამოსილია ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „ი“ ან „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 30. საქართველოს პატენტრწმუნებულთა პროფესიული სტანდარტის დოკუმენტის დამტკიცება

საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაცია პირველი საერთო კრების მოწვევიდან 3 თვის ვადაში ამტკიცებს საქართველოს პატენტრწმუნებულთა პროფესიული სტანდარტის დოკუმენტს.

მუხლი 31. იმ პირის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელსაც საქართველოს პატენტრწმუნებულის სტატუსი ამ კანონის ამოქმედებამდე მიენიჭა

1. პირი, რომელსაც საქართველოს პატენტრწმუნებულის სტატუსი ამ კანონის ამოქმედებამდე მიენიჭა, უთანაბრდება ამ კანონით გათვალისწინებულ საერთო სპეციალიზაციის მქონე საქართველოს პატენტრწმუნებულს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს პატენტრწმუნებულთა რეესტრში რეგისტრაციისთვის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის

შესაბამისად უნდა წარუდგინოს განცხადება და მას უნდა დაურთოს ამ კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია, რის საფუძველზედაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ აღნიშნულ პირს საქართველოს პატენტრწმუნებულთა რეესტრში დაარეგისტრირებს. ზემოაღნიშნული განცხადების დადგენილ ვადაში წარუდგენლობა საქართველოს პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია საქართველოს პატენტრწმუნებულთა რეესტრში რეგისტრაციიდან 2 თვის ვადაში საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“ წარუდგინოს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამ დოკუმენტების დადგენილ ვადაში წარუდგენლობა საქართველოს პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია.

მუხლი 32. საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვება გარდამავალ პერიოდში

1. გარდამავალ პერიოდად ჩაითვალოს 2025 წლის 1 იანვრიდან 2027 წლის 1 იანვრამდე პერიოდი.

2. გარდამავალ პერიოდში პირი საერთო სპეციალიზაციის მქონე საქართველოს პატენტრწმუნებულის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის საფასური გადახდილი აქვს, ხოლო სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციის მქონე საქართველოს პატენტრწმუნებულის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის საფასური გადახდილი აქვს.

მუხლი 33. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის ბრძანებებით:

ა) 2025 წლის 1 თებერვლამდე განისაზღვროს:

ა.ა) საქართველოს პატენტრწმუნებულთა რეესტრის წარმოების წესი, საქართველოს პატენტრწმუნებულის მოწმობის ფორმა და გაცემის წესი;

ა.ბ) საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმა, წესი და საგამოცდო საკითხები, საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის ფორმა და გაცემის წესი;

ა.გ) საქართველოს პატენტრწმუნებულის პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესი, პირობები და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობა;

ბ) 2026 წლის 1 იანვრამდე განისაზღვროს პირისთვის საქართველოს პატენტრწმუნებულის კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სამუშაო გამოცდილების კრიტერიუმები, სპეციალური მოსამზადებელი კურსის პროგრამის მინიმალური სტანდარტები და განგრძობადი პროფესიული განათლების სტანდარტები.

2. საქართველოს მთავრობამ 2025 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

3. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების“ დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 12 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „დებულება საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“.

მუხლი 34. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე–6 მუხლის მე–2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე–3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა, მე–8 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა, მე–11 მუხლის მე–3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე–13 მუხლისა, ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის მე–6 მუხლის მე–2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და მე–3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, მე–8 მუხლის
„დ“ ქვეპუნქტი, მე–11 მუხლის მე–3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მე–13 მუხლი ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 15 მაისი 2024 წ.
N4166-XIVმს-Xმპ

საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი აწესრიგებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის – ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის რეგისტრაციასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ინტეგრალური მიკროსქემა (შემდგომში – იმს) – ელექტრონული ფუნქციის შემსრულებელი ნაკეთობა დასრულებული ან შუალედური ფორმით, რომლის ელემენტები, რომელთაგან ერთი მაინც აქტიურია, და მათ შორის არსებული ზოგიერთი ან ყველა ურთიერთშეერთება განუყოფლადაა ფორმირებული ნაკეთობის მასალის მოცულობაში ან/და ზედაპირზე;

ბ) ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია (შემდგომში – ტოპოლოგია) – იმს-ის ელემენტთა, რომელთაგან ერთი მაინც აქტიურია, და მათ შორის არსებული ზოგიერთი ან ყველა ურთიერთშეერთების რაიმე სახით გამოსახული სამგანზომილებიანი განლაგება, ან იმს-ის წარმოებისათვის მომზადებული სამგანზომილებიანი განლაგება;

გ) მოწმობა ტოპოლოგიაზე (შემდგომში – მოწმობა) – ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული, ტოპოლოგიის მფლობელის სახელზე გაცემული და მისი განსაკუთრებული უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) განაცხადი – ტოპოლოგიის რეგისტრაციისათვის აუცილებელი საბუთების ერთობლიობა, რომელიც ფორმდება დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ე) „საქპატენტი" – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში სამართლებრივად უზრუნველყოფს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებს;

ვ) სააპელაციო პალატა – „საქპატენტთან" არსებული, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავის განმხილველი ორგანო.

მუხლი 3. განსაკუთრებული უფლების წარმოქმნა

1. ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლება წარმოიქმნება „საქპატენტში" მისი რეგისტრაციით.

2. რეგისტრირებული ტოპოლოგიის მფლობელის სახელზე გაიცემა მოწმობა.

მუხლი 4. განსაკუთრებული უფლების მოქმედების ვადა

ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების მოქმედების ვადა შეადგენს 10 წელს „საქპატენტში" ტოპოლოგიის რეგისტრაციის თარიღიდან.

მუხლი 5. ტოპოლოგიის ორიგინალობა

1. ამ კანონის თანახმად რეგისტრირდება ორიგინალური ტოპოლოგია.

2. ტოპოლოგია ორიგინალურია, თუ ის შეიქმნა ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად და არ იყო საყოველთაოდ ცნობილი შექმნის თარიღისათვის.

3. ტოპოლოგია, რომელიც შედგება მისი შექმნის თარიღისათვის ცნობილი ელემენტებისაგან, ითვლება ორიგინალურად, თუ წარმოადგენს ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგს და მთლიანობაში არ არის ცნობილი.

4. ტოპოლოგია ორიგინალურად ითვლება საპირისპიროს დამტკიცებამდე.

5. ტოპოლოგიის გამოყენება ტოპოლოგიის ავტორის მიერ (ან სხვა პირის მიერ, რომელსაც განაცხადის შეტანის თარიღისათვის მოწმობის მიღების უფლება აქვს), ან მესამე პირის მიერ, რომლისთვისაც აღნიშნული ტოპოლოგია ავტორისაგან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით გახდა ხელმისაწვდომი, განაცხადის მიწოდების თარიღამდე 2 წლის განმავლობაში არ მოქმედებს ტოპოლოგიის ორიგინალობაზე. სხვა შემთხვევაში ტოპოლოგია არ მიიჩნევა ორიგინალურად.

მუხლი 6. ტოპოლოგიის ავტორი (თანაავტორი)

1. ტოპოლოგიის ავტორად (შემდგომში – ავტორი) მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგადაც შეიქმნა ტოპოლოგია.

2. თუ ტოპოლოგია შექმნილია რამდენიმე ფიზიკური პირის ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად, თითოეული მათგანი მიიჩნევა თანაავტორად.

3. ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს მოწმობაში მისი სახელის მითითება.

მუხლი 7. მოწმობის მიღების უფლება

1. მოწმობის მიღების უფლება აქვს ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს.

2. რამდენიმე პირის შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილ ტოპოლოგიაზე მოწმობის მიღების უფლება აქვს როგორც ყველა ავტორს ერთობლივად, ისე თითოეულ მათგანს დანარჩენი ავტორების მიერ მოწმობის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ან სპეციალური დავალებით შემუშავებულ ტოპოლოგიაზე მოწმობის მიღების უფლება ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს, თუ მას და მუშაკს შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. თუ მოწმობის მიღების უფლება სამუშაოს მიმცემს ეკუთვნის, მუშაკს უფლება აქვს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სამუშაოს მიმცემისაგან მოითხოვოს დამატებითი ფარდი გასამრჯელო.

5. თუ ტოპოლოგია შექმნილია სახელმწიფო დაკვეთით ან ორგანიზაციათა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისას, მოწმობის მიღების უფლება განისაზღვრება შესაბამისად დაკვეთის ან ხელშეკრულების პირობით.

მუხლი 8. განსაკუთრებული უფლების ფარგლები და დარღვევა

1. ტოპოლოგიის მფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება, თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ტოპოლოგია ან აკრძალოს მისი გამოყენება. ამასთან, განსაკუთრებული უფლება არ ვრცელდება ტოპოლოგიის ან მის საფუძველზე შექმნილი იმს-ის განხორციელების იდეაზე, ხერხზე, სისტემაზე, ტექნოლოგიაზე ან კოდირებულ ინფორმაციაზე.

2. ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების დარღვევად მიიჩნევა შემდეგ ქმედებათა უნებართვო განხორციელება:

ა) მთლიანად ტოპოლოგიის ან მისი ნაწილის (გარდა იმ ნაწილისა, რომელიც არ არის ორიგინალური) ასლის გადაღება მის საფუძველზე იმს-ის შექმნის ან სხვა მიზნით;

ბ) ტოპოლოგიის ან მის საფუძველზე შექმნილი იმს-ის გამოყენება, იმპორტირება, გასაყიდად შეთავაზება, გაყიდვა ან სამეურნეო ბრუნვაში სხვაგვარად ჩართვა.

მუხლი 9. გამაფრთხილებელი აღნიშვნა

ტოპოლოგიის მფლობელს შეუძლია იმს-ზე ან მის შემცველ ნაკეთობაზე გამოსახოს სპეციალური გამაფრთხილებელი აღნიშვნა, რომელიც მოიცავს:

ა) წრეში ჩასმულ ასო „T“-ს;

ბ) ტოპოლოგიის რეგისტრაციის თარიღს;

გ) ტოპოლოგიის მფლობელის დასახელებას.

მუხლი 10. გამოყენება, რომელიც განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევა

1. ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევა:

ა) ტოპოლოგიის, მის საფუძველზე შექმნილი იმს-ის ან ამ იმს-ის შემცველი ნაკეთობის გამოყენება პირადი მიზნებისათვის მოგების მიღების გარეშე, აგრეთვე ანალიზის, კვლევის ან სწავლების მიზნით;

ბ) ტოპოლოგიის მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით გავრცელებული ტოპოლოგიის საფუძველზე შექმნილი იმს-ის ან ამ იმს-ის შემცველი ნაკეთობის შემდგომი გავრცელება;

გ) ნებისმიერი ქმედება უნებართვოდ გამეორებული ტოპოლოგიის საფუძველზე შექმნილი იმს-ის მიმართ, აგრეთვე ამ იმს-ის შემცველი ნაკეთობის მიმართ, იმ შემთხვევებში, როდესაც პირმა ასეთ ქმედებათა განხორციელებისას არ იცოდა და იმს-ის ან ნაკეთობის შეძენისას არც შეიძლებოდა გარემოებათა გამო სცოდნოდა უნებართვოდ გამეორებული ტოპოლოგიის შესახებ. მას შემდეგ, რაც აღნიშნული პირი მიიღებს დასაბუთებულ შეტყობინებას ტოპოლოგიის უნებართვო გამოყენების შესახებ, მას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი ქმედება არსებული მარაგის ან შეკვეთილი პროდუქციის მიმართ. ამასთან, იგი ვალდებულია ტოპოლოგიის მფლობელს აუნაზღაუროს გონივრული გასამრჯელო, რომელიც გადახდილი იქნებოდა ასეთი ტოპოლოგიის გამოყენებაზე ლიცენზიის ნებაყოფლობით შეძენის შემთხვევაში.

2. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ ქმედებათა განხორციელება არ მიიჩნევა ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლების დარღვევად შემდეგ შემთხვევებში:

ა) სხვა პირის მიერ ოფიციალურ ბიულეტენში რეგისტრირებული ტოპოლოგიის გამოქვეყნებამდე დამოუკიდებლად შემუშავებული იდენტური ორიგინალური ტოპოლოგიის გამოყენება;

ბ) სხვა პირის მიერ გაუმჯობესებული ტოპოლოგიის შექმნა ცნობილი ტოპოლოგიის გამოკვლევის საფუძველზე, თუ ახლად შექმნილი ტოპოლოგია აკმაყოფილებს ორიგინალობის მოთხოვნებს.

მუხლი 11. განაცხადი და მისი განსახილველად წარდგენა

1. განაცხადის „საქპატენტში“ შეტანა ხდება უშუალოდ ავტორის ან მისი უფლებამონაცვლის (შემდგომში – განმცხადებლის) ან მათი წარმომადგენლის მიერ.

2. უცხო ქვეყნის პირები ან მათი წარმომადგენლები „საქპატენტთან“ ურთიერთობას წარმართავენ „საქართველოს საპატენტო კანონის“ 65-ე მუხლის შესაბამისად.

3. განაცხადი უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ ტოპოლოგიას.

4. განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) დადგენილი წესით შედგენილ განცხადებას ტოპოლოგიის რეგისტრაციის თაობაზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს: განმცხადებლის სრული სახელი (სახელწოდება), მისამართი და მიმოწერის მისამართი, ან წარმომადგენლის სრული სახელი და მისამართი, თუ განაცხადის შეტანა ხდება წარმომადგენლის მიერ;

ბ) ტოპოლოგიის სრულად ამსახველ მასალებს, რეფერატის ჩათვლით;

გ) განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთს;

დ) განმცხადებლის მიერ წარმომადგენლის სახელზე გაცემულ მინდობილობას, თუ განაცხადის შეტანა ხდება წარმომადგენლის მიერ.

5. განაცხადი „საქპატენტში“ შეტანილად ითვლება იმ დღიდან, როდესაც წარდგენილია განცხადება ტოპოლოგიის რეგისტრაციის თაობაზე და ტოპოლოგიის სრულად ამსახველი მასალები, რეფერატის ჩათვლით.

მუხლი 12. განაცხადის განხილვა, გამოქვეყნება, მოწმობის გაცემა

1. „საქპატენტი“ ატარებს განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რის შედეგადაც გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება მოწმობის გაცემის თაობაზე.

2. „საქპატენტი“ განაცხადის შეტანის თარიღს ადასტურებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასურის გადახდის შემთხვევაში.

3. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, „საქპატენტი“ იღებს გადაწყვეტილებას ტოპოლოგიის რეგისტრაციის შესახებ.

4. ტოპოლოგიის რეგისტრაციაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დადგენილი საფასურის გადახდის შემთხვევაში, „საქპატენტი“ აწარმოებს ტოპოლოგიის რეგისტრაციას „ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიების რეესტრში“, გასცემს მოწმობას და აქვეყნებს მონაცემებს „საქპატენტის“ ოფიციალურ ბიულეტენში.

5. მონაცემების გამოქვეყნებამდე განმცხადებელს უფლება აქვს „საქპატენტის“ მოთხოვნით

ან საკუთარი ინიციატივით შეავსოს, დააზუსტოს და შეასწოროს განაცხადის მასალები.

6. განაცხადის განხილვისას „საქპატენტს“ შეუძლია განმცხადებლისაგან მოითხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა და განაცხადში ცვლილებების შეტანა, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მისი განხილვა.

7. განაცხადის ექსპერტიზასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. საფასური

1. განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის, ტოპოლოგიის რეგისტრაციის, მოწმობის გაცემის, მონაცემების გამოქვეყნების, ძალაში შესანარჩუნებელი წლიური და სხვა იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედებებისათვის გადაიხდება საფასური, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. დასაშვებია საფასურის გადასინჯვა საერთაშორისო ნორმების, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებისა და ინფლაციის გათვალისწინებით.

მუხლი 14. უფლებათა გადაცემა

1. ტოპოლოგიის მფლობელს შეუძლია ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლებების გადაცემა.

2. ტოპოლოგიის მფლობელს უფლება აქვს გასცეს სხვა პირზე ლიცენზია ტოპოლოგიის გამოყენებაზე. ლიცენზიის გაცემა და რეგისტრაცია ხორციელდება „საქართველოს საპატენტო კანონის“ 59-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად.

3. დასაშვებია იძულებითი ლიცენზიის გაცემა ტოპოლოგიის გამოყენებაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენება ნაკარნახევია სახელმწიფო არაკომერციული ინტერესებით ან განპირობებულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღსაკვეთად მიმართული სასამართლო ან ადმინისტრაციული აქტით.

მუხლი 15. დავა

1. ტოპოლოგიის მფლობელს ან დაინტერესებულ პირს უფლება აქვს „საქპატენტის“ ან სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება გაასაჩივროს „საქართველოს საპატენტო კანონის“ 68-69-ე მუხლების შესაბამისად.

2. ტოპოლოგიის მფლობელს განსაკუთრებული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს:

ა) იმ ქმედებათა შეწყვეტა, რომლებიც არღვევენ უფლებებს ან ქმნიან მათი დარღვევის საფრთხეს;

ბ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით;

გ) კომერციული მიზნით გამოყენებული ტოპოლოგიის საფუძველზე შექმნილი იმს-ის ჩამორთმევა ან განადგურება.

მუხლი 16. კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა

უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები სარგებლობენ ამ კანონით გათვალისწინებული უფლებებით საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად ან ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე.

მუხლი 17. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 1999 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ე. შევარდნაძე

თბილისი, 1999 წლის 22 ივნისი
№2110-IIს

ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების კრებული

შედგენილია საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამის საფუძველზე

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“

3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5
ტელ.: +995 32 2252533
info@sakpatenti.gov.ge
www.sakpatenti.gov.ge